

1964



აგათანგო



2

1 9 6 4

მნათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონი

წელიწადი მე-40

№ 2

თებერვალი, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

შარხალ „მნათობის“ 40 წლისთავი

ირაკლი აბაშიძე — ღვაწლმოსილი მწერალი	3
ვერიკო ანჭაფარიძე — საერთო ძალით	4
სერგო კლდიაშვილი — დიდი გზა	5
გიორგი ლღონიძე — ჩვენი მწერლობის მოქირანახელე	6
ალექსი შავერაიანი — ლიტერატურული ცხოვრების ავანგარდში	7
ალექსი შირცხულავა — დე, მარად ნათობდეს ჩვენი „მნათობი“	8
ნიკოლოზ მუსხელიშვილი — მეცნიერებასთან კონტაქტში	9
არჩილ სულაკაური — ახალგაზრდა მწერლების მოამბე	10
მესო ფდენტი — ჩვენი ეროვნული მწერლობის დიდი კერა	10
დემნა შენგელაია — კულტურის მატთან	12
არჩილ ძამაშვილი — რას ვუსურვებ „მნათობს“	13
სერგი ქილაია — სახელოვანი 40 წელი	14
უკა ჭავჭავაძე — „მნათობი“ გულისხმიერებას იმენდა ქართულ სახვითი ხელოვნებასადმი	15
როსტომ ნონეშვილი — ლექსი	16
ლევან გოთუა — ლექვი ლომისა, რომანი, გაგრძელება	17
გიორგი შატერაშვილი — გეიანი ყვეილები, ლექსები	45
ზინვილ კაკაბაძე — სახლი, მოთხრობა	47
ვახტანგ ჭავჭავაძე — ლექსები	52
დ. ჭავჭავაძე — ლამურები სამთავისის ტაძარში, მოთხრობა	

(იხ. მეორე გვ.)



9407.



გიორგი ნატროშვილი — შარხის თეთრი ღამეები 62
 ვლადიმერ ზამბახიძე — პოეტის ლირიკული აღსარება 77
 გიორგი ჭიბლაძე — ამაღლებულის პროზულიმისათვის
 მამია დუდუჩავა — მხატვრული სტილი როგორც ისტორიული მოვლენა 104

კვალიცისტიკა

ანტონ კელენჭერიძე — სერგო ორჭონიკიძე — ჟურნალისტი 120
 კლემენტი გვალია — კავკასიის დაკვის ეპოპეა 155

მეგონება

ვეყოლ ბერიძე — ნიკო შარი, დასასრული 168

წიგნების მიმოხილვა

აკაკი გეჭაძე — თეთრი სევანთი 175
 ვლადიმერ ჭიბუტი — ოთარ ქედიძის ლექსები და ბალადები 178
 გიორგი გაჩეჩილაძე — პოეტის პირველი წიგნი 181
 თამაზ ჩხენკელი — შთარგმნელის გამარჯვება 183
 ზენარიონ ხარანაული — მართალი მოთხრობები 185
 სოლომონ ხუციშვილი — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 187
 ნ. მშვილდაძე — მონოგრაფია გიორგი შავგულიძეზე 189
 ხ. ურმაჯიშვილი — ახალი წიგნი საქართველოს ისტორიის წყაროებისათვის 191

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე, ბ. უღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი,
 ხ. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/III-64 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 71/4×121/2 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 04154, ტირაჟი 6 500, შეკვეთა № 106.



ქურნაქ

ირაკლი აბაშიძე
პოეტი აკადემიკოსი

ღვაწდმოსილი ქურნალი

ქართული მწერლების ღვაწდმოსილ ქურნალ „მნათობს“ ორმოცი წელი შეუსრულდა. ეს საიუბილეო თარიღი ჩვენთვის კეშმარიტად დიდი დღესასწაულია. მთელი ჩვენი მშობლიური მხატვრული მწერლობის ისტორიაში არც ერთ ქურნალს თუ გაზეთს ასე დიდხანს არ უცოცხლია. ოთხი ათეული წელი! და მერე როგორი წლები, ახალი მწერლობის ყალიბობის მშფოთვარე, ბობოქარი წლები, როცა მის გვერდით, „მნათობის“ გვერდით იქმნებოდნენ და ქრებოდნენ მრავალფერი ქურნალები და გაზეთები, მრავალგვარი სალიტერატურო და სახელოვანი ბეჭდვითი ორგანოები, თავისი და თავისებური პლატფორმებით, გზებით, პრინციპებით, ქურნალი „მნათობი“ მათ შორის ერთო როგორც მართლაც ჩაუქრობელი მნათობი და ბრძნულად აკეთებდა თავის საქმეს, ახალი ქართული მწერლობის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეს.

ქურნალი „მნათობი“ თავისი პირველი ნომრიდანვე, დაარსების პირველი დღიდანვე დადგა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის გენერალურ ხაზზე. ჩვენი სახელოვანი მშობლიური მხატვრული ლიტერატურის ოქროს გზაზე და ძლევამოსილად გამოჰყვა მას ორმოცი წლის განმავლობაში, თავიდანვე აღებული მისმა სწორმა გეზმა განსაზღვრა მისი ხანგრძლივი სიცოცხლეც.

რა დიდი და დაუფასებელი სამსახური გაუწია ქურნალმა „მნათობმა“ ქართულ მწერლობას. რა დიდი და დაუფასებელი როლი შეასრულა მეოცე საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებაში ქურნალმა „მნათობმა. — თუ „მნათობის“ ამ ღვაწლს სპეციალური ვრცელი გამოკვლევები არ მიეძღვნა, ყოველ ჩვენგანს გაუჭირდება საიუბილეო, საზეიმო სტრიქონებში აღნუსხოს და გადმოსცეს „მნათობის“ ეს დამსახურება.

ქურნალმა „მნათობმა“ მაშინვე შემოიკრიბა თავის ვარშემო ახალი ქართული მწერლობის საუკეთესო ძალები, არა მარტო ფართო მკითხველი საზოგადოებისაგან უკვე აღიარებულნი, არამედ ნიჭიერი ახალბედა ლიტერატორებიც, რომელნიც მაშინ, რევოლუციის პირველ წლებში მზრუნველ, მშობლიურ ხელს განსაკუთრებით საჭიროებდნენ.

„მნათობის“ ბევრი ძველი მუდმივი თანამშრომელი დღეს ჩვენს შორის უკვე აღარ არის. წავიდნენ ჩვენგან ნიკო ლორთქიფანიძე და მიხეილ ჭავჭავაძე, შალვა დადიანი და ვალაქტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი და ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდამილი, გერონტი ქიქოძე და ალექსანდრე აბაშელი, რაყდენ გვეტაძე და ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და ლევან ასათიანი. მნათობის ძველი თანამშრომელი ილია ალღაძე და აკაკი ბელია-

მრ. ივ. ნუნუა

შეილი. რა დიდი დანაკლისია, რა აუნაზღაურებელი დანაკლისი, რომ ეს დიდებული ადამიანები ჩვენთან აღარ არიან. მოვიგონოთ ყველა ისინი ჟურნალ „მნათობის“ ამ საიუბილეო დღეს და პატივი ვცეთ მათს დიდებულ ხსოვნას.

შეც ჟურნალ „მნათობის“ საკმაოდ ძველი თანამშრომელი და სარედაქციო მუშაკი გახლავართ. ძალიან მიხარია ახლა ამის გახსენება. სწორედ „მნათობის“ არსებობის ათი წლის თავზე, ამ ოცდაათი წლის წინ დავეინიშნე ჟურნალის პოეზიის განყოფილების გამგედ, სრულიად ახალგაზრდა კაცი. ჟურნალ „მნათობის“ პირველი იუბილე, ათი წლის არსებობის იუბილე გადავუხადეთ მაშინ. მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა და მეორე იუბილეს მხოლოდ დღეს აღვნიშნავთ.

ძალიან მიხარია გავიხსენო აგრეთვე ისიც, რომ ოციოდე წლის წინ ვრედაქტორობდი კიდევ ჩვენს საყვარელ ჟურნალს შვიდი წლის განმავლობაში. გულითა და სულით ვუსურვებ ჩვენს ღვაწლმოსილ ჟურნალ „მნათობს“ კვლავ ახალ წარმატებებს ჩვენი მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავებამს უკეთილშობილეს საქმეში.

პაიკო ანჯაფარიძე

სსრკ სახალხო არტისტი

საერთო ძალით

როდესაც ამ ორმოცი წლის წინათ ჟურნალ „მნათობის“ პირველი ნომერი გამოვიდა, დიდი შემოქმედის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით აღორძინებული ქართული თეატრი თავისი მოღვაწეობის მხოლოდ მეორე სეზონს ითვლიდა, და შეიძლება თამამად ითქვას, რომ როგორც ახალმა ქართულმა თეატრმა შესძლო თავის გარშემო ყველა სასიცოცხლო ძალების შემოკრება, ასე ჟურნალ „მნათობმა“ მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებები არსებობდნენ, მაინც შესძლო ძველი და ახალი ლიტერატურული ძალები შემოეკრიბა თავის გარშემო. მართლაც, ამ ჟურნალის ფურცლებზე ათავსებდნენ თავიანთ რომანებს ვასილ ბარნოვი და მიხ. ჯავახიშვილი, შალვა დადიანი და ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია და დემნა შენგელაია და კიდევ ბევრი სხვა მწერალი, რომლებიც მაშინ ჩვენსავით ახალგაზრდები იყვნენ და ახლა კი ღვაწლმოსილნი და დამსახურებულნი არიან ქართველი ხალხის წინაშე.

ჟურნალში იბეჭდებოდა წერილები ჩვენი თეატრის საჭირობოროტო საკითხებზე, მაკო საფაროვას და უშანგი ჩხეიძის მოგონებანი, საინტერესო შრომები ლადო მესხიშვილზე, ზაქარია ფალიაშვილზე, ვანო სარაჯიშვილზე და, რაც მთავარია, ჟურნალ „მნათობმა“ პირველმა სცადა დიდი ხელოვანის კოტე მარჯანიშვილის თეატრალური მემკვიდრეობის ობიექტური გაანალიზება და შეფასება.

უდავოა, რომ ჟურნალი „მნათობი“ არის დიდი ფაქტორი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ის თავის ფურცლებზე მოგვითხრობს ყველა სიახლეზე, რაც ლიტერატურულ სფეროში ხდება; უყურადღებოდ არ სტოვებს არც ერთ მოვლენას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალაქად თუ სოფლად. „მნათობი“ ჩვენი დიდი მეგობარია, საყვარელი და ძვირფასი. ამიტომ არის, რომ მას დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ დღეს-დღეობით, როცა იქმნება ახალი სამყარო, როცა წარმოიშვა ახალი ადამიანი, რომლის ეფიკური და ესთეტიკური კატეგორიები ყალიბდება, თეატრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. თეატ-

რი ხომ თანამედროვეობის ამსახველი და გამშუქებელია, და უფრო მეტიც — იგი ხვალისდელი დღის შემგრძობია, მისი მქადაგებელი. თეატრი მოვალეა შეეხოს იმ პრობლემებს, რომლებიც დგანან თანამედროვე ადამიანის წინაშე. ჩაერის ბრძოლაში, რომელიც ორ სამყაროს შორის მიმდინარეობს, ანტიკურსა და ახალს. უპირატესობა ჩვენი იდეოლოგიისა, ჩვენი მსოფლმხედველობისა. თეატრს სჭირდება დახმარება, გარჯევა, მაღალი პოზიციებიდან შეხედვა — და ვის შეუძლია ეს, თუ არა ჩვენს მწერლობას და მის ჟურნალს „მნათობს“. დაგვეხმარეთ მაღალი დრამატურგიის შექმნაში. ჩაერიეთ ჩვენი სპექტაკლების ავტორებიანობის გაშუქებაში, ეს საჭიროა თუნდაც თეატრის ახალგაზრდა თაობის ზრდისათვის. მხოლოდ საერთო ძალებით შეიძლება შეიქმნას ის თეატრი, რომელიც სინარულს მოუტანს ადამიანებს.

ბოლო დროს ჩვენი მწერლები ისე აქტიურად აღარ მონაწილეობენ ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, საჭიროა ხელახლა აღსდგეს ლიტერატურისა და თეატრის ურთიერთკავშირი. ჟურნალი „მნათობი“ ვაზიდან უნდა ჩაერიოს ჩვენი თეატრების მუშაობაში. პირუთენელი და ობიექტური წერილების მოთავსებით მსახიობებზე, რეჟისორებზე, თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაზე და სხვ.

იმედია, რომ ჟურნალი „მნათობი“ კვლავაც დაეხმარება ქართულ თეატრს მის წინაშე დასმული დიდი ამოცანების გადაჭრაში...

საგო კლიაშვილი

ღირი გზა

„მნათობმა“ დიდი გზა განვლო და მისი დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში ნამდვილად თვალსაჩინოა.

ორმოცი წლის მანძილზე ჟურნალში გაიარა ჩვენი მწერლობის არა ერთმა თაობამ. თავისი არსებობის პირველ დღიდანვე აქ აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ლიტერატურის და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. ჟურნალი წარმოადგენდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ ესტაფეტას, რომელსაც უფროსები გადასცემდნენ უფრო უმცროსებს. შემდეგ ეს უმცროსები თვითონ ხდებოდნენ მოხუცებად და ესტაფეტი მიჰქონდა მომდევნო თაობას. შეუწყვეტელი სიცოცხლის ეს მდინარეა ცნოვლად იგრძნობა ჟურნალის ფურცლებზე.

როდესაც „მნათობი“ თავის არსებობას იწყებდა, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ქართული მწერლობის რამდენიმე დიდი წარმომადგენელი და თქმის ყველა მათგანი უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა ჟურნალში. აქ იბეჭდებოდნენ შ. არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი და სხვები. მათ მხარს უმშვენივლად უფრო ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, ალექსანდრე აბაშელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები. მხატვრული სიტყვის ამ ბრწყინვალე პლეადამ თითქმის ყველა თავისი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები ამ ჟურნალში დაბეჭდა და აქ გაშალეს მათ თავისი ძლიერი ფრთები.

ქართული პოეზიის, პროზის და კრიტიკის იმ დღევანდელმა პლეადამ რომელმაც წინამორბედთაგან მიიღო ესტაფეტი, მკიდროდ არის დაკავშირებული „მნათობთან“ და სწორედ ამ ჟურნალის მეოხებით გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი.

პირადად ჩემს ლიტერატურულ ცხოვრებაში „მნათობმა“ დიდი როლი შეასრულა. თითქმის ყველაფერი, რაც დამიწერია, ამ ეურნალში მაქვს დაბეჭდილი. ეურნალის ყურადღება აგრეთვე დიდ სტიმულს მაძლევდა მუშაობაში. როგორც ჩემთვის, ისე ყველა ჩემი კოლეგისთვის, დარწმუნებული ვარ, ეურნალი არა უბრალოდ ფურცლების კონას წარმოადგენს, არამედ არის ჩვენი სულის ცოცხალი განუწყვეტელი ნაწილი. აქ იგრძნობა ჩვენი გულის ფეთქვა, აქ ვლინდება უნარი ჩვენი აზროვნებისა და თვალისა, რომლითაც ვუყურებთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ყველა ჩვენი ფიქრი და მღელვარება, ყველა ჩვენი ოცნება ანარეკლს ჰპოვებს მის ფურცლებზე და რჩება როგორც ჩვენი ეპოქის ადამიანის ფიქრისა და სულიერი მოძრაობის დოკუმენტი. მის ფურცლებზე მომავალი თაობები გაეცნობიან წარსულს და გაიგებენ. თუ როგორ ფორმირდებოდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრება.

წლიდან წლობით „მნათობი“ უფრო და უფრო აღმჭობებს თავის მუშაობას, უფრო სრულყოფილი ხდება და უკეთესად ემსახურება თავის დროს და ამით, ხომ მომავალშიც იხედება.

ჩვენ გვინდა, რომ ის კიდევ უფრო უკეთესად ემსახუროს ქართველ ხალხს მჯერა, რომ ეურნალი მიაღწევს ამას და მისი სახით მე მივესალმები იმ მომავალ თაობებს მწერლობაში, რომლებიც ხორცს შეასხამენ ყველაფერს, რაზედაც წინამორბედები ოცნებობდნენ.

„მნათობმა“ დიდი ზნა გაიარა და მისი წინსვლა დე შეუწყვეტი და მარად ცოცხალი იყოს ისე, როგორც მარადია ქართული სიტყვა.

გიორგი დონიძე

სახალხო პოეტი

ჩვენი მწერლობის მოჭირნახუდე

ვსარგებლობ რა საიუბილეო თარიღით, მინდა მრავალი კარგი სიტყვა ვუთხრა ჩვენს საყვარელ „მნათობს“ იმ დიდი დამსახურების გამო, რომელიც მას მიუძღვის ჩვენი კულტურის წინაშე.

„მნათობი“ ქართველი მწერლობის დიდი მოჭირნახულეა და მოამაგე. დასაბამიდანვე იგი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ქართულ მწერლობას და სათანადოდ დარაზმა მისი ძალები.

„მნათობის“ ლიტერატურულ-საზოგადოებრივი როლი დიდია. მან დიდად შეუწყო ხელი ქართული რომანის, ქართული ეპოსის, ქართული კრიტიკის აღორძინებას; მან მრავალი მწერალი აღმოაჩინა და აღზარდა (განსაკუთრებით ბელეტრისტები).

ეურნალი „მნათობი“ ყოველთვის მზურვალე მონაწილე იყო ჩვენი კულტურული მშენებლობისა.

„მნათობს“ ისეთი შესანიშნავი წინაპრები ჰყავდა, როგორც ეურნალები — „საქართველოს მოამბე“, „ივერიან“, „მოამბე“, რომელთაც დიდი კვალი გაავლეს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ასევე ჩვენი „მნათობის“ დაბადების თანდაამხედური ქართული მწერლობა, იმდენად დიდია მისი მონაპოვარი.

პირადად მე „მნათობის“ დაბადების თანდაამხედური ვარ და მისი პირველი მონაწილეთაგანიც.

„მნათობის“ პირველ ნომრებში (№ 2-დან)მე ვაჭვეყნებდი ჩემს მონოგრაფიას „ივანე მაჩაბელი“, და მას შერე, როგორც „მნათობის“ მუდმივ თანამგ-



ზავრს, არა ერთხელ გამომიქვეყნებია მის ფურცლებზე ლექსები, მოთხრობები, გამოკვლევები.

ცხადია, „მნათობი“ ჩემი საყვარელი ჟურნალია, ამიტომაც მის გამოქვეყნებას განსაკუთრებული სიხარულით განვიცდიდი ხოლმე, ისევე როგორც მწყენია მისი რაიმე ნაკლოვანება.

ჟურნალი „მნათობი“ დიდის მხნეობით მიიბრძვის ჩვენი ლიტერატურისათვის, ჩვენი კულტურისათვის.

ვულოცავ რა საყვარელ, ამაგდარ ჟურნალს მის 40 წლისთავს, ვუსურვებ უფრო სიმტკიცით წარემართოს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, კერძოდ, მე ვუსურვებდი მას უფრო მეტად შეეწყოს ხელი სოციალური ავსებულობის, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი დიდი ეპიური ნაწარმოებების შექმნისა და გამოქვეყნებისათვის, რათა უფრო დიდ სიმაღლისკენ მიჰყავდეს ქართული რომანი, ქართველი ერის და ჩვენი ლიტერატურული აზროვნება და მასთან ყოფილიყვეს მტკიცე დარაჯი ქართული ენის სიწმინდისა.

გაუმარჯოს ჩვენს „მნათობს“! კიდევ დიდხანს ეშუქებინოს ჩვენი მშობლიური მწერლობა! კიდევ მრავალი ახალი მწერალი აღმოეჩინოს და აღეზარდოს თავის კვაბადონებზე!

ალექსი მაჭავარიანი

კომპოზიტორი, სსრკ სსხლხოს არტისტი

ლიტერატურული ცხოვრების ავანგარდში

როცა გონების თვალს გადავაკლებ ხოლმე საბჭოთა წლებში გამოცემულ ლიტერატურულ-მხატვრულ და სახელოვნო პერიოდიკას, ჟურნალი „მნათობი“ წარმომიდგება ერთ-ერთ იმ პერიოდულ გამოცემად, რომელიც ჩემში აღძრავს ღრმა პატივისცემას და სიყვარულის გრძნობას, რადგან დღიდან თავისი არსებობისა ჟურნალი „მნათობი“ პირნათლად ასრულებდა ზალხთან, მკითხველ მასებთან მწერლობის დამაკავშირებელი ბეჭდვითი ორგანოს როლს, განაგრძობდა რა ამ მხრივ ქართული მოწინავე ლიტერატურული პრესის საუკეთესო ტრადიციებს. ორმოცი წლის მანძილზე „მნათობის“ ფურცლებზე ლიტერატურული ნათლობა მიიღო არა ერთმა პოეტმა, პროზაიკოსმა, დრამატურგმა, კრიტიკოსმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მცოდნემ, რომლებიც შემდეგ ამ დარგების ცნობილი მოღვაწეები გახდნენ. ჟურნალის წახალისებით და ხელისშეწყობით იღურ-მხატვრულ სრულყოფას და მაღალ დამსტატებას მიაღწიეს ქართული ლიტერატურის არა მარტო ახალგაზრდა, არამედ უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლებმაც, რომლებიც მომწიფდნენ და დაეაყვაცდნენ სწორედ „მნათობის“ ფურცლებზე. სიახლის გრძნობა, იდეურობა, მისწრაფება, რომ თავის ფურცლებზე გამოეტანა და ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის საგნად გაეხადა ქართული საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების აქტუალური საკითხები, „მნათობს“ მუდამ აყენებდა აქტიური და მეზრძოლი ბეჭდვითი ორგანოების ავანგარდში.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ გავიხსენო ისიც, რომ „მნათობი“ თავის ფურცლებს უთმობდა საქართველოს მუსიკალური ცხოვრების და ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიის საკითხების გაშუქებასაც. აღსანიშნავია, რომ პირველად „მნათობში“ გამოქვეყნდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების“ ცალკე თავები; „მნათობმა“ დაბეჭდა აგრეთვე რამდენიმე

ვრცელი საფუძვლიანი გამოკვლევა ქართული პროფესიული მუსიკა და ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელზე — დიდ კომპოზიტორ ზაქარია ჯავახიშვილზე, პირველ ქართველ დირიჟორზე ივანე ფალიაშვილზე, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილზე, ქართველ მუსიკალურ მოღვაწეზე — მუსიკალური ფოლკლორის შემკრებ-გამომცემელზე ფილიმონ ქორიძეზე, წერილები ქართულ ხალხურ და პროფესიულ ქორეოგრაფიაზე.

მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ „მნათობი“ მომავალშიაც თავის მკითხველს იყოლიებს ქართული მუსიკალური ცხოვრების განვითარების კურსში. გააცნობს მას ჩვენი ახალგაზრდობის — კომპოზიტორების და მუსიკოს-შემსრულებლების შემოქმედებით მიღწევებს.

„მნათობის“ არსებობის ორმოცი წლის თავზე ჩემი და ჩემი კოლეგების — ქართველი მუსიკოსების სახელით მივესალმები ქართულ მწერლობას და მის მკითხველთა მრავალათასოვან კოლექტივს, გულით და სულით ვუსურვებ ჟურნალს, რომ ამიერიდანაც პირნათლად შეეხსრულებინოს თავისი მოვალეობა და მუდამ მდგარიყოს საქართველოს ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ავანგარდში.

პიო მისხაღავა

დ. მარალ ნათობდეს ჩვენი „მნათობი“

ჟურნალ მნათობის არსებობის 40 წლისთავთან დაკავშირებით გულთბილად მივულოცავ მის რედაქციას, მთელ კოლექტივს და ვუსურვებ მათ დიდ წარმატებას შრომასა და შემოქმედებაში. შემიძლია თამამად განაცხადო, რომ მთელი ჩემი მწერლური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყველაზე უფრო დაკავშირებულია ჟურნალ „მნათობთან“, მის აკვანთან დაირწა ჩემი პირველი პოეტური სიმღერა. ჟურნალი „მნათობი“ დაარსდა 1924 წელს. ჯერ კიდევ, 1924-25 წლებში, მოსკოვის ინსტიტუტის სტუდენტი არდადეგების დროს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის მდივნის მოვალეობასაც ვასრულებდი. მაშინ „მნათობის“ რედაქტორი იყო ვ. ბახტაძე, მდივანი — მ. გოგიბერიძე. ჩემი ლექსებიც „მნათობის“ პირველ ნომრებშივე იბეჭდებოდა. 1926 წელს კი „მნათობმა“ გამოსცა ჩემი ლექსების კრებული. შემდეგ პატივი მქონდა მისი რედაქტორი ვყოფილიყავი, 40 წლის მანძილზე ჟურნალში დაიბეჭდა ქართული საბჭოთა მწერლობის თითქმის ყველაზე ღირსშესანიშნავე ნაწარმოები. ამ მხრივ „მნათობი“ ყოველთვის ქართული მწერლობის ნამდვილ სახეს გამოხატავდა. იგი სისტემატურად აშუქებდა აგრეთვე ჩვენი სამეურნეო-პოლიტიკური და სამეცნიერო ცხოვრების საკითხებსაც. მან არაერთი ახალგაზრდა შემოქმედი გამოავლინა. ჟურნალი ახლაც განაგრძობს ამ ტრადიციას. „მნათობი“ ქართული მწერლობის მთავარი ორგანოა და მხატვრული შემოქმედების ყოველი სიახლე და მიღწევა მის ფურცლებზე პოეებს გამოხატულებას: ჟურნალი „მნათობი“ ქართული საბჭოთა მწერლობის მხატვრული მატთანაა. დიდა მისი ისტორიული როლი ქართული საბჭოთა კულტურის განვითარების საქმეში.

დე, მარალ ნათობდეს ჩვენი „მნათობი“!

ნიკოლოზ მუსხელიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი



მეცნიერებასთან კონტაქტი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიურ ლიტერატურულ მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს „მნათობს“ არსებობის 40 წლისთავი შეუსრულდა. ეს თარიღი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში. ჟურნალის ასეთი ხანგრძლივობა არ ახსოვს ქართულ-პერიოდიკის ისტორიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალმა მოიხვეჭა პოპულარობა და მაგრად გაიღვა ფესვები მკითხველ მასებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალი „მნათობი“, მტკიცედ იღვავა ლიტერატურის პარტიული იდეურობის და ხალხურობის პოზიციებზე, თავის გარშემო იკრებდა ლიტერატურის და ხელოვნების შემოქმედ სასიცოცხლო ძალებს, ყველა თაობის მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს, სწორ იდეურ მიმართულებას აძლევდა მათ შემოქმედებას, მთელს ლიტერატურულ პროცესს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალი არ იფარგლებოდა მხატვრული ლიტერატურით და კრიტიკით, ლიტერატურის ისტორიის და ესთეტიკის საკითხებზე წერილების გამოქვეყნების გარდა, თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა სტატიებს შინაური და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალურ საკითხებზე, ჰყავდა რა ქართველი მკითხველი საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის განვითარების კურსში. ჟურნალმა ეს ხაზი უნდა განაგრძოს, გააღრმავოს და გააფართოვოს.

ჩვენს დროში, განსაკუთრებით ომის შემდგომ წლებში, მოხდა უდიდესი ცვლილებანი, უდიდესი პროგრესი ზუსტ მეცნიერების ყველა დარგში — მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მექანიკაში, კოსმოსის შესწავლასა და დაპყრობაში, ვარდატეხები, რომლებსაც უშუალო ზემოქმედება აქვთ საწარმოო ძალების განვითარებაზე, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე და სულიერ ყოფაზე. ჟურნალმა თავისი მკითხველი უნდა ჩააყენოს და მუდამ იყოლოს ამ უდიდესი მოვლენების კურსში. ჩვენს რესპუბლიკას საკმაოდ ჰყავს მეცნიერული ძალები, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ თავთავიანთ სპეციალობაში. ბევრი მათგანი ვართულება თავის უშუალო საქმით; ზოგს კიდევ არ ემარჯვება წერა პოპულარულად ისე, რომ მეცნიერების მონაპოვარი და მის წინ მღგარი რთული პრობლემები ადვილად ასათვისებელი გახადოს მკითხველისათვის. ამ საქმეში აუცილებელია მეცნიერთა და ლიტერატორთა თანამშრომლობა. ეს საქმეც უნდა ითავოს ჩვენმა ჟურნალმა „მნათობმა“, რომელმაც ამ მიზნით უნდა დაამყაროს მჭიდრო კონტაქტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, მასში შემავალ სათანადო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, მოიზიდოს თანამშრომლებად იქ მომუშავე ძალები, მიაშველოს და დაახმაროს მათ კვალიფიციური ჟურნალისტ-ლიტერატორები, რომ მეცნიერებათა და მწერალთა გაერთიანებული ღონისძიებებით დაიწეროს პოპულარული სტატიები და მხატვრული ნარკვევები მეცნიერებასა და ტექნიკაში მოპოვებულ მიღწევებზე და მათი განვითარების უახლოეს პერსპექტივებზე. ასეთი წერილების სისტემატური მოთავსება ჟურნალში, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად გააძლიერებს მკითხველთა ინტერესს „მნათობისადმი“ და ხელს შეუწყობს მის შემდგომ პოპულარობას. ასეთია ჩემი სურვილები „მნათობის“ მიმართ მისი სახელოვანი არსებობის მე-40 წლისთავზე.

პირი სუბიექტი

ახალგაზრდა მწერლების მოაზრება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი აღამიანივითა... იგი ფიქრობს, აზროვნებს, აქვს საკუთარი სახე, ხასიათი, აქვს მეხსიერება. მას ეჩვევი და ეთვისები, როგორც აღამიანს.

უკვე ორმოცი წელია, რაც „მნათობი“ ქართველი მწერლებისა და ლიტერატორების ნაფიქრსა და ნააზრევს უზიარებს თავის მეგობრებს — ქართველ მკითხველებს. იგი არა მარტო უზიარებს, არამედ შთამომავლობას უნახავს იმას, რაც ამ ორმოცი წლის მანძილზე შექმნილა ღირსეული და მნიშვნელოვანი. ჟურნალმა გამოიმუშავა საკუთარი ხასიათი და მიიღო გარკვეული სახე, რაც განასხვავებს მას სხვა ჟურნალებისაგან, დაიმკობრა და შეიჩვია ათასობით მკითხველი...

ამ მკითხველთა შორის მრავალი ახალგაზრდა მეგობარი ჰყავს „მნათობს“. ეს იმიტომ, რომ ჟურნალი თავის ფურცლებიდან ახალგაზრდებს ესაუბრებოდა ახალგაზრდა მწერლების ენითაც, ანდობდა მათ ოცნებებს, ფიქრებს, გულისთქმასა და მისწრაფებებს.

პირადად მე, როგორც პროზაიკოსმა, „მნათობის“ ფურცლებზე ავიდგი ფეხი და არა მარტო ავიდგი, აქ გავიარე ერთგვარი ლიტერატურული სკოლა ურომლისოდაც, აღბათ, სხვანაირად წარიმართებოდა ჩემი მწერლური ცხოვრება.

მე მინდა ჩემი მეგობრების — ყველა ახალგაზრდა მწერლის სახელით მივეულოცო „მნათობს“ ორმოცი წლისთავი და ვუსურვო, ისევე, როგორც აქამდე, მუდამ გაეღოს კარი ახალგაზრდა მწერლებისათვის, მრავალი ფურცელი დავთმოს მათი შემოქმედებისათვის.

გისო ქლენი

ჩვენი ეროვნული მწერლობის ღირი კერა

ჟურნალ „მნათობს“ — ქართული საბჭოთა ლიტერატურის ძირითად ბეჭდვითს ორგანოს 40 წელი შეუსრულდა. ჩვენს ლიტერატურულ იუბილეებს შორის ეს იუბილე განსხვავებულად მნიშვნელოვანი, ამაღლევებული და სასიხარულოა ყოველი ჩვენთაგანისათვის — თანამედროვე ქართული მწერლობის ყოველი მოღვაწისათვის. ყველა სხვა ლიტერატურული იუბილე ერთი რომელიმე მწერლის — კლასიკოსისა თუ თანამედროვე მწერლის ღვაწლსა და დამსახურებას აღნიშნავს. „მნათობში“ კი მთელს ლიტერატურულ ეპოქას, ჩვენი დროის მთელს ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას მოიცავს. მხატვრული პერიოდის მთელს ისტორიაში, იშვიათად თუ მოიქმნება ბეჭდვითი ორგანო, რომელსაც ისეთი როლი შეესრულებინოს თავისი ეროვნული კულტურის ისტორიაში, როგორც „მნათობმა“ შეასრულა. საბჭოთა ეპოქის ქართულ მწერლობაში, ხელოვნებასა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ქართული ლიტერატურული პრესის ისტორიაში კი არ იცის ჟურნალი, რომელსაც ასე ხანგრძლივად ეარსებოს, როგორც „მნათობი“ არსებობს, მწერალთა იმდენი თაობა გამოეყვანოს ლიტერატურულ ასპარეზზე, აღეზარდოს და შემოქმედებითად დაევაჟაკებინოს, რამდენიც „მნათობმა“ აღზარდა და დაევაჟაკა.

არსებითად — მნათობის“ ფურცლებზე აიდგა ფეხი საბჭოთა ეპოქის ქართულმა ლიტერატურამ, ამ ჟურნალში შემუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიცია. მასში დაიბეჭდა ლიტერატურული შემოქმედების ყოველი ჟანრის ყველა საუკეთესო

ნაწარმოები, რომლებიც თანამედროვე ქართული მწერლობის სიმდიდრესა და მშვენიერებას შეადგენს და რომლებითაც კანონიერად ამაყობს ჩვენი დღევანდელი მწერლობა თავისი ხალხისა და მთელი ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე.

ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების უაღრესად რთულს ვითარებაში აღმოცენდა ქურნალი „მნათობი“. ეს იყო საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველი წლები, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავე კლასობრივი ბრძოლები მიმდინარეობდა და ამ ნიადაგზე ლიტერატურული ცხოვრებაც მძაფრი სოციალური დიფერენციაციით, შეურიგებელი იდეოლოგიური წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. მწერლობის სასიცოცხლო ძალები ურთიერთ მოწინააღმდეგე ბანაკებად იყო დანაწილებული. განცალკევებულ სამწერლო მიმდინარეობათა თუ დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლა შეადგენდა ლიტერატურული პროცესის ძირითად შინაარსს. ასეთ ვითარებაში „მნათობმა“ თავისი პირველივე ნომრებით იწყო ყველა იმდროინდელი ლიტერატურულ გაერთიანებათა საუკეთესო ძალების შემოკრება, მათი ჩაბმა ერთობლივს შემოქმედებითს ატმოსფეროში. მათი თანდათანობითი დაახლოება რევოლუციური თანამედროვეობის თემატიკასთან, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკასთან, სოციალისტური ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპებთან.

იწყებოდა ახალი ეპოქა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში. ამ პერიოდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციამდელი სამწერლო ინტელიგენციის საუკეთესო ძალების გადმოსვლას გამარჯვებულ საბჭოთა ხალხის იდეურ პოზიციებზე, მათს შემოქმედებითს თანამშრომლობას ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსთან. „მნათობმა“ პირველმა გაუსხნა ფართო გზა ამ მიმართულებით მწერალთა რევოლუციამდელი თაობის გამოჩენილ წარმომადგენლებს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ ქურნალის პირველსავე ნომრებში გამოქვეყნდა ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ის ნაწარმოებნი, რომლებიც მოასწავებდნენ ახალი პერიოდის დასაწყისს პოეტის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში და ამავე დროს ჩვენი ეპოქის სულთან თანხმოვანი ქართული საბჭოთა პოეზიის აღმოცენებას. აქვე უნდა გავიხსენოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაც, რომ სწორედ „მნათობის“ რედაქციის აქტიური ინიციატივით დაუბრუნდა ლიტერატურულ მოღვაწეობას ჩვენი დროის დიდი პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი. უკვე მაშინ მხატვრული სიტყვის ოსტატთა უფროსი თაობის ასეთმა შემოქმედებებმა გარდაქმნა და განახლება მასობრივი ხასიათი მიიღო, და „მნათობი“ ფართო გასაქანს აძლევდა ყოველი მათგანის მისწრაფებას ამ მიმართულებით, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ამ ჰემშირიტად ისტორიული მნიშვნელობის ლიტერატურულ პროცესს.

მაგრამ ამ პერიოდისათვის ჩვენი მწერლობის უმთავრესი ამოცანა მაინც ხალხის წიაღიდან გამოსული ახალი შემოქმედებითი ძალების გამოვლენა, აღზრდა და დაწინაურება იყო. „მნათობის“ როლი და მნიშვნელობა ამ მხრივ ნამდვილად განუზომელი იყო. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ყველა ქართველმა მწერალმა, რომელმაც ოციან წლებში ახალი საქართველოს აღმოცენება-დამკვიდრების პირველ წლებში დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება, „მნათობის“ ფურცლებზე მიიღო პირველი წრთობა და ამ ქურნალის მეშვეობით მიიხვეჭა სახალხო აღიარება.

დაუვიწყრად მახსოვს, როგორი მღელვარებით და ცხოველი ინტერესით მოველოდი თ ხოლმე ოციან წლებში „მნათობის“ ყოველი ახალი ნომერის გამოსვლას, რა სიხარული და ბედნიერება იყო ყოველი ჩვენგანისათვის „მნათობში“ თანამშრომლობა. პირადად ჩემთვის, ჩემი ლიტერატურული ბიოგრაფიის ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღე იყო ის დღე, როდესაც „მნათობის“ რედაქტორმა, შესანიშნავმა ბოლშევიკმა ლიტერატორმა ვალია ბახტაძემ დამიბარა თავის ბინაზე და 21 წლის ახალგაზრდას, უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტს, შემომთავაზა დამეწერა „მნათობისათვის“ 1924 წლის ქართული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა. ჩემი ეს სამომხილვო წერილი დაიბეჭდა 1925 წლის „მნათობის“ პირველსა და მეორე ნომრებში. ეს იყო ჩემი ლიტერატურული ცხოვრების ნამდვილი დასაწყისი, თუმცა ლიტერატურულ მუშაობას ბავშვობის წლებიდან ვეწეოდი და ემონაწილეობდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ჩემი პირადი მაგალითი ამ შემთხვევაში გამოჩაჩვენა არ შეადგენს. ასევე დიდი და მე ვიტყვოდი გადამწყვეტი იყო „მნათობის“ წამახალისებელი როლი ყოველი ჩვენთაგანისათვის, ლიტერატურულ სარბიელზე საბჭოთა ეპოქაში გამოსული ყოველი მწერლისათვის. „მნათობს“ ასეთი დამრავმელი, შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის აღფრთოვანებული როლი არაკეთუ არ შენელებულა ქართულ საბჭოთა მწერლობის ისტორიის მომდევნო პერიოდებში, არამედ სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ღრმავდებოდა, ფართოვდებოდა.

„მნათობი“ იყო და არის კომუნისტური პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის, სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის პრინციპების თანმიმდევრული დამცველი და განმახორციელებელი ქართულ ლიტერატურაში.

ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ჩვენი ეპოქის ქართული კულტურის იმ მოღვაწეთაგან, რომელთაც სხვადასხვა დროს დიდი შრომა და ენერჯია შეაღიეს „მნათობს“, როგორც მისმა რედაქტორებმა, მისმა სარედაქციო მუშაკებმა, რედკოლეგიის წევრებმა, თუ თანამშრომლებმა, მე მინდა ახლა განსაკუთრებული მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით მოვიხსენიო — რამდენიმე მათგანი: ძველი ბოლშევიკი არტემ კვირიკაძე, რომელიც „მნათობის“ პირველი რედაქტორი იყო, ფრიად ნიჭიერი და ენერჯიული კომუნისტი-ლიტერატორი ვალ. ბახტაძე, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის „მნათობის“ საუკეთესო ტრადიციების გამომუშავებაში, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ყურულაშვილი და ჩვენი მარად დაუფიქსარი მეგობარი, ბრწყინვალე მწერალი და ლიტერატურისმცოდნე ლევან ასათიანი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ჟურნალს.

„მნათობის“ არსებობის 40 წლისთავის საიუბილეო დღეებში მე დიდის მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით ვიხსენებ ამ შესანიშნავ ჟურნალის მიერ განვიღო სახელოვან გზას და ვუსურვებ ჩვენი ეროვნული მწერლობის ამ დიდ კერას, კვლავაც ისეთივე ძვირფასი წვლილი შეეტანოს ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრებაში, ხალხის იდეური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის დიად საქმეში.

დე მარად შექსავსედ ბრწყინავდეს „მნათობი“ ჩვენი ეროვნული კულტურის კაბადონზე.

ლევან ასათიანი

კულტურის მატრიანი

ჟურნალი „მნათობი“ წელთა მანძილზე ქართული ხალხის კულტურის მატრიანედ იქცა. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები განსაკუთრებით პროზაული, ჟურნალ მნათობში იბეჭდებოდა. საქართველოში არ ყოფილა არცერთი მუშაკი კულტურისა, ამ ჟურნალში რომ არ ეთანამშრომლა. არცერთ



ქურნალს ჩვენს ქვეყანაში იმდენი ხანი არ უცოცხლია, რამდენიც მწიფობდა იცოცხლა და კიდევ იცოცხლებს. დღევანდელ დღესავით მახსოვს ეს დღე, როცა მეზნებარე ვალია ბახტაძე ამ ქურნალს აარსებდა. ეს შესანიშნავი რევოლუციონერი, კრიტიკოსი და ადამიანი ამ ქურნალსა და მის თანამშრომლებს თავს მზრუნველობით დასტრიალებდა. განსაკუთრებულ მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო მისი ზრუნვა ჩემდამი. ჩემი „სანავარდო“ ხომ ამ ქურნალის უპირველეს ნომერში იყო მოთავსებული და უნდა ვთქვა, რომ ამით დიდად ვამაყობ. ვამაყობ, რომ ამ ქურნალის ერთი პირველი თანამშრომელთაგანი მე ვიყავი. ლიტერატურული ახალგაზრდობის უდიდესი ორგანიზატორი „მნათობი“ იყო. და ალბათ, იმიტომ ატარებდა ეს ქურნალი მებრძოლ ხასიათს. საბჭოთა ინტელიგენციის სამშვედლოდ „მნათობის“ რედაქცია იქცა და მის ჩამოყალიბებაში ამ ქურნალმა დიდი როლი ითამაშა.

და ვისაც უნდა ახალი ქართული საბჭოთა ინტელიგენციის როლი მის ისტორიულ ასპექტში დაინახოს, მასალად მას ეს ქურნალიც ეყოფა. როგორც ვთქვი, ის მართლაც მატანეა ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრებისა.

პირილ ძამაშვილი

რუსთავის საბრძოლველ სამშრომლო უფროსი ოსტატი.

რას ვუსურვებ „მნათობს“

მე ვარ „მნათობის“ მკითხველი, როცა კი საშუალება მომეცემა, დასვენების დღეებში სიამოვნებით ვათვალიერებ ქურნალის ახალ ნომერს და ყოველთვის ვპოულობ მის ფურცლებზე ნაწარმოებს, რომელსაც ინტერესით ვკითხულობ. განსაკუთრებით მომწონს ის რომანები და მოთხრობები, რომლებიც ცოცხლად წარმოგვიდგენს ჩვენი ხალხის დღევანდელ სინამდვილეს, მუშის და კოლმეურნის, მასწავლებლის და სტუდენტის, აგრონომის და ინჟინრის, ერთი სიტყვით, ყველა პროფესიის ადამიანის შრომას, ყოფა-ცხოვრებას, ინტერესებს, ფიქრებს და განცდებს. ამ ნაწარმოებთა გმირებს შორის მე ვპოულობ პირებს, რომლისდაგვარი მეც შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში. ვამაყობილებით ვეცნობი აგრეთვე ქურნალში მოთავსებულ თარგმნილ მოთხრობებს, რომლებიც ჩემს თვალწინ აცოცხლებს ჩემთვის უცხო შორეულ ადამიანებს, ასეთი ნაწარმოებები ავსებს და აფართოებს ჩემს წარმოდგენას იმაზე, თუ რა ხდება ჩვენი რესპუბლიკის გარეთ. მომე და ჩვენგან დაშორებული ხალხების ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მაინც მე მაინტერესებს, თუ რას წერენ ჩვენი ქართველი მწერლები ჩემს ქალაქზე, საქართველოს ახალ სოციალისტურ ქალაქზე, მეტალურგიის და ქიმიის ქართულ ქალაქზე — რუსთავეზე. მე ვიცი, რომ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მხატვრული ნარკვევები, მოთხრობები, რომანები, სადაც მეტნაკლები სიმართლით და სიღრმით არის ასახული მეტალურგიის გიგანტის მშენებლობა, ამ ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომა და ცხოვრება, მაგრამ ის, რაც დაიწერა რუსთავეზე, ალბათ, უკვე აღარ აკმაყოფილებს მკითხველს, მით უფრო, რუსთავეში მცხოვრებ მკითხველს, რადგან ყველაფერი ის, რაც ჩვენს ქალაქზე დაიწერა და გამოქვეყნდა, ეხება მის შორეულ და ახლო წარსულს. დღევანდელი რუსთავეი ახალი კომუნისტური შრომის ადამიანებით, მისი სამეურნეო-კულტურული ცხოვრებით, მისი ახალი ყოფით, ქალაქი, რომლის პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის მრავალ ადგილას, სახალხო დემოკრატიის რესპუბლი-

კებში და კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჯერ კიდევ არ არის მოქცეული ქართველი მწერალთა უფრადღების ცენტრში. ეს მაშინ, როცა იშვიათად თუ ჯერს ხედავთ ქველში რომელიმე ახალი ქალაქი, რომელიც იძლეოდეს იმდენ მასალას, ნამდვილი მხატვრული წიგნის დასაწერად, რამდენსაც იძლევა დიდი მეტალურგიის და დიდი ქიმიის ქალაქი — ახალი რუსთავი. მე ვიცი, რომ ამ ორმოცი წლის მანძილზე „მნათობში“ გამოქვეყნებული იყო ბევრი დიდებული ნაწარმოები. ისინი ცალკე წიგნებად გამოცემული ახლა შეადგენენ შესანიშნავ ბიბლიოთეკას, რომელსაც მხურვალედ ეწაფება ახალგაზრდობა და ყველა ასაკის მკითხველი. მე ვისურვებ, რომ „მნათობის“ ფურცლებზე ახლო მომავალში და შემდეგაც დაბეჭდილი ყოფილიყოს ჩემი ქალაქის მუშათა კლასის გმირული შრომისა და ცხოვრების ამსახველი ისეთი წარმტაცი ნაწარმოებები, რომლებიც გაუტოლდებიან ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს და დაიჭერენ თავის ღირსეულ ადგილს მათ გვერდით.

საკბი ჭიანიძე

სახელგანი 40 წელი

ჟურნალი „მნათობის“ 40 წელი ქართული საბჭოთა მწერლობის ცოცხალი, მომქმედი ისტორიაა, ამავე დროს ჩვენი მწერლობის მიერ განვლილი მღვდვარე და რთული გზის მატინაეც. ქართული საბჭოთა მწერლობა და „მნათობი“ თითქმის ტოლები არიან. და რაც რამ დაწერილა ჩვენში საუკეთესო და საამაყო, „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილა. „მნათობის“ მეშვეობით გავიცანით და შევიყვარეთ ჩვენ ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებები და ამ ნაწარმოებთა გმირები. ამ ჟურნალის მეშვეობით გავიცანით ჩვენ ახალი საბჭოთა საქართველოს მშენებელ იმ ადამიანებს, რომელთა რომანტიკული ხასიათი ძლიერად აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში. ქართული მწერლობის დიდი სიხარულიც ამ ჟურნალისაგან მიგვიღია და გულსტივილიცა და გაწილებაც მისგან გვრგებია, ხოლო ვინც ჟურნალ „მნათობის“ განვიღო გზას გონების თვალთ დააკვირდება, იგი ადვილად აღმოაჩენს, რომ „მნათობს“ იგივე როლი შეუსრულებია ქართული საბჭოთა მწერლობის შექმნისა და განვითარების საქმეში, რაც მე-19 საუკუნის რუსეთში „სოფრემენიკმა“, ან საქართველოში ილიას „საქართველოს მოამბემ“ შეასრულა.

ჟურნალი „მნათობის“ პირველი ნომერი 1924 წლის თებერვალს დაიბეჭდა. ამ დროს საკმაოდ ჭრელი იყო საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება. მძაფრი იდეური ბრძოლა წარმოებდა იდეოლოგიურ ფრონტზე, სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი და მიმდინარეობანი ებრძოდნენ ერთმანეთს. ამის კვალობაზე რამდენიმე პატარა მოცულობის ჟურნალი და ვაზეთი გამოდიოდა. ბევრი იმათგანი უპერსპექტივო აღმოჩნდა. ზოგი მათგანის მხოლოდ ერთი და ორი ნომერი გამოვიდა. პირველი სერიოზული საბჭოთა ჟურნალი, რომელმაც გადაამწყვეტი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჟურნალი „მნათობი“ იყო. ეს ჟურნალი თავის პირველივე ნომრის მეთაურ სტატიამში წერდა:

„დღემდე ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალი „მნათობის“ მიზანია შეავსოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი. „მნათობი“, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული-ლიტერატურული ჟურნალია. ის ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყველა საუკეთესო მწერლების



მხატვრულ ნაწარმოებებს; ის მისცემს ფართო გასაქანს ჩვენს ლიტერატურულ ძალებს.

„მნათობი“ თავის მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს შეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს გააფორმონ თავიანთი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ მუშებს და გლეხებს შეცნიერული და მარქსისტული ცოდნა.

ამრიგად ჩვენი ჟურნალის მიზანი ვიწრო ფარგლებით არ შემოიხაზება. იმ მწერლებსათვის, რომელთაც კი აქვთ რაიმე მიღწევები ხელოვნებაში და შეცნიერებაში, ღია იქნება ჩვენი ჟურნალის „მნათობის“ კარები“.

ჟურნალი „მნათობი“ მტკიცედ ასრულებდა ამ დაპირებას და ეწეოდა დიდ ორგანიზაციულ და შემოქმედებით მუშაობას, წარმართავდა ქართული საბჭოთა მწერლობის რთული და ძნელი ლიტერატურული ცხოვრების პროცესს. და ჩვენი თაობის კაცი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას დიდი ინტერესით მოელოდა და ასეთივე ინტერესით კითხულობდა მის ყოველ ახალ ნომერს. ჩვენმა ჟურნალმა რამდენიმე თაობა გამოზარდა, რამდენიმე ნიჭიერმა ახალმა მწერალმა აიღვა ფეხი მის ფურცლებზე, ქართველი მწერალი არასოდეს დაივიწყებს ჟურნალის დიდ მადლს, მის მიერ გამოწვედილ დახმარების ხელს.

40 წელია ჟურნალი „მნათობი“ მიუძღვის ქართულ მწერლობას, ჩააგონებს, ეძახის, რაზმავს, ამხნევებს და აქეზებს მას, და ჩვენც ამ ჟურნალით მოგვაქვს თავი. მართალია, ამ 40 წლის მანძილზე საქართველოში „მნათობის“ შემდეგ სხვა ჟურნალებიც გამოიცა, ჩვენ ყველა ეს ჟურნალი და გაზეთი გვიყვარს, მაგრამ „მნათობი“ მაინც სხვაა. ქართული საბჭოთა მწერლობის დიდი რომანტიკა, დიდი სიხარული და დიდი პატრიოტიზმი უთუოდ „მნათობის“ სახელს უკავშირდება. ამიტომ განსაკუთრებით გვიყვარს ჩვენი ჟურნალი „მნათობი“.

გვი არ არის, ჩვენი „მნათობი“ კვლავ იქნება ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის თანაშემწე, ქართული საბჭოთა მწერლობის წინამძღოლი და მეთაური.

უჩა ჯაფარიძე
სახალხო მხატვარი

„მნათობი“ გულისხმიერებას იჩენდა ქართულ სახვითი ხელოვნებისადმი

ჟურნალმა „მნათობმა“ თავის არსებობის ორმოცი წლის მანძილზე დაიმსახურა მკითხველთა გულწრფელი სიყვარული და ინტერესი იმ დიდი, ფართო საზოგადოებრივი დიაპაზონით, რითაც ის ეხმაურება ჩვენი კულტურის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

ამ ორმოცი წლის მანძილზე ჟურნალი „მნათობი“ გვახარებდა ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების საუკეთესო ნაწარმოებთა გამოქვეყნებით; ამასთან ერთად ჟურნალი „მნათობი“ გულისხმიერებას იჩენდა ქართული სახვითი ხელოვნების საკითხებისადმი — პრინციპული და გეთილმოსურნე კრიტიკით ეჭმარებოდა ქართული ხელოვნების შემოქმედ ძალებს, მათ დაუღალავ მხატვრულ მოღვაწეობაში.

ვუსურვებ ჟურნალ „მნათობი“-ს მუშაკთა ნიჭიერ კოლექტივს, მის სარედაქციო კოლექტივს კვლავაც ქართული საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ცხოველყოფელი გამოსატყობი, კულტურის მიღწევათა შექამებით და შეფასებით, ემსახუროს კომუნისმისიკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლედლობის საქმეს. ●

იოსებ ნონაშვილი

• • •

კვლავ ავიკიდე გუდანაბადი,
კვლავ მოგზაურის ავიღე ჭოხი,
და, როგორც ზღაპრულ, ჯადოსნურ
ნოხით,
მღვრიე ღრუბლებში შევინავარდე.

მეუბნებიან: დაოკდი, დაცხრი,
გეყო ამდენი დუღილი, ღელვა,
ვერ გადასწვდები სამყაროს ელვად,
მიწაზე ბეუტავს ცხოვრება კაცის.

მაგრამ სხვა არის სივრცესთან
შებმის,
თავდავიწყების სურვილი წმინდა,
როცა გრიგალებს შეება გინდა,
როცა შიგ სულშიც მძლავრობენ
ფრთები;

როცა გაწუხებს „აღბათ“ და
„იქნება“,
შეუცნობელის შეცნობის უინი,
როცა ყურს უგდებ, ვით სირთა
ევივლს,
გულში წამოშლილ იქვეებს და
ფიქრებს;

როცა ძირს ძლივსღა მოსჩანან
მთები,
მთები სიმაღლით ნაქებნი ასე,
როცა იანვრის სუსხიან ცაზე,
ვით ნალვერდალზე, ვარსკვლავზე
თბები;

როცა მაღლიდან ზღვა მოსჩანს
მშვიდი,
ქვეყანაც თითქოს ბოღმით არ
ღელავს,
როცა შენს ფეხქვეშ თვით
ცისარტყელა
ირწევა ისე, ვით ბონდის ხიდი.

რადგან მოძრაობს სამყარო მთელი,
რადგან სიცოცხლე, ცხოვრება
კაცთა
ამ მფრინავ ბურთზე — მიწაზე
განდა,
სელა... ცურვა... ფრენა ხვედრია
ჩვენი.

მაშ, ნუ დაფარავს ხაესი ამ ხალისს,
ნუშეც მოედება ოცნებას ბოლო.
ცხოვრება ჩვენი გზა არის მხოლოდ,
ცხოვრება ჩვენი — იმედი ხვალის.

მაშ, ნუ ექნება საზღვარი სურვილს,
ნუ დაცხრებიან გაშლილი ფრთები,
ნუ დავიღლებით! ნუ დავიღლებით!
ნუ მოგვერევა რინდი და რული.

...რად დამებედა უცნაურ ბედად
გზები, ღრუბლები, ძებნა, ძიება.
ფრთებო... აფრებო... მთებო...
მთიებო...

სალამი თქვენდა!
სალამი თქვენდა!

დავან გოთა

ღმკვი ღმისა

VI

ნათომ კიდეე მიილო ამანათი კორტა-
ნეთიდან ისეე შავ-თეთრა ციყვების
ბეწვეული იყო, ამჭერად უკეთ გამოყ-
ვანილი და დამუშავებული. თანაც, წე-
რილის მაგიერ, მანქანაზე დაბეჭდილი
ამონაწერი ჰქონდა დართული.

„ტელეუტის ციყვი. მღრღნელთაგა-
ნი. ცხოვრობს შორეულ აღმოსავლეთსა
და ჩრდილოეთში, ალტაისა და ტელე-
უტზე, საიდანაც მიილო სახელწოდება.
აქვს კარგი შავ-თეთრა ბეწვი. არის
ცდები მისი გადაყვანისა და გამრავლე-
ბისა სხვა ქვეყნებში. ფრიად იგვარა
კავკასიონზე და საქართველოს სხვა კუ-
თხეებში“.

ხელს არავინ არ აწერდა. გამომგზავ-
ნის მისამართი კვლავ გაურკვეველი
იყო.

— ისეე ჩემი „უჩინმაჩინი“! — ხელე-
ბი შეპყარა ქალიშვილმა და ნაამებად
მოეფერა ბეწვეულს. ამჭერად მისი სირ-
ბილე და შეფერხამება მოეწონა. სარ-
კესთან დიდხანს იფერა და იზმანა. ახა-
ლთარგა კაბას ხან საყელოდ, ხან ჭობად
უსადაგა და უპირკეთა.

მხატვრულ ნიჭთან და განვითარებულ
გემოვნებასთან ერთად, ნათიას ერთი
ახალი „ნიჭი“ აღმოაჩნდა — შესანიშ-
ნავი ტანადობა. ატელიეში თავისი ეს-
კიზებით დათარგულ და შეკერილ კა-
ბებს თავადვე იცვამდა და სალონის დი-
ლა-სალამოს გამოფენაზე სარეკლამოდ
გამოჰქონდა.

ჭერ მეტად ეუხერხულებოდა, მერმე
შეეჩვია და შეიფერა. ფრიად მოსწონ-

დათ კიდეეც. მის სეანსებს უტყუარი
წარმატება ჰქონდა.

ქალიშვილი მულამ ორმაგ გრძნობაში
იყო ჩაბნეული. ეს მისი თუ მისი კაბის
წარმატება იყო? მართალია კაბებიც მი-
სი შეთხზული იყო, მაგრამ ისინი სხე-
ულს უფარავდნენ... ამის იქით კი ნა-
თიას ცოცხალი და ბობოქარი სულიც
გააჩნდა. არა, ეს იქვიანობა კი არ იყო
თავისი კაბების მიმართ, არამედ მოუშ-
თავრებელი და დაუქმყოფილებელი
გრძნობა ხელოვანისა, რომელსაც საბო-
ლოდ ხელში არაფერი რჩებოდა გარ-
და ჰინჭებისა. მან კი, ქალად ქალმა,
შესანიშნავად იცოდა, რომ არაფერი
ისე სწრაფად არ ძველდება ცხოვრება-
ში, როგორც გაზეთები და ჰინჭები!

სალონში მოსიარულე, მოდის მიმდე-
ვარმა ვაყებმა, მას საგანგებო სახელიც
კი შეარქვეს — „ახალკოწილა“. მაინც
როდესაც შავთეთრა ციყვების ბეწვით
ჭობაშეკრული კაბა შეთხზა და, რო-
გორც ერთ-ერთმა სალონის ღმმმა აღ-
ნიშნა, თავის თავთან ერთად ულტრა-
მოხდენილად გამოაფინა.

მალე ქალებს შორისაც „თიასეულ
კაბებს“ სახელი გაუფარდათ და დიდი
გასავალიც ჰქონდათ.

ახალეშხა, ამოსხებილშარველიანები,
ფერმყვირალა, ოდნავ ფამფე ზედსაც-
მელიანი, აბსტრაქტულ ყელსაბამიანი
და ყელსახვევიანი ვაყებიც მოუმრავ-
ლდა სალონს.

თიას ბლომად გაუჩნდნენ თავმაბეზა-
რა თავყანისმცემლები. მისი კაბები
თანდათან დაემსგავსა ვაყებისათვის
რნელით მსუბუქად დაფარულ და
ქიამიას ფრენას. კაბების უხერხულ

* ვაგრძელბა. იხ. „მნათობი“ № 1.

2. „მნათობი“ № 2.



ლობას გრძნობდა... ქიამიას ფრენა ახლა პეპელას პარპაშად არ გადაქცეოდა. მაგრამ საამომ და მსუბუქმა მალევე მალე იცის შეჩვევა და შეგულტბილება. არაფერი ისე არ ვნებს ახალგაზრდა ნიქს, როგორც პირველი, ნაადრევი, ადვილი წარმატება.

... და მართლაც „ახალკომწია“ სალონის გაფართოებულ გამოფენაზე, ახალმოდურ სამოსში გამოწყობილ, უძრავად მდგარ მანეკენებს შორის რომ გამოჩნდებოდა და მოხდენილად სიცოცხლეს შეიტანდა, თავადაც ხალისობდა და დარბაზში თავმოყრილ ხალხსაც თვალს სტაცებდა.

ხმას არ გაიღებდა, მაგრამ თავშეფერებულ სალამსა და ღიმილს კი უხვად აფრქვევდა. ყოველ მიხვრა-მოხვრაში ბუნებრივი კდემამოსილება და კრძალვა გამოსჰქვივოდა, მაგრამ ოდნავი კეკლუცობა მაინც თავისთავად ეძალეზობდა. ხან ქოლგით გამოსვლა უწყევდა, „მზისაგან“ თუ „წვიმისაგან“ თავის ამოწყებულ ტანსა და კაბას მართლაც კომწიად „იფარავდა“. ან „სიცხეში“ ზომიერად მოჭრილ დეკოლტეს ჩინურ მარათი იზორიებდა და ამით სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გულისპირსაც და სახელოსაც ხაზს უსვამდა. ყოველი ჰქცევა კარგი გემოვნებითა და ტაქტით ჰქონდა დახვეწილი, მაგრამ შეუცნობ, გამომწვევ იერს მაინც, აბა, სად წაუვიდოდა.

იგი ყველაფერს ამას „მუნჯ მხატვრობად“, „ცოცხალ შემოქმედებად“ სთვლიდა. თავს კი „საზოგადოების საერთო კულტურისა და კარგი პირადი გემოვნების განვითარების“ მოღვაწედ რაცხდა. აქ, რა თქმა უნდა, სიმართლეც იყო, მაგრამ ნათო-ნათია, სადღაც, გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ არც ეს არის მისი „საბოლოო მოწოდება“... რაღაც კიდევ უნდა „გამომწიფდეს“ მის გრძნობასა და შეგნებაში. ჯერ კი, გარეგნულად უდარდელად „კუყუპალობდა“ ქათინაურებსა და წარმატებებში.

...მაგრამ ერთ კვირას, დიდი სალონის

დღეს, კვლავ წამოეძალა უხერხულობა. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ნამსქი არა სად ძველკობურა, გრძნობდა ტყეფერი და სად ახალმოდების სალონი?

გამოფენის შემალღებულ არეზე ხალხის წინაშე რომ გამოვიდა, სალონის დარბაზში, შორიახლოს, გაგა ახობაძე შენიშნა. ჯერ იგრძნო, დიან იგრძნო, ვილაყის მწვავედ მსუსხავი და მოაღერსე... დიან — გამკილაღი და მოფერებული მზერა. თავადაც მოპარულად მოათვალიერა დარბაზი და გაგა შენიშნა. იგი სვეტს ამოსდგომოდა, დიდი და უხერხული, გაუბედავად და მაინც აღფრთოვანებით შეკყურებდა მას. მაგრამ ქალმა ისიც იგრძნო, რომ ვაყის გამოხედვაში მკაცრი საყვედური და სინანულიც იყო... აი ისეთი, საყვარელ ბავშვს რომ საძრახის საქციელში გამოიქურენ... არა, სულ ასე არა, მაგრამ მამაც, ალბათ, დაახლოვებით ასე შემოჰხედავდა!

ქალმა, თუმცა არ შეიფერა, მაგრამ საქციელი ოდნავ მაინც შეუფერხდა. შინაგანად ჩამორცხვებული თავისუფლება მყისვე შემოაქლდა და შემოეფარგლა. არა, მყურებლუმს ალბათ არც არაფერი შეუშინევიათ, მათ შორის არც გაგას... ამ ტყიურს სად აქვს ასეთი გამჭირახი თვალი და გუმანი... თავადაც მობუზულა, დაბნეულა.. ტყეში შეიძლება არ იქარგება, აქ კი, ამ სალონში ნამდვილად დაქარგული ჩანს! მაგრამ თავად ქალიშვილმა ხომ იცის თავის დაბნევა-ცა და მისი მიზეზიც! მერმე რა, რომ იცის? საძრახისი და სასაყვედურო არაფერი არა სჭირს! და საერთოდ — ყველაფერს — ყველა სხვადასხვანაირად უმზერს და განიცდის! რამდენი სხვადასხვა თვალთახილვა და გამოხედვაა ჰქეყანაზე! ვიდრე ადამიანი ლაპარაკს ისწავლიდა, ალბათ, თვალით „მეტყველებდა“, ისე, როგორც ცხოველი. ადამიანმა ლაპარაკი ისწავლა, თორემ ბევრი მათგანი ისევ ცხოველად დარჩა.. არა, გაგაზე არ ამბობს... აი, იმ ზედმეტად ტანმოსხლეტილ და ბეწიანად გამოწყობილ ახალგაზრდაზე...

თიას ყოველ მობრუნება-გამოხედვაზე ვიწროფარფლიან ქუდს გადამეტებულ მოწიწებით რომ უხდის. მას აღფრთოვანების გარდა უტიფრული, ცხადად მრუში გამოხედვაც აქვს. თითქოს წელის ღილებს უხსნის.

იმასაც, სტილმკაფიო ოდნავ ფეხებმრუდე ვაჟსაც... ბედმოცარულ მტაცებლის იერი რომ გადაჰკრავს. მხატვრის ვაბა-ჭობა სულ არ აინტერესებს, თითქოს სულ „უიმიისოდ“ ხედავს მას, დიას, შეურაცხყოფელად აშიშვლებს.

ერთიც არის სწორედ სასაცილო, თითქოს არც უწნო, მაგრამ როგორღაც სახედაქლესილი, გადამეტებულად „ახალმოდურებიანი“. მხარ-იღლებში ყინჩად მოფოლხვილი, ცალ ღილზე შეკრული, ჩაქებმორგვალებული პიჯაკი. წვივებზე სულ შემოტკეცილი შალვარი და ჰეინტმახვილა „მოკასინა“ ფეხსაცმელები. ციმფია კატასავით მოქმედებულად რომ უმზერს და ოდნავ ჩაელმებულ თვალებს ურცხვად რომ უპაჰუნებს.

ხალხი ბლომად მოსულა. მარტოხელანი, წყვილები, ზოგი კი ოჯახურადაც... კობტა, კეთილშეკერილი და ტანზე გაწყობილი სამოსი ყველას მართებულად ეხალისება. მაგრამ ნათია გრძნობდა, რომ აქ მოსულთ, არა მართო და არა ყველას კარგი გემოვნება და ლამაზად ჩაცმის მოთხოვნილება ამოძრავებდათ, არამედ სხვა, დაბალი გრძნობები. ზოგს შეეცნობილად და უშეგარად, ზოგს შეეცნობილად...

მაგრამ ეს „გემოვნების წინსვლის ზედნადები ხარჯებია და რა გავწყობა“ მას ხომ „არავითარი, არც საერთო და არც კერძო ანგარება, თუ სხვა საუკნიახო ზრახვები“ არ გააჩნია. და „ზოგ რამეზე, ჩანს, თვალი უნდა დახუჭოს მოწოდების ადამიანმა!“

თანდათან ნათიას ყურადღება მბრუნავ მანეკენებითა და „იმ სამი ახალგაზრდა ვაჟით“ შემოიფარგლა. არა, თავს იტყუებებს — ოთხით! ის მეოთხე აქ — სულ არაფერ ბაიბურშია! აი, როგორც სვეტი, რომლის უკანაც ცდი-

ლობს დაფარვას... მაგრამ რალაც მიმზიდველი ძალა მინც აქვს! აქვს! არც ჩაცმა იცის, არც მხარე უსთერტურო მნიშვნელობა... მას სამოსი მხოლოდ ტანის სიშისვლის დასაფარავი ჰგონია! მან რა იცის რომ ზოგი სწორედ ჩაცმით „შიშვლდება“! თავის სულიერ სიღატაკეს ამეღვენებს.. აბა, დამიხედეთ მის ადამის ეამის, ცრუმზრებიან მაქინტოშს დიდი სიციხე დასდგომია სალონში, სულ გაუხსნია, მოფარვაზე შარვალიც უჩანს და კლასიკური „საგორსალო“, ვეება დრუნჩიანი ფეხსაცმელებიც! ასე შემოპბედა ამ „სიხლის ტაძარში“!... „ნეტავ მართლა რამ მოიყვანა“? მოსვლის მიზეზი ვიცი, მაგრამ მინც არ გავცემ ხმას! აქ მინც როგორ გაბედა მოსვლა? ახლა მაგანაც დაიწყო უტიფრობა? ესლა მაკლია!“

შემალღებულ არეზე მოხდენილად მიმოდრიოდა და თან ფიქრობდა: „ნუთუ მაგასაც, სვეტთან მდგომსაც, აქვს თავისი სიმართლე“?... და თავადვე პასუხს აძლევდა...

„ტყუილის კაცი არაა და ალბათ მოძველებული სიმართლის ახალგაზრდაა!“ მაგრამ შეიძლება კია სიმართლის მოძველება?“

„შეიძლება!“ — თავადვე უპასუხებდა, „ნამდვილად შეიძლება! თუმცა უფრო მართებული იქნება ასე გამოვთქვათ — მძლავრი, მოქმედი სიმართლე და მცირე, უმოქმედო... მოძველებული!... ან კი რა მნიშვნელობა აქვს იმ სიმართლეს, თუ კი მას მიმდევრები არ გააჩნია?“

„აქვს მნიშვნელობა! აქვს! ან კი რა სიმართლის განსასჯელი ადგილია მოდების სალონი?“ — ნათია თავისდაუნებურად სვეტისაკენ იხედებოდა, თითქოს იქიდან მოდიოდა პასუხი. თადარიგიანად იხედებოდა, რომ არავის არაფერი არ ეგრძნო... თავად კი ყველაფერს ამჩნევდა და თანაც ყელმოღვრებულად, ოდნავ ხელგაშლილად... არა მოძველებულ ნარზარ რონინით, არამედ ტანმსუბუქ და ახალკოწიურ ლტოლვა-სიარულით მიმოდრიოდა სა-

ლონის მბრუნავ სცენაზე, შემოსილ მანეკენებს შორის და თავის „მუნჯად გაშეშებულ“ კოლეგებს, ხან ქუდზე დაადებდა ხელს, ხან საყელოზე... ხან ხელთათმანებს გაუსინჯავდა, ხან ყელსაბამს. დღეს იგი, ცოცხალი და წარმტაცი, მამაკაც-მანეკენებს თითქოს უფრო არჩევდა და რასაც დააკარა ხელი, ყველაფერი უმალ გაიყიდა... რომ დააკვირდა, მიხვდა — ის „ახალმონა სამეული“ ყიდულობდა მის „ხელდადებულს“... არ გაიყიდა მხოლოდ სანადირო სამოსი, რომელსაც სულ სხვის გულისათვის დაადო ხელი. მაგრამ „იმ სხვამ“ სულ არაფერი არ იყიდა. პირიქით, სულ აეთვარა სვეტს.

„ალბათ სალონში სულ დაიბნა, ტყუილი!“ — ეღიშებოდა ნათიას და სადღაც წყინდა — „ხმას კი არ გავცემ! დასაზავებლად მოსვლა არც აქ იყო საჭირო და არც ასე!“

სენასი კი მთავრდებოდა. მანეკენებმა მიანელეს ბრუნვა, ბოლოს სულ გახედნენ. ნათელა კიბეზე ჩამოდგა. ხალხი ტაშს უკრავდა, ეს სულ ახალი ამბავი იყო სალონისათვის.

გულშეტოკებულ ქალს კიბის ბოლოში უეცრად „ახალმონა სამეული“ გადაეღობა.

— თქვენი ლამაზი ხელით გავგინაწილეთ ჰალსტუქები „სალონის ულტრა ანგელოზო“!

— თქვენი ეშხით მთელ სალონს შევიძინეთ ტანლაშაზო... ა პრეტტი კომანი!

— რა თემაა — „მზეთუნახავი მანეკენებს შორის!“ „ადმირაბლ!“.

სამი ქუდი ახალეშხიან სალამით, თითქმის ერთდროულად ხელაზევებით პაერში აღიმართა, ციმფია თვალები კი მნიშვნელოვნად მიილულა.

ნათიამ ზრდილად გაუღიმა და ყელსაბამები სწრაფად ჩამოურიგა. სამივემ კისერი წაიგრძელა, „ლამაზი ხელით“ ყელზე შებმას ელოდა, მაგრამ ნათო-ნათიამ თითოეულს ყელსაბამი მხარზე გადაუდგო და გაეცალა.

ახლა ქალები შემოესივნენ და „ახალ

ესკიზური კაბა“ სულ ახლო, ხელდახელ გასინჯეს. ეს იყო ყველაზე უმძიმე წუთი იმ საამო სენასისა... იტანდა ხელის შეხებას. არც თვითონ იცოდა სხვისი, თუნდაც ქალის ხელშინაური მოფერება.

სალონში უკვე დიდი ქალი ჩააქრეს. მანეკენები ახლა საფრთხობელა ლანდებს უფრო ჰგავდნენ. მართალია მათ ახალმოდურად ეცვათ, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ ჰფარავდა მათ სიცარიელეს!

ნათიამ ისევ სვეტისაკენ გაიხვდა, მაგრამ იქ უკვე აღარავინ იყო.

ქალმა უეცარი სიცარიელე იგრძნო, თავადაც ნაჩქარევად დაეცა მარაო და თავის საფარეშოში შევიდა. ყოველდღიური სამოსი ჩაიცვა და სალონის სართული ჩაიარა. დერეფანში შემოყრილმა დირექტორმა თავაზიანი მადლობა გამოუცხადა...

— რასაც დაადეთ ხელი, თითქმის ყველაფერი გაიყიდა! ახლა ჩაწოლილი საქონელი უნდა გაგასაღებინოთ!

ქალს ხიწვად მოხვდა ეს „ჩაწოლილი საქონელი“. უნივერსალის შიდა სალაროსთან მოლარე ქალმა სარკმელში უწყისი გამოაწოდა...

— თქვენი ლამაზი ხელი მომიწერეთ გენაცვა, ჯამაგირი და ესკიზის პრემია... როგორც ყოველთვის დღესაც დიდი წარმატება გქონდა, კირიმე! სილამაზის ფასი არაფერია დედამიწაზე...

— სულიერი სილამაზისა. — დაღლილად ჩაულაპარაკა და ხელი მოუწერა.

მოლარემ ფული სხარტად ჩაუთვალა და მხოლოდ მერმე ჩასწვდა ნათიას ნათქვამს.

— სულიერი არ ვიცი და ამ მამაკაცებს ტანის სილამაზე მიინცდამაინც მეტად უყვართ! შენ კი, ჩემო კეკლუცო, სწორედ სატელევიზიო ქალი ხარ! მე შენს ადგილზე, მინისტრის მოადგილეზე ნაკლებ კაცს არც გავყვებოდი! აბა, სალაროში ჯდომა და სხვისი ფულების თვლა არის საქმე?

მოწრუბულ და დარკინულ სარკმელ-



ში მოლაპარაკეს სქელი, წითლად შეღებილი ტუჩები, თითქოს გამადიდებელ შუშაში მოუჩანდა. ტუჩებს იქით აღარც ჩანდა ქალი... და ნათიას უცრად შეეზიზლა საღებავი... მართალია იგი ფრიად ზომიერად ისევამდა, მაგრამ, როგორც თავის დროზე „იმან“ უთხრა, ნეტავ „რა სილამაზეს“ ჰმატებდა! ნათიამ ინიშნა, რომ „სვეტი“ ფიჭვებში მინი, უკან სდევს და ჰვილავს!

გასავალთან დარაჯმა შეაჩერა:

— აქ ვილაც გკითხულობდათ, „სალონის მნათობი“ ხომ არ გასულა... საქმე მაქვსო!

ქალმა მიმოიხედა. შორიახლოს, ქუჩის კუთხეში, თავმიბრუნებულად და გაბუტულად მდგარი ვაგა შენიშნა. რას არ იცნობს მის ოდნავ მოხრილ, მძლე და მღალ მხარ-ზურგს, ჯაგრა-ურჩა თმას... გრძელი, ძველმოდური წამოსასხამი კი უფრო გაბუტულად აჩენს... იქ სვეტს ეფარებოდა, აქ კი თავად დგას სვეტად...

„ნუთუ ის მკითხულობდა? სად ვაგა და სად „სალონის მნათობი?“ — მხრები შეჰკყარა ნათიამ და შორიახლოს ჩაუარა, არც კი გაჰხედა. მაინც იგრძნო, რომ „სვეტიც“ დაიძრა და გამოჰყვება. არ მოუხედავს და მაინც იცის... დამუშტული დიდი ხელები ჯიბეში უწყვიკა. ქვაფენილზე უხერხულად მილაჯებს, 45 თუ 46 ზომის ფეხსაცმელებს მიაფრატუნებს. ალბათ, დათვური ბრტყელი ტერფი აქვს... არა, კი არ სძულს, მაგრამ... სასაცილოდ არ ჰყოფნის! არც ახლა მოჰხედავს, თავის უპირატესობასა და განწყობილებას ზურგიით აგრძნობინებს.

ქუჩაში ხალხი ირეოდა. უკვე მწუხრის პირი იყო და ყველა ჩქარობდა ნათიამაც უნებლიედ ფეხი აუწყო ქუჩის მაჯისციემას და აიჩქარა.

დიდ სალუდესთან ულოდნელად, ახალგაზრდა ვაყები გადაუდგნენ, დაქინძამებული სალამი მისცეს. ქუდები ნეკებგაფარჩხულად მოუხადეს.

— ჩვენ სალონის მნათობს! ოქროს ახალგაზრდა თანატოლთა ბონ სუარ!

— ჩვენ გემოვნების მეტრს! რესპექტ!

— ახალ მოდების მხატვარსა და მბრძანებელს! ჰონორ!

სალონის წელანდელი სამეული იყო. აქ კი თავისი „ხელდადებული“ ქუდეებითა და ყელსახვევებით უფრო იცნო გუნება შეეცვალა, ეწყინა. ცივად მიესალმა და ფეხი აიჩქარა. აქ ქუჩა იყო და არა სალონი თუ სამსახური. ის რაც „ხელოვნების სამყაროში“ ბუნებრივად ეჩვენებოდა, აქ უკვე უტიფრულ ღიზვობის იერს ატარებდა.

წარბშეკრულად გაერიდა და გზა განაგრძო.

ვაყები მხრების ჩეჩვითა და ახალ კილოზე ჩალიდინებით, უკან გამოჰყვენენ.

გამზირი რომ ავლო და თავის ქუჩაზე გადაუხვია. უკან ისევ ფეხის ხმა მოესმა. ახლა უფრო აჩქარებული და ნამრავლი.

ქალს არც მოუხედავს, ყურადღება დაძაბა, მაგრამ მაინც არ შემობრუნდა... არც მაშინ, როდესაც ჩოჩქოლი რამ შეიქნა. მოკლე და ჩახშული შეძახილები. უკან, ქალის კვალზე რალაც ხდებოდა.

ნათია თავის ბინის შესავალს მიადგა. გასაღებს აღრევე დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა ბოლოს ხელჩანთა მოაგონდა და მაშინლა მიხვდა რომ მაინც ლელავდა. არ შეშინებია, მაგრამ თრთოლვამ მაინც აიტაცა. უკან კი ჩოჩქოლი მატულობდა.

კარის კლიტეს რომ მიავნო და გადააბრუნა, გასაღების ჩხაკუნთან ერთად დიდი ტლაშუნა ფეხსაცმელების ხმა სულ ახლო შემოესმა. მაგრამ ახლა როგორღაც ქულსმაგრად მოდიოდა.

იცნო და შიში სულ გაუქრა ნათიას. გულიც კი მოუვიდა. აი ახლა კი შემობრუნდება და მკაცრად ეტყვის:

„რა გნებათ ჩემგან? რატომ თავს არ დამანებებთ და თქვენს ტყის გზას არ მონახავთ?“... მერმე შეაღებს კარს და მას ცხვირიწინ მიუჯახუნებს. საკადრისიც იქნება და აბიც!

მაგრამ ვერც კარი გამოალო და ჭერც

რამის თქმა მოასწრო, ვიდრე მობრუნდებოდა, მის ფერთხით ქულები და ყელსაბამები დაეარდა. ერთს საყელოც მოჰყვა.

ქალმა კარგად იცნო, თავისი არჩეული და სამთათვის ჩამორიგებული სამკაულები.

— ეს რას ნიშნავს? მე თავად შევურჩიე სასყიდელი, შენ კი უკან წაართვი? ეს რა მტაცებელი გამოვარდნილა ტყიდან!

— აბა, რას წავერთმევდი... მაგრამ ზოგი ანაზღად შემერჩა ხელში. ზოგმაც თავად დაჰყარა და შენს კვალს გაერიდა...

— ჩემს კვალზე მაგათ რა უნდოდათ? — ახლა უფრო გაწყრა და გაკაპასდა ქალი.

— დიხაც, რა უნდოდათ? მეც ასე ვიფიქრე, მაინც მათი განზრახვა რომ გაეარკვიე... არც შენ არაფერი არ გჭირს სამაგათკვალში!

ნათია უცბათ გაწითლდა. სახე იბრუნდა.

— ეს სრულიადაც არ არის თქვენი საქმე! — მაგრამ ქალმა იგრძნო, რომ ეს პასუხი არ იყო და თუ იყო, ცუდზე ცუდი.. გამოსწორება სცადა, — მე მაგათ გემოვნებას ვუნვითარებ!

— შე კი ზრდილობასა და ზნეობას ვასწავლი! — ხმადინჯად დასძინა და გატრიალდა. უკან წაივდა. ცოტაც გაიმანძილა და როდესაც მიხვდა, რომ ქალმა კარი არ გააღო, შინ არ შევიდა, ერთიეც მოჰხედა.

— რა კეთილი ბუნების ქალიშვილი ხარ და როგორ ჰფანტავ ნიჟსა და დროს თავს ირთობ... ცხოვრებით თამაშობ!

— მე კი არ ვთამაშობ — ვმუშაობ!

— თავს იტყუებ... — გაგა ქუსლებზე ჭრილით შემოტრიალდა და გაქუშტებულ ნათიას თვალმეტყველად შეჰხედა, რაღაც მკაცრის თქმა სურდა, მაგრამ უხერხულად ჩაჰკიდა თავი და ერთხელ კიდევ ჩაიბრუნა სათქმელი.

ქალი სულ გაყვინიზდა — „ზრდილობით მჩაგრავს! ნიშნს მიგებს!“

— შენ... თქვენ.. ვინ დაგნიშნით ჩემს მეურვედ? შეუტია და შეუქანა.

— არც მეურვედ და არც მეუღლედ! აღარაც აცოვა და აღარც აცხელა გაგამ.

— როგორ თუ არც.. არც..

ქალი სულ არ მოელოდა ასეთ შემართებას... სახტად დარჩა. არც ვაჟი არ დაბნეულა ნაკლებად.. სიტყვაც უფრო ჩაადინჯა, ჩააჩუმათა:

— ერთი უცნაურობა მჭირს და ბოდნიში უნდა მოვიხადო... თითქოს ჩვენებური ყველაფერი შემეხება და... ენა სულ აებორკა გაგას, — შენ იცი რა არის ლაფნიქამია?

„სალონის მნათობმა“ ვერც გაიგო, რას ეკითხებოდა ვაჟი...

— კი მაგრამ — რა შუაშია!

მაგრამ ვაჟმა აღარ აირია სათქმელი, აზრი აზრს მძიმედ გამოსდო, მაგრამ მაინც გამოაბა..

— გულახდილად გეტყვი, ცოტა იქნებ სასაცილოა... მაგრამ საჩვენოში რაც დაზიანებული ხეგბია და შეჭირვებული ადამიანები.. ყველა ჩემი მოსაყვლელო მგონია...

— არამკითხესა და დონ კიხოტის ნაერთო! — ერთხელაც ამოიძახა ნათიამ და მიხვდა, რომ რთულ და გრძელ პაექრობაში ჩაება, რაც მას სრულიადაც არ სურდა.

— დონ კიხოტისათვის ეგონებ მეტად გაუთლელი ვარ!.. არამკითხე მოამბე კი ვარ.. მიმილია, მაგრამ სიკეთე მამოძრავებს და არაფერს არ ვეპუები.. ძალად მაცხოვნობა კი ხანდახან შენც გჭირდება და იქნებ ამათაც! — დაყრილ ქულებზე მიუჩვენა და ისევ თავდაბრილი წაივდა, დიდი ფეხსაცმელები ტლაშატლუშით ააფრატუნა.

აღარც ქუჩის კუთხეში მობრუნდა. ნათია კი იდგა და უმზერდა აღშფოთებული და გაკვირვებული. ეს ყოველივე უტიფრობას ჰგავდა, მაგრამ მაინც არ იყო. მერმე ქუჩაში დაყრილ ქულებზე იყარა ჯავრი. ფეხი გაჰკრა, თავის წვრილსადგისა ქუსლიც ზედ მიატეხა და შინ კოკლობით შევიდა, კა-



რიც მოაჯახუნა. თუმცა ამას ახლა აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ვაგა თითქოს გამარჯვებულოვით წავიდა და ბოლო სიტყვაც იმას დარჩა!

— არა უშავს რა... კიდევ მოვა და მაშინ ვეტყვი საკადრისს! დამიხედე — არც მეურვედ და არც მეუღლედო! მაგას მინისტრის მოადგილე ხომ არ ჰგონია თავი? წავიდეს და ტყეში მონახოს თავის ფარდი!

მაგრამ შუქი რომ აანთო და თავის მარტოხელა ბინას გადაჰხედა, ისევ დაუტრიალდა ფიქრი. სარკეში შედარდებულად ჩაიხედა და თავს შეეკითხა:

— კი მაგრამ ჩემი ფარდი ნუთუ იმ „სამეულში“ ერთ-ერთია?

ამ ფიქრმა ბევრი ამორჯა და ბოლოს ისევ კალამი ააღებინა.

„ჩემო მამა! პასუხს არა მცემ და ჩემი თავი სულ მუდამ მართალი მგონია. ვაგამ ისევ მაწყენინა. შენი სული დავიფიცე, რომ ახლოსაც აღარ გავიკარებ. რა მოწყენილობა და ნათელგაუქითხაობა იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა რომ ასეთი იყოს. კიდევ კარგი რომ არიან წინწასწრებული, მოაზროვნე ახალგაზრდები! საქმე — ახალგაზრდობაშივე ჰკვიანობა და წინწასწრებულობაა. თორემ მოხუცობაში ყველანი ჰკვიანები არიან და წარსულ შეცდომებსაც თავის დროზევე ივიწყებენ.

არა, მოაზროვნეთა შორის, არც იმ „სამეულს“ ვგულისხმობ. თუმცა ისინი თავის თავს სთვლიან „ოქროს ახალგაზრდებად“... მაგრამ სადაც „ოქროა“, იქ უსათუოდ არის „მოოქროვებაც“ და „ყალბი ოქროც“. მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ამ სახელ-სიტყვისა ახალგაზრდების სახასიათოდ! მის ნაცვლად მე უანგაროს, მართალს, ან მეოცნებეს მოვიწონებდი. მაგრამ სწორედ აქ იწყება მთელი სიძნელე. შენ არასოდეს არ ითვალისწინებდი ამას.

ახალგაზრდა კი ან სულ არ ფიქრობს ამ საკითხებზე და ეს ბუნებრივად მოსდის, და თუ ფიქრობს, ყოველ მათგანს

ყოველთვის თავისი თავი ჰგონია მართალი და ამის შემდეგ **სწინაგზამ** უნდა გაუმართლოს! **მეზღოვნენ**

მეც ასე ვფიქრობ! ეს არის ჩვენი პირველი რწმენა, ყოველი შემდგომი რწმენის პირობათა დიდი პირობა!

შენ ამ პირობით უმცდარობას „რეალურ ფაქტების არცოდნასა და უგრძნობელობას“ უწოდებდი. მაგრამ არაფერი არ ბერდება ისე მალე, როგორც „რეალური ფაქტები“, ძველი ფაქტი კი ძველ, ჩამოძილ ხურჭინივით, ახალ მარცვალსაც გზადაგზა აბნევს და ანიავებს!

შენ მეუბნები, რომ არის „გარდაუვალი ფაქტები“... მაგრამ თქვენ ასეთი არც ერთი არ დაგჩენიათ დაურღვევი და შეუცვლელი, ამაში იყო თქვენი დიდი პრინციპილობა! რაც შეეხება „არცოდნას“, თქვენ ახალგაზრდობაში ეს უფრო გჭირდათ თქვენმა კოლუმბმა ამერიკაც კი შეუცნობლად აღმოაჩინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენით იწყება ნამდვილი შეცნობილი აღმოჩენები. ახლა ჩვენ, კოლუმბის, იმ ახალგაზრდა მეზღვაურებს ვედრებით, რომლებმაც მისი აღმოჩენაც გაიზიარეს, მაგრამ უკვე შემდეგ გაიგეს, რომ ეს ახალი ქვეყანა, სრულიადაც არ ყოფილა აღმოქმული ინდოეთი.

კოლუმბი კი ახლა ისევე მოძველდა, ვით მისი აღმოჩენილი ამერიკა.

თქვენი იდეურ-სტიქიური ბრძოლის ხანა იყო, ჩვენი — შეცნობილ აღმოჩენებისა და გაცხოველებულ კვლევა-ძიებისა. ჩვენ — ჩვენი მამების პირდაპირი შვილები და შვილიშვილები ვართ... მკვეთრად თაობები კი არ იცვლებიან. არამედ ამოცანები... არა თვალსაზრისი, არამედ სულისკვეთება! საოცარია, რომ თქვენ უდიდესი ცდების ხალხი იყავით, ხოლო ჩვენს მცირედ ძიებასაც ვერ ითმენთ... თუ თქვენ ფიქრობთ რომ ერთხელ და სამუდამოდ იბოვნეთ ყველაფერი, მაშინ თქვენ არამც თუ გიბოვნიათ, რაღაც არსებითი დაგვიკარგავთ კიდევაც!

ახლა ჩვენ, ახალგაზრდები, თანამგ-

ზავრებით უკვე კოსმოსს ვიპყრობთ, თქვენ კი ჯერ კიდევ ჩვენვე გვთვლით მოუშუშებელ თანამგზავრებად.

იციოდეთ რომ ჩვენც ძირითადები ვართ და ზვალ ჩვენი ნიშნით ივლის ჰევე-ყანა! ეს კია რომ ჩვენ ჯერ ამ „ნიშნისთვის“ ხელსახებად ვერ მიგვიგნა... და თუნდაც ამიტომ, ჩვენს საძიებოში, შეცდომების უფლებაცა გვაქვს! ჩემს აზრებში ნუ ეძებ წინააღმდეგობებს, რადგან ახალგაზრდები სწორეთ ამის ძლევის გზით მოვალთ!

...და ასე თვალგამკოლად რომ დავფიქრდები, მოდების სალონებიდან — კოსმოსის სივრცეებამდე ერთი, დიდი, ახალი ლტოლვა! იქნებ სწორედ ეს არის „ჩვენი ნიშანი“!...

..მაგრამ მოდების სალონში კი მე აღარ წავალ!“

VII

„ჩემო გაბუტულო, ახლო მეზობე-ლო!

მართალია შენ არც მკითხულობ, მაგრამ მე მაინც ვატყობინებ, რომ დაკარგული არა ვარ. ისევ ტყეში ვარ, ჩვენს ზღაპრულ ტყეში ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მე ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეზე არ ვფიქრობდე და იქ მცხოვრები აღარ მახსოვდეს. პირიქით, აქ მესხიერება და მოგონება უფრო მიმძაფრდება ტყე ხომ ძირეულ გრძნობების დედაბუდეა!

ვიცი, ჩემზე ფრიად ნაწყენი ხარ, მაგრამ მაინც გწერ, თუმცა „ტყეურს“ ხელნაწახი უფრო მომეყება ხელში, ვიდრე კალამი. მით უფრო ახლა, აუარებელი გადაუდები და საჭირავრამო საქმე გვაქვს... თუმცა შენ ეს სრულიადაც არ ვაღელვებს. მაგრამ მე სწორედ ეს მინდა ვიცი, შენ ძირფესვიანად რა ვაღელვებს? რა?

..სწორედ „ძირფესვზე შევაჩერებ სიტყვას, იქნებ სულაც ამან მომაწერიდა?!

ახლა შუა ნაძვარში ვარ. მე მას ჩემთვის „ულრან-დედოფალს“ ვუწოდებ... და მართლაც, რას ემსგავსებოდა დედა-

მიწა, მას რომ ტყე არ ამშვენებდეს? ტაშისკარს აქეთ ორი რამს წინსწინა ული — ვეძა და ნაძვი! ნაძვი და ვეძა!

...ხოდა, ნაძვების თითქოს ჩამოხატულ, ტურფად ჩამოდრეკილ ტოტებზე, შავეთერა ციყვები თარეშობენ, დათამაშობენ... ჩვენს ტყეს ძვირად უჯდება ეს „თამაში“. ისინი არც თუ დიდი ხანია, გარედან მოიყვანეს და ახლა ერთობ გამრავლდნენ, შინაურებს დაერივნენ. ადგილის ფრინველები შეავიწროვეს, ბუდეები და კვერცხები გაუხნადგურეს, მათ ფულუროებს დაეპატრონენ.

განსაკუთრებით სავალალოა „ტყის დიდი დოსტაქრის“ — კოდალას განდევნა მისი ბუნებრივი სადოსტაქროდან.

თქვენ, ქალაქელებმა, არც კი იცით რომ ჩვენი ტყე საოცრად „დამუნჯდა“, თითქმის აღარ ისმის ჰიკიკი, კრული და საერთოდ ფრინველთა ხალისმომგვრელი გადაძახილი ძველებურად აღარ გალობს ტყე! მაგრამ შენ არც ეს გაინტერესებს!

მე ამ წერილს დიდი ხნის გადაჭრილ ძირკვზე ვწერ. მაგრამ იგი მართო ძირკვი როდია. გულისხმიერი, ბუნების მკვლევარი, ტყის ბედს ყოველ ძირკვის გადანაჭერში ბრძნულად ამოიკითხავს იგი თავისებური მათიანე და კალენდარიი.

ამ ძირკვს წლიური რგოლები ახლაც ეტყობა. თხზმოცდაერთი დავითვალე. ამ რგოლების შუალედის მიხედვით ჩანს წვიმიანი და გვალვიანი წელიწადები. დაზიანებისა და სნეულების დრო. უცხო სხეულისა თუ მავნე მწერის შემოსახლება... თვით ხე აღარ არის. ნაძვმა ხომ არ იცის ნაყარი. მორი კი, ვინ იცის, რომელ სახლს უდევს თავხედ, კოჭებად თუ ჭერის ლამფად, იქნებ კვამლადაც ავიდა ცაში, ნაცრად მიმოიხნა გზის უკან. მაგრამ საოცარია, რომ თვით ძირკვი ჯერაც არ გამხმარა. დიახ, ცოცხლობს!

თუ გულით გწადს — გაგიმხელ მის საიდუმლო გამძლეობასაც... მისი ფეს-

ვები, ირგვლივი ნაძვების ფესვებშია ჩაკონილ-ჩახლართული და ისინი ასახ-რდოვებენ, ამ გადაჭრილ ძირკვსაც ასულდგმულებენ!

ვგონებ, ადამიანთა შორისაც თითქმის ასეა! ქვეყანა, ვრი — ერთობითა და ერთიანობით არის!... ან უნდა იყოს! დაბოლოს, ისევ და ისევ საერთო ცხოვრება, უკეთუ კეთილ პირზე არის აწყობილი, მაინც აყენებს ადამიანს მართებულ გზაზე, თუ სულ წყალწადე-ბული არ არის „ნაგულსხმევი“ ადამიანი. ნუთუ მე ეს შუა ტყეში უფრო გავიგე, ვიდრე შენ — შუა ქალაქში?... და ამას იმიტომ გწერ, რომ ჩვენი „ფესვებიც“ თითქოს ურთიერთ შორის როგორღაც უხილავად არიან ჩახლართული. მაინცდამაინც მე ასე ვგრძნობ და ხანდახან საკმაოდ უხეშად ვაძლავნებ ხოლმე. ამის გამო ნუ გამიწყრები.

ერთსაც ვთხოვ — ამ წერილს ბოდიშის მოხდად ნუ ჩამითვლი... რომ არ ყოფილიყო გაუგებრობა „ვაი — ბრწყინვალე სამეფოთან“, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ... რომ განმეორდეს, ცხადია, მეც გავიმეორებ ჩემს საბოდიშო საქციელს.

მართალია, შენთვის ჩვენი ტყის ღუბ-ჭირი ისევე შორს არის, როგორც ინკუბატორში გამოყვანილ წიწილები-სათვის კრუხის კაკანი, მაგრამ მე მაინც გწერ — გვალვია ტყეში!

შენ იცი, რას ნიშნავს ტყის გვალვა?

ტყეს წყალი აკლია... სწყურია ტყეს! სული ეხუთება უწვიმობით და ვერცვინ არის მშველელი, ისევდაისევ ბუნება თუ?

თქვენ ულტრა-ქალაქელებო, ხომ იცით — მინდვრები, საყანეები, ბაღ-ბოსტნები ირწყვება გვალვის დროს... მაგრამ თქვენ გაგიგონიათ სადმე ტყის მორწყვა? არა და არა! ტყე თავად არის და უნდა იყოს კიდევაც წყლის მარაგის უშრეტე წყარო-საცავი, ისევე როგორც ხალხი — ნიჭის სათავე... ჰოდა, მარაგს მაინც იცავს ჩვენი ტყე, მაგრამ თავად კი სწყურია! გესმით თუ გავიმეორებ?

ამიტომ ტყის წყურვილი, მინდვრისა-ზე უარესიცა და უაღრესეც არის!

გვალვა ტყეში — ეს მისხმულია ხანძარია. იცვლება ტყის ყოველი ბიოსაწყისი, თავს იჩენს ათასი მიუუჩე-ბული სატკივარი, ვერნამარავლი ჰია-ლუა, მავნე მწერი... წაესევა ტყეს. ტვე-რი ველარ სუნთქავს, წყალ-მინერალუ-რი სიმშოილი იწყება.

მაინც ნაძვანარს უჭირს ფისი თუ საკ-მელი, მისი სისხლი და ერთადერთი თავდასაცავი მალამო, აკლდება, სქელ-დება, დუნდება... ველარ აღწევს, ან ვერ ასწრებს დაშავებულ ადგილებში გამო-ვონვას.

და მე წყალს ველარ ვსვამ ტყეში... თვით არ აქვს და წყაროს კი, როგორც იმედს, მაინც ინახავს! ისეთი სულგ-რძელობა ადამიანთა შორის მხოლოდ დედას ძალუმს.

ტყესაც აქვს რაღაც დიდი, დედური ხალხის მიმართ... და ჩვენ კი ხშირად სწორედ მის მიმართ ვიჩენთ უძღებ შვილობას!

ნუთუ არასოდეს არ გებადება ტყის სურვილი? ნუთუ მხოლოდ ქალაქითა და სალონით ხელოვნურად იფარგ-ლავ და თავის ნებით იღარიბებ თავს? ან მე რომ ტყეს ვამბობ, განა მარტო ხე-ებს ვგულისხმობ? შენ იცი რომ ჩვენი ტყეები „უშზრახ ოსტატის“ მიერ შე-თხზული და დაზატული „ვეფხის ტყა-ოსანია“?

...ვერა, ვერ გამოვთქვი. ახლოს, პი-რისპირ ვიყავი და ვერ მოვახერხე მთავარის თქმა, წერილში კი, აბა, რო-გორღა გამოვხატავდი...

შენ იცი, რომ წერილიც სიტყვის ტყეა და იგიც რამდენ წყაროსა და წყურვილს ჰფარავს?

მე ყველგან, ყოველთვის მაფიქრებს შენი პირადი ბედი. შენ რაღაც დიდმ-ნიშვნელოვანი გახლავს, უფრო მეტი, ვიდრე ჩემს თვალსაწიერში სხვებისათ-ვის შემინიშნავს... მაგრამ რაღაც არსე-ბითი მაინც გაკლია და ვაი თუ.. ადა-მიანს ღომ ერთი ფეხის წამოკვრა, ერთი სიკვდილი ჰყოფნის!

ჩემი საქმიანობა შენ არ გაინტერესებს, მაგრამ მაინც ჭიუტად გეტყვი. ვარ სხვებთან ერთად, თავქუდიანად ჩაბმული ჩუმ, დიდ თავდაცვით ბრძოლაში ტყის გადასარჩენად. აქ მე დასვენება არცა მსურს და არც მიწერია! დაღლას კი, შენ წარმოიდგინე, მიქარწყლებს შენთან, თუნდაც „დაუსწრებელი“ დავა და ზანდახან კეთილი ჩხუბიც.

მე მაფხიზლებს და მამხნევებს ეს „უცნაური გარემოება“ და მე არც ვიცი — რა შევარქვა ამას? ყოველ ნაძვის ძირში და ჩრდილში ამოფარებულსა გხედავ. ტუჩაბუტულად მოჩხუბარსა და თვალბრიალად მოკამათეს.

მე გულში ღრმად ჩამრჩა შენი „გაუყუჩებელი მაძიებლობა“ და მიკვირს ამდენის მგომნობი და მზრახველი, როგორ ხარ ბუნების — ამ „უმზრახ ოსტატის“ გარეშე!

გეთანხმები — ადამიანის გულსაც უღრანი ტყე არ აკლია, მაგრამ ნუთუ ბუნებრივი ტყე არაფერს გეტყვის?

ერთსაც ჩუმად გირჩევ — როდესაც რამეს ეძებ, თვალი შეიძლება დახუჭო, მაგრამ გული კი უსათუოდ ღია უნდა გქონდეს!

...მაგრამ მე ისევ გედავები და ისევ ავციდი ჩემს უდაოდ სათქმელს! მალე ჩამოვალ, სულ მოკლე ხნით ქარს გადმოფეხვები... საქმე მაქვს და თუ კვლავ არ მიწყრები, ისევ გავებდავ მოსვლას და დავას... მოსვლას და დავას..

ჭობისხევი, სატყეო საცდელი ნაკვეთი“.

გაგამ ნიმუშების მოსაგროვებელ მომცრო კოლოფში ჩასდო ნაძვის გამოთქონი სურნელოვანი ფისი, ჩაუმატა სოკო და ცოტა რამ ბალახი. წერილს სახელი არ მოაწერა, მინაწერი კი გაუკეთა:

„გიგზავნი „ტყის სურნელს“, ისე როგორც შესთხზა „უმზრახმა ოსტატმა“.

ნაძვის ფისი — აქედან აკეთებენ კვესაც და საკმელსაც.

სოკო-ჭრემა და ტყის ქონდარი“.

იმ დღეს გაგამ კიდევ დიდხანს იარა ტყეში. ნიშნა და ნიშნა უკმაყოფილო ხეები. ახარისხა შესაწამლი და გასწორული.

ნაძვის ზვიადი კორომი, თითქოს ქვაში გამოკვეთილივით, უძრავად ჩასდევდა შემოგარსულ მთის ფერდებს. სულ ქვევით, ჩატვერებულ და ჩამწვანებულ ძაბრის ძირში კახისის ტბის ელვარე კალო-დიდი ჩავერცხლილად იყო. ირგვლივ ტვერს წყალში არეკილიადაც და ცაში აზიდულადაც აჩენდა. ესეც „უმზრახი ოსტატის“ დიდი ხელოვნებისა იყო, მაგრამ გაგა ახლა ნაძვებს სულ სხვა თვალსაზრისითა და გულის წედო-მით უვლიდა, ჩაძიებით აკვირდებოდა. ხეთა ტანოვან სხეულებს ლაფნიჭამიას ხერელები ზშირნატყვიარად ემჩნეოდა ფისის გამოთქონი ამეღავენება ხის მედგარ ბრძოლას სიკვდილთან! ზოგს მეტად მისეოდა ლაფნიჭამია. ძირთან დაცხრილული გოლიათები ჯერ კიდევ იდგნენ და სურნელს უფრო აკმევდნენ. სიკვდილის სარეცელი მათ ზეზე მდგარად ჰქონდათ!

გაგამ იცოდა თხზულისა და სინამდვილის ზღვარზე ცნობილი, რომ გედი სიმღერით კვდება, რომ ბამბუკი, მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის ეამს ჰყვავის, ჩანს ნაძვი სიკვდილის სარეცელზე უფრო აკმევს მომზიბლავ სურნელს!

ტყემ ფიქრების დახვევა იცის. გაგას ფიქრიც, აი ამ სამ ახალნაზარდ ნაძვივით „სამპოტიკად“ ვიღოდა. ერთი ჯერ კიდევ წერილის გუმანში იყო. მეორე „უმზრახ ოსტატის“ ხილვის ბადეში. მესამე კი ტყის მკურნალობის სადარდებელში. სამივე ერთად ლესავდა და თითქოს ახალ-ახალ ტყავში ამოჰყავდა, და აქ, „ტყის სურნელების“ გროვებაში რაღაც ახალი იფიქრა, თუ „იუნოსა“. რამდენი ათეული შხამა და შენაერთი არ გამოსცადა, სხვებთან ერთად და ცალკე. საქიროს ვერა და ვერ მიაგნო. ზოგი საკმაოდ არ ჰკლავდა ამ მავნებელს, ზოგი მავნებელთან ერთად ხესაც აყენებდა ზიანს, ვგონებ სულ ამზობდა

კიდევაც... და ვისი გაუყრელად ტყეს უისაც ჰყრიდა!

უკვე კარგა ხანია გავას დიდი ეჭვი გულს უღრღნიდა. ტყეში ფართოზე ფართოდ გამოყენებული სასხურებელი — დიზელსაწვავში გახსნილი შხამა, ჩანს, ხესაც სწავდა და მავნებელსაც...

ისევე ძველშეწამლულ ნაკვეთში გავიდა კიდევ ერთხელ, ჩაძიებული შემოწმება დაიწყო. სურათი თანდათან უფრო მკაფიოდ მკლავნდებოდა... «ეს თუ მართალია, ტყის დიდი უბედურება კიდევ უფრო გაგვიდიდება!» არა მარტო გავამ, სხვებმაც შეატყვეს, ეჭვი აიღეს... მაგრამ მოუქრელი ხე დინჯად კვდება, შეუმჩნევლად კვდება, ხანგრძლივად კვდება! მით უფრო, ზეთოვან წამლით დამწვარი... ამიტომ ყოყმანი და გაუბედაობა მოეძალა ტყის მუშაკებს. ზოგმა დამალა და დაფარა ხმობის ნიშნები. თავის თუ სხვის სახელსა და ავტორიტეტს მოუფრთხილდა, თუ მოერიდა. ზოგი თავის თვალსა და გუმანს აღარ ენდო, ვიდრე სხვაც არ „დაინახავდა და არ იტყოდა“. მეტად ძნელი და მძიმე სათქმელიც იყო, რადგან მეტად მძიმე შედეგისა და დასკვნების წინაშე შთებოდა ტყეცა და მისი ყოველი დამცველიც. გამოდიოდა, რომ წამლობამ უფრო მეტი ზიანი მოუტანა ტყეს, ვიდრე თვით ლაფნიკამიამ და ვერც მავნებლის ტალღა შეაჩერა შესაფერისად. აქ ხეთა ასეულ ათასების ბედი იყო სასწორზე... დაკმულ, დამწვარ, მოკრილ ხეთა უთვალავი ლაშქარი იდგა თუ იწვა გავას გონების თვალის წინაშე.

„ციცქნა შავ ქიას“ კი, ხან თეთრი კვერცხების სახე ჰქონდა, ხან ჩასუქებულ თეთრა მატლებისა, ხან წელგამოყვანილ ჭუპრისა და ხან შავი ფრენია ხოკოსი. იგი სულ ახალ ახალ კორომებს შეუჩერებლად ედებოდა. საქართველოს სხვა ტყეებსაც მისწვდა, იქაც გავრცელდა.

გაგა სულ ამოწმებდა საცდელ ნაკვეთს ახალი უბედურების ნიშნებს აწყდებოდა, გულისტკივილთ აგრო-

ვებდა და თან ფიქრობდა.

რამდენი სხვადასხვა თაობის მეცნიერები და ტყის მუშაკები ახლა იტებდნენ თავს ამ ხოკოს გამო. ვინ როგორ იტებდა და ვის რა ძალა თუ სულიკვეთება ამოძრავებდა? ნუთუ ტყეს ის საოცარი თვისებაც ჰქონდა, რომ ყველას ძველ გადმონაშთებს ხასიათის ულექს და ნალექს ამოუმღვრევდა, უმკლავებდა... საკუთარ „ტყეს“ უღვიძებდა!? ნუთუ ამიტომ არის ასეთი სიმწვავე და მღვლეარება ტყის მდგომარეობისა თუ წამლობის ყოველ საკითხის, ყოველ წვრილმანის გამოც?

ყოველად აშკარა და უტყუარი დასაბუთება იყო საჭირო. თავის შემოწმება, მერმე თავისივე, უკვე საბუთიერად დამუშავებულ დისერტაციის, უმეტესად ახალსაბუთიერი დამარცხება, მერმე ამ მარცხის მონელება!

ახლა სხვების, ზოგი თავისივე პროფესორისა და ახლობელ თუ შორეულ ავტორიტეტის წინაშე მოურიდებლად ხმის ამაღლება და მათ საწინააღმდეგო ფაქტის გამომკლავება-დამტკიცება. მაგრამ, აბა, რა გააწყოს გავამ, რომ ძველი შეწამვის შემოწმების შედეგი ყოველად სავალალო გამოდის! ასეჯიბთ სავალალო!..

„კიდევ შეამოწმოს! კიდევ შეამოწმოს! მერმე კი ისე იმოქმედოს, როგორც ახალგაზრდული სულიკვეთება და უანგარო ბრძოლა მოითხოვს!

თუ მისი ეჭვი, უკვე მძიმე ეჭვი, დადასტურდა, მანაც უნდა დასწეროს „მოსხენებითი ბარათი“ ტყისა და, თუ საჭიროა, ქვეყნის მამების წინაშე წარსდგეს, შიგ უმცდარი დასკვნა, თავისი გული და, თუ საქმემ მოითხოვა, შეუპოვრობის მეხიცი უნდა ჩაუროს! როდესაც სასწორზე ტყეა, განა მარტო ტყეა მაშინ სასწორზე!

გავასათვის ისიც ყოველად ცხადი გახდა, რომ მარტო ქიმიურ საშუალებით ბრძოლის შემოფარგლა აღარასჯიბით არ შეიძლება. ახალი პრინციპები და გზები იყო მისაგნები და გამოსაცდელი-

გაგა სულ უვლიდა და უვლიდა ხე-

ებს, აღმა-დაღმა ქსელავდა კორომს. ხოლო დაქსეილი ფიქრი, ხანდახან წამოძახილში ამოკრთებოდა. ბოლოს ხმამაღალ მონოლოგზე გადავიდა... სულ ბოლოს კი დიალოგზეც, თუმცა ხეების გარდა არცერთი თანამოსაუბრე მას არ გააჩნდა.

ბუნებაში ყოველ მავნებელს, თავისი მავნებელიც ჰყავს. აქ ლაფნიჭამიას მავნებელი არ აღმოაჩნდა. ამან შეუწყო ხელი მის გამრავლებას. ცნობილი არის დიდი რიზოფაგი, მხოლოდ ლაფნიჭამიას მჭამელი. მაგრამ ვიდრე ამას მოვაშენებდეთ — ნაძვნარი არ გადაგვიშენდება!

დაზიანებული ნაძვნარი იქ სადაც ნაწამლი არ იყო, ნამდვილად მოძლიერებულ სურნელს აჟმევდა. გაგას აჩქარებული ყნოსვა ნესტოებს უბერავდა, ფიქრს უმახვილებდა- ხელნაჯახით ან მრგვალ საჭრეთლით ხეებს ფრთხილად სინჯავდა, თითქოს მართლაც ყოველ ხის ჩრდილში ნათია იჯდა... დიახ, იჯდა და ეკითხებოდა.

— კი მაგრამ რაღა მაინცადამაინც ნაძვს ეტანება ეს „შავი ხოჭო“?

— ასეთია მისი ბუნება, მხოლოდ ნაძვის ლაფანს ჰამს..

— რატომ? რა იზიდავს?

— ალბათ სურნელი, ნაძვის ფისი, საკმლის სურნელი!

— მაინცდამაინც შესუსტებულ ხეს? როგორ ივებს?

— დაზიანებულ ნაძვს უფრო დასდის ფისი, ესე იგი, სურნელიც!

— ალბათ შესუსტებულს უფრო ნახი ავადმყოფური სურნელიც აქვს? ან სიცხის უფრო მჭახე სუნია!

— ალბათ... დიახ... თითქოს მიგრძენია კიდეც... მაშინ საკმელს თითქოს დამწვარ სანთლის სურნელიც გაჰკრავს!

— სანთლის სურნელი? ეს უკვე ჩემი საყვარელი სურნელია! შენ იცი, რომ ჩრჩილსაც იზიდავს ეს სურნელი?

გაგას დანიშნულ ხეების სათვალავი აერია. შედგა, შეასწორა... ისევ შეცდამაძვების ჩრდილში კი ფიქრი და ჩურჩული თავისი გზით ვიღოდა.

— ჩემი საკმელი და შენი სანთელი — წამოიძახა გაგამ.

მერმე უეცრად იშვა იღმა და ვაჟი ერთბაშად მიხვდა, რომ ეს დიდი ხანია აწვალეს. სათქმელიც სთქვა თუ ვერ სთქვა... წერილშიც ჩასწერა. კოლოფში „ტყის სურნელი“ ჩასდო კიდეც... მაგრამ გამპკრიახად მაშინ ვიღარ მიაგნო!

— ტყის სურნელი?... არა, კერძოდ, ნაძვის სურნელი არც ეს — დაზიანებულ ნაძვის ფშვენვის მიგნება, მასზე ოდნავ ძლიერი სურნელის შეთხზვა... მოსაპრელად განწირულ ხეების ამ „ხოჭოს საყნოსავით“ მოსხურება — „ხე-ხაფანგების“ გამზადება და „შავი ჭირის“ იქ მიზიდვა... მერმე კი ძლიერ შხამის დაკვრა!

იღმა უკვე ჩამოკვეთილი სახე მიიღო გუმანით ნაგრძნობი იყო, საჭირო სურნელის, ორი ძირითადი წყაროც — სანთელი და საკმელი! დანარჩენი დაზუსტებულ და ჩაძიებულ ცდებზე იყო დამოკიდებული.. საჭირო იყო, როგორც ნათო-ნათია იტყოდა — „გაუყუჩებელი მამიებლობა!“

გაგას შუბლი უხურდა. ხახა უშრებოდა. მასაც ტყესავით სიცხე და წყურვილი ჰქონდა გაჩენილი. იქნებ მეტიც, რადგან არც ერთი ხის ძირში და ჩრდილში აღარ იყო მამხუბარა თანამოსაუბრე და მისი ახალ იდეის თანააგტორი.

ტყიანი ფერდობი ჩაირბინა, კახისის ლაქვარდს მიატანა, ტანზე სწრაფად გაიძრო, ერთი ღრმად შეისუნთქა და ტბაში თავით გადახტა.

სიღრმეში დიდი სალბუნიც იგრძნო და თვალბუცი ფართოთ გაახილა. გამპკირვალედ აბრიალებულ წყლის ყოველ წვეთში მზე და ნაძვი დაინახა. მათ ჩრდილშიაც კიდეც რაღაც ჩრდილი ილანდებოდა, იგრძნობოდა, ფიქრის ძაფზე ეკიდა და ქანაობდა.

გაგა გაინახა და არც ამოცურდა, ვიდრე მძლერ მკერდის მთელი ჰაერი თვალსა და ცხვირს შუა ბუშტუკებად არ ამოუთავდა.

თავის ამოყოფისას ვიუტა ქოჩორი სახიდან გადაიშორა და მკლავი ლაღად



გაშალა. ტბა მხარულთი გადაკვეთა, გარეთ-გარეთ წასული ქველი ააყენა, გარეული იხვები დააფრთხო... და თითქოს იხვებსაც მზე და ნაძვნარი ფრთებით მიჰქონდათ... მათ გადავილილ ჩრდილშიაც კიდევ რაღაც ჩრდილი იყო. ნაბირზე რომ ამოვიდა ნაძვნარის ფშინევა უფრო ძლიერად ივრძნო.

ტანზე შეუმშრალებლად ჩაიკვა და ტყის ტბის სიგრილე თან წაიღო. კობისხევის სატყეოსაკენ გასწია. აქ ჰქონდათ მისა და დათო რჩეულიძეს დროებითი, საცდელი ლაბორატორია და სადგომი.

ნათო-ნათისადმი ბარათის მიწერამ და დაუსწრებელმა სჯამ, თითქოს ბევრ რამეზე თვალი აუცრა, გზა გაუხსნა... ახალი შემართება მისცა. დიდი მოხსენებითი ბარათის მოფიქრებასა და ხვეშის ახლავ შეუდგა. ქვესათურიც კი მოუნახა — „მწარე სინამდვილე ლაფნიკიამისთან ბრძოლის შედეგად“.

როცა რაიმე მთელი არსებით გტანჯავს, მას თავისთავად ეძებნება მეტყველი ფორმა!

დაბადების აღმართზე ტურისტების დიდი ჯგუფი შემოეყარა. ჩანთამოკიდებული ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, ჩაწალიკებულად მოდიოდნენ. განცვიფრებული ღიმილით აქეთ-იქით იხედებოდნენ.

და მართლაც იყო თვალდასაცეცები ზედი.

— იქ ქვევით, და გაღმის გაღმა აბა რაღა ვთქვა — თქვენ თავად ჰხედავთ! აქ გეოგრაფიისა და ისტორიის, ბუნებისა და ხელოვნების საზღვრები სულ წაშლილია! — გაზეპირებულად უხსნიდა ჯგუფის გამყოლი... — აბა ახლა ახლო შეჰხედეთ! ამ ცხვირად გამდგარ ფრიალო კლდეს — ყობიას სათამაშო ჰქვია. ამ ერთ ხელისდადება კლდის თავზე უცეკვია შემთვრალ მეტყვევს ყობიას! აქვეა მისი შუროც. აქედან დაეცურებულნი მორი თითქმის მტკვარს აღწევდა!

ტურისტები შორს, ქვევით იხედებოდნენ და სტებებოდნენ. ქვევით და ზეობის გაღმა, აღმაცერად მთების

აყოლება და ჩაყოლება დაბურულ წიწვნარით იყო ამოხატული.

შორეულ ტურისტებში მდგომარეობა კი ღიმილის გარდა, სევდაც წიწვად ეღებოდა გულის ფიცარზე. მოსულთათვის ეს ტყეთა ტყე წარმოტაცი და ზვიადი სანახაობა იყო. მისთვის კი ღვიძლი და საჭირისუფლო, მძიმე სნეული.

— ფრიალოსთან ახლო არ მიხვიდეთ! თვალის მოჭრა იცის! აქ — შვიდი ერთად, ახალმოზარდი ძმა-ნაძვი ნახეთ! ტყუბის — ტყუბები არიან! — სულ უხსნიდა, აჩვენებდა, აფრთხილებდა გამყოლი.

გაგამ კი იცოდა, აღრიცხულიც ჰქონდა... ამ ტყუბ შვიდ ძმაშიაც „შავი ზოქოს“ თითო-ოროლა „ნატყვიარი“ არც ერთს არ აკლდა.

„ვაი რომ ყობიას შუროზე“ ახლა მთელი ნაძვნარი არ დავაცუროთ! ტურისტები ახლა სხვაგან გამოჩნახვევენ მოსახიბლავ სამოგზაუროს... ჩვენ კი გავდგეთ და „ვითამაშოთ“, ცხვირად გასულ, ჩაფრიალებულ „ყობიას სათამაშოზე“

გაგამ ბორჯომის ზეობა ერთი წუთით უნაძვნაროდ წარმოიდგინა და შეძრწუნდა, ლომის ჩონჩხად მოეჩვენა. ახლა ყველაფერი „ტყის ცნებაში“ წარმოესახა... ამბობდა „ტყე“ და მის თვალწინ უღრანი იდგა, ზედ გადმომყურე მწვერვალებითა და მალალი ზეცით!

ამბობდა, „ტყე“ და მრავლად მჩქეფარე ნაკადულები, ჩანჩქერები, მდინარეები, ტბები თუ ზღვები თვალის გუგაზე და მკერდზე ეღინებოდნენ!

ისევე ამბობდა „ტყე“ და ახლა ღიმილიანი, თმაბუქუქა ხალხი და ბავშვთა სიმრავლე თვალშეაფიოდ ესახებოდა, ახალისებდა, ამოქმედებდა!

კიდევ ნათქვამი „ტყე“! თვალსაწიერში ახლა მძიმე, გმირულ „ქართლის ცხოვრებად“ და რაინდულ „ვეფხისტყაოსნად“ გაღმულეობდა. შემდეგი „ტყე“ კი უკვე ქართულ, ძარღვიან, ძირფესვიან ენად ესმოდა.

„ჩვენ ჩვენი ღირსეული თაობების, ღირსეული შთამომავლები უნდა ვიყვეთ. ჩვენ უაღრესად გვჭირდება ყო-

ველდიური, თავდადებული მოქალაქეობა და ხალხის შეილობა... შემოქმედი მეცნიერება! ყველა დარგის ახალმღწევათა დაუფლება, დაქართულება! ჩვენი ბუნების, ძეგლების, ენის შეგნებულად და ფხიზლად დაცვა. ძველთაგანის ყველაფერ კარგის შენარჩუნება, გაღრმავება... ახალ კარგის დანერგვა, ნიჰის თვალისჩინივით მოვლა, მრავალშეილიანობის აღდგენა! ხოლო მოდების სალონების წინწასწრებულობა სხვა დანარჩენის ხარჯზე, ჩვენ არას გვარგებს. აბა, „ქუჩა-მოედნების რაინდობაზე“ ხომ რაღა ითქმის!?”

გაგა თითქოს ისევ თავის „ბუტია მეზობელს“ ედავებოდა.

ამოვლილი ტურისტები დიდი ხანია აღმა წასულიყვნენ. მშრალ გზაზე მათი კვალი სულ აღარ ჩანდა. ზევითაც და ქვევითაც „უმზრახნი ოსტატი“ ფერებს იცვლიდა, ეშხს იმატებდა. ტევრი წიწვის აბჯარში, დასანახავად ზვიადად და ჯავარად იდგა.

სადღაც ქვევით კოდალა აკაქუნებდა. ამ კაქუნმა ფიქრებიდან გამოაფხიზლა. გაგასაც ნიშანდობლივ ჩაუკაქუნა.

ისევ გახსნა ციციქნა ამანათი, ნათონათიას წერილს თავისი წელანდელი ნაფიქრიც მიაწერა და თან დაურთო...

„ჩვენ საერთო საქმეში ღირსეულ სამოღვაწოდ უამრავი რამ გვიცდის და გვმართებს... და, პირველ ყოვლისა, კოდალას სმენა და მუყაითობა. მაგას არ შეეცდება ქიანობა და ფუტურობა!“

VIII

იმ დღიდან ნათიამ თავი დაანება სალონს და თოჯინების სახელოსნოში მძვრწავ ოსტატად გადავიდა. აქ უფრო სიწყნარეც იყო და ხელოვნებასაც თითქოს უფრო ახლო ეხებოდა. აქ კეთდებოდა თოჯინები და სხვა ათასგვარი სათამაშო, ყველაზე უმანკო და უანგარო თაობისათვის.

ტექნიკურად ფრიად გაწყობილი, თანამედროვე სახელოსნო იყო. აქ იყენებდნენ ათასგვარ პლასტმასებსა და სინ-

თეტიურ კაუჩუკებს. მაგრამ ეს ნათიას არ ეხებოდა. ამისათვის სხვა მონღულები იყვნენ.

ქალი თავის თავს მცირე ფორმების მოქანდაკედ სთვლიდა. მაგრამ არა ქვაზე და მარმარილოზე, არამედ ყველაზე უფრო სათუთ და მგრძნობიარე მასალაზე — თაფლის სანთელზე. ხოლო იშვიათად სუფთა თიხაზე და ძნელ ყალიბების ჩამოსხმისას — თაბაშირზე. მაინც სურნელოვანი სანთელი გულით უყვარდა. ცოტას შეათბობდა ხოლმე, აი როდესაც ოდნავ წებოვანი და ამო, თითქოს ცოცხალი შესაგრძნობი და უფრო სურნელოვანიც ვახდებოდა.

გატაცებით და ფაქიზ ხელით სმერწავდა მრავალ მცირე ზომის ქანდაკებას, სამავილო ნივთებს — ამურებსა და ბურატინოებს, ხურჯინიან პაპებსა და თავსაფრიან დედაკაცებს, გაკვირვებულ ციდაბიჭებსა და ათასგვარ თოჯინებს, დედოფლებს.

მისი სახელოვნო იყო პირველ ნიმუშისა და ყალიბის ამოღება. შერამე საერთო წარმოებაში მიდიოდა ყალიბი. ხოლო ხელში კარგად ამოსულ ნიმუშს ავტორი ინახავდა, შინ მიჰქონდა თავის კოლექციისათვის.

ბინაში ესკიზებს ახლა მრავალი ნაჭერწიც მიემატა. მისი სადგომი თანდათანობით მცირე ფორმების მუზეუმსა და გამოფენას დაემსგავსა.

სალონიდან წამოსვლის შემდეგ მან იგრძნო, რომ თურმე სიწყნარე ჰკლებია. მაგრამ ცხოვრება კი გაუფერულდა. თითქოს ხმაურთან, ხალხმრავალ მატარებლიდან ჩამოვიდა და ახლა უჩინო ბაქანზე მარტო დარჩა. უეცრად გაქრნენ თაყვანისმცემლებიც, მოჩვენებითი სიმდიდრეცა და თითქოს სილამაზეც.

გაგა კი არსად ჩანდა. სადღაც, ტყეში ჩაიყლაპა.

არა, ქალს კი არ ენატრებოდა მისი ნახვა, შერჩენილი მწარე სათქმელი წამოაძახებდა ხოლმე. მაგრამ წყენიები, უფრო ხშირად, გულმავიწყებიც არიან. ხოლო „მატარებლიდან“ ჩამოსული მგზავრი უმაღ ივიწყებს იქ შეხვედ-

რილ უსიამოვნობას! ასე მოუვიდა ნათიასაც.

დრომ გულმოსულობა თანდათან მიუყუჩა და მალე სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ქუჩაში, მის ფერხთით დაყრილი ახალმოდური ქუდები და ყელსაბამები.

„აბა, რა ეგონათ? მეც აღმომაჩნდა ჩემი კვაზიმოდო!“

აღარც ის მიტყეპილი სამეული გადაპყრია სადმე. არა, ყურადღების მიმქცევი სხვაც ბევრი გამოჩნდა.

სილამაზეს ჩვენშიაც მუდამ ბევრი მოტრფიალე ჰყავდა. ეს იქნებ ერთადერთია, რაც ოდითგანვე უცვლელი დავგრჩა, ყველა თაობების ცეცხლი და ყინული ჩამოიარა.

მაგრამ ნათია, თავს მაინც დაჩაგრულად სთვლიდა და სატრფიალო პირს არავის არ უჩვენებდა.

ახალ სამუშაოზე, თავიდანვე დიდი წარმატება მოიპოვა. „თიას თოჯინებმა“ სახელი გაითქვეს. „უკარება ოსტატს“ უკვე სხვა სახელოსნოებშიაც იწვევდნენ. ხელფასიც მოუმატეს, ნებაზეც მიუშვეს... მაგრამ მახვილ და მატებარ გონების პატრონს ყველგან, ყოველთვის ჰქონდა საპექრო და სადაო, ზოგი საზოგადო და საერთო, ზოგიც კერძო.

განსაკუთრებით ქალებთან ვერა და ვერ ჰპოულობდა საერთო ენას. ხან ჩაცმულობასა და უგემოვნობას პირამთქმელად უწუნებდა... ხან საქციელსა და საქმიანობას.

„მოუსვენარ ოსტატს“ შებებულებასულაც არ ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი საძერწი ისე ხელკეთილად და გადაჭარბებით შეასრულა, რომ უმაღვე „შემოქმედებითი მივიღინებით“ დააჯილდოვეს. ქალს თბილისიდან წასვლა არ უნდოდა. მაგრამ თავისთვის მოულოდნელად დასთანხმდა და ასევე მოულოდნელად ბორჯომში წასვლა გადასწყვიტა.

ამ დროს „ციცქნა ამანათმა“ მოუსწრო. ამ ჯერად კობისხევიდან იყო. არა კორტანეთიდან. რაღაც საამო სურნელი თან მოჰყვა ამანათს.

„ნუთუ ისევ“ უჩინმაჩინი? — გაფიქრა და გული აუძგერდა. მაგრამ ნათიასათვის კობისხევისა — ისეთივე „ქუდი“ ეხურა, როგორც „კორტანეთს“. აღელვებულად გახსნა... და, პირველ ყოვლისა, მის ქალაქურ ბინაში ისეთი „ტყიური სურნელი“ გამეფდა, რომ ქალი უეცრად მოიხიბლა.

წერილის დანახვამ სულ გაახარა... უჩინმაჩინი ვგონებ ქუდს იხიდა? მაგრამ პირველმავე სტრიქონმა სულ აურია ოცნება და სინამდვილე. ბწყარებს თვალი ჩააყოლა და უეცრად სულ სხვა სამყარომ ამოაშუქა ამ საკმაოდ მოწყულტულ ფურცელიდან!... თითქოს შორეული და არც შორეული ტყეშრიალი ამოდიოდა!

მაგრამ ისევ შეერია განწყობილება. წერილში „შავ-თეთრა ციყვების“ ხსენებამ დაადარაჯა... მახვილმა ფიქრმა კი ერთ ლანდზე ყველა მარყუქი ამოუხსნა... კორტანეთის ადგილმდებარეობაც, ციყვის ტყავისა და ფულის სადაურობაც.

— ამ ტყიურს დამიხედე? „ჩუმი მფარველიც“ ის არ ყოფილა? სადღაც ეამა, მაგრამ სადღაც, და უფრო ეწყინა.

— ნუთუ ისევ ის? — თავის ჩამოტერწილ ოცნებას ვაჰხედა. მაგრამ მოციკვავე ქუდოსანი კვლავ ძველებურად უძრავად და ქუდდახურულად იდგა. მაგრამ ოცნება და სინამდვილე ისე იყო შეცილებული ერთმანეთს, როგორც ხიდი და მის ქვეშ გამძვრალი მდინარე!

— ქუდი მოიხადა უჩინმაჩინმა რაინდმა და კვლავ კვაზიმოდო გამოდგა! ისევ ჰხურებოდა, ბევრად მერჩინა! — უკვე ხმამაღლა წამოიძახა ქალმა და თვალეზი დახუჭა. და ასე, შეუხედავად, თავის მოციკვავეს გაგას ჯაგრა-ურჩა თავი რომ წამოაბა, სულ აირია... ზოლო ვაეთან „უჩინმაჩინა საუბარი“ რომ გაიხსენა, საშინლად ითაკილა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. — ამ დათვეშმაკას ჰხედავ, როგორ მომაჭადრაკა?

ის კი გაუკვირდა, რომ აღმფოთება არცთუ ხანგრძლივი გამოდგა... და ისევ

წერილმა მიიზიდა... შინაარსმა მოულოდნელად ჩააფიქრა და „ძირფესვიანად ააღლევა“... რა გადაკრულები სცოდნია! აზროვნებაც დალაგებულად და, რაც განსაკუთრებულად უკვირდა ქალს, „არც უმხატვროდ იშლებოდა სტრიქონებში და მათ შუა თუ უკან!“

ნათია კარგად ხედებოდა, რომელ „ნაგულისხმევ ადამიანს“ გულისხმობდა ეს ტყიური უჩინმანი?

„უხილავად ჩახლართულმა ფესვებმა“ და „სამეულთან“ საქციელის „გამეორებამ“ ქალსაც გაუმეორა ძველი რისხვა.

— მე მაგას ჩაუხლართავ ფესვებს! — წერილი ლამის დაჰხია, მაგრამ „ტყის წყურვილმა“ კი კინაღამ ცრემლში ჩააგდო.

„უცნაური ვარემოება“ გამკილაე ხუმრობით მიიღო...

— რა ვქნა! სიყვარულს ხომ არ შეფიცება ეს სევდიანი ნიშა-ხარი?

„ტყის სურნელის“ გამოგზავნა კი კაკალ გულში მოხვდა. დიდხანს, ხარბად, დაწაფებულად ყნოსავდა... ჯერ ერთად, მერმე სათითაოდ ნაძვის საკმელს, სოკოს, ტყის ქონდარს... მერმე ისევ ერთად... გული და ამომღვრეული ფიქრები მალზე მალიად უამდებოდა... ქალს ხომ ცხვირი, მამაკაცზე უფრო ახლო აქვს გულთან!

მეორე მინაწერი კი სულ არ წაუკითხავს ნათიას. მერმე, გვიან, სამგზავრო ხელბარგი რომ მოიშადა ისევ მიიზიდა ციკქნა ამანათის სურნელმა.

ახლა სულ ბოლო წაიკითხა.

— რა ხეკაუნობას გვირჩევეს ეს „ტყის მინდია“? — და ქალს ისევ დავა და ჯიუტობა წამოეძალა.

— ახლა მე რომ ბორჯომში მნახოს, ამ წერილის ძალას მიაწერს! არა, მე სწორედ არ წავალ ბორჯომში... და „ტყის სურნელს“ ისევ „ზღვის სუნთქვას“ ვამჯობინებ! — თავი ხმამაღლა დაირწმუნა და სადგურისაკენ გასწია. თუმცა წერილი და სურნელი თან წაიღო.

კარზე კი უსახელო წერილი დასტოვა...

„მე სოხუმში წავედი, არა ბორჯომში“

მეორე დღეს უკვე სოხუმში იყო და ვიდრე ახალმოდური, საბანაო სამოსი არ შეიძინა და ტანზე არ მოირგო, არც გამოსულა ზღვაზე.

მამის შორეულ ნათესავ მოხუცებთან დადგა. ხეირიანად არც იცოდა ქუჩის სახელი. საიღაც კელასურისაკენ იყო. ისე ახსოვდა.

ზღვის პირზე რომ გამოვიდა, მობანავეთა ყურადღება ხელად მიიპყრო. ქალებისა — შურიანი, მამაკაცებისა — აღრფთოვანებული.

ზღვისპირზე ტურისტების შემოსევა იყო. უამრავი ხალხი ირეოდა. მუმლოვით ყველგან ატანდა, რიყეს ჰფარავდა. ზღვის ნაპირი არა ზღვითა და არანაკლებ ზღვით იყო წალეკილი.

ნათიამ ამაოდ სძებნა მყუდრო ადგილი. ვერ იპოვა და ბოლოს მიხვდა — მყუდროების მამიებლობა ზღვისპირზე საერთოდ უადგილოც არის და უმართებულოც... ეს არ არის ზღვის „მოწოდება“!

„ტყის მოწოდება თუ არის?“ — გაიფიქრა ნათიამ და გაგას წერილი მოაგონდა.

ბოლოს განზე გავიდა. ზღვაში, საცურაო საზღვრის კიდებზე, მოზრდილი, ალაშაღმართული ტივტივა შენიშნა. იქ განიზრახა გაცურვა.

ახლოს არავითარი საფარი არ იყო. აქვე კენჭნარში ძლივს ჩაამაგრა თავისი ფერადი ქოლგა. ისწრაფა. ზედმეტი ყველაფერი იშორა და ზღვას მიაშურა. ცურვა კარგი იცოდა და შორს გაბედულად შეიჭრა. დროშინ ტივტივას მიღწია, ზედ შეცოცდა, დაისვენა. მართალია ზედ ვერ დაწვა, მაგრამ საკმაოდ მყუდროთ მოიკალათა და მიყუჩდა, თითქოს ზღვას მიეზარა. მზის ამაზნაც აქ მიიღო და ზღვაც აქ იყნოსა.

გაგას წერილის შემდეგ ნათიამ სულ სხვა თვლით შეხედა ბუნებას. თავს უსაყვედურა კიდევაც... და მართლაც



ბუნებამ გააჩინა, ბუნებაში ცხოვრობს და მაინც ვერ ჰხედავს ბუნებას... უბრალო გარემოებად სთვლის. მოვლენებს როგორც ნივთებს ისე განიციდის, მაგალითად სკამი, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა — ზედ დაჯდეს და დაისვენოს აი ისე, როგორც ამ ტიპტივაზე... სადაც ფსიქერზე. რკინის ეს დიდი ბურთიცი მიბმულია „ბუნებაზე“, დანარჩენი კი ყველაფერი ხელოვნური აქვს, მისამგელი ჭაჭვიცი. რკინის გარსიცა და წყალზე ტიპტივის თვისებაცი!

„ტყეზე ნაკლები ზღაპრულობა და მარტოობა არც აქ არის, ჩემს ტიპტივაზე!“ — მარტოებლა მცურავმა სადაც ვილაცას დაუბრისპირა თავისი ფიქრი... და მართლაც აქ მარტო იყო. შორს ნაპირზე კი ირეოდა ფუტყარით ნაყარი ცხოვრება და შიშველი ხალხი.

წინათაც არაერთხელ ყოფილა ზღვაზე, მაგრამ მაშინ ზღვა მხოლოდ „დიდი საყუშპალაო“ იყო... ახლა კი ასე რამ გამოსცვალა, გავას სიტყვებით რომ ვსთქვათ, „უშზრახ ოსტატის“ ნახელავი „ბუნება“.

„ზღვას ახლო სანაპიროზე უდარღელობა სკოდნია, მაგრამ ცოტა შორსავე, გაუთავები ფიქრიცა და, ვგონებ, ტყეზე უფრო დიდი დუმილიცი!“

ქალი ტაატობდა ტიპტივაზე და გრძნობდა, რომ აქ მთავარი „მოხმარე“ თავად ზღვა იყო და უსასრულობის გრძნობა!

ნათიას ერეოდა სრული მარტოობისა, უმწეობისა და უმიზნურობის უეცარი შეკრთომა. ახლა მიხვდა, რომ მარტოობა და მარტოდ ყოფნა ერთი და იგივე სრულიადაც არ არის!

„ზღვას ხომ ფსიქერი აქვს და ძირი არა, მით უფრო, ძირთა ჩახლართულობა!“ — მაგრამ ეს „წერილის“ ფიქრები უფრო იყო. ახალგაზრდა ქალის, თავდაცვაც, იმაში მდგომარეობდა, რომ ეჩაუქებოდა თავს და სადაც აზრის დრეკა არ ჰყოფნიდა, ჯიუტობით ავსებდა უნებურ დავას. უფრო მეტიც, ფიქრის „ტიპტივას“ სულ სხვაგან ჰბორკავდა და აბამდა...

„არც ზღვის სურნელია ნაკლები... ოღნავ ნოტიო, ოღნავ მღჟჟე...“

გულსაც აქეთ აყოლებდა, მზეცა და ზღვაც თითქოს შველოდა... აღუნებდა, თენთავდა... ბოლოს სულ უფიქრელადაც ხდიდა.

ერთი კვირის განმავლობაში ბაცი ბრინჯაოს ფერად მოიკიდა მზე და უფრო გამშვენიერდა.

თითქოს სულ უდარღელად ვიდოდა დღესათვალავი. ქალი ტანის უშუალობით გრძნობდა, როგორ ეფინებოდა მზე და ზღვის სიო მის მკერვიც, ახალგაზრდულ სხეულს. თითქოს არავითარი სურვილი არ გააჩნდა, მაგრამ კვირის ბოლოში უკვე ეშორა თავისი ამოჩემებული ტიპტივა. ზღვაში მარტოობამ თავი გააბეზრა, ახლა ნაპირზე, ხალხში მარტოობა მოენატრა... და თავის ქოლგის ქვეშ დასჩემდა წოლა. ბანაობის შემდეგ მზის აბაზანების მიღება, რომანების კითხვა, თვლენა და ოცნება... ირგვლივ მოზუზუნე ხალხის, შეუხედავად გრძნობა და უნებლიედ მოსმენა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოძახილი საუბრისა.

კვირის მიუწრულში დაისის მზე მეტად იკბინებოდა. ნათიას ოღნავ, სულ ოღნავ თავბრუ ეხვეოდა და თვალებს ახუჭვინებდა. სილანარევე კენჭნარზე თავჩამხოზილად მწოლს, ნიადაგიდან ნიყარების სუნი ეძალეზობდა. ხელებში მოხვედრილ სილას სითბო კი გამთბარ სანთლის გრძნობას უღვიძებდა. თვალწინ თავის ნაძერწები ტალღებივით უწყებდნენ ჩენას და, პირველ ყოვლისა, „უჩინმაჩინა ქუდოსანი“ წამოდგებოდა... ისევე ცეკვავდა... მაგრამ ახლა ქუდი მოხდილი ჰქონდა და მაინც არ უჩინდა სახე-თვალეზი! მას ახლა თითქოს უღრანი ტყე ეფარებოდა.

ქალს ახლა ყურში ესმოდა კაკუნის... არა, ეს კოდალა სრულიადაც არ არის თუმცა ჰგავს კია!.. აქ ზღვის კენჭებზე მოსიარულე მსუბუქ ტერფების ხმა... აი, თითქოს ვილაც უვლისი გარშემო მასა და მის ფერად ქოლგას... და კენჭებს

ურთიერთს უკავუნებს... ყურადღების მიქცევას ლამობს! თითქოს არც ერთი წყვილი ფეხის ხმაა? მრავალფეხად გამოდის ვნაისი. აი, ვგონებ ახლო-მახლოში ჯდებიან და აკაკუნებენ!.. არა, წებებიან და მაინც აკაკუნებენ! ვაეები არიან, ქალიშვილი ტანით გრძნობს და თვალს არ ახეხს... არც გაახეხს! არც იძვრას! ეს „კოდალები“ რომელ ტყიდან ვადმოფრენილან?

კარგა ხანს ასე იყო... ხშირად უძრაობა — მოძრაობაზე უფრო დამლული და დამქანცველია! ქალი საკმაოდ გამოშიშვლებულ სხეულზე გრძნობდა ვაეების ცქერას. აბა, საცურაო სამოსი ვერაფერი ჯავშანი იყო, მაგრამ ქალს, თითქოს არც სურდა ჯავშანი და მზით დამწვარ კანის იმედად იყო!

ბოლოს „კოდალებიც“ თითქოს მიხედნენ და გაჩუქდნენ, მაგრამ არც წავიდნენ. ქალი კი გაბეზრდა, შეწუხდა ასეთ უძრაობაში. წამოჯდა, თვალები არც კი გაუხელია, ისე ადგა, მიაშურა ზღვას, შეცურდა... დანიშნულ ხახსა და ტყეცხვას შორს გადააცილა. თავის ასე შორს გამოქრას გამართლებაც კი მოუნახა. „ვერავითარ დანიშნულ ხახის“ ვერ შეგუებად მიითვალა... მაგრამ აქ, ზღვაში, ტუნზე შემხმარ მარილივით იგრძნო, რომ მას „ტყის სურნელი“ ენატრება „ტყეურის წერილი“ ამორჯებს... თურმე სულ უზის მოჩვენებით უფიქრობაში, სადღაც მართლაც ყოფილა „ჩახლართული“ რალაც ძირები თუ ფესვები?!

„არა, მე ახალი „უჩინმაჩინი“ უნდა გამოვეძრწო ეს მე მჭირდება! ქალი როცა მარტოა, უფრო მარტოა, ვიდრე ვაეი... ტყეში, ზღვაში თუ ხალხში, ეგ სულერთია! თანაც მარტოობა, ჩანს, ახალგაზრდას უფრო უჭირს!“

უკან რომ გამობრუნდა, მისი ქოლგის ქვეშ, ჩრდილში, სამი ვაეი დახვდა. ახლა მზე ზღვის მხრიდან იყო, მათაც ქოლგა შემოებრუნებინათ და სახეები არ უჩანდა არც ერთს, მხოლოდ შიშველი ზურგები და ფეხები. „მხოლოდ ვი-

ფიქრე, და სამი „უჩინმაჩინი“ ერთად!“ — გული მოუვიდა ნათიას (და ზღვადან ამოვიდა.

მის ქოლგის ქვეშ ქალაღის თამაში იყო გაჩაღებული. ვიდრე თავზე არ წაადგა, ვერც შეამჩნიეს „უჩინმაჩინი“ მოთამაშებმა. მერე კი სხარტად წამოვარდნენ.

სამივეს ახალმოდული ჩალის ქულები ეხურათ და მხოლოდ საცურაო მენჯსაფარები ეცვათ. ქოლგას ირგვლივ შემოადგნენ, ხატოვანი რკალი შექმნეს. ქულები ზრდილადაც და ძველნაცნობურადაც ხელშეთამაშებით მოუხადეს და ერთმანეთს აცალეს:

— ოო, ჩვენო ძველო და მარად ახლო ექსტრაკლასის სათაყვანებლო! ამ თქვენს კოპწია ნავთსაყუდელში სალუტ! მოგესალმებით! და იმედი გვაქვს — უპალსტუკობას გვაპატიებთ! მოგხსენებთ, ზღვა სალონი არაა და ვერ ითმენს ზედმეტ სამოსს!

— ყოფილ სალონისა და ახლა ზღვის სანაპიროს დედოფალი! ჩვენცა და ზღვასაც აღელვებს თქვენი ღვთაებრივი ტანი და ქოლგა!

— მზეცა და ზღვაც თქვენს ზურგს უკან არიან, მშვენიერო, და აღარც ჩანან!

ღიახ, ისევ ის „ბრწყინვალე სამეული“ იყო. ვაეები ერთმანეთს ქათინაურების თხვაში ეცილებოდნენ.

ნათია სახტად დარჩა.

— აქ საიდან? — წარბშეკრულად შეეკითხა ქალი.

ქათინაურები ისევ ზღვის ქაფივით ვადმოფრქვია.

— თქვენს კვალს მოვაგვნით! მშვენიერება ზღვაზე უფრო მშვენიერდება და არც იფარება!

— ესეც არ იყოს, ეს სიყვარულისა და სილამაზის ალაში შორიდანვე შევიცანით თქვენ ქოლგად და დროშად!

— ჩვენ ყველაფერი გვახსოვს! სილამაზეს ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ძალა გააჩნია... თანაც, ალღოს ამახვილებს! აღმასი კი რიყეზე უფრო ბრწყინავს!

ნათიას უკვე გული მოსდიოდა...

— თქვენ თუ ყველაფერი გახსოვთ, ალბათ ისიც, რომ ჩემ კვალზე სიარული არც გამოგადგათ და არც ახლა არას გარგებთ!

— სინიორინა! თქვენი „უცერბერობა“ უკვე ნიშანდობლივად შემოწმებულია. აქ „ტყის“ ნატიუსულიც არსად არის!

— ან კი როგორ შეიძლება თქვენისთანა ულტრა-ელიტა ქალიშვილს, რაიმე საერთო ჰქონდეს იმ ზეგლეჯია დინოზავართან?.. მონახოს თავისი მიამუნ-თებრონი!

— მე იმასთან საერთო არაფერი მაქვს, მაგრამ... არც...

— ამის იქით—არავეითარი „მაგრამ...“

— არც, არავეითარი „არც“...

— სილამაზის სამსახურად აღინიშნოს შემთხვევა და დამთხვევა ჩვენი შეყრისა!

— აბა გაპხედეთ — იქით ზღვა უსხეულო და აქეთ ზღვა სხეულებისა! ჩვენ — სამი და ერთი... აქ წარსული და მომავალი რა საჭიროა!

— იქით მზე — ჩამავალი და აქეთ მზე და ქოლგა ამომავლისა!

— მე კი სათქმელად რაყე დამრჩა და ზედ თქვენი, ბედნიერი, ზღვიდან ამოსული ნაფხურები!

ქალს ოდნავ უმატა თავბრუმ.. კენჭებიდან უჩვეულო სიმსუბუქე ამოდიოდა... თითქოს ზღვაც აღმურიანად სუნთქავდა და ნაპირზეც ზიბლავდა შეყუჩებულ „სხეულების ზღვას“. უგრძელეს ჩრდილების დრო იყო და გადაბრლილი მზე უსაშველო ცდუნების ყრუ-ანტლად უვლიდა მოკენჭილ ნაპირს.

ნათიაც განაბული და თვალმიკუტუ-ლი, შეციებულ მზერით ჰხედავდა და ვერც ჰხედავდა ზღვის თუ ცის დასალიერს და იქ ჩამავალი მზე გაბზარულ მთვარედ უფრო ეხედებოდა... თან თითქოს შორიდან უსმენდა სამთა სიტყვიერსა და უსიტყვო ზობა-მუდარას...

— დროს ნუ ვკარგავთ, დროს... ასეთი წარმტაცი წუთები ათას დღეში ერთი იქნება!

— რა კარგია ახალგაზრდობა, სულიერი მიყუჩება და წუთიერი თავდავე-წყება!

— ჩვენი ძახილია — ბედისწერა მოდის... წუთიერი და მარადიული! ლამაზ სხეულში მაღალი გრძნობები მოაქვს!

— დროს ნუ ვკარგავთ, დროს! — ისევ შემოტრიალდა „სამთავანა“.

პიკომ კარტი აკრიფა, ატაცებულად ასჭრა.

— ჩვენ უკეკლუცეს თიას საპატივ-ცემულოდ, მთელი საღამო ერთად... წითელი კარტი — ექსტაზური ცეკვები „ამრაში“, მეგობრული ვაშაშა-ბანკეტა იქვე!

— შავი კარტი — გვიანი სადილი „ეშერში, მერმე მთვარის შუქზე ბანაობა ზღვაში — ხელი დაჰკრა, კარტი აუჭრა მანეტრომ.

— იყოს! ოღონდ ლიკიორი „კიორასო“ იქაც და აქაც! — ხელი აღმართა სერკმა.

— იყოს! ოღონდ ქალწული კალმახი

— მეც — იქაც და აქაც! — დაეთანხმა პიკო...

ახლა ყველა ნათიას შეაჩერდა. მათ თვალთმაქცური, გაურკვეველი, იქნებ თვალთმაქცური, მუდარაყა და ქათინაურებიც აღებუქდათ. ქალმა სრული აზრი ვეღარ გაართვა ვაყების მონუსხულ სურვილს. ახალგაზრდული ღტო-ლვა მასაც გადაედო და შეაყოყმანა... მერე ვილაყამ, თითქოს სხვამ, მის მაგიერ გაბედა და არჩევანი ბედზე მიაგდო.

— ჯერ მე ვყრი... წითელი — მოვდივარ, შავი — არა!

ვაყებმა მოლოდინით თავი დაჰხარეს. ესეც მათი სტიქიისა იყო.

ქალმა პიკოს მიწოდებული კარტი აიღო, ისევ გადაჭრა, გადახსნა და კენჭებზე დააგდო... თითქოს ხელი დასწვა...

— მოდის! — ერთხმად შესძახეს ვაყებმა.

კენჭებზე მართლაც წითელი კარტი გულალმა იდო.

— ახლა კი ჩვენ ვყრით! — პიკომაც ქალადღს ქალადღი ხელჩვეულად დაა-

დო და ენის წეწკითა და დაგემრიელებით „გაჩითა“.

— ესეც წითელი — „ამრა!“

ნათიამ ერთ წუთს „ეშავა“ ორივე წითელი, მაგრამ ბედისწერა უკვე აგორებული იყო და არც ერთი ქალი მას აღარ გადასთქვამდა.

ნათიამ სამოსი აიღო. სამივემ ქუდებზე თვალბეზე ჩამოიფხატა.

ახლა აღარც მათ უჩინდათ სახეები, მაგრამ „უჩინმაჩინები“ მაინც არ იყვნენ. მობოშებული, უკუნთო სხეულები, დახრილი მხრები, ოდნავ შედრეკილი ფერდები და წვრილ-მალალა ფეხები. სამივე დაახლოებით ერთ კალაპოტზე გამოყვანილს ჰგავდა.

ნათიამ კაბა გადაიცვა და ქოლგა აშლა. ვაყებმაც მონახეს თავისი ტანსაცმელი.

სულ მალე ზღვაში შეჭრილ „ამრაში“ იყვნენ. ტკბილი ღვინო, კონიაკი, ლიკიორი, კალმახი, მრავალი მწვარი თუ მწვადი... ქალისათვის დამატებით ტკბილცხობილები, შოკოლადი, ლიმონათი... ირგვლივ მქუხარე და თენთია ჯაზი... თავწასული ცეკვა... ხან ერთთან, ხან მეორესთან, ხან მესამესთან... ქათინაურებისა და ამო გადაკრულების საბრუნელო.

ვაყებს უხადოდ, ახალმოდურად ეცვათ და ქალს ეს გარკვეულად მოსწონდა. ყოველ ქცევაშიაც და ცეკვაშიაც მოქნილობა და დახვეწილობა ჰქონდათ.

ესეც მოსწონდა ქალს. მაგრამ მოჭარბებულ ღვინოსთან და კონიაკთან ერთად ხელშინაურობა და ცუდუბედობა შემოეპარათ.

სულ ენად დაიქლესენ. ოხუნჯობა-ანეგლოტებიც უფრო „ჩაამლამეს“.

ნათიამ ცოტა ლიკიორი შესვა, ცოტა ტკბილი ღვინო და შემხიარულდა. ახლა კონიაკი შესთავაზეს, ეხვეწნენ, აძალეს... მაგრამ მან საზღვარი დაიღო და მხოლოდ ლიმონათს სვამდა.

ვაყებმა ახლა სხვადასხვა სასმელების თხვა და შერევა დაიწყეს. ერთმანეთში შეჯობრება მოიგონეს, ახალი ტკბილ-მაგარა სასმელები და ხილი მოატანი-

ნეს... „ლიკიორის ალქიმიკოსობა“ დაიჩემეს. მაგრამ „არა სიბრძნის ქვის ვრამედ გრძნობის ელექსირის შივნა“ დაისახეს და „უმაღლეს მსაჯულად და ინკვიზიტორად“ ერთხმად ნათია ირჩინეს. მასაც „სამსაჯულოს“ ასინჯინებდნენ.

ქალმა მალე იგრძნო, რომ ასე ცოტაც ცოტაც მოერეოდა „სამსაჯულო“ და „ელექსირის აღმოჩენამდე“ აღარ მოიცადა, უარი განაცხადა. მაშინ ცეკვით გაართეს და ლიმონათში ლიკიორი ჩაუსხეს. ქალმა შესვა, მიხვდა, მაგრამ აღარ სთქვა, ოღონდ გაფრთხილდა.

შემდეგ ცეკვისას კი, ერთი-მეორის დანაცვლებით, ვაყებმა უკვე კონიაკი ჩაუსხეს ქალს ლიმონათში.

ნათიამ საერთოდ აღარ გაიკარა ჭიქა. თუმცა სადღეგრძელო, ან როგორც მან ესტრომ ბრძანა — „ექსტრა—ტოსტი“ სწორედ „ახალგაზრდა, ელიტა ქალიშვილთა მშვენებასა და სატრფიალო მოწოდებას“ შეეხებოდა.

ნათიამ დაღლა მოიმიზნა, აღარც ცეკვაში გაპყვა მათ და წასვლაც განიზრახა. მადლობა გადაუხადა და ცოტა ზედმეტი გულითადობაც დაეტყო.

მაშინ კარგად შემთვრალმა ვაყებმა ქალიც საკმაოდ შემთვრალად და მოხიბლულად ჩასთვალეს, აქვე მოურიდებლად რაღაც ჩათქვეს და კარტი ააშრიალეს.

ქალმა იწყინა. მანესტრო მოსწრებულად ხელზე ემთხვია და თვალგატეხილად შეჰხედა...

— აბა რაღა ვიღონოთ... ვინ გაგაცილოს? ჩვენ სამთავეს გვწადს ეს დიდად საპატიო და საამო ხვედრი!

— უზრდღილობად ნუ ჩამოგვართმევთ! დღეს სულ ბედისყრის დღეა! ახლაც მეგობრულად ვყრით და მეგობრებად ვრჩებით!

— უმაღლეს მსაჯულად და ინკვიზიტორად კვლავ თქვენვე გირჩევთ და თქვენთვის ყოველ მხრივ მართებულია! ქალი დიდ სარკესთან მივიდა და ვარცხნილი შეისწორა. დარბაზში უკვე ხალხი ნაკლებად იყო... ჯაზი ჩამოღვენ-

თილად ივდა. ღია სარკმელში, თითქოს პირდაპირ შიგ შემოჭრილ ტალღებზე, უკვე შეაღამე იყო ჩამოწოლილი.

სიოს ზღვაურის ხმა შემოჰქონდა...

„ამრა“ ერთობლივ თავისი შემადგენლობითა და მოწყობილობით დიდ საათის ქანქარას აქეთ-იქით ჰყვებოდა და ნათიას თავბრუს მატებდა.

ქალის ზურგს უკან თავჩაქინდრული, კისერწაგრძელებული სამეული გაშმაგებითა და საოცარ გადაციცებით კარტს თამაზობდა. სინათლის დიდი საფარი სუფრაზე სულ დაბლა ჩამოეწიათ და სარკეში ნათიასთვის ისე ჩანდა, თითქოს სამეულს კვლავ უჩინმაჩინის საერთო ქუდი ჩამოეფხატა.

შათ სახეები აღარ ჰქონდათ, მხოლოდ ხელები, მოვლილი, ფრჩხილებწაზრდილი, ნაპატიები, მოძრავი ხელები.

— ჯვრის ქალი მიდის! ბურთიცა და მოედანიც მისია! — აჩურჩულდა მაცეტრო.

— ხელიც მოემართოს, მერე არ გადათქვათ!

— ალალი და უპრაიანი... შეერგოს! ქალს თითქოს სარკედან მოესმოდა ჩურჩული. იგი ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ სწორედ იგი იყო „ბურთი და მოედანი“! გაქვავებული იდგა და რეალობას შეცილებული გრძნობით, უხამს თამაშს მონუსხულივით სარკეში შეჰყურებდა. ყოველ მოძრაობას უნებურად იმახსოვრებდა.

...და სწორედ მაშინ შეამჩნია: მაცეტრომ ერთი მის ზურგსაც ჰკიდა გაალმასებული თვალი და ელვის სისწრაფით, თავის მეგობრებისაგან დაფარულად, ერთი კარტი სახელოდან სხარტად გამოაძვრინა, თავისთვის დაიგდო და ახლა სხვებს ხელმოქნილად ჩამოუთრია.

— დამატებით ხომ არ ისურვებთ? — ენაჩაწეწილად შეეკითხა და შედგა.

— მოიტა... და ერთად ვნახოთ!

მაცეტრომ მთელი კარტი ჩამოაჩია.

ქალსაც ცეცხლი მოეკიდა. მან უკვე იცოდა ვის „ერგებოდა“ გაცილებმა. სარკეს უტია. თავზე მართლაც ინკვიზიტორივით წამოადგა მოთამაშეებს. აზარტი ისევე გადამდებია, როგორც

სახალი. აქ კი ამ აზარტს კიდევ შეეტიქსტი ჰქონდა, ქალისათვის კი ქვეგრძნობაც.

მაცეტრომ სხვებს აცლა გამოსვლა, მერმე თაკად, მოხერხებული ეჭვით ჩაახედა და მაგიდაზე გულაღმა დაჰყარა.

— ბედი დამიდასტურეთ, თია, შევჯვარის ქალო!

მაგრამ ნათია უკვე გასავლისაკენ მიდიოდა.

ყველანი წამოიშალნენ. თუმცა ორნი სუფრასთან დარჩნენ, შორიდანვე გამოესალმნენ მიმავალ ქალს, მერმე მოწვევით ჩაჯდნენ და კონიაკი დიდ ქიქებში ხარბად ჩაისხეს.

მაცეტრო კი ნათიას დაეწია და გვერდში ამოუდგა.

ქალი უსიტყვოდ მიდიოდა. სანაპიროზე მანქანაში ჩასხდნენ.

— სოხუმის მთაზე! — მაცეტრომ თამამად მიამახა მძღოლს.

— რათა? მე უბინაო არ ვახლავართ! ბორჯომის ქუჩაზე!

ნათიას თავადაც გაუკვირდა, რატომ მაინცდამაინც ბორჯომის ქუჩა დაასახელა. ვერც თავისი ხმა იცნო, ვერც ზრახვა.

— ოღონდაც! გენაცვალე... მით უმჯობესი! — ალბათ სხვა აზრის ჩაყოლებით ხელად დაჰყვა მაცეტრო და ხელზე კიდევ ერთხელ აკოცა.

— სოხუმში არის კია ასეთი ქუჩა? — იკითხა მძღოლმა.

— არის, კელასურისაკენ! — ქალი კანკალმა აიტაცა, მაგრამ ხელად ხმა გაიკმინდა.

მანქანა მობრუნდა და ღამის სოხუმს გაჰყვა. მისი ძრავა ხან გულივით, ხან კოდალასავით კაჟუნობდა.

გაწკაბულ თეთრსაამო სვეტებიდან, კარ-სარკმლებიდან შუქი იღვრებოდა, ეზოებსა და ქუჩის პირებში მარადმწვანე ხეები მიჭრილად იდგნენ და მიჰყვებოდნენ.

არა, ნათიამ კარგად იცოდა, რომ ეს ნაძვები არ იყო, მაგრამ რატომღაც საკმელის სუნი თითქოს უკან მოსდევდა და ნუგეშად ახლდა.

მაესტრო კი სულ დაითაფლა.

— ულტრა სინქარე! ულტრა თავდა-
ვიწყება! ფუტკარივით ვკრიფოთ, თუნ-
დაც მათობელა ყვავილების თაფლი...
ღიახ, თუნდაც შხამიანი თაფლი —
ოლონდ კი ვკრიფოთ! ყველაფერი წარ-
მაგალია და ჩვენ ვიჭერთ თაფლიან წუ-
თებს! მე ორი სიტყვა და რამე მიყვარს
ამ ქვეყანაზე — ულტრა და ელიტა! მე-
სამე თქვენ ბრძანდებით — თია!

ქალი კვლავ სდუმდა, ბოლოს ჩურჩუ-
ლით უთხრა:

— მე დავინახე... თქვენ სახელოდან
ამოაძვინეთ შავ-ჯვარის ქალი!

მაესტრო ერთი შეკრთა, ქალს მოჰხე-
და, მაგრამ ქუჩაშიაც უკვე ბნელოდა
და მანქანაშიაც. ქალიც სდუმდა. ვაჟმა
ხელად, ჩაკუტკუტებული ხითხითი ამო-
აბა დაბნეულობას.

— თქვენმა ტრფიალმა ყველაფერი
ჩამადენინა! თქვენ დაუშვებელი სილა-
მაზე გაქვით! თქვენ დიდებული, მხო-
ლოდ თქვენი თვალების დარი თვალი
გქონიათ! ჩემი ჩინებული პარტნიორი
ყოფილხართ! ყველაფერში ღიახ, ყვე-
ლაფერში! მძლოლო — ულტრა სინქარე!
დანარჩენი ჩემზე იყოს! — წინ მესაქვს
გასძახა და ისევ ქალისაკენ მობრუნ-
და, — ტრფობის ბინისაკენ თია-ელიტა!
ქალმა ძლივს გაარიდა სახე.

...და უეცრად აქ გამოირკვა, რომ ნა-
თიას „ტყუურის წერილი“ თითქმის ზე-
პირად სცოდნია... ერთმა სტრიქონმა კი
ვგონებ, მანქანის წინა შუშაზედაც გა-
დაირბინა.

„...ადამიანს ხომ ერთი ფეხის წაკვრა,
ერთი სიკვდილი ჰყოფნის!“

— გააჩერეთ!

— მოვედით? — ქალს უკვე ხელუწ-
მაწურად მოელაციცა „პარტნიორი“.

— ღიახ, მოვედით! მორჩა!

მანქანა ხმაურით დამუხრტკდა და
შედგა. ნათიამ თავად გამოალო კარი და
გადმოვიდა. ვაჟმა მძლოლს ფული და-
უთვლელად მიუგდო და ქალს გადმოჰ-
ყვა, დაეწია.

— თავს ნუ იწუხებთ! — შემოუბრუნ-
და ქალი, — ყელამდე სახე ვარ თქვენი
პატივისცემით ულტრა-მაესტრო!

მაგრამ გათამამებული „ოსტიტ“
აცტებულად აპყვა და ხელი წელზე
მოჰხვია.

— ჩემი ხვედრი და ჭილდო!

ქალმა მოუხედავად, მთელი აღშფო-
თებული ძალღონით სახე სილა სტკი-
ცა და დაბობრილა.

— ესეც თქვენი ხვედრი და ჭილდო!

ქუდი ისევ გადაუვარდა მაესტროს და
გაცეცებული სახე გამოუჩინა. დაბნეუ-
ლი გაკვირვებითა და უეცარი შეკრთო-
მით წამოიძახა:

— მარტო ეგ... მე?!

— ვთხოვთ სამივეს გაუნაწილოთ!
ექსტრა-ელიტა!

ქალი გაბრუნდა და წავიდა. მისი
სადგომი აღარც შორს იყო. მაგრამ რა
ერქვა ქუჩას — ეს არ იცოდა.

IX

გაგას ეგონა, რომ თბილისში სასწრა-
ფო გამოძახება მისი შეგვიანებული დი-
სერტაციის გამო იყო. ცნობა ელსმენით
მოაწვდინეს და არავითარი დაწვრილე-
ბითი ამბავი არ იყო ცნობილი.

დისერტაციის წარდგენა მართლაც
შეავვიანდა. მზად კი ჰქონდა. დამთავრე-
ბული, გადაბეჭდილი, ჩასწორებული...
დროებით ყდაშიაც კი ჩასმული. მაგრამ
იმის შემდეგ, რაც ეჭვი დაებადა ლაფ-
ნიქმამასთან ბრძოლის მიღებულ სა-
შუალებათა ირგვლივ, თავისი დისერტა-
ციაც ჯერ დახურა, მერმე უჯრაში ჩადო...
ხოლო ცდების თანდათანობითი უარ-
ყოფითი შედეგების გამოაშკარავების
შემდეგ, სულ შორეულ უჯრაში გადას-
ლო და ახალი ცდების დაშედეგებას
შეუდგა. ეს მას არ განუცდია როგორც
მარცხი, უფრო როგორც გამოცდილე-
ბა. მაგრამ დისერტაციის წარდგენა კი,
რალა თქმა უნდა, ფრიად გვიანდებოდა.
უსიამოვნო საუბარი გარდუვალი იყო.
თბილისში რომ ჩამოვიდა, სულ სხვა
რამ გამოირკვა, სატყუოს მთავარ სამმა-
რთველოში იბარებდნენ, მისი მოხსენე-
ბითი ბარათის გამო.

აქ უფრო დიდი დავა და მკაცრი გან-
მარტება — პაექრობა მოელოდა.

შინ არც გაუვლია. მატარებლიდან პირდაპირ სამმართველოში წავიდა. და როდესაც უფროსთან წარსდგა, ტყის სურნელი და იერი თან ახლდა და თითქოს ზრუნვის ვალდებულებას უფრო უმტკიცებდა...

უფროსი ფრიად მეგობრულად, მაგრამ დაბეჯითებულ შეგონებით შეხვდა:

— თქვენ მეტად თამამად, აჩქარებულად ილაშქრებთ დიდი ავტორიტეტების წინააღმდეგ... თქვენ, ფაქტურად, უარყოფთ მნიშვნელოვან მეცნიერულ და პრაქტიკულ მიღწევებს. ჩვენ რომ ფართო მასშტაბების ბრძოლა არ გვეწარმოებინა, წარმოდგენილი გაქვთ, როგორ გავრცელდებოდა ლაფნიჭამია? თქვენ ამას არ ამბობთ, მაგრამ არსებითად ცილს სწამებთ, ჩქმალავთ მიღებულ და მეტად ძვირად დამჯდარ ღონისძიებათა დადებით შედეგებს!

— ...ღიან, მეტად ძვირად დამჯდარ! — ყრუდ, მაგრამ დარწმუნებით ჩაიღუღუნა გაგამ. დიდი კაბინეტის მთელი გარემო, დერმანტინით მოგულული კარები, თოქმა სავარძლები და დიდი მაგიდა, ყველაფერი ეხმარებოდა, თითქოს ბანს აძლევდა უფროსს. მაინც, რამოდენიმე წამდაუწუმ მრეკავმა ელსმენმა გაგას გულისყური წაუღო. უფროსსაც ხშირად უხდებოდა სხვებთან სულ სხვა საკითხებზე სჯა-ბაასი და გამოძახება. ეს უშლიდა მათ საუბარს და ტყესაც საღლაც შორს შორს სტოვებდა.

— მაშ, მეტად ძვირად დამჯდარ... თქვენც ადასტურებთ!? — უფროსმა უკან დახევად მიიღო გაგას სიტყვა და უცბად მოლბა. ამ ლაფნიჭამიას გამო მას არც მოსვენება ჰქონდა და არც მომდურავები აკლდა. ძალასაც არ იშურებდა, მაგრამ ვითარება სულ უფრო და უფრო ძნელი თავგასართმევი ხდებოდა.

— მაშ უკან მიგაქვთ მოხსენებით ბარათი? თქვენს განმარტებებსა და ახალი ცდების შედეგებს კი დაველოდებით... — უფროსმა ბარათი გამოუწოდა გაგას.

ახალგაზრდა მეცნიერმა ჯაგრა-ურჩა თავი ღინჯად გაიქინა.

— არა, მე ვამტკიცებ, რომ დიზელ-

საწვავში გახსნილი შხამა სრულყოფილ სობს ლაფნიჭამიას, მაგრამ მასთან ერთად სწვავს და ახმობს ზესსკენ ჩვენი ზოგი მეცნიერი ამას თავრდნ ამტკიცებდა, მაგრამ ყურთ არ ვიღეთ! მე აქამდე ეჭვი მქონდა, ახლა ცდებით დავრწმუნდი და ალბათ, ახალგაზრდობით, ველარაფერი გამაჩუქებს!

უფროსმა მაგიდაზე დასდო გაგას მოხსენებითი ბარათი. ელსმენის ხარს მოჰხედა. ყურმილი აღარ აიღო. მდივანს გადაუყვანა. შემოღებულ კარშიც გასძახა...

— ვერავის ვერ მივიღებ! ტელეფონიც არ შემიერთოთ! კოლეგიის წევრებს დაუკავშირდით... სასწრაფო სხდომაზე იწვიეთ! — და ისევ გაგას მიუბრუნდა, — რას ამბობთ, ახალგაზრდა? ეს ხსნარი თითქმის ერთხმად გვირჩიეს მოწვეულმა ექსპერტებმა! მიიღეს ჩვენმა მეცნიერებმაც!

— არა ყველამ... მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა მხოლოდ... ლოკალურ...

— თქვენ? თქვენ პირადად ახალგაზრდა მეცნიერო? — გააწყვეტინა უფროსმა და წინ წამოიხარა, ღიად შეჰხედა გაგას...

— ჩემი დისერტაცია სწორედ ამაზე იყო... იცავდა ამ სასხურებელს...

— მე ვიცი... და ვაშა, რომ სიმართლეს ამბობ! — მოეწონა უფროსს.

— მე ბოლომდე მინდა ვაშითა და სიმართლით დავრჩე! — გაგა წამოგდა, ველარ დაეტია სავარძელში... — მეც დავერწმუნე ავტორიტეტებს, მაინც ტალმანიძეს და სხვათა... მაშინ უმჯობესი საშუალებაც თითქოს არ ჩანდა...

— ახლა?

— ახლა მე ვხევ ჩემს დისერტაციას და ახალს ვიწვებ! მხოლოდ ცდების საფუძველზე!

უფროსმა განცვიფრებით შეჰხედა გაგას, გუნებაში მოეწონა კიდევაც, მაგრამ კაცის მოწონება კიდევ არ ნიშნავს მისი აზრის მოწონებას...

— ეს შხამაც შემოწმებულია... ცდების საფუძველზე!

— სად? ჩვენთან ახლა შევამოწმეთ

მხოლოდ... მეც იმის შედეგები მოგახსენეთ.

— ჩრდილოეთში... ტაივის ნაძენარში!

— საქმეც ამაშია... აქ ჩავდივართ შეცდომას! ჩრდილოეთის ნაკლები მზე და მოკლე ზაფხული, ჩანს ვერ ასწრებს დიზელზეთის საშიში თვისებების ამოქმედებას, მერმე კი, ჩანს, ირეცხება ან ძალა ეკარგება შხამს. გარდა ამისა, მე პირადად, ლიტერატურაში აღწერილი, მხოლოდ მოქრილ ხეებზე ვნახე, ამ ნაზაის გამოყენების ცნობა.

— კონსულტანტებმა პირადად მოგვახსენეს...

— პროფესორმა ტალმანიძემ ბევრი რამე მოგახსენათ ზეპირად! ჩვენი ცდები კი სხვა უარესს მოგახსენებენ!

— ეს სადააო, მეცნიერებს შორის საკამათოა! ჩვენ ხომ შევანერეთ ლაფნიქაიას დიდი ტალა!

— სამწუხაროდ, მხოლოდ ქაღალდზე! მე კი ტყეს ვასახელებ მთავარ მოწმეთ! ახლა ყველაფერი აშკარაა!

უფროსის განკარგულებით სასწრაფოდ მოწვეული კოლეგია უმალ შეიკრიბა. საგანგაშო, ჯერ გაუბედავი და ვერც ჯეროვნად დასაბუთებული ცნობები შეწამლული ხეების დაზიანების შესახებ უკვე ბლომად იყო აქ, სამმართველოშიაც და სამეციალურ საპრობლემო კომისიაშიაც.

უფროსს სურდა კოლეგიის აზრიც ნათელი ყოფილიყო. არა, არც პასუხისმგებლობას იშორებდა, მაგრამ არც მართო თავისი რწმენით დარჩენა უნდოდა. ახლა მასალები დაგროვდა და წმინდა უწყებრივ მოვალეობის გარდა, სახელმწიფოებრივი და ყველა სხვა ინტერესები ამ საკითხის კიდევ ერთხელ გარჩევას მოითხოვდა.

პირველი სიტყვა გაგას მისცა. ჯერ მოხსენებითი ბარათი ხმამაღლა წააკითხვინა, ახლა ზეპირად ალაპარაკა. გაგას ახალგაზრდული პირუთვნელობისა სჯეროდა, ამიტომ ბოლომდე სურდა მისი მოსმენა, იმისდა მიუხედავად, იზიარებდა მის აზრს, თუ არა.

გაგამაც გულს უკან არაფერი არ მოიტოვა. ბოდიში მოიხადა, მაგრამ ყველა ფრჩხილები გახსნა. დასკვნაც: გულს ახალი მოაბა.

— ჩვენ შეცდომას შეცდომაზე ვუშვებთ ტყის წამლობაში. ასე სულ მალე ხელში ჩაგვებარებება ჩვენი ნაძენარი. მასობრივი ჭრით ტყეს მთლიანობა დაევრდეთ, გზა გაეუხსენით მავნეს. ერთი დაკვრით იმდენი ნაძვი მოგუქვრით — მთელ საქართველოს ღობედ შემოადგებოდა!

ყველა სდუმდა. დიდ კაბინეტში თითქოს უამრავმა აჩეხილმა და დამბობილმა ნაძენარმა გადაიღვრა და გაპქრა... მხოლოდ კვამლი დასტოვა...

— დიზელსაწვავიან შხამით იმდენია შეწამლული, რომ ახლა უკვე მთელ ამიერ-კავკასიას ეყოფოდა შემოსარავად!

— ჰოდა, ვაშა ჩვენს ვეებერთელა საქმიანობას!

— სამწუხაროდ, ახლა უკვე საექვო აღარ არის, რომ „ამ საქმიანობით“ შეწამლული ხეები ზოგი უკვე გახმა, დანარჩენებიც ცოტად თუ ბევრად გახმობის კანდიდატებია! ასეთი ზიანი ტყისათვის, ვგონებ, თვით იმასაც არ მოუტანია, ვის წინააღმდეგაც ვიყენებთ წამალს!

კოლეგიის წევრები ერთხმად აყვირდნენ და ახმაურდნენ...

უფროსმა ძლივს დაამყარა წესრიგი.

— დაწყნარდით! ეს ახალგაზრდული გაზვიადებაა. არაფერი არ ხმება! სულ უმნიშვნელო პროცენტი! ამდენი და უფრო მეტიც, ისედაც გახმებოდა... ასე რომ საგანგაშო კვლავ არაფერია!

შეწამლულმა ტყემ კიდევ ერთხელ გადაიღვრა კაბინეტში. თამბაქოს შიძიმე კვამლი მატულობდა. პაერიც უფრო შემძიმდა. დოსტაქრებს ჩახრილი, აღელვებული სახეები ურთიერთისათვის მოერიდებინათ, თითქოს იატაკზე დაეარდნილ სულთმობრძავს დაჰყურებდნენ და ერთმანეთის მიმართ ეჭვი ჰქონდათ... არა, ავადმყოფის საერთო დიაგნოზი კი სწორი იყო, მაგრამ დანარჩენი — რეცეპტი, წამლობა, მოვლა და საერთო დასკვნა, სულ სხვადასხვა გამოდიოდა.

ხშირად, ურთიერთ გამომრიცხავი და საბოლოოდ სნეულისათვის არც თუ სარგო!

— სწორედ საგანგაშოა! — ხმა აიმაღლა გაგამ, — თვალს ნუ ვხუჭავთ და სირთულესაც ხელს ნუ ვაფარებთ! ეს დიდი ეროვნული საქმეა! აქ პედანტური ოპტიმიზმი სრულიადაც არ გამოდგება!

ისევ ყველა ალაპარაკდა...

— მოთმინეთ! რას გვიყიყინებთ! ვანა ჩვენ ნაკლებად გვიყვარს ტყე თუ ხალხი?

— თქვენი შიში და აღელვება გასაგებია. მაგრამ ახალგაზრდული სიფიცხე ზოგ მსცოვან მეცნიერის პედანტობას ედრება და ხშირად უფრო საჩოთიროც არის!

— ტყეში არც ისე მარტივად და გარკვეულად არის საქმე, როგორც თქვენ გეჩვენებთ... ჩვენ სხვა დასკვნებიც გვაქვს, ახალუმწიფარო!

გაგას ისევ გაუწყდა მოთმინება.

— დიას, მდგომარეობა უფრო ჩახლართულია... თუმცა ზოგი ჭირი ტყეშიაც მარგებელი გამოდგა!

— რა ჭირი? ლაფნიჭამის გარდა?

— არ გვესმის! გაგვაგებინე!

— რებუსებიტაც დაიწყე ლაპარაკი? ახლა კი უფრო ახლო მოდგნენ. მაგრამ გავა უცბათ გაჩუმდა. ერთიც ჩაფიქრდა და თავისთვის ჩაიდუღუნა...

— ყველაფერი ვთქვა? ვაი, თუ უფრო ვაენო საქმეს და ვინმეს? არც ამისი სურვილი მაქვს!... მაგრამ ახალგაზრდობა ხომ ხმამაღალი, ნაპერწყალა ფიქრია და ახალი შემართება? — გაგას ამ ბოლო აზრის შესახებ არასოდეს არ უფიქრია, არც ჩუმათ და არც ხმამაღლა და ახლა თვით მთქმელს ვერასგზით ვერ აგონდებოდა საიდან მოხვდა მის სიტყვაში ასეთი „ნაპერწყალა“ გამოთქმა!

— ყველაფერი სთქვი! ნაპერწყალიანიცა და წყალ-წყალაც! — აქეთ-იქიდან შესძახეს კოლეგიის წევრებმა.

— ყველაფერი! — დაუდასტურა უფროსმაც.

მაგრამ გაგამ ჯერ მაინც შეკითხვით დაიწყო:

— თქვენ იცით რა არის წიწვის წვიმა?

წიწვის წვიმა

აქ ყველა მცოდნე, გამოცდილი მუშაკი და მოხელე იყო. გაგას შეკითხვა მართებულად, გულუბრყვილო გამოწვევად მოეჩვენათ...

— ტყის ტერმინოლოგიაში არ არსებობს ასეთი ცნება!

— არც ერთ ლექსიკონში არ შემხვედრია!

— ლექსის სათაურს უფრო ჰგავს!

— თქვენ ვაუთავებელ დისერტაციაში ხომ არ არის? სატყეო მეცნიერებაში კი არ გავგონილა!

— მეცნიერება, პირველ ყოვლისა, სიზუსტე არის, ყმაწვილო!

გაგამ დინჯად მიიღო ეს გელიქემური გაკილევა. ისიც იგრძნო, რომ დაიმსახურა, მაგრამ უკან დახვევა და ბოდიშების მოხდა აქ უკვე აღარ გამოდგებოდა, მთელი მისი მეცნიერული გულბეჭითობა და კეთილსინდისიერება სასწორზე იყო.

— საუბედუროდ გავგონილა, არის კიდევაც ბორჯომის ტყეში! გადით ნაძვანში, გზის პირებში — წალღერთან, ჩარხისწყალთან, ცემთან, საღგერის ზეგანზე, ჭობისხევში, ლიჯან-ლიბანში, ნაქრძალ-უქრძალში და სადაც ვნებავთ, იქ, სადაც დიზელსაწვავიანი ხსნარით არის ტყე შესხურებული, შემოჰკარით ცულის ყუა შეწამლულ ნაძვს და თქვენ მოწმენი გახდებით წიწვის წვიმისა. დიას, ხეს ჯერ კიდევ მწვანე წიწვი სცვივა!... ეს უტყუარი ნიშანია მისი გახმობისა. მე ათას ხეზე მაინც შევაგომწმე, ათას ადგილას, და ახლა ამიტომ ვამბობ ასე დაბეჭითებით... ზოგმა ჩვენმა მეცნიერმა თავიდანვე სთქვა, მაგრამ მაშინ ყურთ არ ვიღეთ! ნეტავ მეც ვცდებოდე ახლა... თვალის დახუჭვა კი სწორედ ყველაზე უფრო დიდი შეცდომა იქნებოდა!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა უკვე გულჩათხრობილი სიტყვა თუ გაისმოდა...

— მაშინ საბოლოოდ დაღუპულა ტყე... რამოდენიმე ასიათასი ხე შევწამლეთ მაინც...

— თუ ეს ასეა, ერთ-ორ წელიწადში ყოველი შენაწამლი ნაძვი გახდება!

— ბორჯომის ტყეში კი ოცდათვრამეტი პროცენტი ნაძვია!

ახლა კი გამხმარი წიწვნარის ფერი დატრიალდა დიდ კაბინეტში, ყველაფერი ააფორაჯა. თითქოს აქაც სცრიდა წიწვის წვიმა და „ასეულებდა“ უამრავ უწერ-ნაწერ ქაღალდსა და მოხსენებით ბარათს, განმარტებასა და დასკენას, ოქმსა და ანგარიშს...

— მაგრამ არც ისე ცუდად არის საქმე, — ისევე გაგამ დაამშვიდა შემფოთებული კოლეგია. — გზის პირებში, ახლო მისადგომებში, მართლაც უიმედო მდგომარეობაა... მაგრამ უფრო ღრმად, ტყეში... მრავალ ზოგად და კერძო მიზეზის გამო, შეწამლულ ხეთა რიცხვი მეტად გაზვიადებულია... ხეები, ახლა კი საბედნიეროდ, ან სულ არ არის შეწამლული, ან ძალზე ცოტა ხსნარით... ეს ხეები, თუ ლაფნიჭამიას გადაურჩნენ, წამლისაგან სამიშროება მათ არ მოეკლით!

ახლა კი სულ ჩამუქდა კაბინეტის „პავა“. მუნჯად ჰქუხდა და უხილავად სეტყვავდა ყველას. მეტად მძიმე ვითარება შეიქნა. თითქოს შორეულ ტყის თავზე ძლივს გამოჩენილი ცისარტყელაც თავდაყირად ეკიდა. მცირე საშველიც უკუღმა შემოდიოდა ტყეში.

სიჩუმე განანგრძლივდა. მერმე ვიღაცამ სულ ჩუმით, ფიჭრთანად ჩაიდუღუნა.

— ტყიან-კაციანად არ შევეუქამოვართ ამ ვერანა ლაფნიჭამიას!

ახლა მეორემაც მისცა ბანი; მხრებიც შეპყარა:

— უკუღმართი საქმის უკუღმართად გაწაღმართება?!... ეს მართლაც ვაიუმველებელი საქმე ყოფილა!...

სასწრაფოდ შეპყარეს ყველა მეტყევე და ტყის ენტომოლოგი. სხვა დაკავშირებული დარგების მეცნიერებიც და მუშაკებიც იწვიეს. მრავალი კომისიის ძველი და ახალი მასალა გადაჩხრიკეს და ახალი თვალთ შეამოწმეს.

ზოგმა დუმილი არჩია. ტყის პილა-

ტეც არა ერთი აღმოჩნდა, ზოგმა თავი მოისაწყლა, ყველაფერი მეცნიერებსა და უფროსობას გადააბრალა, მაგრამ უმრავლესობამ შეწამლული ხეების ხმოზა დაადასტურა.

საპრობლემო კომისიამ დაუყოვნებლივ აკრძალა დიზელსაწვავიანი მანქანები დროებით შეიცვალა ემულსიით, რომელშიაც ზეთის რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო. ეს ახალი, უკვე შემოწმებული ხსნარი, ნამდვილად აღარ აზიანებდა ხეებს, მაგრამ ლაფნიჭამიას მიმართ კი ძველ ხსნარზე მნიშვნელოვნად ნაკლებ ეფექტური იყო.

ეს დღეები გაგამ დამაბუღლობაში და აგზნებაში გაატარა, ბორჯომში აბრუნება-ჩამობრუნებაც კი მოუხდა, ახალი მასალების ჩამოსატანად.

და აი, როდესაც კომისიების მუშაობა და დიდი თათბირიც ჩათავდა, აღელვებულ-დაღლილი გაგა მიდიოდა თბილისის ქუჩებში და ტყის დარდი არ შორდებოდა. აღელვება კიდევ ჰო, მაგრამ ასეთი დაღლა მას ტყეში არასოდეს არ უგრძენია.

ხშირად თათბირი თავისი დამქანცველობით მაღაროდან ფუჭი ქანის ამოღებას უდრის, მეტად საჭირო საქმეს, მაგრამ შედეგისი ძარღვი კი სხვაგან არის!

გაგა გრძნობდა, რომ „შავ მანებლის“ წინააღმდეგ გულსაიმედო, ყოველმხრივ მიზანშეწონილი და მოქმედი საშუალება ჯერ არსად ჩანდა.

თავადაც ბევრი რამ სცადა, ახლა მომძე რესპუბლიკიდან ჩამოტანილ რიზოფაგებსაც ცდიდა. განსაკუთრებით კი ხე-ხაფანგების იდეის ირგვლივ მუშაობდა. მრავალი სურნელიც შეთხზა, მაგრამ სასურველს ჯერ ვერ მიაღწია. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იდეის წამოყენება უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე მისი განხორციელება... გაგა მაინც გულს არ იტეხდა...

„რა ვუყო — ეს არის ცხოვრება... და უფრო მეტიც — ცხოვრება იდეების ბრძოლაა, მაშინაც კი, როდესაც ეს იდეები ნათლივ შემეცნებულნი და სულ აშკარანი არც არიან!“

ფიქრიანად მიჰყვებოდა გაგა ხმაურა ქუჩებს და ტყის მღვმარე ბილიკებზე უფრო გრძნობდა თავს. ირგვლივ დიხახაც ტყე იყო.

„იდეა რომ გიტაცებს, მერმე ამ იდეაში გაცრილად ჰხედავ გარემოს! სამყარო კი ადამიანის შიგნითაა. ყოველ შემთხვევაში ის სამყარო, რომელიც მიზანშეწონილად ამოქმედებს და ამართლებს მის არსებობასა და ცხოვრებას! დიახ, ცხოვრებამ კი არ უნდა გაგამართლოს, შენ უნდა გაამართლო შენი ცხოვრება!“

გაგა კიდევ ვიღაცას ედავებოდა, მაგრამ ეს უკვე „ტყის ირგვლივი დიდი დავის“ ვარეშე იყო.

უეცრად ქუჩა შეიცნო. უკვე თავის უბანში მოსულიყო. თუმცა მის ეზოში სხვა, უფრო სახერხო შესავალიც იყო, მაგრამ გულმა და დავამ ამ შესავალთან მოიყვანა. დიახ, იგი ისევ და ისევ ნათონათის ედავებოდა... და ამ დავაში რაღაც აუცილებლობისა, მიკერძოებისა და ფიქრების მიბორკვის გაღვივებული მარცვალი იყო.

უკვე კიბეზე მოაგონდა, რომ „ხმაშაღალი, ნაპერწკალა ფიქრი და ახალგაზრდული შემართება“ სწორედ ნათიასი თუ ნათიასებური ნათქვამი იყო.

ერთიც შეყოყმანდა, მაგრამ კარს მიადგა.

ნათია შინ არ დახვდა. წარწერა კი იყო და თითქოს მას შეეხებოდა.

„მე სოხუმში წავედი, არა ბორჯომში“.

გაგას ახლა კი უშუალოდ ნათიასმიერი ფიქრი წამოეძალა...

„ბოლოსდაბოლოს რა მსურს ამ ულტრა-ქალაქელ ქალიშვილისაგან? თუ ზნეობრივ-მოქალაქეობრივი მოვალეობაა და დიდი ხანია აღვასრულე, რაც შემეძლო დავეხმარე, რჩევითაც და სხვა საშუალებითაც... თუ ზოგადი სიკეთეა და — აქაც მოხდილი მაქვს ვალი... თუ მიყვარს... და ეს რანაირი სიყვარულია? ჩხუბი, დავა, ვერც ერთ საკითხში ვერ შეთანხმება? ნუთუ სიყვარული ორთა დავაა, ჭერ ერთმანეთთან, მერმე ქვეყანასთან, ქვეყნის წინაშე? ნუთუ დიდი

და კეთილი გრძნობა უსათუოდ „მოწინაღმდეგის“ სულიერ და ხორციელ დაპყრობას ნიშნავს და ეს ორივე მხარეს შეეხება?!

გაგამ იმავე ბარათზე წააწერა:

„ვერ გნახე. ვნანობ და ვშიშობ. ბევრი მაქვს სათქმელი და საღაო. ახლა დაზამთრებამდე ველარ ჩამოვალ. ტყეში დიდი გასაჭირია... შენც ხომ არ გიჭირს რამე?“

ბარათი ჩაუვდო და თავის სადგომისაკენ გაიჩქარა. იცოდა, იქ მეგობრები ელოდებოდნენ. და ეს, მისი ბინისათვის ფრიალ ჩვეულებრივი ამბავი, დღეს განსაკუთრებით ახარებდა. ახლა კი მათ წინაშე პირნათლად წარსდგებოდა.

უკვე ეზოშივე, მისი უშუაბანდის ღია კარიდან მომდინარე, ცხარე კამათის ხმა შემოესმა.

— გმირი ის არის, რომელიც დროის მოთხოვნის სიმალლეზე აღმოჩნდება, აუცილებელსა და უმრავლესთა საწადელს, უანგაროთა და თავდადებულად მოიმოქმედებს!

გაგამ იცნო დათო რჩეულის ხმა.

— მერმე ჩვენ ტყეში ვინ არის გმირი?

— აბა, ვინა? წვერიანო... შენ თუ ჩაგთვლით, იქ აღარც დევები არიან და აღარც ჭინკები!

— ვინც ლაფნიჭამია დევს დაამარცხებს! აი, ვინ! მაგრამ არა ისე, რომ ტყეც მოსპო წამლითა თუ ნაჯახითა!

დათოს ხმას ახლა სხვებიც ამოუდგნენ მხარში... ვატო კი აყვირდა კიდევაც...

— ტყეც ბუნების სასწაული და ტაძარია, შიგ ვანურჩეულად ყველა ნაჯახიანის შეშვება არ შეიძლება!

— ვის გულისხმობ? ვისა?

— შენც, ვაკო — ტყის უტილიტარისტო!.. უბრალოდ კი ხე-ჭრიავე! შესაფერის ხატოვანად კი ხე-გლეჯიავე!.. შენი „იდეა“ ყველაზე ადვილი გასანადგურებელია და მაინც ღარიბი ხარ... რადგან ყველაზე საზარელი სიღარიბე იდეების სიღარიბეა!

— უკაცრავად, უკაცრავად! მე შეგნებულნი ინტენერტი გახლავართ! ახლა-

გაზრდა მშენებელი! მეც მაქვს ჩემი „ტყის ილეა“ და ვიტყვი კიდევაც, დავიცავ.

გაგას შესვლამ ახლა სხვა კალაპოტი მისცა კამათს. — აი კიდევ მოვიდა! — ვანცამ სიტყვა არ დაამთავრა და გახარებული შემახილი ხუმრობაში გადაფარცხა, — ჩვენი გაკოტრებული დისერტანტიც მოვიდა და ვზა მიეცით!

მაგრამ განზრახი ხუმრობა ისევე არ გამოდის, როგორც განზრახი გულწრფელობა! საუბარიც შებოროტდა და განწყობილებაც.

გაგას დისერტაცია მაგიდაზე იყო გადაშლილი. ირგვლივ ახალგაზრდა მეტყვევე მეცნიერები, მუშაკები, სტუდენტები შემოსხდომოდნენ. მასპინძელმა შეატყო — ქალიშვილებს ბინა მიელაგებინათ, მაგრამ ვაყებს ისევ აერიათ, ალბათ, შორეულ ყუთში გადადებულ

დისერტაციის ძებნისას. აქი მიიქანეს კიდევაც... ხელდადებითა და მიითქვებით დაანახეს... თავისი დაბნეულობაც დაჰფარეს.

— ჯერ ჩვენთან დაიტყვი ეს თემა! მერმე სხვაგან!

— ჯერ ჩვენთან! აბა, არა?! ჰა, ტყე და ჰა, შენი ნაშრომი!

გაგას ფიქრიანად გაეღიმა...

— ჯერ ტყეს უნდა დაცვა! ჯერაც და უპირველეს ყოვლისა! — ორმაგათ დადასტურა თავისი აზრი და მერმე ხშირდაკლებულად განაგრძო, — ჩემი დისერტაცია კი თავიდან არის დასაწერი... მე ვიყავი ჩემივე მთავარი ოპონენტი და არ მივიღე... როგორც მცდარ საფუძველზე აგებულნი რა ვუყოთ... უფრო ცუდია, რომ იგი დიდი საერთო შეცდომის ერთი ნაფოტია!

(გაგრძელება იქნება)

გიორგი შავგაბაშვილი

მ ვ ი ა ნ ი ყ ვ ა ვ ი ღ მ ბ ი

მინდა მიყვარდეს

ქუჩაში თბილი აპრილის დღეა,
სული კვამლივით მიიწევეს ცამდე.
მე ისევ ვმღერბი, გული მაქვს ღია,
მინდა მიყვარდეს და მინდა მწამდეს.
მინდა მიყვარდეს როგორც
ოდესღაც,
მინდა გავექცე სუსხიან ზამთარს,
მინდა მიყვარდეს და მწამდეს
დღესაც,
როგორც მიყვარდა და როგორც
მწამდა.

და მიხარია, რომ შენ დაბადე
ეს ლექსი,
ეს დღე,
ფერები ზღაპრის,
ის პარასკევი, ეს ორშაბათი,
რომელიც სხვისთვის უნდოდა
აპრილს.
დღეს აღარ ვფიქრობ, რომ ვიღაც
გიყვარს,
სული კვამლივით მალდდება ცამდე.
და შენატრები... ისევ კარგი ხარ.
მინდა მიყვარდე და მინდა მწამდე.

როგორ, როდის, საიდან...

მე შენთვის წერა არ მომწყინდება,
შენ ჩემი ფიქრის კითხვა და სმენა,
შენზე რომ ვფიქრობ, სული
ბრწყინდება,
ძინებს ეჭვი, იღვიძებს რწმენა.
და მიკვირს —
როგორ,
როდის,

საიდან
გამაქაბუჯა შენმა ზმანებამ.
და ვიცი, გული ველარ აიტანს
ახალ გაზაფხულს და ამწვანებას.

აჰა, მიიღე ეს ერთი ლექსიც,
ნაფიქრი ღამით, ნაწერი დილით,
დაღლილი გულის ამონაყენესი,
დიდი ოცნების პატარა ჩრდილი.

მაგრამ სიკვდილი სჯობს
გაზაფხულზე,
და ეს სიგიჟე მამშვიდებს ზოგჯერ,
ამ განსაცდელსაც დიმილით
ვუმზერ...
კვლავ დაღამდება და კიდევ მოგწერ.

ღმეს არ მიყვარდი და შემეშინდა

ღმეს არ მოვედი. არ გამახსენდი.
არ ვიცი, რატომ არ გამახსენდი.
ისე გათენდა, ისე დაღამდა,
არ გამახსენდი და რაღაც მაკლდა.
მე დავდიოდი,
ფიქრობდი,
ვგრძნობდი,

ვერ ვიხსენებდი და რაღაც მაკლდა.
არ გამახსენდი, რომ შენ არსებობ
შენი სიცილით, შენი თვალებით,
შენი ცრემლებით, დამალულ
სკვლით,
დიმილში ცუდად დამალულ სკვლით.

იქნებ გათავდა,
 იქნებ არც იყო,
 იქნებ იყო და მე ვერ გავიგე,
 ვიპოვე რაღაც დიდი და კარგი,
 ვიპოვე რაღაც და ისევ ვკარგავ.

მე დავდიოდი და რაღაც მაკლდა,
 ვერ ვიხსენებდი და რაღაც მაკლდა,
 ვფიქრობდი, ვწერდი და რაღაც
 მაკლდა.
 დღეს არ მიყვარდი და შემეშინდა.

რა მცირე გზაა

მე მივდიოდი უცნობი ქუჩით.
 იყო კვირადღე, მზე ჩადიოდა.
 მზე ჩადიოდა რაღაც საოცრად,
 მე ხელს ვუქნევდი და ჩადიოდა.

მზე ჩადიოდა რაღაც საოცრად,
 რაღაც საოცრად გული მტკიოდა.
 მე ხელს ვუქნევდი,
 შევთხოვედი მოცდას,
 მე ხელს ვუქნევდი და ჩადიოდა.

მე მივდიოდი უცნობი ქუჩით,
 იყო მაისი, იყო კვირადღე
 და უცებ მივხვდი, რა მცირე გზაა
 სიყვარულიდან სიძულვილამდე.

ალარ მიყვარდი და ვიყავ მშვიდად
 და მიხაროდა, რომ არ მიყვარდი.
 და მიხაროდა, რომ უშენოდაც
 ვფიქრობდი, ვგრძნობდი და
 მიხაროდა.

დედა ენა

მინაწერი...

შენ ის ქალი ხარ, ვინც მე პირველად
 სალაშქრის ხმა სულში ჩამბერა,
 და შენს მაქებრად, და შენს
 მწირველად
 ვინც ამამღერა და დამაბერა.

შენა ხარ ქალი, ვინც მე დამბადა,
 ციხე — ჯერ კიდევ აუღებელი,
 შენა ხარ ხმალი მამა-პაპათა,
 მკლავი — ქარქაშში ჩაუგებელი.

უბერებელი, თუმცა ხნიერი,
 სიმღერის დედა ცრემლების
 მგვრელი,
 ხან აგერ ნაზი და ხან ხშიერი,
 მახვილძლიერი და მტერთა მკვლელი.

სიკბაბუკეში მე შენთვის ვწერდი,
 შენ გეტრფი ისევ, სიბერე მოდის,
 შენს სიყვარულში ისევ დავბერდი,
 რომ ვერ გავიგე, დავბერდი როდის!
 არ მიძებნია ტახტი და ჩინი,
 მე შენს ტრფიალში დავკარგე ჩინი.

ჩამიქრა თვალი, წამერთვა სმენა,
 მაგრამ ტკივილი გადიქცა რწმენად.

ისიც წამერთვას, რაც შემრჩენია,
 სიცოცხლე, ჩალად არ საღირგები.
 აჰა, წაილე, ისიც შენია,
 მითხარ, მიბრძანე ვასაკვირები!

შენვე გიბრუნებ, რაც კი მებადა,
 რაც შენ მასწავლე, თუ რამ ვიცოდი,
 თუ რამ ვიცოდი, შენგან ვიცოდი,
 და თუ დაგაკელ, შემინდე ცოდვილს!

არ მივცე ძილი დაქანცულ
 თვალთა,
 არ მივცე რული წამწამთა ჩემთა,
 არ მივცე ძილი ნატვრათა ჩემთა
 და ხორცთა ჩემთა და ძვალთა ჩემთა.

შენ ჩემო მზეო და ჩემო მწეო,
 შენ ჩემო ღმერთო, შენ ერთადერთო,
 შენა ხარ რწმენა ბაგეთა ჩემთა,
 და იყავ რწმენად შენ შეილთა ჩემთა!

თხზილ კაპაბახაძე

ს ა ხ ღ ი

— სუუ, იყუნე...

ჩემს გვერდით ღრმა თოვლში გაწოლილ სერჟანტს გაკვირვებით შევხედე. თეთრ სანიღბავ ხალათში გამოწყობილი, იგი ორ ნაბიჯზედაც ძნელი შესამჩნევი იყო. მხოლოდ თვალები უკრთოდა უცნაურად.

— არაფერი გესმის? — ჩურჩულით მკითხა.

დაკვირვებით მიმოვიხედე, მივაყურადე და უარის ნიშნად ხელი გავუქნიე.

— ტკაცანი არ გესმის? ძვლები უსკდებათ... ყინვისგან, — ჩუმად მითხრა და ხევისკენ გაიშვირა თითო.

ხევში ერთიმეორეზე ეწყო ჯარისკაცების გაყინული გვამები. ისინი ახლაც გარკვევით ჩანდნენ, — თეთრად გადაბენტილ არემარეზე უხვად იღვრებოდა მთვარის ცივი შუქი. ისინი აქ დაგვხვდნენ. პირველად რომ ვნახეთ ამ ორი კვირის უკან, ყურადღება არც კი მიგვიქცევია, — წესიერად დაწყობილი შეშა გვეგონა. მერე ქარი ამოვარდა და გვამებზე თოვლის ნამჭერი გადახვეტა. ღურბინდით ვუყურებდით ამ გათოშილ გვამებს. ზოგიერთს წითელჯარსკვლავიანი თბილი ყურებიანი ქუდი შერჩენოდა... ბევრისათვის ფარაჯაც გაეძროთ. მერე ისევ მოვიდა დიდი თოვლი და მე მიხაროდა, რადგან მეგონა, რომ მათ ისე აღარ შეცივდებოდათ.

„უნდა დაეასაფლაოთ როგორმე“, — თქვა ერთხელ ასეულის მეთაურმა. მაგრამ ეს ძნელი საქმე იყო, ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელი. ორი კვირის უკან სწორედ ამ სოფელთან შეფერხდა ჩვენი ბრიგადის იერიში. მერე ღრმად ჩავსანგრდით და დაიწყო მძიმე პოზი-

ციური ბრძოლები. სოფლის განაპირას ხევი იყო. ახლა ეს ხევიცა და ეს სოფელიც ჩვენსა და გერმანელებს შორის გამოკიდებულ ნეიტრალურ მიწად ქცეულიყო.

— ძვლები უსკდებათ. არ გესმის? — ისევ ჩურჩულით მკითხა სერჟანტმა.

მე თავი გავაქნიე. სერჟანტს ეჩვენებოდა. ახლა ტკაცანი არ მესმოდა, მაგრამ გუშინწინ...

სერჟანტი და მე დაზვერვაზე გავგზავნეს. სოფლის შუაგულში სასწაულით გადარჩენილი დიდი ძელური შენობა იდგა. უნდა გავვეგო, გერმანელები ხომ არ იყვნენ შიგ. „არტილერისტებისთვის მშვენიერი სათვალთვალო პუნქტი იქნება“, — თქვა ასეულის მეთაურმა. ხევამდე ზოხვით მივედი, ხევში კი წამოვდექით, თოვლი ფრთხილად ჩამოვიბერტყეთ და ორი-სამი ნაბიჯი გადავდგი თუ არა, გერმანული ლაპარაკი შემოგვესმა. მე უმალვე თოვლზე გავწეჭი, სერჟანტი კი ხეს ამოეთვარა. ორი გერმანელი ჯარისკაცი მოდიოდა. საკმაოდ ხმამალა საუბრობდნენ, ეტყობოდათ, საფრთხეს არსაიდან მოელოდნენ. იქვე, ჯარისკაცების დათოვლილ გროვას შევხედე, მერე გერმანელებზე გადავიტანე მზერა და ავტომატი წინ გავაცურე. სერჟანტმა მანიშნა — არ ესროლოო. პირველად ვუყურებდი მტერს ასე ახლოს და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ მესროლა.

გერმანელები გვამებთან ჩაცუტყდნენ და ვუყურებდი, თუ როგორ ხდიდნენ ფეხსაცმელს ერთ მოკლულ ჯარისკაცს. სერჟანტმა ისევ მანიშნა, არ ესროლოო. ისინი წვალობდნენ, ყინვისაგან ვახვე-

ბული ტყავის ზონრის შეხსნას ვერ ახერხებდნენ. ერთმა რაღაც უთხრა მეორეს. გაიციენეს. და მერე უეცრად მომესმა ამზრუნენი ტყაცანი — ერთხელ, მეორედ... მათ ფეხსაცმლიანად მოამტვრიეს ფეხები გვამს. სერჯანტიცენ აღარ მომიხედავს, თითო ავტომატის ჩახმასს გამოვკარი.

— რა ჰქენი! ახლა წინ ვეღარ წავალთ, — მომვარდა სერჯანტი, — დავალება ჩამალე!

სერჯანტისთვის ხმა არ გამიცია, გაოფლილი შუბლი მოვიწმინდე და უკან დავებრუნდი. საღაც ტყვიამფრქვევი აკაცანდა, მერე გამანათებელი მახალა ავარდა ცაში. შხულით გადაგვიარა ნაღმი და მოშორებით გასკდა. ფაფუკ თოვლში აუჩქარებლად მივხზავდით და ყურში სულ ის საშინელი ტყაცანი მესმოდა.

ასეულის მეთაურმა შავი დღე მაცარა: სულმდაბლობა გამოიჩინეო, ნერვებმა გიმტყუნაო, — მიყვირა და მიყვირა. მერე დამშვიდდა, მოლბა და ღიმილით მითხრა: „აი, აი, აი... არტისტი მაინც არ იყო“. ასე ხშირად მეუბნებოდა. „არტისტებს მავარი ნებისყოფა გაქვთ: ამდენ ქალს ჰკოცნით და მაინც ნორმალურ ჰკუთხე ხართ, მე ნაღდად ვავიციდებოდიო“, — ხუმრობით ამბობდა. „რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ მსახიობი არა ვარ“, — ვუთხარი მეთაურს. „ამას არ აქვს მნიშვნელობა“, — მოკლედ მომიჭრა და საჯარიმო ათასეულში გაგზავნას დამპირდა. ეჰ, იმან რა იცოდა, რომ მე მხოლოდ ერთ გოგოს ვკოცნიდი ოდესღაც და იმის სურათს ვიშინებოდა ჩიბებში სასოებით ვინახავდი.

ომამდე თბილისის კონსერვატორიაში ფორტეპიანოზე დავკრას ვსწავლობდი. მესამე კურსიდან მობალისედ წავედო ჩარში. წინა ხაზზე, სიწყნარისა და მყუდროების იწვიათ ემას, ამხანაგებს გატაცებით მოვუთხრობდი ბეთპოვენის, მოცარტის, ჩაიკოვსკის, შოპენისა და სხვა კომპოზიტორთა ცხოვრების ამბებს. არტისტიც ამიტომ შემარქვეს...

საინდბაჲ ხალათებში მე და სერჯანტს ორ-ორი ცარიელი სანიტრის ტომარა გვაქვს დამალული. დროდადრო ვინმე ჩავთ, გვეშინია, გზაში არ დაგვეკარგოს. ხევეში მივიდივართ. უეცრად სერჯანტი შედგა და თოვლს დააკერდა.

— ხედავ, ნაკვალევია, — მითხრა და ჩაიხუტა. მერე ჩუმად გაიციენა.

— რა დროს სიცილია, წავიდეო, — ვუთხარი სერჯანტს.

— ჩვენების ნაკვალევია, გუშინდელი, — თქვა სერჯანტმა.

გუშინ ორი მზეკარავი გაუშვა ასეულის მეთაურმა ჩემი გაფუჭებული საქმის გასაქვებლად. დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს: სახლიც დაათვალიერეს და სარდაფში ლორის მარაგიც აღმოაჩინეს. სამ-სამი მოზრდილი ნაჭერი წამოიღეს, მეტი ვერ შეძლეს. დღეს დილიდან ვეხვეწებით მე და სერჯანტი ასეულის მეთაურს — იმ სახლში გავვიშვიო. „ხვალ ხომ ახალი წელია, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — ვუთხარი მე, ჩვენს სახალწლო სუფრასაც დაამშვენებდა ლორის ნაჭრები“. ცივ უარზე იყო, ზედაც არ გვიყურებდა. „ცუდად დაძებნეს გუშინ ბიჭებმა იქაურობა. დარწმუნებული ვარ, იქ სასმელიც იქნება“, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა სერჯანტმა. ასმეთაურმა ახლა კი იკადრა ჩვენსკენ გამოხედვა: „საიდან იცი?“, — ჰკითხა სერჯანტს. „გული მეუბნება“, — ეს ისე დაჭერებით უთხრა სერჯანტმა, რომ ასმეთაურს სიცილი აუვარდა. მერე თქვა: „ჯანდაბას თქვენი თავი, წადით. ოღონდ ფრთხილად იარეთ. შენ, არტისტო, არ იფიცხო“.

ფრთხილად მივიდივართ. ხევი მშვიდობით გავლიეთ და სოფელში ამოვყავით თავი. თეთრად მოქათათე გარემოს მღუმარედ დაჰყურებენ გარუჭულა და თვალბნაცვენილი საკვამურები. ისინი ძვირფას საფლავებთან მდგარ გულზელდაკრეფილ და ენაწართმეულ ჰირის-უფლებს მაგონებენ.

მე და სერჯანტს ერთმანეთისა უსიტყვოდ გვესმის — პირველად ხომ არ ვართ დაზვერვაში. ვერ ის ვადარბის ერ-

თი საკვამურიდან მეორესთან, მერე მე. თეთრ ხალათში გამოწყობილი სერჯანტი მოჩვენებას ჰგავს. ალბათ, ისიც ასე ფიქრობს ჩემზე.

ერთ ნასახლართან შავ კატას მოვკარით თვალი. დაგვინახა თუ არა, გაქცევა დააპირა. მერე გადაიფიქრა, — გზა აღარ გადაგვიჭრა. „ალბათ მიხვდა, რომ ცრუმორწმუნეები არ ვართ“, — გავიფიქრე და გამეცინა. სერჯანტმა გავვირგებით შემომხედა და საჩვენებელი თითი მიიღო საფეთქელზე, მანიშნა: „ხომ არ აფრინეო?“ საღდაც თოფი გავარდა, მერე ზედიზედ ორი გამანათებელი მაშხალა ისროლეს გერმანელებმა. თოვლში ჩაეწეკით და გავირინდეთ. მაშხალების შემდეგ ერთ ხანს სიბნელე ჩამოწვა, მერე კვლავ თვალისმომკრეხლად აბრწყვილდა თოვლიანი მიდამო. ძელურ სახლთან რომ მივედი, აბრებზე წარწერებიც კი ამოვიკითხეთ: „კლუბი“, „სოფლის მალაზია“.

სახლს გრძელი აივანი ჰქონდა. ჩვენი ვიცოდით, სად ინახებოდა ლორი და სწორედ იმ ოთახის კარი შევალეთ. სერჯანტმა ჯიბის ნათურა აანთო. იატაკქვეშ მოწყობილ პატარა სარდადეს სახურავი ახდილი ჰქონდა. „ალბათ, გუშინ ჩვენებს სიჩქარეში ღია დარჩათ“, — გავიფიქრე და ნათურის შუჭზე ლორის ნაჭრები დავინახე. სერჯანტი რალაცას ეძებდა, ალბათ, არაყს. მერე გაჭირვებით ჩაძვრა სარდაფში... ლორის ნაჭრებს შაწვდიდა და მეც სწრაფად ვალაგებდი ტომარაში.

— არაყიც რომ ყოფილიყო, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, — ბუზლუნებდა სერჯანტი.

— არც ესაა ურიგო. არაყი ისედაც არ გვაკლია.

— ე, შენ მართლა არტისტი ხარ. ის არაყი მართო ყელს ახურებს. ხელ-ფეხმა რალა დააშავა?

— ან ცხვირმა.

სერჯანტს დიდი, წითელი ცხვირი ჰქონდა. მან ეს თავადაც კარგად იცოდა და ჩვენი ხუმრობა არ წყინდა. ახლაც არაფერი უთქვამს, — საქმით იყო გართული. თანაც ძალზე ვიქარობდით.

4. „ზნაობი“, № 2.

უეცრად როიალის ხმა შემომესმა. ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით. „ჭერ-ყურს არ დავუჯერე. მერე ბეთმოგენის“ „მთავარის სონატის“ ნაცნობი და ძვირფასი მელოდია მკაფიოდ გავიგონე და გავშეშდი. სერჯანტი ლორის ნაჭერს მაჩეჩებდა, მე კი მუსიკის გარდა, აღარაფერი მესმოდა. სერჯანტმა ნათურა მომაშუქა.

— ცუდად ხარ? რა მოგივიდა? ვინმე ხომ არ არის? — მკითხა შეშფოთებით.

სარდაფიდან თავი ამოყო და როიალის ხმა იმანაც გაიგონა. ზევით ამოვარდა და ხელი ავტომატს დაავლო.

— სუუ, ჩუმად იყავი, — ვთხოვე მე. — დაჯექი.

— რა დროს დაჯდომავა?

— მოეუსმინოთ.

დაჯდა, ადგა, ისევ დაჯდა.

— მშვენიერად უკრავს, — თქვა სერჯანტმა და ისევ ადგა. — სად უკრავენ? ვინ უკრავს?

ფეხაკრეფით გავედით აივანზე. ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა როიალის ხმა. ვილაც ხმადაბლა, მაგრამ მთელი გატაცებით უკრავდა იმას, რასაც ოდესღაც მეც ასეთივე თავდავიწყებით ვუკრავდი. თვალწინ წამომიდგა ჩემი ქალაქი, კონსერვატორია, მცირე საკონცერტო დარბაზი და ის, რომელსაც ოდესღაც ვკოცნიდი... მას ძალიან უყვარდა, მე როცა ვუკრავდი. გიმნასტურის ჯიბე მოვსინჯე, მისი სურათი ისევ იქ მქონდა.

— მშვენიერად უკრავს, მამაძალი, — თქვა სერჯანტმა.

თითქოს მე ვუკრავდი. წინასწარ ვიცოდი, სად აფმალლებდა ხმას, სად დაიწყებოდა მელოდის მშვიდი მდინარეება, სად დაიღვრებოდა მესამე ნაწილის ამბოხი და დაუღეგარი მთავარი თემა... იმ ოთახის კართან ვიდექით, საიდანაც როიალის ხმა ისმოდა. სერჯანტმა ავტომატი მოიმარჯვა და შიგ შესვლა დააპირა, მაგრამ მე სულგანაბული ვიდექი კართან.

— მოიცა, მალე დამთავრებს, — ვუთხარი სერჯანტს.

— კონცერტებს ომის შემდეგ მოვისმენთ, — მითხრა და განზე გამწვია.

სონატა მთავრდებოდა. სერჯანტმა ერთბაშად გამოალო კარი, მთვარის შუქით განათებულ ოთახში შეეკრდა და ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა:

— ხელები მალლა!

სონატა მთავრდებოდა. ქერათმიანმა გერმანელმა გაოცებით მოგვხედა, მერე ისევ როიალზე დახარა თავი და ორი ძლიერი აკორდით დასვა წერტილი. მერე წინ ჩამოშლილი თმა უკან გადუყარა, ადგა და ნელა ასწია ხელები. იგი ილიმებოდა, ალბათ ჭერ კიდევ მუსიკაზე ფიქრობდა. როიალზე იდო მისი სანივთე ტომარა, რომელშიც ლორის ნაჭრები ეწყო.

— თქვენ საუცხოოდ უკრავდით, — ვუთხარი მე.

გერმანელს გაეღიმა, მაგრამ მის თვალებში უკვე შიში ჩამდგარიყო.

— მე... მე... პიანისტი ვარ, — დამტრეული რუსულით თქვა და აწეული ხელების თითები შეათამაშა. — კონცერტები... ღრუბდენი, ლაიფციგი, ბერლინი...

— მეც პიანისტი ვარ, — რატომღაც ვუთხარი მე.

გერმანელს ისევ გაეღიმა და თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაუელვა. ხელები დაუშვა.

— ხელები მალლა! — უთხრა სერჯანტმა.

გერმანელმა ისევ ასწია ხელები.

— ნუ მომკლავ, — თხოვა სერჯანტს. იგი მიხვდა, რომ მე არ ვაპირებდი მის მოკვლას. მე მართლაც არ ვაპირებდი...

— დავანებოთ თავი, — ვუთხარი სერჯანტს.

სერჯანტმა თავი გააქნია.

— მაშინ ეგ მოგვკლავს... როცა გავბრუნდებით, — თქვა და როიალისკენ გადადგა ნაბიჯი.

გერმანელი კიდევ უფრო შეშინდა.

— მე არა, არა, არა... მე არა, შენც არა, — სულმოუთქმელად ალაპარაკდა და მე ვხედავდი, როგორ უკანკალებდა აწეული ხელები.

როიალიდან ლორით საესე ტომარა ავიღე და იატაკზე დავდგარიქნენული

— ესეც წაიღეთ... შეკონცერტდენი... გვეხვეწებოდა გერმანელი.

სერჯანტს გაეცინა.

— მაშინ წავეყვანოთ, — მითხრა მან.

— დავანებოთ თავი, — ვუთხარი სერჯანტს.

სერჯანტი ყოყმანობდა, რაღაცაზე ფიქრობდა, მერე ყრუ ხმით ჰკითხა:

— სად არის შენი იარაღი?

ავტომატი როიალის ქვეშ აღმოჩნდა. სერჯანტმა იგი ხელში შეათამაშა, მერე მხარზე გადაიკიდა.

— ო, არა, არა, — შეშფოთებით წამოიძახა გერმანელმა და ხელბაწეული მუხლებზე დაეცა. — ეგ არ წამართვათ... რა ვუთხრა ფელდფებელს? სად არის ჩემი თოფი? კაპუტ, კაპუტ... მე დავუკრავ, სულ დავუკრავ, თქვენ წადით...

— აი რა, ფრიც! — უთხრა სერჯანტმა. — სიკვდილის ღირსი ხარ, მაგრამ ამ ერთხელ გაატივებთ. იარაღს გარეთ დაგიტოვებთ, კიბეზე. შენ ახლა დაჯექი და დაუჯარი რამე გრძელი. ჩვენ წავალთ, შენ კი შეუჩერებლივ დაუჯარი. როგორც კი შეწყვეტ, იცოდე, ცუდად წავივა საქმე.

გერმანელი როიალს მიუჯდა, წამით ჩაფიქრდა და მერე მთვარის შუქით განათებულ თეთრ კლავიშებზე მსუბუქად ამოძრავდა მისი თითები. იგი უკრავდა ჩაიკოვსკის „დეკემბერს“ „წელიწადის დროებიდან“...

სერჯანტმა კარი გააღო.

— სიტყვა სიტყვაა, იარაღს კიბეზე დაგიტოვებთ, — უთხრა გერმანელს, რომელსაც ისევ შეცვლილი, მშვიდი სახე ჰქონდა. იგი ისევ მუსიკაზე ფიქრობდა.

— ჩემი ორი შვილი ილოცებს თქვენზე, — თქვა მან.

კიბეზე ჩამოვედით და გარშემო მიმოვიხედე. სერჯანტმა გერმანელის ავტომატი ქვედა საფეხურზე დადო. დათოვლილ ნასახლარზე მუნჯი ქირისუფლებივით იდგნენ გამურული საკვამურები. ბარდნიდა... ოთახიდან ისმოდა ჩაიკოვსკის მუსიკა. ერთი საკვამურიდან

მეორესთან გადავირბინე. მოვიხედე. სერჯანტი არ ჩანდა. მერე დავინახე, როგორ აირბინა კიბე და წამსვე მომესმა ავტომატის ხმა, სულ სამი-ოთხი გასროლა. როიალმა რაღაც გაკვირვებული ხმა გაიღო... უცნაურად აფორიაქებულ საკვამურთან ვიდექი და ძელურ სახლს მივშტერებოდი. სერჯანტი სირბილით მომიახლოვდა.

— რა ჰქენი? — დაღლილი ხმით ვკითხე.

— ბოლო სიტყვებმა დაღუპა. შენ

ხომ იცი, მეც მყავდა ორი შვილი, შავთ დამიხოცეს...

ეროვნული
გენერაციონა

ჰაერში დიდი, თეთრი პეპლებივით ირეოდნენ ფიფქები. ხევში ათოვდა ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების გათოშულ გვამებს... ნაწილში გველოდნენ...

— აბა, ლორი და არაყი სად არის? — გვკითხა ასეულის მეთაურმა.

— აღარც ლორი იყო და არც არაყი, — უპასუხა სერჯანტმა.

— ეჰ, თქვე მართლა არტისტებო, — სიცილით გვითხრა ასმეთაურმა.



პახანა ჯახანაძე

ღ ე ქ ს ე ბ ი

• • •

ყველასთვის როდი დამთავრდა
ომი:
ისევ გვიჩვენებს კლანჭებს
სისხლიანს...
ღედები ღრუბლებს უცქერენ
წყრომით
და გულს ამინდზე სწრაფად
იცივლიან.
რაც საკუთარი თვალებით ნახეს,
ვერ ავიწყებენ დღესაც ღდეები...
ოცი წლის წინათ ჩაწყობილ
ნაღმებს
კვლავ პოულობენ მესანგრეები.
მიზეზს ყოველთვის დროზე მოძებნის
ძლევამოსილი ძალა ბუნების,
ისევ პირისპირ დგანან ცოცხლები
და უგზო-უკვლოდ დაკარგულები.
ეფერებიან ერთიმეორეს,

ეთხოვებიან დაგვიანებით...
ოცი წლის წინათ დაკრილ მეომრებს
ისევ ატყვიათ ნატყვიარები.
ზოგიერთები ისევ ღელავენ,
როდესაც დილის ფოსტას გახსნიან
და ომი —
მკაცრზე მკაცრი მეველე —
მაინც არ იცვლის მძიმე ხასიათს.
წარსულს წყვედიადის ფარდას
აფარებს
და ავიღოვებს ძილის უფლებით...
ოცი წლის წინათ გაკრილ საფლავეებს
კვლავ პოულობენ ქირისუფლები.
ხანდახან დაბლა ფრენენ
მერცხლები:
ცა გვემუქრება განადგურებით, —
მაგრამ ხელები ხელებს ეძებენ
და პოულობენ გულებს გულები.

• • •

ადამიანებს ჰგვანან სახლები,
ამინდს ჩვენსავით გრძნობენ ისინიც,
ფანჯრებს თვალების მსგავსად
აღებენ,
როცა მზიანი ზეცა იცინის.
სახლები გარეთ დგანან ყოველთვის,
შორიდან ჰგვანან მაღალ კოლოფებს,
ზოგან პროსპექტის,
ზოგან მოედნის,
ზოგან მდინარის პირას ცხოვრობენ.
ხშირად ნატრობენ ღამის სიმშვიდეს,
ხშირად ქარსა და წვიმას ითხოვენ,
და როცა თოვლი ფეხს მოიკიდებს,
თავიანთ ძეგლებს ჰგვანან თვითონვე.
თავს იფასებენ,
როცა უმზეო

და უხალისო ამინდები,
ქუჩებს კეთილი თვალით უმზერენ,
ცას საათივით აკვირდებიან.
განსაცდელის ეამს,
როცა მზიარულ
ღდეებს ნიავეი გაანიავენს,
ისინი არაადამიანურ
ძალას აძლევენ ადამიანებს.
ადამიანებს უყვართ სახლები,
უნაწილებენ სახლებს სახელებს,
და წარსულივით წყნარი სახელი
აწმყოს წარსულზე მეტად
აღელვებს...
ჰაერში ახლად გადაღებილი
სახურავების სუნი ტრიალებს,
სახლები ღია ქალაქებივით
დგანან და ჰგვანან ადამიანებს.

ე. ჯაფარიძე

ღამურები სამთავისის ტაძარში

გასცდება თუ არა სოფელ იგოეთს თბილისიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ავტომანქანა, მთავარი გზა მარცხნივ იწყებს მიხვევას, ხოლო პირდაპირი მიმართულებით გრძელდება შედარებით ვიწრო შარაგზა, ამქამად უკვე მოასფალტებული, ერთ დროს კი ოღროხოღრო და წარმოუდგენლად მტვრიანი. ეს გზა სოფელ სამთავისის კასპის რკინიგზის სადგურთან აკავშირებს. იგოეთიდანვე კარგად მოჩანს მაღალი გუმბათი სამთავისის დიდებული ტაძრისა, რომელიც 1030 წელსაა აგებული და ჩუქურთმა-სამკაულების სიუხვისა და სილამაზის მხრივ XI საუკუნის სხვა ნაგებობათა შორის საგარძობლად გამოირჩევა. ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი და საინტერესო და მეც ტაძრის შესახებ ამ ძუნწი ცნობით ვკმაყოფილდები.

როცა არ უნდა მომიხდეს აქ ჩავლა, წინასწარვე, ვიდრე ტაძრის გუმბათს მოვკრავდე თვალს, აუცილებლად ამიჩქარდება გულისცემა, მერე ბავშვობის ძვირფასი მოგონებანი დამეხვევიან და მოსაწყენ მგზავრობას მიადვილებენ.

ომისშემდგომი ძნელი დრო იყო. ფრონტზე წასული მამაჩემი უკან აღარ დაბრუნებულა. მახსოვს, რომ იმ ზაფხულს მეექვსე კლასში გადავედი, და, ესე იგი, ცამეტიოდე წლისა ვიქნებოდი. წვიმიანი გაზაფხულის შემდეგ თბილისში დიდი სიცხეები დაიჭირა. საწყალი დედა ღამეებს ათენებდა იმის ფიქრში, თუ სად გავეგზავნე არდადეგების გასატარებლად. თითონ არ ეცალა, არც თუ საბავშვო დასასვენებელი სა-

გზურები იშოვებოდა ადვილად და არ ვიცი როგორ გადაიტანდა ამ დარდს, მამაჩემის ძმა, გიორგი რომ არ ამოსდგომოდა მხარში. ისიც ფრონტზე იყო ნაყოფი. მძიმედ დაქრილი ჩამოვიდა და ჯერ წესიერად მორჩენაც ვერ მოესწრო, რომ უკვე თავის ძველ და საყვარელ საქმიანობას—არქეოლოგიას დაბრუნებოდა. დიდხანს იყოყმანა დედამ, ვიდრე მასთან ერთად საქართველოს მუზეუმის ერთერთ ექსპედიციაში გამიშვებდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და, ბოლოსდაბოლოს, დათანხმდა.

ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი მეც, გათხრების წინასამუშაოებს ატარებდა სამთავისის ტაძრის ტერიტორიასა და მის მიდამოებში. მეხსიერებაში რატომღაც სრულიად წაშლია ჩემი მგზავრობისა და იქ გატარებული პირველი დღეების დეტალები, მაგრამ ისინი უმნიშვნელონი უნდა ყოფილიყვნენ და არც ვეცდები მათ გაცოცხლებას. სამაგიეროდ ზოგი რამ დღესაც საოცარი სიცხადით მახსოვს.

ექსპედიცია ტაძრის ცარიელ შენობაში დამხვდა დაბინავებული, ალბათ, იმიტომ რომ მეტად ხალხმრავალი იყო: შეიდი თუ რვა არქეოლოგი (მათ შორის ბიძაჩემიც), ორი ხუროთმოძღვარი, სამი მხატვარი, ფოტოგრაფი, მხარეული, შოფერი და კიდევ რამოდენიმე ჩემსავით არასრულუფლებიანი წევრი, როგორც თითქმის ყოველთვის ახლავთ მსგავს ექსპედიციებს.

ბიძია როსტომი (ასე ეძახდა დიდი და პატარა ექსპედიციის ხელმძღვანელს) თავისი ცოლშვილით იყო წამოსული. მი-

სი ვაჟი, მერაბი, ჩემი ტოლი იყო და ჩვენ მალე დავმეგობრდით. თავის მშობლებთან ერთად მერაბი სამკვეთლოში ცხოვრობდა, სადაიკვნო ქალებს დაეკავებინათ, დანარჩენები ტაძრის უზარმაზარ ფართობზე გაფანტულიყვნენ და ყველას თავისი სურვილის მიხედვით აერჩია ადგილი. ამ საკითხში ბიძაჩემის მიერ მეც სრული თავისუფლება მომენიჭა, რითაც სასწრაფოდ ვისარგებლე და ზუსტად ტაძრის შუაგულში გაუშალე ჩემი ჭრილა, დასაკეცი საწოლი. როცა ამ ორიგინალურმა ქცევამ ყველას მხიარული გაკვირება გამოიწვია, მე არავისთვის მითქვამს, რომ ამის ნამდვილ მიზეზს გუმბათის მოხატული თალი წარმოადგენდა, საიდანაც დიდრონი, წყლიანი თვლებით დამტკეროდა ჭრისტე და, მიუხედავად ჩემი მტკიცე-ათვისტურა განწყობილებისა, თავისი სიკეთითა და სათნოებით მაქალოვებდა (იმ დროს მე უკვე ვიცნობდი ჯოკონდას, მოხიბლულიც ვიყავი მისი საოცარი გამოხედვით, და ამაყად დავასკენი, რომ სამთავისის ჭრისტე დიდად არ განსხვავდებოდა ურთხმად აღიარებულ ამ შედეგისაგან). სხვა ფრესკები გავით იყო თეთრად შებილწული და მხოლოდ აქა-იქ, გამოხუნებულ ნაფლეთებადღა შემორჩენოდა კედლებს ძველი ნახატი.

პირველივე საღამოს, დაბინდებისთანავე, ჭრისტეს სახე სათარეზოდ გამოსული ღამურების ჯარმა დაფარა, წრი-პინებდნენ და მოჩვენებებით დაფარ-ფატებდნენ ღამურები გუმბათის ყელში, ასკდებოდნენ ერთმანეთსა და კედლებს. წვიმასავით ცვიოდა ზემოდან მათი უწმინდურობა, თითონაც ვარდებოდა ზოგი დარტყანებული და სულაც, სულ ახლოს ჩემგან, იატაკზე გართხმული ვანაგრობდა გამაღიზიანებელ წრიბინს. ტაძრის სიციარიელე ერთი ათად აძლიერებდა ყოველგვარ ხმაურს და თითქოს სასოწარკვეთილებამ მოისმოდა ამ ხმებში. ღამე ჩუმიად ავდექი და ადგილი გამოვიცვალე, რადგან

ზიზღის გარდა შიშსაც იწვევდნენ ჩემში ეს პატარა „ავი სულეზა“. მწუხრებდა ეს გრძნობა, მაგრამ ჩემთვისაც კი არ ვუტყდებოდი, ვებრძოდი, და მალე დავძლიე კიდევ.

ტაძრის გარშემო დიდი და ბალახიანი ეზო იყო, რომელსაც რიყის ქვით ნაშენი მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. კუთხეებში სათოფურებიანი, განიერი ბურჯები იდგა, ჭიშკრის გვერდით კი, თუ არ ვცდები, ნახევრად დანგრეული სამრეკლო იყო აღმართული. კედლებსა და საფლავის ქვებს ხავსი და ჭინჭარი ფარავდა და ყველგან საიდუმლოებით მოცული სიძველის სუნი იგრძნობოდა.

გათხრები, როგორც უკვე ვთქვი, ჯერ არ წარმოებდა და კარგად დღესაც არ ვიცი, რაში მდგომარეობდა არქეოლოგების საქმიანობა. თუმცა, მათივე თქმით, ისინი მაინც ბევრ „საგულისხმო მასალას“ ნახულობდნენ და დიდად კმაყოფილნი იყვნენ ამით; ზუროთ-მოძღვრები ტაძრის გაზომვას აწარმოებდნენ. რისთვისაც ფიცრებისაგან საგანგებოდ აეგოთ ოთხ დიდ, ხის გორგოლაზე მდგარი მაღალი კოშკი. რომელიც ადგილი გადასადგობელი იყო და ძველებურ სააღყო კოშკებს მოგაგონებდათ; მხატვრები ფრესკებისა და ჩუქურთმების უამრავ ჩანახატს აკეთებდნენ; ფოტოგრაფიც იმავე სიქმეს ემსახურებოდა, ოლონდ, ცხადია, ფოტოაპარატით; მზარეული სამრეკლოს ძირას მოწყობილ ფიცრულ სამზარეულოში ატარებდა დღის უმეტეს ნაწილს; შოფერი, როგორც წესი, მანქანის ქვეშ იწვა და იქიდან ხვრინვა უფრო ხშირად ისმოდა, ვიდრე სხვა საქმიანი ხმები. ერთი სიტყვით, ყველა რაღაცათი იყო დაკავებული, მერაბი და მე კი ჩვენივე თავის ანაბარა აღმოკნინდით დარჩენილნი.

დილაობით ჩვენც ყველასთან ერთად ადრე ვდგებოდით, ერთად ვსაუზმობდით და მერე, სადილამდე, ყურადღებასაც აღარავინ გვაქცევდა. ამ დროს,

ჩვეულებრივ, ტაძრის ახლო-მახლოს ვატარებდით, დავძვრებოდით ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, ან არ შეიძლებოდა. ერთხელ ხუროთმოძღვრების კომისიას მოვექმეცით კენწეროში და მაშინ კი გვარიანად მოგვხვდა უფროსებისაგან.

სადილისა და დასვენების შემდეგ, როცა ექსპედიციის მუშაობა ტაძრის სივრცეში გრძელდებოდა, ჩვენ ლეხურაზე მივდიოდით საბანაოდ. ლეხურა მუდამ მღვრიე და იმდენად პატარა მდინარეა, რომ იქაც არავინ შიშობდა ჩვენს მარტო გაშვებას. რამდენჯერმე მოშორებით მდგარ მაღალ ბორცვზე შემორჩენილი ციხე-სიმაგრის „აღება“ ვცადეთ, მაგრამ თურმე თვალი გვატყუებდა, ციხე ბევრად უფრო შორს იყო, ვიდრე ჩანდა, სიცხე და დაღლილობა იმარჯვებდა ჩვენზე, და შუაგზიდან ნაცემებივით დაბრუნებულნი, ჯიუტად ვდუმდით, როცა დაგვიანების მიზეზს გვეკითხებოდნენ.

ბიძაჩემს თოფი ჰქონდა წამოღებული და ერთხელ ჩვენც თან წაგვიყვანა სანადიროდ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი არასერიოზულობით იმდენად მოვეშალეთ ნერვები, რომ შინ ხელცარიელად დაბრუნებულს ეს „შეცდომა“ აღარასოდეს გაუმეორებია. მას შემდეგ მარტოც იშვიათად თუ წაინადირებდა და მისი საწოლის თავთან, სავსე პატრონტაშის გვერდით კედელზე ჩამოკიდებული ორლულიანი „ტულკა“ მოწყენილად გამოიყურებოდა.

ტაძარში დღისითვე ნახევრად ბნელოდა, საღამოობით კი უკუნეთი აღრე მეფდებოდა რის გამოც ვაშშობასაც აღრე მოვითავებდით ზოლზე და დაძინებამდე ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა ყველას. ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული ტაძრის კედლები მზის ჩასვლის შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებდნენ სითბოს და მთელი დღის შრომით დაღლილი უფროსები სიამოვნებით ჩამოსხდებოდნენ ამ თბილი კედლების ძირას. იწყებოდა თამბაქოს წევა და საუბარი, რომელიც ძირითა-

დად, ჩვენთვის უინტერესო საერთაშორისო მდგომარეობას ეხებოდა. ჩვენს საღამოს გასართობს კი სთვლეს უმჯობესად ერთად გამართული ათასნაირი თამაშობა წარმოადგენდა, ლახტი და ჩილკა-ჭოხი, გრძელი და მრგვალი ვიერი, შეჭიბრი ქვის სროლასა და ჭიდაობაში... ამან ისე დაგვაახლოვა, რომ ხშირად მთელ დღეებსაც სოფელ ტოლებთან ერთად ვატარებდით, დაედით მწყურების საქერად და სათევზაოდ, ერთად ვკუყუშალაობდით მღვრიე ლეხურაში, ციხის „აღებაც“, როგორც იქნა, ერთად განვახორციელებთ.

ასე უღარდელადა და მხიარულად გადიოდა ზაფხული, ვიდრე ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ არ დამირღვია სიმშვიდე და ცხოვრების ჯერ კიდევ უცნობ მხარეებზე ნადრევედ არ დამაფიქრა.

ილეოდა აგვისტო და, სამწუხაროდ, ზაფხულიც, სწავლის დაწყებამდე ერთი კვირალა რჩებოდა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, სექტემბრისათვის ექსპედიციაც ამთავრებდა მუშაობას და მაინც მომიხდებოდა თბილისში დაბრუნება. ვგრძნობდი, რომ ძალიან შევეჩვიე იქაურობას და ვანშორებაზე წინასწარ მწყდებოდა გული. მერაბსაც იგივეს ვატყობდი. ამიტომ თუ მოვეუშვირეთ ლეხურაზე სიარულს; ყანებშიც უფრო მეტ ხანს დავხეტიალობდით სოფელ ბიჭებთან ერთად, არც ტაძარს ვივწყებდით, რა თქმა უნდა.

და აი, ერთ დღივს, მერაბი უცაბედად წააწყდა პატარა კარს, რომელიც ტაძრის შიგნითა კედელში იყო გაპრილი და ჩვენდა გასაოცრად, აქამდე არცერთს არ შეგვემჩინია. კარი დაბალი და ვიწრო იყო, მუდმივად მუქი ჩრდილი ეცემოდა და ფარავდა მას. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედებდა ჩვენზე ეს აღმოჩენა. სუნთქვაშეკრულებმა გამოვიკვლიეთ ჩვენს მიერვე გახევიადებული საიდუმლოებით მოცული შესასვლელი კარის იქით სრული

სიბნელე იყო და მაშინვე იწყებოდა კედელში დატანებული კიბე, ვიწრო და მაღალსაფეხურებიანი, რომელმაც დაბალპერიან სენაკში აგვიყვანა. ერთადერთი, ვიწრო სარკმელი სუსტად აშუქებდა სენაკს და დიდხანს მოგვიხდა გაუნძრევლად დგომა, ვიდრე თვალი სიბნელეს შეეჩვეოდა. ერთერთ კედელში აქაც კარი იყო გაჭრილი და მის შემდეგაც კიბე იწყებოდა, კიდევ უფრო ციცაბო, ვიდრე ქვედა და ისეთივე ბნელი.

— ალბათ, გუმბათამდე ადის, — რატომღაც ჩურჩულით ვთქვი მე და მერაბმაც ასევე მიპასუხა:

— მოეშვი, სხვა დროს ავძვრეთ.

ის-ის იყო უკან დაბრუნება დავაპირეთ, რომ საიდანღაც ზემოდან შრიალის მსგავსი, გაურკვეველი ხმები ჩამოგვესმა და ისევ ადგილზე გავვაშეშა. გონსმოსულთ მხოლოდ სირცხვილმა შეგვაკავებინა თავი, რომ კისრისტევით არ დავგორებულყავით ბნელ კიბეზე. როგორც იქნა, გავარჩიეთ სიბნელეში: ურიცხვი დამურა ეკიდა თავდაყირა სენაკის თაღოვან ქერზე. მივხვდით, რომ ისინი გამოსცემდნენ ამ უცნაურ ხმებს და ცოტა დავშოვიდით. მალე აღმოჩნდა, რომ მათ გარდა მტრედებიც სახლობდნენ აქ: ორნი შემოფრინდნენ სარკმლიდან, ცოტახანს იფრინეს ლულუნით და მერე, ალბათ ჩვენგან შეშინებულნი, ისევე გაბრუნდნენ უკან. საბოლოოდ დავშოვიდით და გავმხიარულდით კიდევც.

— ვაა! ერთი დაგვაჭერინა! — ხმა მალლა თქვა მერაბმა.

— ალბათ, გარეულები არიან, — ვუთხარი მე, — გინდა ვცადოთ?

— მინდა, მაგრამ როგორ?

— ვნახოთ, ჩავუსაფრდეთ, ჰა?

მერაბი უხმოდ დამთანხმდა და ახლა უფრო ყურადღებით დავათვალიერეთ იქაურობა.

სარკმლის ქვეშ, კედელთან, ქვის ფართო, ტახტისმაგვარი ამალეობა აღმოვაჩინეთ. ჩამოგსხედით და დავიწყეთ ცდა. დროადრო ზემოდან კვლავ და-

მურების შრიალი და წრიბინი ჩამოესმოდა.

მერაბი ძალიან გულსხმად იწყებდა იყო საერთოდ. მის ცნობისმოყვარე და მახვილ თვალს საინტერესო არასოდეს არაფერი გამორჩებოდა და ჩემს მიერ ამის გამო შერქმეულ ზედმეტ სახელს — შერლოკ ზოლმსაც სათანადო ღირსებით იფერებდა. აქაც არ მალოდინა დიდხანს და მორიგი აღმოჩენა მოახდინა.

— როგორი ქუქყიანი და მტერიანია იატაკი, ხედავ? — მითხრა და ახლა კედლებს დააკვირა.

— დამურების ბრაღია, — ვუპასუხე, მაგრამ ვითომც არ გაუგიაო, ისე ვანაგრძო:

— კედლებიც როგორი ქუქყიანია, არა?

— ჰო, მერე რა?

— ეს ადგილი კი, ჩვენ რომ ვზივართ, სუფთაა, არა? მოუსვი ხელი.

— მართალი ხარ, — დავემოწმე გაკვირვებული, — თითქოს ახლახან გადაუწმენდიათო. რაშია ნეტა საქმე?

მერაბმა მხრები აიჩეხა და ჩაფიქრდა. დიდხანს ვიმტვრიეთ თავი, მაგრამ ვერაფრით ავხსენით ეს უცნაურობა, მერე ისევ მტრედები გავვახსენდა. დრო გადიოდა, ისინი კი არ ჩანდნენ და მოთმინება გამოგველია. გადავწყვიტეთ ხვალ გავვეგრძელებინა მოლოდინი. ფეხაკრეფით ჩამოვიარეთ კიბე და ტაძრიდანაც შეუმჩნეველად გავსხლტით, რომ არავის შეეცყო ჩვენი უშედეგო ნადრობის ამბავი და ამას მოსაბეზრებელი ოხუნჯობა არ მოჰყოლოდა.

მეორე დილას, საუზმის შემდეგ, როცა ყველამ თავის საქმეს მოჰკიდა ხელი, ჩვენ ხმამალლა გამოვაცხადეთ, რომ ლეზურაზე ვაპირებდით წასვლას (თუმცა არც არავინ გვეკითხებოდა რამეს) და დემონსტრაციულად დაეტოვეთ ტაძრის ეზო. მდინარემდე, ცხადია, არც მივსულვართ. უკან გზაზე ყველაფერს დაწვრილებით ვითვალისწინებდით.

— მთავარია — არავინ დაგვინახოს!
— თქვა მერებმა, — მერე კიბეზეც ჩუ-
მად უნდა ავიპაროთ, რომ მტრედები
არ დავაფრთხოთ.

— გინდა რაზე ფიცარს წამოვიღებ
და ფანჯარას ავაფარებ, — შევთავაზე
მე, — მაშინ მტრედები ვეღარ გაფრინ-
დებიან და ადვილად დავიჭერთ.

— იქ ისედაც ბნელა, — აზრი და-
მიწუნა მერაბმა, — მთლად დაბნელდე-
ბა.

— მამაშენის ფარანი წამოიღე.
— მართალია! — გაუხარდა მერაბს,
— ზედა კიბითაც ხომ უნდა ავიდეთ?
— ჰო, სულ დამავიწყდა!

ჭურდებივით გადავძვერით გალავან-
ზე და კედელ-კედელ შეუმჩნევლად შე-
ვიპარეთ ტაძარში. მზისაგან დასიცხუ-
ლებს სასიამოვნო სიგრილით შემოგვა-
სუნთქა დაცარებულმა ტაძარმა. მე-
რაბმა ფარანი გამოარბენინა სამკვეთ-
ლოდან, მე სადღაც ნაპოვნი ფიცარი
მოვიმარჯვე და აჩრდილებივით შევე-
რიეთ კიბის სიბნელეს.

ფრთხილად ავდივართ და უხმოდ
ვითვლით საფეხურებს: ...თვრამეტი,
ცხრამეტი, ოცი.. კიბე თავდება ვშეშ-
დებით, სულს ვითქვამთ და სიბნელეს
ვეჩვევით. ნაცნობი ხმები გვესმის ზე-
მოდან, ისევ შრიალბენ და წრიბინებენ
ღამურები: ჯერ კიდევ არაფერი ჩანს.
მაგრამ... რაღაც ახალ, გარეშე ხმებსაც
იჭერს გამახვილებული სმენა. თითქოს
ჩვენს გარდა სხვაც არის აქ ვინმე და
ჩვენსავე დაღლილი სუნთქავს. „ვინ
უნდა იყოს?“ — ვფიქრობ და ისევ მხო-
ლოდ სირცხვილი მაჩერებს ადგილზე.
მერაბიც ჩემს გვერდით გაშეშებულა და
მგონი აღარც კი სუნთქავს. უცბათ გარ-
კვევით მესმის ჩურჩული:

— შენ კი გენაცვალე... ჩემო გოგონი...
მერე ამას კოცნის ხმაც მოსდევს და
უკვე ვხვდებით რაშიცაა საქმე. არც
ისეთი პატარები ვართ! ისიც ვიცით,
როგორც უნდა მოიქცეს ასეთ დროს
წესიერი ადამიანი, მაგრამ თვალი ახლა-
და ეჩვევა სიბნელეს და დაუძლეველი
ცნობისმოყვარეობა განძრევის საშუა-

ლებას არ გვაძლევს. სიბნელიდან ისევ
ჩურჩული და კოცნის ხმა მსმენს მე უც-
ბათ მცხება და გული ისე მრცხმს, შეშინა
ნა არ გავვთქვას სისხლი მიდუღდება-
და საფეთქლებში მიბრახუნებს, სულს-
ვეღარ ვითქვამ. ალბათ, მერაბიც ჩემს
დღეშია. არც ისეთი პატარები ვართ!

— ხომ იცი რა უბედურიცა ვარ... —
ჩურჩულებს ქალი, — არაფერმა არ გა-
მიმართლა ცხოვრებაში... მას მერე არა-
ვინ მყვარებია... შენდა მრჩები იმედად!

— ვიცი... — პასუხობს ბოხი ხმა, —
შენც ხომ იცი... როგორ მიყვარხარ!?
შენთვის რას არ გავაკეთებ!

ქალს ცრემლნარევი აქვს ხმა:
— მაშ სექტემბერში... როგორც და-
ბრუნდებით... არა?

— ჰო, ჰო, აბა, რა!?!...
— ჩემო იმედო!...

მე უკვე ლანდებს ვარჩევ, უფრო-
სწორად, — ერთს, მთლიან ლანდს. მას-
ორი თავი აქვს, ოთხი ხელი და ორი
ხმა, რომელთაგანაც ვერცერთს ვერა-
ვცნობ.

ყურთან მერაბის გახურებულ სუნთ-
ვას ვგრძნობ:

— ორივე ვიცანი. — და ცოტახნის
შემდეგ დავბრუნდეთ... სირცხვილია!
განსაკუთრებული სიფრთხილით ჩავდი-
ვართ ქვევით, კვლავ შეუმჩნევლად ვტო-
ვებთ ტაძარს და რატომღაც მთელი ძა-
ლით გავრბივართ ისევ ლეზურასაკენ-
მერაბი წინაა და კურდღელივით ახტება-
ეკლიან ჯაგებს, ვცდილობ არ ჩამოვრ-
ჩე, მწარედ მეკაწრება შიშველი კანჭე-
ბი, მერე ვეწვევი და სირბილშივე ვეკი-
თხები აქლომინებული:

— ვინ და ვინ იყო... — მითხარი...

— გეტყვი... დამაცა. — მპასუხობს
და არა ჩერდება.

წყლის ნაპირთან ლამის ვეცემით და-
სულს ძლივს ვითქვამთ, ანთებული
თვალებით შევცქერით ერთმანეთს. მე-
რაბი ეშმაკურად იღიმება, თან თითქოს-
დარცხვენილია, და მე ვფიქრობ: „ნუ-
თუ ეს არის სიყვარული?!“

— აღარ მეტყვი, ვირისთავო?! —

უხეშობით ვცდილობ დავფარო ჩემი შეშფოთება.

— გეტყვი, დამაცა... — ისევ აქიანურებს პასუხს მერაბი, — ვერცერთი ვერ იცანი?

— ვერა.

— კაცი შოთა იყო.

— შოთა?

— ჰო, ქალი კი... აბა, თუ მიხვდები!

— არ ვიცი, არა! თქვი, თუ ამბობ, რა მოგვივიდა?

— ნინო.

— რომელი ნინო? მზარეული?

მერაბი თავს მიქნევს.

— მოგჩვენებოდა!

— თუ გინდა დავნაძლევდეთ! რატომ არ გჯერა?

მე თვითონაც არ ვიცი ზუსტად, რატომ არ მჯერა და მხრებს ვიჩეჩავ.

იმ დროს მე ისიც არ მესმოდა კარვად, თუ რატომ ვერ ვუსწორებდი მზერას მზარეული ქალის შავ, ნუშისებურ თვალებს, როცა ის, საქმლის განაწილების დროს, ალერსიანი ღიმილით მიწვდიდა ხოლმე ჩემს ალუმინის დაქეპული მათლათას, და მიხაროდა, რომ ცხელი ქვაბიდან ამოვარდნილი ოხშივარი ხელს უშლიდა მას დაენახა აღმურმოდებული ჩემი სახე.

ნინო ოცდაათიოდე წლის ლამისყანელი, ჭკრივი ქალი იყო, მუდამ სუფთა, წყნარი და თავაზიანი. მისი ნახელავი საქმელი, ისევე როგორც სხვაც ყველაფერი, ერთხმად ქებასა და მოწონებას იმსახურებდა. მას არამცთუ თავის შესახებ არ უყვარდა ლაპარაკი, არამედ საერთოდ იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას, მაგრამ იქ, სადაც რამოდენიმე ქალი იყრის თავს, ცნობილია, არაფერი დაიმალება და, ალბათ, ამიტომ ჩვენც კი, ბავშვებმა, ვიცოდით, რომ ადრე ის სადაც მოანგარიშედ მუშაობდა, მერე გათხოვილა და თითქმის მაშინვე მისი ქმარი ჯარში გაუწვევიათ; როგორც იქნა მოახლოვებულა მათი განშორების დასასრული, მაგრამ ახლა ომის დაწყების ამბავი დასტყდომია თავს მეხვიეთ და სულ მალე ქმრის დაღუპვის ცნო-

ბაც მიუღია ფრონტიდან; უდროოდ დაქერივებულსა და უშვბლთს ნაკლავის მეტი რაღა დარჩენოდა? შავკანს, როგორც ახალა ვხვდები, დროს მაინც თავისი გაეტანა და საბრალო ქალის გულში წვეთწვეთად ისევ დაეგროვებინა სიცოცხლისა და ბედნიერების დაუძლეველი სურვილი. მერაბი და მე კი სწორედ იმ მომენტს შევსწრებოვართ უცაბედად, როცა ნინოს არჩევანი, ჩემთვის ძნელად გასაგები მიზეზების გამო, მაინცდამაინც შოთაზე შეჩერებულიყო.

შოთა ექსპედიციის შოფერი იყო, მხიარული, უცოლშვილო და უხეში კაცი. შუბლზე ჩამოშლილი შავი ჭოჩორი ჰქონდა, ჩაყვითლებული კბილები, კეხიანი ცხვირი და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებით აქრელებული, დაკუნთული და ბანჯგვლიანი მხარბეჭი. ჩვენ მგონი ვუყვარდით, წამდაუწუმ თვალს გვიკრავდა ხოლმე, „იუზგრებს“ გვიძადა სულ შეთქმულივით გვიღიმოდა. ხანდახან მანქანის რემონტის დროს გვიშველიებდა, მართვასაც გასწავლითო, არაერთხელ დაგვიბრებია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, სიტყვას ბანზე გვიგდებდა ხოლმე. ამიტომ არ მიყვარდა მაინცდამაინც, მითუმეტეს, რომ მუდამ მათუთში ამოთხვრილი დადიოდა, განუწყვეტლოვ იფურთხებოდა და ცხვირის ან კბილების ჩიჩქნა ხომ მის საყვარელ საქმიანობას წარმოადგენდა.

და ასეთი კაცი ნინოს... უყვარს! — გავიფიქრე, როდესაც ცოტა დავმშვიდდი, ბოზიანადაც კი ამოვიოხრე და ლაპარაკის ხალისი წამერთვა.

მერაბისთვისაც გადაველო ამასობაში მღელვარებას და ისიც მგონი ჩემსავით დაღონებულიყო, ყოველ შემთხვევაში, აღარც ის ამბობდა რამეს. ფიქრებში წასულნი დიდხანს ვიჭექით მზეზე გაუნძრევლად და მხოლოდ მაშინლა დავბუნდით უკან, როცა ტაძრის დაგრძელებულმა ჩრდილმა ლეხურის ნაპირებამდე მოაღწია.

მეორე დღეს, თუმცა კი არაუყოყმა-

ნოდ, მაგრამ მინც ჩვენი სამარცხი-
ნოდ, ცოტუნებას დიდხანს ვერ გავუძე-
ლით და ისევე ფარნითა და ფიცრით
შევიარადლით, ცხადია, მხოლოდ ჩვენი
საქციელის გასამართლებლად, თორემ
მტრედები ვილას ახსოვდა. ამჟერად
უფრო მეტი დრო დაეყავით სიბნელეში
და ჩვენი განცდები ალბათ ძალაუნე-
ბურად არაჩანსალი იქნებოდა. შოთა
ლამაზ სიტყვებს არ იშურებდა და სი-
ყვარულს ეფიცებოდა ნინოს. უცნაური
და უსიამოვნოც კი იყო ამ უხეში კაცო-
საგან ასეთი ნაზი აღსარების მოსმენა.
მაგრამ ნინო მინც გაუთავებლად ამე-
ორებიანებდა ერთსა და იგივეს და ბედ-
ნიერებისაგან თუ ტროდა. მე ბოლმა
მიწევებოდა ყელში, ბრაზისაგან ვეანკა-
ლებდი და ძლივს ვიკავებდი თავს, რომ
რაიმე სისულელე არ ჩამედინა.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდექით
გაუნძრევლად, ალბათ, ძალიან დიდხანს,
რადგანაც სასრებმა ტეხვა დაგვიწყო
და დაჰყვტილი თვალებიც აგტვივდა.
მათ შემდეგლა გავბედით მხოლოდ და-
ხუთული სენაკის დატოვება. შვებით
ამოვისუნთქეთ სუფთა ჰაერზე გამოსუ-
ლებმა, გახურებული სახეები გრილ
ნიაგს შეეუშვირეთ და გადაწყვიტეთ
ახლოსაც აღარ გავკარებოდით „საიდუ-
მლო“ კარს. არ ვიცი ჩვენზე საქციელ-
მა შეგვაზიზდა თავი თუ სიბნელეში
ნანახმა იმოქმედა ასე. მაგრამ მთავა-
რია, რომ ოღნავაც აღარ გავცნელებია
ამ გადაწყვეტილების სისრულეში მო-
ყვანა. ისე კი, ყოველდღიურ საქმიანო-
ბაში, უნებურად ვადევნებდით თვალ-
ყურს ნინოს და შოთას, მაგრამ მათ
ჩვეულებრივ ურთიერთობას ვერაფე-
თარ ცვლილებებს ვერ ვატყობდით და
ეს ძალიან გვაკვირებდა.

ერთ საღამოს, როცა ექსპედიციის
დამთავრებას სულ რაღაც სამიოდე
დღედა უკლდა. ბიძია როსტომმა საერ-
თო ბარგის ნაწილით დატვირთული
მანქანა თბილისში გაგზავნა, იმ პირო-
ბით, რომ მეორე დღესვე უკან უნდა
დაბრუნებულიყო. როგორც ყოველი

მგზავრობის წინ, იმ დღესაც შოთა დი-
ლიდანვე უტრიალებდა მანქანის უნე-
თავდა, სწმენდა, ზოგიერთ ნაწილს
განსაკუთრებული გულმოდგინებით აწ-
ესრიგებდა. მერაბი და მე, მასავით
მზუთში ამოთხვრილები, თუმც სრუ-
ლიად უხალისოდ, მაგრამ მინც ვესმა-
რებოდით. ის კი ჩვეულებრივზე მეტად
ხმაურობდა და მხიარულობდა, და რად-
განაც არც სხვა დროს გამოიჩინოდა
სიწყინართა და მოწყენილობით, ეს პა-
ტარა ცვლილება არამცთუ სხვებს,
ჩვენც კი შეუმჩნეველი დაგვრჩა. საღა-
მო ხანს, როცა ყველაფერი გაამზადა,
გზის წინ ნაჩქარევად წაივებშმა (ასან-
თის გათლა და კბილების საფუძვლია-
ნად გამოჩინქნვაც არ დაეწყებია) და
ვიდრე საჭეს მიუჯდებოდა, მერაბსა და
მე რიხიანად მოგვამახა:

— აბა, იუზგრებო! კარგად შეყო-
ლით!

ჩვენ თვალც კი ვერ გავუსწორეთ
მას და დამნაშავეებივით თავდახრილი
ვიდექით. მერე შოთა დანარჩენებსაც
ხელის აქნევით დაემშვიდობა და მან-
ქანა პროფესიონალი შოფრისათვის შე-
უფერებელი ნახტომით დაძრა ადგილი-
დან.

მანქანის წასვლა-დაბრუნება რატომ-
ღაც მთელ მოვლენას წარმოადგენდა
ექსპედიციისათვის, თითქმის უკლებ-
ლივ გამოვეფინებოდით ხოლმე ყველა
ტაძრის ეზოდან და ვალავნის წინ გამ-
წკრივებულნი ვაცილებდით ან ვხვდე-
ბოდით მას. არც ამ საღამოს გვიღალა-
ტნია ჩვეულებისთვის. გამცილებელთა
შორის ჩუმად იდგა ნინოც და მე მის
შავ, ლამაზ თვალეში ფარული შფოთი
გამოვიცანი.

ის საღამო და მეორე დღის უმეტესი
ნაწილი უფროსებმა დარჩენილი ბარგის
ჩალაგება-მოწესრიგებას მოანდომეს.
ჩვენ ყველას ფეხებში ვებლანდებოდით
და ნერვებს ვუშლიდით. სასაუზმოდ
მოგვიანებით დავსხედით და ჯერ არც
კი დაგვემთავრებია, რომ წყლის დასა-
ლევად წამომდგარმა მერაბმა გამაყრუ-
ებელი ყიყინა და განგაში ატეხა:

— შოთა მოდის, შოთა! მანქანა გა-
მოჩნდა!...

ყველა ეზოს გარეთ გავიკრიბეთ და
იგოეთიდან მომავალ შარავზას დავა-
ვირდით. მანქანა ჭერ კიდეე შორს იყო,
მაგრამ სწრაფად ახლოვდებოდა და
სქელი მტვრის უზარმაზარი ღრუბელი
მოჰქონდა თან. თვალი უნებურად გამე-
პარა ნინოსკენ, რომელიც სიხარულის
ღიმღილს ვეღარ მალავდა და ალბათ,
ამიტომ იდგა ყველაზე უკან. მანქანა
უფრო და უფრო ახლოვდებოდა. პატა-
რა ხევეში ჩაიშალა, ისევე გამოჩნდა და
ტაძრის შემოვლით ჩვენ წინ შეჩერდა.

კაბინიდან ლოყებდაჟღაჟა, უცნობი
გოლიათი გადმოზობლდა, ვეებერთელა
ღიმი თათებით ბურთივით შეათამაშა და
ასეთი აღნაგობის ადამიანისაგან მოუ-
ლოდნელი, მაღალი და ხრინწიანი ხმით
მოგვესალმა:

— გამარჯობათ თქვენი! — პასუხს აღარ
დაუცადა და განაგრძო, — მე კოლა
მქვიან, მუზეინის ახალი შოფერი ვახ-
ლავართ.

— შოთა? — წამოსცდა ნინოს, მაგ-
რამ არავის მიუტყევია ამისათვის ყუ-
რადლება, რადგან სხვებსაც აინტერე-
სებდათ, რაში იყო საქმე და ერთდრო-
ულად დააყარეს კოლას შეკითხვები:

— შოთა რა იქნა?

— ცუდი ხომ არაფერი დამართა?

მე ისევე ნინოსკენ გამექცა თვალი და
მას შემდეგ არასოდეს მავიწყდება ის
სახე. ისედაც დიდი თვალები შიშს არა-
ბუნებრივად გაეფართოვებინა, ჩვეუ-
ლებრივ შეგვერემანნი სახე თოვლივით
გასთეთრებოდა და სატირლად გამზადე-
ბულს საცოდავად უკანკალებდა ნიკაპი.
ჩემს გარდა ვერავინ ზედავდა ამას.

კოლა, როგორც ჩანს, ნაწყენი დარჩა
ასეთი დახვედრით, თავდახრილი იდგა
და დაბნეული იღიმებოდა:

— შოთას რა უშავს? მანქანაში და-
ნიშნული ყოლია, პოდა... სამუშაოდაც
იქ გადავდივარო... დღეს უნდა გაესწო-
რებინა ანგარიში... ქორწილიც მალე
ქონია... მოკლედ კარქა არის, რა!...

ამ ამბავმა დიდი გამოცოცხლება და

მიტქმა-მოთქმა გამოიწვია და ვერც კი-
დავინახე როდის გამქრალხურნი სადღაც
ნინო. კოლა ეზოში შეიჭყანეს, სასტუმრე
შესთავაზეს და ყოველნაირად ცდი-
ლობდნენ დახვედრისას უნებურად
დაშვებული უტაქტობის გამოსწარებას.
ახალი ამბის გაგებით კმაყოფილი ქალე-
ბი ხმამაღალი კისკისით ოხუნჯობდნენ.

— ერთი უყურეთ, რა ეშმაკი ყოფილა
ჩვენი შოთა!

— მამ, მამ! როგორ ვაგვებარა ქორ-
წილის წინ!

— ხარჯს თუ მოერიდა!

— აბა ამდენი ხალხის დაბატოება,
გენაცვათ, ხუმრობა ხომ არ არის!?

ქალებს არც კაცები ჩამორჩნენ და
საერთო მხიარულებაში მხოლოდ მერა-
ბი და მე არ ვმონაწილეობდით. თუმცა
არც კოლა იღებდა ხმას და გულმოდგი-
ნედ ანადგურებდა საუხმის ნარჩენებს.
ხანდახან თუ გაიღიმებდა, ან სავსე პი-
რით რაღაც გაუგებარს წაიბურტყუნებ-
და.

ჩუმად იყო, ცხადია, ნინოც, რომე-
ლიც ჩემდა გასაოცრად ისევე თავის სამ-
ზარეულოს დაბრუნებოდა და ჭერ კი-
დევე გაფითრებული, მაგრამ სრულიად
მშვიდი სახით, კრიჭაშეკრული უტრია-
ლებდა ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბებს.

— შოთა კაცი არა ყოფილა! — მი-
თხრა მერაბმა, როცა განზე გამოყვანა
და დარწმუნდა, რომ ვერავინ მოისმენ-
და ჩვენს საუბარს.

მე ისევე ბოღმა მომანწვა ყელში და
ტივილამდე დაკრეჭილ კბილებს შო-
რის ძლივს გავეცერი:

— მოგკლავდი!... აჰ რომ იყოს...

ძალიან უგემური იყო სადილი იმ
დღეს, კოლამ ვერც კი დაამთავრა და
უკმაყოფილოდ იჭმუნებოდა. ყველას
გაუკვირდა ეს ამბავი, მაგრამ არავის
არაფერი უთქვამს, დარჩენილ ორიოდ
დღეს როგორმე ვაუქძლებთო, ფიქ-
რობდნენ, ალბათ.

საღამოთი ქარი ამოვარდა და ყველა
ჩვეულებრივზე ადრე დაწვა დასაძინებ-
ლად. მე არ მეძინებოდა. რაღაც გაურ-


კვეცილის მოლოდინში სმენადქცეული, გაუნძრევლად ვიწექი გულაღმა ჩემს კრიალა საწოლზე. რამდენჯერმე უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში, თითქოს მამკივნებსო, და რატომღაც კბილებიც კი ამიკაწკაწდა.

დაბნელებისთანავე საიდუმლო ხმებით აიგსო ცარიელი ტაძრის მაღალი თალები: ღამურებმა სათარეშოდ გამოფრენა არ დააყოვნეს.

შუალამისას გაგუდული ქვითინის ხმა შემომესმა სადიაცუნოს მხრიდან, ყური მიეუგდე, მაგრამ აღარ განმეორებულა ტაძრის ვიწრო სარკმლებიდან სტვენით შემოდინოდა ქარი; მალე ისიც ჩადგა და სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ. მხოლოდ ღამურები განაგრძობდნენ მოჩვენებებივით ფარფატს გუმბათის ყელში, შრიალებდნენ და წრიბინებდნენ გაუთავებლად. თითქოს ბოროტი სიხარული ისმოდა ამ ხმებში და დიდი ხნის ძლეულმა შიშმა ისევ შემიპყრო. არ ვიცი, ეს გრძნობა მამოძრავებდა მხოლოდ, თუ კიდევ რაღაც სხვა, როდესაც შეშ-

ლილივით ზეზე წამომხტარმა, მთვარეულივით უხმაუროდა დეკორაციულად მოვარგენი ბიძაჩემი გლორგის საწოლს, მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა ჩამოვხსენი კედლიდან მისი სანადირო თოფი, ძლიესძლიეობით ჩავვქედე ლულაში პატრონტაშიდან ამოძრობილი ტყვია და შეყენებული ჩახმახს თვალეზდახუტულმა ჩამოვკარი აკანკალებული თითი. გამაყრუებლად აგუგუნდნენ სამთავისის ტაძრის ჩაბნელებული თალები.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ჩემშიცა და ჩემს გარშემოც, და დღესაც, როცა აღამიანთა ურთიერთობაში უსამართლობისა ან გულცივიობის უნებლიე მოწმე ვხვდები, ისევე მტკივნეულად შემეკუმშება ხოლმე გული, როგორც მაშინ, ჩიტვივით გაფრენილი ჩემი ბავშვობის დროს, და ყოველთვის სირცხვილის გრძნობით მაგონდებიან უდანაშაულოდ დაზოცილი ღამურები სამთავისის ტაძარში.



გიორგი ნავროშვილი

მარუხის თეთრი ლამეები

დაძაბული ინტერესითა და შინაგანი მღელვარებით იწყებს ადამიანი რევოლუციური ლამეების ახალი წიგნის „მარუხის თეთრი ლამეების“ კითხვას; ძნელია თქმა, რა იწყებს თავიდანვე, პირველი სტრიქონებიდანვე ამ ღრმა ინტერესს — ეგებ სახელი მარუხი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სულ ორ ათეულ წელზე ცოტა მეტია, რაც ასე ხშირად გვესმის, მაინც ისევე მტკიცედ დაუკავშირდა რაღაც გულისშემძვრელს, ვაჟაკურსა და ტრაგიკულს, როგორც სახელები ასპინძა თუ კრწანისი; ან ეგებ ის ძუნწი სტრიქონები, ეპიგრაფად მოყვანილი, ასე მოკვეთილად რომ გადმოსცემენ ვაჟაკობისა და სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძობას — „მგზავრო, თუ სპარტაში მიდიხარ, გადაეცი ყველას, რომ ჩვენ პატიოსნად მოვიხადეთ ვალი და აქ დავიბოცენით“. ასეა თუ ისე, ამიერიდან ჩვენ, როცა არ უნდა გავიგონოთ და წავეკითხოთ ეს სიტყვა, არ შეიძლება თოფების ხშირი სროლის და მომაკვდავთა უკანასკნელი ამოკენისის შორეული ნახმევები არ გავიგონოთ. ყოველივე ეს თავისთავად იწყებს სულის მტანჯველ და თანაც მოსალბუნე მოუთმენლობას, — მტანჯველს იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, საშინელი ამბების მოწმენი უნდა გავგზადდეთ ამ წიგნში, ისევე თვალწინ უნდა დავიყვანოთ ის თეთრი ლამეები, როცა აქ, ამ მთების მწვერვალებზე თუ კალთებზე სიკვდილი და სიცოცხლე ცხარე ბრძოლაში შესქი-

ლებოდნენ ერთი-მეორეს; ხოლო მე უკვე ვთქვი, რომ აქ სულის სალბუნეც არის, ვინაიდან წიგნი აგვაესებს სიამაყით ჩვენი ძმების ვაჟაკობის გამო, რომლებიც ამ მთებში დაეცნენ და ძველ სპარტელთა მსგავსად მარუხის საფლავებიდან მოგვძახიან: მგზავრო, თუ საქართველოში მიდიხარ, გადაეცი ყველას, რომ ჩვენ აქა ვწევართ, და ყველამ პატიოსნად მოვიხადეთ ვალი.

ამრიგად, მარუხის ამბებს თავისთავად აქვს ტრაგიკული ძეგრა და უკვე თემა აქ ბევრს განაპირობებს; ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ამბავს გვიყვება შესაშინავი მთხრობელი, თანამედროვე ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატი რევოლუციური, რომელსაც ძალია არ დაუზოგავს, რათა მარუხის გმირების ბრძოლის ყველაზე მძიმე დღეები და საათები ჩვენს თვალწინ ცოცხლად გადაეშალა. ვისაც ყურადღებით წაუკითხავს რ. ჯაფარიძის მოთხრობები და ვრცელი რომანი „ჯარისკაცის ქვერივი“, ის შეამჩნევდა, რომ რ. ჯაფარიძის მძაფრად რეალისტურ სამწერლო მანერას, ერთი მეტად სახარბიელო თვისება აქვს — მწერალი მუდამ მშვიდი და თავშეკეცებულია, ის იშვიათად თუ შეგამჩნევინებს თავის მღელვარებას, რაზედაც არ უნდა წერდეს; მინდა მოვავაგონო მკითხველს, რომ ეს მუდამ იყო თვისება თხრობის ყველაზე გამოცდილი ოსტატებისა, ხოლო ჩვენს შფოთიან მეოცე საუკუნეში შესწავლული თვისება მწერლის ტალანტისა თუ მანერა წერისა უფრო მეტად

თანადროული, შესაფერისი და საკირო აღმოჩნდა. ასეა დაწერილი „მარუხის თეთრი ლაშვივი“. ხანდახან გვონია, რომ მწერალი ზომავზე მეტად თავდაპირველია, საკიროზე მეტად მკაცრი და ეპიკური, ერთი შეძახილი არ წამოსცდება, მაგრამ ამ სიმშვიდის უკან იმდენი მღვლელობაა დაფარული და ეს ისე ნათლად ჩანს სტრიქონებს შორის, რომ ემოციური ეფექტი აქ ათჯერ უფრო ძლიერია და გადამდები.

სწორედ ასეა დაწერილი ეს დოკუმენტური მოთხრობა პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე. წიგნი უჩვეულო მყუდროებით და თითქმის იდილიით იწყება. აგვისტოს მზიანი დღია. ბიჭვინთასთან, ზღვაში ნაადრევად ჩასულა ოცდაორი-ოცდასამი წლის ყმაწვილი და ზღვას შესკიდებია — ხან გულაღმა მიცურავს, ხან წყალში სანახევროდ ჩაიყურყუმალავს, ხან წინ სწრაფად გაუტევეს და ხანაც დინჯ მზარულზე გადადის. ცა უზომოდ ლურჯია და მალაღლი, და ისეთი განწყობილება იქმნება, რომ გეჩვენებათ — მოცურავს ფრთები-და აკლია, რომ თოლიასავით ჰაერში აფრინდეს.

და უცებ, ზღვაში შესულ კაბუქს ჩაესმის:

— ბატალიონის მეთაური გიბარებს, ამხანაგო ლეიტენანტო! გამომგზავნა, საჩქაროდ მომიძებნეო.

— ნაპირზე ვერ დამიცადე? სადაა თვითონ?

— ეგერ ზის ქვაზე.

— ახალი ამბავია რამე?

— მე მეტყვის? — თქვა მშვენიერადემ.

და აი, გამოდიან ნაპირზე. აქ უცდის მათ ვასილ რუხაძე — მართლაც ცუდ ამბებს შეიტყობს მოცურავე ყმაწვილი — გერმანელებს სოხუმში დაუბოძბავთ. უღელტეხილებს მტრის ალბური დივიზიები მოახლოებიან.

ასე ვეცნობით ჩვენ 808-ე პოლკის მესამე ბატალიონის ადამიანებს — სხირტლაძეს, მშვენიერაძეს, რუხაძეს... პორტრეტები ვალმის თითო-ორი ლაშვივი

მოხატული, თითო-ორი ლაშვივი, მაგრამ ეს სტრიქონები მეტად მეტყველია. ისინი ადამიანთა მთელ ცხოვრებას გვიჩვენებენ, მათს გულში გვახედებენ, თვალწინ გვიშლიან ამ ადამიანების უბრალოებას და სისადავეს და იმის იღუმალ შეგრძნებას გვიღვიძებენ, რომ სიდიადე და სილამაზე სწორედ ამ უბრალოებაშია; აქ ყველაზე უკეთ დანახება სიცოცხლისუნარიანობა იმ ფესვებისა, რომლებითაც ადამიანი გადაბმულია სამშობლოს მიწასთან, ახლობელ ადამიანებთან. მთელ ქვეყანასთან.

არის ერთი ადგილი მოთხრობაში, რომელიც ბევრს მეტყველებს ამ ადამიანებზე, მათს სულიერ სამყაროზე. ჯარები უღელტეხილისაკენ რომ მიდიან, მანქანა ისედაც ჯოჯოხეთურ გზაზე ერთ მეტად სახიფათო მოსახვევზე უნდა გამოვიდეს. „ხომ არ ჩამოვსხათ ხალხი?“ — შეშფოთებით ეკითხება შოფერს ბატალიონის მეთაური რუხაძე. „როგორმე გავაღ“ — პასუხობს შოფერი. მაგრამ გარეთა საბურავი უკვე ჰაერშია, უკეთ, უძირო უფსკრულის თავზეა; გაოფილი, მურიან სახეზე შოფერს სიყვითლემ გადაკრა, სინქარის ბერკეტი ბრაზიანად მოატრიალა, მანქანა შეიწყა, აქანქანდა. „გააჩერე“, — ამის დაძახებულა მოასწრო რუხაძემ და საქეს წაეტანა; შოფერმა წაუყრუა, კიდევ ერთხელ შესცვალა სინქარე, მანქანამ სვლას უშატა და მალე ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. სახიფათო მოსახვევი გავლილი იყო, და ამის შემდეგ ბატალიონის მეთაურსა და შოფერს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— ჯიუტი კაცი ყოფილხარ, — ესაყვედურება რუხაძე შოფერს.

— იმ დღესაც აქ გამოვირდა, — თქვა შოფერმა, — თქვენთვის რომ დამეჯერებინა, სულ ველარ გავიდოდი.

— რატომ? — უკვირს მეთაურს.

— ამისთანა დროს მთავარია გაბედვა. თუ ვერ გაბედე ცხელ გულზე, მერე მორჩა... ალბათ, ბრძოლის დროსაც აგრეა, თქვენ გიბრძოლიათ, უფროსო ლეიტენანტო?

— შენ როგორ მატყობ?
 — დაჭრილიც ხარო?
 — მე ჯერ არ ვყოფილვარ ფრონტზე.
 — ოჰ! — რატომღაც გაიოცა შოფერმა, — მერე შეიძლება?
 — რა?

— ფრონტზე რომ არ ყოფილხარო და...

თითქოს მეტად უბრალო ამბავია: ამ ქვეყნად ყველა შოფერმა იცის, რომ ასეთ დროს მანქანის გაჩერება ნაღდ სიკვდილს უდრის — ის დაპყარგავს ინერციას, დასხლტება და გადაიჩნება; მაგრამ აქ ეს როდია მთავარი: მწერალს უნდა, რომ გეიჩვენოს არა ტექნიკური ჩვევა თუ გამოცდილება, არამედ ის, რაც ვაჟაკსა და ლაჩარს ერთი-მეორისაგან გამოარჩევს. ეს ცხელ გულზე გაბედვია: თუ გამოსტოვე ეს წუთი, შორჩა, ველარაფერი ვერ ვიხსნის. და კიდევ აქ არის ერთი მომენტი — ეს განსაკუთრებით მღელვარებით სავსე მოლოდინი ჯერ უნახავი და გამოუცნობი, საგანგაშო იდუმალებით აღსავსე ომისადმი. ეს მეტად მკაფიოდ ჩანს შოფერის კითხვაში — „მერე შეიძლება?“ „რა?“ „ფრონტზე რომ არ ყოფილხარო და...“ ველარ ამთავრებს შოფერი, ვერც დაამთავრებს; ჩვენ გვესმის რის თქმა უნდა მას, მაგრამ გამოთქმა კი ძნელია.

ეს ერთი ფრაზა გასდევს მთელ ამბებს, ვიდრე ის მანამდე უცნობი რამ დაიწყებოდეს, რასაც ბრძოლა ეწოდება, ვიდრე პირველი თოფი გავარდებოდეს. აბა ახლა დააკვირდით როგორ ელიან ამ წუთებს ქართველი ჯარისკაცები — ოჯახის პატრონი, ხანში შესული გლეხები და გუშინდელი მეათეკლასელები. ისინი უბრალონი არიან, სიღა, ალაღმართალი, წმინდა გულის ადამიანები; თითქოს ახლაც ჩაგვსმით ლეუშა მშვენიერადის ვარმონისა და გოგი ქავეჭავაძის დოლის ხმა, რომელმაც რაღაც ნაცნობით, ჩვეულებრივით, შეჩვეულით უნდა დაჰდაროს, ამოავსოს მოლოდინით სავსე საათები ომამდე, სიკვდილამდე, იმ წუთამდე, როცა სისხლი პირვე-

ლად დაეფრქვევა ამ მიწას და რომელიც ნელნელა ახლოვდება; და მწერალს, თითქოს სხვათა შორის, კიდევ ერთი სურათს გვიხატავს, რომელიც ასევე მეტყველია და საგულისხმო. აი ისიც: მეცხრე ასეულის მეზობლები კამეჩის წამოქცევას ცდილობენ. კამეჩი ძალიან ღონიერია, გაფაციცებულ ბიჭებს კინაღამ ხელსა და ხელს შუა უსხლტება. ბოლოს შებოქცს, წაიბორძიკა პირუტყვმა, ხორკლიანი ენა გადმოავდო და საცოდავად ახრიალდა.

— მუშა-კაცი ამას ვაიმეტებს დასაკლავად? — ბულუნებენ განზე გამდგარი ძველი მეურნეები და პირუტყვის საცოდაობას თვალს არიდებენ, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც თავისი გააქვს — საწყალი! შეხედე, შეხედე, რავე ზვარაკით უშვერს ყელს!

ცეცხლის აღზე მკლავის სიგრძე დანამ გაილაპლაპა, სისხლმა ცას აახხა და იქაურობა წითლად შეღება.

— ფუ, კაცის სამართალს რა ვუთხარი მე, დასაღუპავი ვართ და გვიან ვიღუპებით.

ესაა და ეს. მწერალი აღარაფერს ამბობს, მაგრამ მკითხველმა იცის ვინ არიან ეს ადამიანები და ისიც იცის, რომ სწორედ ასეთნი მოიგებენ ამ საშინელ ომს; ის სიბრაღული, რომელმაც მათში სისხლის დანახვისას გაიღვიძა — სულის სიღრმიდან მოდის, იმ არსებითიდან მოდის, რომელიც განაპირობებს ადამიანურობის ცნებას და გამოიჩინავს ომს, მკვლელობას, როგორც არანორმალურს, შეუფერებელს და ბუნების საწინააღმდეგოს, ამ გლეხკაცებს ხარიც ბევრი დაუკლავთ და კამეჩიც, უამისოდ ამ ქვეყნად ცხოვრება შეუძლებელია; მაგრამ დახეთ, სისხლის დანახვაზე მაინც შეაყრკოლებთ. აქ საღდაც თითქოს ვაჟის მინდიას შორეული აჩრდილიც გაიღვივებს — გახსოვთ, როგორ უკვირთ ხევსურებს — რათ გვიკრძალავს მინდია ხის მოჭრას და პირუტყვის დაკვლას, როცა თვითონ ომში მტრის ჯარისკაცების გვამების ხროვას დააყე-

ნებს ხოლმე და დიდი თამარიც მუდამ მისი მარჯვენისა და მისი ხმლის მოიმედეო. მაგრამ თითონ მინდიას რომ ჩაესმოდა ხის ჩურჩული — „ნუ მომკლავ ჩემო მინდია, ნუ დამიბნელებ მზესაო“, მაშინვე მოუღუღებოდა მკლავები და გაშტერებული გაჰხდავდა ზეცას, თითქოს პასუხი იქ უნდა იპოვნოსო.

და კაცობის, ადამიანობის დიდი გუმანიც იღუმალად უქარნახებდა მინდიას — ქართველ გლეხკაცს — არ დაანებო სიკვდილს ითარეშოს შენს მიწაზე, ჩვენ ყველანი შენნაირები ვართ, მაგრამ არავის ეს მიწა არ დაუღუღეთო.

რ. ჯაფარიძის მოთხრობაში ამ წყეულ კითხვაზე პასუხს თითქოს გენერალი ლესელიძე აძლევს. ჯარში ხმა დავარდება, ლესელიძე მოუკლავთო. მაგრამ სარდალი მალე თვითონ გამოჩნდება ტანმორჩილ ცხენზე და მებრძოლებს თითქოს ახალი სული ჩაედგათ გენერალის დანახვაზე. „მტერი სხვაც ბევრი გვესოდა. მოვერიეთ. ყველა ჩვენნაირი ადამიანი იყო, ვინც თავსა სდებდა, მშობელი მიწა კი არავის დაუთმო“ — სარდლის ამ სიტყვებში, როგორც ვთქვით, თითქოს პასუხია მიცემული იმ კითხვაზე, რომელიც ზემო სურათის — კამეჩის დაკვლის ეპიზოდის კითხვის დროს აღძვერის ადამიანს.

გენერალი ლესელიძე ამ წიგნში მხოლოდ ეპიზოდურად ჩნდება. ამაზე მეტს მოთხრობის თემა არც მოითხოვდა, მაგრამ წიგნს რომ გკითხულობდი, კიდევ ერთხელ ვავიფიქრე, რომ ამ სარდლის ცხოვრება და ბრძოლა აუცილებლად ღირსია და იმსახურებს იმას, რომ რომელიმე ჩვენი მწერალი უფრო გულდასმით ჩაუტდეს ამ შესანიშნავი სარდლისა და ადამიანის ცხოვრებისა და ბრძოლის აღწერას. მე აქ არ ვგულისხმობ დოკუმენტურ-ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებს (ესეც არ იქნება ურიგო), არამედ იმას, რომ ლესელიძე თავისი სრული სახით გამოჩნდეს რომელიმე რომანისა თუ მოთხრობაში, როგორც მაგალითად, ჩანს გენერალი ვა-

ტუტინი ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიაში“.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „მარტინის თეთრ ლამებს“. ძალზე ბუნებრივად და უშუალოდ შეგვემხადა მწერალმა იმ სურათებისათვის, რომლებმაც მძაფრი და მძიმე ბრძოლა უნდა აგვისახონ, გვიჩვენონ ქართველი ვაჟკაცების შემართება, გვიჩვენონ როგორ დაუხვდნენ ისინი მტრის ურდოს. და აი, იწყება ბრძოლა, ბრძოლა მარტინისათვის, რომლის დაკარგვაც მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნიდა კოდორის ხეობას, აფხაზეთს და მთელ საქართველოს. ამ საფრთხის თავიდან აცილებას ძალთა არაადამიანური დაჰიშვა დასჭირდა. წიგნში ეს ისეა გადმოცემული, რომ გრძნობთ, ზუსტ შემთავანესა და შესანიშნავ მხატვარს ერთად აღუნუსხავთ ყველაფერი — აქ არის ისტორიაც და დახატულია კაცის სულიც; ეს არის ამ მოთხრობის მთავარი ღირსება.

მომხმ ხალხებთან ერთად, განუზომელი ძალ-ღონე და ენერჯია, თავისი საუკეთესო შეილები სისხლი გაიღო საქართველომ ფაშისტური გერმანიის ჯარების მოსაგერიებლად კავკასიის მისაღვომებთან გაჩაღებული ბრძოლების დროს. ამ თემას რევან ჯაფარიძე კარგად მოერია და განსაკუთრებით ის არის აღსანიშნავი და საინტერესო ჩვენი პროზის განვითარების თვალსაზრისით, რომ დოკუმენტური მოთხრობის ჟანრს მან თითქოს საზღვრები გაუფართოვა, იმაზე მეტი ათქმევინა, რასაც ამ ჟანრის შინაგანი შესაძლებლობა და მიზანდასახულება მოითხოვს. მან დოკუმენტურ მოთხრობას უფრო მეტი ტვირთი აჰკიდა, ვიდრე ამას ჟანრის კანონები მოითხოვდნენ. სწორედ ამაშია ამ წიგნის თავისებურებაც.

მე ვერ გამოვუდგები მთელი ბრძოლის თანმიმდევრულ გადმოცემას, მაგრამ ერთს ვიტყვი — აქ ჩანს ქართველი ჯარისკაცის სული და ხასიათი, მხატვარს ის კარგად გამოუძერწავს, უჩვენებია მისი გაბედულება და ის შინაგანი კეთილშობილება, რაც ასწივონებს

მის სულს; ტრაგიკული და შემადრწუნებელი ფურცლები კი, რომლებიც ამ წიგნს ამთავრებენ, კვლავ აღძრავენ მკითხველში იმ სულიერ თრთოლვას, რომელზეც ამ წერილის დასაწყისში ვილაპარაკეთ. და აი, აქ ეს უკანასკნელი სურათი მინდა მოვიყვანო, როცა მებრძოლები მედროშის საშველად მიისწრაფიან:

„კლდის ძირას წინასწარ ჩაგზავნილი ორი მებრძოლი უკვე უცდიდა თავის ჯერს. მებრძოლებმა თავიანთი საფარიდან დაინახეს, რაც მოხდა და უყოყმანოდ გაიქცნენ მტრის ტყვიით ვანგშირული ამხანაგებისაკენ. ჩორგოლაშვილამდე მხოლოდ ერთმა შესძლო მიღწევა. მეორე წამოდგომისთანავე დაიჭრა მუცლის არეში. მალლობზე მყოფთა მთელი ყურადღება ამ უბედურმა მიიქცია. მებრძოლი დაკლული ქათამივით ფართხალებდა, ხელფეხით თოვლსა და მიწას ფხოკნიდა, სახეს ლოდებზე ახეთქებდა და ცხოველური ხმით ღმუროდა.

„ვესროლოთ და გათავდება, მადლია“, — ამ სურათის ცქერას ვეღარ ვაუძლო და თითქმის ყვირილით აღმოხდა ვილაცას თელიას ზურგსუკან.

მებრძოლებმა იცოდნენ, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება ახლა უზენაესი კაცთმოყვარეობა იყო, მაგრამ პოლკის პირველი მოცეკვავისა და გურული კრიმანჭულის უებრო ოსტატის, ყველას სათაყვანო ბაჭუა ფირცხალავას მოსაკლავად მარჯვენა ვერავინ შემართა. დაჭრილი უღვთოდ იტანჯებოდა და, ალბათ, სიკვდილს ნატრობდა. ორი მარჯვე ბიჭი კიდევ ჩაპყვა კლდის პირს, იქნებ მოფარებულში გავიყვანოთ და გუშველოთ რამეო. რუხაძის ბორცვიდა-

ნაც ჩამოცოცდა ორი კაცი, ~~გერც~~ ^{ამათ} და ვერც იმათ დაჭრილობას შინსლოტმა ვერ მოახერხეს. ეს ადგილი სამი სნაიპერის სანიშნეზე იჭდა. ავტომატის ჯერით დაცხავებული ფირცხალავა ახლანკისის წვერზე წამოგებულ სატყუარასავით იყო.

ფირცხალავას ტანჯვას ბრმა ტყვიამ მოუღო ბოლო. მშველელებს უმიზნებდნენ და მომაკვდავს კი მოხვდა. სიმწრით კრიჭაშეკრულ მებრძოლებს გულზე მოეშვათ“.

ეს არის ნამდვილი ომი, თავისი სრული სახით, გაძარცული იმ ყაღბი რომანტიკულობისა თუ ფერუმბარლისაგან, რომლითაც მას საქმეში ნაკლებად ჩაბედული ადამიანები გვიხატავენ.

და აი, წიგნის უკანასკნელი სტრიქონები:

„თავპირახვეული გერმანელი ეგერები შიშნულად დააბიჯებდნენ უსახელო მალლობის ციკაბო კალთებზე. დროდადრო, თავის გასამხნეებლად, პაერში ავტომატის ჯერებს უშვებდნენ, მაგრამ მტრის ძებნით ამაოდ ირჯებოდნენ. უღელტეხილის დამცველთაგან იქ ცოცხალი აღარავინ იყო, იყვნენ მხოლოდ თავბოლოშეშეცევით დაყრილი უპატრონო მკვდრები, რომელთაც სუსხიანი ქარი თოვლს აყრიდა და ღრუბლებს ზემოთ ატყორცნილ ყინულეთში უკვდავებისათვის ამზადებდა“.

ამ ადამიანების უკვდავების მაუწყებელია ეს წიგნიც, ის ჰგავს მათი წმინდა საფლავების ეპიტაფიას, რომელიც მუდამ გაგვახსენებს რამდენი რამ შეუძლია ადამიანის გულს — სამშობლოს სიყვარულით აღსავსეს.

პლაქატიზმი

პოეტის ღირებულება

დიდი ხანი არ არის, რაც „ნაკადულმა“ შალვა აფხაიძის ლექსთა კრებული გამოცა. მას „გაზაფხულის განთიადები“ ეწოდება და სავსებით სამართლიანად. ეს ლექსები ჰუმანიტარულ პოეტური მისიონერობის სიკაცობის იმ გაზაფხულისადმი, რომლის განთიადები სიხარულის ნათელი გრძნობებით ავსებენ ადამიანთა გულს.

როდესაც შალვა აფხაიძის ლექსთა ამ კრებულს ეცნობი, უნებლიეთ გაგონდება ბესარიონ ბელინსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ პოეზია სიკაცობის გამოხატვაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პოეზია თვით სიკაცობაა, იგია ცოცხალი სინამდვილე, რომელშიაცაა „ბევრი სიმშვენიერე“, „ყოველივე მშვენიერი“.

სინამდვილეა ის, რასთანაც ადამიანი, ბაირონის გამოთქმით, „სისხლის ბორკილებითაა დაკავშირებული“. რა თქმა უნდა, პოეტის შემოქმედების პირველი წყარო მისივე სულია, მაგრამ ეს სული თვითმიზნური და თვითმიზნობრივი კატეგორია ხომ არ არის! პოეტის შემოქმედ სულსაც, მის პიროვნებასაც მისგან დამოუკიდებელი ფაქტორები განაპირობებენ, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი იმ ქვეყნის სინამდვილეს უჭირავს, რომლის წილშიაც ადამიანები ზნეობრივად ვაყვაცდებიან, იწრთობიან და მოქალაქეობის, კაცობის პირველ ანბანს ითვისებენ. ასეთი ქვეყანა ყოველი ჰუმანიტარული ადამიანისათვის სამშობლოა, სადაც მამულიშვილნი თავდადებული შრომითა და ბრძოლით სკვდენ მის ბედნიერ აწმყოს და კიდევ უფრო ნათელ მომავალს.

შალვა აფხაიძეს, როგორც პოეტსა და პატრიოტს, თავიდანვე სწამდა, რომ მწერალი და მწერლობა მხოლოდ მაშინ გაამართლებდა თავის არსებობას, თუ კი იგი უკეთესად მოემსახურებოდა თავის ქვეყანას. შემთხვევით არ ამბობს პოეტი კრებულისათვის წამქდარებულ წინასიტყვაობაში, რომ ლექსი სიმღერაა უპირატესად სამშობლოზე. და თითქოს ამის გარეგანი გამოხატულება ისიც, რომ „გაზაფხულის განთიადები“ საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებით იხსნება და იხურება. ამ ლექსებში, პოეტი მუხლმოღრეკით დგას „სისხლით უძღები გოლგოთის მთაზე ბევრჯერ ასული“ სამშობლოს წინაშე, გაბრწყინებული თვალებით შესცქერის მას, „ერთსა სხივთანს“, „მთებად, ველვად განფენილს დიდ შუქს“ რომლის „აღმობრწყინებას, როგორც სიხარულს ელის იგი“ და სასოებით მიმართავს მას:

შენ ხარ გმირობის, უცვლადების მზიური

ფარი,

შენ ხარ, იყავი, შენ დარჩები ჩემი ღამბარი,

შენ ჩემო ლოცვა, შენ, ჩემო სული,

შენ, ჩემო მიწის და ცის სიმაღლე...

შენს ფრთებ ქვეშ ვარ მე შეუფთული,

შენი მზე მამბობს და არა სხვისი.

ადამიანისათვის სამშობლო მარტო ის მიწა-წყალი კი არ არის, სადაც იგი ცხოვრობს და არსებობის ნივთიერ დოვლათს ქმნის, არამედ იგია სიყვარულის, ყველა სულიერის ამ ამოუცნობი და ჯადოსნური გრძნობის ენაც. „სიყვარულის ენაც შენა ხარ, სამშობლოვ ჩემო“ — უმღერის შალვა აფხაიძე მამულს და ამით პოეტი ერთხელ კიდევ იხსე-

ნებს ამ გრძნობის ძალას, რომლის გამოხატვა დიდმა ვალაკტიონმა ასე ისურვა:

უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის-
კამარაზე
სოი არ დაჰრის, ტყე არ კრთება

სასიზარულოდ,
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სიღამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ

ანგარებისა და სარგებელისაგან თავისუფალი სიყვარულის გრძნობაა რომ ფასს სდებს ადამიანის პიროვნებას, მის სურვილებს, მისწრაფებებს, იდეალებს და მათთან ერთად მამულიშვილობის მძალად და ნათელ შეგნებას. სიყვარულია ადამიანის ძალა, რომელიც მას აკავშირებს წინაპრებთან, იგია უნარი, რომლის მეოხებითაც კაცის სმენას იღუმალად სწვდება ქვეყნის წარსულ დროების ქეითინი და ღიმილი და გული ევსება უმჯობესი მომავლისადმი რწმენით, რადგან ქეშმარიტი პატრიოტი ყოველთვის ოპტიმისტია, იგი არასოდეს არ ჰქარგავს იმედს და არავითარი საძნელისა და გასაჭირის წინაშე ფარწყალს არა ჰყრის. ეს ის ოპტიმიზმია, რომელიც თავიდანვე მოსდევდა ჩვენს ხალხს და ამიტომ იგი არასოდეს უცხო არ ყოფილა ჩვენი მწერლობისათვის.

ლიტერატურის ეს ოპტიმიზმი თავისი ძირებით ხალხის ოპტიმისტურ სულთან, მის ზნეობრივ ვაყეკობასთანაა დაკავშირებული. ამიტომ არცაა საკვირველი, რომ ჩვენი ქვეყნის ქეშმარიტი პოეტი ამ სულისა და ზნეობის მეხოტბე იყოს. მისი მეხოტბეა შალვა აფხაიძის პოეზიაც და, განსაკუთრებით კი, ჩვენ მიერ ზემოხსენებულ კრებულში წარმოდგენილი სონეტები, რომლებიც თემის სიღიადითაც და ნაყეთობის მძალადი ოსტატობითაც იქცევენ მკითხველის ყურადღებას. სონეტი, როგორც თვით შ. აფხაიძე წერს, ლექსის საყვარელი ფორმაა მისთვის და ეს კარგად იგრძნობა იმ ნაწარმოებებთანაც („ბასიანი“, „ძველ ციხეში“, „ბოლნისის ნანგრევებთან“, „წამებული“, „ბაგრატის ციხე“, „მარაბდის ველი“, „სამასი არა-

გველი“), რომელთა სრულყოფისათვის პოეტს არ დაუშურებია, არც ნიჭი და არც გულის სითბო.

ჩვენი ქვეყნის გმირული და საამაყო წარსულისადმი უდიდესი პატივისცემა აღბეჭდილი ამ ლექსებში. ამიტომაც, რომ პოეტი, როგორც მორწმუნე სამლოცველოში, ფეხაკრფებით შედის ძველი ციხის ნანგრევებში და კრძალვით უახლოვდება „აღმოდებულ ბროწეულს“, რომლის ფესვებთან „თვლემს ამ ციხის დამცველის მკერდი“. ესაა ნაციხარი, სადაც ოდესღაც კლდედ აღმართულ კედლის „კირიდან ყონვით გაღმოდოდა მამულიშვილთა სისხლი“ და ახლა კი, მხოლოდ „მტრედის მობნეული ბუმბული“ და ოდინდელი ძღვეამოსილების ნანგრევთა მუდმივი ბინადარი ლეღვის ხე ჩანს, რომელსაც „წარსული უმადრებს ძარღვს“ და თანაც, დღევანდელ მის პატრონს იმასაც მოაგონებს სასიამოვნოდ, რომ „ახლა ამ სივრცეს მტრის ყიყინა აღარ შემოფოთებს“.

პოეტი ალბაცებით გასცქერის ჩვენი წარსული დიდების მოწმე ბოლნისის ციხის ნანგრევებს, სადაც „ქვეებს შეკირვია ძვლები დიდძალი გმირი მეგრძოლისა“, ბასიანს, „გამარჯვების ძველ საფარს“, სადაც „გეფხვთა თავდასხმით შემკრთალი გარბოდა ნუქარდინის ურიცხვი ჯარი“, ბაგრატის ციხეს, რომლის „კედლის თავზე მზე დიდებისა ახლაც ანთია“, მარაბდის ველს, რომელზედაც თუმც „გაიბზარა საქართველოს სიცოცხლის ფარი“, მაგრამ მწერალი თითქოს დღესაც ხედავს, თუ როგორ გადადის „დიდების ამ ველზე უქრობელი შუქი“ იმ ვაყეკებისა, რომლებმაც „ქართველი დედის წმინდა ძუძუ ასახელეს“. პოეტი დიდი გრძნობით უნთებს მოგონების წმინდა სანთლებს „სამას არაგველთა გრივალთ მოთხრილ მუხის სამას ძირს“ და ყველა იმ ქართველ ვაყეკებს, თავისუფლებისათვის თავგანწირულ იმ რაინდებს, ვინც „იყვნენ... იბრძოდნენ“ და ამიტომ „კიდევაც ეხურათ პატიოსნების ქული“.



მწერალი, გულსავედ და მართლაც რომანტიკულად უმღერის ქვეყნის იმ საბუნდარებს, სადაც წარსულშიაც „იზრდებოდნენ ჩვენი არწივნი“ და „კვლავაც არწივნი დაიზრდებიან“.

შალვა აფხაიძე მადლიერი შვილის გრძნობითაა გასაჭვალული სამშობლოსადმი, თავისი კეთილი აღმზრდელისადმი. იგი, პუშკინის გამოთქმას დასესხებული ამბობს, რომ ნათელი სევდით ეცაგონებ ჩემს ბავშვობას, რომელსაც, მართალია, „მამის სითბო და მშობელი დედის ძუძუ არ რგებია“, მაგრამ სამაგიეროდ ჩემმა ქვეყანამ გამითბო გული მშობლიური სიყვარულითა და მზრუნველობითაო. პოეტის სიტყვებით, ამ სიყვარულმა გამოაწრთო იგი სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად, მისი ბედნიერებისა და თავისუფლების მეხოტბედ. ამიტომაც, რომ თბილისის მშვენიერებისადმი მიძღვნილ ლამაზ ლექსში, რომელშიაც გრიბოედოვის კომედიის ერთი ტაეპის რემინისცენცია იგრძნობა «И дым отечества нам сладок и приятен» შალვა აფხაიძე მოხდენილად ამბობს:

აქვს ყველგან უვყარს სიცოცხლის-სუნთქვა,
ყველგან იზიდავს მას ცის ლავარდი...
მაგრამ სამშობლოს ეშბი სხვა არი,
გულს უვყარს მისი კვალიც და დარდიც.

სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებულ პოეტს არარად მიაჩნია სიცოცხლის ყოველი დღე, თუ იგი პატრიოტული განცდებით არ არის დატვირთული და დაშვებულნი. ეს გამოხატა პოეტმა, ლამაზი სახეებით, მეტაფორებითა და შედარებებით მოჩუქურთმებულ თავის ბევრ ქმნილებაში და კერძოდ ლექსში „ის დღე რად მინდა“, რომლის ცალკეული ადგილები ასე იკითხება:

„ის დღე რად მინდა, თუ მზე ვერ ვნახე,
არ გაეხარებ თბილისის ციხა...
თუ არ დამეცა დაბერტყილ ხიდან
ვარსკვლავებიან ღამის წვეთები,

თუ არ მომესმა ყოველი მხრიდან
ხმა გამარჯვების ჩემი ხალხისა
და მისი ტრფობით არ ავინთებმა“

მამულისადმი ტრფობით ანთებულ პოეტს არც „უფსკრულის ზარისა“ შესაძლებელი მოახლოვება აშინებს და იმედი აქვს რომ „სულს თავისუფალს ვერ დაზრის სევდა“, რადგან სწამს, რომ სიკვდილის შემდეგ „მშობლიურ მიწას ძვლებით მაინც შევეპატებები და სულ არ გავექრებო“. ავტორის ეს დიდი ოპტიმიზმია გადმოცემული კერძოდ ლექსში „პიმნი სიცოცხლეს“, რომელშიაც უკვდავებაზე მეოცნებე პოეტი ამბობს:

მაგრამ რა არის მწამს, რომ შემდეგაც
როცა სქელ ბურუსს მივეფარება,
შენში ვიცოცხლებ და კვლავ შევხედავ
ამ სილამაზეს შენი თვალებით, ცუქი
თვალებით!

ასე უვალობებს შალვა აფხაიძე სიცოცხლის, სამშობლოს და სილამაზის მარადიულობის მაღალ აზრს და ამ საგალობელითაც უხდის იგი პოეტურ ხარკს ადამიანის „დაუცხრომელი სულის რომანტიკას“.

ჩვენ წერილის შესავალშივე შევნიშნეთ, რომ პოეზიის საგანია ცოცხალი სინამდვილე, იმავე ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სრული დიდებით მოსილა ქმნილება“ — ქვეყნიერება თავისი მოვლენების მთელი უსასრულობით და სხვადასხვაობით. პოეზია სულს ესაუბრება სახეებით — ეს სახეები კი გამომხატველნი არიან იმ მარადიული სალამაზისა, რომლის პირველსავე ბრწყინავს მთელს სამყაროში და ზღუნების ყველა კერძობითს მოვლენასა და ფორმაში პოეზია მოკლედ რომ ვთქვათ, არა მარტო ადამიანის აზრების, იდეების, გრძნობებისა და განწყობალებითა გამომხატველია, არამედ იმავე ადამიანისა და ბუნების სილამაზისაც, ასე ესპის პოეზიის რაობა შალვა აფხა-

იმესაც. იგი დიდი გრძნობით უმღერის საქართველოს ბუნების მომჭადობებელ სიმშვენიერეს, მის მზეს, ცას, გაზაფხულსა და ამ გაზაფხულის წვიმასაც. განსაკუთრებით გაზაფხულია პოეტის სალოცავი ხატი, რადგან მას სწამს სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა. მას ვაჟასავით სჯერა, რომ უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს. გაზაფხულია სიცოცხლის მშობელი, „სიცოცხლის მინდვრად სიცოცხლის ტყეში, სიცოცხლის ზღვაში, წყალში, ცაში“, როგორც ამას დიდი ვაჟა იტყოდა ხოლმე. სიცოცხლის სინონიმად წარმოიდგენს გაზაფხულს შალვა აფხაიძეც და ამიტომ უწოდებს იგი წელიწადის ამ დროს „ჩემი მწვანე თანავგზაერი“. იგი გაზაფხულს განიცდის როგორც ცოცხალ არსებას, რომელიც „დიდი მხატვარივით დადის და ხატავს ნაირფერებით ველს“. გაზაფხულია ბუნების ძალთა მუდმივი განახლების დასაწყისი და ამის მაუწყებელია, ამბობს პოეტი, „გრგვინვა პირველი“, პირველი „უუუუნა წვიმა“, რომლის „წვეთის ხმაურში“, ვერლენისა და გალაკტიონის მსგავსად, მოესმის მას „სიცოცხლის დიდი ძახლი“. პოეტის სიტყვებით, სიცოცხლის სავაზაფხულო ზეიმის მონაწილენი არიან „გზად გამოსულნი ყვავილნიც“, პოეტის „მეგობრები“, რომლებიც შ. აფხაიძის ფიგურალური გამოთქმით, „სალაშს აძლევენ“ მას ისე, „თითქოს ცერებზე დგებიან“. გაზაფხულის ყვავილთა შორის პოეტს განსაკუთრებული ძალით იზიდავს „ბუჩქის ძირში ამოსული პატარა ია“, რომლის „ფერი აქვს სიცოცხლეს“. ამ შესანიშნავ შედარებაში, რომელიც ვინმემ შესაძლებელია პოეტის მიერ სიმბოლისტური პოეზიისადმი მიტანილ დაგვიანებულ ხსრკადაც წარმოიდგინოს, შ. აფხაიძე სინამდვილეში საკმეველს უკმევს საერთოდ სიცოცხლეს, კერძოდ პოეზიის ამ უმთავრეს საგანს, როგორც ჩვენ ეს არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ.

შ. აფხაიძის პოეტური კონცეფციით, მთელი არსებული სინამდვილე უმეტეს დამადასტურებელია, რომ სიცოცხლე და უსრულებელი უნდა იყოსო. ცნობილია, რომ ასეთ სიცოცხლეზე ოცნებობდა ადამიანი მუდამ და რა გასაკვირია, რომ ჩვენი მწერლის სულსაც იზიდავდეს და აღელვებდეს ბუნებასთან, როგორც დაუარულებელი სიცოცხლის წყაროსთან შეერთების დაუძლეველი სურვილი? ამიტომ პოეტს ოცნებად გადაქცევია „საკუთარ სხეულივით განიცადოს ბუნება“, როგორც ამას ნოვალისი იტყოდა ხოლმე, და ამ სურვილს დამორჩილებული გაიძღერის იგი ხალხური ლექსის კილოზე:

ნეტავი ამოვიდოდე
ბუჩქებში საღვაც პატარა იად,
მისი თვალბით რომ დავინახო
შეუვარებელი ჩემი ცა ლია.

ლექსი სიმღერაა არა მარტო სამშობლოსა და მის ბუნებაზე; იგი სიმღერაა სიყვარულზე, მეგობრობაზე, ადამიანზე. ადამიანის აშკარად აღებული მეგობრობის სული ტრიალებს ირავლი აბაშიძისადმი მიძღვნილ შ. აფხაიძის ლექსშიაც, ორი პოეტის ურთიერთსიყვარულსა და აგრეთვე მათ საერთო გულისტკივილს რომ გამოხატავს იმ მწარე მოგონების გამო, რომელიც „ილიასა და წიწამურის ლანღის“ გამოჩენას გამოუწვევია მათში ირავლის პირას.

დიდი ადამიანური სითბო, სიყვარული, სევდა და სინაზე ამშვიდებს შ. აფხაიძის ლექსს ტიციან ტაბიძეზე, შემოქმედზე რომელიც, პოეტის ბუნდოვი გამოთქმით, „თვითონ ჰგავდა ლექსს“. მძაფრად ტრაგიკულია შ. აფხაიძის პოეტური ხმა ამ ლექსში და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. რადგან უდროოდ და უსამართლოდ დაკარგული გულის მესაიდუმლის ხსოვნას ეძღვნება იგი.

შალვა აფხაიძე დაპირის მოულოდნელად შეწყვეტილ სიცოცხლეს და თვალტკრიმიანი ჰგოდებს მისი აჩრდილის გამოჩენაზე:

...მასხოს, სივრცეებს რომ მიარღვევდი
და ანათები მიხაკით ქუნებას,
იმ სიჭაბუკეს ვიგონებ სევდით,
ასე შეგონა, აქ იყავ საღდაც,
ახლა იარას რა დააყენებს!
ერ გხედავ, რა ექნა, შეწვის თვალები
და შენზე დარდით, ცრემლით ვარ აველი...

ეს გულისმწველი სიტყვები, რა თქმა
უნდა, მარტო ტიციანის მისამართით არ
არის ნათქვამი. მათი აღრესატებია ისი-
ნიცი, ვისთანაც, ამბობს პოეტი, „ერთად
ვეცურავდით მშფოთვარე ზღვაში, ზღვის
სილამაზით მოხიბლულებით“. პოეტის
სიტყვებით „ერთ ბედს მორჩილი“, ერთ
გზას ეტრფოდა ეს „მღელვარე ძმათა
კრებული“.

მაგრამ გაშალა ფრთები გრივალმა
და ზღვიმ უეცრად ამოიგმინა,
ყოთ მოვარდნილმა ღრუბელთა იღმა
განგმირა ნავი და ძმამ მრავალმა
ზღვის ბნელ მორევი მონახა ბინა.

ხოლო სასწაულით დარჩენილებმა
„ძლივს მიაღწიეს სანატრელ ნაპირს“.

კითხულობთ მწუხარებითა და კავშ-
ნით სავსე პოეტის ამ სტრიქონებს და
უნებლიეთ გაგონდება პუშკინის

И смерти дух средь нас ходил
И назначал свои закланья...
და მისივე ტრაგიკული შეძახილი:
Чей глас умолк на братской
перекличке?
Кто не пришел?
Кого меж вами нет?

შალვა აფხაიძე მეგობრობის ნათელი
გრძნობის უერთგულესი მსახური და
ფხიზელი გუშავია. მაშინაც კი, როდემ-
საც პოეტს მოსვენებას არ აძლევს ფი-
ქრი იმაზე, რომ „წლებას სიმძიმის
ქვეშმოყოლილს სიმღერა ძნელად ემო-
რჩილება“. იგი სიხარულს იმაში კო-
ვებს, რომ „მეგობრობას ასე ხანდა-
ზმულს არ გარეგია ერთი ქალარაც“.

მეგობრობისათვის ასაკობრივი თა-
ნისწორობა სავალდებულო არ არის.
შეიძლება ხანდაზმული და ქალარა მე-
გობრულის გრძნობით იყოს შეკრულ-
სულ ახალგაზრდა ადამიანთან, თუ ამას
ზელს უწყობს ნათესაობა და თანაზი-

არობა მათი სულისა. ასე შეიძლება მო-
ხდეს არა მარტო ცალკეულ პირთა,
არამედ თაობათა ცხოვრებშიც. რო-
დესაც მათ შორის ურთიერთგაცემას,
როდესაც ახალი თაობა დამსახურებულს
მიუზღავს „ქალარების“ ნამოღვაწარს
და თავის მხრით „ქალარებიც“ კარგად
ითვალისწინებენ იმ მოვალეობას, რომე-
ლიც ქვეყნის, საზოგადოების, ერის წი-
ნაშე ახალგაზრდობას ეკისრება. ახალი
თაობაა სამშობლოს მომავლის მჭედელი
და ამის გამო, ვისაც ხალხის ბედნი-
ერება სურს, მან ახალგაზრდობის სი-
კეთისათვის უნდა იბრძოდეს და ილ-
ვაწოს დაუღალავად. ახალთაობა უნდა
სარგებლობდეს თავის წინაპორბედთა
ცოდნითა და გამოცდილებით, მაგრამ,
თავისი მხრივ უფროსი თაობაც უნდა
იყოს ახალგაზრდობის ფიქრთა, ლტო-
ლეთთა და ოცნებების მესაიდუმლე. შა-
ლვა აფხაიძეს ეს აზრი კარგად აქვს
ჩამოსხმული პოეტების, მორის ფოცბი-
შვილისა და შოთა ნიშნიანისისადმი მი-
ძღვნილ ლექსში, სიმბოლიურად რომ
„მე და შენ“ ეწოდება. ეს ნაწარმოებო
პოეტის ერთგვარი აღსარებუცაა და
უფროსი თაობის წარმოადგენლის
მიერ კურთხევაც იმ ასპარეზისა, რომე-
ლზედაც ჩვენმა პოეტურმა ახალგაზრ-
დობამ მამულიშვილური გრძნობებითა
და საქმეებით უნდა ისახელოს თავი.
შალვა აფხაიძეს ხალხის გრძნობით უყ-
ვარს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა,
და ამ სიყვარულმა დიდმა და ფაქიზმა,
ათქმევინა პოეტს მისი მისამართით, რომ
„სიციოცხლის ძვერას მე თქვენთვის
დავთმობ“, რადგან „მე წარსული ვარ,
თქვენ მომავალი“. ეს სიტყვები ყო-
ველ შემწარტ პატრიოტს, თავის ქვე-
ყნისადმი სიყვარულით ანთებულ ადა-
მიანს დაამშვენებდა. იგი ამშვენებს,
შალვა აფხაიძესაც, პოეტს, ადამიანს,
პატრიოტს, შემოქმედს, რომელიც უსა-
ზღვრო სიხარულით გაიძახის:

ბედნიერი ვარ...
რომ მაქვს სამშობლო მე ჯდობსერი,
სიყვარულისთვის რომ ვარ მოსული.

გიორგი ჯიბლაძე

ამაღლებულის პრობლემისათვის.

მშვენიერთან ერთად ამაღლებული ერთ-ერთი ძირითადი ესთეტიკური კატეგორიაა, რომლის არსება საუკუნეების მანძილზე იპყრობდა მოაზროვნეთა ყურადღებას. მაგრამ ისტორიული ფაქტების შესწავლისათვის დამახასიათებელი კონტროვერზა არც ამაღლებულის პრობლემას ასცდენია. ისტორია აქაც ჩვეული ძალით განმეორდა. თუ კონკრეტული ფაქტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამაღლებულის ანალიტიკური შესწავლა პირველად სცადა ლონგინმა, მაგრამ უფრო ადრე იხსენიება ცეცილი, თუმცა, მხოლოდ იხსენიება. ასე წარმოიშვა თავსამტვრევი პრობლემა — ვის უნდა მიეკუთვნოს პრიორიტეტი ამაღლებულის შესწავლაში, ვინც წიგნის ავტორია, თუ ვინც მარტოოდენ იხსენიება; იქნებ, არც ერთია და არც მეორე, ან, ფსევნოდონისე არეობაველის მსგავსად, ერთი იწერება ნამდვილად კი მეორეა, როგორც პეტრე იბერი?

საკითხი ძალიან რთულია და პირდაპირ ასე დგას: ცეცილი თუ ლონგინი?

როგორც მიუთითებთ, ამაღლებულის კატეგორიას პირველად მიუძღვნა სპეციალური ტრაქტატი ნეოპლატონიკოსმა დიონისე ლონგინმა — „ენეიდების“ ავტორის უმცროსმა თანამედროვემ, პლოტინისა და ორიგენის მსგავსად ამონი საკასას განთქმულმა მოწაფემ. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ნეოპლატონიზმის ცნობილი სამი სკოლიდან: ალექსან-

დრიულ-რომაული (ამონი საკასა, პლოტინი), სირიული (იამბლიხი), ათენის (პროკლე) ლონგინი პირველს ეკუთვნოდა, თუმცა მას ბერძენ ფილოსოფოსად მიიჩნევენ. ერთი ვერსიით დამატებული უნდა იყოს 210 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, ხოლო მეორე ვერსია 213 წელს მიუთითებს. გარდაცვალების თარიღად თითქმის ყველგან 273 წელია აღნიშნული და ამ მხრივ სადაო საკითხები მოხსნილია. ლონგინის თხზულებათაგან არაფერია მოღწეული, გარდა ტრაქტატისა „ამაღლებულის შესახებ“, რომელსაც ბოზენკიტი ცეცილს მიაწერს, ხოლო უფრო ადრე, დიდი ხნის განმავლობაში, ავტორად ავგუსტინე იხსენიებოდა (მისი ნაწერების კრებულებშიაც შექმნადთ). ეს წიგნი რომლის ავტორობაში ჰეგელს ეჭვი არ შეპარვია, და უყოყმანოდ ლონგინს მიაკუთვნა, დიდმა ფილოსოფოსმა რატომღაც პორაციუსის „Ars poetica“-ს გვერდით მოიხსენია და ორივე ერთად განიხილა!... ჰეგელის აზრით, ორივე ნაწარმოები — პორაციუსის „პოეზიის მეცნიერება“ და ლონგინის „ამაღლებულის შესახებ“ ეყრდნობა ხელოვნების პრაქტიკას, საიდანაც გამოყვანილია ზოგადი თეზისები. ეს უკანასკნელნი, ავტორთა აზრით, უმთავრესად უნდა ემსახურებოდნენ, როგორც ნორმები და წესები მხატვრებს, რომლებიც მით უნდა ხელმძღვანელობდნენ თავიანთი ნაწარმოებების შექმნის დროს, განსაკუთრებით პოეზიისა და ხელოვნების დაცემის ეპოქე-

ბში. ჰეგელს ეს ზოგადი თეზისები მიანი-
ნია რეცეპტებად, მაგრამ ფიქრობს, რომ
„ხელოვნების ეს ექიმები ხელოვნების
განკურნებისათვის წერდნენ კიდევ უფ-
რო ნაკლები წარმატების მქონე რეცეპ-
ტებს, ვიდრე ის რეცეპტებია, რომლებ-
საც გამოსწერენ ხოლმე ექიმები ჯანმრ-
თელობის აღსადგენად“¹. თუ ამ თე-
ორიებში დეტალების მიხედვით ბე-
ერი რამ არის საგულისხმო, სამაგი-
ეროდ მათი ზოგადი დებულებები
განყენებულია თავისი მოცულო-
ბით ძალიან უმნიშვნელო მხატვ-
ერულ ნაწარმოებთა წრისაგან, რომლე-
ბსაც ეს ავტორები მიიჩნევენ ნამდვი-
ლად მშვენიერ ნაწარმოებებად. მაგრამ
არსებითად შეადგენენ მხოლოდ შეზღუ-
დულ ხვედრს ხელოვნების დარგში².
მეორე მხრივ, „ქვევლმა ამ თეორიე-
ბში დაინახა ტრივიალური აზრები, რო-
მლებიც საშუალებას არ იძლევიან თა-
ვიანთი მეტისმეტად ზოგადი ხასიათის
გამო, გადავიდეთ ხელოვნების კერძო
მოვლენების დამტკიცებებზე, მაშინ რო-
ცა სწორედ ეს უკანასკნელი წარმოად-
გენს, უმთავრესად, ასეთ დებულებათა
მიზანს.

შესაძლებელია თეზისების, ფორმუ-
ლების, დიდაქტიკური სენტენციების სა-
ერთო, არა აზრობრივი, არამედ, გარეგ-
ნული ხასიათის მიხედვით, მართლაც,
ერთმანეთის გვერდით მოიხსენიო ჰო-
რაციუსი და ლონგინი, რაკი ისი-
ნი ხელოვნებას ჭკუის დამრიგებლებად
ველინებიან, ჰაგრამ აზრობრივად, იდე-
ების ორგანიზლობით, ფილოსოფიური
სისტემებით ისე არიან ერთმანეთს და-
შორებული, რომ მათ შორის განსხვავე-
ბა სავსებით ნათელია, ხოლო მსგავსე-
ბა სავსებით არა ნათელი, გარდა ზოგი-
ერთი ისეთი მომენტისა, რაც სრულიად
მარწინააღმდეგე მოაზროვნეთა შრომებ-
შიაც ადვილად შეიმჩნევა. პორაციუსის
ძირითადი მიზანია ხელოვნების (უმ-
თავრესად პოეზიის) შინაგანი ბუნება

ნათელყოს და პიზონის შვილებს ხე-
ლოვნებაში ჭეშმარიტი გზა უჩვენოს.
მისი ტრაქტატის ზოგადი დებულებებს
მხოლოდ ამ კუთხით წარმოგვიდგება.
ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნე-
ლო მიზანი (პიზონის შვილებს
პოეზიაში გზა უჩვენოს) ძალიან
მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, რა-
კი მთელი თეორიის სახით
დგება ჩვენს წინაშე, რაც შეეხება
ლონგინს, მისი ტრაქტატის ძირი-
თადი მიზანია იყოს „რიტორიკის სა-
ხელმძღვანელო“; ავტორი, უპირველეს-
ყოვლისა, ლაბარაკობს „ამაღლებულ სა-
ტყვებზე, ზეპირსა და წერილობითზე,
და არა საგნებზე“, და მხოლოდ 35-ე
კარში ეხება საკითხს ბუნებაში ამად-
ლებული საგნების შესახებ³.

რას წარმოადგენს ლონგინის ტრაქ-
ტატი?

ერთი მკვლევარი მათუთივებს, რომ
მშვენიერისა და ამაღლებულის ლონგი-
ნისეული განსაზღვრა გულისხმობს ისეთ
რამეს, რაც მოგწონს ყოველთვის და
მოსწონს, ყველა ადამიანს⁴. ფიქრი —
ამაღლებულის მომენტია, ხოლო ამაღ-
ლებულის წყაროებია: 1) არაჩვეულებ-
რივი აზრები; 2) აღზნებული ვნებები;
3) დიად აზრებთან შეერთებული სიტყ-
ვის სილამაზე⁵. **ამაღლებული და ამა-
ღლებული** ერთი და იგივე არ არის. ში-
ში, სევედა ამაღლებულის გრძნობას არ
განეკუთვნება⁶ (თუმცა შემდგომი პერი-
ოდის ესთეტიკური აზრი ამაღლებუ-
ლის არაერთ სახეს, ისევე როგორც ში-
შისა და სევედის მრავალ სახეს, ამაღლე-
ბულის კატეგორიაში აქცევს და ორგა-
ნიულადვე მას უკავშირებს — გ. ჯ.)
საილუსტრაციოდ დასახელებულია მა-
გალითები ჰორაციუსის, სანტოს,

¹ Опыт марксистского анализа истории эстетике, 1928 г., стр. 54 — 55.

² Л. Я. Зивельчинская, Опыт марксистского анализа истории эстетике, 1928 г. стр. 55.

³ იქვე, გვ. 55. ზიველჩინსკაია ცდებო: ლონ-
გინი ამაღლებულის არა სამ არამედ ხუთ
წყაროს ასახელებს.

⁴ იქვე, გვ. 55.

¹ იქვე.

² Гегель, т. XII, 1938 г., стр. 16.

დემოსთენეს, ისოკრატეს და სხვათა ნაწარმოებებიდან¹.

განსაკუთრებით საინტერესოა ლონგინის მსჯელობა ამ აღლებულის იმ მაგალითებზე, რომლებიც მას ბუნების წიაღიდან მოჰყავს. ამ მსჯელობას ზიველნიუსკაია შემდეგი სახით გადმოგვცემს: „ადამიანებს არასოდეს არ ანცვიფრებენ პატარა ნაკადულები, როგორი სუფთა, გამკვირვალე და სასარგებლონი არ უნდა იყვნენ ისინი, მაგრამ ადამიანები განცვიფრებაში მოჰყავს ნილოსს, დუნაის, რეინსა და, უმთავრესად ზღვას — სწორედ ასევე ადამიანი გაცივრდება არა ცეცხლით, რომელსაც თვითონვე ანთებს არამედ ციური ცეცხლით. ვულკანის ამოფრქვევა, რომელიც აღმონათხევს ყველაფერის გადამშუგველ გოგირდის ნიღვრებსა და გიგანტურ ქვებს, გვამრწუნებს როგორც ამ აღლებულის ანახობა. ამ აღლებულის განცდას ადამიანი აჰყავს ღვთაების სიდიადემდე. „ამ აღლებული, ასე ვთქვათ, არის სულის სიდიადე“. „ამ აღლებული ადამიანს აახლოებს ღვთაებრივთან“². სწორედ ეს მომენტი იყო ერთ-ერთი ძირითადი, რომელიც შემდეგი დროს იდეალისტურმა ესთეტიკურმა აზრმა ყოველმხრივ განავითარა, მით უფრო, რომ პლოტინოს, საერთოდ ნეოპლატონიკოსების მოძღვრება ექსტაზის შესახებ არსებითად ადამიანის ღვთაებასთან ანალოგიურ დაახლოებას ქადაგებდა. ამ მომენტს მიაქცია ყურადღება ჰეგელიც, როცა ხელოვნების სიმბოლური ფორმის დახასიათების დროს ცალკე პრობლემად გამოჰყო ამ აღლებულის ხელოვნება და მიუთითა, რომ ბიბლიური ლექსი, თუ როგორ შექმნა ღმერთმა სინათლე, „უკვე მოტანილი აქვს ლონგინს, როგორც ამ აღლებულის ნათელი მაგალი-

თი“³. ადამიანის მისწრაფება ამაღლებულისადმი ისეთი თვისებები, როგორც ცხოველისაგან განსხვავდება, უმეტესად შეუძლია მას ეზიაროს ღვთაებას, როგორც საერთოდ ნეოპლატონიკოსებს ესახებოდათ ექსტაზის საშუალებით ღვთაებასთან ადამიანის კავშირის განხორციელება.

ნეოპლატონიზმის დამახასიათებელი მისტიციზმისა და უკიდურესი იდეალიზმის მიუხედავად, ლონგინის თხზულება დღემდე წარმოადგენს ისეთი მნიშვნელობის ტრაქტატს ამაღლებულის შესახებ, რომელსაც შეუძლებელია გვერდი ავუქციოთ, როცა ესთეტიკური თეორიის ამ ერთ-ერთ ძირთად კატეგორიას ვიკვლევთ. არამარტოს ფაქტი, რომ ეს ნაწარმოები ქრონოლოგიურად პირველია, არამედ, იგი აზროვნების სიღრმითა და მღაღარი მაგალითებით იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, გვიანტერესებს ყველაფერი ვიცოდეთ მის ავტორზე, რისი გაგებაც შეუძლებელია. ბურუსით მოცული ლონგინის ცხოვრებაც ასეთ ინტერესთა წრეს განეკუთვნება. ამიტომ უყურადღებოთ არ შეიძლება დავტოვოთ ის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ლონგინის ტრაქტატის რუსულ ენაზე პირველ მთარგმნელს მიუკვლევია.

ამ ბიოგრაფიული ფაქტების გაცნობამდე უნდა ვაცოდეთ, რომ ლონგინი პალმირის სახელმწიფოს ტრაგიკული ბედის მონაწილეა რომის ისტორიის უდიდეს მცოდნეს — ტეოდორ მომზენზე და მათათებული აქვს, რომ იმპერატორ ჰალიენის დროს ოდენაეტი ხდება პალმირის დმოუკიდებელი მმართველი, პალმირის მიღე და მოიპოვებს უფლებასაც ტატიუს მიკვიდრეობაზე⁴. ოდენატის სიკვდილის შემ-

¹ Герель, т. XII, 1938 г., стр. 362.

ხაზი ჩვენია — გ. ჯ. ლონგინის ეს ბიბლიური ლექსი მოტანილი აქვს თავისი თხზულების მე-9-ე თავში (გვ. 40).

² Опыт марксистского анализа истории эстетики, 1928 г., стр. 55.

³ Теодор Моммзен, История Рима, т. V, 1949 г., стр. 390.

¹ იქვე, გვ. 55.

² Опыт марксистского анализа истории эстетики, 1928 г., стр. 55.

ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

დგე (266/267 წლები) პალმირას მართავდა მისი უმცროსი ვაჟი მცირეწლოვანი ვაბალატი (ატენოდორი) დედასთან — ზინობიასთან (ეს ბერძნული სახელია, ნამდვილად ბატ შაბაი ერქვა) ერთად უფროსი ვაჟი ჰეროდე დაიღუპა მამის — ოდენატის გვერდით. ზინობია ყოფილა ლამაზი, ჰქვიანი ქალი, რომელიც ამავე დროს „მამაკაცის ენერგიით“ გამოირჩეოდა.¹ ზინობია მართავდა პალმირის სახელმწიფოს, როგორც მოშენი მიუთითებს, თავისი და ოდენატის შვილის — ვაბალატის სახელით. დედოფლად იგი ცნობილ იქნა, როგორც რომში, ისე აღმოსავლეთში. „იმის გამო, რომ შვილს ჰქვეყნის მართვა ჯერ კიდევ არ შეეძლო, დედამ ენერგიულად აიღო ხელში განმგებლობას სადავეები, ამასთან, არ დაკმაყოფილდა თავისი სამფლობელოების შენარჩუნებით, — პირაქით, მისი მამაცობა და ამპარტანობა მიისწრაფოდა იმპერიის ყველა ოლქზე მბრძანებლობისაკენ, სადაც ბერძნული ენით მეტყველებდნენ“.² მაგრამ ზინობიას ბედნიერი მეფობა დიდხანს არ გაგრძელბულა. გარდაიცვალა იმპერატორი კლავდიუსი და მისი ადგილი დაიკავა აგრელიანემ. მან უფრო თქვა ეცნო პალმირის სახელმწიფოს მთავრობა. რასაც შედეგად მოჰყვა ომი. თავდაპირველად უპირატესობა ზინობიას მხარეზე აღმოჩნდა, მაგრამ შემდეგ სურათი შეიცვალა სპარსეთის მოხუცებულმა მეფემ შაპურმა, რომლის იმედიც ზინობიას ჰქონდა, პალმირის სახელმწიფოს დახმარება არ გაუწია. ზინობია თავის შვილთან — ვაბალატთან ერთად გაიქცა. ეფფრატს მიაღწია, მაგრამ რომის ჯარისკაცებმა დედოფალი „ტყვედ ჩაიგდეს“ შვილთან ერთად იმ დროს, როცა იგი ეშხადებოდა იმ ნავში ჩასაჯდომად, რომელსაც უნდა გადაეგრჩინა³. აგრელაანემ მკაცრი საამართლო დანიშნა.

ბეერს, მათ შორის ლონგინს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტყვევებულად დაღუფალს კი მიესაჯა დაემშვენებინა იმპერატორის „ტრიუმფალური სვლა“, „ოქროს ბორკილებით“ ჩვენებოდა „რომის ბრბოს“ კაპიტოლიუმისაკენ მიმავალ გზაზე. როგორც მოშენი იქვე შენიშნავს, ზინობია „კლეოპატრას კვალს არ გაჰყოლია“, ე. ი. თავი არ მოუტკავს, ყველაფერა თავის მრჩეველებს (უთუოდ ლონგინსაც) გადააბრალა.

ახლა მივუბრუნდეთ მარტინოვის მიერ შეკრებილ ცნობებს ლონგინის ბიოგრაფიიდან. მარტინოვს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული ლონგინის ზოგიერთი ბიოგრაფიული მონაცემი, ეტყობა თვით პორფირი ტარელის მიხედვით:

ლიონისე ლონგინი დაიბადა ათენში. თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, ნამდვილად არ ვიცით. მაგრამ ის რომ დიდად ღირსეული კაცი იყო, უეჭველია. არავინ არ იყო მის დროს იმდენად პატრიცე მული, როგორც ეს კრიტიკოსი. პორფირა, მასი მოწაფე, ლაპარაკობს თავის მასწავლებელზე, როგორც რამდენადმე არაჩვეულებრივ მოვლენაზე. მისი მსჯელობა, — წერს ეს ფილოსოფოსი, — მიჩნეული იყო საღი აზრისა და გემოვნების წესად; მასი შეფასებანი თხზულებებისა წარმოადგენდნენ უმაღლეს განაჩენებს, ისე, რომ ვერავინ ბედავდა ზმა ამოეღო რომელიმე მწერლის შესახებ ლონგინზე ადრე, და თუ ამოიღებდა, მცინებდაც კი არ იქნებოდა პატრიცე მული, ვიდრე ლონგინი არ იტყოდა თავის აზრს. ეს არ არის საკმარისი. ის იყო დიდი მინისტრი, რომელსაც ძალიან აფასებდა სახელოვანი პალმირელი დედოფალი ზინობია (სირიამი პალმირის მონათმფლობელურ სახელმწიფოს მართავდა 267—273 წ. წ.), თავი რომ გამოაცხადა აღმოსავლეთის დედოფლად ჰმრის ოდენატის სიკვდილის შემდეგ. ჯერ მან თავისთან მიიწვია ლონგინი ბერძნულა ენის შესასწავლად, ბოლოს მასწავლებლიდან იგი განადა თავის მინისტრად. ის იყო რომ

¹ იქვე, გვ. 392.

² იქვე, გვ. 392.

³ Theodor Mommsen, *Historia Roma*, т. V, стр 395.

ამხნევებდა ზინობის შეენარჩუნებინა „აღმოსავლეთის დედოფლის“ ტიტული და შთაავონა მას, როგორც ამბობენ, ის ამაყი პასუხი, რომელიც მისწერა ავრელიანეს, როცა ეს იმპერატორი აბაჟლებდა მას დამორჩილებოდა. ლონგინს ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მაგრამ ამ დიდი ადამიანის სიკვდილი იმდენად პატივით მოსავს მას, რამდენადაც დამნაშავეს უსახელო აღსასრულით. ლონგინმა სიკვდილი გადაიტანა სულის ისეთი განმაცვიფრებელი სიმტკიცით, რომ, თვით მაშინ, როცა კვდებოდა, ამშვილებდა მათ, ვინც მისი უბედურებით იტანჯებოდა. ეს ამტკაცებს, რომ იგი იყო არამარტო გამოცდილი რიტორი, არამედ ფილოსოფოსიც, რომელსაც შეეძლო სოკრატეებისა და კატონების გვერდით დამდგარიყო. მისი თხზულება ამ ჰემმარიტებსას კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს¹.

ამ ცნობების გარდა, საინტერესოა იმის მოხსენიებაც, რომ „ამაღლებულის“ ავტორი, ეტყობა, მართლაც ენციკლოპედიური ცოდნით გამოირჩეოდა. დოქტორ ბრაშს მოჰყავს შემდეგი ცნობა: პორფირის ბიოგრაფი — ევენაპი თურმე ლონგინს უწოდებდა „ცოცხალ ბიბლიოთეკას“, მოსიარულე მუზეუმს². ტრაქტატის ავტორი რომ მართლაც ასეთი უზადო ცოდნით გამოირჩევა, სრულიად უეჭველია. დიდი ცოდნა აქვს დიონისე გალიკარანცლსაც, მაგრამ მისი ნაკლავა წყაროებისადმი უკრიტიკო დამოკიდებულება, აგრეთვე ის ხარვეზები (ძველ რომაულ სამართალზე წარმოდგენა არ ჰქონდა, მოგვიანო დაწესებულიებებს ზოგჯერ ძველთან ურევდა), რომლებიც მაშინ³ ასე გარკვევით

აღუნიშნავს. არცერთი ამგვარი ნაკლო ლონგინს არ ახასიათებს. უზადო ფართო განვილიტეტივერუდიცია, ლიტერატურული მასალების ენციკლოპედიური ცოდნა, ფილოსოფიური აზროვნების საღრმე და გამოთქმის სინათლე ლონგინის ტრაქტატში ყველგან იგრძნობა. ლოგიკურ გონებამახვილობასთან ერთად. შესაძლოა ამან განსაზღვრა მისი თხზულების პოპულარობა, რომლის მასშტაბი მთელ კულტურულ მსოფლიოს გადასწვდა, ხოლო ავტორს ესოდენ საპატიო ავტორიტეტი მოუპოვა. საუკუნეების მანძილზე „ამაღლებულის“ შესახებ ითარგმნებოდა ცვილიზებულ ხალხთა ენებზე. გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ შედარებით გვიან, მაგრამ ლონგინის თხზულება რუსულ ენაზე ორჯერ გამოიცვიანე მარტინოვის თარგმანით ბერძნული ენიდან: პირველად 1803 წელს სანკტპეტერბურგში, მეორედ 1826 წელს ორ გამოცემად (ერთი მათგანი 197 გვერდია, მეორე 295, უფრო მომცრო ფორმატით, გარდა ამისა, ბერძნული ტექსტიც თან ახლავს ყოველ გვერდს). ეს წიგნები ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, ვინაიდან შემდეგ აღარ გამოცემულა.

საგულისხმოა, რომ ამაღლებულს ძველად თარგმნიდნენ სიტყვით — „Высокий“ და არა Возвышенный როგორც ახლა მიღებული აქვს რუსულ სალიტერატურო ენას. მაგრამ ამ საკითხს თავიდანვე მიეცა პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან თვით ამაღლებულის კატეგორიის ანალიზი ორივე სიტყვას საჭიროებს ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეპირისპირების თუ განხილვის დროს. თვით მარტინოვი შესავალ წერაში მიუთითებს, რომ ბევრი მას ურჩევდა სიტყვა „Возвышенный“ გამოეყენებინა წიგნის სახელწოდების თარგმანში, მაგრამ მათ ყური არ უგდო, რაკი „Высокий“ უფრო შესატყვისად მიიჩნია. ცხადია, ის მართალი არ იყო, როცა კეთილი რჩევა არ მიიღო — რუსული ენის ისტორიამ უმ-

¹ О высоком творении Дионисия Лонгина, 1826 г., стр. I—II, მარტინოვის შესავალი წერილი.

² М. Браш, Класични философии, т. I, 1907 г., стр. 483.

³ Н. А. Мамкин, История древнего Рима, 1948 г., стр. 15.

ჯობესად ჩასთვალა ამალღებულის შე-
სატყვისად „Возвышенный“ დაეტო-
ვებინა და დღემდე ეს სიტყვა უცვლე-
ლად იხმარება. მაინც საინტერესოა
მარტინოვის აზრი გავიხსენოთ, თვით ამ
სიტყვის ისტორიის ზუსტი გააზრები-
სათვის: „საქიროდ ვთვლი გავაფრთხი-
ლო მკითხველი ამ ქმნილებისათვის
ჩემს მიერ მიცემულ სათაურის გამო
მსჯელობაში. დედანს აწერია... ე. ი.
ს ი მ ა ლ ლ ი ს შესახებ ანუ ა მ ა ლ ლ ე-
ბ ი ს შესახებ. მე გადავთარგმნე ზედ-
სართავი სახელით, მივსდევდი რა ფრან-
გულ ენაზე სიტყვას de sublime
ამასთან, ჩვენშიაც ლაპარაკობენ ესთე-
ტიკურ თხზულებებში: სიკობტავის შე-
სახებ, მშვენიერებაზე; რატომ-ღა არ
უნდა ესთქვათ მაღალის შესახებაც? —
ბევრი მირჩევდა მეთარგმნა: ზესკნელის
შესახებ, ამალღებულის შესახებ, აღმა-
ტებულის შესახებ, აგრეთვე ამალღებუ-
ლობის, აღმატებულობის, მაღალფარ-
დოვნების შესახებ. ყველას ჰქონდა ამი-
სათვის თავისი მიზეზები; და მეც, არ
გაუყვევი რა მათ რჩევას. მათ შორის ყვე-
ლაზე დახელოვნებულმა ლიტერატორე-
ბმა ჩემი არჩევანი დაამტკიცეს“¹.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არ იყო ისტო-
რიულად მართებული დასკვნა, ვინაი-
დან ა მ ა ლ ლ ე ბ უ ლ ს ახლა ჩვეულებ-
რივად **Возвышенный** ეწოდება
და არა **Высокий** მაგრამ ამჟამად
ეს კი არ გვინტერესებს, არამედ, იმის
გარკვევა, თუ რას წარმოადგენს ლონ-
გინის ტრაქტატი და როგორ ესმის
მის ავტორს ა მ ა ლ ლ ე ბ უ ლ ი ს კატე-
გორია.

ლონგინის თხზულება წარმოადგენს
თავის მოწაფესთან თუ მეგობართან გა-
საუბრებას თეორიულ საკითხებზე, რო-
გორც ხშირად იყენებდნენ ამ ფორმას
ძველი დროის მწერლები. ეს მოწაფე
თუ მეგობარი, რომელსაც ლონგინი მი-
მართავს, არის პოსტიმიუს ტე-
რენციანი ტრაქტატი იგი ძალიან

ხშირად იხსენიება, როგორც ადრესატი.
და ჩანს, რომ ლონგინისათვის მას უთ-
ხოვია ცეცილის სპასუნოდ დე-
წერა წიგნი ამალღებულის შე-
სახებ. ტერენციანი რომ რომელია,
სრულიად გვეს არ იწვევს, მაგრამ მარ-
ტინოვს სავსებით სამართლიანად გაუხ-
დია სადაოდ, თუ რომელია იგი: ჩვენა-
მდე მოღწეული ცნობილი თხზულების

**De metris (O измерении слова или
о стопях)** ავტორი, თუ კიდევ რომე-
ლიმე სხვა¹, რაც შეეხება ცეცილს,
მისი თხზულება ამალღებულის
შესახებ ჩვენამდე არ მოღწეულა და
სრულიად უაზროდ გვეჩვენება ბო-
ზენკიტის ვერსია, თითქოს ლონ-
გინის სახელით ცნობილი ტრაქტატი
ცეცილს ეკუთვნოდეს. ძალიან საგუ-
ლისხმოა ის გარემოება, რომ ლონგინის
თხზულება იწყება სწორედ ცე-
ცილთან კამათით, კერძოდ, იმის აღ-
ნიშვნით, რომ ცეცილის ტრაქტატი
ამალღებულის შესახებ აღმოჩნდა თვით
საგანზე, რომელსაც იგი სწავლობდა,
უფრო დარიბული, სრულიად რომ არ
ეხება მის მთავარ ნაწილებს და მკითხ-
ველს არ აძლევს დიდ სარგებლობას.
რის შესახებაც სულ სხვანაირად უნდა
იფიქროს მწერალმა.² გარდა ამისა,
ლონგინი წიგნის სხვა თავებშიც
მკაცრად ეკამათება ცეცილს, რო-
მელსაც, როგორც ჩანს, ლონგინზე
ადრე დაუწერია თხზულება ამალღე-
ბულის შესახებ, რომელიც ისტორი-
ას არ შერჩენია. ვიმეორებთ, უაზროა
ლონგინის სახელწოდებით ცნობი-
ლი ტრაქტატი ცეცილს მიეკუთვნოს,
როგორც ამას აკეთებს ბერნარდ ბო-
ზენკიტი. თუ მხედველობაში ის არის
მიღებული, რომ შესაძლოა ეს იყოს ავ-
ტოკრიტიკაო, მაშინ შეუძლებელია ავ-
ტოკრიტიკა მთლიანად უაზროდდეს სა-
კუთარ ნაწარმოებს, როგორც ლონ-
გინი საფუძვლებშივე არყვეს ჩვენამ-

¹ О высоком, творение Дионисия Лонгина, 1826 г., стр. III — IV, ივანე მარტინოვის შესა-
ვალი წერტილი. ხაზი მარტინოვისაა. — გ. ჯ.

¹ О высоком, творение Дионисия, 1826 г.,
стр. 101

² იქვე, გვ. 2.

დე მოუღწეველ ცეცილის ტრაქტატს.

მაგრამ ვინ არის ეს ცეცილი?

ლონგინის წიგნის მთარგმნელი მარტინოვი მიუთითებს, რომ ეს არის სიცილიელი რიტორი, რომელიც რომში სახელგანთქმული იყო ორივე კეისრის — იულიუსისა და ოქტავიანეს დროს, მაშასადამე, ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში. მის სახელს იხსენიებენ კვინტილიანე და პლუტარქე, მრავალ სხვა მწერალს რომ თავი დავანებოთ. ცეცილს არაერთი ნაწარმოები შეუქმნია, მათ შორის

De sublimi genere bicendi (О высоком слоге), დაბადებულია ქალაქ კალაქტში, სიცილიის ჩრდილოეთ ნაპირზე¹. მისი სახელი ისტორიაში, როგორც უკვე მითითებული გვაქვს, დაუპირისპირდა ლონგინს სწორედ იმ ტრაქტატის გამო, რომელსაც ჩვენ ქვევით განვიხილავთ. დღემდე არ შეწყვეტილა მეცნიერული კამათი, დავა და ბრძოლა ამ პრობლემის ირგვლივ; იბადება ახალ-ახალი შეხედულებანი, მოაქვთ უცნობი ძველი არგუმენტები, მაგრამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მაინც არა ჩანს: ლონგინი პირობითად რჩება „ამაღლებულის შესახებ“ ტრაქტატის ავტორად, როგორც ფსევდო-ლონგინი. ამას გვიდასტურებს ესლახან გამოქვეყნებული ერთი შრომა, რომელიც მთლიანად ეძღვნება არაშარტო „ამაღლებულის შესახებ“ ტრაქტატს, არამედ, მისი ავტორობის საკითხსაც². სამწუხაროდ, ეს გამოკვლევაც საეჭვოდ მიიჩნევენ დიონისე ლონგინის ავტორობას, მაგრამ საკითხის ისტორიას იმდენად ვრცლად ვადმოგვცემს, რომ ინტერესმოკლებული არ იქნება მას გავეცნოთ.

¹ О высоком, творение Дионисия Лонгина, 1826 г., стр. 101.

² ეს არის ი. შ. ნახოვის გამოკვლევა — «Выдающийся памятник античной эстетики» (трактат «О возвышенном»), в сборнике: «Из истории и эстетической мысли древности и средневековья», 1961 г., стр. 139 — 182.

ლონგინის ტრაქტატს ნაშრომის ავტორი სავსებით სამართლიანად ეკუთვნებს იმ შრომების კატეგორიას, რომელთა შეახებაც ძველად ამბობდნენ: „წიგნებს თავისი ბედა აქვთო“ (გვ. 139). ეს ბედი დაჰყვა ლონგინის გამოკვლევასაც: თანამედროვეებს იგი შეუმჩნეველი დარჩათ, ხოლო 1545 (რობერტის ცნობით, პირველი ბექედურა გამოცემა კონრად პენსერის „უნივერსალურ ბიბლიოთეკაში“), თუ 1554 წლების (ფრანჩესკო რომორტელის გამოცემა ბაზელში) შემდეგ მთელ ევროპას (მსოფლიოს კულტურულ ერებს) მოედო და ერთბაშად იქცა ანტიკური ესთეტიკური აზრის „ოქროდ“. ეს ეპითეტი, როგორც ნახოვი მიუთითებს, ლონგინის ტრაქტატს ისავე კახობონმა მისცა. ფართო წრეებისათვის იგი ხელმისაწვდომი გახდა 1674 წლის შემდეგ, როცა დადბუალოს ფრანგულ ენაზე გადაუღია. ხოლო უფრო ადრე, 1639 წელს ნინელის იტალიურად უთარგმნა (გვ. 140).

ავტორი აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და იტალიის ბაბლიოთეკებში შენახული ლონგინის წიგნის არცერთი ხელნაწერი (ისინი კი მრავალია) არ მიუთითებს არც ნაშრომის დროს და არც მის „იდუმალ ავტორს“. ყველაზე საიმედოდ მას მაინცა მეთვე საუკუნის პარიზის ხელნაწერი, რომელსაც არქიტეპის მნიშვნელობასაც კი ანიჭებს. მისგან ყოფილა გადაწერილი მოგვიანოხანის ყველა სახის ხელნაწერები მეხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებისა, მაგრამ ეს არქეტიპიც სრული არ არის: მასში ექვსი დიდი ლაკუნია (გამოტოვებული ადგილები), დაკარგულია 20 გვერდზე მეტი, ე. ი. თავდაპირველად ტექსტის მთელი ორი მეხუთედი! სწორედ ამ ყველაზე საიმედო ტექსტში იწყება, როგორც ავტორი ამბობს, გამოცანა, თუ ვინ არის ავტორი?

ხელნაწერის დასაწყისში ტრაქტატი მიეწერება დიონისე ლონგინს, ხოლო ბოლოში — დიონისეს ან ლონ-

¹ «Выдающийся памятник античной эстетики», стр. 140.



განს. ეს გაყოფა, ეს „ან“ იწვევს დღემდე არსებულ ეჭვს, თუ რომელი ლონგინია: ავგუსტუსის დროინდელი განთქმული მეცნიერ-ფილოლოგი დიონისე გალიკარნელი, თუ მესამე საუკუნის სახელოვანი რატორი კასიუს ლონგინა — კრიტიკოსა, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, დედოფალ ზინობიას ნდობით აღჭურვილი მინისტრი, რომელიც ნაკლებად სხელით არ სარგებლობდა და რომელმაც სიკვდილით დასაჯეს. ევანპიმ სწორედ მას უწოდა, დიდი ერუდიციის გამო, „უცხალი ბიბლიოთეკა“, „მოსიარულე უნივერსიტეტი“. მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ტრაქტატი მიეწერებოდა სწორედ ამ ლონგინს და არც ბუალოს, არც გიბონს, როგორც სხვა მრავალს, მის ავტორობაში ეჭვი არ შეუტანიათ, თუმცა იგი გაცილებით ადრე წარმოიშვა.

პირველი ეჭვი დაებადა ხელნაწერის ბიზანტიელ გადაწერს, რომელმაც, ეტყობა, იცოდა, რომ ლონგინს ერქვა არა დიონისე, არამედ კასიუსი. ამიტომ დაწერა მან თავსამტერვეი „ან“ და საკითხი ღიად დაუტოვა მომავალ საუკუნეებს. 1808 წლამდე ამ ეჭვისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. მაგრამ სწორედ ამ წელს, იტალიელმა ფილოლოგმა ამატიმ ვატკანის ხელნაწერში № 285) შენიშნა ანალოგიური „ან“ და გამოსთქვა მოსაზრება (1809 წელს), რომ ტრაქტატის ავტორი დიონისე გალიკარნელია.

მაგრამ კვლევა-ძიება შეუწყობლად გრძელდება, რასაც მოწმობს 1957 წელს გამოქვეყნებული ინგლისელი მეცნიერის მ. ბოიდის შრომა, რომელშიაც ავტორად დიონისე ლონგინი ცხადდება, რაც ავტორს არადამაჯერებლად მიანია, ხოლო ასეთი პიროვნება ძველ

წყაროებში არსად დამტკიცებული არ არისო.¹ მას არც ის შეეძინა მართებულად, რომ ბოიდი დიონისე ლონგინს თელის „ფილოლოგიური საუბრების“ ავტორად, ვინაიდან ეს თხზულება იხსენიება კასიუს ლონგინის თხზულებათა ნუსხაში. დიონისე გალიკარნელი კი ჩვენთვის ცნობილია ახალ წელთაღრიცხვამდე 7 წელს გამოცემული 20 ტომიანი თხზულებით „რომაული არქეოლოგია“, რომლის პირველი ცხრა ტომია ჩვენამდე მოღწეული. მართალია, იგი დიდ ადგილს უთმობს სტილს, რიტორიკული განათლებაც მიუღია, მაგრამ ვერ ჩაითვლება ტრაქტატის ავტორად.

რაც შეეხება თვით ნაწარმოების დაწერის დროს, მკვლევარი უყოყმანოდ, ჩერდება ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეზე. „უახლოესი მკვლევარები, — წერს იგი, — თითქმის ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ის (ე. ი. ლონგინის ტრაქტატი — გ. ჯ.) შექმნილია I საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვით. უმრავლესობა მას აკუთვნებს I საუკუნის 40-იან წლებს (კაიბელი, ვილამოვიც-მელენდორფი, რობერტსი, ბოიდი და სხვ.) „ვერცხლის საუკუნის“ ყველაზე დიდი მწერლების (ტაციტუსის, სენეკას, პეტრონიუსის, კვინტილიანეს, პლინიუსის და სხვ.) მოღვაწეობის დროს“².

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ დებულების სასარგებლო ყველა არგუმენტის მოტანას, რასაც ნაზოვი ემყარება, მაგრამ ზოგიერთის მოხსენიება მაინც საჭიროა. ყველაზე პირველ საბუთად დასახელებულია „ტრაქტატის მთელი აგებულიება, მისი იდეური შინაარსი, მას-

¹ Выдающийся памятник античной эстетики, с тр. 141.

² Н. А. Машкин, История древнего. Рима. 1948 г., стр. 15.

³ Выдающийся памятник античной эстетики, стр. 142.

¹ Выдающийся памятник античной эстетики, стр. 141 — 42.
² იქვე, გვ. 140.

ში დაყენებული პრობლემების ხასიათი, რომლებიც აქტუალური იყვნენ I ს. ლიტერატურულ-მხატვრული ცხოვრებისათვის.¹ უცილო კემპარიტებად მიჩნეულია, რომ ასეთი ღრმა და შინაარსიანი წიგნი შეუძლებელია შექმნილიყო ჩვენი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში, როცა ადგილი ჰქონდა კულტურის სრულ დაცემას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ანგარიში არ ეწევა შემდეგ გარემოებას: მაშინ როგორღა შეიქმნა ისეთი დიდი ფილოსოფიური სკოლა, როგორიც ნეოპლატონიზმი, ან როგორ დაიწერა, მართალია, უაღრესად იდეალისტურ-მისტიკური, მაგრამ ანტიკური აზრის ბრწყინვალეების უკანასკნელი გამომხატველი პლოტინოს „ენეადები“? თუ პირველი არგუმენტი მეტად ზოგადია და არსებითად ვერ წყვეტს საკითხს, მეორეც ამ კატეგორიაში უნდა მოვაქციოთ, ვინაიდან, როგორც მიუთითეთ, მესამე საუკუნეში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შექმნა.

უფრო საბუთიანია მესამე არგუმენტი, რომელიც გულისხმობს „... ისტორიულ დეტალებს, გადაკრულ სტუკებს, სახელებს, ნაწარმოების ენობრივსა და სტილისტურ თავისებურებებს“². ისინი თითქოსდა გვეუბნებიან, რომ ნაწარმოები დაწერილია პირველ და არა მესამე საუკუნეში. ერთი შეხედვით, უფრო დამაჯერებელი მოეჩვენება მკითხველს შემდეგი დებულება: „პოლემიკის ცოცხალი ტონი შთაგვაგონებს აზრს, რომ ცეცილი და ფსევდო-ლონგინი — თითქმის თანამედროვენი არიან“³. მაგრამ, ამ დებულების ავტორები არც იმას მალავენ, რომ ტრაქტატის მე-3 თავის მე-5 პარაგრაფში გამოყენებულია „წარსული დრო“. ეს ხომ ეწინააღმდეგება ძირითად აზრს? როგორ უნდა აეხსნათ ასეთი წინააღმდეგობა? გამოსავალი იმით არის მონა-

ხული, რომ ლონგინი გამოცხადებულია პირველ საუკუნის მოღვაწის თეოდორის რიტორიკული სკოლას მოწაფედ, გარდა ამისა, ტრაქტატში იხსენიებიან მოღვაწენი, არა უგვიანეს პირველი საუკუნისა, მათ შორის ყველაზე ბოლო ხანების — ამფიკრატე, ციცირონი, ცეცილი და თეოდორი¹. მაგრამ, ჩვენი აზრით, პირდაპირ საოცარია, რატომ დაავიწყდათ, რომ ლონგინი იხსენიებს თავის მასწავლებელს ამონი საკასას და ამბობს, რომ პლატონის მიერ პომპეოსის გამოყენების ფაქტები ჩემზე აღრე მან მოიტანა და მე აღარ შევეხებო? ამონი საკასა ხომ ახალი წელთაღრიცხვით 175—242 წლებში ცხოვრობდა? მართა ეს ფაქტი ამტკიცებს ტრაქტატის შექმნას III საუკუნეში.

მაგრამ მივყვეთ მსჯელობას. ყველაზე მთავარ არგუმენტად წამოყენებულია შემდეგი: ტრაქტატის მე-44 თავში ლაპარაკია ავტორის თანამედროვე მკვიერმეტყველების დაცემაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ აღარ არსებობენ დემოკრატიული თავისუფლებანი და დაცემულია ზნეჩვეულება. ეს საკითხები აღელვებდა პირველი საუკუნის ისეთ მოღვაწეებსაც, როგორიც იყვნენ ტაციტუსი, სენეკა უფროსი, კვინტილიანე, პეტრონიუსი, ორივე პლინიუსი და მრავალი სხვა, მაგრამ მწვავედ აღარ აწუხებდა არავის იმპერატორ ავრელიანეს დროს მესამე საუკუნეში, როცა მონარქიული რეჟიმის გარდა სხვა წყობილების წარმოდგენაც არ შეიძლებოდა.² ჩვენ კვევით დაწვრილებით შეგვხებით ტრაქტატის ამ თავს, მაგრამ აქ საჭიროა ითქვას, რომ მოტანილი ფაქტები სულ შებრუნებულად გვეჩვენება. „ამაღლებულის შესახებ“ ტრაქტატის ავტორს ერთერთ უდიდეს ღირსებად სწორედ ის უნდა ჩაეთვალოს, რომ

¹ Выдающийся памятник античной эстетики, стр. 142.

² იქვე, გვ. 142.

³ იქვე, გვ. 142.

¹ Выдающийся памятник античной эстетики, стр. 142.

² იქვე, გვ. 143.

თავის მრისხანე დროს, რომლის მსხვერპლიც თვითონვე შეიქნა, დემოკრატიული თავისუფლებანი ექადაგებინა, მონობა დაეგმო, მანკიერებანი და ბიწიერებანი, მათ შორის ამაღლებული სულის უქონლობა მონარქიული რეჟიმისათვის დაებრალებინა, ხოლო განუწყვეტელი ომები, სხვა ქვეყნების დაპყრობის მიზნით, ადამიანის შინაგანი არსების გამოფიტვად მიეჩნია. ამიტომ პირველი საუკუნისათვის ტრაქტატის მიკუთვნების ყველაზე მთავარი არგუმენტიც ძალიან საეჭვოდ გამოიყურება და ჩვენ ისღა დაგვრჩენია — გაეზიაროთ იმ მკვლევართა აზრი, რომლებმაც ტრაქტატი „ამაღლებულის შესახებ“ დიონისე ლონგინს მიაკუთვნეს, ხოლო დაწერის დროდ ახალი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნე მიიჩნიეს.

სამაგიეროდ სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ „ტერმინი „ამაღლებული“, „ამალაღი“. ახალი არ იყო ბერძნებისა და რომაელებისათვის, იგი მათთვის ცნობილია სამი სტილის თეორიით, რომელიც თეოფრასტეს (არისტოტელეს მოწაფესა და ერთგულ თანამებრძოლს — გ. ჯ.) მიეწერებოდა. ამ თეორიას დაწვრილებით ამუშავებდა ციცერონი („ორატორი“, თავი VI), კვინტილიანი („ორატორის აღზრდის შესახებ“, წიგნი XII) და დიდი ხნის წინათ უკვე იქცა რიტორთა სკოლების საკუთრებად. მაღალი სტილის მაგალითად ითვლებოდა თუკიდიდეს შემოქმედება, დაბალი სტილის ნიმუშად — ლისიფისი. საშუალონი — ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს თხზულებანი. ეს ტერმინები იყო მარტოოდენ რიტორიკის ტექნიკური ტერმინები, რომლებიც დაკავშირებული იყო მხოლოდ სტილისტიკურ თავისებურებებთან (ეს დებულება მართალი არ არის, რასაც სხვა ადვილას შევეხებით — გ. ჯ.). „ამაღლებული“, „მაღალი“ ლონგინთან — უკვე რიტორიკული ტერმინი კი არ არის, არამედ, ახალი კატეგორიაა, ესთეტიკისა და

პოეტიკის ცნებაა, რომელსაც თითქმის არ ეხებოდა ბერძნული ფილოსოფია. ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ ამ აღმართული ლონგინისეული კონცეფციის შესწავლას, მაგრამ ჯერ საჭიროა თვით ტრაქტატის ზოგადი დახასიათება წარმოვადგინოთ.

ლონგინის თხზულება მოცულობით პატარაა, სულ 44 მცირე თავისაგან შედგება. ტრაქტატს ზოგიერთი ადგილი აკლია, მაგრამ მინც გარკვევით ჩანს, რომ ავტორს განზრახული ჰქონია ყოველმხრივ შეესწავლა ამ აღლებულის კატეგორია, გარდა ამისა, წიგნისათვის მიეცა ისეთი სახე, რომ დაეყენებია თავისი დროისათვის საჭირობოროტო საკითხები, რომლებიც ხელოვნების, ლიტერატურის, კერძოდ, კულტურის სფეროს შეეხებოდა. ამას გვაფიქრებინებს, სხვა პრობლემებთან ერთად, წიგნის უკანასკნელ 44-ე თავში ავტორის მითითება, რომ განზრახული აქვს, როგორც თავის მოწაფესა თუ მეგობარს ატყობინებს, დაწეროს სპეციალური ნაშრომი „ვნებათა შესახებ“, ვინაიდან ვნებებს, ამბობს ლონგინი, დიდი როლი მიუძღვით ამაღლებულის გაგებაში, აგრეთვე ყოველგვარ სხვა თხზულებაში დაიწერა თუ არა ეს ტრაქტატი, ჩვენ არ ვიცით, კაცობრიობას იგი არ შერჩენია, ისევე როგორც ლონგინის თხზულება ქსენოფონტეს შესახებ, რასაც თვითონვე იხსენიებს. მაგრამ ფაქტი თავისთავად მეტყველებს ლონგინის განზრახვაზე ყოველმხრივ შეესწავლა ამაღლებულის კატეგორია და სავანგებო თხზულებაც დაეწერა „ვნებათა შესახებ“. მეორეს მხრივ, მთელ ტრაქტატში ავტორი ცდილობს ამაღლებულის ანალიზი მკიდროდ დაუკავშიროს თავისი დროის საჭირობოროტო საკითხებს,

1 Выдающийся памятник античной эстетики, стр. 147. ზოგიერთი ხაზიჩენია — გ. ჯ.

2 O высоком, творение Дионисия Лонгина, 1826 г., стр. 196.

3 იქვე, გვ. 28.

რასაც ყველაზე მკაფიოდ მოწმობს უკანასკნელი 44-ე თავი, სადაც განხილულია საკითხი, თუ რა არის მიზეზი, რომ ახლა (III საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვით) ასე ცოტაა დიდი და ნამდვილად ჩინებული მწერალი, როგორც ძველ ხანას ასე მრავლად ჰყავდა. ამ კითხვაზე პასუხს, როგორც თვით ლონგინი ამბობს, ავტორი იმიტომ თვლის საკიროდ, რომ მისთვის ეს შეკითხვა მიუცია რომელიღაც ფილოსოფოსს, რომელსაც პრობლემა, ლონგინისეე გადმოცემით, ასე დაუყენებია:

„არ შემიძლია ვკვირვობდე... და ბევრიც ჩემთან ერთად: რატომღა ჩვენს დროებში ასე მრავლად ენამკვევნი, სასამართლო მკვევრებზე და რწმუნებაში დაოსტატებულნი, რომლებიც აღსაესენი არიან სიკზადით, სიციხოველით, განსაკუთრებით კი სიამოვნებანით; მაგრამ დიდებულნი და კემმარტად მაღალი გენიოსები ძალიან იშვიათია? რა დიდია ახლა ჩინებულ ნიჭთა ნაკლებობა! ნუთუ ამის მიზეზია, განაგრძობდა იგი, ის, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ, რომ დიდებულ გონებათ ჰყვებას და ჰქმნის დემოკრატიული მმართველობა, ვინაიდან რამდენიც არ იყო დახელოვნებული ორატორი, თითქმის ყველა ჰყვარდა ასეთი წყობილების დროს და მასთან ერთად მოკვდა? არაფერი, ასკენიან ისინი, იმდენად არ ამბობს დიდი ადამიანების სულს, როგორც თავისუფლება, და არაფერი ისე ძლიერად, როგორც იგი. არ აღძრავს ჩვენში შეჯიბრებასა და სურვილს ვიხილოთ ჩვენი თავი სხვებზე უფრო მაღლა. — გარდა ამისა, ჯიქაძეები, რომლებსაც სთავაზობენ რესპუბლიკებში, წაახლისებენ და თითქოს განწმენდენ ორატორთა ნიჭთ, რისგანაც ისინი ლებულობენ უმაღლესი ხარისხის ჩინებულობას. ჩვენ, წინააღმდეგ, განაგრძობდა იგი, ყველაზე სათუთი წლებიდან მიჩვეულნი ვართ მშვიდ მონობას, და თითქოს დედის რძესთან ერთად შევიწოვეთ მისი ჩვეულებანი და წესები, თავისუფლებას,

მისი მშვენიერი და უზღვესი წყაროდან. გემოსაც კი არ ვუსინჯავთ და იმიტომ არ შეგვიძლია სხვანაირი უკითხვით, თუ არ მხოლოდ დიდად-მშვენიერი მლიქვნელები. ამის გამო იმ ადამიანსაც კი, ამბობდა იგი, რომელიც მონობაშია დაბადებული, სხვა შეცნირებათა უნარი აქვს, მაგრამ ორატორობა არავითარ მონას არ შეუძლია, ვინაიდან უმაღლესი მოწმდება მასში რაღაც შიში, რომელიც მის გონებას აქვს თითქოს-და საპრობილეში; ასე რომ, პირველსავე გაბედვაზე — თავი გამოიდოს, ისევე თავს დახრის; ერთი სიტყვით, ჰომეროსთან ერთად რომ ვთქვათ:

„თავისუფლება როს კაცს ვინმეს დაეარება, მასში უმაღლესი მაღლი მხოლოდ ნახევრად ჩნდება“.

და ამისათვის, როგორც ყუთები (თუ იმას ვერწმუნებით, რასაც ლაპარაკობენ), რომლებშიაც ჯუჯები, პიგმეებიად წოდებულნი, იზრდებიან, ხელს უშლიან მათ არამარტო გაიზარდონ, არამედ, გახდიან კიდევ უფრო პატარებს, შეხვევის საშუალებით, რომლითაც მათ სხეულს აკავშირებენ: ასევე მონობაც, როგორი მშვიდი არ უნდა იყოს, რომელიც სახით საპრობილეა, სადაც სული მდაბლდება და ჰკარგავს თავის კეთილშობილებას“.¹

ამ რთულსა და ვრცელ კითხვაზე ლონგინს გაცემული აქვს შემდეგი პასუხი:

„ადვილია, ძვირფასო მეგობარო, და ფრთად დამასასიათებელია ადამიანისათვის სძაგდეს აწინდელი. მაგრამ იფიქრე, განა საერთო ჰყვანა არ არის მიზეზი დიდი გენიოსების ნაკლებობისა; ხოლო გაცილებით კიდევ უფრო მეტად ბოჭავს ჩვენს ყველაზე კეთილშობილურ მისწრაფებებს ეს დაუსრულებელი ომი. გარდა ამისა, მასში მცირე მონაწილეობას როდი ლებულობენ ეხლანდელ დროთა ვნებები, რომლებსაც ჩვენ ვეძლევი. ვინაიდან ანგარებამ, რითაც ჩვენ ახლა ყველა უკიდურესობამდე

¹ О високом, 1826 г., стр. 188—190.

დაავადებული ვართ, და ავხორცობამ სავსებით დაგვიმონეს, ან, უკეთესად რომ ითქვას, გადაგვიჩენეს უფსკრულში, რომელიც ნთქავს ყველა ჩვენს ტალანტს. ამასთან ერთად, არ არის უფრო საძაგელი ვნება, ვიდრე ანგარებაა, და არ არის უფრო სამარცხვინო რამ, ვიდრე ავხორცობაა. გაგება არ შემიძლია, როგორ მოხდება, რომ განსაკუთრებულ სიმდიდრესთან მიკრულმა და თავისი ღვთაებით მისმა შემქმნელმა ადამიანმა ამ ვნებასთან ერთად არ მიიღოს ყველა ბიწიერება, რაც ბუნებით მასთან შეუღლებულია. ვინაიდან უზომო სიმდიდრეს თანა სდევს ფუფუნება და ნებიერობა; ისინი, ასე ვთქვათ, მის კვალზე მიდიან და მისი დახმარებით აღებენ შესასკელს ქალაქებსა და სახლებში, რომლებშიაც შესულნი, სამუდამოდ იქ სახლდებიან. რამდენიმე ხნის შემდეგ იქ ისინი, როგორც ბრძენნი ამბობენ, იკეთებენ თავის ბუდეს და მალე ბადებენ შვილებს: ქედმაღლობას, ზვიადობას და განცხრომას, რომლებიც მათი ნაბიჯრები კი არ არიან, არამედ, კანონიერი შვილები. თუ კი ვინმე ამ შვილებსაც მიუშვებს გაიზარდონ, მაშინ სულ მალე ისინი შობენ სულით უღმობელ ტირანებს: მტრობას, უკანონობას და უსირცხვილობას. ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს; ადამიანს, შეიძლება რა სათნოება, არ შეუძლია თვალნი აღაპყროს თავის თავზე მალა და იზრუნოს დიდებაზე; განცვიფრდება რა მხოლოდ ნაკლებმნიშვნელოვანი და ხრწნადი საგნებით, ნელნელა მიეცემა სრულ გარყვნილებას, რისგანაც მთელი კეთილშობილება და უდიდებულესობა სულიერად ჭკნება, ხმება და თავისკენ იზიდავს მხოლოდ სიძულვილს. და როგორც მოსყიდულ მოსამართლეს არ შეუძლია საღად და თავისუფლად განსაჯოს იმის შესახებ, რა არის პატიოსანი და სამართლიანი, იმიტომ, რომ ვინც საჩუქრები მიიღო, მას სამართლიანი და პატიოსანი ეჩვენება მხოლოდ ის, რაც მისთვის სასარგებლოა: მაშინ, როგორ გვინდა, რომ ჩვენს დროებში, როცა

მთელი ჩვენი ცხოვრება დამონებულა ანგარებით, როცა ჩვენ მხოლოდ უმის ვფიქრობთ, რომ ვუცადოთ *შენს გმარს* ვდილს, მეორეს ბადეები დავუგოთ, რათა მის საანდერძო წერილში მოვხვდეთ; როცა ანგარების სიყვარულისათვის ყველაფერს ვყიდით, საკუთარ სულსაც კი, წარმოვადგენთ რა ჩვენივე ვნებების საბრალო მონებს; როგორ, ვამბობ მე, გვსურს, რომ ესოდენი საყოველთაო სენის დროს ვიპოვოთ მიუღგომელი მოსამართლე, რომელიც არ იქნება დაბრმავებული ანგარებით, შეიძლება გაიგოს ჭეშმარიტად ამალღაბული და შთამომავლობის ღირსეული? და რადგან ჩვენ ყველანი ასეთნი ვართ, მაშინ განა უკეთესი არ არის დავემორჩილოთ რომელიმე ხელისუფლებას, ვიდრე ვიყოთ თავისუფალნი, რათა ამ გაუმადლარმა სისარბემ, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აღვირს, მსგავსად ჯაჭვის აწყვეტილი მშვიცისა, არ ააოხრა მთელი მსოფლიო? ერთი სიტყვით, გენიოსები, რომლებიც ახლა იზადებიან, ვუთხარი მე მას, იფლანგებიან უსაქმობით, რომლითაც ყველა ჩვენ, მცირეოდენის გამოკლებით, ვიტანჯებით, ვზრუნავთ რა მარტოოდენ ქების შესახებ და კმაყოფილებაზე, და არა სასარგებლოს შესახებ, რაც შეჯიბრებისა და დიდების ღირსი იქნება¹.

ჩვენ არ შევუდგებით ლონგინის ამ პასუხების განხილვას, თავისთავადაც ისინი სავსებით გასაგებია, მაგრამ მთავარია ამალღაბულის იმ კონცეფციის გამოკვევა, რომელიც მის ტრაქტატშია წარმოდგენილი. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზიველჩინსკიან მართალი არ იყო, როცა საკუთრივ ამალღაბულის ანალიზად ტრაქტატის მხოლოდ 35-ე თავი მიიჩნია. რატომ უნდა, ეს თავი ნამდვილად გამოირჩევა ამალღაბულის ილუსტრაციისათვის ბუნების უშუალო წიაღიდან მაგალითების დასახელებით, მაგრამ წიგნის სხვა თავები განა მთლიანად ამალღაბულის, როგორც ესთეტიკური

¹ О Высоком, 1826 г., стр. 190—194.

კატეგორიისა და მოვლენის ანალიზს არ ემსახურება? ისიც სრულიად უეჭველია, რომ ლონგინის ტრაქტატში ამ აღლებული არ არის ყოველმხრივ განხილული, ამას თვით ავტორიც აღიარებს, რაკი განზრახული აქვს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნას ვნებათა ანალიზს, როგორც ამ აღლებულის შესწავლაში დიდი როლის შემსრულებელს. მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას, ვინაიდან ტრაქტატის ავტორი ამ აღლებულის გამოვლენას უკავშირებს ისეთ კონკრეტულ ფაქტებს, ხელოვნების, ლიტერატურის, რიტორიკის ისეთ მაგალითებს, რომ მთელი წიგნი სავესებით ამართლებს სახელწოდებას — „ამაღლებულის შესახებ“. ისტორიულად ეს მართლაც პირველი ტრაქტატია, რომელმაც გარკვეული სისტემის, გარკვეული კონცეფციის ჩარჩოებში სცადა ამ რთული ესთეტიკური კატეგორიის ანალიზი და თავისი დროისათვის ბევრი საგულისხმო შესძინა აზროვნების ისტორიას.

მიზანშეწონილი იქნება ამ აღლებულის ლონგინისეული გაგების დახასიათება იმით დავიწყოთ, რომ მთლიანად მოვიტანოთ ტრაქტატის 35-ე თავი, რათა მკითხველმა სრული წარმოდგენა მიიღოს დაყენებულ საკითხებზე: „პლატონსა და ლისიუსს შორის კი არის, როგორც მე ესთქვი, სხვა განსხვავებაც. ვინაიდან პლატონი აღმატებულია ლისიუსზე არა მარტო დიდებულებით, არამედ მრავალი თავისი სილამაზითაც; და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ლისიუსს უფრო უხვად აქვს მანკიერებანი, ვიდრე მოკლებულია სილამაზენს. რისთვისა და ეს ღვთაებრივი მწერლები ესწრაფებოდნენ მარტოდენ ამ აღლებულს თავიანთ თხზულებებში, ხოლო სრულყოფილი წესიერულობა სძულდათ? მრავალს გარდა, ამის მიზეზია ისიც, რომ ბუნებამ არ მიიჩნია ადამიანი მდაბალ და საძაგელ ცხოველად, მაგრამ აჩუქა რა მას სიკაცხლე, გამოიყვანა იგი ქვეყანაზე, თითქოს-და დიად სახილველზე, რათა ის ყოფილიყო მხილველი ყოველივესი; რაც მასში ხდება და მო-

ღეწე, რომელსაც დიდება სწყურია; და ამისათვის თვით დამადებელს დროს შეამდინარა მის სულში აღმატებული ვნება ყოველგვარი დიადისადმი და, რაც ჩვენ შეგვეხება, აქვს უფრო მეტად ღვთაებრივი ხასიათი. ამის გამო ადამიანის ხედვისა და ფიქრისათვის საკმარისი არ არის მთელი ქვეყანა; ჩვენი აზრები ხშირად გადაეწებებიან ხოლმე საზღვრებს, მთელ შექმნილს რომ ამთავრებენ; და თუ ვინმე გარედან გასჩხრიკავს ჩვენს ცხოვრებას და შენიშნავს, რამდენ დიდებულსა და აღმატებულს ყველა საგანში უპირატესობა აქვს მშვენიერის წინაშე, ის მალე დაინახავს, რისთვისაა ადამიანი დამადებული.

ასეთი თანდაყოლილი წაქეზებით, ჩვენ არა პატარა მდინარეებს მოვეყვართ განცვიფრებაში, თუმცა ისინი გამჭვირვალენი და სასარგებლონი არიან, არამედ ნილოსს, ისტრას, რაინს, ხოლო გაცილებით უფრო მეტად ოკეანეს. სწორედ ასევე, გაკვირებული არა ვართ ცეცხლით, რომელსაც ჩვენ ვანთებთ, თუმცა ის ინარჩუნებს სუფთა კაშკაშს, არამედ განცვიფრებას გვეგვიან ციური მნათობები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად ბნელდებიან ხოლმე; და ვერაფერს ვბოულობთ, რომ ღირსი იყოს ეტნას კრატერებისა, რომლის ამონაფრქვევთ სიღრმიდან მოაქვთ ქვები და მთელი კლდეები, ხოლო ზოგჯერ ჰლერიან ამ გვარის მდინარეებს და თვით ცეცხლსაც კი. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებისათვის სასარგებლო და საჭიროც კი ადვილად გასაგებია, ხოლო მოულოდნელი ყოველთვის განმაკვიფრებელია“¹.

ეს არის ლონგინის თხზულების მთელი 35-ე თავი, რომელიც მიაჩნიათ ყველაზე უფრო ახლო განხილვით ამ აღლებულის, როგორც ესთეტიკური კატეგორიისა. მაგრამ, როგორც მივეთითეთ, ეს შეხედულება მართალი არ არის. ჩვენ სრულიად უდავოდ მიგვაჩნია, რამ

¹ О высоком, творение Дионисия Лонгина, 1826 г., стр. 125 — 126.

ლონგინის მთელი თხზულება ამალღებულის, როგორც ესთეტიკური კატეგორიის, ანალიზია, თუმცა უმთავრესად რიტორიკის ასპექტით. მაგრამ ნუ დაგვაიწყებება პოეზია, ნუ დაგვაიწყებება უამრავი პოეტური თხზულება, რომელსაც ლონგინი მიმოიხილავს თუ ილუსტრაციად იყენებს: რაკი ასეა, რაკი პოეზია ხელოვნების დარგია, ბუნებრივი იქნება, თუ ლონგინის თხზულებას მივიჩნევთ, როგორც მთლიანად ამალღებულის ესთეტიკური ანალიზის ცდად.

ამალღებულის არსება ლონგინის ტრაქტატში. ლონგინი განარჩევს ქეშმარიტად ამალღებულს, რაც სულს აიძულებს დიდხანს შეისწავლოს იგი, რასაც, არა მარტო ძნელია, არამედ, შეუძლებელიცაა ეწინააღმდეგებოდე, და რაც თავისი თავის შესახებ მენსიერებაში ტოვებს ძლიერსა და წარუშლელ შთაბეჭდილებას¹. მაგრამ ლონგინისათვის ეს ჯერ კიდევ არ არის ამალღებულის სრული განმარტება. ქეშმარიტი და ნამდვილად ამალღებული არის ის, რაც „ყოველთვის და ყველას მოსწონს“².

ამალღებულის ეს განმარტება ისე უახლოვდება მშვენიერების კანტიანურ გაგებას, რომ სრულიად უმჭველია კენიგსბერგელ ფილოსოფოსს ლონგინი გამოყენებული აქვს ორივე ესთეტიკური კატეგორიის განსაზღვრისათვის. ლონგინისეული მაგალითები ბუნებიდან გვხვდება აგრეთვე ამალღებულის იმ გაგებაში, რომელიც კანტმა მოგვცა. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით სათანადო ადგილას შევხვებით, ხოლო ახლა იმის შესახებ მივუთითებთ, რომ კანტზე საუკუნეებით ადრე ლონგინმა წამოაყენა დებულება — ამალღებული დაკავშირებულია განმაცვიფრებელთან, იმასთან, რაც ჩვენს გაოცებას,

აკვირვებას იწვევსო. განსხვავებას შემდეგ შევხვებით, როცა კანტიანულად საზრისს დაეახანიათებთ ამალღებულის თვით ლონგინისეული კონცეფცია ტრაქტატში გაღმორცემულია ანტიკური ქვეყნისადმი უდიდესი პატრიისციზმის გრძობით და ამდენად შეუძლებელია ეს ნაწარმოები ავგუსტინეს ეკუთვნოდეს, მით უფრო, რომ იქ ქრისტიანული რელიგიის კვალი არა ჩანს, ქრისტიანული ესთეტიკის პრინციპები წამოყენებული არ არის, რაც არ შეეძლო განთქმულ „ეკლესიის მამას“ — ტერტულიანეს შემდეგ ახალი რელიგიის ყველაზე ავტორიტეტულ დამცველს — ავგუსტინეს გაეკეთებინა.

თვით ტრაქტატის საგანი — ამალღებული ლონგინს შიაჩნია ისეთ რთულ მოვლენად, რომ მიუხედავად ცეცილის სასტიკი კრიტიკისა, მას იმდენად ძაგების ღირსად არა ცნობს, რამდენადაც ქებისა, რაკი ასეთ ძნელ საქმეს ხელი მიჰყო და მისი გამორკვევა სცადა. ცეცილის მთაწარ ნაკლს ლონგინი იმაში ხედავს, რომ მას არ ესმის ამალღებულის არსება, ვაჭდა ამისა, ის, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ საკუთარი ბუნებრივი ნიჭი ავამალოთ სიდიადის გარკვეულ დონემდე, მაშინ, როცა ყოველგვარ შეცნიერებას მოეთხოვება: პირველი — გვიჩვენოს თვით საგანი, მეორე — თანმიმდევრობით, ხოლო მნიშვნელობით პირველია — რა საშუალებებით შეიძლება მივწვდეთ თვით საგანს? ვერც ერთი ეს მოთხოვნა ლონგინმა ვერ პოვა ცეცილის თხზულებაში და ამიტომ იგი დაიწუნა, თუმცა ძაგების ღირსად მაინც არ გაუხდია.

როგორც მითითებული გვაქვს, ლონგინის თხზულება ამალღებულს უმთავრესად განიხილავს ორატორული ხელოვნების ასპექტში, მაგრამ სხვა მა-

¹ იქვე, გვ. 28.

² იქვე, გვ. 30, მე-7 თავი, ხაზი ჩვენია —

¹ O високом, творение Дионисия Лонгина, 1826 г., стр. 4.

² O високом, стр. 2.

გალითების მოშველიებით იგი ახერხებს ამ ერთერთი ძირითადი ესთეტიკური კატეგორიის ბუნება წარმოაკვიდგინოს ნეოპლატონიზმის საერთო კონცეფციით. ტრაქტატის პირველსავე თავში ამ აღ-
 ლებულ ი განმარტებულია, რო-
 გორც „უხენაესობა და სიტ-
 ყვის რაღაც უპირატესობა“¹
 სწორედ ამის საშუალებით, ფიქრობს
 ლონგინი, ყველა დიდმა პოეტმა და მწე-
 რალმა უკვდავყო თავისი სახელი, სიტ-
 ყვას დარწმუნებაში ძალიან დიდი ძალა
 აქვს. ამ აღლებულსაც ვერ გა-
 ვიგებთ, თუ არ ვირწმუნეთ. ეს რწმენა
 უთუოდ რელიგიური გაგებით ესმის
 ლონგინს, რომელსაც ეკვი არ ეპარება,
 რომ ზესკნელი ვერ არწმუნებს მსმე-
 ნელს, მაგრამ გაოცებაში მოჰყავს;
 ისე განაცვიფრებს ადამიანს, რომ გაშ-
 ტრებამდე მიიყვანს, რაც ნამდვილად
 ყოველთვის ჯობნის იმთ, ვინც არწმუ-
 ნებს და რაც სასიამოვნოა. მაშა-
 სადამე, თუ ამ აღლებული დაკავშირებუ-
 ლია უხენაესთან, ზესკნელთან, იგი და-
 კავშირებულია ღვთაებრივთანაც, ხოლო
 ამ აღლებულში დარწმუნება უფრო მე-
 ტად ადამიანზეა დამოკიდებული, ისევე
 როგორც ღვთაების რწმენა. ამგვარად,
 სრულიად უეჭველია, რომ ლონგინს,
 ისევე როგორც ნეოპლატონიკოსებს
 საერთოდ, მათ შორის პლოტინს.
 ამ აღლებული დაკავშირებული აქვს
 ღვთაებრივთან და მიანიხია, რომ
 თავისი განუსაზღვრელი ძალით იგი
 ყოველგვარ მსმენელზე მალა დგას —
 აიძულებს ყველა საგანს თავისი ძალა
 თუ შინაგანი არსება გამოავლინოს.
 ამ აღლებულის ამ ღვთაებრივ ბუნებაში
 ხედავს ლონგინი განუსაზღვრელ
 ძალას, რომელსაც ადამიანი უნდა მის-
 წვდეს, ალბათ, იმ ექსტაზის საშუ-
 ალებით, რაც მთელი მისტიკური თე-
 ორიის სახით პლოტინმა დაამუშა-
 ვა. მაგრამ არც პლოტინი და არც
 მისი ექსტაზის უკიდურესად იდე-
 ალისტური, უკიდურესად რელიგიურა

მოძღვრება აქ მოხსენიებული არ არის.
 სამაგიეროდ, ექსტაზის გზა, მეტაფიზიკის
 მიერ დახასიათებული, მეტაფიზიკის
 ლონგინის ნააზრევში არ ვიგ-
 რძნოთ.

მთელ პრობლემად არის დაყენებული
 ამ აღლებულის ჩვევა, მისი შესწავლა.
 შეიძლება თუ არა მივიღოთ ამ აღლებუ-
 ლის ჩვევა, ვისწავლოთ ამ აღლებული?
 ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ლონ-
 გინი აყენებს მეორე პრობლემას: არსე-
 ბობს თუ არა ამ აღლებულისათვის ან
 დიადისათვის ცოდნა, ოსტატობა, ხე-
 ლოვნება?

მაგრამ ეს უკვე სპეციალური საკი-
 თნია, რომელიც ცალკე საკიროებს შეს-
 წავლას.

ლონგინი არ ეთანხმება იმ ფილოსო-
 ფოსებს, რომლებსაც მიანიხიათ, რომ
 ამ აღლებული დიადი სწავლით
 კი არ შეიძლება, არამედ, ჩვენთან ერ-
 თად იზადებაო. თუ აქ თანდაყოლილი
 იდეა ნაგულისხმევი, მაშინ ლონგინა
 პლატონის წინააღმდეგაც უნდა
 ილაშქრებდეს. მაგრამ რაკი განმარტე-
 ბულია, რომ ლაპარაკია ბუნებრივ
 ნიჭზე, მაშინ პლატონი უნდა გავა-
 თავისუფლოთ ლონგინის კრიტიკისაგან
 და მივყვეთ მისი აზრების შემდგომ გან-
 ვითარებას. მაშასადამე, ცდებიან ისინი,
 რომლებიც ფიქრობენ, რომ დიადი
 ჩვენთან ერთად იზადება; ერთად ერთი
 მისთვის ხელოვნება (ცოდნა) — ბუ-
 ნებრივი ნიჭია. ბუნების ნაწარმოებები,
 წესებით ღონემხიხლონი, ჰკარგავენ
 თავის ღირსებებს და სრულიად ულო-
 ნონი ხდებიან: მაგრამ, ფიქრობს ლონ-
 გინი, ეს სულ სხვაგვარად მოგვეჩვენ-
 ება, თუ გავიგებთ, რომ ბუნება თუ-
 მცა პათეტიკურსა და ამ აღ-
 ლებულში ხშირად თვითმპყრობელი
 ხდება, მაგრამ განუსჯელი არ არის და
 არა სრულებით სპობს წესებს. მთელ
 ამ მსჯელობაში საყვებით ნათლად ჩანს
 ნეოპლატონიზმი, რომელმაც, მართა-
 ლია, ბუნება (მატერია) სიმახინჯედ გა-
 მოაცხადა, მაგრამ მისი შესწავლა მაინც
 საკიროდ მიიჩნია და ზურგი არ შეუქ-

¹ იქვე, გვ. 4. შემდეგ ლონგინის ოხულებას
 ციტირებას ამ დასახელებით მოვახდენთ.

ცვია სოკრატეს მსგავსად. ლონგინიც საესებით პლოტინის გზით მიდის, რაკი მაინა, რომ „უეკველია, ყველა ნაწარმოებს ბუნება ემსახურება პირველ და მთავარ საფუძვლად: მაგრამ მეცნიერებას შეუძლია გვიჩვენოს ზომა, ყველა შემთხვევაში ჯეროვნება, აგრეთვე უცოდველი მეცადინეობა და მოხმარება. როგორც თავის ანაბრად მიტოვებული, დაუტყვირთავი ხომალდი, უხელოვნოდ (უცოდინარად) საშიშროებას გადაეყრება, ისე დიადი, მინდობილი მარტოოდენ თავის მისწრაფებასა და უგუნურ მამაცობას, მტკიცე არ არის; ვინაიდან მას ზშირად ჭირდება იმდენად შეგულიანება, რამდენი დამორჩილებაც“¹.

თავისი დებულების საილუსტრაციოდ ლონგინიც, მართალია, დიდ ორატორს დემოსთენეს იშველიებს, მაგრამ მთავარია ძირითადი აზრი — ამალღებულსა და დიადში ბუნებრივობის აუცილებლობა, ზომიერება, დროულობა, ცოდნა (ოსტატობა, ხელოვნება), უნარიანი მოხმარება. ამალღებულის არსებისათვის, ვარდა ამ თვისებებისა, აუცილებელია სრული განთავისუფლება ცარიელი ამრეზილობისაგან (გაბერილობისაგან), ხოლო ორატორულ ხელოვნებაში — უმაწვილური ენისაგან. ლონგინზე უფრო ადრე ეს აზრი რომაულ ესთეტიკაშიც გავრცელებული იყო. მისი ერთერთი დიდი წარმომადგენელი კორაკიუსიც გრძნობდა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ამალღებულისაკენ სწრაფვა შეიძლება ჩვეულებრივ ამრეზილობად ან ფუყე გაბერილობად იქცეს, თუ ზომიერება ოსტატობით არ დამშვენდა. გარეგან ბრწყინვალეობას და მისდამი გამოდევნებას, როცა ხელოვანს ოსტატობის გამოცდილება არა აქვს, შეუძლია ამალღებულის მაგიერ მარტოოდენ ამრეზილობა მოგვეცეს. „კოეზიის მეცნიერებაში“ პორაკიუსმა პოეტთა ეს ცდომილება იმით

გამოხატა, რომ სთქვა: „მსურს ვიყო ამალღებული ^{სრულიად} ამრეზილობაში, რომელიც ლონგინისათვის რომ ცნობილია, სრულიად უეკველია. პორაკიუსის მსგავსად, ლონგინი მკაცრად ებრძვის ამრეზილობას — ფუყე გაბერილობას, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ტრაგედიაში, ისე ორატორულ ხელოვნებაში და მთელი თვისის სახით აყალიბებს შემდეგ აზრს: „როდესაც მეტისმეტი ამრეზილობა (გაბერილობა) მიუტყვებელია ტრაგედიაში, რომელიც თავისი ბუნებით მედიდურია და მალაღფარდოვანია, მაშინ მით უფრო ნაკლებად შეიძლება იგი მოსათმენი იყოს თბზულებათა ჩვეულებრივ გვარებში“². მაგალითებად დასახელებულია გეორგი ლეონტიელი, რომელმაც თავის ნაწარმოებში ქსერქსის სპარსული ზევსი უწოდა, ხოლო ყორნებს განსულიერებული კუბოები. ასევე ემართებათ კალისტენეს, წვრილმან კლიტარქეს, სოფოკლე რომ დასცინოდა, ამფიკრატეს, იგისეს, მატრიდეს, რომლებსაც ლონგინი ბავშვებს უწოდებს, რაკი ღვთაებრივი შთაგონებით არ ლაპარაკობენ.³ აქედან გამოტანილია დასკვნა, რომ ამრეზილობა (გაბერილობა) ისეთ მანკიერებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია. გარდა ამისა, იგი „საზიანოა როგორც სხეულში, ისე სიტყვაში“⁴. თუ მას მიეტყვება, მხოლოდ იმიტომ, რომ ცდილობს ამალღებულს გადააპარბოს. მაგრამ იგივე აღარ ითქმის უმაწვილურ სიყალბეზე (რიოშზე), ვინაიდან ეს უკანასკნელი სრულიად საწინააღმდეგოა ამალღებულისა, იმიტომ, რომ მდაბალი, წვრილმანი და

¹ Квинт Гораций Флакк, Полное собр. сочинений 1936 г., стр. 342.

² О высокоом, стр. 12.

³ იქვე, გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 12. ზაზი ჩენია — გ. ჟ.

¹ О высокоом, стр.8.

არავითარი კეთილშობილების არმქონე სულის დამახასიათებელი თვისებაა.

ლონგინი კიდევ უფრო ღრმად იჭრება ამ საკითხში და განმარტავს, რომ ყმაწვილური სხვა არაფერია, თუ არ სკოლური აზრი, რომელიც სიტყვის მორთულობაზე ზედმეტი ზრუნვისაგან ცივი ხდება. აქ თავს იჩენს ყალბი სილამაზე, რასაც თან ერთვის მესამე გვარის მანკი, რომელსაც თეოდორმა პარენფირსი (უადგილო აღტაცება) უწოდა. მისი არსება ის არის, რომ ვნებას გამოაჩენს იქ, სადაც ამისათვის არც ხელსაყრელი დროა და არც საჭიროება მოითხოვს; ან კიდევ იქ, სადაც ზომიერი უნდა იყოს, ნამდვილად კი არაზომიერებაა¹. ლონგინი გვიპირდება, რომ ამ საკითხს — ვნებებს იგი სხვა ადგილას კიდევ შეეხება². შესაძლოა მას მხედველობაში აქვს სპეციალური ტრაქტატი, რომლის შესახებაც უკანასკნელ 44-ე თავში ლაპარაკობს, ვინაიდან თხზულების სხვა ადგილზე ვნებათა შესახებ ცალკე თავი აღარ არის გამოყოფილი ან მოუღწეველია. მომდევნო მე-4 თავი კი განიხილავს ყმაწვილური სიყალბის იმ ბუნებას, რომელსაც ცივი უწოდა. ანალოგიისათვის დასახელებულია ძველი ბერძენი ისტორიკოსი, წარმოშობით სიცილიიდან, ტიმეი (352—260), რომელიც კიდევ უფრო მეტად არის აღსავსე ხსენებული ნაკლით. ლონგინს საილუსტრაციოდ მოჰყავს ერთი-ორი ამონაწერი ტიმეის ცნობილ ისტორიულ თხზულებათაგან და შენიშნავს, რომ მეტს არ დავასახელებ, ვინაიდან ჩემზე ადრე ცეცილმა ანალოგიური ფაქტები მრავლად მოიტანა³. ეტყობა, ცეცილსაც ამაღლებულის ანალიზი, ისევე როგორც ლონგინს, დაკავშირებული ჰქონია ორატორულ ხელოვნებასთან, და თვით ლონგინის თხზულება წარმოადგენს ცეცილის

ჩვენამდე მოუღწეველ ტრაქტატში აღძრულ საკითხებზე გაცემულ პასუხებს.

რა არის მაინც ის ორენოვანი ტიმეის ნაწერებიდან თვით ტიმეის წინააღმდეგ ლონგინს მოჰყავს? პირველია ალექსანდრე მაკედონელისა და ისოკრატეს პარალელი. „სურს რა შეაქოს ალექსანდრე დიდი, — წერს ლონგინი, — ის (ე. ი. ტიმეი, — გ. ჯ.) ამბობს: „ალექსანდრემ მთელი აზია დაიპყრო უფრო ნაკლები წლების განმავლობაში, ვიდრე ისოკრატემ მას ქება დაუწერა“. საკვირველი შედარებაა სოფისტთან ალექსანდრეს! შენი აზრით, ტიმეი, ლაკედემონიანელები (ე. ი. სპარტანელები, — გ. ჯ.) მამაცობაში ისოკრატეს ძალიან ბევრად ჩამორჩენ: რადგან მათ აიღეს მესინა ოცი წლის შემდეგ; ისოკრატემ კი პანეგირიკი ამ წელიწადში დაწერა.

როგორი, ფიქრობ შენ, გამოიყენა მან წამოძახილი, ლაპარაკობდა რა ათენელებზე, რომლებიც სიცილიაში ტყვედ ჩაეარდნენ? — „და ისინი დასჯილ იქნენ, ამბობს იგი (ე. ი. ტიმეი, — გ. ჯ.) იმისათვის, რომ გაჰკიცხეს ერმოსი, აჩეხეს მისი ქანდაკება, და ეს რისხვება ერმოსისა მით უფრო საგრძნობი იყო, რომ იგი მოხდა ერთი სარდლის მეშვეობით, რომლის სახელი იყო ერმოკრატე. ერმენეს შვილი, თავისი შთამომავლობა ერმოსიდან რომ გამოჰყავდა“. კითხულობ რა ამას... განცვიფრებას ეძლევი, როგორ არ მოუვიდა ტიმეის აზრად, ეთქვა ტირან დიონისეს შესახებაც, რომ როგორ პატივსაც არ სცემდა იგი დიოსსა და ერეკლეს, ტახტიდან მაინც ჩამოგდებულ იქნა დიონისა და ირაკლიდეს მიერ⁴. მაგრამ ანალოგიური ნაკლი მართოდენ ტიმეის კი არა, რომელიც ლონგინს ჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნია, არამედ, ძველი დროის ისეთ დიდ ადამიანებსაც ახასიათებს, როგორიც იყვნენ ისოკრატეს სკოლიდან გამოსული ქსენოფონ-

¹ О высоком, стр. 14.

² იქვე, გვ. 16.

³ იქვე, გვ. 16.

⁴ О высоком, стр. 18.

ტე ათინელი და დვთაებრივი პლატონი.

ლონგინი ეძებს მიზეზებს, თუ რა წარმოშობას ასეთ ნაკლოვანებებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთი საფუძველი აქვს ამ მანკიერებას—ეს საფუძველი წარმოშობს ხსენებულ ნაკლსაც და სრულყოფასაც.

რა არის იგი?

„... ძლიერი მიდრეკილება ახალი აზრებისადმი, რაც ახლანდელ მწერლებს აგვიტემა მდე შეუყვარდათ“¹. მაგრამ, საერთოდ კი, ძნელია შეისწავლო ქვეშმარტად ამ აღლებული და მსჯავრი იქონია მის შესახებ. სიმდიდრე, სახელი, დიდება, ძალაუფლება და სხვა მათი მსგავსნი, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად ბრწყინავენ, ლონგინს არ შეაქვს ამ აღლებულის კატეგორიაში. ასევე უნდა ვუცქეროდეთ ამ აღლებულს პოემებსა და სხვა ნაწარმოებებში, — ხომ არა აქვს დიადის სახე იმას, რაც ამო გამოწვინათ იქმნება, განხილვის შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ცარიელი და ვაბერილია, ამიტომ ზოგს იმსახურებს და არა გაოცებას. ჩვენი სული ხომ ბუნებრივად განდიდება ხოლმე მარტოოდენ ქვეშმარტად ამ აღლებულით.

ასეთ ამ აღლებულს, ლონგინის აზრით, ხუთი წყარო აქვს: მათ შორის პირველი და უმშვენიერესია აზრთა ბედნიერი გაბედულება: მეორეა — ძლიერი და აღტაცებული ვნება (ლონგინის აზრით, ამ ორი წყაროს გზით შექმნილი ამ აღლებული, უმთავრესად, ბუნებრივი ნიჭია, ხოლო დანარჩენი სამი წყარო ცოდნით, ოსტატობით, გამოცდილებით შეიძინება); მესამეა — ფიგურების მართებული შედგენა (ერთია აზრთა ფიგურები, მეორეა — მეტყველებისა); მეოთხეა — სიტყვების კეთილშობილური გამოთქმა, რაც ორი

ნაწილისაგან შედგება: სიტყვების შერჩევისა და ტროპული და წმინდა მეტყველებისაგან; მეხუთეა — რამაც ვისში შეიცავს ყველა წინანდელ წყაროებს და წარმოადგენს ღირსეულ ამ აღლებულ ლექსთხულებას¹.

როგორც ვხედავთ, ამ აღლებულის ანალიზი აქ მთლიანად ორატორული ხელოვნების სფეროშია გადატანილი, მაგრამ სინტერესოა ლონგინის შემდგომი მსჯელობა, რომელიც კონკრეტულს, კერძოს უკავშირებს ზოგადს და ამდენად იძლევა უკვე მთლიანი ესთეტიკური კატეგორიის ნიშნების გარკვევას. ეტყობა ცეცილსაც ანალოგიური განხილვა მოცემული ჰქონია, მაგრამ ზოგიერთი მომენტი გამოუტოვებია, რითაც ლონგინის კრიტიკა დაუმსახურებია. მაგალითად, ცეცილს არაფერი უთქვამს ვნების შესახებ, და ლონგინი შენიშნავს: თუ მან ეს იმიტომ გააკეთა, რომ ფიქრობდა — ამ აღლებული და ვნება ერთი და იგივეაო, რომ ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენო, მაშინ მოტყუებულა, ვინაიდან არის ისეთი ვნებები, რომლებიც ძალიან დაშორებული არიან ამ აღლებულს, პირიქით, მდებალს განეკუთვნებიან, როგორც მაგალითად: სინანული, სევდა, შიში; და პირიქით, ამ აღლებული არის ვნების გარეშეც, რომლის მაგალითი მოტანილია ჰომეროსის ეპოსიდან. ვარდა ამისა, თუ ზოგიერთი ხოტბა გრძნობით არის დაწერილი, სამაგიეროდ, თვით ხოტბით გამოჩნეული ნაწარმოები მოკლებულია უნარს ვნებათა აღძვრა გამოიწვიოს² ეს საკითხი განხილვის ობიექტად არის გადატყუული მომდევნო თავშიაც, სადაც ლონგინი ამ აღლებული აზრების ანალიზს გვაძლევს. იგი კვლავ უბრუნდება წინანდელ დებულებას, რომ ამ აღლებული სულიერი სიღბადის რომელი-

¹ О высоком, стр. 18—22.

² О высоком, стр. 22 ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

¹ О высоком, стр. 28—30.

² იქვე, გვ. 30-32.

დაც გამოძახილია და ამიტომ ზოგჯერ გვაოცებს შიშველი და ხმით გამოუთქმელი აზრი, იმ მიზეზის გამო, რომ მასში ვხედავთ ამაღლებულ სულს. საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ჰომეროსის „ოდისეაში“ აიაქსის დუმილი, რომელიც, ლონგინის აზრით, ჰემმარიტად დიდებულია და თავისი ამაღლებულობით აჭარბებს ყოველგვარ სიტყვას¹.

ლონგინის მიერ მოტანილი მაგალითი და მის მიერ შემჩნეული ამაღლებულის ეს თვისება ახალ საუკუნეებში სპეციალური კვლევის საგნად იქცა. საემარისია დავასახელოთ ლესინგის „ლაოკონი“, დიდროს ესთეტიკური ძიებანი, ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის მიერ მოცემული რუსთაველის გმირების ბრწყინვალე დახასიათება. ეს არის მოქმედებისა და ლაოკონიურობის კანონი, რომელიც ჩვენ უკვე განხილული გვაქვს² და აქ აღარ შევეხებით. გარკვეულ მდგომარეობაში დუმილი, როგორც გრძნობისა და სულის სიდიადე, არაერთ მწერალს გამოუყენებია, ჰომეროსი და რუსთაველი მას იშვიათად როდი მიმართავენ, ხოლო ლონგინი თეორიულად ასაბუთებს „უხმო აზრს“, დუმილით ან მარტოდენ მოქმედებით გამოხატულს; როგორც ამაღლებული სულის გამოვლენას ამიტომ მოითხოვს მკვერმეტყველისაგან (ორატორისაგან), რომ მას „არ უნდა ჰქონდეს მდაბალი და არაკეთილშობილური სული“³. ლონგინს აქსიომად მიაჩნია, რომ შეუძლებელია ადამიანს მთელ თავის სიცოცხლეში ნაკლებმნიშვნელოვანი, მონური აზრები ექნეს და შექმნას რაიმე განმაცვიფრებელი ან ყოველი საუკუნისათვის ღირსეული რამ. ამაღლებული სიტყვა შეიძლება მხოლოდ იმ ადამიანმა წარ-

მოთქვას, ვისი აზრებიც აღსაესია დიდი და სული ამაღლებული აქვს. ბრწყინვალე მაგალითად დასახელებულია სპარსეთში ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი ლაშქრობიდან შემდეგი შემთხვევა: როცა სარდალმა პარმენიონმა, ალექსანდრეს ახლო მეგობარმა, შეიტყო, რომ მეფე დარიოსი დიდ მაკედონელს ჰპირდება ნახევარ აზიას და თავის ულამაზეს ქალიშვილს მეუღლედ, წამოიძახა: „მე დავეთანხმებოდი, ალექსანდრე რომ ვიყოო“, თვით ალექსანდრეს კი უპასუხნია: „მეც დავეთანხმებოდი, პარმენიონი რომ ვიყოო“⁴. ლონგინის აზრით, ვინც ეს უკანასკნელი თქვა, თავისი სულის სიდიადეს გვიჩვენებს, ვინაიდან არა პირადი კეთილდღეობა, არამედ, სამშობლოს განდიდება აინტერესებს; არა ჩვეულებრივს ეძებს, არამედ არაჩვეულებრივს; არა სხვისი წყალობით კმაყოფილდება, არამედ, საკუთარი მონაპოვრით; არა მცირე ნახევრით, არამედ, დიდი მთელით. ეს იყო ალექსანდრე მაკედონელის შინაგანი დიდი სულის მოთხოვნილება და ამიტომ უუთავდო მან პარმენიონის პარენფირსი.

ახლა გვინდა დაწვრილებით შევეხოთ ტრაქტატის ერთერთ საინტერესო ადგილს, სადაც ლონგინი ვრცლად ჩერდება ჰომეროსის ეპოსზე და შეტად მნიშვნელოვან შენიშვნებს აკეთებს. ვფიქრობთ, ლონგინი ერთერთი პირველი იყო, რომელმაც საფუძვლიანად მიუთითა იმის შესახებ, რომ ჰომეროსთან ხშირად ადამიანები გაღმერთებულა, ხოლო ღმერთები გაადამიანებულა, ამავე დროს, ღმერთები უფრო უბედურები არიან, ვინაიდან ისინი მარადიულად იტანჯებიან, ხოლო ადამიანთა ტანჯვას სიკვდილი ამთავრებს. ამით უთუოდ ისიცაა ნათქვამი, რომ ჰომეროსის ეპოსში ძველი ბერძნული მოთოლოგია უბიწო სახით კი აღარ

¹ იქვე. გვ. 34.

² გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. 1, 1955 წ., IV თავი, გვ. 498-502.

³ O високом, стр. 34.

⁴ O високом, стр. 34.

არის წარმოდგენილი, არამედ, შენგურული მისი საფუძვლები, და იგი, როგორც ძველი იდეოლოგია, რადაც ახლის წინაშე იმყოფება, რომელმაც არსებითად მისი შეცვლა უნდა გამოიწვიოს. მართალია, ეს გაცილებით გვიან, დიდი დაგვიანებით მოხდა, მაგრამ მაინც მოხდა, როცა ანტიკური მეცნიერება წინ წამოიწია. პირველყოფილი გეოგრაფიკული წყობილების ძველი იდეოლოგია — მითოლოგია ახალ, მონათმფლობელურ წყობილებაში შესცვალა ახალმა იდეოლოგიამ — მეცნიერებამ. და ამ პროცესის პირველი, თუმცა სუსტი ნიშნები, რომელიც ახალი ეპოქის გამოჩნდა, ლონგინი ამას პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მისი უწყინარი შენიშვნა, რომელიც ჩვენ უკვე მოვიტანეთ, გვაფიქრებინებს, რომ რადაც ანალოგიურს იგი ვრძნობდა, როცა თავისი ტრაქტატის მე-9 თავში პომპროსის ეპოსის შედარებით ასე ვრცელ დახასიათებას იძლეოდა.

მაგრამ გაავარძელოთ მსჯელობა ამალღებულის პომპროსისეულ მაგალითებზე, რომლებაც ლონგინს მოჰყავს. ერთი ასეთი მაგალითია გმირების ამბულაბული სულის ჩვენება, კერძოდ, გულად აიაქსის განცდა „ილიადაში“, როცა მოულოდნელმა ნისლმა და გვიანმა ღამემ ბერძნების ბრძოლა შესწყვიტა. საგონებელში ჩავარდნილი აიაქსი მიმართავს ზევსს: „ყოფლისშემძლეო, დაგვიხსენი საშინელი სიბნელისაგან, დაგვიბრუნე დღის სინათლე, მოგვეცე საშუალება ვხედავდეთ თვალებით და დღის სინათლეზე თუნდაც დაგვლუპე, როცა ჩვენს დაღუპვას შენ მოისურვებო“¹.

პომპროსის „ილიადადან“ ამ ადგილის ცატირების შემდეგ, ლონგინი

შენიშნავს, რომ ეს არის კემპროტიად აიაქსისათვის დამახასიათებელი ვენება — ზევსს ევედრება პომპროსის შენარჩუნებას, — ასეთი თხოვნა გმირისათვის დამამკირებელი იქნებოდა, — არამედ, იმას, რომ წყევლიადში რაკი თავისი მამაკობით ვერავითარ კეთილშობილურ საქმეს ვერ ჩაიდენს, აღშფოთებულია ბრძოლის დაყოვნებით და ზევსს თხოვს მალე დაგვიბრუნე სინათლე, რათა საშუალება მოგვეცეს თუნდაც დავილუპოთ, მაგრამ გმირისათვის დირსული სიკვდილითო. ეტყობა ამალღებულის ეს მაგალითი შილერმა თავის წერილში — „კალი, ანუ სილამაზის შესახებ“ ლონგინიდან აღიღო, და „წყევლიადი“ განსაზღვრა, როგორც საშიში, რომელიც სწორედ ამიტომ „სასარგებლოა ამალღებულისათვის“¹.

დანარჩენ მაგალითებს აღარ მოვიტანთ, ვინაიდან ლონგინი შემდეგ თვითონვე გადადის პომპროსის ეპოსის დახასიათებაზე. მის მიერ აღნიშნული „ილიადასა“ და „ოდისეას“ ზოგადი ნიშნები იმდენად საყურადღებოა, რომ არ გვინდა გვერდი ავუაროთ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ საკითხის მნიშვნელობას, რასაც დღემდე პრობლემურება არ დაუკარგავს.

ლონგინისათვის სრულიად უდავოა, რომ „ოდისეა“ მოწმობს მოხუცებაში დიდი გენიის სიყვარულს თხოვრისადმი; ნაწარმოები დაწერილია „ილიადას“ შემდეგ, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს მასში მოხსენიება ისეთი ამბებისა, რაც თან მოჰყავს „ილიადაში“ აღწერილ უბედურებათ, როგორც ტროადის ომის ეპიზოდებს. მაგრამ ყველაზე მეტად ამას გვიჩვენებს თვით ოდისეისი, როცა იგი დასტურის მის მიერვე გადატანილ უბედურებებს, რაც „ოდისეაშია“ აღწერილი. ამიტომ, „ოდისეა“ სხვა არაფერია, თუ არ „ილიადას“ დასასრული. „ილიადას“ აღსავსეა მოქმედებითა და

¹ ეს საკითხი უფრო დაწერილებით განხილულია წიგნში: გორგი ჯიბლაძე, ზელოვნება და სინამდვილე, ტ. I, თავი I.

² ამალღებულის ეს მაგალითი შილერის მიხედვით მოტანილია ჩვენს წიგნში: „ზელოვნება და სინამდვილე“, ტ. I, გვ. 546.

¹ Ф. Шиллер, Статьи по эстетике, 1935 г., стр. 156; О высоком, стр. 40—42.

ძალით, იმიტომ, რომ დაწერილია ჰომეროსის ჰაბუკობის წლებში: „ოდისეა“ ვითქმის მთლიანად შედგება თხრობათაგან, რაც მოხუცებულობისთვის არის დამახასიათებელი. „ოდისეაში“ შეიძლება ჰომეროსი შევადაროთ ჩამავალ მზეს, რომელიც, მართალია, ძლიერად არ აშუქებს, მაგრამ არ კარგავს თავის სიდიადეს. „ოდისეაში“ იგი ლაპარაკობს უკვე არა იმ ტონით, როგორც „ილიადაში“; იქ უკვე აღარ არის ის ყველგან თანაბრად ამ აღლებული, ის შეუწყვეტელი ღვრა ერთმანეთზე მიყოლებული ვნებებისა, ის სიმსუბუქე და ძალა მოქმედებისათვის დამახასიათებელი, და ის გამოსახულებანი, რომლებიც თვით ქეშმარიტებაზეა დაფუძნებული. ეს არის ჰომეროსის დიდი სულის უკუმოქცევა, რომელიც მსგავსად იმისა, რომ ნაპირთან გადმოღვრის შემდეგ თავის ოკეანეს უბრუნდება, ყველგან იკარგება ზღაპრულსა და წარმოუდგენელ უაქციებში.

მაგრამ ლონგინი არ იფიქრებს, რომ „ოდისეაში“ არის უმშვენიერესი ადგილები, როგორც, მაგალითად, ქარიზხლის აღწერა, მოთხრობანი ციკლოზზე და სხვ. უწოდებს რა ამ ქმნილებას მოხუცებულობის დროინდელ ნაწარმოებს, ლონგინი გულისხმობს ჰომეროსის მოხუცებულობას — გენიოსის მოხუცებულობას და არა ჩვეულებრივი მწერლისას. მისთვის სრულიად აშკარაა, რომ „ოდისეაში“ ყველგან მეტია თხრობა, ვიდრე მოქმედება. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ ზოგჯერ ყველაზე დიდი გონების მქონე ადამიანებს, თავიანთი ცხოვრების მიწურულში, უყვართ უქმი ლაპარაკი. მაგალითებად დასახელებულია „ოდისეაში“ ის, რასაც ჰომეროსი ლაპარაკობს ქართა შესახებ, ოდისევსის მეგობრებზე, რომლებიც ცირცკამ, ოდისევსზე შეყვარებულმა, ღორებად გადააქცია, ზოილი რომ მტირალ გოჭებს უწოდებს. გარდა ამისა, ლონგინს თავისი დებულების დამამ-

ტიციებელ მაგალითებად მიაჩნია ის, რასაც ჰომეროსი ამბობს მტირალეებზე, რომლებიც იუპიტერს ჰყვებიან, როგორც თავის ბახალას; ოდისევსზე, რომელსაც, გემის დაღუპვის შემდეგ, ათი დღის განმავლობაში არაფერი უჭამია, და ყველა უაზრობა, რაც ჰომეროსის მიერ მოთხრობილია პენელოპას საქმროების ცემის შესახებ, ლონგინი რომ ზევისის სიზმრებად იხსენიებს. ყოველივე ამის შემდეგ, მას გამოჰყავს დასკვნა, რომ დიდი პოეტები და მწერლები, როცა მათი ვნებები სუსტდება, ჩვეულებრივად მიაშურებენ ხოლმე ხასიათებს, ზნეჩვეულებებს. ამასვე აკეთებს ჰომეროსი, როცა იღწერს, თუ როგორ ცხოვრებას ეწეოდნენ პენელოპას — ოდისევსის უერთგულესი მეუღლის საქმროები, თვით ოდისევსის სახლში. ლონგინს ეს მიაჩნია კომედია, რომელშიაც ადამიანთა განსხვავებული ხასიათები იხატება.

მთელი ეს მსჯელობა ნათლად მოწმობს, რომ ლონგინს ხელოვნების უმაღლეს კანონად მოქმედების ჩვენება მიაჩნია და არა თხრობა. ახალ საუკუნეებში ეს აზრი, როგორც მიუფითით. ლესინგმა გაიმეორა და სათანადოდ დაასაბუთა კიდევ „ლაოკონში“. არანაკლებ მნიშვნელოვანია ლონგინის მიერ მოცემული კომედიის, როგორც განსხვავებული ხასიათების გამოხატვის, განსაზღვრა. ამ საკითხს ჩვენ დაწერილებით შევებებით სხვა ადგილას, სადაც კომიკურის შესახებ ვილაპარაკებთ. ახლა კი ისევ ამ აღლებულის ლონგინისეულ ანალიზს უნდა მივუბრუნდეთ:

ლონგინს მიაჩნია, რომ ამ აღლებულს ჰქმნიან ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძლიერი გარემოებანი. ეს კარგად იცოდა უძველესმა ბერძენმა პოეტისამ საფომს, რომლის ერთი ლექსი — „ღმერთებს ისა ჰგავს...“ ლონგინს ვრცლად აქვს მოტანილი. ამ ლექსში, ლონგინის აზრით ამ აღლებული შექმნილია ყველაზე



ძლიერ გარემოებათა შერჩევითა და ერთმანეთთან ოსტატური შეკავშირებით. ჰომეროსიც ასე იქცევა, როცა ქაიროზხალს აღწერს, გამოარჩევს ყველაფერ იმას, რაც მასში უსაშინელესია.¹ სწორედ ეს საშინელი მიაჩნია ლონგინს ამალღებულის განუყრელ ნაწილად და ჰომეროსთან ეგვლება მისი ყველაზე საუკეთესო ილუსტრაციები:² საშიშროება, ტანჯვა, წამება. ყველაფერი ეს, ერთმანეთთან დაკავშირებული, ამალღებულის სახეს ჰქმნის, მაგრამ, ჩვენის აზრით, არა საერთო, ზოგად სახეს, არამედ, ამალღებულის გარკვეულ გვარს, რომელიც მარტოდენ ამ ულემენტებისაგან შედგება.

მაგრამ ეს არ არის ამალღებული სიტყვის ამომწურავი დახასიათება. უკვე მითითებულ სრულყოფილებათა გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია გაძლიერება, რომელიც თანდათან იზრდება და ბოლოს დიადის სახეს ღებულობს. გაძლიერების ვხები და საშუალებანი ლონგინისათვის უთვალავია: საერთო რიტორიული ადგილის გამოყენება, დასკვნებისა და მიზეზების განმტკიცება, მოკმედების ან ვნებების ახსნა-განმარტება, მაგრამ აუცილებელია, თუ გვსურს თვითეული მათგანი სრულყოფილი გავხადოთ, ისინი ამალღებულს არ დავაშოროთ. მათთვის ამალღებულის წართმევა იგივე იქნება, რაც სხეულისათვის სულის მოშორება, ვინაიდან ამალღებულის წართმევით ისინი დაუყოვნებლივ სუსტდებიან და სიკალიერეს ჰქმნიან.

ლონგინი არ ეთანხმება იმ მწერლებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გაძლიერება ისეთი სიტყვაა, რომელიც საგნებს სიდიდეს აძლევს. ეს განმარტება იმიტომ არის მისაღები, რომ იგი შეიძლება საერთო აღმოჩნდეს როგორც ამალღებულის, ისე ვნებებისა

და ტროპებისათვის, ვინაიდან ისინიც, მათთვის დამახასიათებელი სახით, სიდიდეს აძლევენ საგნებს. მათ შორის განსხვავებას ლონგინი ხედავს იმაში, რომ მაღალი მდგომარეობს ამალღებულში, ხოლო გაძლიერება — მრავლობაშიც. პირველი ხშირად წარმოადგენს ერთ აზრს, ხოლო მეორე აუცილებლად გულისხმობს აზრების რაოდენობასა და სიუხვეს. იგი ზღვასა ჰგავს, რომელიც განუზომელ სიერცეში ყველგან იღვრება. საუკეთესო მაგალითია დემოსთენესა და ციცერონის ორატორული ხელოვნება. ლონგინი მათ ასე განსხვავებს: „დემოსთენეს ვხედავთ მეტწილად ციკაბო სიმალღუზე; ციცერონს აღიღებაში ჩვენი (ე. ი. დემოსთენე, — ვ. ჯ.), მისწრაფებით, სისწრაფით, სიმაგრითა და ძალით, თითქოს-და ყველაფერს რომ სწვავს ერთად და აფორიაქებს, ემსგავსება გრიგალს ანუ პერუნს: ციცერონი კი, ჩემის აზრით, როგორც დიდი ხანძარი, ყველგან ეღება და ვითარდება, არასოდეს არ სუსტდება რა ცეცხლში, სხადასხვა ადგილს მასში რომ გიზგიზებს, და თანდათან ძლიერდება. მაგრამ ამის შესახებ შენ შეგიძლია ჩემზე უკეთესად განსაჯო. დემოსთენეს ამალღებულობისა და დამახულობის წესიერი ადგილი საგნების გაძლიერებასა და ფიცხ ვნებებშია, და სადაც საჭიროა სავსებით განაკვიფრო მსმენელი. აღიღება კი სწორედ იქ არის, სადაც საჭიროა ჩასძირო ვინაიდან ის წესიერია ზოგად ადგილებში. მეტწილად დასკვნებში, გადახივეებში, ყველა განმმარტებელ და დამამტკიცებელ ადგილებში, აგრეთვე მოთხრობებისას, წარმართულ მსჯელობათა დროს და თხულებათა მრავალ სხვა დარგში“¹.

ამალღებულზე მსჯელობის დროს წარსულის ეს გახსენება, შედარებები და პარალელები, მომდევნო თავში კი პლატონის, როგორც ამალღებულის დახასიათება, ეტყობა ლონგინს იმი-

¹ О высоком, стр. 50.

² მოტიანილი აქვს ჰომეროსის მიერ აღწერილი ქაიროზლიან ზღვაზე ოდისეისს ხომალდის ტრაგიკული აღსასრულის სურათი.

სათვის დასჭირდა, რომ წამოეყენებინა საკვლევე ძირითადი ესთეტიკური კატეგორიის მიღწევის კიდევ ერთი გზა: ჩვენამდე მცხოვრები დიდი მწერლების, დიდი პოეტებისადმი მიბაძვისა და მათთან გაჯიბრების გზა. სრულიად ბუნებრივია, თუ ძველი მწერლების ჩინებული სილამაზით შთაგონებული ხდებიან მათი მიმბაძველები. **პოეტროსი ბაძაძე** დენს არამართო სტილიტიორე და არქილოქე, არამედ, ყველაზე მეტად **პლატონი**, რომელმაც ამ უდიდესი პოეტიდან გადმოიღო თავისი აზრები, როგორც ცოცხალი წყაროდან, საიდანაც ურიცხვი ნაკადები მოედინებოდა¹. კონკრეტული მაგალითები რომლებიც პლატონის მიერ პომპროსის აზრების გამოყენებას დაადასტურებდნენ, ლონგინს არ მოჰყავს, ვინაიდან ჩემზე ადრე მრავალი მათგანი ამ ონიმ მოიხანაო. ეს გახლავთ ის ამონისაკასა, რომელიც პლოტინისა და ლონგინის მსწავლებელი იყო, ნეოპლატონიკური ფილოსოფიის პირველი ფუძემდებელი. მაგრამ პომპროსისადმი ასეთი დამოკიდებულება არც არქილოქესა და არც პლატონის მხრივ ლონგინს არ მიაჩნია ქურდობად, პირიქით, კარგ მოვლენას უწოდებს. **პლატონი** იმიტომ კი არ მიმართავს **პომპროსს**, რომ მას უკვდავების გვირგვინი შეედავოს, არამედ, სულ სხვა მიზნით: ასეთი შეჯიბრება მოკვდავთათვის სასარგებლოა, როგორც **პესიოდე** ამბობს. ხოლო, თუ ამგვარ ბრძოლაში სახელოვან წინაპართაგან დამარცხებას იგემებ, სახელის გატეხვა როდი იქნება².

მაგრამ ეს მიბაძვა, ეს შეჯიბრება, მაშინაა გამართლებული, როცა ობიექტს ბრწყინვალე, ჩინებული მწერალი წარმოადგენს, და ჩვენ ვფიქრობთ: როგორ იტყოდა ამას **პომპროსი**, **პლატონი**, **დემოსთენე** ან **თუკიდოდე** თავის ისტორიულ თხზულებებში? კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ წარმოვიღ-

გენთ: როგორ მოგვისმენდნენ, რასაც ვამბობთ, **პომპროსი** ან **დემოსთენე** ან როგორ მოექცეოდნენ ჩვენს ნათქვამს? ასეთი თვითგამართლება საკუთარი ნაწარმოებისა ლონგინს ისევე საჭიროდ მიაჩნია, როგორც მომავლის სამსჯავროს გათვალისწინება, თუ როგორ შეაფასებს შენს თხზულებას შთამომავლობა. ვისაც ამისი ეშინია, მოსი სახელი ვერასოდეს ვერ მიაღწევს მოგვიანო შთამომავლობამდე¹.

გარდა იმ ნიშნებისა, რომლებიც ზევით უკვე მოხსენიებული იყო, სიტყვის დიდ მნიშვნელობას, მშვენიერებასა და ძალას ქმნიან **ოცნებანი** ან **ხილვანი**, რასაც, ლონგინის აღიარებით, ზოგიერთები გამოსახებას უწოდებენ. ხილვას ლონგინი უწოდებს ყოველგვარ აზრს, სიტყვას რომ ბაღებს და გონებებს როგორც არ უნდა იყოს სხით წარმოუდგება. მაგრამ ხილვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს რიტორიულ ხელოვნებასა და პოეზიაში. პირველის მიზანია საგნების ნათლად წარმოდგენა და აღწერა, ხოლო მეორის — განცვიფრება. ორივეს ის საერთო აქვს, რომ მსმენელის სულს აღვლევებენ. **ევრიპიდეს** ყველაზე უკეთ ეგებებოდა ხილვა გადაექცია ამ აღლებულ და ტრაგიკულ მოვლენად. ეს ახასიათებდა **პომპროსს**, **ესქილეს**, **სოფოკლეს**, **სიმონიდეს**. მაგრამ ლექსალური ხილვანი ყოველგვარ აღბათობას სჭარბობენ, ეს მათი თვისებაა, მაშინ, როცა რიტორიულთა სილამაზება საგნები ისე წარმოგვიდგინონ, როგორც იყვნენ და ნამდვილად რა მდგომარეობაშიც არიან. იმიტომ **პოეტური** და **რიტორიული** ხილვის აღრევა არ შეიძლება, როგორც ამას ჩვენი მაღალფარდოვანი ორატორები სჩადიანო, — შენიშნავს ლონგინი². აქაც ის ამკლავებს კრიტიკულ დამოკიდებულებას თავისი თანამედროვეობისადმი, როგორც ეს

¹ იქვე, გვ. 64.

² О высоком, стр. 66.

¹ იქვე, გვ. 68-70.

² О высоком, стр. 78.

ნათლად ჩანდა მის პასუხში გენიალური მწერლების ნაკლებობის შესახებ.

ამის შემდეგ ლონგინი იწყებს ფიგურების, როგორც ამალღაპლის არა უმნიშვნელო ნაწილის ანალიზს, თან მიუთითებს, რომ ამ როლს ისინი მხოლოდ მაშინ ასრულებენ, თუ კარგად არიან გამოყენებულნი. აქაც მთლიანად ორატორული ხელოვნების სფეროშია გადატანილი ფიგურების, როგორც ამალღაპლის ნაწილების, განხილვა. მაგრამ, მიუხედავად განცხადებისა, რომ სიტყვაში შემავალი ყველა ფიგურის გამოყვევა არამართოდ, არამედ დაუსრულებელ შრომას მოითხოვდაო, ეს თავი მაინც სუსტ შთაბეჭდილებას ტოვებს. განმარტებული არ არის თვით ფიგურების არსება, თუმცა დემოსთენეს დანაშაულები ერთი მაგალითით ვასაგები ხდება, რომ ლონგინს მხედველობაში აქვს სახეობრივი ფიგურალური გამოთქმის მნიშვნელობა სიტყვაში ამალღაპლის მისაღწევად. შედარებით უფრო კონკრეტულია აბოსტროფას, როგორც მიმართვის ფორმის, ამ შემთხვევაში ფიცის ფორმის დახასიათება, როცა მეტისმეტად მაღალს, ვნებას, აღწევენ ამ გზით—ერთი ფიგურალური გამოთქმით. ეს ყველა მსმენელს ერთბაშად იზიდავს, როგორც დემოსთენემ მოახერხა ელადის მამაც დამცველთა მიმხრობა ფიცით: „არა, ათენელებო, თქვენ შეცდომა არ ჩაგიდენიათ; ვფიცავ იმ ადამიანებს, რომლებმაც საშიშროებაში ჩაიგდეს თავი მართონის ველებზე“¹. ამ ფიცით დემოსთენემ, შენიშნავს ლონგინი, გააღმერთა ელადის დამცველთა წინაბრები და ისინი წარმოადგინა, როგორც ღმერთები, რომლებითაც ლოცულობენ. მიღწეულ იქნა ამალღაპლიცა და ვნებაც, რამაც ათენელებს, გამხნეებულთ ამ ქებით, რწმენა შესძინა, რომ მათ შეუძლიათ არანაკლებად რამა-

ყონ ფილიპესთან უბედური ომით, ვიდრე მართონსა და სალამინში სახელგანთქმული გამარჯვებებდნენ. სიტყვიდან ცნობილია, რომ ანტიმაკედონური პარტიის მეთაურმა დემოსთენემ (384-322) არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მაკედონური პარტიის ხელმძღვანელ ესქინეზე, ხოლო ჩვენს ერამდე 338 წელს ათენელების მიერ განცდილი დამარცხება მაკედონელებთან ბრძოლაში მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, მაინც ვერ უცვლის მრწამს დემოსთენეს და იგი ბოლომდე რჩება ანტიმაკედონური იდეოლოგიის შეუღოვარ დამცველად. უთუოდ ეს შინაგანი სიმართლეს აძლევდა ძალას დემოსთენეს თავისი ბრწყინვალე სიტყვები წარმოეთქვა ისე, რომ მსმენელთა გული ერთბაშად მოეგო. ამ სიტყვებში იგი ხშირად იყენებდა ფიგურებს და სახეობრივი გამოთქმებით დიდ წარმატებას აღწევდა.

სახეობრივი, ფიგურალური გამოთქმა და ამალღაპელი ერთმანეთს უწყობენ ხელს, ერთმანეთს ესმარებიან. სახელდობრ, თუ სად და როგორ — განმარტებულია ტრაქტატის მეჩვიდმეტე თავში, რომელშიაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ფიგურები როგორღაც ბუნებრივი სახით ემსახურებიან ამალღაპელს საშუალებად, ამგვარადვე ამალღაპელიც განმაცვიფრებლად ესმარება ფიგურებს“¹. მაგრამ ლონგინი ფიქრობს, რომ აქ საჭიროა რიგი მომენტის გათვალისწინება. მაგალითად, ცნობილია, რომ სიტყვაში ფიგურების გამოყენება ექვს ბაღებს—ხომ არ არის იგი სიტყუე, ვერაგობა და მოტყუება? უფრო მეტად ეს მაშინ ხდება, როცა ლაპარაკი გიხდება მოსამართლეს წინაშე, რომელსაც ჩვენზე ძალაუფლება გააჩნია, განსაკუთრებით კი ტირანების, მეფეებისა და უმაღლესი თანამდებობის მქონე უფროსების წინაშე. მოსამართლე აღმფოთებაში მოდის, როცა რომელიმე ცუდი ორატორი განიზრახავს მის

¹ იქვე, გვ. 82-84.

¹ O високом, стр. 90.

მოტყუებას, როგორც სულელი ბავშვი-
სას, არა ოსტატური. მოუხერხებელი
ფიგურებით. ზოგჯერ კი, მიიჩნევს რა
ასეთ ფანდს მისდამი სიძულვილად, ისე
განრისხდება კიდევ, რომ თუ რისხვისა-
გან თავს შეიკავებს, ორატორის რწმენი-
სადმი მაინც სრულ ზიზღსა გრძნობს.
ამიტომ, ფიგურა მხოლოდ მაშინ არის
კარგი, როცა შეუმჩნეველია, რომ იგი
ფიგურას წარმოადგენს¹. არავითარი
ეჭვი არ არის, რომ ლონგინი აქ გული-
სხმობს ფიგურის ბუნებრივობას
და სიტყვაში მის ასევე ბუნებრივ
გამოყენებას, ორგანიულ კავშირს აზ-
რის ან მტკიცების მთელ სულთან, რო-
ცა იგი ცალკე გამოყოფილი კი არ არის,
არამედ, ჩაქსოვილია სიტყვის ანსამბ-
ლში, როგორც მისი არსებითი, გამოურ-
ჩეველი ნაწილი. მხოლოდ მაშინ არის
იგი ამ ადლებული და გრძნობ-
ბიერი, განმაცვიფრებელ საშუალებ-
ად ემსახურება რა ეჭვის საწინააღმდე-
გო მოქმედებას, რასაც ფიგურები იწ-
ვევენ. ხოლო როცა ამ ხერხს გამოვიყუ-
ნებთ (ე. ი. ფიგურას მივეცმთ ისეთ
სახეს, რომ იგი თავის თავს ამკარად ან
უხეშად არ გაამკლავებს), მაშინ სი-
ლამაზესა და სიდიადეში ფი-
გურა შეუმჩნეველი იქნება და ყოველ-
გვარ ეჭვსაც თავიდან აიცილენს².

ლონგინს აქვე მოჰყავს შემდეგი პა-
რალელი, შედარება: როგორც პატარა
მნათობები, მზით გაბრწყინებულნი,
ინრდილებიან, ისე ყველგან გადმოღვ-
რილი სიტყვის დიდებულება აბნელებს
რიტორიკულ სიბრძნეს. იგივე ხდება
ფერწერაში: თუმცა სინათლე და ჩრდი-
ლი საღებავებში ერთმანეთს შორის აბ-
ლოს არიან ერთ ზედაპირზე, მაგრამ სი-
ნათლე პირველად ხედება თვალს და
არა მარტო ამხელს თავის თავს სურა-
თიდან, არამედ, გვეჩვენება გაცილებით
უფრო ახლოსაც, — სწორედ ასევე,
გრძნობიერი და ამ ადლებული
სიტყვაში, როგორც ბუნებრივი

რადაც საშუალებით, ისე საკუთარი
ბრწყინვალეობითაც, ახლოს³ მნათობს. რა
ჩვენს სულზეთან, ყოველთვის ფიგურ-
რებზე უფრო ადრე ჩანან, აბნელებენ
მათ ხელოვნებას (ოსტატობას) და თით-
ქოსდა ჰხურავენ რომელიღაც ფარდით⁴.

ფიგურების მნიშვნელობა დიდია აგ-
რეთვე კითხვა-პასუხსა და უკავშირო
სიტყვებში. ლონგინის აზრით, ორატო-
რის სიტყვას არაფერი არ აძლევს ისეთ
სისწრაფესა და სიმსუბუქეს, როგორც
უკავშირო სიტყვებით აზრის გამოთქმა⁵.
კავშირებითი სიტყვები („და“, „რომ“,
„როგორც“ და ა. შ.) მართლაც ანელებ-
ენ აზრის მსვლელობას⁶. ლონგინს მაგა-
ლითები მოჰყავს როგორც ქსენოფონ-
ტეს, ისე ჰომეროსის თხზულებ-
ებიდან, თუმცა ილუსტრაციების გა-
რეშეც ეს საკვებით ნათელი იქნებოდა-
გარდა ამისა, ორატორის სიტყვას მეტ
დინამიურობას ანიჭებს ფიგურების
მოზღვაება, როცა ორი ან სამი ერთ-
დება და ერთმანეთზე მიყოლებით
სიტყვას აძლევს ძალას, დამარ-
წმუნებლობასა და სილამა-
ზეს. ამ დროს ხდება უკავშირო
სიტყვების შერევა ანაფორასა და
აღწერასთან, შემდეგ კი, იმავე
ფიგურების გაგრძელებისაგან სიტყვის
მისწრაფება რომ არ შეჩერდეს (ლონგი-
ნი აქ განმარტავს, რომ წესრიგი მშვი-
დი სულის საკადრისია, ხოლო ენებას,
რაც სხვა არაფერია, თუ არ სულიერი
მღელვარება, ის თვისება აქვს, რომ
მსმენელი აღაშფოთოს და შეწუხებამ-
დე მიიყვანოს), ორატორი მოულოდნე-
ლად გადადის სხვა უკავშირო სიტყვებ-
ზე და ეპანაფორებზე. ამით ის
არის მიღწეული, რომ ორატორის (მაგა-
ლითად დასახელებულია) დისთენე

¹ О высоком, стр. 92.

² იქვე, გვ. 96.

³ ლონგინი ცალკე (21-ე) თავს უძღვნის ამ
საკითხს, ამტკიცებს, რომ კავშირები ბორკავენ
ენებას, და როგორც მორბენალს შეთოვით
მისწრაფება ერთმევა, ენებაც ჰკარგავს მდინა-
რებში თავისუფლებას და იმ სისწრაფეს, რო-
მელიც მას შეიღლიდან ნასროლი ისრის მსგა-
ვსი უნდა ჰქონდეს.

¹ О высоком, стр. 90.

² იქვე, გვ. 90.

სიტყვაში წესრიგი შეიცავს უსწესრიგობას, და პირიქით, უსწესრიგობა — წესრიგს¹. მაგრამ ეს ისეთი ჰარმონიაა, რომ შეუდარებლად აძლიერებს ორატორის სიტყვის შთაბეჭდილებას.

ასეთივე როლს ასრულებენ იპერვატები ანუ გადასვლები, რომლებიც იმაში მდგომარეობენ, რომ ჩვეულებრივი წესის წინააღმდეგ ახდენენ სიტყვების ან აზრების გადასმას, ერთ სავანზე ლაპარაკის დაუმთავრებლად გადადიან მეორეზე, ისევე უბრუნდებიან პირველს, და ღელავენ რა ვნებით, და უღვრამელი ქარის მსგავსად, ვარდებიან ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ასე იქცევიან აგრეთვე ჩინებული მწერლები ვნებათა გამოხატვაში. და ლონგინი აყენებს დებულებას, რომ „ხელოვნება მაშინაა სრულყოფილი, როცა ბუნებრივი გვეჩვენება, და პირიქით, ბუნება მაშინაა ბედნიერი, როცა მასში ხელოვნება იმალება“².

ეს დებულება თითქმის უცვლელად გვხვდება იმანუილ კანტის „მსჯელობის ძალის კრიტიკაში“, რომელიც ჩვენ „ხელოვნება და სინამდვილის“ პირველ ტომში უკვე განხილული გვაქვს. კანტიც დაახლოებით ამასვე ამბობდა: „ბუნება მშვენიერია, თუ მას ამავე დროს აქვს ხელოვნების სახე; და ხელოვნება შეიძლება მშვენიერებად იქნეს წოდებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვესმის, რომ ის ხელოვნებაა, თუმცა ის ჩვენ გვაძლევს ბუნების შთაბეჭდილებას“³.

იპერვატების მაგალითები ლონგინს მოჰყავს ცნობილი ორატორების სიტყვებიდან და ისტორიკოსების შრომებიდან (თუკილიდე, დემოსთენე და სხვ.) ნაჩვენებია გრძელი იპერვატებიც, გარ-

ჩეულია იპერვატების სახეები და რაგორი შეიძლება ყოფილაყენენისორი ჩვეულებრივ მდგომარეობაში ორატორი მისთვის საჭირო იპერვატებად არ გადააქცევდა.

ლონგინი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ანტიმეტავოლებსა და კლიმაქსებს (აღსვლებს), რომლებიც, მისი აზრით, ძალიან უწყობენ ხელს სიტყვის მორთულობას, ამალღებულისა და ვნების მიღწევას სიტყვაში. მაგალითები აქაც ანტიკური მწერლების თხზულებებიდან არის მოტანილი (პლატონი, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“) და აღნიშნულია პლეონაზმიც (ზედმეტობა, მრავალსიტყვაობა). მაგრამ არამართო მრავლობითი ფიგურები, არამედ, ზოგჯერ მხოლოდითი რიცხვიც ემსახურება სიტყვის ამალღებულობას. ილუსტრაციად ისევ დემოსთენეა გამოყენებული. მოტანილია ფრინიქეს მაგალითი: როცა ფრინიქე გამოჩნდა თავისი ტრაგედიით „ქალაქ მილეთის აღება“, მთელი თეატრი ცრემლს ღვრიდა, ვინაიდან მრავალი სავნის შეერთებას ერთში უფრო მეტად ეძლევა სხეულის სახე. ამგვარად შეიძლება მრავალფიგურაინის ერთამდე დაყვანითა და ერთის მრავალფიგურაინად გადაქცევით მიღწეულ იქნას სიტყვის მორთულობა, ამალღებულობა და ვნება.

ამალღებულს ჰქმნის აგრეთვე წარსულ მოქმედებათა ისე გადმოცემა, როგორც ახლანდელის ან ახლა რომ ხდება. ქსენოფონტე და თუკიდოდე, მიუთითებს ლონგინი, ამ წესს ხშირად იყენებდნენ. გარდა ამისა, პირთა შეცვლას შეუძლია გადმოიტანოს მოქმედება აწმყოში და მსმენელს წარმოადგენინოს, რომ იგი თვით არის მოქცეული განსაცდელის შუაგულში. პირთა ეს ცვლა გულისხმობს წარსული მოქმედების ისე მოთხრობას, რომ „ისინი“ გადაიტანო „შენზე“, რათა ძლიერად იმოქმედო თვით მსმენელის ყურადღებასა, ფსიქიკასა და ნებისყოფაზე. ყოველშემთხვევაში, ჩვენ ასე

¹ О высоком, стр. 98 — 100.

² О высоком, стр. 104. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

³ И. Кант, Критика способности суждения, 1898 г., стр. 176. ხაზი ჩვენია, — გ. ჯ.

გვესმის ლონგინი, რაკი თვითონვე იძლევა შემდეგ დასკვნას: „ყველა ასეთი გამოთქმა, მიმართვა თვით პირებისადმი, აყენებენ მსმენელს თვით ამ მოქმედებაში, მაშინაც კი, როცა ელაპარაკები თითქოსდა არა ყველას, არამედ მხოლოდ ერთ პირს“¹.

ასევე შეიძლება ერთი პირიდან გადახედვით მეორეზე, როგორც მაგალითად, მწერალი თავის თავს დააყენებს ხოლმე მოქმედი გმირის ადგილზე. ჰომეროსთან მსგავსი შემთხვევები ძალიან ხშირია, რითაც პოეტი აღწევს ენების გაძლიერებას. ერთი პირიდან მეორეზე გადასვლა ამოკლებს დროს, აჩქარებს მოქმედებას (თხრობას). დემოსთენეც ასე იქცევა, როცა სიტყვას ამბობს არისტოქიტონზე, „ამ საზოგადო და უსირცხვილო ადაშიანზე“. ჰომეროსიც ამ წესით აღაპარაკებს პენელოპას, როცა მოამბებს მიმართავს თავისი „სასტიკი საქმროების“ შესახებ, უსურვებს მათ, რომ ეს იყოს უკანასკნელი დროსტარება და ღირსეულ მეუღლეს — ოდისეესს ღვთაებრივს უწოდებს.

სიტყვის ამაღლებულობას ქმნის აგრეთვე პერიფრაზა, რასაც ლონგინი მუსიკაში მთავარ ბგერას ადარებს², მით უფრო მაშინ, როცა პერიფრაზაში არაფერი არ არის გადაჭარბებული და ყველაფერი სრულ თანხმობაშია. პლატონი ხშირად მიმართავს პერიფრაზებს, მაგალითად, სიკვდილის ისტენიებს, როგორც საბედისწერო გზას. ქსენოფონტეც, ნაცვლად სიტყვებისა — „გსურთ შრომა“, ხმარობს — „თვლიდეთ შრომას ბელადად სასიამოვნო ცხოვრებისათვის“³. პერიფრაზები სიტყვას აძლევენ დიდებულების იერს, ქმნიან ამაღლებულისათვის საჭირო მონაცემებს.

მაგრამ თუ პერიფრაზა არაზომიერია, მაშინ ის შინაგანად ცარიელი და ფუჭ-

სავატური ხდება. ამიტომ ზომიერება, მოფიქრება, ~~მსმენლის~~ ~~ლობა~~ აუცილებლად საჭიროა მერიტურაზების ხმარების დროს.

აქედან ლონგინთან ერთად უნდა გადავიდეთ სიტყვების შერჩევის მნიშვნელობაზე, ვინაიდან ამაღლებული ხუნებას ორატორულ ხელოვნებაში არაჩვეულებრივად გამოაჩენს ხოლმე სწორედ მისი ოსტატური გამოყენება. ლონგინს ზედმეტადაც კი მიაჩნია თავის შეგობარს განუმარტოს, თუ რასაოცრად ადევლებს ხოლმე და აჯადოებს მსმენელს „საკუთარი, დიდებული სიტყვების შერჩევას“. ყველა ორატორი და მწერალი ყოველმხრივ ცდილობს გამოიყენოს ეს საშუალება, რომელიც სიტყვას აძლევს მშვენიერ სურათოვნებას, დიდებულებას, სილამაზეს, სინათლეს, დიდ მნიშვნელობას, ძალას, სიმაგრეს და ყოველგვარ სხვა მორთულობას, თითქოსდა საგნებშიათვისებს რაღაც სულსა და ხმას. შერჩეული სიტყვები ლონგინისათვის „ჩვენი აზრების საკუთარი სინათლის ქეშმარიტად დედაარსია“¹. მაგრამ მათი მნიშვნელობა და მდიდრულობა ყველგან როდია სასარგებლო. მდებარე გვირის საგანი თუ დიდებულო და ფრიალმნიშვნელოვანი სიტყვებით გამოვხატეთ, ლონგინის აზრით, ეს იგავე იქნება, რომ „დიდი ტრაგიკული ნიღაბი ბავშვს გავუქუთოთ“.

მაგრამ ლონგინი ამავე დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მდებარე სიტყვებს, იდიოტიზმებს, ეკამათბაცეცილს, რომელსაც ეტყობა, მათი როლი დაუმცირებია, და მიაჩნია, რომ „ზოგჯერ მდებარე სიტყვა (იდიოტიზმი) უფრო ძლიერად გამოხატავს აზრს, ვიდრე ყოველგვარი სხვა მორთულობა“. მაგალითები მოტანილია ისევ ანტიკური მწერლების (პოეტი ანაკრეონტი, ისტორიკოსი ჰეროდოტე და სხვ.) თხზულებებიდან. ლონგი-

¹ О високом, стр. 118.

² О високом, стр. 124.

³ იქვე, გვ. 124-126.

¹ О високом, стр. 128.



ნი მეტაფორების მრავლობის საკითხშიაც ეყამათება ცეცილს, რომელსაც გაუზიარებია შეხედულება, რომ ერთი საგნის გამოსახატავად საკმარისი იყო არაუმეტეს ორისა, ხოლო ბევრი — სამი მეტაფორა. დემოსტენე ამ მხრივ ნიმუშს წარმოადგენს. მაგრამ ლონგინს მიაჩნია, რომ მეტაფორები იხმარება იქ, სადაც ვნებანი ნაკადის სისწრაფით მიედინებიან და მათი სიმრავლე აუცილებლობის ძალით გვიზიდავენ. ლონგინი იზიარებს არისტოტელესა და თეოფრასტეს მოსახრებას, რომ გაბედულ მეტაფორებს არბილებენ ისეთი გამოთქმები, როგორცაა: თუ შეიძლება ასე ეთქვას, თუ გავბედავ ასე ვთქვა, როგორ ვთქვა და ა. შ., ვინაიდან კარგი მოლაპარაკე ჰკურნავს სიმამაცეს. მაგრამ ლონგინს ფიგურების შესახებ უფრო ადრე ნათქვამი მიაჩნია განსაკუთრებულ და საუკეთესო საშუალებად. საერთო ადგილებსა და აღწერებში არაფერი ისე ნათლად არ გამოიხატება, როგორც ტროპების (მეტაფორა, ალეგორია, ჰიპერბოლა, მეტონიმია, სინექდოქე და სხვ.) ხშირი და ხანგრძლივი ხმარებით. საუკეთესო მაგალითებს ამ მხრივ გვაძლევენ ქსენოფონტე და პლატონი, რომლებიც ძალიან ხშირად მიმართავენ ტროპებს. მეტაფორა, ტროპები საერთოდ, ორატორულ ხელოვნებაში ამაღლებულის მიღწევას ხელს უწყობენ და მათი სიმრავლე (ზომიერების დაცვით) უარსაყოფი კი არ არის, მისაღები და გამართლებულია.

მაგრამ რა არის უკეთესი — სრულყოფილი სისწორე ამაღლებულის გარეშე, თუ ამაღლებული ზოგიერთი არასრულყოფილებით?

ეს კითხვა დააყენა ლონგინმა და მის გადაწყვეტას ტრაქტატის მთელი ოცდამეცამეტე თავი მიუძღვნა, რომელშიაც საკითხი წყდება, პირველყოვლისა, პროზული და პოეტური თხზულებების მაგალითებზე. მთელი თავი იმის დამადასტურებელია, რომ

ლონგინი გვევლინება, პლატონისა და არისტოტელის შემადგენელი პოეტისა და პოეტისა-ლიცენსიანის მხარეზე დამცველად. მისთვის სრულიად უდავოა დებულება, რომელიც გენიალურსა და დიდს ნაკლოვანებათა გარეშე ვერ წარმოიდგენს. მეტისმეტად დიდი ჩვეულებრივად ექვემდებარება ნაკლოვანებებს, ხოლო ყველაფერში დიდი სიფრთხილე წვრილმანობად გვეჩვენება¹. დიდი გონების მქონე ადამიანებში, ისევე, როგორც დიდ სიმდიდრეში, უნდა იყოს ზოგიერთი დაუდევრობა. ლონგინს აუცილებლობადაც კი მიაჩნია, რომ დაბალი და საშუალო ნიჭი არასოდეს თავის თავს ხიფათს არ შეამთხვევს, სიმადლეზე არ აღის, ხშირ შემთხვევაში მისთვის უცხოა შეცოდებანი და უშიშროებაში იმყოფება. დიადი კი, თავისი სიდიადის გამო, იხრება დაცემისაკენ. ჰომეროსს ლონგინმა უპოვა, ისევე როგორც სხვა დიდ მწერლებს, საკმაოდ ბევრი ნაკლი, მაგრამ ისინი მიიჩნია არა შეცდომებად, არამედ, უნებლიე ცდომილებებად. ამიტომ დიად ნიჭს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერში სწორი არ იყო, საჭიროა „ყოველთვის უპირატესობა მივცეთ, თუ სხვა რამის გამო არა, ყოველშემთხვევაში, თვით მათი ამადლებული სულის გამო“. ამ ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, ლონგინი ერთმანეთს ადარებს ჰომეროსსა და აპოლონ როდოსელს. პირველს ნაკლოვანებები აქვს, მეორეს კი, რომელმაც „პოემა დაწერა არგონავტებზე“, „არავითარი მანკიერებანი არა აქვს“. მაგრამ განა ვინმე ირჩევდა აპოლონ როდოსელი ყოფილიყო და არა ჰომეროსი? ასევე, ერთაბნობაში დაწერა ლექსი „ირიგონი“ და მას არავითარი ნაკლი არა აქვს, მაგრამ განა იგი არქილოქეზე უფრო დიდი პოეტია? არქილოქე კი, რომელსაც ღვთაებრივი ნიჭი ჰქონდა, არავი-

¹ О высоком, стр. 142
² იქვე, გვ. 144.

თარ კანონს არ ექვემდებარებოდა და ბევრ რამეს აღწევდა ყოველგვარი წესრიგისა და დაზოგვის გარეშე. ღირიკულ პოეზიაშიც განა ვაკახილი დე პინდაროსზე უკეთესია? ტრაგედიებში განა ხიოსელი იონის სოფოკლეს უტოლდება? პირველნი ხომ წესიერულად, გაწყობით და მშვენივრად წერდნენ? და მაინც ხომ შეუძლებელია აღმოჩნდეს თუნდაც ერთი ჰეკატომყოფელი, რომელიც იონის ყველა ნაწარმოებს სოფოკლეს მართოდენ ოიდიპოსს არ ამჯობინებდა.

ანალოგიური სურათი გვაქვს ორატორულ ხელოვნებაში. შეადარეთ ერთმანეთს დემოსთენე და ჰიპერიდე. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ მწერლის ღირსებას შეაფასებენ თვისებათა რიცხვით და არა ჰეშმარტების მიხედვით, მაშინ ჰიპერიდე სჯობნის დემოსთენეს, — ამბობს ლონგინი, და შემდეგ ჩამოთვლის ჰიპერიდეს ღირსებებს. ჰიპერიდე უფრო მეტი ძლერადობა და მეტი სრულყოფილება აქვს, ვიდრე დემოსთენეს, თუმცა იგი, მცირედის გამოკლებით, ყველაფერში დემოსთენეს ბაძავს. იგი უფრო ტკბილია, თავაზიანი, კეთილშობილი, განმაცვიფრებელი ირონია აქვს, მისი ხუმრობანი ყოველთვის თვით საგნიდან გამომდინარეობენ, ბევრი აქვს კომიკური, ერთი სიტყვით, განუმეორებელ სიამოვნებას გვანიჭებს. ამავე დროს, ჰიპერიდე უხვია მოთხრობებში, ისე მოქნილია, რომ სულმოუთქმელად შეუძლია გადავიდეს ერთიდან მეორე საგანზე. დემოსთენე, პირიქით, უხვი არ არის, არც მოქნილია, ფუფუნების უნარი არ გააჩნია, და მოკლებულია ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა სრულყოფილ თვისებას. მაგრამ დემოსთენეს განა შეიძლება ჰიპერიდე შევადაროთ? ჰიპერიდეს სილამაზენი, რომლებიც მას საკმაოდ ბევრი აქვს, მთლიანად მოკლებულნი არიან დიდებულებას; ისინი და-

იბადნენ იმ გულიდან, რომელიც შთაგონების ცეცხლით არ არის გამთბარი. ამიტომ ისინი მოდუნებულნი, სუსტნი, ხლონი არიან და მსმენელში რაღაც სიცალიერეს სტოვებენ. ჰიპერიდეს კითხვის დროს არავინ შიშს არ განიცდის. დემოსთენე კი დებულობს დიდი გონების ტონს, რომელიც სრულქმნილია სათნოებითა და ამალბებულობით, იგი მიუწევდომელია და გეგონება მას ჰქონდეს ღვთაებისაგან ბოძებული ნიჭი, ვინაიდან შეუძლებელია მათ ადამიანური უწოდო¹.

ამგვარად, ლონგინი დასაბუთებულად მიიჩნევს იმ დებულებას, რომ დიდ მწერლებს, დიდ ორატორებს, მართალია, ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ მათ ვერ შეედრებიან საშუალო ნიჭის მქონე ადამიანები, რომლებსაც თავიანთ ნაწარმოებებში ყველაფერი წესიერულად გაუკეთებიათ. ნაკლი თითქმის არა აქვთ და სრულყოფილებას ამაღლებული ს, დიადის გარეშე აღწევენ. დიდ მწერლებში, საჭიროსა და სასარგებლოს გარდა, არის ამაღლებული, — ამბობს ლონგინი. — მართალია, ისინი დაშორებული არიან სრულყოფილ წესიერულობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათში არის რაღაც უკვდავი. დანარჩენი სრულყოფილებანი დამახასიათებელია ადამიანისათვის, ხოლო ამაღლებულს ავყავართ თითქმის ღვთაების სიდიდემდე². ლონგინი აქ აკეთებს ძლიან საჭირო შენიშვნას: წესიერულობა, რაც ჩვეულებრივი, საშუალო ნიჭის დამახასიათებელი ნიშანია, არ უნდა გავკიცხოთ. აქამდე კი ლონგინს მსჯელობა ისე მიჰყავდა, თითქოს სრულყოფილება რაღაც მანკიერებას უახლოვდებოდეს. ამ შენიშვნით კი იგი აზუსტებს თავის აზრს და უფრო მეტად უახლოვებს პოზიტიურ გაგებას.

რით გამოისყიდიან ხოლმე დიდი მწერლები თავინთ ნაკლოვანებებს

¹ O высоком, стр. 148 — 152.

² იქვე, გვ. 156.

(შეცდომებს), რომლებიც ღონგინმა წინა მსჯელობაში აღნიშნა?

ერთადერთით — მხოლოდ მაღალი და დიადი აზრით. ამავდროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღონგინისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხსენებულ ნაქოთაგან ის არის, რომ თუ ვინმე ერთად შეკრიბავს ყველა ამ პოპეროსის, დემოსთენესს, პლატონისა და მათი მსგავსი დიდი მწერლების შეცოდებათ, ისინი არ შეადგენენ მათ მიერ დაწერილ უბრწყინვალეს თხზულებათა მეათასედ ნაწილსაც კი. ასე რომ, დიდი მწერლების შეცოდებანი, თუ ცთომილებანი, ისეთი უმნიშვნელო რამ არის, რასაც შეუძლებელია არსებითო, რაიმე სახის გადამწყვეტი ღირებულება მიეცეს. თვით მოშურნეობაც კი ვერ შეიძლება წარმატება ჰქონებოდა, თუ მათ პირველობას არ მისცემდა ყველა საუკუნეში. დღემდე ვერაფერი შეიძლო მათთვის წაერთმია ის ფასი, რაც ჩვენს დრომდე შეინარჩუნეს და, ალბათ, მომავალშიც შეინარჩუნებენ. ვინც ამბობს, შეცდომებიანი კოლოსი პოლიკლეტის მხედარზე უკეთესი არ არისო, ღონგინი მას შემდეგ პასუხს აძლევს: ხელოვნების ნაწარმოებებში უნდა გვანცვიფრებდეს სრულყოფილება საბოლოო დამუშავებაში, ხოლო ბუნების ნაწარმოებებში — სიდიადე. ბუნებამ ადამიანი დააჯილდოვა სიტყვით და ქანდაკებებშიც საჭიროა ადამიანთან მსგავსება, ხოლო სიტყვაში საჭიროა ის, რაც ადამიანურს აღემატება. ამიტომ უცთომილება უფრო მეტად ხელოვნების ღირსებას წარმოადგენს, ხოლო ამ აღებულში ნაირსახეობის დაცვა მაღალი სულის ღირსებაა. საჭიროა ხელოვნება ბუნებას ეხმარებოდეს, ვინაიდან მშვენიერი სრულყოფილება მათი ურთიერთ დახმარების შედეგია. აქედან სავსებით ნათელი ხდება, რომ ხელოვნებისა და ბუნების ურთიერთკავშირის აუცილებლობა, რაც ანტიკურმა საბერძნეთმა და რომმა

მთელ სისტემად აქცია, ხოლო შემდეგ რენესანსმა დოქტრინის საფუძველად აქცია, ღონგინს, როგორც ნათესავ ტონიკოსს, სავსებით მიღებული და გაზიარებული ჰქონდა.

უკვე აღნიშნულის გარდა, ამალღებულის შექმნას ხელს უწყობს სიტყვების თადარიგი, სიტყვების გარკვეული შეერთება, რაც ღონგინს, როგორც თავის მეგობარს მოაგონებს, განხილული ჰქონია ორს. თავის აღრიზდელს თხზულებაში, რომლებიც ჩვენამდე მოღწეული არ არის. განსხვავებით ამ თხზულებებისა, ღონგინს თავის ტრაქტატში საჭიროდ მიაჩნია კვლავ დაუბრუნდეს ზოგიერთ საკითხს, მათ შორის იმის ჩვენებას, რომ პარმონია არამარტო ბუნებრივად წარმოშობს ადამიანში რწმენასა და კმაყოფილებას, არამედ, ემსახურება კიდევ საკვირველი არაღადა სულისა და ვნების ამალღებას! სადაც პარმონიაა, იქ ამალღებულის პირობები ამიტომია, რომ არამარტო საღამური აღძრავს მსმენელში ზოგიერთ ვნებას; ყოველგვარი სხვა წკრიალნი, გამოცემულნი თუნდაც ბარბითთა (ებანთა) საშუალებით, თავისთავად რომ არაფერს ნიშნავენ, ხან ხმების ცვლით, ხან ურთიერთ ბრძოლით, ხან კიდევ სიმფონიის შერევით ხშირად წარმოშობენ საკვირველ მომხიბლველობას. მაგრამ ყოველივე ეს ღონგინს მიაჩნია ყალბ მიბაძვად დაჯერებისადმი, და არა ადამიანური ბუნების ნამდვილი მოქმედებებისადმი. ტრაქტატის სხვა ადგილზე ღონგინი კიდევ უფრო ამუქებს თავის ნეგატურ აზრს, ამტკიცებს, რომ უარესია, როცა სიმღერები, მათში ჩაქსოვილ აზრებს არიდებენ რა მსმენელებს, აიძულებენ გაერთონ ტონების სიამოვნებით. გამოდის, რომ სიმღერაში (გალობაში) მთავარია აზრი, თვით მუსიკალობას კი მეორეხარისხოვანი ადგილი მიეკუთვნება.

1 О высоком, стр. 166.

2 იქვე, გვ. 176.

მუსიკალური პარმონიის ასეთი კვალიფიკაცია, მაშინ, როცა სოკრატეცა და პლატონიც მუსიკას ღვთაებრივ ძალას ანიჭებდნენ, ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს ლონგინის ნეოპლატონიკოსობას ამ ტრაქტატში (აქ საერთოდ აღვილი არ არის ნახოთ არგუმენტები, რომლებიც, ზოგიერთი გამოხატვისის გარდა, ლონგინსა და პლატონს ერთმანეთს შეახვედრებდნენ, შესაძლოა ისინი ნეოპლატონიზმის ან ამონი საკასას მოძღვრებას სულ სხვადასხვანაირად — შესაძლებელია სრულიად საწინააღმდეგო კონცეფციით წარმოიდგენდნენ).

მაინც რატომ იქცევა ასე ლონგინი? რამდენადაც ჩვენ შეგვეძლო გაგვეგო, ალბათ, იმიტომ, რომ ღვთაებრივი გონება, დანაწევრებული გონებათა მრავლობად, რაც ნეოპლატონიზმისათვის არსებითია, როგორც პირველსაწყისი, მას აიძულებდა გონებიდან მომდინარე აზრი მიეჩნია უმაღლესად, ვიდრე გრძნობა, რომელსაც მარტოოდენ შეგრძნება შეუძლია და არა აზროვნება. თვით ლონგინი ამტკიცებს, რომ სიტყვების შეერთება, მისი პარმონია სმენასაც ფლობს და სულსაც, ჩვენში აღძრავს სახელთა, აზრთა, საგანთა, სილამაზეთა სხვადასხვა სახეებს, ამას ემატება კიდევ ორატორის ვნებანი, აზრთა სიდიადე. ეს აჯადოებს მთელ სულს, ატბობს მსმენელს, უმორჩილებს რაღაც სიამაყეს, სიდიადეს, ამადღებულსა და მასში მოთავსებულ ყოველგვარ სილამაზეს. ამ ქვეშარტებაში დაეჭვება ლონგინს უგუნურებად მიაჩნია, ვინაიდან იგი ცდით (პრაქტიკით) დამტკიცებულად არის აღიარებული.

სიტყვის ასეთ ამადღებულობას დიდად უწყობს ხელს ნაწილთა ერთობლივობა, ერთად თავმოყრა, სწორედ ისე, როგორც სხეულში ნაწილთა (ორგანოთა) შეერთება, რომლებიც, თუ ერთმანეთისაგან გამოყოფილი იქნებიან, მაშინ არც ერთ მათგანს არავითა-

რი მნიშვნელობა არ ექნება, ხოლო ყველა ერთად შეადგენენ სრულყოფილ სხეულს. ამგვარად, ფიქრობს ლონგინი, დიადი, თუ მისი ნაწილები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან, იშლება, ხოლო ამადღებულად მათთან ერთად იფანტება. და პირიქით, როცა ერთ სხეულში იქნება თავმოყრილი, ამავე დროს, პარმონიული კავშირით შეერთებული, მაშინ ეს ნაწილები ხდებიან ჩინებულნი. ამასვე ვხედავთ როგორც პროზაიკოსების, ისე პოეტების ნაწერებში. ის მწერლები, რომლებიც ბუნებით არ იყვნენ მაღალი სულით დაჯილდოებულნი და მოკლებულნი აღმოჩნდნენ ყოველგვარ სიდიადეს, თუმცა ხშირად იყენებდნენ საერთო-სახალხო, მდაბიო და რაიმე სილამაზეს მოკლებულ სიტყვებს, მარტოოდენ სიტყვების მწყობრი თადარიგით ახერხებდნენ მოგებებისათ წარჩინებულობისა და ამადღებულობის სახელი, აიცილნენ რა შეერქვათ მათთვის მდარე მწერალი. ლონგინი მაგალითად ასახელებს მწერალ ფილისტეს, ზოგაერთად აღვილას — არისტოფანეს, ბევრ აღვილას — ევრიპიდეს; საილუსტრაციოდ მოჰყავს ევრიპიდეს ჰერაკლეს, რომელიც თავისი შევილების დახოცვის შემდეგ ამბობს: „ბოროტებათგან შეივარყულამდე სავსე, რომ ახალათებისადგილები არ დამარჩნია“. ლონგინს ეს აზრი მიაჩნია ყველაზე უფრო მდაბიურად, მაგრამ ეთანხმება რა სიტყვათშედგენილობას, ხდება ამადღებულნი. თუ ამ გამოთქმას სხვანაირად დავლაგებთ, მაშინ დავინახავთ, რომ ევრიპიდეს უფრო ჩინებულია სიტყვათქმანდობაში, ვიდრე მათ აზრში. ლონგინი აქ მართალი არ არის თვით ევრიპიდეს მიმართ, მაგრამ აზრის ამადღებულობას რომ სიტყვების მწყობრი თადარიგი, შერჩევა, შეხამება, შეერთება, ვანლაგება აძლიერებს,

1 О высоком, стр. 174.

2 იქვე, გვ. 174.

ეს სრულიად უეჭველია. მართლაც, თუ ჩვენ სხვანაირად დავალაგებთ ევროპიდეს ზემოთმოტანილ სიტყვებს, აზრის ამალღებულობა ნამდვილად დაქვეითდება, უკვე ბევრს არაფერს გვეტყვის იგივე აზრის შემდგენაირად გამოთქმა: „მეტი ბოროტების ჩადენა არ შემოიძლია“. ეს ხომ იგივე აზრია, მაგრამ იმდენად ტრივიალური, რომ იგი უდიდესი ორატორის ზელშიაც მსმენელზე ვერაფერად გავლენას ვერ მოახდენს, რა თქმა უნდა, იმავე პირობებში და არა საერთოდ.

მაგრამ ამალღებულს არაფერი ისე არ ამდაბლებს, როგორც სიტყვების ნაწყვეტ-ნაწყვეტად და აჩქარებულად გაზომვა (მოზომვა). ამავე დროს, ამალღებულს ამცირებს გამოთქმის მეტისმეტი სიმოკლე. ლონგინი კიდევ უფრო აზუსტებს თავის აზრს, გვეუბნება, რომ იგი გულისხმობს სიტყვის არა კეთილგონიერ შემოკლებას, არამედ, მის საწინააღმდეგო სიპატარავეს და წვრილ ნაწილებად დაქუცმაცებას. ზედმეტი შეკუმშულობა აზრს ხელს უშლის, ხოლო კეთილგონიერი სიმოკლე — ხელს უწყობს. გაჭიანურებული სიტყვა, მეტისმეტი განფენილობის გამო, სულს ჰკარგავს¹. მდაბიურ სიტყვებს ასევე შეუძლიათ დიდებულება შეარცხინონ. შეიძლება აზრის მიხედვით ჩინებულად აღწერო რაიმე, მაგრამ თუ სიტყვა საგანს არ შეეფარდება, იგი დაამცირო.

ლონგინს მაგალითად მოჰყავს ჰეროდოტე, რომელმაც მშვენიერად აღწერა, აზრის მიხედვით, ჰარიშხალი ზღვაზე, მაგრამ ყველაფერი დაამცირა ერთი უმართებულოდ ნახშირი სიტყვით. ჰეროდოტეს გამოთქმა: „გემის დაღუპვით გაფანტულებს

უსიამოვნო ბოლო ეწიათ, ლონგინს არ მიაჩნია ამალღებულის შესაფერისად. განსაკუთრებით „უსიამოვნება“ რაიმე სახით შეეფერება ასეთ უბედურებას? ისეთი საშინელი განსაცდელი იყო, რომ „უსიამოვნება“ ოდნავაც ვერ უტოლდებოდა მთელ უბედურებას, რაც გემის დაღუპვით განწირულებს თავს დაატყდათ. ლონგინს ასევე სრულიად მიუღებლად მიაჩნია თეოპომპეს მიერ მშვენიერად აღწერილი სპარსეთის მეფის ეგვიპტეში ლაშქრობის ის ადგილი, სადაც ყველაფერი გაფუჭებულია რამდენიმე მდაბიური სიტყვის ხმარებით. აღწერა, მართლაც, მშვენიერია, მაგრამ მდიდრული საგნების, ვერცხლეულისა და ოქროულის გვერდით, ძვირფასეული ქვებისა, თვალისმოშვებულ არანაკების, ოქროქსოვილისა და სასმისების პარალელურად გადრეხისა და ტომრების მოხსენიება სანახაობას უსიამოვნო იერს, საზიზღარ სახეს აძლევს: შალაღიდან არ შეიძლება მდაბალ და საზიზღარ საგნებზე გადავიდეთ, თუ ამას უკიდურესი აუცილებლობა არ მოითხოვს². საქირთა სიტყვები შეესაბამებოდნენ ჩვენს მიერ აღწერილი საგნების მნიშვნელობას, რათა ამით მივბაძოთ ბუნებას, რომელმაც ადამიანის სხეულის აღნაგობაში სამარცხენო ნაწილები (ორგანოები) გარეთ კი არ გამოჰფინა, არამედ, რაინდენადაც შეიძლებოდა დაჰფარა, და როგორც ქსენოფონტე ამბობს, მათი არხები შეძლებისამებრ შორს გასწრა, მთელი ცხოველის სილამაზე რომ არ დაემახინჯებინა. ბუნების ეს ბუნებრივი წესი ამალღებულისათვის ლონგინს აუცილებლად მიაჩნია².

¹ იქვე, გვ. 184.

² იქვე, გვ. 184.

¹ О высоком, стр. 178.

მხატვრული სტილი როგორც ისტორიული მოვლენა*

სტილი ძალზე დიდ თეორიულ ინტერესს იწვევს თანამედროვე ესთეტიკურ აზროვნებაში. იგი თვალსაზრისთა სხვადასხვაობისა და ბრძოლის საგანს წარმოადგენს საკუთრივ მარქსისტულ ესთეტიკაშიც. არ გადაეჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ აქ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით სტილის თანამედროვე ანალიზსა და სწორ განსაზღვრას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მკვლევართა ზოგადი ესთეტიკური თვალსაზრისი სავსებით შეცნიერებულია და არავითარ დავას არ იწვევს. დამახასიათებელია, რომ აქ უმთავრესად აზრთა სხვადასხვაობის საგანს წარმოადგენს ის, თუ მხატვრული მოვლენების განვითარების რომელი მხარე შეადგენს სტილის სფეროს. ძირითადად ორი თვალსაზრისი უპირისპირდება ურთიერთს ამ საკითხის გაშუქებისას. ერთ მათგანს ყველაზე მკვეთრად გამოხატავს ი. ლ. შაცა. მისი განსაზღვრით, სტილი მხოლოდ ეპოქისეულ მოვლენას წარმოადგენს. იგი პირდაპირი გამოხატულებაა, ანარეკლია ეპოქის ესთეტიკური იდეალისა, მეტიც — ცხოვრების ეპოქისეული ინტერპრეტაციისა. ამრიგად, სტილი მას ესმის როგორც «Характерную для отдельных исторических периодов общность эстетических идеалов, общность интерпретации жизни»¹. ეს თვალსაზრისი რამდენიმედ მიიხედვით ენათესავება ვულგარულ და მექანიკურ შეხედულებებს, რადგან სტილის სუბიექტურ-ინდივიდუალური ბუნების სრული უარყოფა, უპირველეს ყოვლისა, ამ შეხედულებათა ნიშანდობლივ პრინციპს წარმოადგენს.

საწინააღმდეგო უკიდურესობით ხასიათდება მეორე თვალსაზრისი: იგი სტილს ხელოვანის მხოლოდ შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოხატულებად თვლის. მაგალითად, კ. სიმონოვი თავის მოხსენებაში საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე, სტილს არსებითად განიხილავს როგორც ინდივიდუალურ მოვლენას. მისი დასკვნით, «Каждая крупная творческая индивидуальность в литературе — это стиль»². ის ზოგადი საფუძველი კი, რომელიც მწერალთა გარკვეული ჯგუფის ერთიანობას განაპირობებს, არის შემოქმედების მეთოდი. ერთი სიტყვით, კ. სიმონოვისათვის სტილი და მეთოდი ურთიერთისაგან არსებითად განსხვავებული ბუნებით ხასიათდებიან; პირველი — კერძო, პიროვნული, სუბიექტური მოვლენაა, ხოლო მეორე — ეპოქისეული, ზოგადი (ცხადია, გარკვეული მიმართულების სფეროში).

ასეთივე თვალსაზრისის გვთავაზობს ვ. პეტელინიც. მისი განსაზღვრით, ეპოქისეულს წარმოადგენს მეთოდი, «Вбирающий в себе определенный тип художественного мышления, отношение человека к действительности, идеалы эпохи и т. д.» სტილი კი მხოლოდ ინდივიდუალურ სამყაროს გამოხატავს. «В стиле выявляется индивидуальность художника, его манера оформлять свои художественные идеалы в неповторимых образах, в сочетании красок и линий. Стиль может быть только индивидуальным»².

¹ К. Симонов, Проблема развития прозы, «Литерат. газета», 1954, стр. 18.

² В. В. Петелин, Метод, направление, стиль, изд. «Искусство», 1963, стр. 80.

* ვხვდებით შემოკლებით. რედ.

¹ И. Маца, К вопросу о стиле, журн. «Искусство», 1959, № 1, стр. 40.

სტილს მწერლის ინდივიდუალურ თვისებად მაშასადამე, მხოლოდ სუბიექტურ შემოქმედებით მოვლენად თვლის ლ. ტიმოფეევიც, სახელდობრ, იგი სტილს განიხილავს როგორც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ „ძირითად იდეურ-მხატვრულ თავისებურებათა მთლიანობას“, ანდა, როგორც „ფორმისა და შინაარსის მთლიანობას“. ზოგჯერ ეს გავება ძალზე არაზუსტი სახითაც აქვს ვაღმოცემული მკვლევარს. მაგალითად, ერთერთ შემთხვევაში ლ. ტიმოფეევი ასე განსაზღვრავს სტილს: «Стиль есть единство всех элементов произведения начиная с композиции целого и кончая отдельных эпитетом»¹. თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერი ეს არსებითად თვით მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს და არა საკუთრივ სტილს. მაგრამ, ამ უზუსტობის მიუხედავად, ლ. ტიმოფეევის სავსებით ნათლად აქვს მითითებული ის გარემოება, რომ სტილი მწერლის მხოლოდ სუბიექტურ შემოქმედებით ინდივიდუალობას გამოხატავს. «В стиле, пишет Иги, — перед нами то неповторимое, лично присущее писателю, что отличает его от других; в методе то наиболее общее, что сближает его с другими, близкими ему писателями»², ამიტომ სტილი დეკავშირებულია მწერლის საკუთრივ ინდივიდუალურ სამყაროსთან (თავისებურებასთან), ხოლო მეთოდი გაცილებით უფრო ფართო ასპარეზს უკავშირდება ლიტერატურული მიმართულების სახით.

რამდენიმედ თავისებურ, თუმცა არსებითად ერთგვარ შემარიგებელ — ექვლეტურ თვალსაზრისს ანვითარებს ა. ბუროვი სტატიაში «Что такое стиль?» იგი არსებით სხვაობას ხედავს სტილსა და მანერას შორის. სტილი, მისი განსაზღვრით, მოიცავს „უფრო ფართო ესთეტიკურ შინაარსს“, უფრო ზოგადს, ვიდრე მანერა. კერძოდ, სტილი წარმოადგენს ხელოვანის მიერ გამოხატულ იმ საერთოს, რაც ნიშანდობლივია, დამახასიათებელია მისი ეპოქის, ნაციისა და კლასის ადამიანებისათვის. ამიტომ

სტილი მეტ-ნაკლებად მყარი მთლიანობაა „შემოქმედების ფორმალური ნიშნებისა და ზერხებისა“, რომლებშიც ხდება სტიქიური ესთეტიკური გამოხატვა. მანერა კი არის „ინდივიდუალური სტილი ან ზერხები შემოქმედებისა, დამახასიათებელი მხოლოდ მოცემული ოსტატისათვის“¹. ამრიგად, ა. ბუროვი სტილის სფეროს აკავშირებს ობიექტურთან, მიმართულების დამახასიათებელ შემოქმედებით-ესთეტიკურ კრედოს გამოხატულებად თვლის მას, მაგრამ ი. მაცას თვალსაზრისს ემიჯნება იმით, რომ აღიარებს მხატვრული შემოქმედების ინდივიდუალურ-სუბიექტური ბუნების არსებობასაც, რომელსაც მანერას უწოდებს.

არსებითად ასეთივე მცდარ დასკვნამდე მიდის ი. რიკეინიც. ეს ავტორი ძირითადად უდავოდ სწორად მიუთითებს იმის შესახებ, რომ «Метод относится к стилю как процесс к результату»². ძირითადად იმიტომ, რომ, მისი დასკვნით, სტილისა და მეთოდის ეს დამოკიდებულება მათი ბუნების ყოველმხრივ ივივეობას ნიშნავს. ამიტომ მკვლევარს ინდივიდუალური ერთნაირ დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია როგორც სტილისათვის, ისე მეთოდისათვისაც. ამასთან, სტილიც და მეთოდიც მისთვის ორი სახით არსებობს: ერთი მხრივ, არსებობს „კონკრეტულ-ისტორიული მიმართულების მეთოდი“ და ასეთივე სტილი („მიმართულების სტილი“), ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეთოდი და ასეთივე სტილი („ინდივიდუალური სტილი“). აქ არსებითად ორი შეცდომაა დაშვებული: 1. მეთოდი მთლიანად მიმართულების სფეროს განეკუთვნება, ინდივიდუალურ შემოქმედებით ასპექტს იგი არ მოიცავს. 2. სტილი იმდენად მთლიანი

¹ «Вопросы литературы», 1962, № 11, стр. 94—96.

² И. Рыжкин, «Стиль и реализм», კრებ. «Вопросы эстетики», изд. «Искусство», 1958, стр. 254.

¹ Л. И. Тимофеев, Основы теории литературы, Москва, 1959, стр. 371.

² ივ. ბ. 273.

მოვლენა, იმდენად ორგანულად არის მასში შერწყმული ურთიერთთან ინდივიდუალური და ზოგადი (მეთოდისეული), რომ მისი ორი სახით არსებობის ისეთი აღიარება, როგორსაც ი. რიკიონი გვთავაზობს, ძალზე ხელოვნურია და ყალბი.

სტილის ძალზე შეზღუდულ გაგებას ვხვდებით ხელოვნების ცალკე დარგების თეორიათა სფეროშიც, განსაკუთრებით ლიტერატურისმცოდნეობაში. სამწუხაროდ ამ უკანასკნელის სფეროში ჯერ კიდევ გარკვეული პოპულარობით სარგებლობს ის გაგება, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებთა სტილს განიხილავს როგორც მხოლოდ ენობრივ მოვლენას. ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრული სტილი ეს არის მწერლის ენის ხასიათი, თავისებურება, „ინდივიდუალური მონაცემები“, ანდა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი გამოხატვის გარეგანი ფორმა. ეს თვალსაზრისი ჩვენს დროში იმ ძალზე ცალმხრივ თეორიას ემყარება, რომლის თანახმად ლიტერატურის ფორმა ენაა. მართალია, ენა ლიტერატურის „სპეციფიკური მასალაა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ისევე არ შეიძლება მივიჩნიოთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრულ ფორმად, როგორც არც ფერი და ხაზი, ან ბგერა მხატვრობისა და მუსიკის მხატვრულ ფორმად. ახლა საგანგებო მტკიცებაეკი არ სჭირდება იმის ცხადყოფას, რომ ენა მხოლოდ ერთერთი კომპონენტია ლიტერატურული ნაწარმოების ფორმისა, და ისიც მხოლოდ თავისი იმ სპეციფიკური ბუნების გამო, რომლითაც იგი განსხვავდება ჩვეულებრივი სასაუბრო სალიტერატურო ენისაგან. და ეს სავესებით ვასაგებიც არის, რადგან შეუძლებელია ხელოვნების ყოველი დარგის მხატვრული ფორმა, იმაზე გაცილებით ფართო და მრავალმხრივი არ იყოს, რასაც ამ დარგებისათვის დამახასიათებელი (ნიშანდობლივი) სპეციფიკური მასალა (ენა, ფერი და ხაზი, ბგერა...) გულისხმობს. მაშინ

ლიტერატურის, მხატვრობის, ქანდაკების, მუსიკის, თეატრის, ვიზუალური ხელოვნების მხატვრულ ფორმის მხატვრობის განსხვავება იარსებებდა და, მაშასადამე, ცნება ხელოვნებაეკი ზედმეტი აღმოჩნდებოდა.

მხატვრული სტილის აქ მითითებული გაგება გარკვეულ გამოხატულებას პოულობს ვ. ვინოგრადოვის შრომებში «О языке художественной литературы» და «Проблема авторства и теория стилей». ვ. ვინოგრადოვის ამ შრომებში, მართალია, ხდება მითითება ლიტერატურული ნაწარმოების კონსტრუქციის შესახებ, ზოგად ასპექტში სწორად არის აღნიშნული სტილის ინდივიდუალური და ზოგადი (კერძო და საერთო) არსიც და სხვა მომენტები, მაგრამ არსებითად სტილი მაინც გაგებულია როგორც ენობრივი კატეგორია, კერძოდ, როგორც მხატვრული მეტყველების გამოსახვით და გარეგან თავისებურებათა მთლიანობა. განსაკუთრებით ცხად გამოხატულებას პოულობს მკვლევარის ეს პოზიცია ლიტერატურულ ნაწარმოებთა კონკრეტული ანალიზის პროცესში.

მხატვრული სტილის არსის ანალიზი ორ ასპექტს გულისხმობს. ეს იმიტომ, რომ სტილის კონკრეტული გამოვლენის სფეროს წარმოადგენს ხელოვნების ცალკე დარგები, ხოლო ხელოვნების ყოველ დარგს, როგორც ცნობილია, თავისი სპეციფიკა ახასიათებს, რომლის შესატყვისად სტილიც ყოველ მათგანის სფეროში თავისებური სახით ვლინდება. ამით იხსნება, რომ ლიტერატურისა და მხატვრობის, ან მუსიკისა და ქანდაკების თუ თეატრის სტილები გარკვევით განსხვავდებიან ურთიერთისაგან. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვვაქვს მხატვრული სტილის საერთო ცნება, ანალოგიური ხელოვნების ცნებისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების ყოველი დარგისათვის ნიშანდობლივი სტილის კანონზომიერება შინაგანი აუცილებ-



ლობით მოიცავს ისეთ მხარესაც, რომელიც მას აკავშირებს სხვა დარგებისათვის დამახასიათებელ სტილებთან. ეს არის მხატვრული სტილის ზოგადი სპეციფიკური კანონზომიერება. იგი ხელოვნების დარგების სტილთა არსის განზოგადოებული ანალიზის შედეგად მიიღება და ესთეტიკის შესწავლის საგანს შეადგენს. ხელოვნების ცალკე დარგებისათვის დამახასიათებელი სტილები კი წარმოადგენს თვით ამ დარგების (ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების და ა. შ.) თეორიათა საგანს. ამრიგად, სტილის ანალიზის ზემოთ აღნიშნული ორი ასპექტი თვით სტილის ობიექტური ბუნებით არის ნაკარნახევი.

სტილის შესწავლისას უმეტეს შემთხვევაში ეს ასპექტები არ არის ურთიერთისაგან გამიჯნული, რის გამოც კვლევის შედეგებიც უკეთეს შემთხვევაშიც ძალზე შეზღუდულ ხასიათს ატარებს.

თავდაპირველად განვიხილოთ მხატვრული სტილის ზოგადი არსი, ე. ი. მხატვრული სტილის საერთო სპეციფიკური კანონზომიერება.

მხატვრული სტილი, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს ხელოვნების ესთეტიკური არსის (იგივე — მხატვრული ფორმის, მთელი სპეციფიკური ბუნების) გამოვლენის კონკრეტულ ფორმას, ისტორიულ პროცესს, გაპირობებულს ეპოქისეული ესთეტიკური იდეალით და ხელოვანის ინდივიდუალური „შემოქმედებითი ნატურით“, სუბიექტური სამყაროს ხასიათით. ამდენად, იგი გვევლინება როგორც ხელოვნების სპეციფიკური არსის შემოქმედებითი განხორციელების ეპოქისეულ-ინდივიდუალური მრავალფეროვნება, ანდა სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, განსაზოვნების საკუთრივ შემოქმედებითი ხასიათი (კრედო) და ღირსება. ამის გამოა, რომ სტილი ხელოვნების განვითარების სპეციფიკურ ისტორიულ მხარეს წარმოადგენს.

მაგრამ ყველაფერი ეს სტილის მხოლოდ ზოგად საზღვრებს მიუთითებს.

ამასთან, ამ სახით ეს ზოგადი დანახატება შეიძლება მკვეთრად არც ვიმჯნებოდეს სტილის ფორმალისტურ კონტრპრეტაციასაც კი, რამდენადაც მასში ყურადღება გამახვილებულია, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული წარმოსახვის, საერთოდ ხელოვნების ესთეტიკური არსის კონკრეტული ფორმის მიმართ თვით აღნიშნული არსის გათვალისწინების გარეშე. ამის გამო, აქ აუცილებელია ხელოვნების არსის იმ ძირითად სპეციფიკურ მომენტთა აღნიშვნა, რომლებთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული სტილი, როგორც მათი ერთობლიობის კონკრეტული გამოხატულება, ისტორიული ფორმა.

თავდაპირველად ხელოვნების სპეციფიკური არსის ადგილი, ფუნქცია და შინაგანი თვითმყოფი ბუნება უნდა აღინიშნოს.

როგორც ცნობილია, ხელოვნება სინამდვილის სპეციფიკურ ასახვას წარმოადგენს. მაშასადამე, იგი საზოგადოებრივი ცნობიერების თავისებური ფორმაა, ხოლო მისი სპეციფიკური არსი ასახვით ფუნქციასთან არის შინაგანად დაკავშირებული. ხელოვნება არსებითად ასახვის გამო, კერძოდ ასახვის საკუთარი წესის გამო არის ხელოვნება. ამიტომაც, რომ ყოველთვის, როდესაც ხელოვნების სპეციფიკის გაშუქებისას გამოსავალ ფაქტორად მიიჩნევენ ფორმას როგორც „თავისუფალ“, „წმინდა“ ესთეტიკურ მოვლენას, უკიდურესად ცალმხრივ და შეზღუდულ დასკვნებს იღებენ.

ხელოვნება არის სინამდვილის განსახოვნება, სხვა სიტყვებით — სინამდვილის მხატვრული ასახვა, მხატვრული განსახიერებაა. თავისთავად ცხადია, სინამდვილის ცნება ამ შემთხვევაში გულისხმობს ადამიანურ სამყაროს (ადამიანებსა და მათ ურთიერთობას, ინტერესებს, საერთოდ მთელ მათ ცხოვრებას, აგრეთვე ბუნების იმ სფეროსაც, რომელიც ადამიანის ცხოვრების უშუალო გარემოდან მონაწილედ გვევლინება). განსახოვ-

ნება კი სინამდვილის მხატვრული სახეობრივი წარმოსახვაა. მის ნიშანდობლივ საფუძველს შეადგენს, ერთი მხრივ, როგორც თვით ობიექტური რეალობის, ისე მისდამი ადამიანთა ემოციური დამოკიდებულების, „ჩვენთვის ნაცნობი გარეგანი ფორმით“, იგივე — ხელოვნების დამოუკიდებლად არსებული რეალური „სინამდვილის ფორმით“ გადმოცემას¹, ხოლო, მეორე მხრივ, ესთეტიკური ასპექტი, წარმოსახულის ესთეტიკური ღირსებით აღჭურვა, მშვენიერებითი ამაღლება, ადამიანთა ესთეტიკური იდეალების შემოქმედებითი განხორციელება. ამრიგად, ხელოვნება მოწოდებულია არა მარტო ასახოს, არამედ ასახული მხატვრულ ქმნილებად აქციოს, მხატვრული განზოგადებისა და ინდივიდუალიზების მეშვეობით სინამდვილის მხატვრული სურათი შექმნას. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის სპეციფიკურ ფუნქციას მხატვრული შეთხზვა, ესთეტიკური ასპექტის განხორციელება, მაშასადამე, ესთეტიკური სინამდვილის შექმნა, ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველზე ესთეტიკური გრძნობის აღძვრა, ამოქმედება წარმოადგენს.

ხელოვნების სპეციფიკური არისი ამ ძირითად მომენტთა შინაგან მთლიანობას მოიცავს. ამასთან, თვით ეს მთლიანობა ვლინდება როგორც სინამდვილის ასახვის თავისებური ფორმა, რომელიც სპეციფიკურია მთელი თავისი არსებით. ე. ი. არა მარტო როგორც გამოხატვა, არამედ თვით ასახვის პროცესის არსითა და კანონზომიერებითაც. აღნიშნული სახეებით ცხადს ხდის, რომ ხელოვნების თავისებურება, სპეციფიკური დანიშნულება და მიზანი მხატვრული ფორმის სფეროში ვლინდება. ხელოვნება არ არსებობს ამ უკანასკნელის გარეშე,

რომელიც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, წმინდა ესთეტიკურ ხელოვნებად მიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ ასახვის ფორმას. და, რაც საგანგებო ყურადღებას იქცევს ჩვენ საკითხთან დაკავშირებით, იგი არასოდეს არ გვევლინება როგორც „ნეიტრალური გამოხატვა“, ასახულის გარეგანი, გულგრილი სამოსელი. პირიქით, ხელოვნების სპეციფიკური სამყარო უშუალოდაც გამოხატავს, უკუაფენს „შინაარსის ხასიათს“, არსს. იგი ესთეტიკური გამოხატვაა ამ უკანასკნელისა. ამიტომ ასახვა ფორმის ერთ-ერთ შინაგან ძირითად თვისებას, გარდაუვალ კანონს წარმოადგენს, რის გამო მას ეს თვისება მაშინაც კი ახასიათებს (ამა თუ იმ სახით), როდესაც ხელოვანი ე. წ. „თავისუფალი ხელოვნების“ აპოლოგეტად გვევლინება, ე. ი. სუბიექტურად დარწმუნებულია, რომ, თითქოს, ყოველთვის მხოლოდ „წმინდა ესთეტიკურს“ ქმნის. სწორედ ეს კანონი განაპირობებს ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის ორგანიული მთლიანობისა და ურთიერთადაც და მათგან დამოკიდებულების კანონს.

ყოველივე ეს სახეებით გასაგებას ხდის, თუ ხელოვნება რატომ ასახვის „საკუთარი წესის“, საკუთარი კანონზომიერების გამო არის ხელოვნება, ან რატომ განსახიერება წარმოადგენს ხელოვნების განმსაზღვრელ ცნებას.

ხელოვნების სპეციფიკური არსის უფრო გაშლილ ანალიზს აქ არ შეუძლებს. აქ აღნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ხელოვნების თავისებურებას, თავისი ღრმად ისტორიული ბუნების მიუხედავად, საკუთარი თვითმყოფი, თავისთავადი მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება ახასიათებს. მაშასადამე, ხელოვნ-

¹ ეს სიტყვები გუთვნის ჰეგელს, რომელმაც სახეებით სწორად მიუთითა ხელოვნების თავისებურების ამ მხარეს. მისი დასკვნით, მხოლოდ „სინამდვილის ფორმით“ ვლინდება ხელოვნების ქმნილების „ყოველი შინაარსი“. ამ გავებას ვხვდებით ნ. ჩერნიშევსკისთანაც. უკანასკნელი სახეებით იზიარებს ჰეგელის ამ თეალაზრისს.

¹ ამ საკითხს სხვა წარმომადგენლებში ვხვდებით. სახელდობრ, იხ. „ხელოვნების მარადიულობის პრობლემა“ (თბილისი, გამომც. „ხელოვნება“, 1962) და „ხელოვნების ესთეტიკური არსის საკითხები“ (დაბეჭდილია კრებულში „ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები“, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963).

ნების ზოგადი სპეციფიკური კანონზომიერება მოიცავს გარკვეულ ზოგად მხატვრულ-ესთეტიკურ საფუძველს, რომელიც ყოველ მხატვრულ ქმნილებაში მეორდება ამა თუ იმ სახით, როგორც აქ ქმნილების არსებობის აუცილებელი პირობა. თავისთავად ცხადია, ამის გარეშე ხალოვნებას არც ექნებოდა საყოველთაო ხასიათი. ამ მხრივ ხელოვნების სპეციფიკური კანონზომიერება არსებითად განსხვავდება ხელოვნებისავე სხვა ზოგადი თვისებებისაგან, კანონებისაგან. საილუსტრაციოდ ავიღოთ იდეურობა. როგორც ცნობილია, იგი მხატვრულ ასახვის ზოგადი კანონია. ხელოვნების ყოველი ქმნილება გარკვეულ აზრს, დამოკიდებულებას, სულისკვეთებასა და მისწრაფებას გამოხატავს. მიუხედავად ამისა ხელოვნება არავითარ ზოგად პოზიციას, თავისთავად და საყოველთაო კრედოს არ მოიცავს ამ მხრივ, რის გამოც იგი ტენდენციას, იდეურობას ყველა შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტული შინაარსის სახით ავლენს. ამიტომ ხელოვნების იდეური შინაარსი ცვალებადი მოვლენაა. მთელი თავისი არსებით ეპოქისეულის სფეროსთან არის დაკავშირებული, საზოგადოების პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, მორალურ, რელიგიურ და სხვა შეხედულებებს გამოხატავს. ხელოვნების სპეციფიკური არსი კი, როგორც ვთქვით, უპირველეს ყოვლისა, ემყარება თავის საკუთარ საფუძველს-ზოგად მხატვრულს, იგივე — ზოგად ესთეტიკურს. მაშასადამე, იგი არსებობს არა იმ კონკრეტული შინაარსის შედეგად, რომელიც ეპოქასა და შემოქმედის პიროვნებაში პოულობს ახსნას, არამედ საკუთარი არსის, ბუნების, საკუთარი ზოგადი შინაარსის გამო. ამასთან, არსებობს როგორც აუცილებლობა და ხელოვნების საყოველთაო ხასიათის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ ხელოვნების თავისებურება მხოლოდ აქ მითითებული ზოგადი სახით არ ვლინდება მხატვრულ ქმნილებებში. პირიქით, იგი ყოველთვის

მოცემული გვაქვს კონკრეტული სახით, რაც იწვევს მისი განვითარების პროცესის მრავალფეროვანებას — ვაჭაჭაჭმბულს არა მარტო ხელოვანის ინდივიდუალობით და შესატყვისი ეპოქის ესთეტიკური იდეალებით, არამედ ეროვნული ფაქტორითაც. ამდენად ხელოვნების სპეციფიკური არსის კონკრეტული შემოქმედებითი გამოვლენა გულისხმობს ეპოქისეულის, ინდივიდუალურისა და ეროვნულის ერთობლივ ასპექტს, ერთობლივ გამოხატვას.

მხატვრული სტილის ეს უაღრესად მრავალმხრივი და სინთეტური ბუნება ძირითადად ეპოქისეულის ასახვას, შემოქმედებით განხორციელებას ეფუძნება. არსებითად სწორედ ეპოქისეული არის მისი ხასიათის გამაპირობებელი საფუძველი, ხოლო ეროვნულთან ერთად ობიექტური შინაარსიც. თვით ეპოქისეულს კი ამ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია, საზოგადოების ესთეტიკური შეხედულებანი, გემოვნება, ანდა უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, ესთეტიკური იდეალები წარმოადგენს. მაგრამ ეს უკანასკნელი უშუალოდ კი არ მიემართება მხატვრული წარმოსახვის პროცესს, მაშასადამე, მხატვრულ სტილსაც, არამედ შემოქმედების მეთოდის სახით.

ყოველ ეპოქას აქვს თავისი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რა არის სილამაზე, მშვენიერება, ან როგორი ხელოვნებაა უკეთესი, უფრო სრულყოფილი, ყველაზე მაღალი და ნამდვილი. ესთეტიკური იდეალი სწორედ ამ თვალსაზრისს წარმოადგენს, ხოლო შემოქმედების მეთოდი მის საფუძველზე იბადება. ყალიბდება როგორც ხელოვანის საერთო მსოფლმხედველობის სპეციფიკური მხარე, სახელდობრ, შემოქმედებითი მსოფლმხედველობა (შემოქმედებით პრინციპთა სისტემა). მაშასადამე, იგი გვევლინება როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის თვალსაზრისი, კონკრეტული (თავისთავად ცხადია, ასახვის საკუთრივ მხატვრულ-ესთეტიკუ-

რი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი, კ ო ნ ც ე ფ -
ც ი ა). ამდენად შემოქმედების მეთო-
დი მთელი თავისი არსებით ეპოქისეუ-
ლი მოვლენაა და შეადგენს ხელოვანის
შემოქმედებითი პოზიციის პრინციპულ
საფუძველს. ერთი სიტყვით, იგი უშუა-
ლოდ საზღვრავს განსახოვნების კრე-
დოს (ხელოვანის შემოქმედებით დამო-
კიდებულებას მოვლენებისადმი, სამყა-
როსადმი). აღნიშნულის გამო, მეთოდის
სახით ჩვენ საქმე გვაქვს მიმართულე-
ბის უშუალო ფაქტორთან. ყოველი მი-
მართულება, არსებითად, შესატყვისი
მეთოდის განხორციელებაა. ამიტომაც,
რომ მეთოდი და მიმდინარეობა ჩვეუ-
ლებრივ ერთსა და იმავე სახელწოდე-
ბას ატარებენ. მაგალითად, რეალიზმი,
რომანტიზმი, ნატურალიზმი და ა. შ.,
ერთსა და იმავე დროს მეთოდის სა-
ხელწოდებაც არის და მიმდინარეობი-
საც.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც
მეთოდისა და არც მიმდინარეობის ზო-
გადი არსი არ მოიცავს ესთეტიკური
იდეალის ყველა მხარეს, კერძოდ, ერო-
ვნულ თავისებურებას. ამით აიხსნება ის
გარემოება, რომ ყოველი მეთოდი და
მიმდინარეობა საერთო ეპოქისეულ მო-
ვლენებს წარმოადგენენ, ყველა ერის
ლიტერატურაში მოქმედებენ. ეროვნუ-
ლი კი მათი გამოვლენის კონკრეტულ,
კერძო თავისებად გვევლინება. მაგალი-
თად, კრიტიკული რეალიზმი, ან რომან-
ტიზმი, თავიანთი საერო (ზოგადი) სპე-
ციფიკური არსით არსებითად ერთნაი-
რია ყველა ერის ლიტერატურაში. მაშა-
სადამე, მათი ეს საერთო სპეციფიკური
არსი გამოხატავს ხალხთა ეპოქისეული
ესთეტიკური იდეალების საერთო ბუ-
ნებას, ხოლო ეროვნული მხარე იმ თავ-
ისებურებათა სფეროს განეკუთვნება,
რომელიც დამახასიათებელია, მაგალი-
თად, ქართული კრიტიკული რეალიზმი-
სათვის, ან ქართული რომანტიზმისა-
თვის.

ამრიგად, შემოქმედების მეთოდი მხა-
ტრული ასახვის პროცესის უშუალო
სპეციფიკური საფუძველია. იგი განსაზ-

ღვრავს მხატვრული წარმოსახვის კრე-
დოს, ხასიათს და, მაშასადამე, მხატ-
ვრულ ნაწარმოებში გამოვლინდება მხა-
ტრულ ნაწარმოებში ხელოვანის იდეე-
ბი, ტენდენცია. ამიტომ ყველაფერი ის,
რაც ამა თუ იმ მიმდინარეობის ზოგად-
სპეციფიკურ მხარეს შეადგენს (ცხადია,
აქ იგულისხმება მხატვრული წარმოსა-
ხვის კრედო), მეთოდის გამოხატულე-
ბაა. ამასთან, შემოქმედების მეთოდი
ისტორიული მოვლენაა, ხელოვნების
ზოგადი სპეციფიკური კანონზომიერე-
ბის გამოვლენის კერძო, ეპოქისეულ
ფორმად გვევლინება. იგი მთელი თავი-
სი არსებით ობიექტური შინაარსის მა-
ტარებელია, ე. ი. მოიცავს მხოლოდ
იმას, რასაც ადამიანთა ცხოვრების ობი-
ექტური ვითარება კარანახობს მხატ-
ვრული მოვლენების განვითარების სამ-
ყაროს.

ყველაფერი ეს, ძირითადად მაინც,
გარკვევით აქვს აღნიშნული მარქსისტ
მკვლევართა უმრავლესობას. მაგრამ,
როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ასეთივე
სწორი პოზიციით არ ხასიათდება მათი-
ვე შრომებში მოცემული ანალიზი შე-
მოქმედების მეთოდისა და მხატვრული-
სტილის ურთიერთ მიმართებისა. ეს იმი-
ტომ, რომ, როგორც ვნახეთ, ერთ შემ-
თხვევაში მეთოდი და სტილი გაიგივე-
ბულია ურთიერთთან, რის გამო სტილი
მიჩნეულია მხოლოდ ეპოქისეულ მო-
ვლენად. მეორე შემთხვევაში კი ისინი
გათიშულია, მხატვრული შემოქმედების
სხვადასხვა მხარედ არის აღიარებული.

თავდაპირველად აქ ყურადღებას იქ-
ცევს ის გარემოება, რომ მეთოდის შე-
მოქმედებითი განხორციელება გაცილე-
ბით უფრო ფართო და მრავალმხრივი
მოვლენაა, ვიდრე თვით მეთოდი. ეს სა-
ვისებით გასაგებიც უნდა იყოს, რადგან
მეთოდი მხატვრული ასახვის თვალსაზ-
რის წარმოადგენს, ხოლო მხატვრულ
ნაწარმოებებში მოცემულია ამ თვალ-
საზრისის კონკრეტული ინდივიდუ-
ალური (სუბიექტირებული) განხორციე-
ლება.

მეთოდსა და მის შემოქმედებით გან-

ხორციელებას შორის რომ სხვაობა არ არსებობდეს, მაშინ ერთდაიგივე მეთოდის გამოხატველ ხელოვანთა შემოქმედება ერთდაიგივე უნდა იყოს. სინამდვილეში კი საწინააღმდეგო სურათთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ილია და აკაკი არა მარტო მეთოდის თვალსაზრისით, არამედ იდეებისა და სამოღვაწეო პროგრამის (მიზანდასახულების) მხრივაც ერთსადაიმევე პოზიციაზე იდგნენ. მიუხედავად ამისა, მათი შემოქმედება მაინც მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან. იგივე ითქმის რეზინისა და სურკოვის, ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის შესახებ. ეს კანონზომიერება კიდევ უფრო ცხადად ვლინდება ჩვენი ეპოქის მხატვრულ კულტურაში: ჩვენი ხელოვნების განვითარების ერთიანი საფუძვლის მიუხედავად, ყოველ საბჭოთა ხელოვანს თავისი სახე, ინდივიდუალობა აქვს. თავისთავად ცხადია, რომ ეს სხვაობა განსაკუთრებით მკვეთრ ფორმას იღებს მაშინ, როდესაც ერთდაიგივე მეთოდს სხვადასხვა იდეურ პოზიციაზე მდგომი მხატვრები გამოხატავენ. მაგალითად, ბალზაკი და გოგოლი, ან ლ. ტოლსტოი.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხელოვნებაში მეტი სიმკვეთრით და სიღრმით ვლინდება ის სხვაობა, რომელიც მეთოდსა და მის შედეგს შორის არსებობს, ვიდრე საერთოდ, კერძოდ თეორიული შემეცნების სფეროში. თუ აქ იმასაც გაიხსენებთ, რომ სტილი შემოქმედებით თვალსაზრისს კი არ წარმოადგენს, არამედ შემოქმედებით ფაქტს, მხატვრულ ნაწარმოებთა კონკრეტულ თვისებას, მაშინ საესებით ნათელი გახდება იმ გაგების მცდარობა, რომელიც სტილისა და მეთოდის იგივეობას, ან უკეთეს შემთხვევაში — ერთგვარობას აღიარებს (ერთდაიგივე ბუნების მომცველ მოვლენებად მიიჩნევა).

ასევე მცდარია მეორე უკიდურესობაც, რომელიც სტილს განიხილავს როგორც მხოლოდ ინდივიდუალურ, ხელოვანისეულ მხატვრულ თავისებურებას ხელოვნების ნაწარმოებისა. ამ თვალსა-

ზრისით, სტილი მიჩნეულია მხოლოდ გარეგან მხატვრულ სამკაულად, მხოლოდ „ხელწერად ხელოვნებისა“. მხატვრად, აქ სტილის ცნება დაყვანილია ე. წ. მანერამდე და საესებით გაზიარებულია ცნობილი ტრადიციული დებულება „სტილი — ეს აღამიანია“.

სტილის ეს გაგება არსებითად მხატვრული ფორმის ასახვითი არსის უარყოფას ნიშნავს. ამასთან იგი სტილს ანცალკეებს როგორც ეპოქისეულისაგან, ისე მიმდინარეობათა სფეროდან. მაშასადამე, გამოდის, რომ ამა თუ იმ მწერლის თუ მხატვრის სტილისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც იმას, თუ რომელი ეპოქის შვილია თვით ეს ხელოვანი, ან რომელ მიმდინარეობას, შემოქმედების მეთოდს გამოხატავს იგი თავის შემოქმედებაში. რეალისტი და აბსტრაქციონისტი მხატვრების სტილები არცერთ შემთხვევაში არ გამოხატავენ ამ კონკრეტული მხატვრული მიმდინარეობების კრედოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ისეთ ზოგად ცნებებზე, როგორცაა, მაგალითად, რეალისტური ან რომანტიკული სტილი, რენესანსის სტილი და სხვა. ერთი სიტყვით, უნდა ვალიაოთ, რომ სტილი ხელოვნების „მეს“ გამოხატულებაა და არავითარ ზოგად (მეთოდისეულ ან მიმართულებისათვის დამახასიათებელ) ელემენტს არ მოიცავს.

მეთოდისა, მიმართულებისა და სტილის ამ შექანაყურ გათიშვას არავითარი რეალური საფუძველი არ შეიძლება მოენახოს. ხელოვნების ობიექტური არსი ყოველმხრივ გამოირიცხავს ამგვარ იზოლირებას. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ეს თეორია, არსებითად, სტილის წმინდა სუბიექტური თეორიის პრინციპებსაც სწვდება. მართალია, სუბიექტურისტური თეორია სტილის არსს ხელოვნების მთელს კანონზომიერებად მიიჩნევს, რასაც, თავისთავად ცხადია, აქ ნაგულისხმევე მარქსისტ მკვლევართ ვერავითარ შემთხვევაში ვერა დაეწამებთ, მაგრამ საკუთრივ სტილის ანალიზის სფე-

როში აქ მოთავსებული ნათესაობა მაინც სავსებით ცხად სახეს იღებს.

სტილის ეს გაგება შეიძლება სწორად მივიჩნიოთ მხოლოდ არა მხატვრულ ნაწარმოებთა მიმართ. როგორც ცნობილია, ყოველ თეორიულ ნაშრომს, ან კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ წერილს აქვს თავისი ფორმა, სტილი, რომელსაც არავითარი საკუთარი სპეციფიკური ფუნქცია არ გააჩნია. აქ სტილი მართლაც მხოლოდ ინდივიდუალურია. კ. მარქსი თავის წერილში „შენიშვნები უახლოესი პრუსიული ცენზურის ინსტრუქციაზე“ წერს: «Истина всеобща, она не принадлежит мне одному, она принадлежит всем, она владеет мною, а не я ею. Мое достоинство — это форма, она моя духовная индивидуальность»¹. იქვე მას მოაქვს ზემოთ ციტირებული ცნობილი განსაზღვრაც — „სტილი — ეს თვით აღამიანია“.

ისტორიულად არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ მხატვრული სტილი მხოლოდ ინდივიდუალურის გამოხატულებად ვაღიაროთ. პირიქით, როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავთ სავსებით სწორად, მის სფეროში კერძო ყოველთვის მოიცავს ზოგადს, ზოლო ზოგადი კერძოს (ინდივიდუალურს). განა შეიძლება, მაგალითად, სტილის ისეთი კომპონენტები, როგორცაა სიუჟეტის განვითარების ან პერსონაჟების ხასიათთა ხატვის თავისებურება და ისტატობა, რომელიმე მწერლის შემოქმედებაში შინაგანად შეპირობებული არ იყოს ამ მწერლის მეთოდთან, მიმართულებასთან? ანდა ავიღოთ აკაკის შედევი „განთიადი“. ის, რომ პოეტმა თავისი მებრძოლი პატრიოტული იდეების და დიდი ეროვნული ტკივილის გამოსახატავად აირჩია გარკვეული გრძობები, ემოციები და ისინი ვირტუოზული ოსტატობით, პოეტური სრულყოფილობით წარმოსახვა, შემოქმედებითი ინდივიდუალობის სფეროს განეკუთვნება, მგოსნის სუბიექტურ

სამყაროში პოულობს ახსნას, მგოსნის საკუთრებაა. მაგრამ, ამავე დროს, ეს ლექსი ხომ მთელი თავისი პრუსიული რეალისტურ ლირიკულ ქმნილებას წარმოადგენს. მასში ყველაფერი რეალიზმის ფერებით არის წარმოსახული, სულჩადგმული, აქლერებული, განათებული. ამიტომ ამ ლექსის ვერცერთი კომპონენტის გამოვლენის ხასიათს, ჩვენ ვერ მოვწყვეტთ ნაწარმოების საერთო რეალისტურ ბუნებას, რეალისტურ ესთეტიკურ იდეალს. ეპოქა და მე აქ შინაგანად არის შედუღებული ურთიერთთან.

ავიღოთ სხვა მაგალითი. ცნობილია, რომ რემბრანდტის კოლორიტი მკვერთი თავისებურებით, შუქ-ჩრდილის უაღრესად თავისებური წარმოსახვით ხასიათდება. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ რემბრანდტი იყო თავისი დროის დიდი რეალისტი და ჰუმანისტი. ცხადია, მხატვარს შეეძლო თავისი ჰუმანისტური იდეები და რელიზმი სხვა ხასიათის კოლორიტის მეშვეობითაც განესახიერებია. მაგრამ მან ფერთა პარმონიის სწორედ ეს კანონზომიერება, ეს ელერადობა აღმოაჩინა, შექმნა, რითაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ფერწერის მთელს შემდგომ განვითარებაზე. და ეს, ცხადია, მის სუბიექტურ შემოქმედებით აღმოჩენას, მის შემოქმედებითი ინდივიდუალობის უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენს. მაგრამ ამავე დროს მხატვრის კოლორიტის ეს თავისებურება ღრმად რეალისტურია, დიდი სიმართლის განსახიერების ერთ-ერთ არსებით კომპონენტს შეადგენს. სხვა შემთხვევაში კი იგივე პრინციპი კოლორიტისა შეიძლება ქცეულიყო თვითმიზნად, ე. ი. დეკადენტური ესთეტიკური იდეალის რომელიმე სახეობის განხორციელებად. მაშასადამე, შემოქმედებითი ინდივიდუალობა შეუძლებელია განვაკალკეოდ იმისაგან, რაც მასში ყოველთვის უშუალოდ და ორგანულად არის აღბეჭდილი, გამოხატული შესატყვისი მიმართულების, მეთოდის პრინციპის სახით.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, 1938, стр. 184.

ანდა, მაგალითად, განა შეიძლება აბსტრაქტული ხელოვნების „ქმნილების“ როშელში ფორმალური ელემენტი წარმოვიდგინოთ იმ უკიდურესი სუბიექტივიზმის, თვითმიზნური პირობითობის ლაკონიზმისა და დეკორაციულობის გარეშე, რომელიც ამ მიმართულების სულსა და გულს, თავისი არსებით ანტიადამიანური ესთეტიკური კრედოს საფუძველს შეადგენს?

ინდივიდუალურის ესთეტიკური არსი ყოველთვის ზოგადია, ხოლო ზოგადის (მიმართულებისათვის ნიშანდობლივის) გამოხატულება ყოველთვის კერძოა, ინდივიდუალურია. ამდენად ისინი ურთიერთის თანაარსებით ისტორიულ მოვლენებს წარმოადგენენ.

* * *

აქამდე აღნიშნული საკვებით ცხადს ხდის სტილის არსის ორ მხარეს (ორ განმსაზღვრელ ფაქტორს) — ობიექტურსა და სუბიექტურს. ერთი მხრივ, სტილი მოიცავს მეთოდის შემოქმედებით გამოვლენას, რაც გვევლინება როგორც ერთიანი მეთოდისა და მიმდინარეობის გამოხატველ ხელოვნათა სტილის შინაგანი კავშირა, საერთო ბუნება, აგრეთვე ეპოქის მხატვრული კულტურის სტილის ზოგადი ხასიათი, ელფერი, კოლორიტი¹. მეორე მხრივ, სტილი ეფუძნება ინდივიდუალურს, სუბიექტურს, რომელიც პირველის — ობიექტური საფუძელის. მეთოდისა და ელფერის გამოვლენის, შემოქმედებითი გან-

¹ ცხადია, ეპოქის საერთო სტილი და მიმდინარეობა ორგანოდ არის დაკავშირებული ურთიერთთან, მაგრამ მათ შორის მაინც არის სხვაობა: ზოგჯერ ეპოქა უფრო ფართოა, რადგან იგი რამდენიმე მიმდინარეობას წარმოშობს, ხოლო ზოგჯერ მიმდინარეობაა უფრო ფართო, რადგან იგი რამდენიმე ეპოქის მანძილზე ეფუძნება. რასაკვირველია, არის ისეთი ეპოქებიც, როდესაც ეპოქისეული („ეპოქის სტილი“) და მიმდინარეობა (მიმდინარეობის სტილი) სავსებით ემთხვევა ურთიერთს (ამის ყველაზე ცხად მაგალითს საბჭოთა ხელოვნება წარმოადგენს).

ხორციელების სფეროს, ინდივიდუალურ სამოსელს შეადგენს, ეგვიპტურ-ერთისაგან ანსხვავებს ეფუძნება მხოლოდ, იდეებისა და მიმდინარეობის ხელოვნათ და მთელი თავისი ერსებით სუბიექტური (ხელოვანისეული) მოვლენაა, რის გამო მას შემოქმედების ხელწერას, შემოქმედებით ინდივიდუალობას, ან მანერას უწოდებენ. ძირითადად სწორედ ამ დიდშინიშნელოვანი შემოქმედებითი ფაქტორის გამო არის ყოველი კემარატი მხატვრული ქმნილება განუყოფელი, თვითმყოფელი, ერთადერთი.

რა საფუძველი განაპირობებს სტილის ამ მხარეს? რა საზღვრებით ხასიათდება იგი?

სტილის სუბიექტური არაი მხატვრული შემოქმედების პროცესის სპეციფიკური არსის სფეროში პოულობს ახსნას.

ფორმალისტური ესთეტიკა, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, მხატვრული შემოქმედების პროცესს განიხილავს როგორც მხოლოდ სუბიექტურ ესთეტიკურ მოვლენას კერძოდ. როგორც ესთეტიკურ თვითხილვას. ხელოვანი ქმნის მხოლოდ იმას, რასაც მას საკუთარი ესთეტიკურა შეგრძნება, ემოცია კარნახობს. იგი აბსოლუტურად დამოუკიდებელია რეალური სამყაროსაგან. ამიტომ, ბუნებრივია, მხატვრული სტილაც მთელი თავისი არსებით სუბიექტურია. არც საერთოდ ხელოვნებას და, მაშასადამე, არც საკუთრივ სტილს სხვა საფუძველი და სხვა ნიშანდობლივი თვისება არ გააჩნია.

ახლა უკვე საკვებით ნათელყოფილია, რომ ეს თვალსაზრისი თვით წარმოადგენს გარკვეულ ისტორიულ საფუძველზე აღმოცენებულ სუბიექტურ წარმოდგენათა სისტემასა და გარკვეული დეკადენტური ესთეტიკური იდეალის თეორიული დამსაბუთების ცდას. არაერთი სხვა საფუძველი მას არ გააჩნია.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს, თითქოს ასეთივე ცალმხრივობით არ ხასიათდებო-

დეს მეორე უკიდურესობა — მექანიკური მატერიალობის თვალსაზრისის საფუძველზე აღმოცენებული ჩვენთვის უკვე ცნობილი ვულგარულ-მექანიკური გაგება: ხელაღებით უარყოფა როგორც სტილის, ისე საერთოდ შემოქმედების პროცესის სუბიექტური ბუნებისა.

სავსებით უდავოა, რომ ხელოვანი ვერ შექმნის მხატვრულ ნაწარმოებს თუ მან შინაგანად არ განიცადა, თავისი სულიერი და გონებრივი ცხოვრების ნაწილად არ აქცია თემა, ე. ი. სინამდვილის ის ნაწილი, რომელსაც იგი ანსახოვნებს. მეტიც, ხელოვანი ვერ შექმნის ვერცერთ მხატვრულ სახეს თუ თათონაც არ გარდაიხაზა ამ სახეში და კვალდაკვალ არ განსაჯა — როგორ და რა სახით მოიქცეოდა ეს ადამიანი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, სიტუაციაში. იგი ქმნის იმ სულისკვეთებით გამსჭვალული რომ მისი პერსონაჟის ყოველი მოქმედება, მთელი ფსიქოლოგიურ-ემოციური „მე“ იყოს მართალი, სავსებით ლოგიკური და მხოლოდ ამ პერსონაჟის ხაზითსათვის, ბუნებისათვის შესაფერი. მაგრამ ამისათვის სრულიად არ არის საჭირო, რომ თვით მასში, შემოქმედებაში იყოს მოცემული საწყისიც კი მის მიერ განსახოვნებულ ადამიანთა ბუნებისა. ხელოვანი იმითაც განსხვავდება ჩვეულებრივ ადამიანებისაგან, რომ მას შეუძლია „სინამდვილის ფორმაში“ განასახიეროს ის, რაც თვით არ არის. ამაშია მისი ძალა და მოწოდება. თუ ამას უარყოფთ, მაშინ ჩვენ უარყოფთ ხელოვნების ასახვით, შემეცნებით ბუნებასა და ლოდიკურად მივალთ იმ აშკარად მცდარ, იდეალისტურ შეხედულებამდე, რომელიც პორტრეტულ ქმნილებასაც კი არსებითად ავტოპორტრეტად მიიჩნევს. რასაკვირველია, არსებითად განსხვავებულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ხატავ იმას, რაც თვით შენ ხარ, ან შენში მოცემულის ჰიპერბოლას წარმოადგენს. სულ სხვაა, როდესაც შინაგანად განიცდი იმას, რასაც ანსახიერებ, და-

მოუკიდებლად იმისა თუ ეს უკანასკნელი რამდენად ეხმარება ან გამოხატავს უშალოდ შენს ბუნებას. მხატვრული ქმნილების ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა ის, რომ იგი არის ადამიანის „გულის საგრძნობელი“, ღრმად ემოციური და სულის სიღრმედის ჩამწვდომი. ხელოვნების ნაწარმოები სწორედ ამ თვისებით იპყრობს ადამიანს, ხოლო იმისათვის რომ ეს თვისება შეიქმნას, უპირველეს ყოვლისა, თვით ხელოვანმა უნდა განიცადოს, გულისა და სულის სიღრმეში აწრთოს ის, რასაც წარმოიხაზავს. ეს კი იმასაც გულისხმობს, რომ მას უნდა უყვარდეს თავისი თემა და თავისი პერსონაჟები მაშინაც კი, როდესაც ისინი უარყოფითი და მის მთელს ადამიანურ სამყაროს ეწინააღმდეგებიან. მაშასადამე, ეს არის არა თანაგრძნობა, ან არა შინაგანი თანაზიარი ბუნების ან განცდის შედეგი, არამედ შემოქმედებითი სიყვარული. შემოქმედს ასეთი შინაგანი სიყვარულის, გატაცების გარეშე არ შეუძლია ძიება, წვა, შემოქმედებითი ანთება. ამიტომაც, რომ ეს სიყვარული ვლინდება მაშინაც, როდესაც ხელოვანი ქმნის უარყოფით სახეს. ე. ი. გამოხატავს თავის პროტესტსა და სიძულვილს. ვიმეორებთ — მხატვარი დიდი სიყვარულით გულანთებული ქმნის იმ სახეებსაც, რომელთა არსი სავსებით უცხოა მისთვის და რომლებსაც მხოლოდ სიძულვილისა და უარყოფის ფერებით წარმოსახავს. ეს კი სავსებით ცხადს ხდის იმ გარემოებას, რომ არც წარმოსახვის საგნადში შემოქმედებითი სიყვარული და არც თვით შემოქმედების პროცესის მშაფრი ემოციური ბუნება არ გულისხმობს სუბიექტურ ნატურალიზმს, ხელოვანისა და მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების ბუნებათა თანაზიარობას, საწყისის სახითაც კი. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი ზოგჯერ მართლაც ვლინდება მხატვრულ შემოქმედებაში, მაგ-

რამ მას კანონის ხასიათი არა აქვს და ამიტომ, ბუნებრივია, არც შემოქმედებითი ინდივიდუალობის საფუძველი შეიძლება იყოს. ამის გამოა, რომ შემოქმედებითი ინდივიდუალობა ხელოვანის, როგორც მხოლოდ შემოქმედის სუბიექტის თავისებურების გამოხატულებას წარმოადგენს. ამრიგად, იგი გაპირობებულია არა ასახვის საგნის ხასიათით, არამედ ასახვის ასპექტით. კერძოდ, შემოქმედებითი ინდივიდუალობა გულისხმობს იმ თავისებურებათა სისტემას, რომელთა სახით ერთდაიგივე მეთოდისა და მიმდინარეობის გამოყენებით მხატვრები განსხვავდებიან ერთიერთისაგან. მაშასადამე, იგი იმ თავისებურებათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ ხელოვნებისათვის არის დამახასიათებელი და ქმნის მეთოდის შემოქმედებათი განსორციელების კერძო სახეს, ინდივიდუალურ ფორმას. ამავე დროს, აღნიშნულ სისტემაში, კერძოდ სახეში ორი მხარე უნდა გავარჩიოთ ურთიერთისაგან: მხატვრული სიძლიერე და შემოქმედებითი განსორციელების, წარმოსახვის კონკრეტული ხასიათი. ერთი სიტყვით, შემოქმედებითი ინდივიდუალობა გულისხმობს ეპოქისეული შემოქმედებითი პრინციპების გამოვლენის თავისებურებისა და სიძლიერის ერთობლიობას.

დასასრულად, აღსანიშნავია ისიც, რომ შემოქმედებითი ინდივიდუალობა არაერთად თავსდება იმ როლის ჩარჩოში, რომელსაც ხელოვანი ასრულებს მხატვრული მოვლენების ისტორიაში. როგორც ცნობილია, ხელოვანი მხოლოდ შემოქმედებითი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი შეიძლება იყოს. თვით შემოქმედებითი ტალანტი, ნიჭი კი, თავისთავად აღებული, მხოლოდ შესაძლებლობაა, რომლის ბედს ეპოქა განაგებს. ამიტომ ხელოვანი, როგორც გარკვეული შემოქმედებითი ასპარეზის მქონე სუბიექტი, ეპოქის პროდუქტს წარმოადგენს. ამავე დროს, ეპოქა გან-

საზღვრავს იმ მიმართულებასა და იდეებსაც, რომლებსაც ხელოვანი გამოთავსებს თავის შემოქმედებებში. ამრიგად, მხატვრული ნიადაგს ეფუძნება ხელოვანის როლი მხატვრული მოვლენების განვითარების ისტორიაში: ყოველი ხელოვანი თავისებურად ავლენს ეპოქით ნაკარნახევ მიმართულებასაც და იდეებსაც. საკუთრივ სტილის სფერო კი ამ თავისებურებათაგან მოიცავს მიმართულებასათვის დამახასიათებელი პრინციპების შემოქმედებითი განხორციელების ხასიათსა და სიძლიერეს, მაშასადამე, იდეების მხატვრული წარმოსახვის ხასიათსაც. შემოქმედებითი ტალანტი, ოსტატობა წარმოსახვის, აზროვნებისა და სამყაროსადმი ემოციური დამოკიდებულების ხასიათი, საერთო მხატვრული კულტურა — ძირითადად ამ ფაქტორთა ერთობლიობას ეფუძნება მხატვრული სტილის ეს სფერო.

ამრიგად, მხატვრული სტილი ხელოვანის პიროვნულ-ინდივიდუალური თვისებების გამოვლენის გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება.

აქამდე აღნიშნული სავესებით ცხადს ხდის, რომ:

1. სტილი მთელი თავისი არსებით ისტორიული მოვლენაა, სინამდვილის ასახვის მხატვრულ კრეატივს, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხატვრობის ფორმას წარმოადგენს. მასში იახლება შინაარსისა და ფორმის მთლიანობის, სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის სპეციფიკური არსის ისტორიული პროცესი. მხატვრობა უშალოდ მხოლოდ სტილის სახით იღებს გარკვეულ კონკრეტულ სახეს, ასახვით და იდეურ შინაარსს. ამიტომ სტილი არის არა თვით მხატვრობა. არამედ ამ უკანასკნელის გამოვლენის ისტორიული კონკრეტული სახეობა, ფორმა. ამით აიხსნება, რომ სტილი ხელოვნების განვითარების სპეციფიკურ მხარეს შეადგენს. იგი ის მხატვრულ-ისტორიული კატეგორიაა, რომელშიაც ხელოვნების, როგორც სპეციფიკური შექმენების, ასახვის მთელი ისტორიული ბედისწერა

ისახება. მისი ისტორია, არსებობდა, სინამდვილის მხატვრული ასახვის სპეციფიკური პრინციპების, მხატვრული ფორმის, მხატვრული მსოფლგაგების ისტორიაა.

2. სტილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გვევლინება როგორც ეპოქისეულის (მეთოდის) ინდივიდუალური შემოქმედებითი განხორციელება; მაშასადამე, იგი ეპოქისეულისა და ინდივიდუალურის შემოქმედებითი მთლიანობას მოიცავს.

უდავოა, რომ სტილის ეს ორმაგი ბუნება არ გულისხმობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ შინაგან ზღვარს. პირიქით, სტილის მეთოდისეული (ზოგადი) და ინდივიდუალური მხარე მხოლოდ ურთიერთის მეშვეობით არსებობენ, ურთიერთის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. მათი ეს შინაგანი ურთიერთობა და ისიც თუ რომელი მათგანი რა სიმკვეთრით გამოვლინდება ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებაში, ღრმად ისტორიული მოვლენაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ერთდაიგივე შემოქმედებითი თავისებურება ერთ სტილში ობიექტურს, სტრუქტურულ — ასახვითს, ხოლო მეორეში ინდივიდუალურს წარმოადგენს. მაგალითად, მხატვრული მსოფლშეგრძნების რაციონალური ხასიათი კლასიციზმში, როგორც ცნობილია, ვლინდება როგორც სისტემა, მაშასადამე, როგორც მეთოდისეული, ასახვით-სტრუქტურული მოვლენა. იგივე თვისება, ასახული რომელიმე რეალისტი მწერლის შემოქმედებაში, ინდივიდუალური მოვლენაა. გრძნობის, ემოციურის პრიმატიც, დამახასიათებელი რომელიმე რეალისტი ლირიკოსი პოეტისათვის, ინდივიდუალური მოვლენაა, მაშინ, როდესაც იგივე თვისება ამტყველებული რომელიმე დეკადენტურ მიმდინარეობაში, სადაც ის ამ უკანასკნელის ყოველ წარმომადგენლებთან შეორდება, მაშასადამე, სისტემის სახით არის წარმოდგენილი, ეპოქისეულია, ასახვითაა. იგივე შეიძლება ითქვას თემატიკის ხასიათის შესახებაც.

მაგალითად, ცნობილია რომ ლიტერატურის ისტორია, თითქმის არცერთ დროს არ იცნობს, რომელიმე მხატვრის, ანდა საერთოდ ქალის მარადიული თემა არ გამოეხატოს თავის პოეზიაში. ეს გასაგებბიკაა, რადგან აღნიშნული თემა რეალური გრძნობის ის სფეროა, რომლის ცეცხლს ყოველთვის ეწირება ადამიანთა განცდებისა და სიცოცხლის გარკვეული ნაწილი. იგი, ბუნებრივია, პოეტის ცხოვრებაშიც პოულობს თავის ადგილს და ამიტომ პოეზიაშიც ისახება. მაგრამ არიან ისეთი პოეტები, რომელთა სიმღერა ამ თემას იცნობს ერთადერთი, ან ერთ-ერთი ძირითადი მოტივის სახით. და თუმცა საერთოდ თემატიკის მოძრაობის (განვითარების) განმსაზღვრელ ხელოვნებაში, საბოლოო ანგარიშში, სოციალური სინამდვილე წარმოადგენს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იქნებოდა დიდი შეუსაბამობა, რომ აკაკის ან მაიაკოვსკის შემოქმედებაში, ეს მოტივი „სოციალური საჭიროებით“ და მიზეზებით აგვეხსნა. აგრეთვე, ჩვენ ვერ მივალწვევდით დადებითს შედეგს ვერც მაშინ, თუ იმ პოეტთა შემოქმედების განხილვისას, რომელთათვის ეს მოტივი სისტემის სახით არის დამახასიათებელი, არ გავცილდებით ხელოვანის პიროვნებას და ამ თემატიკური თავისებურების, შეიძლება არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ნამდვილსამშობლოს არ მიუთითებდით ეპოქის ხასიათში.

ამრიგად, სტილის ასახვით — სისტემატურ და ინდივიდუალურ მხარეთა ბუნება უპირველად კონკრეტულ-ისტორიული ხასიათისაა და ამიტომ მათი ანალიზიც ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას მოითხოვს.

დასასრულ, აქვე საგანგებოთ უნდა მიეთითოს იმ გარემოებასაც, რომ ის რაც აქამდე ითქვა ხელოვნების ისტორიის შესახებ, სავსებით ცხადს ზღის სპეციალურ ლიტერატურაში დაკვიდრებულ შემდეგი ტრიალის არსებით ნაკლს: მეთოდის, მიმართულღ-

ბ ა, ს ტ ი ლ ი. ეს ტრიადა ერთ შემთხვევაში ემყარება იმ გარემოებას, რომელიც უარყოფს შემოქმედებითი ინდივიდუალობის არსებით მნიშვნელობას; მეორე შემთხვევაში კი იმ თვალსაზრისს, რომელიც სტილისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის იგივეობას აღიარებს, ამიტომ ჩვენი აზრით, იგი უნდა შეიცვალოს შემდეგი ლოგიკურად თანმიმდევრული წყობით: მ ე თ ო დ ი, მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ა, ს ტ ი ლ ი. მოვლენათა სრული სახით გათვალისწინებისას კი ასეთ წყობას მივიღებთ: ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ა რ ს ი, ე პ ო ქ ა, მ ე თ ო დ ი, მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ა, ს ტ ი ლ ი.

ძირითადად ასეთია მხატვრული სტილის საფუძვლები და არსი ზოგადი თვალსაზრისით (ესთეტიკის თვალსაზრისით.)

• • •

ახლა განვიხილოთ საკუთრივ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სტილის არსი. როგორც ცნობილია, ლიტერატურის ყოველი ნაწარმოების ფორმა წარმოადგენს სპეციფიკურ კომპონენტთა ერთობლიობას. ლიტერატურულ ნაწარმოებთა თვით ეს სპეციფიკური კომპონენტები კი სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ რომელი გვარისა და ენის ჩმნილებასთან გვაქვს საქმე, რომანი და ლირიკული ლექსი ამ მხრივ მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან: ლირიკული ნაწარმოები ხასიათდება მთელი რიგი ისეთი სპეციფიკური კომპონენტებით, რომლებიც რომანში, საერთოდ პროზაულ ნაწარმოებებში არ გვხვდება. აღნიშნულის გამო ენრიკ ფორმის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, თუმცა იგი ნაწარმოების უშუალო კომპონენტი არ არის.

მაგრამ ყველაფერი ეს მხატვრული ფორმის ერთ მხარეს შეადგენს. მეორე

მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ კომპონენტთა მთლიანობა მხატვრულ წარმოსახვას ეფუძნება, ახდა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით არსებითად მხატვრული წარმოსახვის სახით გვევლინება. ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოების სპეციფიკური კომპონენტები შესატყვისი მხატვრული წარმოსახვის კომპონენტებიც არის. ამასთან, მხატვრული ფორმა, თავისთავად ცხადია, ლიტერატურაშიც სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმაა, მაშასადამე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ვლინდება როგორც სინამდვილის განსახიფთღების აუცილებელი საფუძველი, სფერო. ფორმის ეს ზოგადი ობიექტური საზღვრები და ბუნება ლიტერატურის ყოველ ნაწარმოებში გარკვეულ შემოქმედებით კონკრეტირებას განიცდის, მკვეთრად თავისებურ კონკრეტულ სახეს იღებს. ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ ამ კონკრეტულობის განსაზღვრული ფაქტორები, ერთი მხრივ, ეპოქისეულის (უშუალოდ შემოქმედების მეთოდს) ხოლო, მეორე მხრივ ინდივიდუალურის (ხელოვანის სუბიექტური სამყაროს) სახით. ვნახეთ ისიც, რომ ეპოქისეულს წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ისტორიული არსის ის სფერო, რომელიც საერთოა ერთიდაიგივე მეთოდისა და მიმართულების გამოშატველ ხელოვანთათვის, ხოლო ინდივიდუალურს ის, რაც ამ ხელოვანთა განასხვავებს ურთიერთისაგან. მაშასადამე, ლიტერატურის ნაწარმოების მხატვრული არსი, ფორმა, წარმოადგენს ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი მხატვრულობის ზოგადი კანონზომიერების კონკრეტულ შემოქმედებით გამოვლენას, გაპირობებულს ეპოქისეული ესთეტიკურა იდეალისა (ეპოქისეული შემოქმედებითი პრინციპებისა, მეთოდისა), ეროვნული ფაქტორისა და ხელოვანის შემოქმედებითი პოტენციის მთელი სუბიექტური სამყაროს ერთობლივი შემოქმედებით. ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების ზოგადი კანონზომიერების გამოვლენის სწო-

რედ ეს კონკრეტული ისტორიული ფორმები, სასებობანი წარმოადგენს სტილს.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით კერძოდ ლირიკული ნაწარმოებები.

ცნობილია, რომ ლექსის ფორმა გარკვეული სპეციფიკური კომპონენტების მთლიანობას წარმოადგენს. ეს კომპონენტებია: პოეტური ენა, რიტმი, კომპოზიცია, ბეგრითი ორგანიზაციის (შეწყობის) ფორმები (რითმა...), მელოდიურობა და სხვა. მათი მთლიანობის საფუძველი კი მხატვრული, პოეტური წარმოსახვაა, რომელიც პროზისათვის დამახასიათებელ წარმოსახვებთან შედარებით უფრო ამაღლებული, ემოციური და მძაფრი ხასიათისაა. ეს უქანასკნელი თავისებურება განსაკუთრებულად მკვეთრად ვლინდება ლირიკულ ლექსებში თავიანთი ქანრული თავისებურების გამო. ცხადია, ლირიკული ნაწარმოების ფორმის მთელი ეს სპეციფიკური ბუნება გარკვეული ასახვითი ფუნქციით ხასიათდება, ყოველთვის ანსახიერებს გარკვეულ გრძნობებს, სულიერ განწყობილებას, მისწრაფებასა და დამოკიდებულებას, რითაც ამ გრძნობებისა და განწყობილებათა აღმძვრელ სინამდვილეს განასახიერებს. ყოველი პოეტური ნაწარმოების არსებობა და ესთეტიკური მონაცემები აქ აღნიშნულ მომენტთა შინაგანა ერთიანობით ისახლვრება. ამავე დროს, როგორც ეს კომპონენტები, ისე მათი მთლიანობის გომხატვრულება — პოეტური წარმოსახვა, ორ მხარეს მოიცავს: ზოგად კანონზომიერებასა და ამ უქანასკნელის გამოვლენის კონკრეტულ ფორმებს, რომლებიც შინაგანი კონტრასტების მომცველი ისტორიული პროცესით ხასიათდება. ამიტომაც, რომ, მაგალითად, რიტმს როგორც ლექსის აუცილებელ სპეციფიკურ პირობას, ერთნაირად ვხედავთ რუსთაველისა და ბართააშვილის, პუშკინისა და ვ. მაიაკოვსკის, გრ. ორბელიანისა და აკაკის შემოქმედებაში. ამასთან, ყველა შემთხვევაში რიტმი წარმო-

დგენილია როგორც „პოეტური მატყველების“, ლექსის ფორმის შემადგენელი. ერთი სიტყვით, რიტმის ზოგადი კანონზომიერება დასახელებულ პოეტთა ყოველ ნაწარმოებში, საერთოდ ყოველ პოეტურ ქმნილებაში გვაქვს მოცემული. მაგრამ, ამავე დროს, ყველა აღნიშნულ შემთხვევაშივე რიტმი გარკვეული მკვეთრი თავისებურებითაც ვლინდება, სხვადასხვა ხასიათისა და სიღრმის ასახვითი და ესთეტიკური ლირსებით ხასიათდება¹.

ამრიგად, ლირიკული პოეზიის ფორმას აქვს თავისი საერთო — საყოველთაო სპეციფიკური არსი, ობიექტური კანონზომიერება, რომელიც ყველა ეპოქისა და ერის პოეზიის აუცილებელი საფუძველია და თავის დამოუკიდებელ (ცხადია, ზოგად) ესთეტიკურ შინაარსს, სახეს მოიცავს. მეორე მხრივ, ლირიკის განვითარების პროცესში ეს ზოგადი სპეციფიკური კანონზომიერება სხვა-

¹ აქ საგანგებოდ უნდა შევიჩინოთ რიტმის ზოგადი კანონზომიერების შესახებაც, რადგან ეს უქანასკნელი ჩვენი აზრით, სწორად არ შექმნდა სპეციალურ ლიტერატურაში. მაგალითად, რიტმს ჩვეულებრივ განსაზღვრავენ როგორც მხედილიანი და უმხედილო მარცვლებისა და პუნქტების კანონზომიერ გამეორებას. ეს განსაზღვრა ვერ გამობატავს რიტმის არსს. ეს იმიტომ, რომ მხედილი და უმხედილო მარცვლების კანონზომიერი მონაცვლეობა მხოლოდ ტონური ლექსის რიტმისათვის არის ნიშანდობლივი. ამასთან, თუ რიტმს ვაივებთ როგორც მხოლოდ მარცვალთა და პუნქტთა მონაცვლეობას, მაშინ იგი უნდა განემარტოთ როგორც მარცვალთა გარკვეული წყობის (სისტემის) ერთეულთა და პუნქტის კანონზომიერი გამეორება (მონაცვლეობა). მაგრამ საქმე იმაშია, რომ მარცვლებისა და პუნქტების აქ აღნიშნულ მონაცვლეობა რიტმის მხოლოდ ერთგვარ სქემას, ჩონჩხს შეადგენს. მოვლინის სქემა, ჩონჩხი კი, როგორც უნდა იყოს, არასოდეს არ უღრის თვით მოვლენას. პოეტური რიტმიც არსებითად მერტული სქემების მერტველებით გამოვლენაში, „მერტველებით სამოსელში“ ვლინდება, რის გამო იგი მხატვრული მერტველების გარკვეულ სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს. ამიტომ რიტმი უნდა განისაზღვროს როგორც თანზომიერი მერტველებით ერთეულებისა და პუნქტების გარკვეული კანონზომიერი გამეორება, კანონზომიერი მონაცვლეობითი სისტემა.

დასხვა ისტორიული ფორმით (პოეტური სტილების განუწყვეტელი ცვალებადობის მეშვეობით) ვლინდება. უშუალო საფუძველი, რომელსაც ეს უკანასკნელი პროცესი ემყარება, არის შემოქმედების მეთოდი, ეროვნული გარემო და ხელოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ყველაფერი ეს კი ნათელს ხდის, რომ: 1. ლირიკული პოეზიის სპეციფიკური კანონზომიერება, იგივე — პოეტური ფორმის ზოგადი არსი, ობიექტური კანონები, საყოველთაოა, ყველა ეპოქისა და ერის პოეზიასათვის არის ნიშანდობლივი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არაერთად საყოველთაოა აგრეთვე ოსტატობა, შემოქმედებითი დახელოვნება, თუცა იგი ყოველთვის ემსახურება იმის განსახიერებას, რაც ცვალებადია პოეზიაში. 2. ყოველი პოეტური ნაწარმოების ფორმა წარმოადგენს პოეზიის აღნიშნული სპეციფიკური ობიექტური კანონზომიერების ეპოქისეულ და ინდივიდუალურ გამოვლენას, რის გამო მასში ზოგადისა, ეპოქისეულისა და სუბიექტურის (ხელოვანისეულის) შინაგანი მთლიანობაა მოცემული. 3. სტილის სფეროს წარმოადგენს ეპოქისეულა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის მთლიანობა, რომელიც ზემოთ აღნიშნულთან ერთად ლირიკის სპეციფიკის გამოვლენის ხაზითაც მოიცავს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი პოეტი თავის შემოქმედებაში თავისებურად ავლენს არა მარტო პოეტური ქმნილების სპეციფიკურ კანონზომიერებას, არამედ ეპოქისეულსაც. მაშასადამე, იმ მიმდინარეობასაც, რომელსაც იგი გამოხატავს თავის შემოქმედებაში. ამით აიხსნება, მაგალითად, ის მკვეთრი განსხვავება, რომელიც საერთოდ რეალისტ პოეტებს შორის არსებობს, ანდა, უფრო ცხადი მაგალითი რომ ავიღოთ, ის განსხვავებანი, რომლებიც ჩვენი თანამედროვე პოეზიის

(საბჭოთა პოეზიის) გამოქმენილ ფორმებს ახასიათებთ.

გ ი ზ ლ ი რ ი თ ე ნ ა

ამრიგად, სტილი ლიტერატურის სპეციფიკური არსის გამოვლენის სფეროს წარმოადგენს. იგი გვევლინება როგორც მხატვრული წარმოსახვის კონკრეტული კრედო, ლიტერატურის ნაწარმოების ქანრული თავისებურებისა და სპეციფიკური კომპონენტების გამოვლენის ერთობლიობა. თვით ამ კრედოს, გამოვლენას კი განაპირობებს არა მხოლოდ ეპოქა და ეროვნული ფაქტორი, ან მხოლოდ ხელოვანი, არამედ ყველა ამ ფაქტორის მთლიანობა, ერთობლივობა, დაფუძნებული პირველის (ობიექტურის) საფუძველზე.

ლიტერატურულ ნაწარმოებთა სტილი, შესაბამისად აქ მითითებულ ფაქტორებისა, ორ მხარეს მოიცავს: ობიექტურს (ასახვით, სტურუქტურულს, მეთოდისეულს) და ინდივიდუალურს (სუბიექტურს), რაც არსებითად პირველის ინდივიდუალურ შემოქმედებით განხორციელებად გვევლინება. პირველი არის ის, რაც ურთიერთთან აკავშირებს ერთდაიგივე მეთოდისა და მიმდინარეობის გამომხატველ მწერლებს და სიტემის სახით არის მოცემული ამ მწერალთა შემოქმედებაში. სტილის სწორედ ამ მხარეს გულისხმობს ცნებები: რეალისტური სტილი, ნატურალისტური სტილი და ა. შ. მეორე მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობაა, რომელიც ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკურ კომპონენტს შეადგენს და გულისხმობს იმ თავისებურებათა ერთობლიობას, სისტემას, რომლებიც ერთიდაიგივე ეპოქის, იდეების, მეთოდისა და მიმდინარეობის გამომხატველ მწერალთა შემოქმედებას განასხვავებს ურთიერთისაგან, მაშასადამე, მწერლის შემოქმედებით „მეს“, საკუთრებას შეადგენს.



16876 კვანძაიძე

სერგო ორჯონიკიძე — ჟურნალისტი

სერგო ორჯონიკიძე, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც პროლეტარული რევოლუციონერი, ლენინის უახლოესი და უერთგულესი მოწაფე და თანამებრძოლი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე. რომელმაც მთელი თავისი, ლამაზი, შინაარსიანი სიცოცხლე და მგზნებარე გული მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საქმეს შეაღია.

სერგოს ჟურნალისტური მოღვაწეობა, შეიძლება ითქვას, აქამდე თითქმის არ ყოფილა ცნობილი. 1962 წ. მოსკოვში გამოცემული გ. კ. ორჯონიკიძის ბიოგრაფია (ავტორები ვ. ს. კირილოვა და ა. ი. სვერდლოვი) გვაუწყებს, რომ ადგილობრივი რევოლუციური მოძრაობისათვის ზელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად პარტიის მიერ ირანში გაგზავნილი ოცდაათი წლის სერგო სისტმატურად ათავსებდა წერილებს ირანის ვითარების შესახებ მაშინდელ ქართულ ჟურნალ „სხივში“ და გაზეთებში „ახალი სხივი“ და „ჩვენი გაზეთი“, როგორც მათი საკუთარი ცორე სპონდენტო.

ჩვენ განსაკუთრებით დაგვიინტერესა სერგო ორჯონიკიძის ბიოგრაფიის ამ აქამდე ნაკლებად ცნობილმა მხარემ და შევეცადეთ შეგვესწავლა იგი, რათა გავგერკვია სერგოს, ჟურნალისტური მუშაობის ხასიათი, წერის მანერა და სტი-

ლი, ნათელგვეყო მისი ჟურნალისტური აღლო ე. ი. უნარი პრავალ ამბავთა და მოვლენათა შორის ყველაზე მთავრისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანის დანახვისა და მისი საინტერესოდ, სიმახილით გადმოცემისა.

მივმართეთ არქივს, გადავითვალიერეთ სერგოს ბიოგრაფიაში მოხსენებული ქართული ჟურნალ-გაზეთების „სხივის“, „ახალი სხივისა“ და „ჩვენი გაზეთის“ 1910 წლის კომპლექტები, მაშინდელი გაზეთი „მომაიალო“.

პერიოდული პრესის ამ ორჯონიკიძეზე მოთავსებულია ახალგაზრდა სერგო ორჯონიკიძის — ამ ჟურნალ-გაზეთების „საკუთარი კორესპონდენტის“ ვრცელი კორესპონდენციები: „სპარსეთის ვითარება“, „წერილი სპარსეთიდან“ და „წერილი რეშტიდან“ — „სერგო კლდისძირელისა“* და „სერგო კლდისპირელის“ ფსევდონიმებით „ახალ სხივში“ კი გარდა ამ წერილებისა მოთავსებულია ნარკვევების სერია სათაურით — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ „გურჯი სერგოს“ ფსევდონიმით.

„გურჯი სერგოს“ ნარკვევების — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ — ბეჭდვა იწყება 1910 წლის 6 თებერვალს და გრძელდება 17 მარტამდესულ გამოქვეყნებულა 9 ნარკვევი.

* კლდისძირი ეწოდება იმ უბანს სოფლორეშეში, სადაც სერგო ორჯონიკიძის მშობლები სახლობდნენ.

თვითუღს უკავია 1,5-2 სარდაფი. რედაქციას ამ ნარკვევებისათვის ასეთი შენიშვნა წარუმიღვარებია: „ვბეჭდავთ ამ წერილებს უცვლელად. მისი ავტორი — გურჯი სერგო — ერთი აქტიური მონაწილეთაგანია სპარსეთის რევოლუციისა. თვით წერილებს, როგორც მკითხველი დანიხავეს, მებრძოლის დღიურის ხასიათი აქვს: აღნიშნულია თითქმის ყველა ის ამბები, რაც თვითონ ავტორს უნახავს ან მათში მონაწილეობა მიუღია“¹ (სტილს ყველგან — აქაც და სხვაგანაც — უცვლელად ვტოვებთ — ა. კ.)

მართლაც, ეს ნარკვევები ნამდვილად წარმოადგენენ ირანის მაშინდელი რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილის, ქვეყნის ვითარებაში კარგად გარკვეული ადამიანის მიერ პირადად ნახული და განცდილი ამბების ზედმიწევნითი სიმართლით და პოლიტიკური სიმბავილით აღწერას. მაგრამ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოლ შევჩებებით.

* *

მანამდე კი ერთი პატარა მოგონება:

როდესაც სერგო ორჯონიკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის მასალებს ვეცნობოდი, გამახსენდა ჩემთვის დიდად სამახსოვრო ერთი პირადი შეხვედრა ამ შესანიშნავ ადამიანთან. ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც გარემოებისაგან იყო, თუ შემთხვევისაგან, 19 წლის ჰაზუქმა პირველად შევვდი ფეხი სავაზეთო მუშაობის ასპარეზზე. ამ შეხვედრამ ვადაწყვიტა ჩემი ცხოვრების მთელი შემდგომი გზა-კვალი და ჟურნალისტური საქმიანობაში ჩამება.

ეს ამბავი ასე მოხდა:

გაზეთში მუშაობას სრულებითაც არ კაპირებდი, იურისტის პროფესიით ვიყავი ვატაკებული და უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაგრამ იმ დროს ხელმოკლე სტუდენტებს ლექსმაურისათვის ზრუნვაც გვიხდებოდა. სამუშაოს ძებნა-

ში „კომუნისტის“ რედაქციას მივადექი და ქრონიკორად დავუწყე მუშაობა.

მაშინ „კომუნისტში“² ორი ჩვენებური, ხარავოულელი კაცი მუშაობდა: რედაქტორი ნიკო კიკნაძე, ბოლშევიკი 1903 წლიდან, ლენინისა და მისი ოჯახის პირადი მეგობარი, უღარესად სპეტაკი ადამიანი, დაუღალავი, უანგარო მუშაკი, მეორე იყო „პარტიული ცხოვრების“³ განყოფილების გამგე ვანო ბუაჩიძე. სწორედ მათ ამაღმევიჩენეს ფეხი, როგორც ჟურნალისტს. გარკვეული დაწესებულებები მომიჩინეს, საიდანაც საინტერესო ამბები უნდა მიმეწოდებინა გაზეთისათვის.

უკვე კარგად ვიყავი გარკვეული სარედაქციო საქმეებში. ერთხელ ნიკომ მიმიხმო, მოზრდილი კონვერტი გადმომცა და დამავალა სერგო ორჯონიკიძისათვის მიმეტანა ბინაზე, ახლანდელ გატაბიძის ქუჩაზე.

სერგო მაშინ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ცოტა არ იყოს, შემეშინდა ასეთ დიდ კაცთან მისვლა. ნიკომ ეს უთუოდ შემატყო და გამამხნევა, მიუტანე და უთხარი, რომ ჩემგან ხარ. რა უნდა მექნა, წავედი, მაგრამ ვაი ისეთ წასვლას! მივდივარ და ფეხები უკან მრჩება. თანაც ვესჯელობ ჩემთვის: როგორ მივმართო? ხომ ვერ ვეტყვი ამხანაგო, — რა ჩემი ამხანაგია ამოდენა კაცი. ბატონო, — ამასაც ვერ ვეტყვი კომუნისტ კაცს. მამის სახელით მიმართაც არ შემიძლია. მართალი გითხრათ, არც ვიცოდი, რა ერქვა მამამისს და არც იყო იმ ხანად ხმარებაში ახლანდელი „ჩიხები“⁴ მიმართვად. მრავალი მაშინდელი ხელმძღვანელი მუშაკი მახსოვს და არავინ არ მიმართავდა მამის სახელით. მიხა ცხაკაია, უბრალოდ ამხანაგი მიხა იყო, მიხა კახიანი — მიხა, მამია ორახელაშვილი — მამია, ვანო სტურუა — ვანო, ბესო ლომიძე — ბესო, ფილიპე მახარაძე — ფილიპე და ა. შ. ⁵

მივედი, დავრეკე. კარი ქალმა გაძიღო. იგი სერგოს მეუღლე — ზინა გამოდგა. მოვახსენე ვისგანაც ვიყავი. მიმი-

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ. 6 თებერვალი.

წვია. ვგრძნობ ფერ-ფერი მიმდის. უბრალოდ მორთულ ოთახში შემიყვანა:

— სერგო, შენთანაა ნიკოსაგან, — უთხრა ქმარს და გავიდა.

სერგო, ეტყობოდა, შეუძლოდ იყო და ისვენებდა. აბა, ვინ არ შემატყობდა, რომ ვლელავდი და... ამ დროს საოცრად ნაცნობი, მშობლიური ხარაგოულური კილოთი მესმის:

— გამარჯობა, ბიძიკო შენი, რა გვარი ხარ, სადოური ხარ, ბიძია შენე? — ეს სიტყვები ისე მახლობლად, ისე შინაურულად ჩამესმა, რომ მთელი ჩემი შიში და მღელვარება ერთბაშად გაქრა. დიდი ხნის ნაცნობ კაცთან ვიგრძენი თავი.

ვუბასუხე, ვინც ვიყავი და საიდანაც ვიყავი.

— ბიჭოს, ჩვენ მეზობლები ვყოფილვართ!

სერგომ გამომკითხა სად ვმუშაობ, რას ვაკეთებ. ვუბასუხე, რომ უნივერსიტეტში ვსწავლობ და ამავე დროს გაზეთში ვმუშაობ.

— კარგია, რომ სწავლობ, გაზეთში, რომ მუშაობ, ეს კიდევ უკეთესი. თუ ამ საქმეს სეროიზულად მოეკიდები, ძალიან კარგი იქნებაო — მითხრა.

გულწრფელად გავუტყდი, რომ იურისტობა მინდოდა, ხოლო გაზეთში თავის გასატანად ვმუშაობდი.

— მე კი გაზეთში მუშაობას გირჩევდიო — მითხრა, — რასაკვირველია, თუ გაინტერესებს და წერაც გეხერხებაო, თანაც დასძინა — მე გამომიციდია, ერთ დროს მეც ვკორესპონდენტობდიო.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ იურისტობაზე აღარ მიფიქრია, გაზეთს შევრჩი და ოცდაჩვიდმეტი წელი ვემსახურე ამ, მართლაც, მეტად საინტერესო და სასარგებლო საქმეს, რომელიც გულით შევიყვარე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიმწარე მიგემნია და ბევრი ღამეც თეთრად მითენებია. მაგრამ გულწრფელი სიხარულიც, ნამდვილი შემოქმედებითი სიხარულიც ბევრი მინახავს.

„ერთ დროს მეც ვკორესპონდენტობდიო“. — სერგოს ამ სიტყვებისათვის

მაშინ რომ ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა გამახსენდა, როდესაც ერთხელან გამოგზავნილ მის წერილებსა და ნარკვევებს ვიხილავდი. გამახსენდა, გამეხარდა და სიამაყის გრძნობით ავივსე; ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ამ ერთ-ერთმა თავკაცმა დამილოცა გზა იმ დიდ და საპატიო საქმეში, რასაც საბჭოთა, ბოლშევიკური ჟურნალისტიკა ჰქვია და რომელსაც გულწრფელი სიყვარულით და თავდადებათ ვემსახურე მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებშიც, დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებშიც და მას შემდეგაც.

* * *

ახლა კი, იმის გასარკვევად, თუ რა მიზეზებმა ჩაიყვანეს სერგო ირანში და როგორ მოხვდა იგი იქ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ირანის მაშინდელ ვითარებას და განსაკუთრებით იმ ამბებს, რომლებიც იქ 1905—1910 წლების პერიოდში მოხდა.

როგორც ცნობილია, რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციამ ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში და გარკვეული გავლენა იქონია აღმოსავლეთის ხალხთა შეგნებაზე. მან რევოლუციურად დაარსა და აამოძრაო ისინი. „რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიის „ახლის გამოღვივება“, — დემოკრატიული რევოლუცია მოედო მთელ აზიას — თურქეთს, სპარსეთს, ჩინეთს“¹.

ყველგან აზვითდა ეროვნულ-გამათვისუფლებელი მოძრაობის მძლავრ ტალღა. ხალხი ამოძრავდა დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ, ფეოდალური და კოლონიური ჩაგვრისაგან თავის დასაღწევად, მონობის უღლის გადასადგებად, ნანატრი თავისუფლების მოსაპოვებლად. რუსეთის პირველმა რევოლუციამ აღმოსავლეთის ქვეყნებს შო-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4, გამ. ტ. 19. გვ. 79.

რის ყველაზე დიდი გამოძახილი ირანში ჰპოვა, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში — ირანის აზერბაიჯანში. ეს გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ირანის აზერბაიჯანი უშუალოდ ემიჯნება ამიერკავკასიას, საკუთრივ ჩრდილოეთ აზერბაიჯანს, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა. ირანის ეს პროვინცია ახლოსაა პროლეტარულ ბაქოსთან, სადაც მაშინ მრავალი მუშა ჩამოდიოდა ირანის აზერბაიჯანიდან ლუკმაპურის საშოვნელად. ირანში დაბრუნებული ეს მუშები უმრავლეს შემთხვევაში უკვე ნაზირები იყვნენ რევოლუციურ იდეებს და მათ რევოლუციური ბრძოლის გარკვეული წრთობა ჰქონდათ მიღებული. ირანელ მუშებს სამშობლოში მოჰქონდათ პროლეტარული სულისკვეთება და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის პროგრესული იდეები.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციის პირველი გამოძახილი მაშინდელ ირანში იმით გამოიხატა, რომ 1905 წლის დეკემბერს თეირანსა და სხვა ქალაქებში გაიმართა სტიქიური მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებშიც მშრომელ ხალხთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო ბურჟუაზიული ელემენტებიც — ვაჭრები და სამღვდლოება. მასები მოითხოვდნენ შაჰის შეუზღუდავი უფლებების შეკვეცას პარლამენტით. მართლაც, ხალხის მოძრაობით შეშინებულმა შაჰმა მოზაფარ-ედინმა 1906 წლის აგვისტოში მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევის ბრძანებულება გამოსცა და რუსი მეფის წაბაძულობით ხალხს კონსტიტუცია უბოძა.

მეჯლისი და კონსტიტუცია სავსებით აკმაყოფილებდა პრივილეგირებულ კლასებს, მაგრამ არ შეელოდა მშრომელ ხალხს. დაიწყო გლეხობის ანტიფეოდალური მოძრაობა. მან განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი მიიღო ჩრდილოეთ პროვინციებში. 1906 წლის მიწურულიდან მთელ რაიონში დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატი-

ული ორგანოების (ენჯომენტის) შექმნა. ამავე პერიოდს დაჭმუნება ირანის პირველი სოციალ-დემოკრატიული რევოლუციების ჩასახეც. რევოლუციური მოძრაობა ვითარდებოდა და უფრო და უფრო მეტ მშრომელთა მასებს იზიდავდა. მაგრამ რეაქციასაც არ ეძინა. მან დასახმარებლად მოუხმო ინგლისის იმპერიალიზმსა და რუსეთის თვითმპყრობელურ ხელისუფლებას, რომლებიც ირანს ისედაც თავის კოლონიად მიიჩნევდნენ. ინგლისმა და რუსეთმა ირანი გაელენის სფეროებად გაიყვეს და შიგთავიანთი ჯარები შეიყვანეს: ინგლისმა — სამხრეთ რაიონებში, ხოლო რუსეთმა — ჩრდილოეთში-ირანის აზერბაიჯანსა და გილანის პროვინციაში.

არც ირანის კონსტიტუციას უარსებნია დიდხანს. რუსეთში რეაქციის გამარჯვებით წაქეზებულმა ირანის ახალმა შაჰმა მამად-ალიმ, კახაკთა რუსული ბრიგადის დახმარებით, რომელსაც მეფის სატრაბი პოლკოვნიკი ლიახოვი მეთაურობდა, რევოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა და რუსული რეაქციის ზარბაზნებით მეჯლისი დაარბია. მეფის თვითმპყრობელობამ აქაც გასაოცარი სისასტიკით შეასრულა ხალხთა ჯალათის როლი. ლიახოვის კახაკები წარმოუდგენელი სისასტიკით ქლელდნენ ირანელ რევოლუციონერებს. ვ. ი. ლენინი სათანადოდ გამოეხმაურა ამ ამბებს. „იპონელთა მიერ სამარცხვინოდ დამარცხებული რუსეთის მეფის ჯარებით, — წერდა ის სტატიაში „ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში“, — შურს იძიებენ კონტრრევოლუციის სამსახურში გულმოდგინების გამოჩენით. რუსეთში ხალხის მასობრივი დახვრეტის, დამსჯელი ექსპედიციების, ცემა-ტყეპისა და ძარცვის სავშირო საქმეებს მოსდევს იმავე კახაკების სავშირო საქმეების ჩასახშობად“.¹ მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე იქვე შენიშნავდა, რომ შექმნილ პირობებში სპარსეთის რეაქციის ტრიუმფი

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამ. ტ. 15, გვ. 209.

„მხოლოდ ახალ საბაზო აჯანყებათა შესავალი აღმოჩნდება“¹.

და მართლაც, მეჯლისის დარბევის ამბავმა და ლიბოვისაგან ხალხთა წარმომადგენლების დაუნდობელმა ყაჩაღურმა დევნამ მთელი ირანი აღაშფოთა. სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანაში რეაქცია მძვინვარებდა, ბურჟუაზიამ თავარიზში აჯანყების დროშა ააფრიალა. ამ დროშის გარშემო დაირაზმა მთელი რადიკალური დემოკრატია და ზოგიერთი მემამულე-ხანიც კი, რევოლუციური ბრძოლის ცენტრად ირანის აზერბაიჯანი იქცა. აზერბაიჯანელმა რევოლუციონერებმა სისტემატად ბრძოლა გაუმართეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილ შაჰის ჯარებს. ამ ბრძოლას მეთაურობდა ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ირანის სახალხო გმირი სათარ-ხანი. იგი წარმოშობით ირანის აზერბაიჯანელი იყო და ადრე მუშად მუშაობდა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში, კერძოდ, ბაქოს ნავთის სარეწებზე, სადაც მონაწილეობას იღებდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. სათარ-ხანი მუსულმანთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „ქუმმეთის“ წევრი იყო. 1905—1911 წლების ირანის რევოლუციის წინა ხანებში და დასაწყისში იგი მეთაურობდა პარტიზანულ რაზმს და ეწეოდა ბრძოლას ირანის რეაქციული ხელისუფლების წინააღმდეგ. 1908—1909 წლებში სათარ-ხანი თავრიზში სათავეში ჩაუდგა რეაქციის წინააღმდეგ აჯანყებას, რომელიც კონსტიტუციის აღდგენას ისახავდა მიზნად.

კავკასიელი რევოლუციონერები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები მხურვალედ გამოეხმაურნენ სპარსეთის ამბებს. ისინი ფიზიკად და დამაბულად აღდგებდნენ თვალყურს მოვლენათა განვითარებას ირანში და შექმნეს თავარიზის რევოლუციის ხელშემწყობი ჯგუფი.

„თარიზის აღვირახსნილი კოლონი-

ზატორული პოლიტიკა ირანში, მეფის სატრაპებისა და მათთვის დაქვემდებარებული ჯარების ბოროტმოქმედებას რუსული საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილის მრისხანე გულისწყრომას, მრავალჯეროვანი ამიერკავკასიის ფართო საზოგადოებრივი წრეების აღშფოთებას იწვევდა. თბილისში, ბაქოში და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სხვა ქალაქებში, ირანის ხალხის დასახმარებლად აგროვებდნენ სახსრებს, ათეულობით მოხალისე მიდიოდა ამიერკავკასიიდან ირანში სურვილით—დახმარებოდნენ ირანის რევოლუციას. ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციები ირანში გზავნიდნენ თავიანთ მუშაეებს. ირანის რევოლუციას ყველაზე მხურვალედ ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები, „ქუმმეთის“ ორგანიზაცია. ბაქოში შექმნილი იყო სპეციალური კომიტეტი ირანელი რევოლუციონერებისათვის დახმარების გასაწყვეად, რომელშიაც თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ნ. ნ. ნარიშკინი და მ. ა. აზიზბეკოვი. 1909 წლის შემოდგომაზე ბაქოდან ირანს გაემგზავრა ბოლშევიკების ჯგუფი გ. კ. ორჯონიკიძის მეთაურობით“¹.

ეს იმ დროს მოხდა, როდესაც კონტრრევოლუციურმა ძალებმა იერიში მიიტანეს რევოლუციური თავარიზის წინააღმდეგ და ლამობდნენ სისხლში ჩაეხშოთ ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. მაშინ, როცა შაჰის ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ აზერბაიჯანში, აჯანყებამ იმეტოქა გილანში. გილანელმა რევოლუციონერებმა 1909 წ. 8 თებერვალს აიღეს ქალაქი რეშტი. ამ ბრძოლაში გილანელ რევოლუციონერებს დიდი დახმარება გაუწია ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ჯგუფმა სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, რომელიც ამ დროს უკვე იქ იმყოფებოდა.

რევოლუციურმა მოძრაობამ ირანის სხვა პროვინციებიც მოიცვა. რეშტის

¹ იხ. გ. კ. ორჯონიკიძე (სერგო), ბიოგრაფია, მ. 1962 წ. გვ. 40.

შემდეგ რევოლუციონერებმა აიღეს ყაზვინი და ბოლოს ირანის დედაქალაქი თეირანიც.

სიმბოლიური იყო კავკასიელი რევოლუციონერების მონაწილეობა ამ ბრძოლაში. ისინი ირანში ჩავიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიხთოვის კაზაკებმა მეჭლის დაარბიეს. ამრიგად, ირანის შაჰის კავშირს რუს მეფესთან დაუპირისპირდა ამ ორი ქვეყნის რევოლუციური ძალების კავშირი. მრავალმა კავკასიელმა რევოლუციონერმა თავი დასდო ირანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მათ შორის იყვნენ ვლადიმერ დუმბაძე, ვალიკო ბაქრაძე, სანდრო ვეშაგური, გიორგი ემუხვარი, პეტრე ფინხუა, იოსებ ცქიმიანაური, ნაცვალაძე და სხვ.¹

საბოლოოდ ირანში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა შაჰი ალი-შაჰ-მადი ტახტიდან გადააგდეს და მის ნაცვლად გაამეფეს 14 წლის უფლისწული ახმედმირზა. შეიქმნა მემამულეთა და ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ხელისუფლება. კონსტიტუცია აღდგა და 1909 წ. ნოემბერში გაიხსნა მეორე მეჭლისი.

მაგრამ ყოველივე ეს ხანმოკლე აღმოჩნდა და 1910 წლის აგვისტოში კვლავ რეაქციამ გაიმარჯვა².

„სერგომ ერთ წლამდე დაჰყო ირანში და უმეტესად მუშაობდა რეშტში — გილანის პროვინციის ცენტრში, რომელიც ირანის ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური პროვინცია იყო 1909—1910 წლებში. აქ სერგო აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში, ხშირად გამოდიოდა მასობრივ კრებებზე და მიტინგებზე, იღებდა ზომებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმ-

ნელად. სერგომ უშუალო მონაწილეობა მიიღო თავრიზისა და გილანის რევოლუციური მასების ბელადის, სათარ-ხანის მეთაურობით ამხედრებული გილანის რევოლუციური ორგანიზაციების საბრძოლო ლაშქრობაში თეირანის წინააღმდეგ, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა შაჰის ხელისუფლება“³.

ბიოგრაფიის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია სერგოს ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე, ვკითხულობთ:

„რეშტში ყოფნის დროს გ. კ. ორჯონიძემ ეწეოდა დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობას, იგი ამიერკავკასიის საზოგადოებრიობას აწვდიდა ვრცელ და ობიექტურ ინფორმაციას ირანის საქმეების, დემოკრატიულ გარდაქმნათა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ირანის ბაღის ბრძოლის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ შეკრეს პირი ირანის რეაქციულმა ძალებმა რუსეთის თვითმპყრობელობასთან, ირანში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შესახებ. 1910 წლის თებერვალ-აგვისტოში⁴ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „ახალ სხივში“, „ჩვენ გაზეთში“ და „სხივში“ ხშირად იბეჭდებოდა „ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის“ ღრმად გააზრებული, ცოცხლად და ტემპერამენტით დაწერილი სტატიები და ნარკვევები (ხაზგასმა ჩვენია — ა. კ.) სათაურებით „წერილები რეშტიდან“ ან „წერილები სპარსეთიდან“ „სერგო კლდისძირელის“ ხელმოწერით. ასეთი იყო იმ ხანად გ. კ. ორჯონიძის ლიტერატურული ფსევდონიმი“⁵.

საცხებით სწორად და მართებულად

¹ იხ. გ. კ. ორჯონიძემ (სერგო) ბიოგრაფია. შ. 1962 წ. გვ. 40.

² უნდა იყოს იანვარ-აგვისტოში. სერგოს პირველ წერილებს სპარსეთიდან ვხვდებით გაზეთ „მოშავლის“ 1910 წ. 19 და 30 იანვრის ნომრებში.

³ უნდა იყოს „საკუთარი კორესპონდენტის“. სერგოს ყველა წერილს აწერია „საკუთარი კორესპონდენტისაგან“.

⁴ იხ. გ. კ. ორჯონიძემ (სერგო). ბიოგრაფია. შ. 1962 წ. გვ. 41.

¹ იხ. Триа, Кавказские социал-демократы в персидской революции, изд. газ. «Социал-демократ», Париж, 1910. (ტრია — ვლასა მგელაძის ფსევდონიმი იყო).

² М. Павлович, С. Иранский, Персия в борьбе за независимость, М. 1925.

მიუთითებენ ბიოგრაფიის ავტორები. რომ „თავის სტატიებში გ. კ. ორჯონიკიძე იძლეოდა ირანის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ღრმა ანალიზს, დაწერილებით აშუქებდა ირანის ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლას უცხოელი დამპყრობლებისა და საკუთარი ფეოდალების წინააღმდეგ“¹.

და აი, მივადექით კიდევ ჩვენი კვლევის საგანს. — სერგო ორჯონიკიძის ეურნალისტურ მოღვაწეობას. ვნახოთ, როგორი იყო სერგო, როგორც საკუთარი კორესპონდენტი.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი თავის დროზე საკუთარ კორესპონდენტებს მიუთითებდა, რომ ყოველი კორესპონდენცია ხანგრძლივი დროისათვის უნდა იწერებოდესო! ესეიგი რა დრო-ეპოსაც არ უნდა წაიკითხო, ყოველთვის ინტერესი გამოიწვიოსო. დღეს, როცა მ. ი. კალინინის ამ სიტყვებს კითხულობთ, გეგონებათ, თითქოს მას 1910 წელს დაწერილი სერგოს კორესპონდენციები ჰქონდა მხედველობაში. ამასთან მ. ი. კალინინი ურჩევდა კორესპონდენტებს: თუ გინდათ თქვენმა კორესპონდენციამ ადამიანები ააღელვოს, მასში ცოტაოდენი. საკუთარი სისხლი ჩაურთეთო². შესანიშნავად არის თქმული!

დღესაც, 50 წლის შემდეგ, სერგო ორჯონიკიძის „წერილები სპარსეთიდან“ და ნარკვევები „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ ასეთი ინტერესით იკითხება, ეს იმით აიხსნება, რომ ავტორს მათთვის საკუთარი გულის სისხლი არ დაუჯლია.

სერგოს წერილებსა და ნარკვევებს საფუძვლად უდევს აღწერილი ფაქტის შინაარსიანობა და თემის საზოგადოებრივი ინტერესი. ამიტომ ძღერენ აქტუალურად ისინი დღესაც.

¹ იქვე.

² იხ. კრებული „ბოლშევიტსკაია პეჩატ“, ნაწ. მე-2 გვ. 306.

³ იქვე. გვ. 308.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი „წერილი“ დაბეჭდილად გამოვიდა „მაგალიტა“³.

ქალაქ რეშტიდან გამოგზავნილ ამ წერილში ავტორი ეხება სწავლა-განათლების საკითხს. ავტორს ახარებს, რომ „ამ საქმეზე რევოლუციას თავისი კეთილი გავლენა მოუხდენია“.

განახლებული სპარსეთი ჯეროვან ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლებას, — წერს კორესპონდენტი, — იგი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ სწავლა-განათლებას შეუძლია გახადოს იგი კულტურული და განათლებული ერი. ამიტომაც კონსტიტუციონალური სპარსეთი ამ ერთი წლის განმავლობაში შეუდგა სკოლების მოწყობის საქმეს. წარსულ წლამდგომ, განავრცობს ავტორი, აქ მხოლოდ „მოლების“ სკოლები“ იყო. კორესპონდენტი წერს, რომ ასეთი სკოლები ახლაც საკმარისად არსებობს, მაგრამ მათი „მანადა“ დაეცა. რომ წარსული წლიდან ყველა ქალაქში დაარსდა ნამდვილი ევროპული სკოლები. შემდეგ მოთხრობილია ამ „ნამდვილი ევროპული“ სკოლების მუშაობის ამბავი, ის, თუ რა ინტერესით ეყიდება მათ ხალხი, რომ რეშტის შვიდ ასეთ სკოლაში უკვე 800 მოსწავლე სწავლობსო და ბოლოს ასკვნის: „რა საკვირველია, ამ სკოლებსაც აქვს ჯერ-ჯერობით ნაკლი, მაგრამ ისე შეუძლებელიც არის ამჟამათ“. როგორც წერილიდან ირკვევა, მასწავლებლები არ ყოლიათ საკმარისად. ამ სკოლების განმგებელი კომისიის („მოარეფი“) პრეზიდენტ აბდულ-ზადეს, რომელსაც სერგოს პატივისცემით მოიხსენიებს, ბევრჯერ შეუნიღლია მისთვის (სერგოსათვის), რომ ერთი ხეირიანი, საქმის მკოდნე ლექტორი ვერ ვუშოვე „რეშტიესო“ (გინანია).

იმავე „წერილში სპარსეთიდან“ სერგო აღწერს „შახსიეფახსის“ და გვაუწყებს, რომ რევოლუცია ამ საშინელ ზნეჩვეულებასაც ნიადაგს აცლისო. „რევოლუციას აქაც მოუხდენია თავისი მძლავრი და განმანათლებელი გავლენა!“

შემდეგ წერილში „სერგო კლდისძირელი“ ეხება ირანში იმ დროს არსებულ საგადასახადო სისტემას, რაც უდიდეს ტვირთად აწვა ღარიბ ხალხს. — გუბერნატორს, როგორც ამ წერილიდან ვიგებთ, მთავრობა ჯამაგირს არ აძლევდა, მას „რამდენიც უნდოდა, იმდენს ახდევინებდა... დაბეჩავენებულ და გაძვალ-ტყავებულ სპარსელს“¹.

სერგო ფართოდ და ღრმად იხილავს სესხის საკითხს.

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა მწვევედ იღვა ეს საკითხი ირანის მაშინდელი მთავრობის წინაშე, საჭიროდ მივიჩნით ვრცელი ამონაწერი მოვიტანოთ ამ საკითხზე „ახალ სხივში“ მოთავსებული წერილიდან. იგი იმის შესანიშნავი ილუსტრაციაა იქნება, თუ რა ზედმიწევნით შეუსწავლია კორესპონდენტს ეს საკითხი.

„ამჟამად სპარსეთის წინ მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხი დგას, — წერს სერგო. — მეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ კითხვის დაბოლოებაზე არის დამყარებული სპარსეთის არსებობის ბედ-იღბალი. ეს კითხვაა — სპარსეთის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობის გამოკეთება. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ყოფილმა შაჰმა სპარსეთი „დაგირაგებული“ დატოვა. საუკეთესო გზატკეცილები უცხო სახელმწიფოთა ხელშია, დამოვნები დაგირაგებულია, საიდანაც შემოსავლის ორი ნაწილი რუსეთს მიაქვს და ერთი მესამედი სპარსეთს რჩება. ერთი სიტყვით, არც ერთი შემოსავლიანი წყარო არ რჩება თვით სპარსეთს. ამას ზედ ერთვის დაახლოებით 35 მილ. მანეთამდის რუსეთის ვალი, ხელ-ფეხ შემბორკველი ხელშეკრულება რუსეთთან. ამ ხელშეკრულების ძალით სპარსეთს არ შეუძლია სანამ რუსეთის ვალს არ გადაიხდის, სხვა ვალი აიღოს რუსეთის დაუთანხმებლად. ამჟამად ხაზინა ცარიელია, ხალხი ძალზე

გაღატაკებულია, სპარსეთის აღორძინება კი ფულს თხოულობს. ასეთ პირობებში უხდება მუშაობა სპარსეთის მთავრობას და მეჭლისს. ან უნდა გამოიყვანონ მათ სპარსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დღევანდელი უკიდურესი კრიზისისაგან, ანდა სპარსეთი უნდა დაილუპოს. ცხადია, მისი ადვილი არ არის. ამ ცოტა ხნის წინათ მთავრობამ მეჭლისის თანხმობით რუსეთ-ინგლისს მიმართა სესხისათვის. მთავრობამ სთხოვა მიეცა მისთვის, სანამ საბოლოოდ გამოირკვეოდეს ახალი სესხის კითხვა, ავანსად 5 მილ. მანეთი, მაგრამ როგორც ყოველთვის, ისე აქაც, ყველამ თავისი სარგებლობისაგან გასწია ხელი. მათ კარგად იციან დღევანდელი სპარსეთის მდგომარეობა და ამიტომ ისეთი პირობები წამოაყენეს, რის მიღებაც თავისი ხელით ყელის გამოჭრას ნიშნავს. მათ უპასუხეს: ფული მიირთვით, მაგრამ მის დახარჯვაზე კონტროლი ჩვენ ჩავვაბარეთო. ფული მიირთვით, მაგრამ ჩრდილოეთ სპარსეთში ჟანდარმერიის მოწყობის ნება მოგვეცითო. ასეთი პირობების მიღება კი სპარსეთისათვის დამოუკიდებლობისაგან გამომშვიდობებას ნიშნავს. ამას მიხვდა რადიკალური გაზეთი „ირანო“¹ და ბეჯითად მოუწოდა ხალხს პროტესტი გამოეცხადებინა უცხო სესხის წინააღმდეგ. მან ნათლად დაახასიათა წამოყენებული პირობები, აღნიშნა წამომყენებულთა სულსყვეთება და ასე დაათავა თავისი მოწოდება: „ჩვენი ვალია არ დავზოგოთ არაფერი სამშობლოს განსაცდელისაგან გამოსაყვანად და თუ დალუპვა აუცილებელია, დეე, დავილუპოთ ბრძოლაში!“ როგორც მკითხველებს ტელეგრამებიდან უკვე ეცოდინებათ, „ირანოს“ მოწოდება არ დარჩა „ხმათ მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მას ფიცხლავ გამოეხმაურა თეირან-შირახ-

¹ ირანული ტრანსკრიპციით ამ გაზეთ ეწოდებოდა „ირან-ე-ნოონ“. ავტორი მას მოიხსენიებს ისე, როგორც ზეპირმეტყველებაში მოისმის და ზოგჯერ „ირანოს“ წერს, ზოგჯერაც „ირან-ნოე“.

¹ იხ. „მოიავალი“, № 116, 1910 წ. 19 იანვარი.

ისპანანი, გაიმართა აღნიშნულ ქალაქებში უცხო სახელმწიფოთა სესხის წინააღმდეგ მიტინგები და ხალხმა შინაური სესხის მიცემა აღუთქვა მთავრობას. რამდენად შეასრულებენ თავიანთ დაპირებას, — ამას ასლო მომავალი გეიჩვენებს; ახლა კი მინდა აღვნიშნო, თუ როგორ მონაწილეობას იღებს რეშტი და საზოგადოდ გილანის პროვინცია ასეთ დიდ-მნიშვნელოვან კითხვის გადაწყვეტაში. რეშტმა თავისი რევოლუციური გამოსვლით იმ დროს, როცა გარეშე ძალის მეოხებით შეუძლებელი შეიქმნა ბრძოლა თავრიზში, თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა სპარსეთის რევოლუციაში. ეხლა კი სდუმს. სწორედ იმ დროს, როდესაც ირანის არსებობის კითხვა უნდა გადაწყდეს, აქ დღემდის არაფერი არ გაკეთებულა. თუ სხვა ქალაქებში ფული იკრიბება და კრებები იმართება, რეშტში ქუჩა-ქუჩა დადიან, მკერდში ხელს იცემენ. რით აიხსნება ასეთი ვულგარილობა? შეიძლება სიღარიბით? არა. რეშტი ერთი უმდიდრესი ქალაქთაგანია. აქედან გადის რუსეთიდან შემოსული საქონელი, აქ არსებობს მრავალი ამრეშუმის პარკის ქარხანა. აქედან გადის აუარებელი ბრინჯი საზღვარგარეთ. მაშასადამე, სიღარიბეზე ლაპარაკი შეუძლებელია. მიზეზი სულ სხვაა და ამაზე მინდა გადავიდე. აქ არსებული სიმდიდრის უმეტესობა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა ხელშია. (ხაზგასმა ჩვენია — ა. კ.) მაგალ., პარკის საუკეთესო ქარხნები ბერძნების ხელშია. საუკეთესო მაღაზიები რუსეთის ქვეშევრდომი სპარსელების ხელში, აგრეთვე ვაჭრობის დიდი ნაწილი სომხების ხელშია. ცხადია, არც ერთს მათ არ აინტერესებს სპარსეთის არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, მათი დევიზია — ოქროები ჯიბეში და ირანი თუნდაც ეშმაკების ხელში. ეს არც გასაკვირველია. რას შერება მკვიდრი სპარსელი, რათ არ იღებს ხმას? არ შეგვიძლია ვთქვათ, აქ არ იყონ ჯიბე ჩასქელებული სპარსელები. მათი რიცხვი

არც ცოტაა, მაგრამ მაინც სდუმს. კმასაც თავისი მიზეზი აქვს. ^{ქვეყნული} ირანის ფინანსურ მდგომარეობას სერგო მოგვიანებითაც ეხება. ეს ბუნებრივიც არის. ქვეყნის სევა-ბედისათვის ფინანსური საკითხი არსებობის საკითხია და საგსებით გასაგებია, რომ კორუპციონდენტი მას ასე დიდ ყურადღებას უთმობს, ღრმად ერკვევა მასში და აღწერს სიმართლითა და სიზუსტით. იგი მეცნიერული დაკვირვებით ანალიზს უკეთებს იმ კრიზისულ მდგომარეობას, რაც მაშინდელი ირანის ფინანსურ შეურენობაში არსებობდა.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ჟურნალ „სხივში“ დაბეჭდილი სტატია „სპარსეთის ვითარება“, რომელიც აგრეთვე მთლიანად მოგვყავს:

„სპარსეთის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა მეტად ძნელ კრიზისს განიცდის. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული დღევანდელი სპარსეთის ბედ-იღბალი. სპარსეთის ხელში არ დარჩენილა არც ერთი შემოსავლიანი წყარო, გარდა გაძვალტყავებული ხალხისა, რომელიც სულს დაფავს აუტანელი გადასახადების გამო. ამავე დროს შეძლებული სპარსელი ხანები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებად ხდებიან, ან და, თავიანთი ქონება ამ უანასკნელთა მფარველობის ქვეშ შეაქტო. მაგალითად, პრემიერ-მინისტრ სეპეხდარის ქონება რუსეთის მისიის მფარველობის ქვეშაა, იუსტიციის მინისტრის სერდარ მანსურის ქონება ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ასეთი მაგალითები მრავალია, მაგრამ ჩვენ ეს ორი მოვიყვანეთ, როგორც უფრო დამახასიათებელი. მაგალითად, წლინახევრის განმავლობაში მარტო გილანში რუსეთის ქვეშევრდომად 700-1000 კაცი გამხდარა. ამის გამო რუსეთის კონსულმა გილანში განუცხადა რუსეთის ქვეშევრდომთ, რომ მათ არ მიეკათ სპარსეთის მთავრობისათვის მიწის ბაჟი.

ყველა შემოსავლიანი წყაროები ან უცხო სახელმწიფოებსა აქეთ ხელში და ან კერძო პირებს. მაგალითად, საუკეთესო გზა-ტყევილები რუსეთისა და მის ქვეშევრდომთა ხელშია. დამოყენები იჯარით არის გაცემული ბელგიელებზე, რომლის შემოსავლის ერთი მესამედი რუსეთს მიაქვს ვალის სარგებლობაში. ამას ზედ ერთვის რუსეთთან დადებული ის შემბოქველი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სპარსეთს სხვა სახელმწიფოებთან სესხის აღების უფლება არა აქვს, ვიდრე ის რუსეთის ვალს არ გადაიხდის. რუსეთის სესხი კი დაახლოებით 35 მილიონ მანეთს უდრის.

სპარსეთის სათავეში მდგომმა მთავრობამ ჭერ-ჭერობით ვერაფერი იღონა ფინანსიური მდგომარეობის გამოსაკეთებლად. გარეშე სესხი არ მოხერხდა, რადგან რუსეთ-ინგლისმა ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ მთავრობა იძულებული გახდა სესხზე უარი ეთქვა. ვერც შინაური სესხის საქმე მიდის კარგად. ამაში ბრალი მიუძღვის მთავრობასაც, დღემდე ვერაერთი გეგმა ვერ მიაწოდა ხალხს სესხის გასანაღდეზღად. ამ ორი თვის წინათ, როცა გაზეთ „ორან-ნოვის“ მეთაურობით მთელი სპარსეთი ამოძრავდა შინაური სესხის სასარგებლოთ, შესაძლო იყო, რამე გაკეთებულიყო, მაგრამ ახლა, როცა სეპეხდარმა შინაური რევოლუციის აქენ ქნა პირი და როცა სესხზე აგიტაცია მიწუმდა, მეტათ ძნელია ამ მხრით რაიმეს გაკეთება. ეფრემის¹ მეთაურობით მთავრობამ შემოიღო აქციზი სასმელებზე, თამბაქოზე და თრიაქზე, მაგრამ ეს საქმეც მარტო თერანშია გვარიანად დაყენებული. ამ ორი თვის წინათ მთავრობა შეეცადა სხვა ქალაქებშიც შემოეღოთ იგი, მაგრამ ხალხის პროტესტმა მას უკან დაახევინა. ასე მოხდა რეშტში. ამ ბოლო ხანებში დაიგზავნა მოხელეები აქციზის მოსაწყობად, რომლებიც შეუ-

დგენენ კიდევ საქმეს, მაგრამ პროტესტი მაინც მძლავრია. აქციზის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან ინჟინერებში² სამაგიეროთ, დაშნაკეციანები³ მხარს უჭერენ აქციზს, როგორც მათი ბელადის მიერ შემოღებულს. ფინანსთა მინისტრმა სცადა მარილზე მონოპოლიის შემოღება; მაგრამ ამით შინაური მარილის ფასმა აიწია და მისი ადგილი შემოტანილმა მარილმა დაიკირა...

თუ ყველა ამასთან გაეხსენებთ, რომ სპარსეთში დღეს თითქმის არავითარი მრეწველობა არ არის, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია დღეს სპარსეთის ფინანსები, ეს უმთავრესი ძარღვი სახელმწიფოს არსებობისა (ხაზგასმა ჩვენია — ა. კ.)

ამას კარგად ხედავს გერმანიის ბურჟუაზია და ამიტომაც დაიწყო გემრიელი ლუკმისაკენ ხელის პოტინი. ხალხის სულიერი განწყობილებაც ხელს უწყობს გერმანიის გავლენის გავრცელებას. ხალხმა თავის თავის იმედი დაკარგა, რუსეთ-ინგლისს მტრულად უყურებს და ელის მესიას, მხსნელს. ასეთ მხსნელად სახავენ გერმანიასა და დიდ აგიტაციასაც ეწევიან მის სასარგებლოთ. ცხადია, რომ, თუ ერთი მხრით რუსეთ-ინგლისის პოლიტიკის მატარებელმა მთავრობამ, და მეორე მხრით, თუ თვით რუსეთ-ინგლისმა ვერ მოახერხეს გერმანიისათვის ხელის შეშლა სპარსეთში, იგი უეჭველად დიდ ბაზარს მოიპოვებს იქ. როგორც ამბობენ, გერმანიას უკვე ჩაუგდია ხელში რამდენიმე კონცესია, მაგრამ ამაზე დანამდვილებით ჭერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან საქმის ნამდვილი ვითარება საიდუმლოებით არის მოცული“.

კორესპონდენტი აყენებს კითხვას — „რას შერება ამ დროს სპარსეთის მეჯლისის (პარლამენტი), ის მეჯლისი, რო-

¹ ინჟინერები — სომეხთა წერილობრივადი პარტიის მიმდევრები.

² დაშნაკეციანები (დშნაკეციანები) — სომეხთა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის მიმდევრები.

¹ ეფრემი — ირანის ქვეშევრდომი, დაშნაკეთა პარტიის მეთაური იქ. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შევიდა მთავრობაში.

მელიც ერთადერთ იმედს წარმოადგენდა სპარსეთის მოწინავე ელემენტებისათვის? შესძლო მან მათზე დამყარებული იმედების ნაწილის მაინც გამართლება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კორესპონდენტი იძლევა ირანის მაშინდელი პოლიტიკური ვითარების ანალიზს, საიდანაც მკითხველს შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს მდგომარეობა ქვეყნისა, რომლის ხელისუფლების სათავეში მყოფ ავანტიურისტულ ელემენტებს სრულებით არ აინტერესებდათ ქვეყნისა და ხალხის ბედი, ისინი პირადი გამდიდრებისა და კეთილდღეობით უფრო იყვნენ გატაცებულნი. დემოკრატიული ელემენტები კი მეჯლისში, მართალია, მზარდ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ იმდენად მცირე რიცხოვანნი იყვნენ, რომ ვერ ახდენდნენ გავლენას საკითხების დემოკრატიულად გადაწყვეტაზე.

„უკვე ნ თვეზე მეტია, რაც მეჯლისი შეკრებილია და უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი ღირს შესანიშნავი კითხვა არ ყოფილა მისგან წამოყენებული და გადაჭრილი.

დემუტატების პარტიულად დაყოფა უკვე მოხდა. შესდგა ორი უმთავრესი პარტია: ეითედალიონი (ზომიერნი), პარტია ფეოდალ-მოლეებისა, და დემოკრატიული, ცნობილ კონსტიტუციონალისტ თალი-ზადეს მეთაურობით. ეითედალიონი დღეს შეადგენს უმრავლესობას და მეჯლისის ბედიბალიც მის ხელშია. პარტია კონსერვატიულია. იგი თითქმის ყველა კითხვებზე გაიძახის: ჯერ ეს სპარსეთისათვის ადრეაო და სეპეხდართან ხელჩაკიდებული მუშაობს. ამ პარტიის სულის ჩამდგმელნი არიან გილანის დემუტატები: მაზადულ სალტანე და ვეზირზადე. მხოლოდ, ვითომ იდეურად, ხელმძღვანელობს მას ცნობილი ავანტიურისტი რახიმ-ზადე, რომელმაც რევოლუციის დროს 5.000 მანეთი ჩაყლაპა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეითედალიონის წევრები ხანდისხან თავს სოციალ-დემოკრატებად აღიარებენ. ამას კი იმიტომ სჩადიან, რომ

ს. დ. (სოციალ-დემოკრატებს) აქ დიდი გავლენა აქვთ. ს. დ. პარტიის დღეს... აქ არ მუშაობს. მან გაუშვა... ზაციები და რეორგანიზაციას ახდენს. ეითედალიონს კი სურს ისარგებლოს მისი გავლენით, მაგრამ ამას ჩქარა მოელოება ბოლო, რადგან სოც. დემოკრატია მალე შეუდგება მოქმედებას.

მეჯლისის უმცირესობას შეადგენს დემოკრატიული პარტია. მან თავისი პროგრამა უკვე გამოაქვეყნა... და ბლოკი შეკრა დაშნაკაცანებთან ეითედალიონის წინააღმდეგ. პარტიას აქვს თავისი საკუთარი ორგანო, „ირან ნოვ“-ი. პარტია თუმცა რიცხვით მცირეა, მაგრამ იგი ხშირად სცემს თავზარს მეჯლისის უმრავლესობას. მისი მეთაური თალი-ზადე ხშირად უბნევს ხოლმე მათ გზაკვალს. ასეთ ბრწყინვალე გამოხვლათ უნდა ჩაითვალოს მისი უკანასკნელი გალაშქრება სეპეხდარის წინააღმდეგ. თალი-ზადემ გამოაშკარავა სეპეხდარის სულისკვეთება, მისი გამყიდველი პოლიტიკა, რის შემდეგაც მეჯლისმა უნდობლობა გამოუტყხადა ამ უკანასკნელს და რის გამოც სამსახურიდან გადადგომის განცხადება შეიტანა მთელმა კაბინეტმა. მაგრამ ეს მოხდა ძლიერი ორატორის პირადი გავლენით. თალი-ზადემ თავის მჭერ-მეტყველებით დაიპყრო მეჯლისი და ქედი მოახრევეინა თვით მოწინააღმდეგეებსაც-კი. მაგრამ საკმარისი იყო მეჯლისის დარბაზს გამოარბოდნენ, რომ ეითედალიონის სულის ჩამდგმელნი ცრემლთა ფრქვევით შევედრებოდნენ სეპეხდარს: არ დაგვლოპო, არ თავგანებო თავიო. სეპეხდარმაც ისმინა მათი თხოვნა და ახლა ზურგგამაგრებული დაბრუნდა თავის ადგილზე ...დღეს ეს უდიდესი ფეოდალი თავ-დაეიწყებით ებრძვის ყოველივეს, რაც ფეოდალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. იგი ებრძვის ახლათ გამოღვიძებულ დემოკრატებს; იყრებს თავის გარშემო ნათესავ-მეგობრებს; ავიწროებს ბეჭდვის თავსუფლებას და ებრძვის გერმანიის მომხრეებს; აძევებს გერმანიის პოლიტიკის

მომხრე მინისტრებს და შეეყავს სამინისტროში, ვინც მას სურს; ამ რამდენიმე დღის წინათ დახურა ორი რადიკალური გაზეთი: „შარქი“¹ და „ირან ნოვ“, თუმცა დემოკრატიის მძლავრმა პროტესტმა სამარცხვინოდ დაახვეწა მას უკან. „ირან ნოვ“-მა ყურადღება არ მიაქცია მის განკარგულებას და მორიგი ნომერი გამოუშვა. „შარქი“-ის დაკავებული ნომერიც ნება დართულ იქნა...

ყველა ამებუიდან ცხადია, რომ სამინისტრო დრომოკმულ და სასიკვდილოდ გამზადებულ ფეოდალიზმის წარმომადგენელთა ხელშია. მაშასადამე, არავითარი პროგრესი არ არის მათგან მოსალოდნელი.

რას შერება ხალხი? აი, ყველაზე უფრო საინტერესო კითხვა. ხალხის უმრავლესობა, გლეხობა დაბეჩავებულია, იგი ეკლავ ფეოდალების მონაა. მას არ მიუღია მონაწილეობა ხალხურ რევოლუციაში და ჭერჭერობით არც რაიმე სარგებელი უნახავს მისგან. სამაგიეროდ, თავს ყოფს და მოძრაობას იწყებს ქალაქის დემოკრატია. საერთოდ კი, ხალხი პესიმიზმით არის შეპურობილი, დაკარგული აქვს აღორძინების იმედი და, როგორც შევნიშნეთ, გარედან ელის შეველას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუ სხვა სახელმწიფოთა რევოლუციებმა წარმოშვეს ძლიერი პიროვნებები, რომელთაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძალა და ცოდნა შესწევდათ, — სპარსეთის რევოლუციამ ვერც ამ მხრივ შეასრულა ჩვეულებრივი მოვალეობა. მართალია, რევოლუციონური ბრძოლის დროს მან ასპარეზზე გამოიყვანა სათარხანი და ბაგირ-ხანი², მაგრამ ამას იქით ვეღარ წავიდა. ამ მოვლენის მიზეზებზე შეგვეძლო ცოტა რამ გვეთქვა, მაგრამ წერილი ისედაც გაგვიგრძელდა და ამიტომ ამაზე და ბევრ სხვა რამეებზეც ლაპარაკი ახლო მომავლისათვის უნდა გადავდოთ.³

ეს წერილები მართლაც იმის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, რაც მართალი პასუხისმგებლობით მოვიღებთა კორესპონდენტი აღებულ თემას და რა ღრმად შეუსწავლია რევოლუციის პერიოდში ირანში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება.

მართალია, რუსეთის პირველი რევოლუციის ზეგავლენას ირანში ხალხთა მასების რევოლუციური ამოძრავება მოჰყვა, მოხდა რევოლუციური გადატრიალება, მაგრამ მან შშრომელ, „გაძვალტყავებულ სპარსელს“ ვერაფერი მოუტანა. ერთმა შამშა მეორე შესცვალა. დესპოტური ტირანია, მართალია, დაემხო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია და მემამულეები მოექცნენ, რომლებიც ისევე აძრობდნენ ტყავს ღარიბ-ღატაკებს, როგორც მათი წინამორბედი ტირანები და უზურპატორები. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო, სერგოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „სპარსეთის სათავეში მდგომმა მთავრობამ... ვერაფერი იღონა ფინანსური მდგომარეობის გამოსაკეთებლად“. ამას იგი ვერც გააკეთებდა, რადგან ქვეყანა ეკონომიურად რუსეთ-ინგლისის გავლენის ქვეშ იყო მთლიანად მოქცეული და თავისი საკუთარი სახე არ გააჩნდა. მეტიც, თვით მოსახლეობაში არ იყო ერთიანობა: ზოგი რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ზოგი ინგლისის და ზოგიც ოსმალეთის, რადგანაც ეს გარკვეული პოლიტიკური და ქონებრივი პრივილეგიების შენარჩუნების მეტ გარანტიებს იძლეოდა. რა უნდა ეღონა ეგრეთწოდებულ კონსტიტუციურ ხელისუფლებას ასეთ ვითარებაში? ცხადია იგი ვერაფერს ვერ გახდებოდა, მით უმეტეს, რომ თვით პრემიერს, როგორც დავინახეთ, საკუთარი ფული რუსულ ბანკში ქონდა გადაინახული.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი ანარქია სუფევდა ამ მხრივ ქვეყანაში, დავიმოწმებთ ისევ სერგოს „ახა-

1 უნდა იყოს „შარქი“. ივარაუდება, რომ გაზეთი აქაც კორექტურულ შეცდომას უშვებს.
 2 ბაგირ-ხანი — სათარხანის თანამებრძოლი.
 3 იხ. „სხვი“ № 15. 1910 წ. 13 იანვარი.

ლი სხივის“ ხსენებულ 10 მარტის ნომერში მოთავსებულ იმ წერილს, რომელიც სესხის საკითხს შეეხება და რომელშიც ნათქვამია, რომ შინაურ სესხს ირანში წარმატება არ ჰქონდა, და არა ამ ქვეყნის სიღარიბის გამო, არამედ იმიტომ, რომ „აქ არსებული სიმდიდრის უმეტესობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ხელშია“. რის მაგალითებიც ზემოთ გვქონდა ამოწერილი.

„ამასთან შეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს რეშტელ ვაჭრებზე უცხო ვაჭართა თავაზსნილობა“, — განაგრძობს ავტორი, — და ამის ორ მაგალითს აღწერს; ჩვენ საილუსტრაციოდ ერთ მათგანს მოვიტანთ. ოსმალის ქვეშევრდომ ვინმე ბერძენ ლასკარიდის სპარსელ ვაჭრებს 4000 მანეთი მართებია. სპარსელი მისულა მასთან და ფული მოუთხოვია. ლასკარიდის უპასუხნია, ეხლა არა მაქვს და მალე მოგართმევო. როცა სპარსელი კიბუზე ჩამოსულა, მას წინ მალურებით ხელში ბაქოელი „ყოჩები“¹ დახვედრიან და მოუთხოვნიან, ამ წამს ვექსილი ამოიღე და ხელი მოაწერე, რომ 4000 მანეთი მიიღე, თორემ შენი დღეები დათვლილიაო. მასაც ვექსილზე ხელი მოუწერია და მათთვის გადაუცია. დაზარალებულს მიუმართავს პოლიცემისტერისა და გუბერნატორისათვის, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. თვით ლასკარიდი კი არხეინად გადგომია გზას საფრანგეთისაკენ.

„ასეთი მაგალითებით, — წერს კორესპონდენტი, — იმედს უყარავს სპარსელ ვაჭარს, მას არ წამს სპარსეთის აღორძინება, ის ზედავს, რომ საკმაოა სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი იქნე და შენ თარეშს მაშინ საზღვარი აღარ

¹ სპარსეთის რევოლუციამ ბევრი ავანტურისტული მიიზიდა, ვითომ რევოლუციის დასაზმარებლად, მაგრამ უფრო ხელის მოთხოვნის მიზნით. ასეთები იყვნენ ბაქოდან იქ ჩასული ხელიდან ავანტურისტ პანოვის მეთაურობით, რომლებიც შანტაჟს უწევდნენ ადგილობრივ ხალხს. მათ სერგო „ყოჩების“ ეპითეტით მოიხსენიებდნენ.

ექნება და ამის გამო აქედან დაეძებს რა ბედი ეწევა ირანს... რევოლუციური მაგალითებით, როცა შეძლებული სპარსელი რუსის ქვეშევრდომი ხდება. ასე უყურებენ კითხვას რეშტის შეძლებულნი და საწყალ ტყავ-გამძვრალ ღარიბს კი რა აქვს, რომ მთავრობას მისცეს...“¹

ირანში მომხდარმა რევოლუციამ ვერ შესძლო ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების რადიკალური შეცვლა. ვერ შესცვალა ძირფესვიანად ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლებიც და დამარცხდა კიდევ რეაქციის პირველი შეტევისთანავე. ეს იმიტომ, რომ მას არ აღმოაჩნდა თავისი მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა — მუშათა კლასის სახით, არ აღმოაჩნდა მებრძოლი მუშათა პროლეტარული პარტია და მეთაური, რომლებსაც ექნებოდათ უნარი სათავეში ჩადგომოდნენ მოძრაობას და დემოკრატიული რეფორმების გზით წაეყვანათ იგი. მარქსისტული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია მხოლოდ მაშინ ისახებოდა ირანში და რევოლუციის ამ მომენტისათვის იგი ძალზედ სუსტი იყო.

ამიტომაც გაიმარჯვა რეაქციამ, რომელსაც მფარველობას უწევდნენ და შეიარაღებული ძალით ეხმარებოდნენ მეფის რუსეთი და იმპერიალისტური ინგლისი, რეაქციამ ირანის აზერბაიჯანის სახალხო მოძრაობა სისხლის მორევში ჩაახრჩო.

სამწუხაროდ „ამ მოვლენის მიზეზებზე“ სერგოს დაპირებულ წერილს ველარ მივაკვლიეთ, მაგრამ თავისთავად შეიძლება ვიგულისხმოთ თუ რა ახსნას მისცემდა მას რევოლუციონერი ბოლშევიკი, რომელიც, მიუხედავად თავისი აბალგაზრდობისა, ამ დროისათვის უკვე გამოცდილ პარტიულ მუშაკად ითვლებოდა ამიერკავკასიაში. ამ დროს სერგოს უკვე მიწერმოწერა ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ვ. ი. ლენინ-

თან, თანამშრომლობდა მის „სოციალ-დემოკრატიში“ და გამოვლილი ქონდა პირველი პატიმრობაც და გადასახლებაც.

როგორც დავინახეთ, ირანის რევოლუციის დამარცხებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო იქ გაგზავნილმა მეფის რუსეთის ჯარმა.

ირანელი ხალხი ვერ ურიგდებოდა პოლიციური რუსეთის ამ უხეშ ჩარევას მათს შინაურ საქმეებში და ამას სპაროტესტო დემონსტრაციებით გამოხატავდა. „ახალი სხივის“ თვალმახვილ კორესპონდენტს არც ეს გარემოება გამოპარვია მხედველობიდან. 23 მარტის ნომერში იგი ვრცლად უამბობს მკითხველებს იმ „დიდი მოძრაობის“ შესახებ რაც „ამ უამად მთელ სპარსეთში და კერძოდ რეშტში... იწყება რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნის წინააღმდეგ“. ხალხის მღელვარება იმ ზომამდე გაზრდილა, რომ პროტესტის ნიშნად ტრადიციული სამხიარულო დღესასწაული „ნოვრუზბაირამი“ (ახალი წელი) 9 მარტს გლოვით გადაუხდიათ.

აი, როგორ აგვიწერს მოძალადეების წინააღმდეგ მიმართულ ამ სპაროტესტო დემონსტრაციას სერგო: „გათენდა 9 მარტი. დუქნები დაკეტილია, ხალხი ქუჩაში თავს იყრის, მათ მკლავებზე სამგლოვიარო ნიშნები აქვთ და მსჯელობენ უცხოთა ჯარზე. აგერ, ერთ „დედარიშს“ (ბერი) ხელში ფორთოხალი უჭირავს და უნდა თავის ნაცნობს მიულოცოს, მაგრამ უქანასკნელი მას ეუბნება: „არ არსებობს „ბაირამი“, ვიდრე რუსეთის ჯარი ჩვენშიაო“.

შემდეგ აღწერილია საბზი მოედანზე გამართული სპაროტესტო მიტინგი, რომელსაც 4-5 ათასი კაცი და ქალი დასწრება. მათვე მიმატებია შავი ბაირაღებით გამოსული მოსწავლე ახალგაზრდობა, დაახლოებით 300-400 კაცი. მოსულან ენჯუმენის თავმჯდომარე, გუბერნატორის თანამეგობრე, პოლიცმენისტერი... გამოსულან მოსწავლეები, რომელთა სიტყვებს ქვითინი გამოუწვევია ხალხში, აგრეთვე ხუთი სხვა ორატორი.

ერთერთ ორატორს თავის სიტყვაში ხალხისათვის მოუწოდებია ერთმანეთში არ აურიონ და ერთმანეთში მყოფი უცხო სახელმწიფოს მთავრობის ჯარი და ხალხი, ენჯუმენის თავმჯდომარეს უთქვამს: „ჩვენ არ გვინდა უცხოელებთან ცუდი განწყობილება გვექონდეს, მაგრამ თუ ისინი განადგურებენ მოგვინდომებენ, მაშინ ჩვენ ვამჯობინებთ სახელოვნად დავიდუპოთო!“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. კ.).

გლოვის საბაბი კი ირანის ხალხს მართლაც ჰქონდა.

მეფის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ძირი გამოეთხარა რევოლუციის გამარჯვების შედეგად იქ დამყარებული კონსტიტუციური წყობილებისათვის. მეფის კოლონიზატორები უხეშად ერეოდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, მფარველობდნენ ადგილობრივ რეაქციას და აწყობდნენ შეთქმულებებს დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ.

„ჩვენი გაზეთის“ 13 აპრილის ნომერში სერგო აღწერს ერთ-ერთ ასეთ შეთქმულებას. იგი საბედნიეროდ დროზე აღმოუჩენიათ და უვნებელუყვიათ, თორემ, როგორც სერგო ამბობს, „ვინ იცის როგორ გადაწყდებოდა რეშტის ბედობალი, და არა მარტო რეშტისა, არამედ მთელი სპარსეთის“.

რისთვის აწყობდნენ ამ შეთქმულებას? ამ კითხვაზე კორესპონდენტი ასეთ პასუხს იძლევა: რეაქციონერთა გამოსვლა“ საბაბს მისცემდა მეზობელ სახელმწიფოებს თავიანთი ინტერესების დასაცავად სპარსეთი ჯარებით აევისათ“.

რომ ამ შეთქმულების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მეფის თვითმპყრობელური რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ, ამასაც ხსენებული წერილიდან ვიგებთ: „საქმე ამნაირად იყო, — წერს კორესპონდენტი: რუსე-

1 იხ. „ახალი სხივი“, № 40, 1910 წ. 23 მარტი.

თის საკონსულოში მყოფი ცნობილი რეაქციონერები ამადი სალტანე, რუსის ქვეშევრდომები მოლა მშარიატ-მადარი და მოლა მამედი თურმე ხუთი თვეა, რაც თავიანთ საქმეს აწყობენ... ვარშემო შემოუკრებიათ 100-150 კაცამდე და გამოსასვლელად მზად იყვნენ; ვადაწყვეტილი ჰქონიათ ჭალაქს ცეცხლი წაუკიდონ, ამით აღგილობრივი აღმინისტრაციის ყურადღება იქითკენ მიიქცეოხ და თვითონ დარხანს (სადაც მოთავსებული იყო პოლიცია, გუბერნატორის ბინა და სხვა დაწესებულებანი) შესეოდნენ, გუბერნატორი მოეკლათ და მის ალაგას საკონსულოში მყოფი ამედი სალტანე დაეყენებინათ¹.

ეს შეთქმულება დროზე გაუგიათ, მისი მეთავე სეიდ მამედი რამდენიმე თანამზრახველით, მათ შორის, რუსეთის რამდენიმე ქვეშევრდომი სპარსელით— შეუბყრიათ და შეთქმულებაც ჩაშლილა. ამნაირად კიდევ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში აქაურ შავ ძალებს², — წერს ამ ამბით ნასიამოვნები კორესპონდენტი.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, რეაქცია მაინც განაგრძობდა რევოლუციის პირველი მონაპოვრის — კონსტიტუციისათვის ძირის გამოთხრას. მართალია „შავ ძალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“, მაგრამ მათ ხელი არ აუღლიათ შავბნელი ზრახვების განხორციელებაზე. მათ იერიში მიჰქონდათ ხალხის ინტერესებისათვის თავგამოდებულ მებრძოლ პროგრესული გაზეთების „ირანენოონსა“ და „შარქის“ წინააღმდეგ. რეაქციის მხარეზე დამდგარი პრემიერ-მინისტრი სეპეხდარი, მაისის შუა რიცხვებში, განკარგულებას იძლევა დიხუროს ეს გაზეთები. მთავრობის ამ ანტი-ხალხურმა გამოლაშქრებამ მასების დიდი გულისწყრომა გამოიწვია. შეშინებული მთავრობა დათმობაზე წავიდა. პროგრესული აზრის ზეგავლენით იგი

გარკვეული დროით იძულებულ გახდა „ირანენოონის“ გამოცემა შეეწყვიტა. „შარქის“ გამოსვლა კვლავ შეწყვეტილა. ისე გაუქმდა განკარგულება მისი დიხურის შესახებ.

კორესპონდენტს მხედველობიდან არ გამოჩენია ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავიც. იგი ვრცლად ჩილავს რეაქციის ამ მორიგ გამოხდომას.

„რა მიმართულების იყო ეს ორი გაზეთი და რამ გამოიწვია სეპეხდარის რისხვა?“ — აყენებს კორესპონდენტი კითხვას და განმარტავს: „ირანო“, ეს პირველი გაზეთია, რომელმაც იწყო გამოსვლა მაშინვე, როგორც კი მამედ ალი შაჰი თეირანიდან გააძევეს. მას შემდეგ ეს გაზეთი იყო ფხიზელი დარაჯი ხალხის ინტერესებისა“¹ (ზავგასმა ჩვენია — ა. კ.).

როგორც კორესპონდენტის წერილიდან ვიგებთ, გაზეთს უმხელია მეზობელ სახელმწიფოთა დამღუბველი პოლიტიკა, აუმაღლებია პროტესტის ხმა და გარეშე სესხის წინააღმდეგ თითქმის მთელი სპარსეთი აუშომარაგებია. გაზეთმა გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ბოლო დროს „მანვე ჩამოხადა ნილაბი პირველი მინისტრის სეპეხდარის სულსევეთებას და აშკარაყო ყველასათვის მისი გაიძვირული და გამყიდველი პოლიტიკა“². იმდენად პრინციპული და მედგარი ყოფილა გაზეთი პრემიერის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ მის „მოურიდებელ“ და „გესლიან“ წერილებს რამდენჯერმე იძულებული გაუხდია იგი გადადგომის განცხადება შეეტანა. კორესპონდენტი დასცინის პრემიერს — „ამ მხრივ ეს უკანასკნელი მართლა, რომ უსუსურს დაემსგავსა. დღე ერთია და ის ორჯერ ითხოვს სამსახურიდან ვასვლასო“ — წერს სერგო და განაგრძობს „და დღეს, როცა სეპეხდარმა ზურგი გაიმავრა ციხის წყალობითაც, ეს ჩვენ უკვე ვიცით

1 იხ. „ჩენი გაზეთი“, № 11, 1910 წ. 13 აპრილი.

2 იქვე.

1 იხ. „ჩენი გაზეთი“ № 43, 1910 წ. 23 მაისი.

2 იქვე.

სერგოს წერილებიდან — ა. კ.) ერთი კალმის მოსმით მოუსპო სიცოცხლე სინათლის მახვევებელ და ხალხის საყვარელ, გაზეთ „ირანოვს“¹ (ხაზგასმა ჩვენია ა. კ.).

იმავე კურსს ადგა გაზეთი „შარიქი“ თავისი მოურიდებელი გამოსვლების გამო ისიც „სატრაპი“ პრემიერის (როგორც მას სერგო უწოდებს). მსხვერპლი გამხდარა.

გაზეთების აკრძალვას თითქმის ყველა ქალაქში დემოკრატიის ამოძრავება გამოუწვევია. ხალხი წასულა მეჯლისში და მოუთხოვია: „ეს ორი დამცველი, თავისუფლებისა და ენა ხალხისა (ხაზგასმა ჩვენია, ა. კ.) დაუყოვნებლივ იქნენ განთავისუფლებული ბორკილებისაგან“².

კორესპონდენტი კი ამ მოვლენისადმი თავის დამოკიდებულებას მეტად ნათლად გამოხატავს: „ხალხი არ ზოგავდა თავის სიცოცხლეს თავისუფლების მოსაპოვებლად, არ დაიზოგავს იგი თავს, არც თავისუფლების დასაცავად“³.

ეს წერილი უკვე სცილდება ჩვეულებრივი კორესპონდენციის საზღვარს. იგი მარტოდენ ამბების აღწერა როდია, იგი რევოლუციური პუბლიცისტიკის ნიმუშია. აგრძობს ცხადად ამეღვენებს თავის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი, მათი შეფასებისადმი, რაც შესანიშნავადაა გადმოცემული წერლის დასკვნით ნაწილში: „ვნახოთ შეძლებს თუ არა, დრომოქმედი, სასიკვდილოდ გამზადებული (ხაზგასმა ჩვენია—ა. კ.). ფეოდალიზმის უდიდესი წარმომადგენელი (პრემიერი იგულისხმება—ა. კ.) დემოკრატიის დამარცხებას და მისი წინმსვლილობის შეჩერებას დროებით“⁴. შემდეგ კორესპონდენტი სიხარულით იუწყება, რომ რეაქციას არ გაუვიდა თავისი ვერაგობა, რომ მან ვერ გაუძლო ხალხის მრისხანე გულისწყრომას და

იძულებული გახდა გაზეთების აკრძალვა გაეუქმებინა. პოსტსკრეტქმუკორესპონდენტი იტყობინება: „სერგოს წერილი დაწერილი მქონდა, როცა თეიანიდან (წერილი რეშიტიდანაა გამოგზავნილი—ა. კ.) დებეშა მოვიდა—გაზეთი „ირანოვ“ გაიხსნა“¹.

მაგრამ ბოლშევიკ კორესპონდენტს მაინც არ ასვენებს პროგრესული გაზეთების დახურვა. იგი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს „ჩვენი გაზეთის“ 18 აპრილის ნომერში დასტამბულ რეშიტიდან გამოგზავნილ წერილში.

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილ ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობაში მხოლოდ ირანში მოქმედი დაშნაკთა პარტიის მეთაური ეფრემი შევიდა. დაშნაკები თავის პარტიას „რევოლუციურს“ უწოდებდნენ და რეშტელი დემოკრატებიც ავალბენ ეფრემს, რათა მას პროტესტი განეცხადებია სეპეხდარის რეაქციული გამოსვლის წინააღმდეგ (იგულისხმება გაზეთების „ირან-ენოოს“ და „შარქის“ აკრძალვის განკარგულების გაცემა, — ა. კ.). ეფრემს ამაზე უპასუხნია: „მე, როგორც მთავრობის მსახური, შესაძლოდ ვერ ვცნობ მთავრობის მოქმედებაში ჩავერიოთ“. ასეთ პასუხის გამო შემდგარა ეფრემის „ოფიციალური შეხვედრა“ კორესპონდენტთან (სერგოსთან), რომელსაც „ყველაზე უფრო“ ეს კითხვა აინტერესებდა და შეხვედრისთანვე მის შესახებ დაუწყია საუბარი.

ეტყობა კორესპონდენტს ისეთი პრინციპული არგუმენტები წაუყენებია მთავრობის დაშნაკი წევრისათვის, მისი „საქმეში ჩაურევლობის“ გამო, რომ უკანასკნელს ვერაფრით ვერ მოუხერხებია თავისი მოქმედების გამართლება. იგი კორესპონდენტს უპასუხებს: „მე არ ვიცი, რა მიმართულების იყო ის გაზეთები, რომელიც სეპეხდარმა დახურა, მე... ერთი წელიწადია მთებში ვარ და არა თუ სპარსული, არამედ სომხური

1 იქვე.

2 იხ. „ჩვენი გაზეთი“ № 43.

3 იქვე.

4 იქვე.

გაზეთებიც კი არ წამიკითხავსო“. კორესპონდენტი ხვდება, რომ ეფრემი აგდებულად ეკიდება საკითხს. კორესპონდენტი აგრძნობინებს, რომ „კითხვა პრინციპიალურიაო“. მაშინ ეფრემი ასეთ „ბრძნულ“ პასუხს აძლევს „თუ სეპეხდარი აკრძალავდა სრულიად სპარსეთის გაზეთებს, ცხადია, რომ პროტესტს გავაცხადებთ, მაგრამ თუ რუსეთში „ნოვოე ვრემიას“ დახურავდენ, განა უნდა გამოეცხადებიათ პროტესტიო?“ და დაუმატებია — „ჯარი პოლიტიკაში ვერ ჩაერევაო“.

„ასეთია „რევოლუციონური“ დაშინაცაჟანის შეხედულება ბეჭდვით თავისუფლებაზეო“ ირონიულად წერს კორესპონდენტი და ამით გამოხატავს თავის შეხედულებას „რევოლუციურ“ დაშინაცაჟა პარტიასა და მის ლიდერზე.

სავსებით ჩამოყალიბებული რევოლუციურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის გონებანათელმა კორესპონდენტმა პოლემისტის იშვიათი ხერხებით გააშიშვლა „რევოლუციონერის“ ნიღაბს ამოფარებული პოლიტიკური თაღლითი.

ჩვენ სხვა ადგილზეც ვხვდებით იმის ფაქტს, თუ როგორ გამოიყვანა სერგომ სააშკარაოზე რევოლუციის პერიოდში ირანს ჩასული მეორე თაღლითი და ავანტიურისტი პოპოვი, რომელიც იძულებული შეიქნა კუდამოძებული გაპარულიყო იქიდან.

თავის წერილებში სერგო მრავალ სხვა საკითხსაც აშუქებს მაშინდელი რევოლუციური ირანის ცხოვრებიდან. არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ იგი არ გამოხმაურებოდეს და თავისი აზრი არ გამოეთქვა მის შესახებ.

„ჩვენი გაზეთის“ 12 მაისის ნომერში კორესპონდენტი ეხება სიკვდილით დასჯის საკითხს. როგორც გაზეთში დაბეჭდილი წერილიდან ვიგებთ, ხალხს იმედი ჰქონია, რომ რევოლუცია სიკვდილით დასჯას გააუქმებდა, მაგრამ იმედი გაცრუვებია. „ხალხს იმედი გაუცრუვდა და იმისი რწმენა, რომ კონს-

ტიტუციონური მთავრობა სახრჩობელას აღარ გამართავდა, 29 აპრილიდან ხალხმა დაკარგაო“ — წერს იგი.

რატომ 29 აპრილიდან? იმიტომ, რომ ამ დღეს რეშტში სახრჩობელა გაუმართავთ და ჩამოუღრჩვიათ ერთი „მშვიერ-მწყურვალი, ლატაკი, დაბეჩავებული გლეხი“, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყოლია, ლუკმა პურის საშოვნელად ავაზაკობისათვის მიუყვია ხელი და კაცოც შემოკვდომია. კორესპონდენტი შემდეგნაირად აღწერს ჩამოხრჩობას პროცედურას. „ღარხანის წინ მოედანზე... ორი ძონძე ბში გახვეული (ხაზგასმა ჩვენია ა. კ.) სპარსელი გულმოდგინედ თხრის მიწას სახრჩობელას ბოძებისათვის. სახრჩობელა მზადაა. მორბიან პატარა ბავშვები, თოკს ხელს ავლებენ და არხენიან იწყებენ ქანაობას, ცხადია, მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ერთი საათის შემდეგ ის თოკი, რომლითაც ერთობიან, დაუნდობლად გამოაქალმებს სიცოცხლეს დროის უკუღმართობის (ხაზი ჩვენია — ა. კ.) მსხვერპლს“.¹

რას გვეუბნება ეს პატარა ამონაწერი?

კორესპონდენტი გამანადგურებლად დასცინის იმ „დროის უკუღმართობას“, რომელმაც „მშვიერ-მწყურველი, ლატაკი, დაბეჩავებული გლეხი“ აიძულა ავაზაკობის გზას დადგომოდა, რამაც იგი საბოლოოდ სახრჩობელაზე აიყვანა, ბოლო ამ სახრჩობელას მასავით ლატაკი „ძონძეში გახვეულს“ აშენებინებს. კორესპონდენტი, ვიდრე თოკის მარყუჟით მსხვერპლს სიცოცხლეს მოუსპობდეს, მას ბავშვების სათამაშო საქანელად აქცევს, რითაც თითქოს ამბობს — უმჯობესი იქნებოდა, კონსტიტუციურ რეჟიმს ხალხის იმედები გაემართლებინა და სახრჩობელების ნაცვლად ხალხის კეთილდღეობაზე ეზრუნაო.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი, მსხვერპლი წუთისოფელს გამოასალმეს.

¹ იხ. „ჩვენი გაზეთი“ № 33.

„ამ საზოგადოებრივ სურათის შემდეგ, — განაგრძობს სერგო, — ერთი რამ ღირსშესანიშნავი გამოიჩინა. ხალხის გაურყენელ ნაწილს თურმე ისეთი წარმოდგენა ჰქონია, რომ კონსტიტუციის დროს სახრჩობელას ადგილი არ უნდა ექნესო“¹.

ამ შემთხვევაშიც კორესპონდენტი უბრალოდ კი არ აღწერს მოვლენას, არამედ საზოგადოებრივ ძვლადობას აძლევს მას. ბურჟუაზიულ-მემამულეთა რევოლუციამ და მის შემდეგად მოპოვებულმა კონსტიტუციამ არაფერი არ მისცა ირანის მშრომელებს. მაშასადამე, საჭიროა სხვათაირი გზის არჩევა, ბრძოლის სხვა მხრივ წარმართვა, რათა ხალხმა სრული თავისუფლება მოიპოვოს. ასეთია მთავარი აზრი, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს სერგო ორჯონიკიძის წერილებს „რემტიდან“ და „სპარსეთიდან“.

როგორც ერთი თვალის გადავლებით დავინახეთ, ამ სტატიებში გ. კ. ორჯონიკიძე, მართლაც, იძლეოდა ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დრამა ანალიზს, დაწვრილებით აშუქებდა ირანის ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლას უცხოელი დამპყრობლებისა და საკუთარი ფეოდალების წინააღმდეგ².

მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციამ ვერაფერი მისცა ხალხს, რადგანაც, როგორც სერგო მიუთითებდა „სხივის“ 1910 წ. 13 ივნისის ნომერში მოთავსებულ წერილში — „სპარსეთის ვითარება“ აღმასრულებელი ხელისუფლება დრომოკმული და დასაღუპავად განწირული ფეოდალიზმის წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდა და, მაშასადამე, მათ მხრივ რაიმე პროგრესის მოლოდინი შეუძლებელი იყო.

ზევითაც ვთქვით და აქაც ხაზგასმით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს წერილები

ახლაც შეუწლებელი ინტერესით იკითხება. მათ დღესაც არ დაუჯერებია დროთაშორისი პოლიტიკური ხმამაღალი და აქტუალური ძვლადობა.

ახლა გავეცნოთ გაზეთ „ახალი სხივი“ „გურჯი სერგოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილ ორჯონიკიძის ნარკვევებს — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“. როგორც თავში აღვნიშნეთ, ამ ნარკვევების ბეჭდვა იწყება 1910 წლის 6 თებერვლიდან და გრძელდება 17 მარტამდე³. ისინი სპარსეთის რევოლუციის აქტიური და მებრძოლი მონაწილის დღიურების ხასიათს ატარებენ.

პირველ ნარკვევში ავტორი აგვიწერს რევოლუციური აჯანყების ხასიათს ჩრდილოეთ ირანსა და კერძოდ მის აზერბაიჯანში. ამასთან იგი გვამცნობს, რომ აჯანყებას აზერბაიჯანში უფრო მასობრივი, ხალხური ხასიათი ჰქონიაო და ამას იმითი ხსნის, რომ „აზერბაიჯანელებმა, როგორც კავკასიის მეზობლებმა... იცოდნენ... ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ბრძოლა და რა საარგებლობას მოუტანდა სპარსეთს თავისუფლება“⁴.

„ჩრდილოელი სპარსელები კი... დღემდისაც გზა არეულები არიან და... არ უწყვიან რას მოასწავებს მათი გამარჯვება“⁵.

იქ მომხდარ გამოსვლებს, „რომელიც პირველ და შუა ხანებში უცხო კავკასიელების მეოხებით და ხელმძღვანელობით იყო გამოწვეული, და... ხალხური ელფერი ემჩნეოდა, დღეს ეს ყველაფერი შეიცვალა და მოძრაობა „ხანურ-ყაჩაღური“ შეიქმნა“⁶.

როგორც ვხედავთ, ერთპირობა პროვინციებს შორის ამ რევოლუციურ ბრძოლაში არ ყოფილა და ამას ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: „როდესაც ადერბაიჯანი თავრიზითურთ მთელი წელიწადი

¹ იხ. „ახალი სხივი“, №№ 3, 6, 8, 9, 11, 14, 17, 24, 28, 35.

² იქვე, № 3, 1910 წ. 6 თებერვალი.

³ იხ. „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ. 6 თებერვალი.

⁴ იქვე.

¹ „ჩვენი გაზეთი“, № 33.

² იხ. გ. კ. ორჯონიკიძე (სერგო) ბიოგრაფია. მ. 1962 წ. გვ. 41.

ღია იბრძვის..., როდესაც ადერბაიჯანი იმედს არ ჰკარგავს, რომ დანარჩენი სპარსეთიც მას წაბაძვს და მოძრაობა საერთო ნაციონალურ ხასიათს მიიღებს, ამ დროს დანარჩენი სპარსეთი მიუჭრებელია, ღრმად სძინავს და ადერბაიჯანის ბედ-იღბალი თითქოს სრულიად არ აინტერესებს!...“.

ამიტომ იყო, რომ თავისი ქვეყნის ბედით დაინტერესებულმა კავკასიაში დროებით და მუდმივად მცხოვრებმა სპარსელებმა დახმარებისათვის კავკასიელებს მიმართეს და თხოვეს მონაწილეობა მიეღოთ მათ მოძრაობაში, დახმარებოდნენ ზურბაიჯანელთა აჯანყების მეთაურს სათარ-ხანს, ამასთან ჰპირდებოდნენ, — იარაღი ადგილზე დახვდებოდათ. მრავალი კავკასიელი გამოხმაურებია ამ მოწოდებას და წასულა სპარსეთის აჯანყებულთა დასახმარებლად, მაგრამ ტანჯვა-ვაების მეტი არაფერი გადახდენია თავს, იარაღის შოვნაც კი თვითონ უხდებოდათ.

აი, როგორ აგვიწერს სერგო ამ გარემოებას: „კავკასიელი, განსაკუთრებით კი ქართველები, პირველსავე ხმის ამოდებაზე თანხმდებიან წასვლაზე და... მიდიან შორს, სადაც ირანში, სადაც ათასგვარ ტანჯვა-ვაებას შეეყრებიან. იმედი უტრუფდებათ, რადგანაც ყველა ნაამბობი და გაგონილი სიცრუე გამოდგა, ისევ უკან ლამობენ წასვლას, მაგრამ მაინც... სიყვარული თავისუფლები საღმი იკავენს მათ და იძულებულს ჰყოფს ღარჩნენ რეშტში.“

„თუ რაშდენი ვაი-ვაგლახი, ტანჯვა და გაჭირვება აიტანეს კავკასიელებმა და მათ შორის ქართველებმა სპარსეთში ყოფნის დროს, ამას აღნიშნავს სპარსეთის რევოლუციის ისტორია, თუ ოდესმე მაინც იქნება დაწერილი“².

ირაკვევა, რომ სპარსეთში ჩასული კავკასიელი ვოლონტერები დიდ გაჭირვებაში ჩაევივნულან. ორი თვის განმავლობაში (1908 წ. ნოემბერი-დეკემბერი)

იქ ჩასულა 22 მებრძოლი. მათ შორის, 16 ქართველი. არალეგალურად ჩასულებს ასევე ფარულად უმჯობესობათ ცალ-ცალკე ცხოვრება, რაც დიდ სიძინელებთან იყო დაკავშირებული.

მოთმინებიდან გამოსულ კავკასიელებს ულტიმატუმი წაუყენებიათ სააჯანყებო კომიტეტისათვის, რომ თუ მათ ყურადღებას არ მიაქცევდნენ და იარაღს არ უშოვნიდნენ, უკან დაბრუნდებოდნენ.

მართალია, მათთვის ბინა მიუციათ (ყველა ჩასული ერთ პატარა ოთახში მოუთავსებიათ), მაგრამ ისინი მაინც დიდ გაჭირვებაში ყოფილან, მიუხედავად ამისა ჩასულნი გულს არ იტეხდნენ. ფიზიკობდნენ, რათა თავი არ გაემჟღავნებიათ. ამასთან მუდამდღე ყუმბარებს ამზადებდნენ და იარაღს წმენდნენ, გაუფრთხილებლობის გამო ერთი ყუმბარა კიდევაც აფეთქებიათ, რაც ერთგვარად გამომაფიზილებელი გამომდგარა კომიტეტის წევრებისათვის.

საინტერესოა სერგოს მიერ სააჯანყებო კომიტეტის შემადგენლობის დახასიათება. კომიტეტში, რომელიც 4 კაცი-საგან (2 სპარსელი და 2 დროშაკელი, ე. ი. დაშნაკელი) შედიოდა. „ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ, არ ენდობოდნენ და ერთმანეთს ძრახავდნენ... აი ეს იყო კომიტეტი!!!“¹

ავტორი თავის დამოკიდებულებას კომიტეტისადმი განცვიფრების საშიშროებით გამოხატავს. კავკასიელებს რომ არ მოეყიდათ საქმისათვის ხელი, აჯანყება რეშტში კარგაბანს დაიგვიანებდაო — შენიშნავს სერგო.

მართლაც, მეტისმეტად უსუსური მოჩანს ეს კომიტეტი. იგი, თითქოს მუშაობდა და არც მუშაობდა. მხოლოდ ყუმბარის შემთხვევით აფეთქების შემდეგ ასრულებდა იგი კავკასიელების ყოველ მოთხოვნილებას. „რაც ვნებავთ გვიბრძანეთ, ჩვენო მზენო, ყველაფერი უმალ იქნება ასრულებულიო“, — შეჰლაღანე

¹ იქვე.

² იხ. „ახალი სხივი“, № 3, 1910 წ. 6 თებერვალი.

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 3.

ბენ ისინი კავკასიელებს, რადგან საჭირო პირობების შეუქმნელობის გამო ისინი უკან დაბრუნებას აპირებდნენ.

თუ რამდენად უსუსური ყოფილა ადგილობრივი სააჯანყებო კომიტეტი, ეს მკაფიოდ ჩანს თვით მისი მიმართვიდან კავკასიელებისადმი: „ჩვენ რომ თქვენოდენი ვიცოდეთ და თქვენოდენა სულგრძელობა შეგვეწვედეს, ბარემ კარგია, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც არაფერი არ ვიცით. თქვენ გაბარებთ ჩვენს მომავალს, ალბათ იყოს თქვენი მფარველი და შემწეო“. ამის შემდეგ სერგოც აყენებს კითხვას „ყველა სპარსელი ამას გიძახობდა და კავკასიელებსაც მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ თავს არ ეღვათ შეთქმულების მოწყობაო?“¹.

ამრიგად, ყველაფერი კავკასიელებზე ყოფილა დამოკიდებული, სპარსელებს მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ კვებით უზრუნველყვათ ჩასულები.

საქმე ახლა აჯანყება იყო, მაგრამ აქ თავი იჩინა დაშნაკთა ინტრიგებმა. მათ იწყეს უთანხმოების თესვა ჩამოსულ „კავკასიელთა და სპარსელებს შორის. მათი მტკიცებით, აჯანყების დასაწყებად სულ ცოტა 60 შეიარაღებული კაცი მარცხ იყო საჭირო. მათ იმის იმედი ჰქონდათ, რომ კავკასიელები ამდენ კაცს ვერ მოაგროვებდნენ და ამ საქმეს ისევე მათ (დაშნაკებს) მიანდობდნენ, რომელთაც უოველთვის შეეძლოთ „ასი მებრძოლი ეშოვათ“ და, მაშასადამე, უმთავრესი როლიც შეესრულებინათ.

მაგრამ როცა ეს ფანდი არ გაუეცდათ, დაშნაკელები ახალ განცხადებას აკეთებენ: „ჩვენ, დროშაკელები არ ვცნობთ არსებულ შტაბის წევრებს (ე. ი. ჩამოსულ კავკასიელებს. — ავტ.), რომლებმაც არ იციან აქაური პირობებიო“; მოუთხოვიათ შტაბის გაუქმება და ახალი სააჯანყებო შტაბის შედგენა 9 კაცის (4 სპარსელისა და 5 დაშნაკელის) შემადგენლობით. „ჩამოსული ქართველების ჯგუფი, — განუცხადებიათ მათ, — უნდა მოქმედებდეს ჩვენი ხელმძღვანელობით

და არა ჩვენ მათი ხელმძღვანელობით, როგორც ახლაო...“ ამასთან ულტიმატურად მოუთხოვიათ შტაბის წევრების მათთვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში „მონაწილეობას არ მივიღებთ აჯანყებაშიო“¹.

სერგო გამანადგურებლად დასცინის დაშნაკელთა ამ დონკიხოტობას. იგი წერს: „ზემოხსენებული სიტყვები ისეთი რიხით იყო წარმოთქმული, თითქოს დროშაკელებზე ყოფილიყოს დამოკიდებული აჯანყების და გამარჯვების ბედობა! სად იყვნენ წინათ? რალა უკანასკნელ საათებში მოისურვეს განიარება ამ საქრახისი განცხადებისა? ან კიდევ, თუ მართო სურდათ რამე, რას აკეთებდნენ ადრე?“ ამ ამონაწერს, კომენტარი არ ჰქირდება, ნათელზე-ნათლად არის დახატული დაშნაკთა კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური ბუნება.

როგორც წერილიდან ირკვევა, დროშაკელების მოთხოვნას ყველა აულღელებია. ერთ-ერთ გურჯ რაზმელს სასტიკი პასუხი გაუცია დროშაკელების უხამსი გამოხდომისათვის და „ანტი-რევოლუციონერები“ უწოდებია მათთვის. (გფქრობთ, ეს „გურჯი რაზმელი“ თვით სერგო ორჯონიკიძე უნდა იყოს. — ავტ.) კიდევ მეტის თქმას აპირებდა „გურჯი“, მაგრამ დროშაკელთა მეთაურ ეფრემს ვეღარ გაუძლია მისი მხილები-სათვის და კრებიდან გაქცეულა. შემდეგ, როდესაც დაშნაკელებულა და გონს მოსულა ბოდისის მოხდით უთქვამს: სხვანაირად მინდოდა მეთქვა, მაგრამ თქვენ ვერ მიმიხედითო (!). სპარსელები კი, როცა მათთვის „გურჯი რაზმელის“ სიტყვები გადაუთარგმნიათ, ტაშისცემითა და კოცნით შეხვედრიან მას. „ტაშისცემით, კოცნით და, „იაშასუნ გურჯის“ (გაუმარჯოს ქართველს) ძახილით კრება დახურესო“²—სწერს სერგო.

როცა დაშნაკთა ოინბაზობა კავკასიელებისათვის უცნობებიათ მათ გადაუწ-

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 6.

² იხ. „ახალი სხივი“, № 6.

ყვეტით დაშნაკთა ყოველგვარ დახმარებაზე უარის თქმა, მათთან კავშირის გაწყვეტა და ბრძოლის დაწყება საკუთარი ძალებით.

ეს საცნებოთ ვასაგებია, კავკასიიდან ჩასული რევოლუციონერები კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ იყენენ გავზანდილი და ბუნებრივია, კონტრრევოლუციურ დაშნაკებთან ისინი საერთო ენას ვერ გამოხატავდნენ. კავკასიელი რევოლუციონერები სპარსეთში ჩავიდნენ ძმური დახმარებისათვის რათა მშრომელ ხალხს მონობის უღელი გადაეგდო, ხოლო „რევოლუციონერთა“ ნიღბს ამოფარებული ავანტურისტები ამ საქმეზე ხელის მოთბობასა და ჯიბის გასქელებას ლამობდნენ. ამის მაგალითები ბევრი ახსოვს სპარსეთის რევოლუციას.

იმდენად გულწრფელი და უანგარო იყო კავკასიელ რევოლუციონერთა მიზნები სპარსეთში, რომ ისინი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ რევოლუციის გამარჯვებისათვის. როდესაც კავკასიელი რევოლუციონერები დაშნაკებს განემიჯნენ და გადაწყვიტეს მარტო გასულიყვენენ საბრძოლველად, მათ ერთმანეთს შეჰფიცეს: „დაე ვაწყვდეთ, ამხანაგებო! გაუმარჯოს თავისუფლებას ერთხმად იგრილა ერთ მუქა ჯგუფმა და ძმურად გადაჰკოცნეს ერთმანეთით“¹.

— მოგვითხრობს სერგო. ეს კრება 25 იანვარს შემდგარა. კრების შემდეგ ყველა რაზმელი აჯანყებისათვის მზადებას შედგონია. მათ, — მოირგეს და მოიშაღეს იარაღი, დაისვენეს და 26 იანვრის დილის 8 საათისათვის ყველა ფეხზე დადგა. სულ 29 მებრძოლს მოეყარა თავი. თითო მათურზე 120, ხოლო თოფზე 80-90 ვაზნა დაურეგებიათ და ამასთან 3 ყუმბარა მიუციათ. „ამ იარაღით უნდა ებრძოლა ოცდაცხრა კაცს შეიდას სამოცთანო“², — ვკითხულობთ ნარკვევში.

აჯანყება უნდა დაწყებულიყო რეშტის გუბერნატორის სახლზე თავდასხ-

მით. დღის პირველ საათზე გაუგიათ, რომ გუბერნატორი ქალაქგარეთ ბაღში წასულა საჭიფოდ 4-5 დღისაღმოსაზრებით და აჯანყების დაწყების დროთაც ეს მომენტი შეურჩევიათ. კენჭისყრით 7 რაზმელს რგებია წილად გუბერნატორზე თავდასხმა. „ამათში ერთი რუსის გარდა ყველა ქართველები იყენენო“ — ვაუწყებენ ავტორი.

შემდეგ მეტად საინტერესოდაა აწერილი თვით აჯანყება, ის, თუ როგორ მიეპარნენ სპარსულად გადაცმული რაზმელები გუბერნატორის სასახლეს, როგორ ასტეხეს ყუმბარის ტყორცნით პანიკა, როგორ მოჰკლეს გუბერნატორი და ა. შ. „რაზმის დანახვაზე ხალხი შეშინებული უგზო-უკვლოდ გარბის, მაგრამ ცნობილი ორატორის ქესმაის დანახვაზე ყველა შეჩერდა... „იამასუნ მამრუტაა...“ „გაუმარჯოს კონსტიტუციას“ — მოისმის ქესმაის ხმა“. ამ ხმაზე კეტებით შეიარაღებული თავრიზლებიც შეერთებთან რევოლუციონერებს და ერთად გაუწევიათ გუბერნატორის სასახლისაკენ. მათთვის გზა შეუკრავთ სარბაზებს (ჯარისკაცებს). გამართულა ბრძოლა. რევოლუციონერებს ალყა შემოურტყამთ ყაზარმისათვის, შეცვივნულან შიგ, ოცამდე სარბაზი გაუიარაღებიათ და ოთხი იქვე მოუკლავთ. გააფთვებულ სროლასა და ყუმბარების გრილში მუხლში დაქრილა რაზმელი შალვა დოლიძე, რომელიც შემდეგ გმირულად დაღუპულა. აი როგორ ასწერს სერგო ამ გმირის თავდადებას: „მუხლში მშიმედ დაიჭრა შალვა დოლიძე, რომელმაც მაინც მოასწრო ყუმბარაში შეშის ჩაშვება და გადასროლას აპირებდა, მაგრამ მეტი სისხლის დენით დასუსტებულს ხელები აუკანკალდა და წასაქცევად გადინარა... იგრილა მის ხელში ყუმბარამ და შუა გაგლიჯა... მისმა ამგვარმა სკვდილმა ყველა გააფთვრა და გამაგებულნი გაქანენ წინ“¹.

შეიდი საათისათვის ქალაქი აჯანყებულ-

¹ იქვე.

² იხ. „ახალი სხივი“, № 6.

¹ იხ. „ახალი სხივი“ № 6, 1910 წ. 10 თებერვალი.

ლებს ეპყრათ. „მთელი მოედანი საველე იყო ხალხით და ქრიაშულით თავს ევლებოდნენ გურჯებს... დიდი და ბატარა, ქალი და კაცი, ყველა გარს ევლებოდა მათ, ყველა სალამს აძლევდა და „იაშასუნ გურჯის“ ძახილით ხელ-ფეხს უქოცნიდა“¹ — მოგვითხრობს ავტორი და დასძენს ამგვარი კოცნა ჩვეულებრივია სპარსეთში.

რეშტის ალების დროს ამიერკავკასიელ რევოლუციონერებს მოუკლეს 2 და დაუჭრეს 8 მებრძოლი. შაჰის ჯარში კი მკაცრული აღმოჩნდა 56 სარბაზი. 100-მდე დაიჭრა, ხოლო 150 ტყვედ წამოიყვანეს. სხვათა შორის, შეტაკების დროს მოკლეს რეშტის გუბერნატორი და ორი დიდი მოხელე. დანარჩენმა რეაქციონერებმა რუსეთის საელჩოში შეაფარეს თავი.

არის ერთი მეტად საგულისხმო დეტალი, რომელიც ცხადყოფს, რომ „გურჯები“ ირანში ჩასულან რევოლუციისადმი დახმარების გულწრფელი სურვილით. სერგო წერს: „27 იანვარს რევოლუციონერები მოედნენ ქალაქს და დაიწყეს რეაქციონერების ქერა და ჩხრეკა. გურჯებმა ქალაქის დარაჯობაზე, სასახლეების ჩხრეკაზე და ამგვარ სხვა საქმეებზე უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ ხალხს ცუდი თვალთ არ დაეწყო ყურება როგორც უცხო ხალხისათვის“². სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ისინი რევოლუციონერები იყვნენ და მათ თვით სერგო ორგანიზაციე მეთაურობდა.

თავისუფლებისმოყვარე ირანის ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა „გურჯებზე“. მათი აქტიური დახმარებით მოიპოვეს პირველი გამარჯვება და მათივე სახელით ემუქრებოდნენ მტერს, თუ რამეს გაბედავთ, „აქ არიან გურჯები, რომლებიც ყველას სამაგიეროს გადაუხდიანო“.

29 იანვარს დასაფლავეს შალვა დოლიძე. ეს დასაფლავება გადაქცეულა

ირანელი და ქართველი ხალხის ძმობისა და მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად. გამართულ სამგლოვნარო მიტინგზე ცნობილ ორატორს ქესმაის წარმოუთქვამს „გრძნობით საველე სიტყვა“ და სხვათა შორის უთქვამს:

„...გურჯები ყველას ჩვენი მტერი გვეგონა... მაგრამ ხომ ყველა მხედავთ, ვინა დევს უსულოდ თქვენ წინაშე. ეს არის გურჯი შალვა, შვილი გურჯისტანისა. დღეიდან ერთხელ კიდევ უნდა დავინახოთ და დავრწმუნდეთ, რომ თუ ჩვენ სამშობლო ირანს მრავალი მტერი ჰყავს, მოყვრებიც საქმაოდ მოეოება.“

ეს ჩვენი მოყვარე ხალხი ირანისა გურჯებია და გაიგეთ კარგად, რომ დღეიდან ვერავითარი ძალა და შური ვერ შეარყევს ჩვენსა და გურჯთ შორის მეგობრობას. და თავისუფალი ირანიც ღირსეულ პატივს სცემს გურჯისტანის შვილებს...“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. კ.).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ სიტყვების დღეისათვისაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ჩრდილოეთ ირანში რევოლუციამ გაიმარჯვა. რეშტი აიღეს. მთელი პროვინცია გამარჯვებას დღესასწაულობდა. შეიქმნა დროებითი მთავრობა (ენჯუმენი), რომელიც მთელ პროვინციას განაგებდა. თავრიზიდანაც კარგი ამბები მოდიოდა. იქაც დაამხეს არსებული რეჟიმი, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ მასში მონაწილე ხანებმა გვერდი უქციეს რევოლუციას. „თითქოს აღარავის აინტერესებდა როგორც მომავალი ბრძოლა და ხიფათი, აგრეთვე იმ გმირთა არსებობა (იგულისხმება კავკასიელი რევოლუციონერები. — ა. კ.) რომელთა მეოხებითაც დღეს ისინი ბატონობდნენ და ჯიბეებს ისქვლებდნენო“ — წერს ამის შესახებ სერგო.

საფრთხე კი დიდი იყო. ხმა გავრცელდა, ყაზვინიდან შაჰის ჯარი წამოვიდა რევოლუციის ჩასახშობად. მასასაღამე, საჭირო იყო ზომების მიღება, თეირანის გზის გამაგრება, ამაზე კი თავს არავინ იწუხებდა და ესეც „გურჯებისა“ და რამოდენიმე სომეხის თავსახეტი

¹ იქვე, № 8, 1910 წ. 12 თებერვალი.

² იქვე.

გამხდარა. მათაც უკისრიათ ეს საქმე. უშოვნიათ ცხენები, იარაღი, საომარი მასალა და 30 იანვარს, 24-კაციანი რაზმი (11 ქართველი, 8 სომეხი და 5 სპარსელი) გასვლითა თეირანის გზას, რათა რეშტიანეც წამოსული შაჰის ჯარისათვის გზა გადაეჭრა და ქალაქი არ დაენებებინა.

ამ ლაშქრობას სერგო ასეთნაირად აღწერს: „რაზმი ხალხმა დიდი აღტაცებით, მუსიკის კვრით და ყიფინით გააცილა — გაუშარჯოს გურჯებს, გაუშარჯოს სომეხებს, გაუშარჯოს მარშუტას“, — გაიძახოდა ყველა როდესაც რაზმმა შუა ქალაქის ბაზარს მიადგინა, ქართველებმა შემოსახებეს კახური მაყრული, დანარჩენებმა ჰაერში მისცეს ზალმა და გარეკეს ცხენები. სიმღერის გაგონებაზე ყველა მხრიდან მორბის ხალხი რაზმისაკენ, გამარჯვებას უსურვებს მას, ვაშას ძახილით, ტაშისკვრით და ყიფინით ქალაქის საზღვრამდე აცილებს“.¹

რა ხდება ამ დროს ქალაქ რეშტში და მის პროვინციაში? ხანებმა, როგორც ანღიშნული იყო, ზურგი შეაქციეს რევოლუციას. ამავე დროს, თავი წამოაჩვენეს რევოლუციის მიტმანნილმა რეაქციულმა ელემენტებმა და სხვადასხვა ჯურის ნაძირალებმა, რომელთაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდათ — რევოლუციის საბაზით როგორმე ხელი მოეთხოთ. „გუშინდელი რეაქციონერი, — წერს სერგო, — დღეს წითელი ლენტით მკლავზედ დაბრძანდებოდა იარაღით გამოწყობილი და მცხოვრებთ აწუხებდა... ერთი სიტყვით, გაჩაღდა ნამდვილი ქურდობა“.²

სწორედ ამ ხანებში ჩასულა იქ ბაქოდან თავის დამქაშებით (სერგო მათ „ყოჩებს“ უწოდებს) ვინმე ბაქოელი პანოვი — ხლესტაკოვის ტიპის პირწავარდნილი ავანტურისტი, რომლის რეშტში ჩასვლასაც, — როგორც სერგო გვარწმუნებს, დროშაკელებისათვის დაეთრები აურევია.

ვინ იყო პანოვი, ან რატომ გაემგზავ-

რა იგი თავის დამქაშებით ირანში? მოეუსპონოთ ისევე სერგოს რეშტში პანოვი (ატყფანე პანოვიანი)... რეშტს ეწვია 28 იანვარს. მან თავი სპარსელებს ისე მოაჩვენა, ვითომ იგი გამოხენილი რევოლუციონერი იყო რუსეთში, რუსის ოფიცრად ნამყოფი მანჭურიაში იპონელებთან ომში... და ისეთი მცოდნე სამხედრო საქმისა, რომ... შეეძლო მთელი ქალაქის ორ საათში აფეთქება. სპარსელებმა ინტელიგენტ-ავანტურისტი პანოვი მართლა სპარსეთის მხსნელად დასახეს და ბაქოელი ყოჩების წყალობით სამხედრო შტაბის წევრად აირჩიეს“.¹ მასაც გაუჩაღებია თავისი ავანტურისტული საქმიანობა — შანტაჟი და პროვოკაციები.

ამ დროს კი თეირანის გზაზე წასული კავკასიელი რევოლუციონერი — რაზმელები წინ მიიწევდნენ. „მეორე დღეს, 31 იანვარს, — აგვიწერს სერგო, — რაზმი უხედათოდ მიუახლოვდა სოფელ რუსტამ აბადს; მათ წითელი დროშებით ხელში გზაში შეეგება 500-მდე გლეხი-კაცი, ხანების ხელმძღვანელობით. „იშასუნ მაშრუტა“, „იშასუნ გურჯი“ იგრილა ბრბომ, როდესაც რაზმმა სამაგიერო საღამო უძღვნა და სიმღერით გადაუხვია სოფ. რუსტამ-აბადისაკენ... სადაც შეისვენა რაზმმა“.²

1 თებერვალს რაზმი სოფელ რუდბარში მივიდა და გლეხების რჩევით მოხერხებულ ადგილზე დაიკავა ხელსაყრელი პოზიცია, საიდანაც „თუ ყაზვინიდან წამოსული ჯარი გაბედავდა... მთებში შემოსვლას, ცოცხლად დაბრუნება ყოველად შეუძლებელი გაუხდებოდა“. მაგრამ რადგანაც მტერი არ გამოჩენილა, რაზმელებს განუზრახავთ წინ წაწევა, რათა ყაზვინს დასცემოდნენ“ და ამით „ხელი შეეშალათ, მტრის ძალის მოკრეფისათვის“. მაგრამ რეშტის სამხედრო შტაბს მათთვის ამის ნება არ მიუცია. 10 თებერვალს რუდბარში რაზმს კიდევ მიმატებია 60 ადგილობრი-

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 9.

² იქვე

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 11, 1910 წ. 16 თებერვალი.

² იქვე, № 9.

ვი გლეხი კაციანი თოფებით (გილანელები) და 12-ზე კაცკახელი — ზარბაზნით. 30 თებერვალს ოთხი ქართველით იქ ჩასულა ცნობილი მიტხაზ-სულთანის (სარდარ-ში), რომელსაც უამბნია რა ხდებოდა რეშტში და რას აკეთებდა იქ თავისი „ყოჩებით“ პანოვი, რომელიც ამ დროისათვის შტაბის სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო. იქუნად ამაღლელებელი ყოფილა ამ ავანტურისტის ქცევა, რომ მას დაშნაკების ხელმძღვანელი ეფრემიც კი წონასწორობიდან გამოუყვანია და გათენებისას თავისი რაზმით ჩემად რეშტში წასულა, „პანოვთან ანგარიშის გასასწორებლად“.

ნარკვევში მტყვევალაა აღწერილი ის განგაში, რომელიც გამოიწვია ცნობამ შაჰის ჯარის მიახლოების შესახებ. ამ ამბის გაგებისთანავე მთელი რაზმი ფეხზე დადგა და მტრის დასახვედრად მოეშადა. „მზევრავი ჯგუფი გაიგზავნა მენტრისის ჯგუფისაკენ. დანარჩენები დაიყვნენ პატარპატარა ჯგუფებად და საფრებისაკენ გაექანენ... ბოლო საფარში, საიდანაც მტერი უნდა შემოსულიყო და საიდანაც პირველი ყუმბარა უნდა გავარდნილიყო, ჩასხდნენ საუკეთესო მებრძოლნი ქართველები. შუაში დროშაკელები და 25 სპარსელი ჩასვეს... 4 საათზე ყველა მზად იყო... 5 საათზე დამზევრავი ცხენოსანი ჯგუფი დაბრუნდა და აცნობა რაზმს — ჯარი არსად ჩანსო. ამ სიტყვების გაგონებაზე ყველამ მოიწყინა, ყველა ილანძლებოდა. რაზმმა მაინც ღამის გატარება მტრის მოლოდინში საფრებში არჩია მეორე დღემდე“¹.

ინტერესმოკლებული არ არის ნარკვევის ის ნაწილები, რომელშიც მტრად კოლორიტულად და მიწხიდველად აგვიწერს ავტორი რაზმელთა ყოფაქცევას იმ დამეს და განსაკუთრებით ქართველთა სიმხიარულეს, მათ სულიერ მხნეობას, რაც უცხო ქვეყანაშიც კი თან სდევთ. „შუა ღამეა. ზოგიერთ საფარში ცეცხ-

ლი ანთია. გარშემო რაზმელები შექმნიწკრივებულან. ზოგი ღვინოთყვევით გი იცინის და ჯარს (შაჰს) უღწმუნდას... შუა გზიდან მოისმის ქართული ურეული სიმღერა, რომელსაც ყველა სიმღერის მოყვარე სულ-განაბული ყურს უგდებს და გათავებისას განწეორებას თხოულობს. ღამის ორი საათია. ღვინო გამოილია. ცეცხლიც ოდნავ ბეჭტავს. რაზმელები სიცივისაგან ერთმანეთს ეკვრიან. მოულოდნელად საფარში შემოვარდება ერთი რაზმელი და ავღაბრული კილოთი ატყობინებს ამხანაგებს: „ვია! ეს რა ვნახე, კაცო! ოთხასმა ვირმა ერთად ჩაიარა ამ გზაზე! ჩემმა მზემ, აი!“ (ავტორი იქვე განმარტავს — ღამე დიდი მოძრაობათ თეირანის გზაზე. მეტი წილი ჩალვადრებისა ღამე ერეკება დატვირთულ ჯორ-აქლემებსო) და შემდეგ ისევ განაგრძობს: „ამ ამბის მომტან რაზმელს ავღაბრული კილოთივე უყვირებენ: „ოთხასპირველიც შენ იქნები. შე ოხერო შენა, განა ვირებისათვის გვაღვიძებ?, რამაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია და შერცხვენილი ამბის მომტანი ღანძლით გაბრუნდა უკან.“

ოთხი საათია. თითქოს ყველას სძინავს, მარტო წინა საფრიდან მოისმის „სიზინდსა ოთხნა დაეუწყით“, სიმღერა, რომელიც აფხიზლებს და ახალსებს მიყუჩებულ არე-მარეს“¹.

ღილის 7 საათისათვის კი ყველა რაზმელი, გარდა მორიგი დარაჯებისა, სოფელში ბრუნდება. ჩასვლის უმალ მათთვის რეშტში მყოფ ამხანაგებს უცნობებით პანოვის თავაშეკებულობა. „რაზმელებს ყველას გული აუმღვრია ამ ამბავმა და გაუასწყვიტეს დაბრუნებულ იყვნენ რეშტში და აელაგმათ ეს პროვოკატორი“. მაგრამ მუიზამ-სულთანს, რომელიც „ბევრ ქართველს ძმანავით უყურებდა“, უთხოვნია, რომ არ მიეტოვებინათ იგი და განსაცუელში არ ჩაეგდოთ, იმათაც შეუცვლიათ თავისი თავდაპირველი განზრახვა და მხოლოდ

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 9, 1910 წ. 13 თებერვალი.

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ. 16 თებერვალი.

ორი ამხანაგი გაუგზავნიათ რეშტში საქმის გასარჩევად.

ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით ეხება პანოვის (სტეფანე პანოიანცის) ამბავს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის ზღუსტაკოვეური ბაქიაობით მან ისე მოხიბლა სპარსელი ინტელიგენცია, რომ სამხედრო შტაბის წევრადაც კი აირჩიეს. პანოევაც „არ დაახანა — და შესდგა თუ არა შტაბში ფეხი, თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა“. ის აღარავინ აღარ სცნობდა, არც ენჭუმენს, არც სამხედრო შტაბის დანარჩენ წევრებს და არც დანარჩენ რევოლუციურ დაწესებულებებს. ზღოთ იგლო შტაბის მთელი ჭონება — 20000 თუშანი, იარაღი და, რაც კი რამ მოიპოვებოდა. დარაჯად ბაქოელი „ყოჩები“ დაიყენა და შტაბის დანარჩენ წევრებს შტაბის კარებშიც არ უშვებდა. მითვისებული ფულით მიეცა გარყვნილ-გათახსირებულ ცხოვრებას თავისი „ყოჩებიანად“, რომელთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა ბაქოდან ჩამოსული ახალ-ახალი „შევაებით“. რეშტის ალებიდან 2-3 კვირის შემდეგ იქ უკვე 300-ზე ასეთ „რევოლუციონერს“ მოუყრია თავი, რომლებიც „გარყვნილობის მეტს არაფერს არ აკეთებენ“. პანოვისა და მისი დამკვეთის თავხედური პარპაში იქამდე მისულა, რომ მათ ყველა რევოლუციური ორგანიზაციისა და პირის წინააღმდეგ გალაშქრებაც კი განუზრახავთ. „როდესაც პანოევმა საქმარისი ძალა მოიკრიბა, მაშინ ამკარად დააპირა... გალაშქრება: სეპეზდარზე, შუიზამ-სულთანზე, ენჭუმენზე და ასე გაინჭეთ, ქართველებზე-დაც-კი“ წერს სერგო. „ვინ არიან ქართველები, საიდან მოთრეულან და რა უნდათ მაგათ სპარსეთშიო“ — გაიძახოდა თურმე ეს გაიძვერა.

საქმეში ჩარეულა „კარგად გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნე შტაბის „ქართველი წევრი“, რომელსაც „ნიადაგი გამოუცლია“ პროვოკატორის თარეშისათვის და მოუთხოვია მისი სპარსეთიდან გაძევება. წინააღმდეგ შემთხვევაში, განუცხადებია მას, ქართვე-

ლები უკან დაბრუნდებიან და სომხებიც არაერთარ მოაწილეობენ, ვინაიდან მათ მომავალ ბრძოლაშიო. ენჭუმენი დაუფიქრებია ამ გარემოებას და საქმის გამორკვევა ქართველებისათვის მიუღწევია.

20 თებერვალს გამართულა ქართველ-სომეხთა და დანარჩენ კავკასიელთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოითხოვა პანოვის ირანიდან გაძევება. ამ ამბავმა პანოვის ყურამდეც მიიღწია, მაგრამ მან აინუნშიაც არ ჩააგლო ეს და კვლავ თავისას განაგრძობდა. პანოვი ცდილობდა მთელი რევოლუციური ძალების მბრძანებელი გაჩხარდებოდა.

22 თებერვალს სომხების თეატრის დარბაზში გამართულა კრება, რომელსაც დასწრებიან გილანელ-თავრიზელი სომხები; ქართველები და ბაქოელი „ყოჩებიც“. ამ კრებას უნდა გაესამართლებინა პანოვი და თუ იგი დამნაშავედ იქნებოდა მიჩნეული, სპარსეთიდან უნდა წასულაყო. ავანტურისტს ბევრი მოსარჩლე გამოჩენია, „მაგრამ ცნობილმა შტაბის წევრმა ქართველმა ყველას სიტყვა გააქარწყლა, ყველას ხმა ჩააქმენდინა და ურჩია დამსწრეთ უფრო თვალხილულად მიეჭკიათ ყურადღება პანოვისათვის; იგი ურჩევდა სპარსელთ არ ნდობოდნენ პანოვს და შეერთებული ძალით გაეძევებინათ იგი სპარსეთიდან, რაზედაც უმრავლესობა დათანხმდა და „იამასუნ მამრუტას“ ძახილით „კრება დაიშალაო“ — წერს სერგო.

მაგრამ პანოვი მაინც თავისას არ იშლიდა. ენჭუმენი და სხვა დაწესებულებანი, ავანტურისტების შიშით, გადაჭრულ ზომებს ვერ მიმართავდნენ. მაშინ „გურჯებს“ კატეგორიულად დაუსვამთ საკითხი — ან ჩვენ წავალთ სპარსეთიდან, ან პანოვი იქნას გაძევებულიო. „რა თქმა უნდა, — წერს სერგო, — სპარსელებს ერთი პანოვის გაცლა ერთი 40 ქართველის გაცლას“. და კიდევაც გადაწყვეტილა მისი გაძევება, მაგრამ ავანტურისტი რის ავანტურისტია, რომ ასე იოლად დასთმოს პოზიცია: ამ დადგენილებიდან სწორედ

ერთი თვის შემდეგ, 20 მარტს, როგორც წერს სერგო, ამ ნიადაგზე დიდა დავა ატეხილა. საქმე იქამდე ვართულებულა, რომ კავკასიიდან ცენტრალური კომიტეტის ორი წევრი რასულ-ზადე და რახიმ-ზადე ჩასულან რეშტში. ამ უკანასკნელს პანოვის მხარე დაუჭერია. „მე როგორც ც. კ. წარმომადგენელი უფრო ვიცნობ პანოვს, ვიდრე თქვენ — უთქვამს ქართველებისათვის, — თქვენ (ქართველებს — ა. კ.) ასე გეგონათ უთქვენოდ... გაგვიპირდებოდა რეშტის ალებო“. ამაზე ქართველებს ასე უპასუხნიათ: „ჩვენ ქართველები არ მოვს უღვაართ აქ... როგორც ქართველები, ჩვენ (მოვედით) როგორც ინტერნაციონალისტები და, მაშასადამე, რევოლუციონერები“ (ნაზვასმა ჩვენია. — ა. კ.). თუ თქვენ ვლაც პანოვს, რომელსაც პირველად ჰხედავთ, ჩვენზე კარგათ სცნობთ და ჩვენზე მალა აყენებთ, სჩანს, ჩვენ საჭირონი აღარ ეყოფილვართ თქვენთვის. მაშ, ვისურვებთ თქვენი მხსნელი პანოვით გამარჯვებასო¹, და ლაშქრობაში მყოფი ქართველი რაზმელებისათვის ტელეფონით შეუტყობინებიათ რეშტში დაბრუნებულიყვენენ კავკასიაში წასასვლელად. ენჯუმენს მხოლოდ ახლა მიუღია გადამჭრელი ზომა პანოვის გასაძეგვლად. პანოვიც მიმხვდარა, რომ მისი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, დასთანხმებია კიდევ წასვლას, მაგრამ ვზის ფულად (?!) 7000 თუმანი მოუთხოვია. ენჯუმენს ჩუმად 3000 თუმანი მიუცია და ისიც თავისი თერთმეტი ბაქოელი „ყოჩით“ სპარსეთს გასცლია. ავანტურისტი პანოვის ირანში ჩასვლის ებიზოლის მოთხოვნიბისას სერგო ნათლად მიგვანიშნებს იმ საფრთხეზე, რომელსაც ეს გაიძევრა და მისი „ყოჩები“ უქაღდნენ ირანის რევოლუციას, რომ კავკასიელ მებრძოლებს დროზე არ ემხილათ და არ გაეძეგვებინათ ისინი,

რაც, როგორც დავინახეთ, არც ისე იწლი საქმე გამოდგა. პანოვის წასვლის შემდეგ რეშტში სიმშვიდე დამყარდა. ყველა საბრძოლო ძალები გაერთიანდნენ და „თეირანის ვზაზე თითქმის 80 კაცმა მოიყარა თავი. გურჯების ჯგუფიც გაიზარდა“. მარტის დამლევისათვის რაზმში 50 კაცი ითვლებოდა. „ენჯუმენიც უფრო გულმოდგინედ მუშაობდა, რადგან ყველა წევრმა შეიგნო თავისი მოვალეობა“. თუმცა რევოლუციონერთა რიცხვი ათასს აღემატებოდა, მაგრამ ყველანი როდი იყვნენ გულითა და შეგნებით ახალი წესწყობილების მოტრფიალენი. სერგოს მოწმობით ზოგიერთები (უმეტესად გილანელები) იმისათვის ეწერებოდნენ რაზმში, რომ რაიმე გამორჩენა ენახათ. იყო ღალატის შემთხვევებიც. ზოგიერთები შაჰის მხარეზე გადადიოდნენ და პროვოკაციებს უწყობდნენ რევოლუციის დასახმარებლად ჩასულ კავკასიელებს. სერგო ასახელებს იუზბაშაიდან გაქცეულ ერთ გილანელ ქერიმ-ადას, რომელიც რეშტში ჩასულა და პროვოკაციები მოუწყვია ქრისტიანების წინააღმდეგ — „მათ სპარსეთში გაბატონება უნდათო“. მაგრამ ამ პროვოკაციებს კავკასიელთა აქტიური ჩარევით ბოლო მოღებია. რევოლუციონერთა ავტორიტეტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი რიგებიც. „რევოლუციონერთა რაზმი საკმარისად გაიზარდა... 1.500 კაცს აღემატებოდაო“, — წერს სერგო, — და იქვე განაგრძობს: „ეს ძალა ნამდვილად კმაროდა ყაზვინზე კი არა თეირანზე გასალაშქრებლადაც, მაგრამ რეშტელები იძულებული ხდებოდნენ ელოდნათ თავრიზიდან დამამშვიდებელი ამბებისათვის“¹.

საქმე ისაა, რომ თავრიზში ამ დროს რუსის ჯარი შევიდა და რევოლუციონერებს, სათარ-ხანის მეთაურობით, ავიწროებდა. ამასთან მეფის მთავრობის წაჭეზებით რეშტზე გალაშქრებას აპირებ-

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ. 19 თებერვალი.

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 14, 1910 წ. 19 თებერვალი.

და არდაბილის გუბერნატორი, და ეს განზრახვა რომ განხორციელებულიყო, სპარსეთის რევოლუციას ბოლო მოედებოდა. მეორე მხრივ რევოლუციას ემუქრებოდა ყაზვინელი ქიაზ-ნაზიმი. სპარსეთის რევოლუციას კრიზისის შავი ღრუბელი ჩამოაწვა.

ფართო მსჯელობისა და ვითარების ღრმად აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყვიტა ყაზვინზე გალაშქრება.

სერგო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასწერს ამ ლაშქრობას:

რევოლუციური რაზმი თეირანის გზით წინ მიიწეოდა, 18 მარტს იგი მენტილში იყო. იუზბაშ-ჩაიდან მას ტელეფონით შეატყობინეს, რომ იუზბაშ-ჩაის მახლობლად, ქუთუბის სოფლებში, ჩავიდა ყაზვინის მთავარსარდლის ქიაზ-ნაზიმის შვილი გენერალი ნასირ-ხანი თავისი რაზმით. იგი ხალხს აწიოკებს და რევოლუციონერებზე გასალაშქრებლად ემზადებაო. „თვით ნასირ-ხანი, — ვითხულობთ სერგოს ნარკვევში, — ტელეფონით ემუქრებოდა მენტილში მყოფ რაზმს და ასე ამბობდა: „მე მზად ვარ სამაგიერო პასუხი გავცე ვიღაც ურჯულ გურჯებს. მათ მე გილანელი არ ვეგონო. ვინც კი გაპბედაეს იუზბაშჩაის ხიდის აქეთ ერთი ფეხის გადმოდგმას, ენახოთ რა დღეს დაეაყრიო“¹.

რეშტის შემდეგ, — განაგრძობს სერგო, — რევოლუციონერებს არავითარი შეტაკება არ მოსვლიათ მტერთან და აი, ახლა ნასირ-ხანთან მოსალოდნელმა ბრძოლამ ყველა ექსტაზში მოიყვანაო. „რევოლუციონერთა შორის ბევრი ახლად ჩამოსული კავკასელი ქართველი და სომეხი იყო და ამ ახალ-ჩამოსულებს კიდევ უფრო ეხალისებოდათ ბრძოლა“.

სალამოს 4 საათი იყო, როცა რაზმი წითელი დროშის ფრიალით სალაშქრო გზას დაადგა. ამას 62 ვერსი გზა უნდა გაველო, რომ მენტილიდან იუზბაშჩაიში ჩასულიყო. წინ მხვერავეები გაგზავნეს. მტრის ბანაკამდე ერთი ვერსი

იყო დარჩენილი, როცა გზაში გარეული რაზმი ერთად შეგროვდა და კონსიდაციუზი გაიყო; ქართულ-რუსულ ენების შერწყმის ერთ „გურჯს“ გააყენენ (ეს „გურჯი“ სერგო ჩანს — ა. კ.), თათრულ-ფარსულ-სომხურისა კი — ეფერემა და ქენებით გაექანენ მტრის პოზიციებისაკენ. წინ ქარვასლა იყო. ფიქრობდნენ, რომ ნასირ-ხანის რაზმი იქ იქნებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა, მტრის ძირითადი ძალა მთებში იყო ჩასაფრებული და იქიდან დაუშინეს ტყუა რევოლუციონერებს. ვაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ნასირ-ხანი და გენერალი იბრაჰიმ-ხანი ქარვასლას ამოფარებოდნენ თოფებმომარჯვებულნი. მათ ზურგიდან მიჰპარვია ერთი რაზმელი და ნასირ-ხანისათვის თოფი ხელიდან გამოუგლეჯია, იქვე მდგომ მეორე რაზმელს კი რევოლუციით მოუკლავს იგი. მიიმედ დაჭრილი იბრაჰიმ-ხანი ტყვედ ჩაუგდიათ. იქ მყოფ არანელ გლეხებს მოუთხოვიათ მტარვალი ცოცხალი არ გავუშვათო, და ისიც იქვე დაუხვრატიათ. ნასირ-ხანისა და იბრაჰიმ-ხანის დახოცვას დიდი სიხარული გამოუწვევია მათ ნაყმევ გლეხებში. „აღარ გვექონდა, ჩვენო მზენო, მათგან მოსვენება. რაც გვებადა, ძალით თუ ნებით ყველაფერი წაგვართვეს, ოჯახი აგვიწიოკეს და ეხლა ძალით გვერეცებოდნენ თქვენთან საბრძოლველად. მაგრამ თქვენ მოგვისწარით და დაგვიხსენით მოსალოდნელი წამებისაგან. დღეის შემდეგ ჩვენც თქვენთან ერთად დაეიხოებითო და რამდენიმე ახალგაზრდა ქუთთი მაშინვე შეუერთდა რაზმს!“ — ასე აგვიწერს სერგო მტარვლების დახოცვით გამოწვეულ ადგილობრივ მკვიდრთა სიხარულს.

ამის შემდეგ დაიწყო ლაშქრობა ყაზვინზე. იუზბაშ-ჩაიდან ყაზვინამდე 50 ვერსი რჩებოდა. მოლაშქრე რაზმი შესამჩნევად იზრდებოდა, დღე არ გადიდოდა, რომ რაზმს ათი-ხუთმეტე შეიარაღებული ცხენოსანი ქუთთი არ შე-

¹ იქვე, № 11.

¹ იხ. „ახალი სიბიტი“, № 11.



ერთბოდა. ახლად შემომატებული მებრძოლები მზად იყვნენ სხვებთან ერთად გაეწირათ თავი. რაზმი თავის რიგებში უკვე 1500 კაცზე მეტს ითვლიდა.

რევოლუციონერებს პირველი შეტაკება ქიაზიმ-ნაზიმის რაზმთან მოუხდათ. ეს ის ქიაზიმია, რომელსაც რევოლუციონერებმა შვილი მოუკლეს და ახლა სამაგიეროს გადახდას მოწყურებული ქიაზიმი, სისხლის აღებით იძუტრებოდა. სერგო მას ახასიათებს, როგორც დიდ ფეოდალს, რომელიც ორასამდე სოფელს ჰვლობდა. მას კიდევაც შეუტრებია 1000 ქურთი და 200-კაციანი ავანგარდი უფროსი შვილის მეთაურობით რევოლუციონერების წინააღმდეგ დაუძრავს. მათ ასეთი გეგმა ჰქონიათ დასახული: ქიაზიმის რაზმის ნაწილი უნდა ჩასაფრებულაყო ამბუს მთებში (თერანის ვზის მარჯვნივ), ხოლო ნაწილს უკნიდან წამოეველო პაჩინარში მყოფი რევოლუციური რაზმისათვის. ამავე დროს ყაზვინიდან გამოილაშქრებდა შაჰის ჯარი და ამგვარად შუაში მოიწყვედებდნენ რევოლუციონერებს, რომელთაც ასეთ შემთხვევაში მთლიანად ამოწყვეტა ელოდათ. მაგრამ ქიაზიმი მოტყუებულა და რევოლუციონერების ხაფანგში თვითონვე გაბმულა. სერგო ამ ამბავს ასე აღწერს:

„1 აპრილს ქიაზიმ-ნაზიმის შვილს რევოლუციონერთა დასახვერავად გამოეგზავნა ოთხი მთიელი ხანი, რომლებსაც, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, უნდა შეებყრათ ერთი კავკასიელი მაინც და ტყვედ წაეყვანათ; ხანები ჩვეულებრივ მშვენიერ ცხენებზე ისხდნენ და მენტლისაკენ მიეშურებოდნენ, რომ მათ მოულოდნელად ვარს შემოერთყა ჯგუფი კავკასიელებისა. ხანებმა ხმის ამოდებაც ვერ მოასწრეს, რომ ყველას მენტლისაკენ უტრეს თავი...“¹ ერთი სიტყვით, ქიაზიმ-ნაზიმი იძულებული გამხდარა იარაღი დაეყარა, რასაც ხელი შეუწყო მისი მეორე, უმცრო-

სი შვილას რევოლუციონერების მიერ დატყვევებამ.

რევოლუციონერები თანდათან შეიკრიბნენ მოუახლოვდნენ. მის ასაღებადაც დიდი და გააფთრებული ბრძოლა შეხვდათ. ასეთ ბრძოლას, ცხადია, უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია რევოლუციონერებს მრუტელს 4 და დაუტრეს 18 კაცი. დაღუპულთა შორის იყო იოსებ კიმიანაური, რომელიც დიდი პატივით დაუკრძალავთ. შაჰის ჯარში აღმოჩენილა 120 დახოცილი და 2000-მდე დაჭრილი.

„გამარჯვების უმალ ყაზვინში გაიხსნა ენჭუმენი და საჯარო რევოლუციური დაწესებულებანი, რომლებშიაც ჩვეულებისამებრ მოლები და ბელადი ხანების ნათესავები მოჰყვნენო“¹ — იუწყება სერგო.

მანამდე კი ავტორი დეტალურად აღწერს ბრძოლას ყაზვინისათვის. ამ აღწერაში მეტად საინტერესო, სახიფათო და ზოგჯერ სასაცილო საბრძოლო ეპიზოდებს ვკითხულობთ. არას გილანელების მზაკვრობაც, ზოგიერთი ადგილობრივი ხანის ღალატიც, მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილმა თავდადებამ, რაც განსაკუთრებით კავკასიელებს ახასიათებდათ, თავისი გაიტანა, — ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. თუმცა, როგორც ზევით მოყვანილი ამონაწერიდან დავინახეთ, ხელისუფლება მაინც მოლებმა და ხანებმა იგდეს ხელთ.

სერგო აღწერს ერთ ამაზრუნენ ეპიზოდს, რომელსაც შეუშფოთებლად ვერ წაიკითხავ: „სეპეხდარიც რეშტიდან ჩამოვიდა ყაზვინში, რომელსაც ხალხი დიდი აღტაცებით მიეგება და ჩვეულებისამებრ უნდოდათ ცოცხალი კაცი მსხვერპლათ მიერთოათ. შემოვიდა თუ არა სეპეხდარი შუა ქალაქში, მის ეტლს გადაელობა ბავშვით და გაღესილი დანით ხელში ვილაც გილანელი. დააწვინა ბავშვი მიწაზედ და ის იყო ყელში დანა უნდა გამოეყვია, რომ ხელი

¹ იხ. „ახალი სხვი“, № 14.

¹ იხ. „ახალი სხვი“, № 24, 1910 წ. 4 მარტი

სტაცა ერთმა ქართველთაგანმა და საცოდავი ბავშვი, რომელიც შავი თვალებით, თითქოს გავეირვებული, ხმის ამოუღებლად მამას შეკუყრებდა, სიკვდილს გადაარჩინა¹.

კავკასიელთა მისია ყაზვინის ალებით თითქოს დამთავრებული ჩანს. როგორც სერგო წერს, 15 მაისისათვის, ორა-სამა კაცის გარდა, ყველა რეშტში დაბრუნებულია სამშობლოში წასასვლელად. მაისის გასულს კი „სამოცი კაციდან 8—9 კაციღა იყო რეშტში დარჩენილი, რომლებიც პოლიციას (რუსეთის. — ა. კ.) ერიდებოდნენ და დროებით რეშტში დარჩენა აჩიქეს“. მათ შორის იყო სერგო ორჯონიკიძე.

ყაზვინის დაცემით დამფრთხალმა შაჰმა ხალხს კონსტატუცია უბოძა, რასაც დიდი ზეამით შეხედნენ. სეპეხდარმა წინადადება მისცა რევოლუციონერებს იარაღი დაეყარათ და ნაბოძები კონსტატუციით დაემაყოფილებულიყვნენ. შექმნილა ვაურკვევლობა. თვით რევოლუციონერებსაც კი არ სცოდნიათ როგორ მოქცეულიყვნენ — დაემაყოფილებულიყვნენ კონსტატუციით, თუ ბრძოლა განეგრძათ.

მდგომარეობაში გარკვევისათვის ხელი შეუწევია ბახტიართა (სპარსეთის მთიელთა) ბელადის სამ-სამ-სალთანეს სამოქმედო ასპარეზზე გამოჩენას, რომელსაც მოუწოდებია ხალხისათვის შეერთებული ძალებით გაელაშქრათ თეირანზე. „ამ წინადადებას, — ამბობს სერგო, — ყველას ფრთები შეასხა და გამოაფხიზლა“. „თუ დროზე არ გამოჩენილიყვნენ ბახტიარები, — განაგრძობს იგი, — გილანელები... შეურაგდებოდნენ შაჰს და... სპარსეთის რევოლუციას ბოლო მოეღებოდა“².

რას წარმოადგენდნენ ბახტიარები, რომლებიც ავტორს სპარსეთის რევოლუციის მხსნელად გამოჰყავს?

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერი სერგოს ნარკვევი-

დან სპარსეთის ამ მამაცი ტომის დასახსიათებლად:

„ბახტიარებისთანა საუკეთესო მებრძოლი ტომი სხვა არ მოიპოვება სპარსეთში. სიკვდილ-სიცოცხლე კირი და ლხინი სულ ერთია მთიელი ბახტიარისათვის. გაწერთილი მხედრები და საუკეთესო თოფის მსროლელი ბახტიარები, თქმა არ უნდა, მარტოც დაამარცხებდნენ შახის ჯარს და, თუ საჭირო იქნებოდა, მთელ დანარჩენ სპარსეთსაც.

ვისაც უბრძოლია ბახტიარებთან ერთად და ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ბახტიარების შეუპოვარ ბრძოლას, მხოლოდ მას შეუძლია თქვას რამე ბახტიარებზე, როგორც მებრძოლებზე! ნუ ჰგონია მკითხველს, რომ ის შესხვეანები, რომლებმაც არდებილი და აღებრებიჯანი აიღეს, ის ქურთები, რომლებიც ერთი თოფისათვის ასი კაცის თავს შეწირავენ, ოღონდ კი თავისას მიღწიონ თალიშელი, მაქოელი და სხვა ტომები შეედარონ სიუაქაყეში ბახტიარებს. ბახტიარი ყველგან მეომარია და ამას შემდეგ დავინახავთ“¹.

აი, ასეთ ვაყაყებს გაუწვდიათ დახმარების ხელი რევოლუციისათვის.

„ქართველების წასვლით ფრთებშეკვეცილი რეშტ-ყაზვინელები — წერს სერგო, — ახლა კი იმედით აღივსენ და საჩქაროდ გაემგზავრნენ თეირანისაკენ, სადაც ვაშაში უნდა შეერთებოდნენ სამ-სამ-სალთანეს ძმის სარდარ-ასადის რაზმს და შემდეგ თეირანზე გაელაშქრათ“².

როგორც აღნიშნულია ნარკვევში, თითქმის 2.500 კაცს მოუყრია თავი და გაუწევია დანიშნული ადგილისაკენ ბახტიარებთან შესაერთებლად. პირველი ბრძოლა შაჰის ჯარებთან რევოლუციონერებს ჰქონიათ სოფ. შა-აბადთან 22 ივნისს, მაგრამ დამარცხებულან და ჩასანგრულან. დეპეშა გაუგზავნიათ რეშტში დარჩენილი ქართველებისათ-

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 28, 1910 წ. 9 მარტი.

² იქვე.

¹ იხ. „ახალი სხივი“, № 24.

² იქვე, № 28, 1910 წ., 9 მარტი.

ვის და დახმარება უთხოვიათ. ქართველები დათანხმებულან და 23 ივნისს ყაზვინში წასულან, რასაც აგრეთვე ხალხის დიდი სიხარული და აღტაცება გამოუწვევია. „მათ გარშემო მთელმარეშტმა კვლავინდულად მოიყარა თავი, კონა-ხვევნი და „იამასუნ გურჯის“ ძახილით კიდევ ერთხელ გააცილეს ქალაქს ქართველები, — ავეიწერს ამ ამბავს სერგო და განაგრძობს: გურჯ-ყარადაღელებმა, რომელთაც ადრევე ჰქონდათ ერთმანეთში კავშირი, ყაზვინში მოიყარეს თავი და გადასწყვიტეს ერთად ებრძოლათ“¹.

24 ივნისს გურჯ-ყარადაღელები ჩავიდნენ ყაზვინში, სადაც შესვენებაც ვერ მოასწრეს, რომ სამ ქართველს მყისვე მოუხდა შა-აბადში სასწრაფოდ წასვლა მიუხამ-სულთანისა და ეფრემის თხოვნით.

„რათ იყო სამი ქართველი საჭირო ორი ათასი რაზმელისათვის, ნუთუ უმათოთ ძნელი იყო მტერზე მისვლა“, — კითხულობს სერგო და იქვე უპასუხებს, — „ღიახ“, ძნელი იყო“-ო და განმარტავს: — „ეს იმისათვის, რომ იმ მცირე რიცხოვან გურჯების ჯგუფში, სხვებთან შედარებით, რომელიც ყაზვინში იღებდა მონაწილეობას, ოცი ისეთი მეზობელი მოიპოვებოდა, რომ რამდენიმე ას სარბაზს არ გაექცეოდა.. გურჯების მედგარი ბრძოლა მთელ სპარსეთში განთქმული იყო და პირველად, სადაც კი შეტაკება უნდა მომხდარიყო, ისინი მიდიოდნენ წინ, მეორეც, ამოდენა ხალხში არც ერთი ყუმბარის მსროლელი არ მოიპოვებოდა გარდა ქართველებისა, თუმცა ორი კარგად გამოცდილი ყუმბარის მსროლელი რუსი იყო, მაგრამ ისინიც გურჯების ჯგუფის წევრებად ითვლებოდნენ“².

25 ივნისს გურჯ-ყარადაღელები ყარაღაფაში ჩასულან. გზაში მათ „იამასუნ გურჯის“ ძახილით შეგებებია ყველა ბელადი და მიუწვევიათ შაჰ-აბასის

ძველ სასახლეში თეირანის გზის ახლოს, აქ ისინი შეუიარაღებიათ, ^{გვ. 200} დაუფით, რომელიც მამედ-ალე ^{გვ. 200} გლეჯებისათვის დაურიგებია მისი ტახტის დასაცავად, უკანასკნელებს კი მთლიანად რევოლუციონერებისათვის. ჩაუბარებიათ. შემდეგ გურჯ-ყარადაღელებსა და ბახტიარებს შეერთებული ძალებით მიუტანიათ იერიში თეირანზე.

ისე შესანიშნავად აქვს სერგოს ეს ლაშქრობა აღწერილი, რომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი მთლიანად აქ მოტანა, რათა გვეჩვენებინა, რამდენად კარგად ჰქვოდა ავტორი კალამს და რა ზუსტად აღწერდა ამ გრანდიოზულ ბატალიას: „გურჯი-ყარადაღელების შეერთებამ ბახტიარები უფრო გაამხნევა. ბახტიარების მეზარბაზნე არტილერიის გენერალი სართიბ-ხანი ზარბაზანს არ აცდენდა ღალეი სულეიმანში მყოფ შაჰის ჯარს, რაც ტაშის ცემას და ყიყინს იწვევდა რევოლუციონერებში.

კავკასიელებმა შესვენებისას წინ წაიწიეს და შეუერთდნენ მოწინავე ბახტიარების რაზმს, რომელიც მტერზე სულ 700 ნაბიჯის სიშორეზე იდგა, კედელს ამოფარებული.

შეერთებისას, ბახტიარ-გურჯ-ყარადაღელებმა უმაღლესად გადასწყვიტეს ციხეზე იერიშის მიტანა. გასწიეს წინ და არ გაჭრბენიათ ორასი ნაბიჯი, რომ თავს წააწყდნენ პატარა ხევში ჩასაფრებულ მტრის მოწინავე რაზმს.

გაჩაღდა ბრძოლა. კავკასიელებმა პირველად ნახეს ბახტიარების სიფუკაცე. ვერც ტყვიას, ვერც ზარბაზანს ვერ შეეძლო მათი შეჩერება, ყველა სროლით მიიწვედა წინ. მალე კავკასიელებმა მოიმაზადეს მაუზერები (ბახტიარს მაუზერი არ უყვარს და არც არავის ჰქონდა) და ბახტიარებთან ერთად გადავიდნენ (შეიქრნენ) მტრის ბანაკში, — გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ორი საათი გასტანა, რის შედეგადაც მტერი გაიქცა ციხისაკენ. მტერმა დასტოვა ოცდაშვიდი დაქრილ-დახოცილი, 50 თოფი და 7 ყაზახ-ბახტიარი ცოცხლად შეიპყრეს. რევოლუციონე-

¹ იხ. „ახალი სსივი“, № 28.

² იქვე.

რების მხრით დაიჭრა და დაიხოცა ოცდათორმეტი ტყვე. ბახტიარებში აღმოჩნდა ძმა ბახტიარ-რევოლუციონერი-სა. ბახტიარები იყვნენ როგორც რევოლუციონერების მომხრე, ისე შაჰის მომხრენიც.

მარცხნივ ფლანგზე სოფელ დემოვიზში იბრძოდნენ ეფრემი და დანარჩენი გილანელები, რომელთაც ცუდი დღე დაადგათ და კინალამ დამარცხდნენ. ეფრემი რამდენიმე საუკეთესო დროშაყელით, შაჰის მომხრე ბახტიარებმა მოტყუილებით შეიპყრეს, ზოგს იარაღიც აპყარეს და ტყვედ უპირებდნენ წაყვანას, მაგრამ მათ დროზე წამოეშველენ ამხანაგები, ხუთმეტამდე ბახტიარი დახოცეს და ტყვეები გაათავისუფლეს, თუმცა ზოგნი უიარაღოდ.

მათი განათავისუფლების შემდეგ მარცხენა ფრთამ ძალა მოიკრიბა, იერიში მიიტანა მტერზე, რომელიც სოფ. ბადამეკში გაიქცა. დაიწყო ზარბაზნების სროლა ორივე მხრიდან. მტერმა მინდორში დასტოვა ოცამდე მოკლულ-დაჭრილი. რევოლუციონერებს მოუტყლეს ოთხი, დასჭრეს ექვსი კაცი და ოთხი ცხენი. ამავე ბრძოლაში მოკლეს ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი, დროშაყელი ხეჩო.

შაჰის საუკეთესო მთელმა ჯარმა დალეი-სულეიმანის ციხეში მოიყარა თავი, საიდანაც განუწყვეტელი თოფ-ზარბაზნის სროლა იყო. მაგრამ მათ ერთადერთ ზარბაზანს შიგ ტუჩში მოხვდა ტყვია და შუაზე გაჰყო.

27 ივნისს სალამოთი ბახტიარები აპირებდნენ იერიშის მიტანას დალეი-სულეიმანის ციხეზე, მაგრამ ქართველებს საკმაო ყუმბარები არა ჰქონდათ, ხალხიც ძალზე დაღალული იყო და სეპეხდარიც იწერებოდა იერიშის მიტანა არ გაბედოთ, რადგანაც მსხვერპლი დიდი იქნებოდა.

სეპეხდარმა გვირჩია ყველანი შევერთებულოყავით და შუა კაცობა გვანდეს მე და სპარსელ მამედ-ალის (ყარაღაღულს). ის იყო, გავცდით სოფელს, რომ სოფელ ბადაბეკიდან, რომელიც მხო-

ლოდ ერთი ვერსით არის დაშორებული დემოვიზზე, იქუბა მტრის ზარბაზნისა, რაზედაც რევოლუციონერებმა უმასხუნეს. მთელი სამი საათი ზარბაზნების შეუწყვეტელი სამმხრივი სროლა იყო. მალე რევოლუციონერები გაიფანტნენ მინდორში და სროლით, სირბილით, გაექანენ მტრისაკენ. მტერი გაიქცა და ზარბაზნებიც გაიტაცა. რევოლუციონერებს მოუტყლეს ხუთი კაცი და 10-მდე ცხენი. სალამოთი ბახტიარები შეუერთდნენ ყაზვინ-რეშტელებს და გადასწყვიტეს დაეჩქარებინათ თეირანზე გალაშქრება.

ბახტიარებს აინტერესებდათ ყუმბარა, რომლისაც ძალიან ეშინოდათ. მათ სთხოვეს ქართველებს გაეცნოთ მათთვის ყუმბარის ძალა. ქართველებმაც არ დაახანეს და მეგობარ ბახტიარებს სურვილი აღსრულეს. მანქანის (აპარატის) საშუალებით ცხრა გირვანქიანი ყუმბარა კედელში ააფეთქეს და ორი საყენის სიმაღლე კედელი მტერად აქციეს. ბახტიარები დიდ აღტაცებაში მოიყვანა ყუმბარამ. „ოღონ თქვენ თეირანის კედელი აგვიფეთქეთ, რომ ქალაქში შესვლა შეგვეძლოს და მერე ნახეთ, რადღეს დაეყარით ქაჩალებსაო (ქაჩალებს სარბაზებს ეძახდნენ ისინი).

ამავე სალამოთი რაზმს სურს დალეი-სულეიმანის ციხე ააფეთქოს. ცხენოსან ჯარს სამმხრივ ზალალები უნდა ესროლა, რომ ქართველები ცეცხლქვეშ მიპარვოდნენ ციხეს და აეფეთქებინათ.

რევოლუციონერების შეერთებული რაზმი ხუთი ათას კაცს აღემატებოდა, რომელნიც ნელა გაჰყვა მინდორ-ბილიკით თეირანის ვაკეს, ასცდა ყველა იმ სოფელს, სადაც შაჰის ჯარი იმყოფებოდა, გათენებისას გადაუხვია მარცხნივ რუსეთის მიერ გაკეთებულ საფოსტო გზას და როდესაც სოფ. აბადს ჩაუარა, იქ მყოფი ჩასაფრებული ყაჩაღები მთებში გაიქცნენ. მამაცმა ბახტიარებმა მათ შესაშინებლად მხოლოდ ჰაერში დასცალეს თოფები და ყიყინით გააციულეს სოფელს ყაზახები.

5—6 ვერსზე გაფანტული რაზმი

წელს მიიწვედა წინ. იქნებოდა დილის რვა საათი, როდესაც წინა პირმა რაზმისამ თეირანის გორაკიდან თავზე გადმოჰხვდა ამწვანებულ თეირანს.

რაზმი მოუბრუნებლად მიუახლოვდა ბეჩეთ-აბადის ალაყაფის ქალაქის შესავალ კარებს. რომელიც ღია დახვდა, თუმცა კარებში სამოკამდე კარგად შეიარაღებული შაჰის მომხრე ბახტიარის იდგა ერთი ზარბაზნით. მაგრამ რაზმის დანახვაზე ისე აირიენ, რომ ვერც კი მოასწრეს ლიახოვისათვის ეცნობებიანათ რევოლუციონერების ქალაქში შესვლა. სროლა — კი მათ მხრივ ყოველად უსარგებლო იქნებოდა, რადგანაც ცოცხალი ვერაფერ დააღწევდა თავს.

რაზმი შევიდა ქალაქში (ტყუილია სხვადასხვა გაზეთების ცნობები, ვითომ რევოლუციონერები სხვადასხვა მხრიდან შესულიყვნენ ქალაქში. ყველა ბეჩეთ-აბადის კარიდან შევიდა).

წინა რიგი რაზმისა გაეშურა განადგურებულ მეჯლისისაკენ. აქ ბელადებს დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ უკან ჩამორჩენილებს არ მოუცადეს, რომლებიც ჭგუფ-ჭგუფად შემოვიდნენ და გზების უცოდინარობის გამო მტრის ცეცხლში ეხვეოდნენ.

პოლკოვნიკ ლიახოვის შაჰის ჯარი კარგად დაენაწილებია...

მეჯლისში მისული რაზმი სამად გაიყო: ბახტიარები, როგორც „ყოფნა არყოფნის“ გადამწყვეტნი, მოედვენ მთელ ქალაქში უფრო საფრთხილო ალაგებს. გილანელები მეჯლისის ეზოში დარჩენ და იქვე ვალავანში გამაგრდნენ. ეფრემმა თავისი რაზმით ალაყედ-დოულეს ქუჩის შუა გული კუთხე დაიჭირა, ინგლისის და ოსმალეთის საკონსულოების შუა ალაგი, რადგანაც ეშინოდა ლალატისა და სომხების „პოჯრომისა“...

ყველა ქუჩებში ბრძოლა თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო. ზარბაზნების ქუჩილი, თოფმაუზერის სროლა, ხალხის ქრიაშული, ყველაფერი ერთმანეთში ირევა. ეფრემი და გილანელები მტერს მარტო სროლაზე უპასუხე-

ბენ... თეირანში მარტო ბახტიარები იბრძვიან.

ეროვნული

მეტი წილი გურჯ-ყარაღაღლელებისა რომლებიც ცხენების ძებნაში უკან ჩამორჩნენ რაზმს, ჯერ არსად სჩანს, მათ თურმე გზაში ყაზახები დაეცენ. მაგრამ მათ ყაზახები გააქციეს.

ყუმბარის გრიალი არსაიდან არ მოისმის. სროლას ყური შეეჩვია. ცა მოქუშულია, თითქოს რაღაც საშინელებას მოელოსო.

თეირანი იბრძვის, თეირანის ქუჩები საესეა დაჭრილ-დაზოცილებით.

1 ივლისს, თუმცა ზარბაზნების სროლა განუწყვეტელია, ყუმბარის გრიალი კიდევ არსაიდან ისმის, მხოლოდ თეირანი კარგად გრძნობს, რომ გურჯები უახლოვდებიან ქალაქს და ყუმბარის გრიალი მოწამეა მათი ქალაქში შემოსვლისა...

თენდება.. მოისმის ქუჩილი. გავარდა ერთი... ხუთი... კიდევ და კიდევ. მედგარი ბახტიარები ყუმბარის გრიალით გონება: აბნეულ მტრის ჯარში, ყიყინით, დამკლავებულნი ხელ და ხელ გადაერიენ.

ბახტიარებმა მტერს წაართვეს ორი საუკეთესო ახალი სისტემის ზარბაზანი, რომლებიც შაჰის ჯარის იმედს შეადგენდა, და სროლით ყაზახთა ბრიგადის ყაზარმებისაკენ მიიწვევენ. კიდევ გავარდა ყუმბარა, რომლის გრიალითაც გარშემო მტერ-შემორტყმულ თვით ქართველ-ყარაღაღლელების ხელმძღვანელს ატყობინებენ გამარჯვებას და ხსნას.

ბახტიარების სიფიქსაციით ყველას გული მიეცა, მათ გვერდში ამოდგომია ოთხი-ხუთი გურჯი და თავდავიწყებით ყველა მხარეს ყუმბარებს ისერის. ყველას გიჟივით დაუტყვეტია თვალები და წინ მიიწვეს. არაფერ არ ერიდება არც ტყვიას, არც ზარბაზანს და არც არაფერთარ ძალას.

მთელი დღე სროლაა. თეირანის ქუჩები სისხლით არის მორწყული და შელებილი.

ეს პირველი ივლისი გადამწყვეტია გამარჯვება-დამარცხებისათვის.

ვილაც ტელეფონით ატყობინებს ინგლისის კონსულს: „ქართველები ქალაქს ყუმბარებს ესერიან. ვთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ შესწყვიტონ სროლა და დაიცივან უცხოელთა ინტერესები“.

ინგლისის და ავსტრიის კონსულები მართლა ჩაერიან საქმეში. უცხოელებს წინადადება მისცეს, ვისაც ეშინოდა საკონსულოში ჩამხდარიყვნენ. ცალკე შაპის ჯარს გამოუტყხადა კონსულმა თოფი არ გაესროლათ ინგლისის საკონსულოსაკენ. უკანასკნელ შემთხვევაში იძულებული გახდებოდა რაიმე ზომები მიეღო მათ წინააღმდეგ.

ბახტიარები თავისას განაგრძობენ. განიერი, ჩაშვებული შარვლები ქაპრებში ატყრავეთ. ჭუჭყიანი პერანგები დაუმკლავებიათ და უკანასკნელად ყუმბარის გრაილში „ოოოო“ ძახილით კიდევ გადაერიან მტრის ჯარში და კიდევ გაიმარჯვეს.

ჯარის უფროსის ბრძანებით, ალა-ედ-დოულეს ჭუჩის სათავეში ჩასაფრებულ ორ გურჯს ხუთჯერ კიდევ ესროლეს ზარბაზანი, მაგრამ ამოდ. ისინი თავისას განაგრძობდნენ და ბრძოლის მესამე დღეს, როდესაც პატრონები შემოეღიათ „Русское слово“-ს კორესპონდენტის კრინსკის დახმარებით თავს უშველეს და ამხანაგებს შეუერთდნენ...

შუა დღის ორ საათზე ხმა გავრცელდა შაპი გაიქცა რუსის საკონსულოში. ესლა კი აშკარა იყო რევოლუციონერების გამარჯვება. სროლამაც იკლო და ჯარის უფროსი იწერება: გნებდებით, ჩემს ყაზახებს ხელს ნუ ახლებთო.

რა თქმა უნდა, როდესაც შაპი გაიქცა და ლიხხოვიც დანებდა რევოლუციონერებს, დანარჩენ შაპის ჯარსაც მეტი გზა არ ჰქონდა, იარალი უნდა დაეყარა და ასეც მოხდა. სროლა სრულიად მიწყნარდა.

რევოლუციონერები თავისუფლად დასერიანობენ რეაქციონერების უბნებში. მეჭლისის ეზოში მუსიკა უკრავს მარსელიოზას. რაზმელები ერთმანეთს ეხვევიან და გამარჯვებას უსურვებენ... „გაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს ბახ-

ტიარებს...“. მოისმის ირგვლივ ხმა... ეხლა დაბოლოვებისას გულახდლულ შეგვიძლია ვთქვათ, ვინ აიღო თურისნი...!

თუ თეირანი სამი დღე განუწყვეტილი იბრძოდა და ხალხმა გაიმარჯვა, ეს მოხდა გმირი ბახტიარების მეოხებით...

თეირანი აიღეს ბახტიარებმა, რომელთა რიცხვი 2.500 კაცს აღემატებოდა და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბახტიარები თუ არა, რეშტ-ყაზვიენელები ვერ გაბედავდნენ თეირანზე წასვლას და თუ გაბედავდნენ, ლიხხოვის ჯარი ან ყველას გაჟლეტდა, ან ცოცხლად შეიპყრობდა და სპარსეთის რევოლუციას დროებით „ბოლო მოეღებოდა“...

5 ივლისს თეირანი ყმაწვილს, ჯერ ისევ ბავშვს — ახმედ-მირზას ლოცავს კონსტიტუციონურ შაჰად. ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ბახტიარების ბელადს, სარდარ-ასადს, ირჩევენ შინაგან საქმეთა მინისტრად, სეპეხდარს სამხედრო (თუმცა სამხედრო მინისტრობა პირველს უფრო ეკუთვნის), დაშნაკჯაკან ეფრემს პოლიცემისტრად. რამდენიმე ქართველს წინადადებას აძლევენ, რომ დარჩენ ყაზახთა ბრიგადაში ოფიცრებათ, მაგრამ არავინ დასთანხმდა...

ამით დამთავრდა სპარსეთის რევოლუცია (თუ კი ამას რევოლუციას დავუძახებთ!). ხალხმა, ანუ უფრო რამდენიმე მდიდარმა ხანმა, გაიმარჯვეს: თავიანთ წრიდანვე ამოირჩიეს დანარჩენი მინისტრები და საჭირო მოხელეები და ვითომ ხალხიც პარლამენტის გახსნის მზადებას შეუდგა...¹.

ასე ამთავრებს სერგო თავის ნარკვევებში — „სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან“ — სპარსეთის რევოლუციის აღწერას, თუ მართლაც, მას რევოლუციას ვუწოდებთ.

სერგო ორჯონიკიძეს შემდგომშიც არაერთი საინტერესო წერილი გამოუქვეყნებია ჩვენს პარტიულსა და საბჭოთა პრესაში. ამ უკანასკნელ წლებში

1. იხ. „ახალი სხივი“, № 35, 1910 წ. 17 მარტი.

მისი რჩეული სტატიებისა და სიტყვების კრებულშიც გამოიცა, მაგრამ ორივე ამ შემთხვევაში იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგება, არა როგორც ჟურნალისტი, ამ სიტყვის პროფესიული გაგებით, არამედ როგორც დიდი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.

ჩვენს მიერ მოყვანილი და გარჩეული წერილები კი სერგოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის სწორედ ამ ჟურნალისტურ მხარეს აშუქებენ.

სპარსეთიდან გამოგზავნილ წერილებში სერგო გვევლინება უცილო ნიჭისა და მახვილი თვალის ჟურნალისტად, რევოლუციური სულიკვეთების სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ღირსეულ „საკუთარ კორესპონდენტად“. როგორც დავინახეთ, ამ შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწისა და თავდადებული პროფესიონალი რევოლუციონერისათვის დამახასიათებელ ალღოსა და უნარს არც ჟურნალისტურ საქმიანობაში უღალატნია. სერგოს წერილები და ნარკვევები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, რომ მათ ავტორს უბრალოდ და მეტყველად, სადად და გასაგებად შეუძლია გააშუქოს რთული სოციალ-პოლიტიკური და ისტორიულ-რევოლუციური მოვლენები. ავტორი ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებებს, ხალხურ თქმებსა და ანდაზებს და იდიომატურ მასალას. წერილებში იგრძნობა გამოცდილი პოლემიკოსის უნარი და ჰუმორით დაჯილდოებული ადამიანის მახვილგონივრული დაკვირვებანი.

სერგო ორჯონიძის წერილებსა და ნარკვევებს ახასიათებთ მწვავე სარკაზმით ტექსტის დამუხტვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი რევოლუციის მტრებსა და ორგულებს, რენეგატებსა და პოლიტიკურ თაღლითებს ამართახებს. ხშირად და ეფექტურად მიმართავს ორჯონიძე სატირასაც, რომელსაც მოწინააღმდეგის მხილებისა და დაცინვის მოქნილ საშუალებად იყენებს.

ჟურნალისტური მოღვაწეობის ხანა არ არის ხანგრძლივი პერიოდი მერგოს ბიოგრაფიაში. მაგრამ ეს წლები მეტად საინტერესო არიან, და ჩვენმა ახალგაზრდა ჟურნალისტებმა მათ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ. ეს მათ უპიკველად დიდ სარგებლობას მოუტანს.

ენაც ურიგო არ უჩანს კორესპონდენტს. ავტორი მიმართავს მარტივი თბრობის ხერხს, იყენებს მეტაფორებს, ხალხურ გამოთქმებს. მართალია, გვხვდება რუსიციზმები და ზოგიერთი სინტაქსური შეუსაბამოებიც, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს წერილები იწერებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, 1909—1910 წლებში, როცა ქართული ენა დევნილი იყო. იმ ხანად არც საკუთარი ტერმინოლოგია მოგვეპოვებოდა და ბევრი ცნება უცხოური ტრანსკრიპციით იწერებოდა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის შემდეგ, რაც საქართველომ თავისუფლება მოიპოვა და სწავლა-განათლება დედანაზე დაწესდა, ჩვენი ენაც უჩვეულო ინტენსივობით განვითარდა. ჩვენს დამწერლობასა და მეტყველებაში მრავალი ახალი ფორმა ტერმინი და გამოთქმა გაბატონდა.

ასე რომ, სერგოს მაშინდელ წერილებში ენისა და სტილის მხრივ დღეს ზოგიერთი რამ თუ საჩოთიროდ მოგვეჩვენება, ეს ამ გარემოებით უნდა ახსნათ. სამაგიეროდ მკითხველი ამ წერილებში ძალიან ბევრ ეროვნული არომატის მქონე გამოთქმას შეხვდება.

სხენებულ გაზეთებში ჩვენ შეხვდებით სპარსეთიდან გამოგზავნილ სხვა ავტორების წერილებსაც, მაგალითად, სილიბისტრო ჯიბლაძისას და ვადაუქარბებლად უპირატესობა სერგოს წერილებს უნდა მივანიჭოთ, როგორც შინაარსის, ისე თბრობის მანერისა და, რაც მთავარია, ფაქტებსა და მოვლენებში ღრმად ჩახედვის, მათი უფრო შინაარსიანად, პოლიტიკური სიმახვილით ახსნის მხრივ.

ვექრობთ, თანამედროვე ახალგაზრდა შკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, თუ რა პოლიტიკური მიმართულებისა იყო ის ეურნალ-გაზეთები, რომელთა საკუთარ კორესპონდენტობასაც სერგო ორჯონიკიძე ეწეოდა.

ეურნალი „სხივი“ და გაზეთები — „მომავალი“, „ჩვენი გაზეთი“, „ახალი სხივი“ მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ლეგალური ორგანოები იყო. ეურნალი „სხივი“ ყოველკვირეულად გამოდიოდა, ზოლო „მომავალი“, „ჩვენი გაზეთი“ და „ახალი სხივი“ ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთებად იწოდებოდნენ.

მათში ერთნაირად თანამშრომლობდნენ, როგორც ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები, ისე მენშევიკები. ბოლშევიკ ავტორებს შორის, სერგო ორჯონიკიძის გარდა, ვხვდებით ისეთ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ — ფილიპე მახარაძე, ცილისწამების შედეგად უდროოდ დაღუპული, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე აბელ ენუქიძე (წერდა „აბელის“ ფსევდონიმით), როგორცაა ძველი ბოლშევიკი, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო

მოღვაწე სერგო ქავთარაძე, რომელიც ლიტერატურულ მიმოხილვებს შეჰქმნებდა, და სხვანი. ხშირად იბეჭდებოდა სერგო რთვე ცნობილი ბოლშევიკი პოეტის ნოე ზომღეთელის ლექსები.

როგორც დაინახეთ, სერგო ორჯონიკიძის სახით ზემოთდასახელებულ ქართულ ეურნალ-გაზეთებს ურიგო კორესპონდენტი არ ჰყოლია, უეჭველია, რომ მკითხველები ყოველთვის ინტერესით მოელოდნენ მის წერილებსა და ნარკვევებს ირანიდან და ხარბადაც კითხულობდნენ მათ. ამ წერილებიდან ისინი სისტემატურად იგებდნენ ირანის რევოლუციის ამბებს, რაც მაშინ მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ყურადღების ცენტრში იდგა და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ამბების განვითარებას. ირანის რევოლუციის ამბები უთუოდ ყველაზე მეტად დააინტერესებდა ამიერკავკასიის ხალხებს და კერძოდ ქართველებს, რომელთა მრავალი წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ რევოლუციაში. კორესპონდენტი სერგო ორჯონიკიძეც შესანიშნავად აკმაყოფილებდა ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობის ამ გაზრდილ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას.

კლიმენტი გვალია

პოლკოვნიკი

კავკასიის ღაცვის ეპოპეა

„... არ დაგავიწყდეთ... მოთმინებით
შეაგროვეთ ცნობები იმათ შესახებ, ვინც
სამშობლოს ოცავდა... გახსოვდეთ: გვი-
რები არ უფიქვან უსახელო. ისინი იყ-
ვნენ ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ თა-
ვისი სახელი, თავისი საქუთარი სახე...“

იულიუს ფაჩიკი

I

კავკასიის დაცვა საბჭოთა ქვეყნის დიდი სამამულო ომის მიმდინარეობის ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპთაგანია. მე, როგორც ამ ეპოპეის უშუალო მოწინაწილეს, საბჭოთა არმიის 46-ე წლის-თავთან დაკავშირებით, მინდა გავახსენო მკითხველებს კავკასიის დაცვისათვის გაჩაღებული ბრძოლების მთავარი მომენტები, ის ნაწილები და მეომრები, რომელთა პატრიოტულმა თავდადებამ, გამირობამ და სიმამაცემ უზრუნველყო ამ ეპოპეის ძლევაშისალი დამთავრება და დიდების ახალ მწვერვალზე აიყვანა საბჭოთა არმიის მეომრული ღვაწლი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

საბჭოთა სამხედრო გაზეთი „კრასნაია ზვეზდა“ 1942 წლის 26 სექტემბრის ნომრის მეტაურ წერილში, სხვათა შორის, წერდა: „სამი თვეა მიმდინარეობს გააფრთხილებული ბრძოლები ჩვენი სამშობლოს სამხრეთში. აქეთკენ — ვოლგისპირეთისაკენ და ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიპყრობილია ამჟამად ყურადღება მთელი საბჭოთა ქვეყნისა, მთელი მსოფლიოსი. აქ გაინასკვა სამამულო ომის მეორე წლის მოვლენების უმნიშვნელოვანესი ევანძი. იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ბრძოლები სამხრეთში,

დამოკიდებულია სამშობლოს ბედი, მილიონობით საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება. ამჟამად საბჭოთა სამხრეთის დამცველებს აწევთ უდიდესი პასუხისმგებლობა 1942 წლის საზაფხულო კამპანიის დამთავრებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ბედ-იღბლისათვის. მათი პასუხისმგებლობა შეიძლება შეედაროს მხოლოდ მოსკოვის დამცველების პასუხისმგებლობას 1941 წლის შემოდგომაზე“.

პიტლერულ გერმანიას, რომელიც 1942 წელს უკვე ბატონობდა ევროპის 11 სახელმწიფოზე და რომელმაც თავის დაპყრობითს მიზნებს დაუქვემდებარა ამ ქვეყნების მთელი ეკონომიკა, თავის განკარგულებაში ჰქონდა კაპიტალისტურ მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი სამხედრო მანქანა. ისარგებლა რა იმით, რომ 1942 წელს ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო მეორე ფრონტი, ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენი ქვეყნის სამხრეთისაკენ — ვოლგისპირეთის, კავკასიის, ყირიმის მიმართულებით გადმოისროლა უამრავი სამხედრო ძალები — რჩეული სატანკო, მოტომექანიზებული, საჰაერო არმიები და ჩინებულად გაწვრთნილი სამთოალპური ნაწილები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ მთის პირობებში სამხედრო ოპერაციების გასაშლელად

საჭირო პირველხარისხოვანი საომარი ტექნიკით. არ ერიდებოდა რა არავითარ მსხვერპლს და დანაკლისს, ფაშისტურ გერმანიას გამოყავდა ახალ-ახალი საუკეთესო ძალები, რომ, რაც შეიძლება, სწრაფად გამოჭრბლიყო კავკასიისაგან. დაეპყრო ჩრდილოეთ კავკასიასთან ერთად ამიერკავკასიაც მთელი მისი სიმდიდრით და სტრატეგიული გზებით, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მსოფლიო კომუნიკაციების მთელ სისტემაში და რომლის ზელში ჩაგდება მას საშუალებას მისცემდა გაჭრილიყო ახლო და შუა აღმოსავლეთის, მცირე აზიის, აფრიკის, ინდოეთის დასაპყრობად და მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად.

შექმნა რა ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ამ სტრატეგიულ მიმართულებაზე ძალების დიდი რიცხვობრივი უპირატესობა, განსაკუთრებით, ტანკების, ავიაციის და არტილერიის მხრით, ფაშისტ-დაპყრობლებმა შესძლეს მიახლოებოდნენ ვოლგისპირეთის მისადგომებს, დაეპყროთ ქერჩის ნახევარკუნძული (მანისი). ყირიმი (ივლისი), დონი, ყუბანი, ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ქალაქები და რკინიგზის კვანძები, და 1942 წლის აგვისტოში მოადგნენ კავკასიონის მთავარი ქედის კალთებს, ხოლო 10 სექტემბერს აიღეს ნოვოროსიისკი. ამრიგად, პიტლერული ჯარების მარჯვენა ფრთა ებჯინებოდა ნოვოროსიისკს, ხოლო მარცხენა ფრთა—კავკასიის მთავარი ქედის კალთებს. ამიერკავკასიის უზარმაზარი ფრონტი გაიჭიმა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და ნოვოროსიისკიდან ბათუმამდე.

პიტლერულ გერმანიას გადაწყვეტილი ჰქონდა კავკასიის დაპყრობა განეხორციელებია გულმოდგინედ შემუშავებული გეგმით—„ედელვაისის“ მიხედვით — კავკასიის „A“ ჯგუფის 1-ელი და მე-4 სატანკო და მე-17 მოტორიზებული არმიების ძალებით; მარტო მე-17 მოტორიზებული არმია შედგებოდა 12 რჩეული დივიზიისაგან; გარდა ამისა, ფაშისტური არმიის კავკასიის ჯგუფში

შედიოდა შემდეგი დივიზიები: 3 რუმინული საკავალერიო დივიზია, 1 თომ-სამთო-მსროლელი, ერთი ცქვეითი დივიზია და 49-ე სამთო მსროლელი კორპუსი, კავკასიონის ქედის მადლობებზე საომარი მოქმედებისათვის დანიშნული ოთხი დივიზიის შემადგენლობით. კავკასიის ჯგუფის „A“ არმიების რეზერვში ფაშისტურ სარდლობას ჰყავდა აფრიკული კორპუსი, რომლის დანიშნულება იყო შეერთებოდა ფაშისტ-გენერალ რომელის არმიას ეგვიპტის რაიონში. 1-ელი და მე-4 ფაშისტური სატანკო არმიების დაცვა ჰაერიდან და გზის გაწმენდა ამიერკავკასიაში შემოჭრისათვის დაკისრებული ჰქონდა საჰაერო ფლოტის არმიას, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავდა ათასზე მეტი თვითმფრინავი.

„A“ არმიის კავკასიური ჯგუფის გერმანულ-ფაშისტური სარდლობა ფიქრობდა, რომ დონსა და ყუბანს შუა გაჩაღებულ ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა თითქოს დაკარგეს ბრძოლისუნარიანობა და ველარ შესძლებდნენ ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევას; ამიტომ გადააჯგუფა რა თავისი ჯარები, შეუდგა თავისი გეგმის — ყუბადაღებული „ედელვაისის“ უშუალო განხორციელებას. ამ გეგმის თანახმად ფაშისტურ სარდლობას უნდა განეხორციელებია გრანდიოზული მარწყხი: დასავლეთით და აღმოსავლეთით შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებით უნდა შემოეველო კავკასიონის მთავარი ქედისათვის, ზელში ჩაეგდო ამიერკავკასიის ცენტრები, გასულიყო თურქეთ-ირანის საღზვრებზე და აქედან განევითარებია სწრაფი შეტევითი ოპერაციები ახლო და შუა აღმოსავლეთის დასაპყრობად, დაემორჩილებია ეს კონტინენტები და მოეპოვებია მსოფლიო ბატონობა.

ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმის შესრულებისათვის ფაშისტური სარდლობა ფიქრობდა ერთდროულად განეხორციელებინა დარტყმა სამი მიმართულებით. პირველი — სამხრეთ-აღმოსავლ.

თის მიმართულებით მოქმედ სატანკო არმიას (მე-3 და მე-4 სატანკო კორპუსების და 52-ე საარმიო კორპუსის შემადგენლობით) დაკისრებული ჰქონდა ამოცანა აეღო გროზნოს ნავთობის რაიონები, გასულიყო კასპიის ზღვის ნაპირებზე, განევითარება შეტევა მახაჩკალა-ბაქოსკენ და 1942 წლის სექტემბრის დამლევის დაეპყრო ქალ. ბაქო. მეორე მიმართულებით მოქმედ მე-17 ფაშისტურ არმიას (57-ე სატანკო კორპუსის, მე-5 და 44-ე საარმიო კორპუსების და რუმინული საკავალერიო კორპუსის შემადგენლობით) დავალებული ჰქონდა ნოვოროსიისკის და ტუაფსის აღება და შეტევის განევითარება სოხუმის, ზუგდიდის და ბათუმის ხელში ჩასაგდებად. ცხაკაია-სამტრედიის რაიონებში შემოჭრისთანავე 57-ე სატანკო კორპუსი უნდა შებრუნებულყო აღმოსავლეთისაკენ, გაყოლოდა ბათუმ-ბაქოს რკინიგზის ხაზს, გადაეღახა სურამის უღელტეხილი და თანამოქმედებით ფაშისტურ სამთო მსროლელ შენაერთებთან, რომლებიც ჯვარის უღელტეხილით საქართველოს სამხედრო გზაზე უნდა გამოსულიყვნენ, აეღოთ საქართველოს დედაქალაქი თბილისი. მესამე მიმართულებით: კავკასიის მთავარ ქედზე პირველ სატანკო და მე-17 არმიებს შუა მოქმედებდა 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსი, რომლის ჯარები საგანგებოდ იყვნენ გავარჯიშებულ-გაფრთხილები. ამასთან თანამედროვე სამთო საქურველით და საომარი ტექნიკით შეიარაღებული მაღალ-მთიან რაიონებში სამოქმედოდ. ამ კორპუსს უნდა ემოქმედნა იალბუზის დასავლეთით მდებარე უღელტეხილებზე, გასულიყო სოხუმ-ზუგდიდ-ქუთაისის რაიონებში და ხელი შეეწყუო მე-17 არმიის შეტევითი ოპერაციებისთვის შავი ზღვის სანაპიროებზე.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უბედურება მოელოდა საბჭოთა ქვეყანას და მთელ მსოფლიოს, რომ ფაშისტური არმიის ეს სტრატეგიული გეგმა განხორ-

ციელებულიყო, ამიტომ გასაგებია ის ორგანიზებულიობა, მთელი ფრუყუტუდა სულიერი ძალების მობმულმზებულობა რომელიც საბჭოთა ქვეყანამ, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებმა და შეიარაღებულმა ძალებმა გამოიჩინეს მოსალოდნელი სასიკვდილო საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საბჭოთა კავშირის მოძვე ერებმა, მათ შორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შთაგონებულმა, ლენინური ნაციონალური პოლიტიკით ურთიერთთან შემტკიცებულმა, კომუნისტური პარტიის მეთაურობით და ხელმძღვანელობით, გვიჩვენეს ისტორიაში მანამდე გაუგონარი გვირობა და სოციალისტური საშრობლოსათვის თავდადება ფაშისტური ურდოების ჯერ შესაჩერებლად და მერე მათ გასანადგურებლად განაღებულ სამკვდრო-სასაციოცხლო ბრძოლებში. დიდი სამამულო ომის მთელ მანძილზე ამიერკავკასიის ფრონტის მაცო საბჭოთა ჯარები პირნათლად და ღირსეულად ასრულებდნენ საშრობლოს ბრძანებას — თავგანწირულად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის რიცხოზრვიად უპირატესი ძალების გააფთრებულ შემოტევას, გამძაფრებული თავდაცვითი ბრძოლებით ფიტავდნენ და აუძლურებდნენ მათ, უსპობდნენ ყოველგვარ შესაძლებლობას შემოჭრილიყვნენ ამიერკავკასიის ფარგლებში, ხოლო შემდეგ, გადავიდნენ რა შეტევაზე, სულმოუთქმელად ახევიანებდნენ უკან, სპობდნენ და ანადგურებდნენ რა მტრის ცოცხალ ძალას და მის სამხედრო ტექნიკას.

განსაკუთრებით გააფრთხებული ბრძოლები მიჰდინარეობდა ორჯონიკიძე-გროზნოს, ნოვოროსიისკ-ტუაფსის მიმართულებით, კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე, მოზდოკის, გიზელის, ნალჩიკის რაიონებში, მდინარეების — თერგის და ბაქსანის მიდამოებში, ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან. მტერი, რომელიც არავითარ დანაკლისს და მსხვერპლს არ ერიდებოდა.

ახალ-ახალი საუკეთესო ძალებით ავსებდა თავის შეთხლებულ დივიზიებს და თავს არ იზოგავდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, დაუფლებოდა მთელს ამიერკავკასიას, მაგრამ ფაშისტურმა სარდლობამ, მიუხედავად თავისი მრავალრიცხოვანი არმიებისა და პირველხარისხოვანი თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა, ვერ შეძლო ვერც ერთი დასახული ამოცანის გადაწყვეტა. ჯერ თავდაცვითი ბრძოლებით, ხოლო შემდეგ ელვისებური შეტევით ამიერკავკასიის ფრონტის მამაცმა ჯარებმა მტერად აქციეს მათი „სახელგანთქმული“ დივიზიები და საომარი ტექნიკა.

ჩვენი გმირმა მეომრებმა, მათ შორის, კავკასიის დამცველებმა, ზურგის სახელოვან შრომელებთან მკიდრო თანამშრომლობით, ჩვენი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ მოიხადეს პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე — აჩვენეს მთელს მსოფლიოს სწორუპოვარი გმირობა, შეურყეველი სიმტკაცეე, გამარჯვებისაკენ სწრაფვის უდრევი ნებისყოფა, რომელზედაც დაიმსხვრა ფაშისტური გერმანიის არა მარტო სამხედრო მანქანა, არამედ მსოფლიოზე გაბატონების ფაშისტური იდეაც.

დიდი სამამულო ომის მიმდინარეობის ყველაზე დამაბულ მომენტში, როცა ვოლგისპირეთის უბანში მტრის შეტევა კრიზისს განიცდიდა, ამიერკავკასიის ფრონტის მამაცი ჯარები იღვწენ რა მტკიცედ ორჯონიკიძე-გროზნოს და ნოვოროსიისკ-ტუაფსეს თავდაცვის ხაზზე თავისი უდიდესი აქტიური ოპერაციებით ბოჭავდნენ ფაშისტ-დამპყრობთა პირველ სატანკო და 57-ე არმიის ძალებს და საშუალებას არ აძლევდნენ ფაშისტურ სარდლობას ამ მიმართულებით გადაესროლა ჯარები ვოლგისპირეთთან მოქმედი ფაშისტური არმიების მისაშველებლად.

დამაბული და გააფთრებული თავდაცვითი ბრძოლების და სწრაფი შეტევითი ოპერაციების შედეგად, ამიერკავკა-

სიის ფრონტის მამაცმა საბჭოთა ჯარებმა, გადალახეს რა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, მეზობელ ფრონტებზე მოქმედ საბჭოთა ნაწილებთან და საპავერო-საზღვაო ფლოტის ძალებთან თანამოქმედებით 1943 წლის 16 სექტემბერს გაათავისუფლეს რა ფაშისტური უწმინდურობისაგან ნოვოროსიისკი, 1943 წლის 9 ოქტომბერს ტამანზე დაამთავრეს ფაშისტური „A“ არმიის კავკასიური დაჯგუფების ნაშთების განადგურება. ამით მთელი ძლევამოსილებით დასრულდა ისტორიული ბრძოლა კავკასიისათვის, ბრძოლა, რომელიც დაახლოებით 15 თვეს გრძელდებოდა.

ფაშისტ-დამპყრობთა არმიის ტამანის დაჯგუფების განადგურების შედეგად ლიკვიდირებულ იქნა მტრის ოპერატიულად დადად მნიშვნელოვანი პლაცდარმი და საბჭოთა ჯარებისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მტრის ძალების გასანადგურებლად ყირიმში და ფაშისტური სიბინძურისაგან მთელი ამ ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად.

კავკასიისათვის წარმოებული ძლევამოსილი ბრძოლის დამთავრებისთანავე, საბჭოთა არმიის მნიშვნელოვანი ძალები გადასროლილი და გამოყენებული იქნა ფრონტების სხვადასხვა უბანზე პიტლერელ დამპყრობთა ურდოების საბოლოო მოსპობისა და განადგურებისათვის.

კავკასიის დაცვა და ბრძოლა მისი განათავისუფლებისათვის შედგებოდა რიგი თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების კომპლექსისაგან, რაც დიდი წარმატებით განახორციელეს ამიერკავკასიის ფრონტის საბჭოთა ჯარებმა სამთო თეატრის მეტად მძიმე და რთულ პირობებში. საპავერო და საზღვაო ძალებსა და მეზობელი ფრონტების ჯარებთან თანამოქმედებით.

კავკასიის დაცვისა და ფაშისტ-დამპყრობთა განადგურების დროს გამოჩენილი მეომრული გმირობისათვის საქარ-

თველოს მკვიდრ 133 მეომარს, მეთაურს და პოლიტმუშაკს, აქედან 91 ქართველს, საბჭოთა კავშირის გმირობის წოდება მიენიჭა. დაახლოებით 80 ათასი ქართველი მებრძოლი დაჭილდოებული იქნა ორდენებითა და მედლებით.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს სხვადასხვა დროს სარდლობდნენ არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი, გენერალ-ლეიტენანტი დ. ტ. კოზლოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ს. ტროფიმენკო, არმიის გენერალი ი. ი. მასლენიკოვი. ემყარებოდნენ რა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ვაკეკატორ მეომრულ შემართებას, ზურგის მშრომელთა თავდადებულ შრომას, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურ დახმარებას. ამ მხედართმთავრებმა თავის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობთა კავკასიური დაჯგუფებების განადგურებაში.

კავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ და მტერს ანადგურებდნენ აგრეთვე სახელგანთქმული საბჭოთა მხედართმთავრები—საბჭოთა კავშირის გმირი, სსრკავშირის ამჟამამდელი თავდაცვის მინისტრი რ. ი. შალინოვი, საბჭოთა კავშირის გმირი მარშალი ა. ა. გრეჩკო, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო უნარიანობის და ძლიერების განმტკიცების საქმეში თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის გმირმა, აწ განსვენებულმა მარშალმა ტოლბუჟინმა, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა ფაშისტ დამპყრობთა მთელი რიგი ურდოების განადგურებით.

II

ბრძოლებს კავკასიის დაცვისთვის ჩვენ შევუდგებით უალრესად ძნელ პირობებსა და მძიმე ვითარებაში: 1942 წლის გაზაფხულამდე ამიერკავკასია წარმოადგენდა ღრმა ზურგს, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენდა ფრონ-

ტისათვის რეზერვების მომზადება და მოქმედი საბჭოთა არმიის შემოჭრებზე საჭურველით და სურსათით უზრუნველყოფა. დროისათვის ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების მთავარი ამოცანა იყო შავი ზღვის სანაპიროების დაცვა (სადგურ ლაზარეესკაიდან—ბათუმამდე, 1942 წ. ივლისი, აგვისტო). ამიერკავკასიის მაშინ ჩრდილოეთიდან საფრთხე არ ემუქრებოდა. ამის გამო კავკასიონის მთავარი მისადგომები ჩრდილოეთით, მახაჩკალიდან იალბუზამდე არ იყო დაცული ჩვენი ჯარებით, არც კავკასიონის უღელტეხილებზე იდგნენ ჩვენი ნაწილები; 1942 წლის აგვისტომდე ამ უღელტეხილებზე და მისადგომებზე არ წარმოებულა მუშაობა ღრმად ეშელონირებული თავდაცვითი ზოლების შესაქმნელად. ამ სერიოზულ სიძნელეებთან ერთად ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების გადასაროლა სამხედრო მოქმედებათა ჩრდილოეთ კავკასიის პლაცდარზე დაკავშირებული იყო მნიშვნელოვანი სიძნელეებთან, რომლებიც გამომდინარეობდა თურქეთის მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკის რეაქციული, პროგერმანული კურსიდან; მიუხედავად ნეიტრალიტეტისა, რომელიც თურქეთის მთავრობამ 1941 წლის 25 ივლისს გამოაცხადა, თურქეთის მმართველი წრეები, რომლებიც სიმპათიით ეკიდებოდნენ ჰიტლერს, აქტიურად ემხადებოდნენ სსრ კავშირის საწინააღმდეგო ომისათვის, უცდიდნენ ხელსაყრელ და მოხერხებულ მომენტს იმისათვის, რომ თავისი ჯარებისათვის მიეცათ ბრძანება საბჭოთა კავშირის საზღვრების გადალახვის შესახებ.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების და ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე, ამიერკავკასიის მრავალფეროვანი მოსახლეობის წინაშე იდგა ძნელი და პასუხსაგები ამოცანა: რაღაც არ უნდა დამჭდარიყო, შეეჩერებიათ და შემდეგ გაენადგურებიათ ვერაგი და საძულველი მტრის რიცხობრივად უპირატესი სამხედრო ძალები— მისი რჩეული სატანკო, მოტო-

მექანიზებული, საჰაერო არმიები და სამთოალბური ჯარის ნაწილები. რა თქმა უნდა, ეს ამოცანა მტრისმეტად ძნელი გადასაქრელი იყო, რადან ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები შედარებით მცირერიცხოვანი გახლდათ, ხოლო ტერიტორია, რომელიც მას უნდა დაეცვა — ძალიან დიდი და ვრცელი. მაგრამ ყოველ საბჭოთა მეომარს, და ზურგის ყოველ მშრომელს იმ მრისხანე დღეებში კარგად ესმოდა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტაზე იყო არა მარტო კავკასიის, ა/კ რესპუბლიკების, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყნის ბედი და მომავალი.

ფაშისტების ბელადები ვარაუდობდნენ, რომ კავკასიის მრავალეროვან მონახლეობაში გააღვივებდნენ ეროვნულ შუღლს და ამით შეარყევდნენ საბჭოთა არმიის ზურგის სიმტკიცეს სამხრეთში. მაგრამ მწარედ მოტყუებდნენ თავის ანგარიშში. კავკასიის ერებმა, დიდ რუს ხალხთან ერთად, კიდევ უფრო შეამკიდროვეს თავისი რიგები კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ვარშემო. ფაშისტური ურდოების სისხლიანი ტორი, კავკასიის მრავალეროვანი ხალხების თავზე აღმართული, მოკვეთილ იქნა ერთ ბანაკად გაერთიანებული საბჭოთა მეომრების და ზურგის მშრომელთა ძმური თანამშრომლობით და კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობის წყალობით.

თავისი მშვენიერებით მომხიბლავი კავკასიის კლდოვანი მთები იქცა იმ უძლიერეს ზღუდედ, რომელზედაც დაიშსებრა ფაშისტ დამპყრობთა არმიების ძლიერება. 1942 წლის ივლისში ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიის სიღრმეში ფაშისტური ჯარების შემოჭრისთანავე ამიერკავკასია მტრის უშუალო დარტყმის საფრთხეში მოექცა. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცკ-ის და უმაღლესი სარდლობის მითითებით და მათი ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ მიღებულ იქნა ქმედითი ღონისძიებები ჩრდილოეთის მხრიდან ამიერკავკასიის დაცვისათვის: შეიქმნა საომარ მოქმედებათა სამი რაიონი: **აღმოსავლეთი რაიონი** —

კასპიის ზღვიდან დასავლეთ კავკასიონის მაღალმთიანი უღელტეხილებამდე — **ცენტრალური** — იალბუზიდან მულორ-ჩენსკის უღელტეხილამდე (ყველაზე მაღალმთიანი მთავრებილი), და **დასავლეთის რაიონი** — ტყიანი მთის კალთები მაიკოპიდან ნოვოროსისკამდე.

ეს თავდაცვითი ზღუდეები, რომლებიც იქცნენ გადაუღახავ ჯებირებად მტრისათვის, გახდა ფაშისტთა ურდოების სამარე.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები (სარდალი არმიის გენერალი ი. ვ. ტულენევი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი პ. ი. ეფიმოვი, შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ანტონოვი) თავმოყრილი იყვნენ ორი ძირითადი მიმართულებით: აჩიკულაკიდან ნაღიჩიკის სამხრეთ რაიონამდე მოქმედებდა ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარები (44-ე, 58-ე, 9-ე, 37-ე არმიები, მე-4 უზბანის და მე-5 დონის გვარდიის საკავალერიო კორპუსები) გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. მასლენიკოვის სარდლობით, ხოლო ნევეთეგორსკის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ნოვოროსისკამდე შავი ზღვის ჯგუფის ჯარები (18-ე, 56-ე, 47-ე არმიები) გენერალ-ლეიტენანტ ი. კ. პეტროვის სარდლობით; ჩრდილოეთისა და შავი ზღვის ჯგუფების ჯარების შუალედში — მთავარი კავკასიონის ქედის უღელტეხილების ოთხასკილომეტრიან ფართო ფრონტზე მტრის ძალების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს ახორციელებდა 46-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ კ. ნ. ლესელიძის სარდლობით. მამაცმა საბჭოთა ჯარებმა, ზურგის მშრომელთა გამართული მხარდაჭერით, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, გაანადგურეს კავკასიაში შემოჭრილი მტრის რჩეული მილიონიანი ჯარები 1942 წლის 12 ნოემბერს ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან, გიზელთან გამართულ ბრძოლებში, მოხსვეს ფრონტის ამ უბანში მოქმედი მტრის მთავარი ძალები. ხოლო 1943 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გაანადგურეს ნოვოროსისკის

პლაცდარმზე მოქმედი მტრის მთავარი ძალები, 9 ოქტომბერს კი ტამანის ნახევარკუნძულზე სრულიად ლიკვიდირებული იქნა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა ძალები. ამით ძლევამოსილად დამთავრდა კავკასიის დაცვის ეპოპეა, რომელიც გრძელდებოდა 15 თვემდე (1942 წლის ივლისიდან 1943 წლის ოქტომბრამდე).

გენერალ-ლეიტენანტი კ. ნ. ლესელიძე შემდეგ იყო 18-ე არმიის სარდალი, მისი მამაცი ჯარები მონაწილეობას იღებდნენ ნოვოროსიისკ-ტამანის პლაცდარმებზე მტრის ძალების განადგურებაში.

ამიერკავკასიის თავდაცვის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული ყველა ეს ამოცანა ღირსეულად იქნა შესრულებული ამიერკავკასიის ფრონტის შემოთდასახელებული ჯარების მიერ. ჯარისკაცთა პოლიტიკურ-მორალური სიმტკიცის ამღლებმაში, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებაში, მტრისადმი გააფრთხებული წინააღმდეგობის გაწევისათვის მეომართა მომზადებაში უდიდესი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო შენაერთების და ნაწილების პოლიტორგანოებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა; პოლიტმუშაკები—კომუნისტები და კომკავშირელები სიმამაცის და გმირობის თავისი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მეზობლებს და მიჰყავდათ მეზობლთა მსახელები მტრის ურდოების გასანადგურებლად, ფაშისტ-ბარბაროსებზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა, რომელიც უზრუნველყოფდა პიტლერელთა ურდოების განადგურებას, იყო საბჭოთა მეომრების მორალური უპირატესობა მტრის წინაშე. ეს მორალური მხნეობა, მაღალმეომარულ ოსტატობასთან და აქტიუობასთან შეერთებული, ვახდა საწინდარი საბჭოთა არმიების ძლევამოსილებისა ამიერკავკასიის ფრონტზეც. სწორედ საბჭოთა მეომრების ამ მორალური სიმტკიცით, მათი სამხედრო ოსტატობით და შეუპოვარი

აქტიუობით აიხსნება ის, რომ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა განადგურეს ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი მტრის არმიები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ სამჯერ თუ ოთხჯერ მეტი საომარი ტექნიკით — ტანკებით, ავიაციით და არტილერიით. ავილოთ შემთხვევა, როცა № 392 ქართული დივიზიის არაერთი რაიონული დივიზიონალი ნაწილების წინააღმდეგ გააფრთხებით იბრძოდა ფაშისტების სამი ძლიერი დივიზია, რომლებიც აღჭურვილი იყო დიდძალი ტანკებით, არტილერიით, გამანადგურებელი თვითმფრინავებით, მექანიზებული საშუალებებით; მიუხედავად ამისა, მტერმა ვერ შესძლო გაერღვია თუნდაც ქართული დივიზიის თავდაცვის ხაზის ერთი უბანიც კი; მოხდა პირიქით: ბევრად უფრო მცირე ცოცხალი ძალით და საბრძოლო ტექნიკით ამ ქართულმა დივიზიამ სასიკვდილო ჭრილობა მიაკყენა ფაშისტების სამ დივიზიას. მეორე მაგალითი: მარტო ერთი № 955 ქართული საარტილერიო პოლკის წინააღმდეგ იბრძოდა მტრის სამჯერ უფრო ჯარბი არტილერია, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩახშობილ და განადგურებულ იქნა ერთი ქართული საარტილერიო პოლკის ქვემეხების ცეცხლით.

მტრის უპირატესობას ცოცხალ ძალებსა და საომარ ტექნიკაში და ამით გამოწვეულ ფაქტორებს — მუხანათ მტერთან ბრძოლის არათანაბარ პირობებს არ გამოუწვევია შიში საბჭოთა არმიის საბრძოლო რიგებში, პირიქით, გაძლიერეს მწვავე სიძულელი მტრისადმი, წარმოშვეს საბჭოთა მეომრების მასობრივი გმირობა, რომლის მეოხებითაც განადგურებულ იქნა რიცხობრივად უფრო მეტი ძალების და საბრძოლო ტექნიკის მქონე ფაშისტური არმიები. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის სხვა ისეთი მასობრივი გმირობა როგორც დიდ სამამულო ომში გამოიჩინეს საბჭოთა ხალხმა და მისი წიაღიდან გამოსულმა მეზობლებმა; სწორედ აქ გამოვლინდა ნაყოფი იმ გიგანტური მუშაობისა, რომელსაც ათეული წლე-

ბის მანძილზე ეწეოდა კომუნისტური პარტია კომუნისმის მშენებელი ახალი ადამიანის აღსაზრდელად. საბჭოთა მორალური ფაქტორი, როგორც მაჰობრავებელი ძალა ახალი სოციალისტური საზოგადოებისა, რომელიც დემოკრატიისა, საყოველთაო მშვიდობისა და კომუნისმისათვის საკაცობრიო ბრძოლის ავანგარდში დგას, ქეშმარიტად უძლეველი აღმოჩნდა.

III

ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მრავალეროვანი მოსახლეობა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, ერთსულოვნად ფეხზე დადგა წმინდა სამამულო ომისათვის, გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად. მრავალრიცხოვანი ჯგუფები მოხალისეებისა, მათ შორის, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ალბინატები, მძლეოსნები, ფეხბურთელები დაიძრნენ ფრონტისაკენ. ჩამოყალიბდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული ეროვნული დივიზიები, რომლებმაც შეუპოვარი ბრძოლებითა და მეომრული ოსტატობით საყოველთაო სახელი და დიდება დაიმსახურეს. იმ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბებული სამხედრო შენაერთებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი დივიზიები: №№ 224-ე (მეთაური ვ. ძაბახიძე), 392-ე (მეთაური ი. სილაგაძე, შემდეგ გ. ყუფარაძე), 414-ე (მეთაური ი. ნ. ბაბალაშვილი, შემდეგ გ. ყურაშვილი), 406-ე (მეთაური გ. ჩხობაძე), 349-ე (მეთაური ი. სილაგაძე), 276-ე (მეთაური ვ. სევასტიანოვი), 351-ე (მეთაური ვ. სერგაქოვი), 242-ე (მეთაური გ. ყურაშვილი), მე-9 და მე-20 სამთო-მსროლელი დივიზიები (მეთაურთა გვარები არ მახსოვს). პირველი ხუთი დივიზია ქართული ეროვნული დივიზიები იყო. დანარჩენი ხუთი კი — შერეული, რომელთა შემადგენლობაში ქართველ მეომრებთან ერთად შედიოდნენ სხვა მოძმე ერების შვილები — რუსები, უკრაინელები, სომხები, დაღესტნელები და

სხვები, რომლებიც, ინტერნაციონალური, ძმური მეგობრობით შექმნილებულნი, თავდაუზოგავად ებრძოდნენ და მასობრივი გმირობის მაგალითებს გვიჩვენებდნენ.

საბჭოთა საქართველოს რიცხოვრით მეტიერ მოსახლეობამ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის რიგებში წარგზავნა 800 ათასამდე ადამიანი, ვაჟები და ქალები, ე. ი. ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი მოსახლეობის 20 პროცენტი, ქართველ მეომართა მნიშვნელოვანი ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის, კავკასიის დაცვისათვის მებრძოლი კავიტანი ბუხაიძე, რომელსაც მიუძღვნა თავისი ცნობილი ლექსი პოეტმა ირ. აბაშიძემ; პოლიტბელი ვ. კანკავა, რომელსაც დაღუპვის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება; № 382-ე ქართული დივიზიის 805-ე საპოლკო არტილერიის უფროსი კავიტანი ზარანდია და ბევრი სხვა. კავკასიის დაცვის დროს ამიერკავკასიის მისადგომებზე საბრძოლო დავალებათა შესრულებისას დაბომბვაში მოპყვენ და დაიღუპნენ ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილე ალ. საჯაია, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბობინი და ანდრო სიმონის ძე ზოდელავა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ საბჭოს დეპუტატი, ქ. ორჯონიკიძის დაცვის კომიტეტის წევრი.

იყო მრავალი შემთხვევა, რომ ფრონტზე იბრძოდა 3, 5, 10 და ზოგჯერ უფრო მეტი ადამიანი ერთი ოჯახიდან; ამ ნარკვევის ავტორის ოჯახიდან სამი ძმა და ვაჟიშვილი ფრონტზე იბრძოდნენ; ქართველი კოლმეურნის აბესაძის ოჯახის წევრ 17 მამაკაციდან ფრონტზე იმყოფებოდა 14. ომის დაწყების წინ თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მუშაობდა ხუთი ძმა სვანიძე; როცა ფაშისტები კავკასიის დამეუჭრნენ, ხუთივე ფრონტზე წავიდა; საბჭოთა კავ-



შორის გმირის ლურსმანაშვილის და გენერალ კონსტ. ლესელიძის ოთხ-ოთხ-მა ძმამ თავი ისახელეს ფრონტზე სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლით, იშვიათი ვაჟაკობით და მხედრული შემართებით. შეიძლება კიდევ უფრო მეტად შეგვევსო სია ასეთი ოჯახებისა, რომლებიდანაც რამდენიმე წევრი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე, მაგრამ მოტანილი ფაქტებიც საკმარისად მოწმობენ მაღალ მორალურ და პატრიოტულ სულისკვებებს იმ ქართველი საბჭოთა ადამიანებისას, რომლებიც სიცოცხლეს არ ზოგავდნენ საქმეზე ფაშისტ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. უშუალოდ ფრონტზე მებრძოლ ქართველებს შორის ბევრი იყვნენ მეთაურები და პოლიტმუშაკები ინჟინერთექნიკოსები და მედიკინის მუშაკები, ათობით ქართველი მწერლები. და ყველა სპეციალობის მეთაურმა ქართველებმა თავდადებული ბრძოლით და თავიანთ საქმის უადრესად კეთილსინდისიერი შესრულებით ასახელეს თავისი რესპუბლიკა, თავისი კუთხე და მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს. დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველი საბჭოთა გენერლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან საბჭოთა არმიის ჯარის ნაწილების ისეთი ნიჟიერი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები, როგორც იყვნენ: გენერალ-პოლკოვნიკები: კ. ნ. ლესელიძე, პ. ვ. ჩანჩიბაძე; გენერალ-ლეიტენანტი ვ. პ. მკავანაძე; ჯარების დიდ შენაერთთა სარდლები, გენერლები: ვ. ვ. ნანეიშვილი, ნ. ტ. თავართქილაძე, ვ. ნ. ჯანჭღავა, მ. კ. ლლონტი, კ. კ. ჯახუა, პ. ი. აბრამიძე, გ. გ. ყურაშვილი, ი. ა. სილაგაძე, ი. ო. რაზმაძე, გ. მ. ჭინჭარაძე, გ. ი. ყუფარაძე, ვ. ს. ძაბახიძე, ი. ნ. ბაბალაშვილი, მ. გ. მიქელაძე, დ. ბ. ნამგალაძე, დ. გ. შანშაშვილი, ნ. ი. კალაძე, პ. ი. ჩხობაძე, ე. გ. კობერიძე, შ. ლ. ჭანკოტაძე, ვ. ბ. ლისინოვი, ლ. ა. გოლიაძე, ა. ნ. ინაური, მ. ე. როსტომიშვილი, ვ. დ. ხუბულური, მ. ს. კიკნაძე; კონტრადმირალები: ჭინჭარაძე, რამიშვილი, კახანაძე და სხვ.

ამიერკავკასიის ფრონტის არმიებისთვის საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის საწარმოებში მოგვარებული იქნა საომარი მასალის და საჭურვლის წარმოება. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშათა კლასი თავს არ იზოგავდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უზრუნველყო საბჭოთა არმიების გამარჯვება ფაშისტურ ურჩხულზე. ასევე ამიერკავკასიის რესპუბლიკების კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები დღე და ღამეს ასწორებდნენ ყანებსა, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, რომ კვების პროდუქტები არ მოკლებოდათ ფრონტზე მოქმედი საბჭოთა არმიის მეომრებს.

ჩვენმა გმირმა საბჭოთა ქალებმა, მოზარდმა ახალგაზრდებმა — ქაბულებმა და ქალიშვილებმა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შესცვალეს ფრონტზე ვაწვეული ქმრები, ძმები და მამები და ამით თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების მოპოვების საშვილიშვილო საქმეში.

ამიერკავკასიის და აზერბაიჯანის რკინიგზის მაგისტრალების მუშა-მოსამსახურეებმა უდიდესი დამატული მუშაობა გასწიეს, რომ უზრუნველყოთ სამხედრო ტვირთების შეუფერხებელი გადაზიდვა ზურგიდან ფრონტის მოწინავე ხაზებზე და ამით დიდად შეუწყეს ხელი ჯერ ქვეყნის თავდაცვას, ხოლო შემდეგ საბჭოთა ჯარის ძლევამოსილ წინსვლას დასავლეთისაკენ თვით ფაშისტური ურჩხულის ბუნაგამდე. ამ პატრიოტულ საქმეს მთელი თავისი ენერჯია და დიდი პრაქტიკული გამოცდილება მოახმარა ამიერკავკასიის მაგისტრალის სამხედრო გადაზიდვების სამმართველოს მაშინდელმა კომისარმა, ამჟამად თადარიგის შაიორმა, კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანმა ძველმა ბოლშევიკმა თადეოზ საღარაძემ.

ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიის თავდაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კო-

მიტეტმა და საქართველოს მთავრობამ უღელტეხილების და მთიანი რაიონების გასამაგრებელი სამუშაოების ხელმძღვანელებად გაგზავნეს საუკეთესო და საიმედო ძალები რესპუბლიკის პასუხისმგებელი მუშაკების წრიდან, მათ შორის საქ. კპ ცკ მეორე მდივანი კ. ნ. შეროზია. პარტიის პირველი მოწოდებისთანავე ათი ათასობით ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მშრომელი გაემგზავრნენ გასამაგრებელ სამუშაოებზე და თავისი თავდადებული შრომით შექმნეს სიმაგრეების მთელი სისტემა. მთავარი კავკასიონის ქედის უღელტეხილების დაცვისას უდიდესი, პირდაპირ ფასდაუდებელი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათ, შორის, ქუთაისის, სოხუმის, ტყვარჩელის, გუდაუთის, გაგრის, ოჩამჩირის, ვალის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, გეგეჭკორის, მესტიის, ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის, გურჯაანის და ყველა იმ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ტერიტორიულად უშუალოდ კავკასიონის ქედს ესაზღვრებოდა. საქართველოს რაიონებიდან და ქალაქებიდან უღელტეხილებზე იგზავნებოდნენ ათასობით მშრომელი არა მარტო სიმაგრეების ასაგებად, არამედ იმისათვისაც, რომ უზრუნველყოთ მოქმედი ნაწილების შეუფერხებელი მომარაგება იარაღით, საომარი მასალით, კვების პროდუქტებით; შეიქმნა საგანგებო სასაბალნეტრანსპორტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამხედრო საბჭოს წევრი სანაკოვეი.

ამიერკავკასიის დიდ ქალაქებში შეიქმნა სასწრაფო ცენტრები, რომლებმაც მსროლელთა, ნაღმტყორცნელთა, მკვავშირეთა, მესანგრეთა და სნაიპერთა მრავალრიცხოვანი კადრები მოამზადეს. ასევე ჩამოყალიბდა და გაიწრთენა საგანგებო რაზმები საომარი მასალის, იარაღ-საჭურვლის და სურსათ-სანოვავის მისაზიდად ძნელად მისაწვდომ მა-

ლაღმთიან რაიონებში. ამ რაზმებში მებრუნელად შედიოდნენ მოხალისეთა ადგილობრივი მცხოვრებლებიდან, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ მთის გზები და ბილიკები და შესანიშნავად ერკვეოდნენ კლდოვან მთებსა და ხეობებში; შემდგომ მრავალი ამ რაზმელთაგანი მოხალისედ შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში.

ათასობით პროპაგანდისტი, პარტიული და კომკავშირელი მუშაკი იქნა მივლინებული მოქმედი არმიის რიგებში პოლიტიკურ-კულტურული მუშაობის საწარმოებლად და მეთაურებისათვის დახმარების გასაწევად. იმ პერიოდში მარტო ერთმა თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მიზნით ფრონტზე გაგზავნა 12 ათასზე მეტი კომუნისტი, ხოლო თბილისის კომკავშირულმა ორგანიზაციამ — 40 ათასზე მეტი თავისი წევრი.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ქალაქებსა და სასოფლო რაიონებში მოქმედებდნენ კარგად შევრული გამანადგურებელი ბატალიონები მტრის სადესანტო ჯგუფების და დივერსანტების მოსასპობად. სკკპ ცკ-ის, უმაღლესი მთავარსარდლობის, ა/კ რესპუბლიკების კპ ცენტრალური კომიტეტების და ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით გაწეულმა გრანდიოზულმა მუშაობამ უდიდესი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებასა და ზურგის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში.

მარად დაუღიწყარი იქნება ის დიდი წვლილი, რომელიც ქართველმა მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, კინემატოგრაფისტებმა შეიტანეს ამიერკავკასიის თავდაცვისათვის ბრძოლის საქმეში მეომართა მორალური გამხნეების, მათი პატრიოტული სულისკვეთების ამძღვრების საქმეში. ყველა ქანრის ქართველი მწერლების — შ. დადიანის, ლეო ქიანელის, ირ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, ს. კლიაშვი-

ლის, ალ. აბაშელის, გრ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, ი. მოსაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, გ. ქუჩიშვილის, კ. კალაძის, ი. ნონეშვილის, რ. შარვაიანის, ნ. აგიაშვილის ს. თავაძისა და ბევრი სხვა პოეტისა და პროზაიკოსის მხატვრულ ნაწარმოებებში, ქართველი კინომატორაფისტების — რეჟისორი ირაკლი კანდელაკის, ოპერატორების ლევან არზუმანოვის, ვლ. კილასონიძის და ოთარ დეკანოზიძის დოკუმენტურ კინონარკვევებში ამაღლებული გამოხატულება პპოვა ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების საგმირო საქმეებმა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლის მდივნად იმ ხანებში მუშაობდა ძველი კომუნისტი პოეტი სანდრო ეული-ქუჩიძე, დიდი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა მწერალთა კავშირის წევრების სამოხილიზაციოდ და დასარაზმავად იმ შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთაც საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების წინაშე აყენებდა სამამულო ომის დროს ფრონტსა და ზურგში შექმნილი ვითარება.

ფრონტზე მეომართა მასებში, აგრეთვე ზურგის ჭარის ნაწილებში, პოსტიტლებში დიდი, დაუფასებელი მუშაობა ჩაატარეს ჩვენმა სახელოვანმა არტისტებმა: აკაკი ხორავამ, აკაკი ვასაძემ, სერგო ზაქარიაძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, ვასო გოძიაშვილმა, ნინო რამიშვილმა, ილიკო სუხიშვილმა, დავით ანდლულაძემ, პეტრე ამირანაშვილმა, თამარ ჰვაციავაძემ, ვახტანგ ჰაბუკიანიმა, ემანუელ აფხაიძემ და სხვებმა. რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია ამ წერილში.

IV

ამიერკავკასიის ფრონტის უმამაცეს საბჭოთა მეომრებსა, ნაწილებსა და შენაერთებს შორის, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი ვაჟკაცური შემართებით, სწორუპოვარი გმირობით, უწინარეს

ყოვლისა, დასახელებულ უნდა იქნენ: 392-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელსაც მეთაურობდა შარვაიანიძე ი. სილაგაძე, ამჟამად თადარიგის გენერალ-მაიორი. № 392 ქართული დივიზიის ნაწილების ბრძოლას ამ მიძივე დღეებში, ი. სილაგაძესა და გ. ყუფარიძესთან ერთად, წინ მიუძღოდნენ ცნობილი მეთაურები და პოლიტმუშაკები: კ. სოხაძე, ს. ბერუჩაშვილი, ზაბელინა, მ. მეჭვავიშვილი, ი. გირგვილიანი, მ. გეთია, ა. ბერაძე, კ. ასათიანი, შ. ვასაძე, მ. ბალაგაძე, მ. გვასალია, ა. ნანეიშვილი და სხვ.; 414-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომლის მეთაური იყო პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი, ამჟამად თადარიგის გენერალ-მაიორი. და რომელსაც მიეკუთვნა ანაპის სახელობის დივიზიის მაღალი სახელწოდება.

ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით 955-ე ქართულ საარტილერიო პოლკზე, სადაც მისი ფორმირების დაწყებიდან საბრძოლო მოქმედებათა დამთავრებამდე მეთაური იყო პოლკოვნიკი (ან განსვენებული) მ. გეთია, ხოლო კომისარი — ამ ნარკვევის ავტორი, რომელიც ადრე ურთიერთთან ათავსებდა კომისარის და პოლკის მეთაურის თანამდებობას ამ ნაწილში. ამ პოლკმა მედგარი და შეუპოვარი ბრძოლები ჩაატარა ფაშისტების უპირატესი ძალების და საომარი ტექნიკის გასანადგურებლად მისიკოვსა და ნალჩიკის რაიონებში, მდინარეების: თერგის, ურუხის და ბაქსანის მიდამოებში, ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან, მთავარი კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის საუღელტეხილო უბნებში. ამ პოლკის ზუსტი მასირებული ცეცხლით მოსპობილ იქნა მტრის მრავალი გამაგრებული კვანძი, საომარი ტექნიკა და ცოცხალი ძალა, მათ შორის, 23-ე გერმანულ-ფაშისტური სატანკო დივიზიის შტაბი და მეთაურთა შემადგენლობა, შტაბის უფროს პოლკოვნიკ ფონ-გესთან და დივიზიის მეთაურ გენერალ ფონ-მაკთან ერთად, რომლებმაც გაიარეს სისხლიანი გზა კარპატებიდან კავ-

კასიონამდე და ჩვენი სახელოვანი არტილერიის ცეცხლის მეოხებით ჰპოვეს თავის სამარე კავკასიის მთების ორწოხებში. ამავე საარტილერიო პოლკის შიშიმე და შორისმსროლელი ქვემეხების ცეცხლით მიწის პირისაგან. იქნა აღგვილი იალბუხის რაიონში მოქმედი მტრის სადესანტო ძალები და მარქათი ნაწილები, რომლებიც ჩერკასკის ფაშისტური პლაცდარმიდან მიეშურებოდნენ მარუხის უღელტეხილის რაიონისაკენ, სადაც მიმდინარეობდა ჩვენი შორეული მეზობლის — 394-ე დივიზიის ნაწილების გააფთრებული ბრძოლა მტრის ჯარების წინააღმდეგ. ამით ჩვენმა 955-ე ქართულმა საარტილერიო პოლკმა საბოლოოდ ჩაუხშო მტერს სურვილი განეახლებია ოპერაციები დასახელებულ რაიონებში. საარტილერიო ბრძოლებს იალბუხის რაიონში და მარუხის მისადგომებთან ხელმძღვანელობდა № 995-ე საარტ. პოლკის მეთაურის მოადგილე, გამოცდილი არტილერისტი ლადო პეტრიაშვილი (ამჟამად თადარიგის პოდპოლკოვნიკი). ამ პოლკის ბევრი ქართველი მეომარი, მათ შორის, პირველი დივიზიონის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ა. პირმისაშვილი (ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკი), სიმამაცისა და ცეცხლის ზუსტი წარმართვისათვის არა ერთხელ იქნენ დაჯილდოებული მთავრობის მაღალი წოდებებით, ხოლო ა. პირმისაშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის ვმირის წოდება. უმამაცეს არტილერისტებს შორის, რომლებმაც ამ უზნის ფრონტის უურადლება მიიჭიეს, იყვნენ: ზუსტი საარტილერიო ცეცხლის ოსტატები: 955-ე ქართული საარტილერიო პოლკის მეთაურები მ. გეთია (გარდაიცვალა ომის შემდეგ), მეთაურის მოადგილე ლადო პეტრიაშვილი, საარტილერიო დივიზიონის შტაბის უფროსი იოსებ ვოგიტძე (ინჟინერ-გეოლოგი, ამჟამად საქართველოს სამთომადნო ტრესტის მმართველი) პოლკის საარტ. დივიზიონების მეთაურები: ს. თომაია (ამჟამად თადარიგის პოდპოლკოვნიკი) და გ. მუ-

რაჩი; საარტილერიო დივიზიონების შტაბების უფროსები მ. მელიქიძე (ამჟამად მეცნიერი მუშაკი), შ. ქურდაშვილი (ამჟამად მსახურობს ჯარში); საარტილერიო ბატარეების მეთაურები — ი. ჭელიძე (ამჟამად მუშაობს თბილისში); ს. ტონია (ფიზიკო-მათემატიკოსი, ამჟამად მუშაობს განათლების სამინისტროს საწარმოო განყოფილების გამგედ). კ. გურგენიძე (გარდაიცვალა ომის შემდეგ); გ. მაჩაბელი (სამთო ინჟინერი), ს. უშიკაშვილი (ამჟამად მსახურობს ჯარში), ა. ჭელიძე (ინჟინერ-გეოლოგი, ამჟამად მუშაობს საქ. მინისტრთა საბჭოში), ი. როინიშვილი (ინჟინერი, ამჟამად მუშაობს საქალაქო მშენებლობის სპაროექტო ინსტიტუტს დირექტორის მოადგილედ), ი. კეკელიძე (მუშაობს პროკურორად), ა. მგვრელიშვილი (მუშაობს ლექტორად), ბ. ბანტაძე (მუშაობს სკოლის დირექტორად). საარტილერიო საცეცხლე ოცეულების და არტ. სამმართველოს ოცეულების მეთაურები — ვ. გურგენიძე (ამჟამად მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი). ნ. გამყემლიძე (ინჟინერი), ვ. ლურსმანიშვილი (ინჟინერი), გ. გორდაძე. ა. ცისკარიძე (ინჟ. მშენებელი), ა. სალუქვაძე (ინჟინერი), ა. ცხადაძე (ინჟინერი, გარდაიცვალა ომის შემდეგ). ნ. თევზაძე (დოცენტი), ზ. ჩაჩანიძე (ინჟინერი), ა. მაღლაფერიძე (ინჟინერი) ა. არჩაია (მათემატიკოსი, ამჟამად მუშაობს მასწავლებლად თბილისში), შ. პირველაშვილი, პ. ზუჭუა, დ. კოდუა, ი. ჯაში, პ. გვასალია, ი. კაგულია, ო. რეხვიაშვილი; ტოპოგრაფების რაზმის უფროსი, სამთო ინჟინერი სერგო ბურკულაძე (ამჟამად მუშაობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტად, — საინჟინერო გრაფიკის კათედრის გამგედ). ქვემეხების მეთაურებად და მემიზნეებად იყვნენ: ი. კემაშვილი, ა. სტურუა, ს. შალამბერიძე, გ. ვორგილაძე, ბ. ჩაჩავა (დაიღუპა გმირული სიკვდილით), ი. ვორგილაძე, ს. კვაპანტირაძე, ი. მღებრიშვილი, ზ. ბაჩაკაშვილი,

ნ. მანველაძე, გ. ელენტი, ზ. მაჭარაშვილი, დ. ჩუბინიძე, პ. კახალიკაშვილი, მ. კავთუაშვილი, ზ. წიკლაური, ს. ხატიანი (დაიღუპა გმირული სიკვდილით), შ. ბიჭიაშვილი, მ. ფანჩულიძე, კ. ვერულაშვილი, ს. მაჭარაშვილი, ნ. ფაცაცია, ს. გვასალია, ზ. ბექაური, ვ. კაციტაძე, გ. ხაჩიძე, დ. თვარელაშვილი, ს. ბერიშვილი, ს. ხურციძე, ვ. ცინცაძე, გ. თოლორაია, ს. აღანი, ხ. ხეცურიანი, შ. კვატაია, ი. ხანთაძე და სხვ. არტილერიის მამაცი მხვერავები: დ. დოლაბერიძე (ინჟინერი, პოლკის დაზვერვის უფროსი, დაიღუპა ავტომანქანის ავარიის დროს); საარტილერიო ქვედანაყოფთა დაზვერვის უფროსები — ნ. მგელიაშვილი (ამჟამად მუშაობს თიანეთის რაიონის პარტიული კომიტეტის მდივნად), გ. დოლაბერიძე (გარდაიცვალა ომის შემდეგ), პ. ფუტყარიძე, ი. ბედოიძე, დ. ქავთარაძე, ვ. გელანტია, საარტილერიო მებრძოლი მეკავშირეები: ს. გიგაური (ინჟინერი, პოლკის კავშირგაბმულობის უფროსი), ა. აღენიანი (რადიოკავშირის უფროსის მოადგილე), მ. სიშკოვი, მ. მიშუკინი, მ. რობაქიძე, გ. ავაშვილი, ა. ბობოშკო, მ. პატარაია; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წამყვანი სამსახურების უფროსები: ს. ჭიჭიეიშვილი, გ. მაჭავარიანი, ნ. ბეგიაშვილი, მ. გუგუშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ი. ბოტორაშვილი, ვ. თურქია, დ. ხომასურიძე, თ. ძნელაძე, მ. ქაჯაია, ს. ტატიშვილი; საარტილერიის უფროსების საბრძ. კვების უფროსები — ი. კოტოვი, მ. ყამარაული, ი. ზარქუა; საარტ. ქვედანაყოფთა სახელოვანი ფერწელები — დ. ქემოკლიძე, ვ. კვინიკაძე, ვ. კოტია, გ. იაშვილი, გ. ქანტუარია (მუშაობდნენ მტრისგან დაშენილ ცეცხლის წვიმაში, სიკვდილისაგან იხსნეს დიდძალი დაჭრილი მეომრები); საარტ. ქვედანაყოფთა მამაცი ზემდე-

გები — შალამბერიძე, ვ. გოგობერიძე და სხვ. კვების მუშაკი-მეომრები: საარტ. პოლკის შეფხარეული გ. სირაძე, ქვედანაყოფის მხარეულე-ბი ვ. ერაძე, ე. სხირტლაძე და სხვები, რომლებიც თავის მეომრულ მოვალეობას შესანიშნავად უთავსებდნენ კეთილშობილურ შრომას — ამზადებდნენ ცხელ, გემრიელ საჭმელებს და თვითონვე მიჭონდათ მეომრებისათვის წინახაზზე, ხშირად ჭურვების და ტყვეების სტევენასა და ცეცხლში; მებრძოლი პოლიტმუშაკები — არტილერისტები — გ. ბირკაია, ი. კიმშელიაშვილი, გ. ძიძიაშვილი, გ. ცქვიტარია, გ. ბერიძე, ა. სურგულაძე, გ. აშორდია, დ. დღვეფაძე, მ. პატარიძე, ლ. გელაძე, ს. ჩადუნელი, პ. ჭიჭიეიშვილი, გ. ჭინჭიხაძე, გ. ჭლამია, დ. კასრაძე და სხვ. რომლებიც პოლკის ქვედანაყოფებში ეწეოდნენ გულმოდგინე იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მტრის გასანადგურებლად მეომრების მოსამზადებლად და თავის პირადი ვაჟკაცობით ალაფრთოვანებდნენ და წინ უძღოდნენ მეომრებს გააფთრებულ ბრძოლებში მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად.

ამ პოლკის არტილერისტების ერთი ნაწილი მტერგან შეტაკებებში დაიღუპა. გმირულად ბრძოლაში დაეცნენ: კობხრიძე, ხატიანიშვილი, ძნელაძე, კოტარიკაძე, ჭორბენაძე, გორდაძე, ქარჩავა, ნოზაძე და სხვ. ზოლო ამ პოლკის სახელოვანი არტილერისტების უმრავლესობამ გამარჯვების დღე — 1945 წლის 9 მაისი გადაიხადა მშობლიურ პოლკში.

სახელი და დიდება ყველა საბჭოთა მეომარს და ზურგის მშრომელებს, რომლებმაც მამაცური ბრძოლით და გმირული შრომით უზრუნველყვეს ენციკლიკის უბოროტეს მტერზე — პიტლერულ ფაშისზე საბჭოთა ხალხის ძლიერად გასაძლიერებლად.



სპეკულ ბერიძე

ნიკო მარი*

ერთხელ სვანეთში, მიაშობო ნ. მარის მეუღლემ, მე მივდიოდი სტუმრად დაღეშქელიანისას. ნიკო თავჩაღუნული მუშაობდა. საუზმე დავეტოვე იქვე, ღია დერეფანში, ვავაფრთხილე. მე თავად წავედი. მუშაობით ვართულს, საუზმობა დავიწყებოდა. ჩამოუვლია სვანს, რომელთანაც ნიკო სვანურს სწავლობდა, საუზმე თავისად მიუჩნევია და შეუჭამია. შემდეგ ნიკო გამოსულა სასაუზმოდ. საუზმე არ დახვედრია, მხოლოდ ნამცეცები ეყარა. Что это? я уже закусил, значит და გაუგრძელებია მუშაობა. როცა მე დავბრუნდი შემომჩვილა:

— Саша, у меня сегодня такое настроение как будто я с утра не ел, дай чегонибудь, поесты!

რაკი მარის მეუღლზე ჩამოვარდა, ლაპარაკი, ორიოდ სიტყვა მის შესახებაც. იგი უუკოვკის ქალი იყო, ბევრი ნაკლი ჰქონდა (ვის არა აქვს!), მაგრამ ღირსებაც ნაკლზე ვაკილებით მეტი. მარის ცხოვრებაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სახელდობრ: თუ მარი დიდი მეცნიერია, ისიც უდავო უნდა იყოს ყველასათვის, ვინც მარსა და მის ოჯახს იცნობდა, რომ ამ სიდიადის საგრძნობი ნაწილი უთუოდ მარის მეუღლემ შექმნა. 1891 წლიდან მოყოლებული, ვიდრე მარის სიკვდილამდე, არ ყოფილა არც ერთი საქმიანობა, არც ერთი წამოწყება მარის მხრივ, რომ მის მეუღლეს ამ საქმიანობაში არ მიეღო აქტიური, ხშირად გადამწყვეტი მონაწი-

ლეობა, სულ ერთია, სად და რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ეს საქმიანობა — ენათმეცნიერული თუ ლიტერატურული, ჩვენში, რუსეთში, თუ საზღვარგარეთ, ქალაქად, შედარებით უკეთეს პირობებში, თუ სადმე შორეულ სვანეთში.

მეცნიერული მუშაობაში ქმარს რომ აქტიურად დახმარებოდა, ამ ქალმა იმდენად შეისწავლა ქართული და სომხური (ევროპული ენებიც იცოდა), რომ სავსებით, უმცდარად, ასწორებდა მარის შრომათა კორექტურას. მარის შრომათა კორექტურა! ძნელად თუ ვისმე წარმოუდგენია, თუ რას ნიშნავდა ეს.

მარს წესად ჰქონდა დადგენილი, თავის შრომის პირველ ვარიანტს იმ წამსვე გადასცემდა სტამბას. მიიღებდა პირველ ამონაბეჭდს. მას შემდეგ იწყებოდა ნამდვილი შემოქმედება. პირველ ვარიანტიდან მცირე რასმე თუ დასტოვებდა, მთლიანად შესცვლიდა, ძირიანად გაასწორებდა, ამგვარადვე მეორე, მესამე და შემდეგ კორექტურებისას. მარისათვის 8 და 10 კორექტურა მინიმუმი იყო, ურომლისოდაც არც ერთ წიგნს დასაბეჭდად ხელს არ მოაწერდა. როდესაც დარწმუნდებოდა, რომ შრომა შინაარსის მხრივ უკვე შეიძლება უცვლელად დაბეჭდოს, მაშინ ამოქმედდებოდა ხოლმე მისი მეუღლე. წინდის ჩხირით ხელში ყოველ ასოს ცალ-ცალკე ამოიკითხავდა, რამდენჯერმე შეამოწმებდა და მხოლოდ შემდეგ გადასცემდა დასაბეჭდად.

* დასასრული, იხ. „მნათობი“ № 1.



— Чем объяснить, что в работах Николая Яковлевича нет ни одной корректурной ошibки, а в наших работах — масса.

— А как вы узнали, что в ваших работах много ошibок?

— Да, вот, после напечатания, прочли и обнаружили.

— А вы прочли — бы до напечатания и тогда и не было бы этих опечаток!

მოკლედ: იგი ნამდვილი მეუღლე იყო ნიკო მარისა ჰირსა და ლხინში და ტყუილად კი არ ამბობდნენ მარის მეგობრები, თუ არა Александра Алексеевна ნიკო მარი, ეს არაჩვეულებრივად თავმიცემული და თავმინებებული ადამიანი, უცილობლად ადრე დაიღუპებოდაო. ეს კი იყო, რომ იგი მარის საქმიანობის წვრილმანებშიაც ერეოდა და ქმრისგანაც მოითხოვდა, რომ თავისი მეუღლე „საქმის კურსში“ ჰყოლოდა.

პროფ. ბოდუენ დე კურტენე მეორედ სცემდა ცნობილი დალის ლექსიკონს. თავის პირველ გამოცემაში ბოდუენმა შეიტანა ე. წ. უცნუზრო სიტყვები. მე-მარჯვენები აუხიბდნენ.

Какое право имеет иностранец Бодузи де Куртене напечатать словарь велико-русского языка?

ბოდუენი პასუხის გაცემას აპირებდა. იმ ხანებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ბეჭდავდა ჩემს „სიტყვის კონას“ იმერულ და რაჭულ თქმათა, სადაც, სხვათა შორის, შეტანილი მაქვს ეს „ბოროტი“ სიტყვები და გასამართლებლად საბას სიტყვები მომყავს: „არა თუ კიც ზვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლოდ იპურათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღწერეთ“. მარმა მითხრა, წიგნი აუცილებლად ბოდუენს უჩვენეო. მალე გრიპით გავხდი ავად, ბოდუენი ვერ ვინახულე. მორჩენის შემდეგ საჭიროდ არ მივიჩინე მასთან მისვლა: ახლა, ალბათ, დაგვიანებულია-მეთქი, ვიფიქრე. ერთხელ მარი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემხვდა.

Кстати, зайдите к Бодуэну, он там сидит. შევედი. ბოდუენი ზის, წინ უღევს დალის ტომი, მეორედ გამოცემული. ხე-ღში ჩემი წიგნი უჭირავს. მივესალმე.

— Нехороший вы, коллега, человек, нехороший. Такой благодатный был у вас материал и мне не показали! Ученый человек Орбелiani 200 слишком лет назад по настоящему понимал значение «неприличных» слов, а теперешние неучи, больше любители сальностей по секрету, ополчились против меня, будто я оскверняю русский язык. Поистине, в наше время заграждены уста пророкам, а слово вольное дано ослам. А подсажи вы мне золотые слова вашего ученого, я бы подкрепился ими.

მეტად დარცხვენილი გამოგბრუნდი. სალამოს მართან შევედი. შინ არ დამხვდა. სამაგიეროდ მისვლისთანავე მარის ცოლმა მკითხა.

Были вы у Бодуэна?—Да!—Досталось?—Да! — Это вам наука! Никогда не откладывай до завтра того, что можно сделать сегодня! не умеете работать. Нет, у Колюши нет настоящих учеников.

მარი თავისი საქმის ნამდვილი ფანატიკოსი იყო, არაჩვეულებრივ გატაცებული. ამ მხრივ — თუ ეს მისი თეორიისათვის სასარგებლო და გამოსადეგი იყო, იგი უბრალო ჭორებსაც დიდ გასაქანს აძლევდა, ყოველ შემთხვევაში, თავის გუნებაში, უკეთ, ბუნებაში, სათანადო ადგილს უთმობდა მათ.

ამ მხრივ, ზოგიერთი მისი, ვითომ კეთილის მსურველნი ცდილობდნენ მიეწოდებიათ მისთვის ისეთი ცნობები, რომლებიც მის წინასწარ აღებულ თეორიულ დებულებებს ამარგებდა, მარის წისქვილზე, ასე ვთქვათ, საფუკავი მიჰქონდა.

ერთხელ ამ გატაცების მსხვერპლი შეიქნა.

1912 წელი იყო. ანისში ვმუშაობდი გათხრებზე. ამ ხანებში მარი განსაკუთრებით გატაცებული იყო ვეშაპებით. ყველგან ყველაფერში ვეშაპს ხედავდა, ყველგან ვეშაპი ეჩვენებოდა.

ტიგრანა იყო ერთი მუშა, მეტსახე-ლად ფოშთაჩი. მეტის-მეტად ცრუ და მლიქვნელი, ყოველთვის ცდილობდა ისეთი რამ ეთქვა, „ბატონს“ სიამოვნებოდა.

ერთხელ, სალამოს, ვახშობისას, ხმამალლა წამოიძახა:

— ალა, ენტელ, — გაიშვირა ხელი სამ-

ზრეთისაკენ, — ქარაცან ოძნ კა — იქ, მთაში, გაქვავებული გველიაო.

— ინჩეს ასუმ? — შეკყვირა მარმა.

ტიგრანა ცოტათი შეერთა, მაგრამ მაინც გაიმეორა.

— ენტელ ქარაცან ოძნ კა!

— დურდურტ ასუმეს? დურდურტ და გადაიწერა პირვეარი! Вы, მომიბრუნდა მე, оставайтесь, следите за раскопками, может, на ваше счастье, клад какой найдется, а мы с Тиграном идем в горы. Кто со мной? ყველამ თავი ჩაღუნა, ხმა გაკმინდა, რადგან მარის სიარულის ტემპები თითოეულმა კარგად იცოდა.

— Так и знай! ничего у вас не получится. Мертвецы какие то! Черт знает, что такое!

მეორე დღეს დიდის 3 საათზე დაიჭირა ხელში მუჯირა, ავდლო ტიგრანა და ვასწია ახალი ვეშაპის მოსაპოვებლად.

დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. დაღამდა.

ვუცდით, ვუცდით და ბოლოს, ღამის 12 საათისათვის, გამოჩნდნენ დაქანცულნი. მშვიერ-მწყურვალნი. ნიკო ხმას არ იღებს, ტიგრანაც დადუმებულია, ფეხზე დგას. სიჩუმე ისევ ნიკომ დაარღვია

Что же вы меня не спросите, что мы сделали, т. е. что он наделал. Этот... водил меня, водил по скалам да по вершинам, несколько раз чуть в пропасть не угодил... наконец, когда ходить невыносимо стало (не мне, а ему, Тиграну!), останавливается и говорит:

ბატონო, გაქვავებული გველი ზამთრობით იცისო!

ჩვენ ყველას სიცილი წაგვსკდა, მაგრამ უცებ თავი შევიკავეთ. უხერხულობიდან ისევ ნიკომ გამოგვიყვანა: თავად დადგა კაი გუნებაზე და სიცილით მოკყვა, თუ როგორ დატანჯა იგი ტიგრანამ და როგორ დააკარგვინა მთელი დღე.

იყო ასეთი შემთხვევა. ჩვენი ბინის ახლოს, მაღლობზე გათხრა წარმოებდა. მე კი, უფრო მოშორებით, ვაგვიყის მრგვალ ეკლესიასთან დამატებით გათხრებს ვხელმძღვანელობდი. ჩემთან იყო აგრეთვე თბილისიდან ჩამოსული ექსკურსია ილია ნაყაშიძის მეთაურობით. უცებ მარის სამუშაო ოთახში შემოიჭრა მუშა და დაიყვირა: ალა, თულთ გტაქ,

თულქ ბატონო, ქალაღი ვიპოვეთ, ქალაღიო. მარი სწრაფად წამოვარდა და გათხრებისაკენ გაიჭრა და თან მარმანებას იძლეოდა:

იმავე მუშამ ჩემთან მოიბრინა ბატონი გზმობლობსო. მივედი. სამარისებური სიჩუმეა. თვითონ მარი სიღრმეში ჩასულა, თან გამოცდილი მუშები ახლავან, გადის წუთები. როდის, როდის... მოზრდილი, რაღც მრგვალი ამოიღეს. ხალხი ჩამოეცალა. მარიც განზე ვადგა. ფოტოგრაფმა რამდენიმე სურათი გადაიღო, როგორც იმ ადგილისა, სადაც უცნობი ნივთი ინახა, ისე თვითონ ნივთისა. შემდეგ ნივთი დიდის სიფრთხილითა და ცერემონიით მარის სამუშაო ოთახში წავასვენეთ და დავიწყეთ „შესწავლა“. „შევისწავლეთ“. ნივთი აღმოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები... გაზეთი ბურთივით შეგრაგნილი, ალაგ-ალაგ გაზეთილი. მეტად დაგვალონა იმედის გაცრუებამ. ჩვენ ძველს რასმე ველოდით და მის მაგიერ თანამედროვე გაზეთი და ისიც „Новое время“. ვაგვიკვირდა საიდან უნდა გაჩენილიყო გაზეთი ორი-სამი მეტრის სიღრმეზე?

საიდუმლოება ახსნა მარის ცოლმა უკვე პეტრბურგში (ერთადერთი იშვიათი წელწინადი იყო, როდესაც მარის შეუღლე არ ყოფილა ანისში: ავადმყოფი შვილს ახლდა სამარაში კუმისით მკურნალობაზე).

— Умницы вы все, умницы. Да я в прошлом году масло заворачивал в газету, бумага, значит, насквозь промаслилась; к концу кампании я ее выбросила, так крысы, значит, занесли себе в нору. Умницы вы, умницы!

როგორი იყო მარის პოზიცია ქართული უნივერსიტეტის მიმართ? თავდაპირველად, უთუოდ უარყოფითი! ყოველ შემთხვევაში, იგი მას კერძო უფლებებით აღჭურვილ დაწესებულებად მიიჩნევდა. ქართულ უნივერსიტეტს მარი უპირისპირებდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც უთუოდ რუსული უნდა ყოფილიყო.

— Грузинский университет, конечно, оформив его юридически, следует беспрепятственно разрешить, как будущий желанный со-

трудник Государственного Университета, проводник научного знания в грузинские народные массы.

ამრიგად, ქართულ უნივერსიტეტს მარი მხოლოდ სახალხო უნივერსიტეტის როლსა და დანიშნულებას აკუთვნებდა.

რატომ იყო მარი ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი? ჩვენი უნივერსიტეტი ზომ იმავე საქმეს, რომელსაც მარი სულით და გულით ემსახურებოდა, უფრო დიდი მასშტაბით მოაწყოდა?

მარს რომ შესაძლებლობა ჰქონდა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან ერთად თვითონაც გადმოსულიყო თბილისში, როგორც მისი ხელმძღვანელი, იგი ჩვენი უნივერსიტეტის წინააღმდეგი არ იქნებოდა!

მაგრამ ეს არ მოხერხდა... და მარს ეშინოდა: თბილისის უნივერსიტეტი წამართმევს მე იმ ახალგაზრდა ძალებს, რომლებიც მე თვითონ აღვზარდეო. მარს ეშინოდა, რომ ახალგაზრდა ძალების წასვლა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ფაკულტეტს, კერძოდ, ქართულ განყოფილებას, დააენივნებდა.

მოკლედ: ქართულის სიყვარული აღაპარაკებდა და ამოქმედებდა მარს ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ. ამას იგი არ მალავდა, ლაპარაკობდა, წერდა.

— Дело в том, что на всем Кавказе и вообще вне Петербурга нет никого, кто бы был подготовлен читать эти курсы (ლაპარაკია ქართული უნივერსიტეტის იმდროინდელი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო დისციპლინებზე).

— И так как я не имею основания не верить, что эти курсы все-таки будут добросовестно читаться в Грузинском Университете в Тифлисе, то, следовательно, речь идет отсюда из факультета Восточных языков тех единственных пока специалистов, которые могут читать и читают эти именно курсы на нем. Слухи об этом исходе до меня доходили, но мне не верилось, что в чьих либо общественно-просветительных интересах может произойти покушение на подрывание того единственного дуба, плодами которого мы все, ориенталисты-кавказоведы,

без различия национальности и направления вскормлены и кормимся.

ასეთი იყო მარის დამოკიდებულება ქართულ უნივერსიტეტისადმი, მაგრამ, როდესაც 22 წლის დამლევს ჩვენ ჩავედით პეტერბურგს, მარი გაეცნო ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემებს, საერთოდ ჩვენი უნივერსიტეტის მიღწევებს. იქაურებმა ჰკითხეს:

— Ну, что скажите, Николай Яковлевич! насчет грузинского университета? მოკლედ მოჭრა:

— Я считаю, что ошибался. შემდეგშიაც არაერთხელ უსაყვედურებიათ მისთვის:

რატომ იყავი ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი?

იმ ხანებში, იმ პირობების მიხედვით სხვაგვარად თქმა და მოქმედება არ შეიძლებოდა.

იმავე 22 წელს, რუსეთის განათლების კომისიარიატის აკადემიურმა ცენტრმა ახირებული დადგენილება გამოიტანა:

„თუმცა რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილები სავსებით ავტონომიურია, და კულტურა სავსებით დამოუკიდებლად უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ სამეცნიერო კვლევა-ძიებათა სფეროში არიან დაწესებულებები, რომელნიც არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი რესპუბლიკათა დღევანდელ საზღვრებთან, დაწესებულებანი, რომელთაც, თუ ვინიცობაა, ისინი ცენტრს დაშორდნენ, აუცილებლად დაიღუპებიანო“.

ამაზე დამყარებით, აიღეს და საქართველოს მუზეუმში უშუალოდ თვითონ დაიჭვემდებარეს, ხოლო ძველთაგან: ბიჭვინთა, დრანდა, ბეღია, ბაგრატი, მარტვილი, ნიკორწმინდა, გელათი, მცხეთა, ზარზმა, საფარა, ატენი, ბოდბე და სხვ. უმაღლესმა ხელისუფლებამ ეს შეუსაბამო დადგენილება სასწრაფოდ გააუქმა.

მე მარს წერილი მივწერე: თქვენდა დაუკითხავად შეუძლებელია ამგვარი ნაბიჯი ვისმე გადაედგა, თქვენი სანქცია უთუოდ იქნებოდა და რად ინებეთ აგრე-მეთქი? წერილი მკაცრი ტონით

მქონდა დაწერილი. სასტიკი პასუხი მივიღე. იმავე წელს პეტერბურგს ჩავედი. ვინახულე. რისხვით შემხვდა. გაბრაზებულს ენა დაება. საკმაო ცეცხლი, როგორც ეტყობოდა, მის მუღღღსაც შეენთო (ამგვარი სენი მას სჭირდა).

მე ხმა არ გამიცია, მხოლოდ ვუთხარი, ხელმეორედ წაიკითხეთ და ვფიქრობ, სხვა აზრის იქნებით-მეთქი. ორ კვირას დავრჩი პეტერბურგში. წამოსვლის წინ ვინახულე. კაი გუნებაზე იყო: ხელმეორედ წავიკითხე თქვენი ეპისტოლე. დასტურ, იქ არაფერია იმისთანა, მაგრამ მე მაინც რა შუაში ვარ, არ მესმის. ყველაფერი სიგლაზე მე კი არ უნდა მომაწეროთო. ისევ შევრიგდით. მას შემდეგ მიწერ-მოწერა ისევ გვქონდა, თვით მას ავადმყოფობის დროსაც, როდესაც მას კალმის დაჭერა ეძნელებოდა და დიდს ვაჭირვებით წერდა.

ამგვარადვე მან ქართული ხელნაწერების ევაკუაციის საკითხშიაც აშკარა უარყოფითი პოზიცია დაიჭირა. რატომ? აქაც იგივე შიში, პეტერბურგის ქართულმეტყველების ბუდის გაშიშვლება და დანგრევა, ალაპარაკებდა.

მაგრამ სამართალიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხის ირველივ სხვებიც მუშაობდნენ და შეიძლება უფრო მეტად, ვინემ მარი, განსაკუთრებით ოლდენბურგი, ეს უმკველად დიდი მეცნიერი, მაგრამ ამისთან არანაკლებ დიდი მელაცი. ის იყო, წყალს რომ ამღვრევდა და ამღვრეულ წყალში თავისუფლად დათარეშობდა.

ამის შესახებ მ. პოკროვსკისაგან წერილი მივიღეთ.

Вопрос о грузинских рукописях, как вы уже знаете, разрешился чрезвычайно благоприятно. Академия Наук, в лице его непрямого секретаря, надела много шума. (доходили до Председателя и получила угрожающую бумагу за подписью президента, где на меня возлагалась ответственность за вред, могущий быть причиной науке этой уступкой и т. д.), в конце концов уступила по всем существенным пунктам. Не знаю, кто больше был этому рад: я или грузинские ученые?

პენსილვანიის უნივერსიტეტში წინადადებით მოგვმართა: მცხეთაში არქეოლოგიურ გათხრებს წამოვიწყებთ და ყველა განათხარს, მანდვე, საქართველოში, დავტოვებთო, ჩვენი ხელისუფლებაც (მოსკოვი) დასთანხმდა. მარმა პროტესტი განაცხადა. ჩვენისთანა სპეციალისტები ამერიკას არა ჰყავს და გათხრების ნებართვას ნუ მივსცემთო. ხელისუფლებამაც შეაჩერა ნებართვა, მაგრამ საქირო თანხები ვერ გამოინახა, და ის ისტორიული მიწა, სადაც გათხრები უნდა ეწარმოებინათ, ზაპესის პიდროსადგურის წყალმა დაფარა. შემდეგ მარი ნანობდა თავის საქციელს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ამრიგად, მარს ოღრო-ჩოღრო აღგილები უთუოდ ქქონდა, მაგრამ ეს აიხსნებოდა არა იმით, თითქოს იგი ბოროტად იყო განწყობილი საქართველოსთან და ქართულმეტყველებასთან. არა.

ნ. მარმა იმთავითვე განიზრახა ქართული მეტყველებისათვის მიეძღვნა მთელი თავისი ძალღონე, მაგრამ ქართულმეტყველების კათედრაზე პეტერბურგში იგი არ დატოვეს.

მარმა ვადაწყვეტა საქართველოში დაბრუნება, თბილისში მუშაობა. იგი სწერს ექვთიმე თაყაიშვილს: უნივერსიტეტი დავამთავრე, მაგრამ აქ დარჩენას ვერ ვახერხებ, ქართულზე არ მტოვებენ, სომხურზე მეხვეწებიან, არ მინდა. გამიგი, როგორ შეიძლება მანდ მუშაობა, ჩამოვალ. ე. თაყაიშვილმა კატეგორიული უარი შეუთვალა. „არ გაგიწყრეს ღმერთი. ფეხი არ დაძრა აქეთკენ. შენ მოწოდებული ხარ სამეცნიერო მუშაობისთვის. რომელ კათედრაზედაც არ უნდა დარჩე, სულერთია, სამერმისოდ მაინც ქართულზე ვადახვალ. აქ საშენო სამუშაო არ არის“.

მარი დარჩა პეტერბურგში, მიემარგა სომხურ კათედრას ორივე სამეცნიერო ხარისხი — როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო სომხური სიტყვიერების მიიღო, ქართულის მას არ ჰქონია, მაგრამ ქართულისათვის მაინც იმდენი გააკეთა, რომ მთელი თაობა საქირო მისი

შემკვიდრეობის სათანადოდ ასათვისებლად.

ქართული იყო უბირატესად მისი კვლევება-ძიების საგანი, ქართულს შესწირა მან მთელი თავისი ენერგია, ქართულად დაიწყო მან და ქართულით და ქართველად განვიდა იგი ამიერ სოფლით.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საქართველოსადმი სწრაფვა მას იმთავითვე ჰქონდა. არაერთხელ შევსწრებოვარ ცოლ-ქმარს შორის ლაპარაკს — როგორც იქ პეტერბურგში, ისე აქ — თბილისში.

— Старые кости повелительно требуют моего переезда в Грузию. Не могу без солнца, кстати и объект моих исследований, живые кавказские языки там, на месте, сюда они не едут, а теперь, пожалуй, уже никакими усилиями сюда не притащить!

— А что тебе здесь тесно?

იყო მოკლე პასუხი მეუღლისა.

იმავე ხანებში ქუთაისში ჩამოვიდა, შემდეგ გელათში წავედი. გელათმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მარზე. Позор, только через 35 лет! გიმნაზიელობის დროს ვიყავი აქ მხოლოდ ერთხელ, მაშინ არაფერი არ მესმოდა გელათისა, მას შემდეგ მთელი ქვეყანა მოვიარე და აქ კი მხოლოდ 35 წლის შემდეგ და ისიც რამდენიმე საათით! არა!

— Здесь надо жить, заниматься, умереть и быть похороненным именно здесь, у стен Гелати. 20 წელს დებეშა მოვიდა Обеспечте перевозку моей библиотеки в Тифлис, еду за границу, оттуда прямо в Тифлис, а может и в Гелати. Жду ответа.

ასეთი იყო მისი სწრაფვა საქართველოსადმი საერთოდ და კერძოდ გელათისადმი, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეული შეიქმნა ეს სწრაფვა მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ მისი შვილი, იური. უკურნებელი სენით შეპყრობილი, პეტერბურგში უკვე ველარ დაბრუნდებოდა და სამუდამოდ საქართველოში, კერძოდ, აბასთუმანში უნდა ეცხოვრა. შვილების იშვიათი მოყვარული იყო, მაგრამ პირდაპირ ავადმყოფობად გადაექცა მას ეს სიყვარული იურისადმი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი

მეორე ვაჟი ვლადიმერი ყირიმში მოკლეს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1932 წ. იური აბასთუმანში იყო. ძლიერ ცუდად შეიქმნა. ყველას გვეშინოდა, სადაცაა გათავდებო. ვაცნობეთ მარს. იმ დღესვე წამოსულიყვნენ ის და მისი მეუღლე ლენინგრადიდან. თბილისში სადგურზე დავხვდი. მატარებლიდან გიყვივით გამოვარდა. მივესალმეთ. ხმა არ გაუცია. პირდაპირ ბორჯომის მატარებლისაკენ გასწია. წინგაშვერილ ხელში მატარებლის ბილეთი ეჭირა. უკან დავედევნე. ცოტა რომ გავიარეთ, მომიბრუნდა.

— როდის? მკითხა.

— რა როდის?

— როდის გარდაიცვალა?

რას ბრძანებთ, ბ-ნო ნიკო? რას ჰქვია გადაიცვალა? პირიქით, იურის გამრთელობაში საგრძნობი გარდატეხა მოხდა უკეთესობისაკენ. მალე ფეხზე წამოდგება!

— На пошли в ГАИМК да моимца дებეშები, სადაც ეწერა, რომ იური გარდაიცვალა.

— Николай Яковлевич, я такой глупости никому не буду посылать!

— Вы правду говорите?

— Да.

— Саша, —

მიუბრუნდა მეუღლეს, რომელიც უკან მოგვდევდა.

— Вукол говорит, что здоровье Юрия значительно улучшилось. Едем!

ნიკაბი აუკანკალდა, ცრემლები წამოსკდა. პირველად ვიხილე იგი მტირალი. იურიმ მართლაც მოიკეთა.

აქეთობისას, თბილისში ისევ მწვავე შესიტყვების მოწამე ვავხდი. ნიკო კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოში გადმოსვლას, ცოლი ცივ უარზე იდგა.

ზოგიერთისაგან საყვადური გამიგონია მარის მიმართ: სომხებს მეტს ყურა-

დღეებს აქცევს, სომხებს ანისი მკვლრე-
თით აღუდგინაო.

დიად, აღუდგინა, მაგრამ აღსანიშნა-
ვია, რომ მას მუშაობა სწადდა, უსაქმოდ
იგი ვერ ჩერდებოდა, მუშაობის გარეშე
მას არ შეეძლო ყოფნა და მუშაობდა იქ,
სადაც საამისო ხელსაყრელ პირობებს
ნახულობდა. იმ დროს ეს იყო ანისი და
იმდროინდელი სომხური საზოგადოება,
რომელიც ყოველ-მხრივად ხელს უწყო-
ბდა მას მუშაობაში. და განა მან ჩვენში
ცოტა გააყეთა ამ ხაზით? მარტო გრი-
გოლ ხანძთელის ცხოვრების აღმოჩენა,
გამოცემა და შავშეთ-კლარჯეთის-საქა-
რთველოს ან სინას-სიძველეთა აღწერა
და შესწავლა არაა საკმაო საამისოდ
რომ დავასახელოთ!

მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას: აღ-
წერილობითი არქეოლოგია სხვაა და გა-
თხრები კი სხვააო.

მარს ჩვენშიაც უნდოდა ეწარმოებინა
გათხრები.

საამისოდ მან 1913 წელს ინახულა გე-
გუთი. ადგილზე დათვალიერებამ და გა-
მოკითხვამ გამოარკვია, რომ მიწა-წყა-
ლი ნანგრევებით ეკუთვნის ხაზინას.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე მარმა
დასვა საკითხი ავადღემიაში. წერილი მი-
ვიღე.

Академия раскопки признала неотложной...
Придется вас побеспокоить рядом поручений.
(тачки, сруб и т. д. придется заранее зака-
зать).

ამასობაში, ხელის შეწყობის მაგიერ
გაჩნდნენ კერძო მესაკუთრეები.

მეორე წერილი მომივიდა.

Беспокою вас опять по делу о дворце в
Гегутах. В связи с новыми обстоятельства-
ми, я возбуждаю вопрос в Академии просить
Главное управление Земледелия и Землеус-
тройства о принятии мер для охраны раз-
валины дв. Тамары. Оно же ответило: раз-
валины дворца Тамары при селе Гегутах, яв-

ляется пока что частною собственностью
дворян Чогушвили. Как быть? Обратитесь к
ним вместе с С. Л. Бахтадзе, к которому вы
обращаюсь с особым письмом и не задержи-
вайте ответа. Я сейчас еду в Абхазию и к
возврату надеюсь застать ваше письмо.

არავითარ მოლაპარაკებამ შემკვიდ-
რებებზე არ გასჭრა. დიდძალ ფულს თხო-
ულობდნენ და გათხრებიც ჩაიშალა.

უქანასკნელი წერილი მივიღე ამ ხა-
ზით: „არსად გამაცხადლო და უნდა გით-
ხრათ, რომ კერძო საკუთრება დიდი
ბოროტებაა და ეს ქვეშაირტება გახ-
ლავს“.

თხუთმეტი წლის წინათ დასრულდა
ნიკო მარის ფიზიკური ცხოვრების შეი-
დი ათეული წელი, აქედან — მეცნიე-
რული მუშაობის — ნახევარი საუკუნე.
ცხოვრება ბავშობიდან ვიდრე ფიზიკუ-
რად სიკვდილამდე დაუდგრომელი, მა-
რად მშფოთვარე, მარად მაძიებელი,
ცხოვრება ხშირად კლაკნილებითა და
წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ დაუ-
ცადებლად წინმსროლი, და იგი, ეს
ცხოვრება, გარდაიქმნა, გარდაიკვალა
ახალ ცხოვრებად: ფიზიკურად, ზორ-
ციელად მკვდარი ნიკო მარი საზოგა-
დოებრივად არ მომკვდარა და არც მოკ-
ვდება, სწორედ ისე, როგორც თვითონ
წერდა:

«Человек умирая индивидуально сомати-
ческой смертью, не умирает общественно,
переливаясь своим поведением и творчест-
вом в живое окружение, общественность.
Он продолжает жить в тех, кто остается в
живых, если он жил при жизни, а не был
мертв. И коллектив живой воскрешает мер-
твых».

1. ს. ბატაძე მიწათმოქმედების სამმართვე-
ლოს ქუთაისის განყოფილებაში მსახურობდა
(ცნობილი ილია ზინელის ძმა).

გასწორება. „მნათობის“ ა/წ პირველი ნომრის 183-ე გვერდზე მეორე სვეტის მეორე სტო-
ქონი, წერტილის შემდეგ, უნდა იკითხებოდეს ასე: ამგვარი არ იყო მარი და შემდეგ როგორც
ტექსტშია.

თეთრი სკანეთი

ოტია იოსელიანის ახალ წიგნს — „ცხრა მთას იქით“ არ აწერია რა ჟანრის ნაწარმოებია. მართლაც ძნელია ამის კონკრეტულად თქმა. აქ მოთხრობის ეპიკურ სტილს ლირიული წიაღსელები ენაცელება, ნარკვევის სტილს ზღაპრული ელემენტები ერწყმის, ლეგენდა და რეალური ამბავი ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ძირითადად კი იგი პოეტურად დაწერილი მოთხრობაა და უფრო პოემას ჰგავს, ვიდრე ეპიკურ ნაწარმოებს. ეს არის ადამიანის სულისა და ბუნების ერთიანი სიღამაზის სადიდებელი სიმღერა, რომელსაც ყალბი ნოტები შეჰპარვია.

ავტორი ცდლობს ლეგენდების მხარე, ცად-აზიდული სევანეთი აბრეშურად აღიქვას და დაგვანახოს. თეთი წერის მანერაც ამ წიგნში ძალიან განსხვავდება ო. იოსელიანის აქამდე გამოქვეყნებული ნაწარმოებების სტილისაგან. ეს სიახლე მოსაწონიც არის და სადაოც. კარგია, როცა ავტორი მოთხრობას პოეტური აქსესუარებით ამკობს, მაგრამ ცუდია, როცა ეს პოეტიზმი ეპიკას ბუნებრივად არ ერწყმის და ყალბად ეღერს. კარგია, ავტორი სადად რომ წერს, მაგრამ ცუდია, როცა ეს სისადავე არაფრისმოქმედ უბრალოებამდე ეშვება.

მისთვის: თვითმტრინათი პირველად კავკასიონის ქედს რომ გადაეუარე, დაბლა თეთრი ღრუბელი იწეა. იმ ღრუბლებიდან თოქლით გადაღვსილ მთებს ცის კამკამა სიღურჯეში საოცრად ღამაზი ელვარებით ამოეზღდათ თავებში და იღვწენ ბიბლიურად სიმშვიდით. ისეთი სურათი დამეხატა, თითქოს სამყარო ისინი იყო იქმნებოდა ჩემ თვალწინ. იღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ცაში იდამიანი იყო და არა ღმერთი.

მე მგონია, ყველა მოკვდავს, მაღალი მთების ზემოდან ხილვისას, სწორედ ასეთი გრძობა უნდნება, რომ ეს ბუმბერაზნი, ზღაპრულად

მოვლენაზე მთელი სამყაროს შექმნის პირველ-მოწმენი არიან, მათ ახსოვთ ბევრი რამ, გულში შენახული აქვთ უამრავი საიდუმლო, მაგრამ რაყი ენა გაქვეყნებით, იმ საიდუმლო ამბებს ვერაფერს უმზელენ. ცხრაკლიტულში შენახულ იმ საიდუმლოებათა საღაროს გასასხენელად სპირობა ასევე იღვწალი გასაღები, რომელსაც მწერლის კალამი ჰქვია.

ო. იოსელიანს ამ წიგნში რამდენჯერმე აქვს ნათქვამი: — მთებში ბევრი საიდუმლო იცოან და ისინი ხეამიანს ასე იოლად არ ამხელენო. — მათაა იღვწამლების ამოხსნის სურვილი შემოქმედისათვის დიდებული თემა. აქ შეიძლება პოეტისა და ბელეტრისტის ფანტაზიამ თავისუფლად გაინავარდოს, მაგრამ ამგვარი თემა თავისთავად მაცდურიც არის, უფსკრულის პირას სიატულს ჰგავს, შესაძლოა შემოქმედი ისევე აეთუნოს, როგორც აეთუნა ზღაპრულმა დალიმ მონადირე ბეთქილი.

როცა ო. იოსელიანი ამ ახალ ნაწარმოებს წერდა, ზანს, მათაა ძველი და ახალი იღვწამლების ამოხსნის სურვილი აწვალებდა.

ახლა როდესაც ზელთ გვაქვს ოტია იოსელიანის მოთხრობა სევანეთზე, შეიძლება ვიკითხოთ: სევანეთის მთებს რა ახალი საიდუმლო ამოხსნა მწერალმა? რა გავაანლო აქამდე უთქმელი და უცნობი?

ამ ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, გვხიბლავს ობოლი ბიქის ბიმურზას ამბავი. ეს არის სიტყვაძეირი, მაგრამ სიკეთით მდიდარი, ძლიერი სულის ადამიანი, სევანეთის მთეზივით მკაცრი და ქედუხრელი. იგი პატარაა, მაგრამ დამოუკიდებელი, უშიშარი და ჭირთამძლე. მამაპაუელ კერაზე ცეცხლს ჩაუშქრალად ინახავს და ამით მათ სახელსაც უკვდავყოფს. ამ ბიქის არსებაში არის რაღაც დიდი და დაუოკებელი გრძნობა ზვიადი მთების სიყვარულისა. მისი სულის ორეულად წარმოგვიდგება ბუნებაში ღალად მონავარდე თეთრი კვიცა, რომელიც ბიმურზას გარდა ახლო არავის იყარებს და ყოველ ღამეს ქიზვინით უბზობს.

პატრონს. ბიშპრზა ეს არის ამაყი სვანთი სული, თავისუფლებისა და იაღაღების მოტრფილად. ამ ბიჭს სიცოცხლე უამთებოდ და უამთებდნენ ვერც წარმოუდგენია.

მხატვრული ზომიერებით აბის დაწერილი, ბიშპრზა რომ ცხენმა ვაიტაცა:

„თეთრმა ცხენმა ადგილზე დასცხო ტორეზი და თეთრი, გრძელფაფრიანი კისერი აქეთ, ბიშპრზასაყენ წამოიგარბელა. ბიშპრზა უშიშრად მივიდა თეთრ ცხენთან, ზეენ სულ დავაიწყდიო...“

ორიოდ წუთს არ გაუვლია, უეცრად ყალვზე ავარდა ცხენი, გამყვანი ხმით დაიქიხვინა და ადგილს მოწყდა...

ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა, მაგრამ მე მაინც შევნიშნე ცხენის ზურგზე, გამწილ ფაფარში ჩაფარული ბიშპრზა.

— ბიშპრზა! — დავიძახე. — ბიშპრზა ცხენმა მოიტაცა, ბიშპრზა!

— ბი-შპ-რზა! — გაიმეორეს მთებმა, მყინვარებმა და კოშკებმა.

პასუხად მხოლოდ ცხენის ქიხინი და ფლოქვეები თქარათქერი მოისმა. მერე სოფლის იქით, მთის წყერს ვაღაუქროლა თეთრმა ცხენმა. ბიშპრზა აღარც კი ჩანდა მის ზურგზე, და მყინვარისაყენ მიიშალა.

აქ მელაღდებდა გმირის ხასითიც და მწერლის ოსტატობაც — ამბავი დინამიურად ვადმოსცეს და სურათი მყაფიოდ დავენახოს.

ბიშპრზა რეალისტური სახეა, დღევანდელი სვანეთის ლეილი შვილია, რომანტიკულ ელფერში გასვეული. ამ ბიჭს რომ გაეცნობით, შეუძლებელია მამინეე არ შეგვივარდეთ და მისმა ბედმა არ ჩაგაფიქროთ. ბიშპრზა არის სვანეთის თეთრი მთების იდუმალება, რომელიც ვაიმეცნო მწერალმა.

ახლებურად არის გააზრებული სვანეთის მთებში ჭიხვებზე ნადირობა. აქ ავტორმა მოულოდნელად შემოაბრუნა სიუჟეტი და იგი ნოველისებურად დააბოლოვა. სვანმა უყვანა მქალაქი სტუმრები სანადიროდ წაიყვანა და ჩაასაფრა. ჭიხვები შევეწყვლის დასალევადა ჩამოვიდნენ. მასპინძელმა თვითვე სტუმარს ჭიხვი ამოტრჩია სასროლად, თოფი დამოზნუნა და როცა ჭიხვები წაივიდნენ, იმ ადგილისთვის ასროლინა. ყველა ტყვია მიზანს მოხვდა. ასე „მოკლეს“ სამი ჭიხვი, მთას კი ერთიც არ დაკლდნია.

ავტორი აქ შესანიშნავად გვიხსნის, თუ ნამდვილად რატომ არ დახოცეს ჭიხვები.

„ზევრი იყვნენ ჭიხვები, მაგრამ კლდეს ყველა შევნიოდა, ერთიც რომ დაკლუბოდა, კლდე არ ივარგებდა, არც მყინვარი, არც მზე...“

აქ, ამ მიუვალ მთებში სვანი მონადირეც კი ერთხელ არ გაივლის წელიწადში. ეს წყარო ჭიხვებისთვისაა. ჭიხვებს რომ რამე მოეწიოთ, წყარო რიღასთვის უნდა იყოს! მე არ ვესვრი

ჭიხვებს, რომ წყარო არ დასრეს... მთის გულ ეტყინება, მყინვარი ვერ იქნებოდასწყვი, კლდე იტრებს და წყარო უფრებოდასწყვი ჭიხვები მალა წაივიდნენ... გაუზარდათ, რომ ამ სიმაღლეზე ავიდნენ და ერთმანეთს რტე-ბით ეტყვრენ. შიამ ზმა ვაილო — ჭახ!

— ყანსაე, არ ესროლო, არ ესროლო, ყანსაე! — დავიძახე მე ჩემს გუნებაში. — შიამ დაქმნვდება, ჭიხვს რომ ესროლიო!..“

სწორედ ეს, ბუნებისადმი ადამიანის ფაქიზი დამოკიდებულება მიგაჩანია ამ მოთხრობის შთავარნიშნავეტად. ამ პატარა ეპიზოდში ო. იოსელიანი ამბობს თავის შთავარ საოქმელს: ადამიანს უნდა უუვარდეს ბუნება და მისი სილამაზე, უნდა უუვარდეს როგორც სიცოცხლის დედა. ადამიანი უნდა იყოს ძალიან კეთილი და ფაქიზი, როგორც არის სვანი ვაყვაცი ყანსაე. ამ უბაღლო მონადირეს შეუძლია ჭიხვი ერთი ვასროლით მოკლას, მაგრამ არ კლავს, მთებს სილამაზე რომ არ მოაკლდეს, ანკარა წყაროს სოსხლი რომ არ შევრიოს. მწელია მონადირისთვის, ჭიხვი დაინახოს და არ ესროლოს, მაგრამ ყანსაე ამ ცოუნებას სძლევს და სხეასაც თავის გზაზე აყენებს. იმ სწორედ აქ ჩანს თანამედროვე ადამიანის სიფაქიზე და დიდსულოვნება.

იქნებ ამ ეპიზოდს რეალობა აკლდეს კიდევ, მაგრამ ავტორის სურვილი კი კეთილშობილური, ლამაზი და მასწონია. ასეთი ამბავი მკითხველს ჩაუნერგავს თავისი ქვეყნის მიწაწყლის სიყვარულს, მისი სილამაზის დაცვის გრწნობას და ესთეტიკურადაც აღზრდის.

საერთოდ, ო. იოსელიანი ცდილობს ისეთი სვანეთი წარმოვედგინოს, სადაც მხოლოდ კეთილი თვარი ტრიალებს და, თეთრი ფერი სჭარბობს: ლამეც კი თეთრია და ამ თეთრ ლამეს ამშვენებს თეთრი მთები და თეთრი ცხენები. ამ მოთხრობის მიხედვით ყველა ბედნიერი და ადამიანებს აქვთ უმნიშვნელო წუხილი, ყველაფერი უხარიათ — მოგზაურობა, თიხვა და ნადირობა. ომი რომ არ უოფილიყო, ახლა ბიშპრზასაც ცოცხალი ვყოფილიდა მამა და ისიც სხეებიით ბედნიერი იქნებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ავტორი იმდენ სიკეთეს იჩენს, რომ ნადირსაც ვერ იმეტებს მოსაკლავად.

ლიტერატურის უპირველესი მიზანი ხომ ის არის, ადამიანებს შეგვაფაროს ერთმანეთი, შეგვაყვაროს ცხოვრება და რაც ცხოვრებაში ლამაზია, მოკლენების ამ თვალთ დინახვა ეუდი არ არის, მაგრამ როცა ავტორი ამას ილია გზით ავითებს და ტენდენციურობა აშვარად ჩანს, როცა ცხოვრებას ვანგებ პერეტს ცალმხრივად და მხოლოდ თეთრი ფერით ამყობს და ატკბილებს, ეს უკვე არ ვარგა. ზნორ შემთხვევაში თეთრი ფერის აკვატე-

ზულად ხმარება აყალბებს ცხოვრების ნამდვილ სურათს.

ახლა ისიც ვეითხოვთ, მწერალმა-მონადირემ რას ესრთა და ვერ მოარტყა, ანდა, რას ესრთა მხოლოდ გასართობად, მწერლურ-მონადირული ენის მოსაკლავად?

„ცხრა მთის იქით“ არ არის დაწერილი თანხარ სიძლიერით. ბიშრუხსა და თეთრ ცხენებთან დაკავშირებული ამბების გარდა, ბევრი რამ უგრძობელი და უღიშამოა. კარგად გადმოცემული ეპიზოდებისა და ბუნების სურათების გვერდით გვეხდება სუსტი მსჯელობანი. ავტორი ზოგჯერ ვერ იცავს ზომიერებას და პატარა სათქმელს, რაც შეიძლება ორიოდ ბუკარში ჩაეტოს, მთელ ფურცელს ანდობებს. ამის სამავალითოდ გამოდგება მსჯელობა იმაზე, ხბოს წიქარა დაარქვან, თუ ლამაზა.

ო. იოსელიანის სხვა ნაწარმოებებს ხალხური ენის სილამავე და ღრმა აზროვნება, კვერტი-სტრიტი ნიუანსები ამწვენება, აქ კი მისი ენა ღარიბი ჩანს ლექსიერად და არც სხვა რაიმით ბრწყინავს. ასე ეთქვათ, ავტორი სიტყვისთან კიდილს ვრდიდება.

ოცნაზულად არ არიან ჩართული მთავარ ამბავში არქეოლოგები. ისინი სულაც რომ არ გამოვიჩინოთ ავტორს, ნაწარმოების ღირსებას არაფერი მოაკლდება, სიკეთეს კი შეემატებოდა, რადგან სიუჟეტურად მოთხრობა დაფანტულია, კომპოზიციურად შეუკრავია და მთაში არქეოლოგების ასე ამოსვლა, თითქმის უფუნქციოდ (რაკი მათ გამოჩენას არავითარი სიუჟეტური ცვლილება არ მოჰყოლია), ნაწარმოების ნაყვს უფრო თვალსაჩინოს ხდის. არქეოლოგების გამოჩენა არავითარ გრძნობას არ აღძრავს. იგი არც სიუჟეტის განვითარებას ეხმარება და არც რომელიმე გმირის ხასიათის ახალი კუთხით ჩვენებას.

გაქანურებულია მოთხრობის ექსპოზიცია. მიგრამ აქ რაიმე ამბის დეტალურად აღწერა არაა. ავტორი თხრობისას ერთ ადგილას თვალს დიდხანს არ აჩერებს, თითქოს ყველა მოვლენას გაქროლებული მანქანიდან უფურცბსო, არ გამოყოფს მთავარსა და მნიშვნელოვანს. მკითხველი ხედავს რაღაც ზოგადს, მაგრამ კონკრეტულად ძალიან ცოტა რამ ამხსოვრდება. ავტორი, ალბათ, შეგვედევება, ეს ხომ ღირიული მოთხრობაა! მაგრამ ხშირად მისი ღირიში განყენებულად რომ რჩება და ეპიკურ თხრობაში ბუნებრივად რომ არ არის ჩართული?

ერთგან მთის ყვავილთა გამო ავტორი ამბობს:

„აქ არ წყვეტენ ყვავილებს... ყვავილები არიან თავისთვის და უხარიათ, რომ ასე ლამაზე-

ბი არიან. თავს აწონებენ მთას, თეთრ მთას, თავს აწონებენ ცას, თავს აწონებენ მზეს...“

მოთხრობაში პოეტურად დაწერილი ზოგი ადგილი, სწორედ ამ ყვავილებს გვაგონებს. მათ სილამაზე არ აკლათ, მაგრამ მხოლოდ თავისთავადი სილამაზე აქვთ. ცალკეული ლირიული წილსვლები თავთავისთვის ბრწყინავენ და ფერთა ერთიან გამას ვერ ქნაიან.

ავტორი რამდენჯერმე იმეორებს: მთებს დიდი მოთმინება აქვთო. ეს ფრაზა ლექსის სტრიქონად რომ შეგვეხედროდა, რაღაც პოეტური ნიუანსით გავამართლებდით, შეგვეხედდით და პოეტური ხარისხს მივაჩვენებდით, იქნებ შემდეგ ძალიანაც მოგვეწონებოდა, მაგრამ რაკი მოთხრობაში ეს ფრაზა განყენებულად არის თქმული: არ არის რომელიმე სიტუაციის ლოგიკური დასკვნა, არ გამოხატავს რომელიმე გმირის ხასიათს და, საერთოდ, არაფრით მელაზნდება, მას განზოგადებული აზრის მნიშვნელობა ვერ ენიჭება, ვერც კონკრეტულ სახეს იღებს და ეს პოეტური ფრაზა ქრება წაკითხვისთანავე.

ამგვარ ფრაზათა უმეტესობას ავტორი ხმაბობს, როცა გმირის სულიერ განცდას ვაღმოსცემს, სწორედ ეს არის ცუდი. კაცის საუბარს იქნებ, ზოგჯერ, დაქარავეს ყალბი პათეტიკის იერი, ფიქს კი — არასოდეს. ასე, რომ, სალექსო სტრიქონები პოეტურ მოთხრობაშიც არ ვარგებულა, თუ იგი ეპიკის სამოსელში არ ვავხვია.

რაკი ენაზე ესაუბრობთ, ერთსაც შეგნიშნათ: წიგნი გვეხდება აზრთა ალოგიური ვასელები და გრამატიკული შეცდომებიც. კერძოდ, ეს ეხება ზმნისა და სახელის რიცხვში შეთანხმებას. „შეცივდებათ და ამიტომ არ ცხოვრობს“ (გვ. 7), „მართალია მთები“ (გვ. 21), „იციინოდა მთები“ და სხვ. ერთსადაიმევე გვერდზე (47) სწერია „გაიმეორეს მთებმა“ და იქვე — „მოგვემარა მთები“. რაკი ავტორი მთებს წარმოვივადგენს, როგორც ცოცხალსა და ახლობელს, სულიერ არსებას, რაღაც რომ სტყავათ და უხარიათ, საჭირო იყო ბოლომდე სწორი გრამატიკული ფორმით გამოგვეხატა.

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს ოტია იოსელიანის მოთხრობებს. მან კარგახანია ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა და ასეთ მწერალს მეტი გულმოდგინება და თვითკონტროლი მართებს, ეს სიყვარული რომ შეინარჩუნოს.

აკაკი შავაძე

ოთარ ჭელიძის ლექსები და ბალადები



თარაწულაძე

ოთარ ჭელიძის ლექსების პირველ წიგნში, რომელიც ომის შემდგომ გამოქვეყნდა, უკვე ჩანდა ცოცხალი პოეტური ხედვისა და მკაფიო ინტონაციების პოეტი, მძაფრად რომ განიცდის სამყაროს ძალუმ სუნთქვას, სიცოცხლის ამაღლებულ პაიოსსა და თანამედროვე ცხოვრების ოპტიმისტურ განწყობილებას. ოთარ ჭელიძის პირველ ლირიკულ ნაწარმოებებშივე იგრძნობოდა მიდრეკილება სიუჟეტური ლექსისაკენ, ის თხრობითი ელემენტები, რომელიც ო. ჭელიძის ლირიკამ თავიდანვე შეიძინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საიმედო ნიადაგი იყო მისი შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის ეპიკურ ფარში.

1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლტერატურისა და ხელოვნების დეკადის ღირსშესანიშნავ დღეებში რუსულმა სალიტერატურო კრიტიკამ ო. ჭელიძის შემოქმედების მაღალი შეფასება მისცა. გამოჩენილმა რუსმა პოეტმა პ. ანტოლოვსკიმ ო. ჭელიძის ბალადები დაბახიათა, როგორც დაუცხრომელი მშფოთვარებოდა და სიცოცხლით აღსავსე პოეტური კმინდებები. მან განსაზღვრებები გამოჰყო „ბეშტაუს ბალადა“. ამ ნაწარმოებში, — თქვა ანტოლოვსკიმ, — პოეტი ისეთ კლდეებს ეჭიდება, რომ თითქმის ხედავთ, როგორ უსისხლიანდება მას ფრჩხილები ამ ლოდებთან ჰიდელში.

ო. ჭელიძის ნაწარმოებებმა ყურადღება მიიქციეს იდეური შინაარსით, თემატიკით მრავალფეროვნებით, კეთილშობიანი მუსიკალური ელერადობითა და საინტერესო სიუჟეტებით.

პოეტური ნაწარმოებები უნდა გამოხატავდეს იმ მაღალ ინტერესებს, რომლებიც თანამედროვეობას ასულდგმულს და ამორბავებს, რომელიც თავისი ქვეყნის დიდი იდეებით სუნთქავს და ცოცხლობს. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო ო. ჭელიძის ბალადები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ მათ ავტორის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების მხატვრული ასახვის დაუშრეტელი ენერგია გააჩნია და იგი როგორც პოეტი, ყოველთვის ახერხებს ჩვენი ცხოვრების აქტუალურ მოვლენათა, ჩვენი აღმინანების სულიერი სამყაროს გამოხატვას. პოეტს შესწევს უნარი მის მიერ ნაწიხი და განცდილი ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც მის სულში ღრმა კვალი დატოვებია, მაღალ მხატვრულ ხარისხში აიყვანოს, საყურადღებო ლიტერატურულ ფაქტად აქციოს.

როდესაც კიბულობთ ბალადს — „ბოდში“, თხრობის უშეღობა და მძლავრე ტონი გარწმუნებთ, რომ აქ გადმოცემული ამბავი პოეტს

პირადად განუცდიდა და შემდეგ უკვე მისი ბეჭდია. ვიღაც მგზავრი გადმოირბნის ვაჭვარედის და ქუჩაში მიმავალ პოეტს შეიხერხებს ხელს მავრად ჩამოართმევს. მოხდა გავებრობა: მგზავრი ცხრამეტი წლის შემდეგ შეხვდა ადამიანს, რომელიც საოცრად ჰკავს მის ფრანტელ მეგობარს. მას, ვისაც ეს მგზავრი სანგარში ეპო, ვისთანაც პური, გაუტეხია მძიმე დღეებში. ომგადახდილი ვაჭვაციის წარბოდეგნში ჩრდილივით გაირბნენ განვლილი საფრანტო ცხოვრება.

მაგრამ მგზავრი ჩქარა რწმუნდება, რომ შეცდა, ბოდში მისხლით გამოეშვიდობა დაღუპული ყარისყაციის ორეულს და ხალხის ზღვაში ჩაინთქა, ხოლო ფიქრებაშლილ პოეტს იდეშალი ხმა მოესმის:

ცოცხლისა და მედრის წინაშე გამართებს ვალის მოხდა.

ამ მაღალი შეგნებითა და სულისკვეთებით არის შთაგონებული ო. ჭელიძის პოეზია. პოეტი წყნარ ისეთ მოვლენასა თუ საგანზე, რაც მას ღრმად ადევებს. კონკრეტული გარემოებით, ცოცხალი ამბით შთაგონებული ლექსი მუდამ მნიშვნელოვანი და ემოციურია.

ო. ჭელიძის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს „ოდა-ლევენდო“, სადაც ლაპარკია ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ბედზე. ლექსში ქრონოლოგიური წესით დალაგებული ფაქტები მგზნებარე პოეტური სიტყუითაა გაცოცხლებული. ავტორი ჩვენს ისტორიაში მაღალ ადამიანურ საწყისებს ეძებს და თქვენ ხედავთ და გრძნობთ ქართული ხალხის მძლავრ და გაუტეხელ ნებისყოფას, სიცოცხლისა და დაუცხრომელი შემოქმედების იმ დიდ მადლს, რაც წითელ ზოლად გასდევს შიველ ზვენს ისტორიას.

პოეტი პატივს სცემს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან, ძვირფას ეროვნულ ტრადიციებს და მისი რეალური გამოვლენების ამათ იმ საგნისხმო ფაქტს მხატვრულად აცოცხლებს. ისტორიულ მასალას ამუშავებს თუ თანამედროვე თემას ეხება, პოეტი ყოველთვის ახერხებს უმასხოს დღევანდლობის ინტერესებს, გამსჭვალოს მკითხველი პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის დიდი სულისკვეთებით. მთავარი თემა პოეტისათვის — ჩვენი ცოცხალი თანამედროვეობა. პოეტი თავისებური ხერხებით და ისტატურად შერჩეული სიუჟეტებით ხატავს ნათელ და ცოცხალ პორტრეტებს, რომლებიც მძლავრად განგვაადვილებენ ახალი ცხოვრების მშენებელთა სიხარულსა და პათოსს. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ჩვენი ამ დღებულების დასახუთებლად დადასახულებთ ბალადს „კახეთის საოცრება“, სადაც კოლმურნე ქალის — აივაზაშვილის სახე ჭეშმარიტად

ოთარ ჭელიძე, „აქანუებული გულ“, ლიტერატურა და ხელოვნება, 1962.

წარმტაცი ფერებითა დახატული. აქ ოსტატურად არის გამოყენებული ერთ-ერთი საუნთრადლებო ლეგენდა მებაგრეუთების ისტორიიდან.

არ დაჩნენილა თითქმის არც ერთი ქართული პოეტი, რომელსაც სამგორის თემაზე თავისი სიტყვა არ ეთქვას. ო. კელიძის ლექსი „ქარის სიყვდილი“ სამგორზე დაწერილ მაღალხარისხიან ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის. ლექსის მხატვრული ჭოგელი, მოძრავი და დინამიური სტრიქონები ნათლად გვაგრაძობინებენ, თუ როგორ თანდათან ეჭრება მუხლი სამგორის ველზე საუკუნეთა მანძილზე მოთარევე ბნელად ქარს. გზადახული ქარის ზივილი მოზეიმე სიცოცხლის გამარჯვებაზე მეტყველებს:

მწვანე მიწის მკერდს მომწყდარი
შვიარდება ქარი ღრუბლებს,
და გულმკედარი მომაყვადვი
განწირულ ხმით დაღმუქვებს.

ქეშარიტ ეპიკურ ნაწარმოებში ხასიათი მოქმედებაში უნდა ვაიხსნას, სწორედ აქ უნდა გამოვლავნდეს პერსონაჟის თავისებურება და თვისება, მისი იდენიფიკაციის ღირსება და ნაკლი. სამაშულო ომის მონაწილე ინერის — კახაბრიძის (ბალადა „კახაბრძი“) სახე სწორედ ამიტომ ამასხვრდება მკითხველს. გმირული ბრძოლისა და შრომის პათოსით აღსავსე კახაბრძი ტიპიური ხასიათი და იგი ზევეს თანაგრძნობას იმიტომ ამსახურებს, რომ მისთვის არ არსებობს კერძო და პირადი ხალხის ინტერესებისგან დამოუკიდებლობა. ამ შამდე პიროვნებას პოეტი პირველად ხედება კაცობის ფრონტზე, სადაც კახაბრძი გამოამქლავნა დიდი პატრიოტული თავგანწირვა, თავისი საქმის იშვიათი ცოდნა, სამაგალითო თაოსნობა.

მეტრეზ გამარჯვების შემდეგ პოეტი სოფელ ინავაში კვლავ ხედება თავის საყვარელ გმირს, როგორც მშვიდობის ქარისკაცს.

აი, სამაშულო ომის მეორე მონაწილე, — ომს, ვაჭოხეთურ ქარცეცხლს მისთვის მძიმე ფიზიკური და სულიერი ტრავმა მიუყენებია. ქვეყნით დაეადლებული, ომგადახდილი რუსი ვეტერი ამასთუმანში მყარნალობს. ვადის ხანი, პოეტი მოსკოვში კვლავ ხედება თავის რუს მეგობარს, აწერად იგი უკვე საცხებით განკურნებული და გაქანსალებულია. შეხვედრის ეს ამალღებელი სცენა პოეტს კარგად აქვს გადმოცემული. მთელ ლექსში ზევეს დიდი ადამიანური სიყვარული, გამარჯვებული სიცოცხლის ხალისი.

საგულისხმობა, რომ ო. კელიძის პოეტური შთაგონება ზედამ თავს დასტრიოლებს უბრალო ადამიანთა ცხოვრებას, მათ სიხარულსა და ტივილებს. ზემოთ განხილული ბალადების გარდა,

ამ თემაზე დაწერილი „მინდერის მუხანგებელი“, „უბედური შემთხვევა“, „ქვისმთელი“ და სხვ. შეეჩრდებით უკანასკნელ ბალადებზე, რომელშიც დახატულია გულმართალი და მკლავდასაოცრელი მეშაის — ქვისმთელის სახე. ამ ბალადის მეორე პერსონაჟია ქვისმთელის შეგირდი, პატარა სოფელი ბაჭი, რომელსაც ლექსის წერაში ამ ოსტატმა გაუწაფა ხელი, იგი აწერინებდა მას ეპიტაფიებს. ვადის დრო. დიდი ხნის უნახავი ჰყავს ბერიკაცი ნამევიკრდალს. და აი, ერთ დღეს იგი მიდის სოფელში, მიდის იმ ღრმა რწყენით, რომ მოხუცი მას გულით მიიღებს და სიხარულით აღიყვანა. მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ჩანგატხილი მასწავლებელი ვერ იტონობს და ციად შეხედება მას. მაღე ის შეტყობს, რომ ბერიკაცი ქვის კოდენას დაბრმავებულა. წრფელი მღვდლავრება მოიკავს ორივეს, როცა ისინი ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს და ბერიკაცი მიხედება, თუ ვინ დვას მის წინაშე. ბერიკაცი პოეტს სთხოვს ხალხს ლექსით მოთხრობას სამართალე მის მღვლავრ ცხოვრებაზე; მოხუცის სიტყვებმა სრულად ახალი სამყარო ვასნა პოეტის წინაშე. ეს არის სამყარო ხალხზე და ხალხისთვის სიღვრისა, სიმოქალაქო პათოსით გამსჭვალული ამალღებულ პოეზიისა. პოეტი ისე უნდა ექვიდებოდეს სიტყვას, როგორც ის მოხუცი ექვიდება ქვას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. პოეტი მიყვება ამ გზას, რომელიც მას ბრძენმა ოსტატმა უნადერძა. მაგრამ მის აღილეებს ერთი კითხვა: შეძლებს თუ არა, შექმნას ისეთი რამ, რასაც ხალხი სიყვარულით შემოსავს, ხოლო სიტყვასთან ომში გაქვილარეველ პოეტს სიცოცხლის ხალისსა და ჯალღონეს შემატებს.

ამ ბალადის ქვეტექსტი აშკარად ლაპარაკობს იმ უაღრესად სპატიო და ამსთან საპასუხისმგებლო როლზე, რომელსაც პოეტი ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ერთ თვის ბალადში ო. კელიძე მოვითხრობს უბედურ შემთხვევაზე, რომელიც მის თვალწინ მოხდა. მოხუცი ავტომანქანის ქვეშ მოჰყვა. ის სასწრაფოდ წაიყვანეს საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. ამის შემდეგ პოეტს შეუყვაროთ თავისი ფიქრებისა და განცდების საყვარალი. მან არ იცის, თუ ვინ იყო ის უცნობი კაცი, მაგრამ მისთვის დავუიწყარია მომავლადის კეთილი თვალეები, რომლებიც მშველელს ეძებდნენ და ყველას დახმარებას სთხოვდნენ. კარგა ხნის შემდეგ პოეტი თავისი თანწრიდან კვლავ დაინახავს იმ უცნობს და ეს მოულოდნელი შემთხვევა ისეთ სიხარულს მოეტრანს, თითქმის ვინმე მახლობელი ვაცოცლებოდეს:

მისი ზეიმის ვიყავ ზიარი,
ფთვლიდი მასავით თაშს ბედნიერად,
და მე ვივარქენი — ადამიანი
რომ შეყარებია ასე ძლიერად.

ყოველივე ეს მკაფიოდ მერყევლებს იმაზე, რომ ო. ჯელიძის პოეზიის შთამავგონებელ ძალას წარმოადგენს საბჭოთა ქემინიზმის პათოსი.

ბალადისათვის საგაღმებელია გარკვეული სიუჟეტი, ამბავი, ო. ჯელიძე მედამ ზესტად იცავს ამ პრინციპს. ამასთან, მის თხრობას ყოველთვის ლირიკული სითბო ახლავს. უფრო მეტიც: ზოგჯერ ო. ჯელიძის ბალადების ლირიკში იმდენად მძაფრი და ემოციურია, რომ ამ ლექსების კითხვისას თქვენ ნათლად გრძნობთ, თუ როგორ გადმოდის თქვენს არსებაში პოეტის მღვლავარე განცდების ნაყოფი. ამას აღასტერებს თუნდაც მამის სსოვისსადმი მიძღვნილი ლექსები. კერძოდ, ბალადა „მესამე“: ეს არის პიშინი მამაშვილური სიყვარულის, დიადი და კეთილშობილური გრძნობისადმი. ბალადა გამოირჩევა თავისებური პოეტური გახზობით. პოეტს სიკვდილმა წაართვა მამა, მაგრამ ვერ წაართვა მისი ეპიკური და ომბიანი ხმა, მამის ხმა დარჩა შვილის ხმაში, როგორც სიცოცხლის ცეცხლი.

მამის ნათელი ხსოვნითაა შთავგონებული აგრეთვე ლექსი „ხმა“, სადაც მკითხველის წინაშე კვლავ აღიმართება მამის აზრდილი, სიცოცხლის წარმავლობაზე დაფიქრებულ შვილს რომ ამხნევეს და კვლავ მჩქეფარე, მღვლავარე ცხოვრებისაკენ მოეწოდებს.

ო. ჯელიძე ერთი შეხედვით უბრალო ამბავსაე კი საზოგადოებრივ ელერადობას აძლევს. ამის ნათელი მაგალითია ლექსი „მოულოდნელი შეხვედრა“. პოეტის დაეკავებებათან ერთად იზრდება და ეპიკიდება მისი შრომობიური სოფელიც, სადაც პატარა ნაკადულიც კი ხალხის მუყაის შრომას სიცოცხლისა და ახალი ცხოვრების მადლიან წყაროდ უქცევა.

სიყვარულის გრძნობა პოეტისათვის განუყოფელია ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. იგი სიყვარულში ხედავს ბედნიერებას, რომელიც ადამიანს ყოველგვარ ტვიტლებს უშუბუქებს და საქვეყნო მიხნებისათვის ბრძოლის ახალ უნარს ანიჭებს. სწორედ ასეთი სიყვარულია გადმოცემული ბალადაში „მეორე მკლავი“.

ო. ჯელიძის ლექსი აღსავსეა შრომის, ბრძოლის, ბუნებასთან ჯიდიის პათოსით. ო. ჯელიძის ნაწარმოებებში ცხოვრება ასახულია დიდი ქემარტობითა და სიმართლით. ეს ითქმის არა მარტო მის ბალადებზე, არამედ მის ლირიკულ ლექსებზეც, სადაც ადამიანის ცხოვრება მოცემულია მთლიანობაში, მთელი შინაგანი სიცოცხლით, ბრძოლით, მოქმედებითა და შემართებით. ამ მხრივ საინტერესოა „ათას ერთი ღამის წერილები“: ახალგაზრდა კაცის განცდები, რომელსაც არ შეუძლია დაივიწყოს ერთხელ განცდილი სიყვარული, აქ დახატულია ამაღლებულად, იგი ბოლომდე ერთგული რჩება თავისი პირველი გატაცებისა, მთელი მისი არსება რომ შეუძრავს და დუჰყარია.

ო. ჯელიძის ლექსი „მონოლოგი“ მკითხველს ზიზღავს თავისი უშუალოდ მოკვლურტვიტული სურათებით, მერყევლი ძალეფედდ ქრთქრტვიტული სიუჟეტი სახეებით. ლექსი იწყება ბავშვობაში სოფლად გატარებული დღეების სურათების აღწერით. ამ ლექსშიც ასახულია მშობლის სახე, სიყვითის, პატრიონების, ყოველივე გონიერულის შთამავგონებელი სიმბოლოა. პოეტის სულში ეს სახე ბრწყინავს, როგორც სიცოცხლის ძალა, როგორც სიცოცხლის სიმშვენიერის მგზნებარე რწმენა. მამის აზრდილი და ბავშვობის დღეები ესმართებთან პოეტის დაეკავებებას, მთელ მის სიცოცხლეს სინათლესავით მოაქევიბიან.

ლექსში „აქანყებული გული“ თქვენ გრძნობთ, თუ რა დიდი ტვიცილით იბადება ლექსი, რამაც არა მარტო უნდა დაგვატკბოს, არამედ შინაგანად უნდა აგვიბალოს, უნდა გვაშთაგვაშთაროს ჩვენი დროის ადამიანის სულეერ მოთხოვნილებებს.

ო. ჯელიძის პოეზიას შინაგან სიცოცხლესა და სილამაზეს ანიჭებს მძაფრი გრძნობა დრამატიზმისა, რომელიც განსაკუთრებით აღსავსეა მისი ბალადები, ამიტომაც, რომ ო. ჯელიძის ნაწარმოებები აღეღებენ მკითხველს, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ მასზე.

ო. ჯელიძის სტილი ნათელი და მკაფიოა. პოეტი გულმოდგინედ არჩევს სიტყვებს ემოციური სახეებისა და სურათების შესაქმნელად. ადამიანის სულიერი ცხოვრების გადმოსაშლელად. აქ განსავუთრებით გვიანდა აღენიშნოთ ის გარემოება, რომ ო. ჯელიძის ლექსი მდიდარია კეთილშობიანი რითმებით.

პოეტი მარყვედ იყენებს ალიტერაციას, რაც ამდიდრებს და დინამიურს ხდის ლექსის რიტმს.

ო. ჯელიძის მხატვრული შედარება რეალისტურია. პოეტს შესწევს ძალა კონკრეტული სახე დახატოს ისე, რომ მკითხველისათვის ნაცნობი და მახლობელი გახადოს. ეს უდავოდ მის მალაღნიჭებებასა და ოსტატობაზე მერყევლებს. განა ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობი არ არის ო. ჯელიძის ჯესმთლედი, ან და ხილის მშენებელი ანეიერი კახაბრძე? ამ სახეებში ხომ თავმოყრილი და პოეტურად განსახიერებელია უბრალო ადამიანების სიხარული და გულსტიკვილი, მათი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი.

ო. ჯელიძის პოეტური ლექსიკის საფუძველი ხალხის ცოცხალ სალაპარაკო ენაშია. სწორედ ამიტომაც, მისი ლექსებისათვის დამახასიათებელი ლაღი და თავისუფალი მდინარება. ერთ ლექსში „თეთრი კედლები სიჩუმეში“ იგი ამბობს:

გაფრინდეს ლექსი, ჯეყანას მოედოს,
როგორც ამილის ყვავილებს ფუტყარი.

ეს კი შესაქმნებელია მხოლოდ მამინ, როცა



პოეტს შესწევს ძალა ცხოვრების უშუალო შეცნობისა. ეს ძალა იგრძნობა ო. ჭელიძის პოეზიაში, რომელიც გამსჭვალულია მძალადი საზო-

გადობრივი სელისკვეთებითა და ქაჩინების დადი იდეებით.

ვალერიან გვირიტი

პოეტის პირველი წიგნი

თანამედროვე ქართული პოეზიის თავისებურებებს სხვადასხვა თაობის, გამოცდილებისა და შემოქმედებითი პრაქტიკის პოეტები ქმნიან. მათ შორის საერთო ნიშნების გამოვლენა ადვილია, შედარებით რთულია მათი პოეზიის თავისებურებათა გარკვევა. ახალგაზრდა ქართველი პოეტები ცდილობენ ჰქონდეთ საკუთარი პოეტური ხელება და ინტონაცია და ხშირად აღწევენ კიდევ ამას. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ქართველი პოეზიის წარმომადგენელთა შორის არსებული სხვაობა უფრო ზედაირულია, ხოლო შიგნითა — არსებითი. ცხადია, არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ სულ სხვადასხვა ხმისა და ხასიათის პოეტებია, ერთის შიგნით მ. მაჭავარიანი და მეორეს მხრივ თ. და ო. ჭილაძეები, გ. გვიგუშკორი, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჰანტურია, ზ. ბოლქვაძე და სხვ. განსხვავება, ცხადია, ზეენს მიერ ჩამოთვლილ პოეტთა შორისაც შეინიშნება. ახალგაზრდა პოეტთა ურთიერთმსგავსებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: მათში ზოგჯერ შეიმჩნევა ტენდენცია — უფრო ლექსის ტექნიკური აქტუალობით, გამოსახვის საშუალებებით მიიყარონ ყურადღება და ნაკლებად ცდილობენ გამოვლინონ ინდივიდუალური მსოფლგანცდა, ეწეოდა სხვა პოეტთაგან განსხვავებული ხედვა და ა. შ. მაგრამ ის ენერგიული ძიებები, ის სიზნობიერი, რასაც ავლენს აქვს ზეენს ახალ პოეზიაში, უფროდ პერსპექტიული და ნაყოფიერი იქნება.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა პოეტის ეშვარ კვატიშვილის ლექსების პირველი წიგნი — „გზაში ნათქვამი სიმღერა“. კრებულში წარმოდგენილი ლექსები უკვე ნათლად ავლენენ პოეტის ინტერესებისა და ზედვის სიკვათიოვნის და ლექსებზე „მეშობისა“ და დაბეჭდვის თვალსაზრისით პროფესიონალურ პასუხისმგებლობას.

გ. კვატიშვილის პოეტური კულტურა მისი ინტერესების სიფართოვეზე მიუთითებს და მან უფრო მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება არა თავისთავად პოეტურ საგნებსა და მოვლენებზე, არამედ თვით საგნებისა და მოვლენების პოეზიაზე. სასურველი იქნებოდა მის ლექსებზე უფრო მეტად აღსახოს ზეენს ყოფაში შემოსული სინამდვილე. ცხადია, ეს არაა მარტო მისი ნაკლი და ჯონ სინგის ხიტყვები მარტო მას

არ ეხება: „როდესაც აღმინებთ ყოველდღიური ცხოვრების შეგრძნებას კარგავენ და აღარ შეუძლიათ ყველაზე ჩვეულებრივ საგნებზე წერა, მათი მგზნებაზე პოეზია მაინც კარგავს თავის ცხოველყოფილ ძალას. ისეთი პოეტები, როგორც იყვენ ვიონი, პეტრე ან ბერნსი, ლექსებში ასახვენ ყოველდღიურ ცხოვრების მოვლენებს და ისეთი ჯერის ლექსებს კითხულობდა სხვადასხვა ხალხი, ქურდებიც და სამღდელოებაც და არა მხოლოდ ჩიხელთა ჯგუფი“. რომ არაფერი ითქვას ქართული ფოლკლორის მდიდარ ტრადიციებზე, ასეთი ჯერის ლექსები მრავალ გვებედა ზეენს კლასიკობის შემოქმედებაში. ეს მომენტები განსხვავდება აშუღური პოეზიის თემატური სიმსუბუქის და ზედაირულობისაგან. იგი თავისი შინაგან სტრუქტურით განსხვავდება იგრეთვე პროზის იმ ნაკადისაგან, რომელიც თანამედროვე ლირიკის სფეროში იტრება. მათ შორის თვისობრივ სხვაობა. ე. კვატიშვილის აქვს რამდენიმე ლექსი, სადაც სისადაე და სიმარტივე ქმნის უფრო მძალი ხარისხის პოეზიას, ვიდრე ეს მის სხვა ტექნიკურად უფრო სრულყოფილ ლექსებში იგრძნობა, ასეთია თუნდაც მისი „ბიჭო გოგია“ (ცეკლიდან „ქართული ზღაპრები“).

შენ ბიჭო იყავ და ჩიტი გახდი
ბიჭო იყავი — იქეცი ჩიტად,
მოგნატრებია ბიჭებთან ლაბტი
და შენი ეზო სულ ერთი ცოდა,
გელამღებოდა ტყეში ნახითან,
თავი არასდროს დავიზოგია,
დედინაცვალი ბევრჯერ ახირდა
და მწარედ გცემდა, ბიჭო გოგია.
დასტოვე სახლი და სუსტი ფრთებით
კას მიაშურე ობოლმა ეყმა,
გადამარე ნაცნობი მთები
ეყოთელი გულით მიაპობ ლავვარდს...
— ეამ თუ მაგ თმებში ბუდე აშენა,
ამოგოკორტნა ყვევა თვალები,
ტყე-ველად ისმის ჰმა დედაშენის —
ბიჭო-გოგია, სად მუშალები,
შენ ბიჭო იყავ თვით ყოველად იქეცი,
ღრუბლებში ფრენის ცინი მოვიარს,
უბედურება აქაც და იქაც,
რა დააშევი, ბიჭო გოგია.

ე. კვატიშვილის ლირიკული ლექსების სელისკვეთება სიკეთის დამგვიდრების პათოსითა განათებული. ამ მხრივ სანიშნოდ გამოდგებოდა ერთი მცირე უსათურო ლექსი:

ეშვარ კვატიშვილი, „გზაში ნათქვამი სიმღერა“, ნაკადული. 1963.

ეს გაუმარჯოს მოგზაურ რაინდს,
იდალგოს ლამაზი, მის ტოვილს, მის ცრემლებს, გაჩნდა მას
რაიცი

და ყველა დანარჩენს.
ეს დაილოცოს ტავერნის გზები,
გრძელი და მტერიანი
და ქარის წისქვილი, ვეება ფრთებით,
მზესი რომ ტრიალებს...
ეს ვადღეგრძელოთ მოყვასის შველა,
რაც ერთხელ ვიწამეთ,
ეს გაუმარჯოს მოგზაურს ყველას
ცასა და მიწაზე.

შენაძლოა, კეთილშობილების დონკიხოტისე-
ბური მომენტის განცდა აქ არაა მთლად სრულ-
ყოფილად გაეცნობიერებული და დაჩრდილულია
მეორეხარისხოვანი დეტალების პოეტისაიით,
მაგრამ თვით ფაქტი ასეთ მომენტებთან სულიე-
რი შეხებისა და სახრდოს ძიებისა უკვე მნიშე-
ნელოვანი მოვლენაა.

ე. კეტიანიშვილისათვის ნიშანდობლივია გარე-
მის რამდენადმე ფერწერული აღქმა; მისთვის
უცხოა ალოკუტერ ასოციაციათა პოეტური გან-
წყობილებით გაერთიანება, რაც დამახასიათე-
ბელია ზოგიერთი ახალგაზრდა რუსი და ქარ-
თველი პოეტისათვის. ხილვადი სინამდვილის
პოეტური ასახვისას იგი ერთს რომელსავე დე-
ტალს მიაპყრობს უფრადლებას, ერთდება მკვეთრ
კონტრასტებსა და კონტრებს და უმრავლეს
შემთხვევაში ახერხებს სასურველი განწყობის
შექმნას, პოეტის ფანტაზია მუდამ რეალობას-
თან, რეალურ საგნებთან არის დაკავშირებული:

ჩრდილებში ჩემად წვიან ვაზები,
ფოთლები ფარავს ფოთლებს ცვარიანს,
ახლა არ ჩანან გურიის მთები,
ნურგინ იფიქრებს, რომ არ არიან.

ერთ ლექსში შექ-ჩრდილის შთაბეჭდილების
შემქმნელი ასეთი სახე გამოკრთის:

და სულ უფერად ქალიშვილი უცნობი
შენთვის,
გაგილიძებს და ხელს დაგქნევს
მატარებელიდან...

მაგრამ მატარებელი სწრაფად ჩაიჭროლებს,
მზრავი ვერ აწერებს მკვეთრი სილუეტის მოხაზ-
ვას და რჩება განწყობილება:

აჩსად გინახავს და არ იცი საიდან არის,
გსტრს გაიხსენო მისი სახე, აშლილი თმები...

სხედასხვა ლექსებში ვაბნეული მისი ასეთი
სახეები, როგორცაა — „ცა-
ზღვის გაგრძელებას და ზომიერდებ...
ში“, „დაღუბულია ყველა სიხშირი და ნივარბე-
თან ფსკერზე მარხია“, „ფერად ბუშტებთან
ანერბე ფიქრებს“, და მრავალი სხვა, პოეტის
მახვილ თვალებზე შეტყუებებს.

კრებულში საკმაოდ გვხვდება ლექსები, სა-
დაც ავტორი თვალსაჩინო წარმატებას აღწევს.
მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: „შო-
რეულ შიდიან ჩანს ნავსადგური“, „ქვეყანა
მზრად ახალა“, „ჩემი ლოდანი მდუმარება“,
„ძილი“, „ფერადი ბუშტების გამყიდველი“,
„არავის არ მოუვა“ და სხვ.

ზშირად კარგი რეპუტაციის მქონე პოეტთა
სტრიქონებს შორის არ არის ზოლზე მტკიცე
კავშირა, შინაგანი თანმიმდევრობა, ლექსი დამო-
ლოლია, მოყვებელია უეიტმოტრეს. ე. კეტიანი-
შვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ
მხრივ მას მოწესრიგებული აქვს საქმე და სწო-
რედ ამ ნიშნებით თავის თანატოლ პოეტთა
შორის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო პოე-
ტია.

სწორედ ამიტომ სასურველია, რომ მან პეტი
გაბედულება, მეტი შემართება გამოიჩინოს,
მის ლექსებში მეტი დამახტობა და შინაგანი
წვა გამოჩნდეს, რადგან უამისოდ დიდი შემოქ-
მედებითი გამარჯვებას მოპოვება ძნელია.

ე. კეტიანიშვილის ლექსების კრებული, ცხა-
ლია, არ არის უნაკლო თუ, ჩვეულებრივ, შეჩი-
ვეული ვართ ამ მომენტის საილუსტრაციოდ
პოეტის გაუმართავი სტრიქონის ან სტროფის
მოტანას, ასეთი რამ მასთან იშვიათია. პოეტური
ტექნიკის სფეროში ე. კეტიანიშვილი კარგად
გრძნობს თავს, და ცალკეული ლექსების სასუს-
ტე თავისთავად კარგი პოეტური ტექნიკის სა-
მოსელში გვევლინება; როცა დახატულ საგნებ-
სა და პოეტურ სახეებს არა აქვს საკმაო აზრობ-
რავი დატვირთვა და განწყობილებაც არ არის
სრული, ეს კი შეუსაბამოა პოეტური ელ-
ტრის საერთო დონესა და მის გამოსავლინე-
ბელ მასალას შორის, რაც უშედეგად უნდა
დაიძლიოს შემდგომი მუშაობის დროს.

ენზარ კეტიანიშვილის პირველი წიგნი იმია
მარევენებელია, რომ მისი სახით ახალგაზრდა
ქართველ პოეტთა პლეადას ჰყავს ერთ-ერთი
კარგი, ნაყოფიერი და საუფრადლებო პოეტი,
როლის ლექსები უშუალოებით და პროფე-
სიული ოსტატობით გამოირჩევა.

მთარგმნელის გამარჯვება



ქართულად ომარ ხაიამის თარგმნა იმთავით-ვე სწორი გეზით წარმართა. 1927 წ. ეურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა სპარსული ენის სპეციალისტისა და ცნობილი მეცნიერის იუსტიანე აბულაძის პროზაული თარგმანები, რომლებშიც მკითხველი გაეცნო დიდი სიკესისით შეპყრობილ შემოქმედს. 1947 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა სპარსული ენის მეორე სპეციალისტის ანბაკო პელოძის მიერ ლექსად თარგმნილი 498 რუბაი. ეს რუბაიები მანამდე სხვა კრებულებში იბეჭდებოდა: 1933 წ. „სპარსული ლირიკაში“ და 1936 წ. „ირანელ ლირიკოსებში“. მიუხედავად იმისა, რომ პელოძისეული თარგმანები მხოლოდ ნაწილობრივ გადმოსცემდნენ ხაიამის პოეზიის ძალშისილებას (რამდენადაც თარგმნიდა მეცნიერი და არა პოეტი), მათ თავის დროზე დიდი გამოხმაურება პოევის. 1959 წ. მაგალითოდ, აგრეთვე, სპარსული ენის სპეციალისტმა და შემოქმედმა მთარგმნელმა ვამოსცა თავისი „დღისასველური პოეზია“, სადაც ხაიამის 106 რუბაი არის მოთავსებული. ამ წიგნში სპარსული პოეზიის ბრწყინვალედ თარგმნილი ნიმუშებია დაბეჭდილი, მაგრამ ომარ ხაიამის რუბაიები მთარგმნელის შესაძლებლობის, ამ შემთხვევაში მე ვიტყვი, ტემპერამენტის ფოკუსში არ იყო მოქცეული, რაც აღინიშნა კიდევაც თავის დროზე (იხ. ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტა“. 1961. 28. 111.) და აი, ახლახან გამოქვეყნდა „ნაკადული“ მსოფლიო პოეზიის სერიკაში გამოვიდა ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი „ომარ ხაიამი“, რომელიც ერთგვარად ამთავრებს ამ მხრივ წარმართულ მუშაობას. წიგნი კარგად გაეფორმებინათ თ. ჭიშკარიანსა და თ. შირზაშვილს (მხოლოდ ერთი ლაქსუსი უნდა შეინიშნოს. გვერდების ქვემო სამკაულად ვერცხლის სურსისა და აზარფეშის დახატვა გაუმართლებელია. უნდა იყოს დოქი და ჯამი, რაც ორგანულია ხაიამისებური მეტამორფოზებისათვის: ადამიანი, თიხა ანუ მიწა, დოქი).

რა უპირატესობა აქვს ამ თარგმანს წინა თარგმანებთან შედარებით? ჩვენ აქამდე მხოლოდ ვიცოდით, რომ ხაიამი ღრმადმოაზროვნე ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ვარსკვლავთმრიცხველი იყო. ახლა ჩვენ ვგრძობთ ამას. მთარგმნელის მიერ ხაიამის პოეზიის სწორმა გაგებამ განაპირობა რუბაიების თარგმნის მაღალი დონე და ის სწორი ტონი, რაც ბუნებრივად გამოიძინარეობს მათი თარგმნის ასეთვე პრინციპიდან. უკანასკნელ თარგმანში არა მარტო ვარგეზულად არის დამღეული რუბაის

ფორმა, არამედ შინაგანადაც მს. მს. (არქიმ.) მთარგმნელის უძველი გამარჯვება. ეს კანონიერი სალექსო ფორმა შემთხვევით არ აღრჩევი ხაიამს. ზუსტ გაერთვებასა და დისკურსიულ აზროვნებას მიჩვეული მის გონებას მდგარ და რაციონალურ ჩარჩოში უნდა მოექცია ის უაღრესად მწუხარე და ზოგჯერ შემამარწყნებელი ხილვები, რომელთა მეორე მხარეს თავიყვეტილი დროსტარების ქადაგება წარმოადგენდა. მხოლოდ უკიდურესი ლაკონიზმით აღბეჭდილი ენერგიული გამოთქმა დაპოშიონება და მის პოეტურ ენებათაღლევისა.

ქვეყნად რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა, რაც არსებულა დაქცეულა, არ აესებულა. არარსებული არსებულად ჩათვალე, ძნლა, არსებული კი მიიჩნიე არარსებულად.

ძველ თარგმანებში ხაიამი უმთავრესად პედონისტური ასპექტით იყო წარმოდგენილი და უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო საქართველოში მისა რამდენადმე იაფი პოპულარობის ძირითადი მიზეზი. დავრჩევთ იყო ის უზარალ ქვემარტება, რომ ხაიამის პოეზიაში გამოვლენილი შეეხისა და განცხრობის მოტივები ძველი ბერძენი ლირიკოსების, ტანის ეპოქის ჩინელი პოეტებისა და აღრეული ხანის არაბი მოგონების მსგავსად, სამყაროს იღვმალეობის ძიებაში და სიცოცხლის სწრაფი წარმავლობის გამო შეღონებული გონებას ბუნებრივი რეაქცია იყო და არა იაფუფასიანი დროსტარების გამოხატულება. ამ მდღარი გაგებდან მოდიოდა ქართულად თარგმნილი ბევრი რუბაის. ყოველგვარი ინტელექტუალისმიდან გამარცხული „გოლიანუ-რაი“ ტონი, რაც ამსოდურებად გამოირიცხებულა ხაიამისათვის. მისი პოეზიის ლოდასკადერია ქვემარტების შემეცნებელი პირგონებას დამცხრალი პათოსიდან გამომდინარე სკეპტიკური განწყობილება:

აზრთა მარგალიტს ვინც კი ზვრეტდა ბასრი გონებით,
 ლეთის არსებაზე ვინც დახარჯა სიტყვის კონები,
 იღვმალ ქსელში გზა აებნა, მოქანეცა ენა და ძილს მიეცა დღლილი და შენაღონები.

ბუნებრივია ასეთი ფიქრების შემდეგ მას პორაციუსისეული განწყობილება დაუფლებოდა: „დღისით დასტები, ზვალინდელის ნაკლებად გწამდეს“. და იგი უჩრეებს თავის კმატე თანამეინახებს: „გუშინდელ დღეზე ნუ მოპყვები სევდას და ნაღველს, მთელ გუშინდელ დღეს დღევანდელი წაში სკობა“...

ომარ ხაიამი, „რუბაიათი“ სპარსულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილი, ნაკადული, 1968.

ვახუშტი კოტეტიშვილის „ომარ ხაიამი“ 147

რობაი არის შეკრებილი. მათგან მხოლოდ 27-ია თარგმნილი სხვადასხვა მეტრული საზომით. მითითდა მეტრ. კოთხმეტრმარცველოვანი (5-4-5) და უკვე ამით ცნატრდება მთარგმნელის სწრაფი გეშანი. რობაიების უმრავლესობა კარგად არის თარგმნილი, ხოლო ზოგიერთი ბრწყინვალედაც. ცხადია, რომ ვახუშტი კოტეტიშვილს რდღუნებით უმეშავია რამდენიმე წლის განმავლობაში. კრებულის სიმკირე ამ შემთხვევაში არაფრის მოქმედია. იგი დიდი პოეტური ენერჯიის დახარჯვის შედეგად არის შექმნილი, ვინაიდან რობაის თარგმნა უაღრესად შრომატევადი სამუშაოა. როგორ ვინდათ დაძუნოთ სამი ერთნაირი რითმა ოთხი სტრიქონისათვის ისე, რომ ბუნებრივობა ოდნე მინივ არ შეიღბოს სტრიქონში, არა და ეს სტრიქონი ფაქტიურად დამთარგმნელი ლექსია, რომელიც ღრმა რეფლექსიის შედეგად მიღებული აზრის მკაფიოდ გამოხატვას ემსახურება. ასეთ ლექსში ყოველი ხარვეზი თვალნათლად ჩანს, ისე როგორც პატარა, მაგრამ მბრწყინავ საგანზე უმკირესი ლექსი რაც უფრო კარგად არის დადებული ეს ფორმა, მით უფრო ლაღად, თავისუფლად იკითხება იგი, მაგრამ ამან არ უნდა შეაცდინოს მკითხველი. ეს თვისებები ხანგრძლივი შთაგონებისა და გუღმოდგენების შედეგია და საუკეთესო ჩიღდა გაწეული შრომისათვის...

სულს გაეყრები, ვერ გაავებ ვინა ხარ,
 ღვთის საიდუმლო ფარდის იქით ვერაფერს
 დაღე ღვინო, ვინ რა იცის, საიდან მოხველ,
 ლაღად იცხოვრებ, ვინ რა იცის, საითყენ
 წახვალ.

კრებულში გვხვდება რამდენიმე რობაი, რომლებიც, ჩემი აზრით, სრულყოფილი იქნებოდა მკირე ნაელი რომ არ ახლდეთ. არ ვიცი, მთარგმნელისათვის საჩინოა თუ არა ამ ნაკლის არსებობა, ხოლო თუ საჩინოა, ურიგდება თუ არა მათ. ყოველ შემთხვევაში პოეტურ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა მთლიანობით აღბეჭდილ ლექსსა ან ლექსის ერთეულში შეიძინევა ისეთი ელემენტო, რომელიც ზღერული სისავსით ვერ პასუხობს თავის დანიშნულებას, მაგრამ მიუხედავად ამისა შეუცვლელად რჩება თავის ადვილას იმის გამო, რომ ავტორს ამოწურვლად მიაჩნია მის ზღერ მყოფი ყველა შესაძლებლობა ან იმის გამო, რომ მოცემულ მთლიანობაში ობიექტურად, მართლაც, არ არსებობს ასეთი შესაძლებლობა. ვანებილავ ამ ხარვეზებს.

(გვ. 9. 11) ამ რობაის მეოთხე სტრიქონი სუსტია. დიფერენცირებული „ღრმა ჩაიმაჩხა“ ცრუ შთაბეჭდილებას ქმნის. „კრებიან“ და „ბეერთან“ გარამული „მტკერი“ თიშვის ამ სტრიქონს. პირველის მაგიერად „მიწას გარაა“ აფრებდა, იმ შემთხვევაში თუ „მტკერის“ მაგი-

რად „ტეერი“ იქნებოდა დავიწყების სიმბოლო. ეს უკანასკნელი მთარგმნელმა, ალბათ, უარყო იმის გამო, რომ ღვინს არ დაელოდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ღირდა ამის გაკეთება, რითაც ქართული რობაი ოთხი წილით მოივებდა ერთის წინააღმდეგ. (გვ. 17. 11) პირველ სტრიქონში მესამე ზუსლად გვაქვს „ავეყნად რქმეული“, რაც „ქვეყნად სახელდებულს“ უნდა ნიშნავდეს და მკითხველი, რა თქმა უნდა, ხედება ამას. მაგრამ პირველი შთაბეჭდილება „ქვეყანაში დარქმეულის“ მნიშვნელობასაც აღძრავს და ამიტომ სრულყოფილი ვერაა. ეს რობაი ბრწყინვალეა და რომ შეიძლებოდა, ღირს ამ ხარვეზის გასწორება, ისევე როგორც (გვ. 20. 11) „უაღურქმნილს“ შეცვლა. (გვ. 19. 11) რობაის მეორე სტრიქონად გვაქვს „შენი სიტერფით ამ ჩვენ დარღთა ბუე ვაღაღბუე“. მეორე ზუსლში „ამ ჩვენ დარღთა“ მეტრისმეტად დანაწევრებულია და მძიმედ იკითხება, მითუმეტეს, რომ მას ისევე ერთმარცველოვანი „ბუე“ მოსდევს. მე გვინი, უბრალო „ჩვენი სედვის“ აფრებება (გვ. 29. 11) მე შეჩვენება, რომ მესამე სტრიქონში ნარაინი მრავლობითი ზედმეტია, მეორე სტრიქონში უკვე გვაქვს „ლანი“. ვარდა ამისა რითმები სამმარცველიანია და ეს ურთომო სტრიქონი მათ კარგად დაუბირისპირდებოდა ორმარცველიანი დაბოლოებით — „თვალნი ცრემლით“. (გვ. 34. 11) ამ რობაის ბოლო სტრიქონში „თუს“ შემადგერებლად მივიჩნევდი, მაგრამ მე მაქვს არსებითი ხასიათის შენიშვნაც. ეს შენიშვნა ეხება ერთ გადმონაშთს, რომელიც მთარგმნელმა მავალი თოდუას ხაიამისეული თარგმანის პრაქტიკიდან გაიზარა. მ. თოდუას წიგნში ვკითხულობთ:

პეი, ლამაზო, ლამაზო, ნუღარ დამავდო
 ხელადა,
 მეჩვენე ვარდი და დარდი ვულს მომეშეება
 ხელადა.
 ერთი ხელადა ამივსე, დაეხლდეთ და ერთად
 დავლიოთ.
 მანამდის, მანამ მოვეკლებით და თვით
 ვავხდებით ხელადა.

შესანიშნავე ტექნიკური ოსტატობით თარგმნილ ამ რობაის, თავისი მეტრის გამო, რომელიც მეტრისმეტად ეთკაცური ინტონაციით იკითხება და ამიტომ ძნელად ეგებება ყოფიერების ბნელ და აუხსნელ მოვლენებზე დაუნჯებულ აღმოსავლელ ბრძენზე ჩვენს წარმოდგენას, ვერ მივჩნევთ ცნობერ ხაიამისეულ თარგმნადა, თუნდაც იტარო, რომ იგი მდიდარი მეფაობით არის შემკული. შაირი ხაიამის თარგმნისას მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება დაიშვას და როგორც მავალი თოდუასთან, ისევე ვახუშტი კოტეტიშვილთან მაღალ და დაბალ შაირზე აგებული რობაი მხოლოდ თითოეულ გვეხვდება. მეორე — ფაქტიურად ამეორესს პირველის ცდას: „ერთ ღროს ეს ჩემი ხელადა, ალბათ, ჩე-

მსავით ღელავდა, მზეთუნახავის ნაწინაი ბორკავდა ქვეულს ხელადა“. მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი არ ეშვება ამ უცვე ნახმარ და თუნდაც ამიტომ იათ კალამბურს და სხვა, მისთვის ტაპირი რომაივებში იყენებს: „მოლა, მოგვარათ-ვი ღვინის ერთი ხელადა ხელად, ვიდრე ხელადა შეუქმნიათ ჩვენი ტალახით“ (გვ. 19, 11). „ერთი ხელადა მიუტრქისვან ვივდე ხელადა... ახლა ლოთების ხელთა ვარო, როგორც ხელადა“ (გვ. 25, 11). „ოდეს ღვინით შევხარხოვდი და შევიქენ ხელად, გამოვცალე ხელად და ქვას ეხალე ხელად“ (გვ. 48, 11). ეს არის ჩემი ერთადერთი ნამდვილი შენიშვნა და მე ვისურვებდი შემდეგ გამოცემებში შეთანხვებებს აღარ შეხედროდათ ეს კალამბური, რომელიც მუშაობის შთაბეჭდილებას უფრო ასდენს, ვიდრე სიტყვებით დიდოსტატური თამაშისას.

მთარგმნელს სურდა მოეცა აღმოსავლური განწყობისა და ქართული სიტყვის ნატიფი შენაღობი, რომელშიც გემოვნებით იქნებოდა დატული პროპორციები და იგი ახერხებს ამას: „განთიხალი, ნებიერო, წამოდექ ზეზე“. ამგვარი სტრიქონის აგებას ფაქიზი პოეტური ალღო უნდა. ან:

ტუსის ციხეზე შემქდაბრიყო ფრინველი ერთი, ქვიჩუნის თავის ქალა დაედო ფერბთით, ეუბნებოდა სინანტლით: აფსუს, რა იქნა, შენი ბუჯის და ნაღარის ხმა, სად არის ღმერთი.

მთარგმნელი აქაც ახერხებს ოქროს შუალედის დაცვას. სიტყვას „აფსუს“ ტენდენცია აქვს ევ-

ლგარული ტონი შემოიტანოს, ხოლო იდუმალ „სად არის ღმერთი“ ხალხურად, მაგრამ მთარგმნელი ლექსის მთლიან განწყობას უფრო რწმუნებს ამ ტენდენციებს და ანეიტრალურს შათ. ქართული პოეტური მეტყველებისა და პაროენული ტემპერამენტის მეოხებით იგი აცოცხლებს რვა საუკუნენახევრის წინათ შექმნილ სტრიქონებს და თუმცა მკვეთრად იცავს ხაიამის პოეზიის სპეციფიკას, წიგნის შიგნით ქართულ „ველტ ბილს“ ქმნის რაც შეუძლებელია, მაგრამ მომენტსხველად მოქმედებს მეთხველზე. მხოლოდ ხანდახან ეს „ველტბილად“ პანიური სიხალისით იცქირება სტრიქონებს შუა და წიგნს ქაბუცური ენერგოლობითა და შემართებით აესებს („ეხარდობისთვე, რუისპირს ატეხილი ქალა კი, ორიოდ სატრფო და ზემო მყუდრო ალა-ვი...“). ამ მხოლოდშეგრძნებას აღვებრებს სისხლქარბი და ძარღვმავარი ქართული, რაც არასოდეს ვადადის ფოლკლორულ ინტონაციებში. ძველი ქართულის სტილებრივ მოდულაციებს ეახუშტი კონტრასტიული ზომიერად იყენებს, თუ არ ჩავთვლით მე-27 გვერდის ბოლო რომაის, მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ მან შეხსლო ომარ ხაამის პოეზიისაგან მოგვრილი მთლიანი ხილვა მაღალპოეტური ქართული ლექსით გამოხატა. და ამრიგად დაგვეორგვიზებინა ორმოცი წლის მანძილზე „რომაათის“ მთარგმნელების მიერ გაწეული შრომა.

თამაზ ჩხეიძე

პართალი მოთხრობები

სერგო ფხაკაძის მოთხრობების პატარა კრებული „გზა და გული“ ვასტულ წელს გამოსცა „ნაკადული“. მწერალი მოგვითხრობს სახელოვანი ქალაქის — ქუთაისის წარსულსა და აწმყოზე.

კრებულის პირველი მოთხრობა „გოგია მეარლი“ ეძღვნება ქუთაისის რევოლუციურ წარსულს, მაგრამ მასში იმდენად რევოლუციურ არაა მოთხრობილი რამდენადაც მის კელისებზე. რევოლუციის კელისებში კი ხშირად მოქმედებდნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც მიანდამიანე არ განიცდიდნენ სოციალურ ჩაგვრას და არც დაჩაგრულ კლასს ეუთვნოდნენ. მიზეზი, რომლის გამოც ასეთი ადამიანები რევოლუციის გამსახურებოდნენ, საერთოდ, მრავალგვარიც იყო და ხშირად, შემთხვევით გამოწვეულიც. „გოგია მეარლი“ სწორედ ასეთი ადამიანები არიან დახატულნი, ბრაზი და პიარადი პატიოს-

ნება აყენებს გმირებს რევოლუციის მხარეზე. ეს ამბავი ამ ნახევარი საუკუნის წინათ მოხდა. ვისაც მაინდელ ქუთაისში უცხოვრია, არ შეიძლება არ ასხოდეს ოპობრის ქუჩის ბოლოში ქოცოია ჯღამაძის დუქანი. დუქანი ზედ ხონის გაუასახელებთან იდგა და მუშტარიც ბლომად ეტანებოდა ქოცოიას, — ასე იწყება ეს სეველიანი მოთხრობა. ქოცოია ჯღამაძე მამამისმა ერთ მიციტანს შაბარა, მეკე ქოცოიამ მზითვიანი ქალი შეირთო და დუქანი აიშენა. გოგია მეარლი ეი ღარიბი საყუდიელი გლეხკაცის შვილი იყო და ქოცოიას ნათესავად ერგებოდა. ქოცოია ჯღამაძე ქონებას დახარბებელი და ცხოვრებას ფეხაწყობილი კაცი არ იყო. „თვითონაც მოქვიფე კაცი იყო ქოცოია, თავის დუქანში მოგებულს სხვის დუქანში ქამდა. ღვინის სმას მეტადრე მამონ მპყო ხელი, როცა ერთადერთი ეთვი კახაკება მოუკლეს გლეხთის ქურხათ — ეს იყო ცხრაას ხუთში, როდესაც რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები ქუთაისის საგუბერნიო ციხეს მიაღწენ პოლიტიკური პატიმრების

სერგო ფხაკაძე, „გზა და გული“, ნაკადული, 1963.

გასათავისუფლებლად. შვილის სიყვდილმა ერთ-ბაშად მოტყაპა ჭოკოთა. ყველაფრის ხალისი და-უქარვა, მაგრამ თუ დღეებში ახალთაობის კაც შემოვიდოდა, არაფერს დაზოგავდა, ოღონდაც მისთვის ესამოყენებინა. არავითარ შემთხვევაში ფულს არ გამოართმევდა. ამ დახასიათებით ჭოკოთა არ ჰგავს ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრებულ მუდუქნის ტიპს. უფრო მეტიც, თავისი ბუნებით იმ ადამიანებს გვაგონებს, რომელნიც, როგორც უკვე ვთქვით, გარკვეული შემთხვევის გამო რევოლუციის კულისებში საქმიანობდნენ. ჭოკოთა თავისი ვაჟაყვირით თვისებებით თავს აყვარებს მეთაველს; იგი სიმპათიური ადამიანია, მამაშვილურად უყვარს გოგია მებარდნე, რომელიც შერთს შაურზე აწყობდა და მამას უგზავნიდა, გოგია დღეებში მზარდულიც იყო, ხელზე მიჭრანიც და მებარდნეც. ეს მოთხრობა, ჩვენი აზრით, ყველაზე საუკეთესოა კრებულში, მოთხრობა დაწერალია სადა, ლაკონური ენით და პერსონაჟებიც უფრო ორიგინალურად არიან დახატულნი.

ჭოკოთის ენობობა ქუთაისში მოქმედი რევოლუციური ახალგაზრდობა. მასთან ხშირად ინახავდნენ არალეგალურ ლიტერატურას, ბოლო დროს კი მისი დღეების სარდაფში სტაშხა მოაწყვეს. პროკლამაციებს ჩვეულებრივად შვილამისს ბეჭდავდნენ ხოლმე, მაგრამ ერთ დღით სასწრაფო მასალებს აწყობდა მოუხდათ. სარდაფში რომ პროკლამაციებს ბეჭდავენ, დღეებში ასე არივებდა ჭოკოთა გოგია მებარდნეს.

„გუგის ბიჭო“ მიუჭკები არღანს და სანამ მე არ გაიხსნო, დაეკრა არ შეწყვიტო, არც დაგუბო! გესმის?

- მესმის ბატონო!
- თითოთ რომ დაგადგენ, არა და არა!
- მესმის!
- აბა შენ იცი“.

საქმე კარგად მიდიოდა, არღანი უჯრავდა და დღეებში მყოფთ დაზვის ხმაური არ ესმოდათ. ანაზღად უბნის ზედამხედველი შემოვიდა. ჭოკოთა არყოფილ გაუმასპინძლდა პოლიციელს. მე-ხუთე ჰიკაზე პოლიციელს მებარდნეს მიბრუნდა და შეუღობინა—გააჩერეთო არღანი. გოგისი ვითომც არ გავიდა. „ორად გავაბობ, შე ძალის-შვილო! — ხმაზე ხელი გაიკრა ზედამხედველმა და სანამ დღეებში მყოფნი გონს მოვიდოდნენ, პერში ფოლადმა გაიღვია და გოგია მებარდნეს მარცხენა ყური ჩამოათალა“.

მოთხრობა მთავრდება პატარა ეპილოგით. ამ ათორღე წინადადებაში მწერალი უშეულობითა და დიდი სიყვარულით გვიამბობს გოგია მებარდნის ცხოვრების ბოლო წლებზე. „ის დღეები აღიარა დღას ხონის ვადასასვლელთან, არც ქუჩას ჰქვია ორპირის ქუჩა, იმ ადგილას ახლა სამხარეთლიანი სკოლის შენობა აღმართულა“. გოგია მებარდნე ამ სკოლის დარაჯია. ზის იგი სკოლის

წინ სკამზე, სევდიანი და თავზაზანი. როდესაც ვისმეს მივსალმება ქუდს მოიხდრეს ჭრულმა და „მაშინ შეამჩნევს კაცი, რომ რეპრესიები ყური არა აქვს“.

კრებულის დანარჩენი მოთხრობები თანამედროვე ქუთაისს ეძღვნება. ზოგიერთ მათგანში მწერალი გვიხატავს შრომიითა და ზნეობით გამოჩენილ ადამიანებს, ზოგიერთში კი გამოთარბებულია ის ადამიანები, ვინც ჩვენს საზოგადოებას არცხვენს. „განებიერებს, ბავშვობიდანვე ფუფუნებასა და უსაქმურობას მიაჩვიეს მშობლებმა ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც მთელს თვე ურჩევდნენ სახელს და ბოლოს ოლიმპიდა შვარციუსს, ამ სახელზე იმიტომ შეჩერდნენ, რომ ქუთაისში იმხანად თვითმოქმედების საქალაქო ოლიმპიდა მიმდინარეობდა. მშობლებმა მაშინ თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა მომღერლებმა და ამის აღსანიშნავად პატარა გოგოს ოლიმპიდა უწოდეს“, — ასე იწყება მოთხრობა „შოკოლადის აყვანი“. ეს ნაწყვეტი, თითქოს, თავიდანვე გულისხმობს მოთხრობის პერსონაჟი ქალს მომავალ ბედს; გაიხარდა ოლიმპიდა, გაკვირვებით დაამთავრა ჩვეულებრივი სკოლა და ატევივება და მალაზიებს მოედო. ხასიათი გამოუღმევედა, სპულდა „სოფლმშენები“, რომლებიც ქუთაისს არცხვენდნენ და ბოლოს საბინაო სამმართველოს თანამშრომელს გაჰყვა ცოლად. (სხვათაშორის მწერალს სწორად აქვს წარმოდგენილი, ის, თუ რა კატეგორიის ადამიანები ეუთვნებიან ოლიმპიდასა და მის ქმარს მსავსეთს). „ცხოვრებას მოხმარა უნდა, და, აბა, შენ იცი. გემოვნება ჩემი იყო, ოღონდ შენ ფული არ მომაკლო, — ასე ვუბნება ოლიმპიდა თავის ქმარს, რომელსაც ცოლის ნათქვამი არა თუ აღშფოთებებს, სტიმულს აძლევს და „საქმეებზე“ აქეზებს. ერთ დღეს ოლიმპიდას ქმარმა აშბუბო მოიტანა, რომ საბინაო სამმართველოს უფროსად მათვან არავითხელ პატივნიცემ ადამიანს ნიშნავდნო, ოლიმპიდადამ ისიც გაიგო, რომ ქმარს მიზანში ამოღებულ პოსტზე კონკრეტული ჰყავდა და დატრიალდა. ბედად საბინაო სამმართველოს უფროსს ბიჭი შეეძინა. ოლიმპიდად გადამწყვიტა ორიგინალური საზღვრით მოვგო ახალდაბადებულს მშობლების გული, საშაქარალში ფებრიკაში ნაენობი გამო-ნახა და შეეხვეწა გაეუთებინა... შოკოლადის აყვანი, ოლიმპიდას ნაცნობმა ჯერ უარი უთხრა, მაგრამ როცა გაიგო თუ ვისთვის უნდოდა, მოტყდა და დათანხმდა: „კაცი ბჭობდა და დმერთი იციროლიო“. საბინაო სამმართველოს უფროსის მოადგილედ სხვა კაცი დანიშნეს. ოლიკოს გული წაუვიდა და ვარდენი შეაშინა. ოლიმპიდა გონს რომ მოვგო ტელეფონმა დარგა:

- შენი შეკვეთა მზადაა, ოლიკო!
- მეტი არაფერი ჰქამა ელზობარ კუბანიძემ, სანამ იმის ღლას შოკოლადის აყვანი არ მივარ-



თვა! ჩასახა ოლიკომ და ყურმილი ორკაბზე დაახეთქა. „სოკოლადის აჯვანი“ კარგადაა დაწერილი. მას ედემტური სიუჟეტი აქვს და ისევე როგორც მომდევნო მოთხრობა „ეს არის სიყვარული?“, ავტორს წარმოგვიდგენს, როგორც წერტილურყვამიულ გადმონათხრობთან და გონებრივ შეზღუდულობასთან შეერკვემულ მებრძოლს. მწერალს გადაუდებლად მიაჩნია მანვე ელემენტებთან ბრძოლა, მაგრამ ცხოვრებაში ასეთები ისე მრავლად არ არიან, როგორც მშრომელი და პატიოსანი ადამიანები და მწერალი მათზე უფრო მეტს ფიქრობს.

„გზა და გულში“ სერგო ფხაკაძე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მეშათა შრომით საქმიანობაზე მოგვითხრობს. მოთხრობა დიდი არაა მოცულობით, მაგრამ მწერალი ახერხებს, მკითხველს, თითქმის, მთელი ქარხნის სახე წარმოუდგინოს. მისი პერსონაჟებიდან ზოგმა პარველად გადააბოჯა ქარხნის ზღვრებს, ზოგიც კი იქ არის გაქაღალაებული. ქარხანაშივე იზადება ქალ-ვაჟთა სიყვარული და კონფლიქტებიც საქარხნო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. წარმოუდგენელია, რომ ასეთ ადამიანებს გააჩნიათ რაიმე გამოუსწორებელი ნაკლი, თითქოს ნაკლი მათ ბუნებას მრავალფეროვნებას ანიჭებდეს და ადამიანის ბუნების უდღაპირზე მოაზრობს მხოლოდ და მხოლოდ. „გზა და გულში“ შეხვდებით ქარხნის დირექტორსაც და პარტკომსაც, ძველ გამოცდილ მეშასაც და ახალგაზრდა რაციონალისტორსაც. ახალგაზრდების სიყვარული წმინდაა და ტრადიციული თავისი სიფიქსითა და მომზებელობით. ერთადერთი, რაც მოთხრობას აკლია ისაა, რომ მწერალი ვერ ახერხებს ხასიათებისა და სიტუაციების ღრმა ფსიქოლოგიურ გახსნას.

კარგი მოთხრობაა „დიდი ჭილი“. ამხავე შეეხება ბინის მშენებლებს და დაწერილია დიდი სიყვარულით. მაღალი სტლის უბრალო იდეა-

მიანები მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე აწერენ ხელს. ერთი შეხედვით მოთხრობის თემა არაა ორიგინალური, მაგრამ ასეთი ტყუილობითა და სითბოთა დაწერილი, ისეთი ცოდნითაა დახატული მეშათა შრომითი საქმიანობა, რომ მკითხველს იტაცებს და ამასსოვრდება.

„ყვითელ ეშმაკში“ დამუშავებულია ლიტერატურულად ცნობილი თემა ოქროზე და ბედნიერებაზე. მოთხრობა საინტერესოდ იკითხება და შეეხება ქუთაისის წარსულს. მდიდარ მეფაბრიცეს, რომელსაც აუარებელი ოქრო აქვს, მაგრამ მანაც უბედურია და მოწყენილი, შემწერილს თავისი ფაბრიკის მეშისა და იმისი ცოდნის ღარიბული, მაგრამ ბედნიერი და მზიარული ცხოვრება. მეფაბრიკე გადასწყვეტს მეშის გაშვარებას, მაგრამ როგორ? — ვადასახლოს? იღუმალი ხმა ეუბნება მეფაბრიკეს — ერთი ღერგი ოქრო მიეციო მეშას, მხოლოდ იგი შეიქმსო მას უბედურად. მეფაბრიკე ასრულებს იღუმალი ხმის ნაკარნახევს და შართლაც მეშის მზიარული ცხოვრება ეიშითა და მოწყენილობით შეიცვლება. „ეს ყვითელი ეშმაკებია, შეილეს შაშვით რომ მიკლავენ... უნამუსო, იმ ჯერგის ვაგებზე ფიქრობ, რასაც შოულობ, სულ იმ ეშმაკის კურტელში ჰყრი და ჩვენთვის აღარაფერი გეშელება“. ასე ეუბნება მეშას მისი ცოლი. ბოლოსდაბოლოს პატიოსანი ადამიანს დაუბრუნდება გონიერება და ოქროთი ავსებულ ღერგს პირვანდელ პატრონს მიართმევს.

ს. ფხაკაძის მოთხრობების კრებული „გზა და გულში“ ცხოვრებასეული სიმართლის ცოდნით დაწერილი ნაწარმოებებია და მწერლისაგან კიდევ უნდა მოველოდეთ ასეთ მართალ ნაწარმოებებს.

პასარიონ ხარანაული

ქართული გაზეთების ანალიტიკური გიგლიოგრაფია

მეცხრამეტე საუკუნის ქართული პერიოდული გამოცემები პირველხარისხოვანი მასალა არის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნება კი, რომლის ისტორია, სამწუხაროდ, ჯერ დაწერილი არ არის, ქართველი ხალხის სულიერი და კულტურული ცხოვრების უტყუარი სურათი იქნება.

პირველი ბეჭდვითი ორგანო ქართულ ენაზე 1819 წელს გამოჩნდა. ქართულმა პერიოდიკამ XIX საუკუნის განმავლობაში მრავალი მოღ-

ვაწე გაიჩინა, რომელთა სახელები ორგანულად არის დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიასთან. ეს საზოგადო მოღვაწენი მკაცრ საცენსურო პირობებში და ქართული ეროვნული შეგნების გაქვლეტის პერიოდში თავგამოდებულნი იცავდნენ ქართულ სიტყვას, ქართველი ხალხის სულიერი და კულტურული ცხოვრების აღზრდის საქმეს.

პროგრესულ-დემოკრატიული ქართული პრესა („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, „ციცყარი“, „საქართველოს მომბე“, „ღროება“, „იერიაზ“, „იმედი“, „შრომა“ და სხვ.) ათეული წლების განმავლობაში ასახავდა ქართველი მშრომელი გლეხობის სიცი-

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. III, ნაკვეთი I., საქ. სახელმ. ხაჯარო ბიბლიოთეკა, 1968.

ლურ, ეკონომიურ და იურიდიულ ყოფას. ქართული ლიტერატურის მეზობელი თხზულებები ეთრნალ-გაზეთებში ჩნდებოდნენ. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით ვაიზარა მითხოვნილება ეთრნალ-გაზეთებზე, რაც, ცხადია, შედეგი იყო იმ დიდი მივლენათა, რომელთაც მაშინდელი რუსეთის იმპერიაში ჰქონდათ ადგილი (60-იანი წლების რეფორმები და სხვ.).

XIX საუკუნის ქართული ეთრნალური და გაზეთები ნეკ დრომდე ბიბლიოგრაფირებული არ ყოფილა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1916 წელს პეტერბურგში გამოცემულ „ქართული ბიბლიოგრაფიის“ პირველ წიგნს, რომელშიც თავმოყრილია ქართული ერთდროულ გამოცემებში (1852-1910 წლებისა) მოთავსებული მასალის მარჯვენა და რომელიც იგანე ჯავახიშვილის ენაობაზე და რედაქციის მიერ დაიხსნა უიფშიძის, აკაკი შანიძის, ევკოლ ბერიძის, შოთა დიდიანის, კარპუზ დონდუას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ვიორგი ჩიტაიას, ვლადიმერ ფლორინსკისა და სხვების მონაწილეობით გამოვიდა. მაგრამ პეტერბურგში გამოცემული წიგნი სრული არ ყოფილა. ამასთან „ქართული ბიბლიოგრაფია“ იყო დარგობრივი.

1940 წელს კი გამოვიდა ქართული ეთრნალურისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის I ტომი (საქართველოს სახელ. საგარო ბიბლიოთეკის გამოცემა, შედგენილი თამარ ჭავჭავაძის მიერ). ამ გამოცემით საფუძვლი ჩაეყარა XIX საუკუნის ქართული პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას. ეთრნალურისა და კრებულების ბიბლიოგრაფიას მოჰყვა „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომლის მეორე ტომი დაიბეჭდა 1952 წელს. ამ ტომში ბიბლიოგრაფირებულია ორი გაზეთი: „დროება“ (1866-1885) და „შრომა“ (1881-1883). გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის პირველი ტომი ჯერ არ დაბეჭდილა. მასში უნდა მოთავსდეს ბიბლიოგრაფია ამ ქართული გაზეთებისა, რომლებიც „დროების“ გამოცემამდე გამოვიდა.

გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მეორე ტომის გამოცემის შემდეგ საქმაოდ დიდმა დრომ განვლო. გასულ წელს საქართველოს საბელშეფო საგარო ბიბლიოთეკამ გამოსცა ამ ბიბლიოგრაფიის მესამე ტომის პირველი ნაკვეთი, რომელშიც შესულია გაზეთ „ივერიის“ 1886-1892 წლების მასალები.

გაზეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის პირველ ნაკვეთში შესულია დარგები: ფსიქოლოგია, ეთიკა, ისტორია, რელიგია, ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, მოგზაურობა, ეკონომიკა, პუბლიცისტიკა, შინაური და საგარეო მიმოხილვა, ეროვნული საკითხი, მიგრაცია, სამართალი, ადმინისტრაცია, ადგილობ-

რივი მმართველობა, ჯველმოქმედება, სამხედრო საქმე, განათლება.

საქართველო

საშუქხარა, რომ ბიბლიოგრაფიის მმართველი ნაკვეთის გამოცემა ორ ნაწილად გაიყო. ბევრად უკეთესი იქნებოდა ვაზ. „ივერიის“ 1886-1892 წლების ბიბლიოგრაფია (ე. ი. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მესამე ტომი) მთლიანად გამოსულიყო. ეს შიშ უფრო კარგი იქნებოდა, რომ, საერთოდ, ამ გაზეთის ბიბლიოგრაფია, როგორც ამ ნაკვეთის წინასიტყვაობიდან ვიკებთ, ოთხ ტომად უნდა გამოვიდეს.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ეს ნაკვეთი „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი მასალის რეგისტრაცია კი არ არის, არამედ დიდი ხნის დაკვირვებული კვლევისა და ათასგვარ ცნობათა შეკრების შედეგია. თუ ეს გაზეთი და მასში დაბეჭდილი წერილები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გარკვეული პერიოდის უზრუნველესი საბუთები, არანაკლებ მნიშვნელობისაა „ივერიის“ გამოქვეყნებული წერილების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელიც საშუალებას იძლევა ამ საბუთების მოხმარებისა. გაზეთში დაბეჭდილი ზღვა მასალა ამ ბიბლიოგრაფიაში თემატიკურად და განაწილებულად—ლაგებულ და ამა თუ იმ საკითხის გამომრკვევს პირდაპირ ეძლევა მითითება საჭირო წყაროსი.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ამგვარი გამოცემისა, და აქროდ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა, ისაა, რომ იგი ამდენდენ ზოგიერთ ქართულ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

საგაზეთო მასალის დაკვირვებული შესწავლა, თითოეული კორესპონდენტის სტილზე დაკვირვება, ბიბლიოგრაფიის შემდგენლებს საშუალებას აძლევს შესანიშნავი დასკვნების გამოტანისათვის. ბიბლიოგრაფიის შედგენისას ისინი სხვადასხვა მასალას და მითითება-ჩვენებას იყენებენ და, ამრიგად, სრულყოფილს ხდიან მწერალთა მხატვრულ-პუბლიცისტურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მწერალთა შემოქმედებას მეტაბა აქამდე უცნობი მასალები. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემას მემკვიდრეობა და ბიბლიოგრაფიის ამ ნაკვეთის შემდგენლებს განუზომლად დიდი დახმარება გაუწია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ეთრნალურისა და გაზეთების კომპლექტებში, რომლებშიც გამოფრთხილია ავტორთა ინიცილები, ფსევდონიმები თუ ხელმოწერული წერილები. ეს კომპლექტები ახლა საგარო ბიბლიოთეკის ფონდებში ინახება და იმათ მიხედვით („ივერიის“ კომპლექტების მიხედვით) გამოირკვა, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა არცერთ გამოცემაში არაა შეტანილი არა ერთი და ორი მეტად მნიშვნელოვანი წერილი. სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილ ცა-

ლებზეა (მეთურ თუ სხვა წერილებზე) მიწერილი ილია ჭავჭავაძის სახელისა და გვარის ინიციალები, რაც აღასტურებს, რომ ესა თუ ის წერილი ილიას ეუფლებოდა. მარტო ბიბლიოგრაფიის წინამდებარე ნაკვეთში აღწერილი ილია ჭავჭავაძის ინიციალებსა და მარტო 21 საგაზეთო წერილი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემლებისაგან უფერადღებოდ იქნა დატოვებული — ისინი მწერლის თხზულებათა ტომებში არ მოხვედრილა (ასობანიწვეი ისა, რომ უკანასკნელი გამოცემის რედაქტორი ვერდნობოდა სწორედ ჭ. შ. წ. ა. გ. საზოგადოების „ივერიის“ ცალეს და ილიას ბევრ წერილს, ამრიგად მიაკლია, რომ რაგორცა წაის, მის ვაზეთ „ივერიის“ ყველა კომპლექტი ამ თვალსაზრისით არ გადაუთვალა იერებია). გარდა ამისა, სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა პირის დაკვირვებებისა და მასალათა შესწავლის წყალობით, „ივერიის“ ბიბლიოგრაფიაში (რაც დაიბეჭდება 1886-1892 წლების „ივერიის“ ბიბლიოგრაფიის მეორე ნაკვეთად) ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ შემკვიდრებას დაემატება 34 წერილი. ამ მხრივ „ივერიის“ ბიბლიოგრაფიის შედგენელებმა და ყვარლის ილიას მუზეუმის აწ განსვენებულმა დირექტორმა პლატონ კეშელავამ (მას ვუთხრეს ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ხელმოწერული თხზულების მიკვლევა) დიდი საქმე გააკეთეს.

წინამდებარე ნაკვეთმა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ შემკვიდრებას შესძინა ორი წერილი — „ერთი კვირა ხევსურეთში“, დაბეჭდილი „ივერიის“ ფსევდონიმით 1892 წელს „ივერიაში“ და „თიანეთის ცხოვრების ქრონიკა“, გამოქვეყნებული 1890 წელს, იქვე. ბიბლიოგრაფიამ გამოავლინა ნიკო ლომოურის უც-

ნობი და მეტად საინტერესო კორესპონდენციები და სხვ.

ყველა ზემოთქმულს უნდა დავამატო რისიც, რომ ამ ნაკვეთში გახსნილია რამდენიმე ფსევდონიმი და ამითაც გაადვილებულია ზოგი მწერლისა თუ პუბლიცისტის დეაქლის შესწავლის საქმე.

„ივერია“ იღწერა და მასალის ანოტაცია გააკეთა თამარ დონდუბი, ხოლო მასალა სისტემატურად დალაგა, რედაქცია გაუკეთა და საძიებლები შეუდგინა თამარ მჭავჭავაძისა.

საჯარო ბიბლიოთეკის ამ ორი, ფრიალ დამსახურებული თანამშრომლის დეაქლი მეტად დიდია ამ შესანიშნავ საქმიანობაში. ვინც იცის, რას ნიშნავს ბიბლიოგრაფიის შედგენა, მით უფრო, როცა ბიბლიოგრაფია ვულისხმობს მეცნიერულ კვლევა-ძიებას, მრავალი ფაქტისა და ცნობის ურთიერთ დაპირისპირებას, გამოძიებას და უცნობი ამბების დადგენა-დამტკიცებას, დამერწმუნებას, რომ ამ ნაკვეთზე დიდი ხნის განმავლობაში თავაუღებლად უმუშავიათ. ასეთი დამაბული და მრავალმხრივი შემოხმა დაგვირგვინდა ამჯერად ბიბლიოგრაფიის ამ მომსახურების გამოცემით. ბიბლიოგრაფიის მომხმარებელი უსაზღვროდ მადლოვრია საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისა. ერთობლივმა და კოლექტიურმა შემოხმამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო და ახლა ჩვენ ხელთ გაქვს ფრიად სასარგებლო წიგნი „ქართული ვაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“. იმედი უნდა ვქონიოთ, რომ მოკლე ხანში ვიხილავთ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მომდევნო ნაკვეთებსა და ტომებს.

სოლომონ ხუციშვილი

მონოგრაფია გიორგი შავგულიძეზე

გიორგი შავგულიძის სახელი მკვიდროდა დავაშირებული ქართულ თეატრთან. გ. შავგულიძე იყო ერთი იმთავანი, რომელიც ჩვენს თეატრში მოვიდა მაშინ, როდესაც დიდი რეცესიის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ახლადგახდამული ქართული თეატრი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა.

ქართული თეატრის უნიკიერესი მახაზობის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს ნ. გერბანიძის მონოგრაფია „გიორგი შავგულიძე“.

სამართლიანად შენიშნავს ნ. გერბანიძე: „ქართულ სცენას არასოდეს არ უგრძენია ტრადიციების ნაკლებობა, მაგრამ იგი მარად იგრძნობს უშავგულიძეობას, რადგან მას თავისი განსაკუთრებული სამყარო ჰქონდა, იგი მიდიოდა თავისი გზით და რასაც ქმნიდა, ყველაფერს მისი პიროვნული ნიჭიერების ნიშანი აჩნდა“. და

„ეს თავისი განსაკუთრებული სამყარო“ და „პიროვნული ნიჭიერება“ წლების განმავლობაში ძერწავდა და ხვეწდა იმ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან გმირთა ხასიათებს, რითაც მსახობმა წარუღებელი კვალი დასტოვა თანამედროვეებზე და ვარკვეული ადგილი დაიჭირა ქართული თეატრის ისტორიაში.

მონოგრაფიაში თანმიმდევრულადაა გაანალიზებული ყველა ის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი როლი, რომლებიც ასეთი გატაცებითა და ნიჭიერებით შეასრულა გ. შავგულიძემ. როდესაც კი საკმაოდ ბევრია და მრავალფეროვანია „ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ — წერს მონოგრაფიის ავტორი — თითქმის სცენაზე გადოცხდნენ გიორგი შავგულიძის მიერ ოცდაათი წლის მანძილზე შექმნილი გმირები და მათ ერთად მიიყარეს თავი, მოქმენი გახდებოთ კალეიდოსკოპური სურათისა, რომელზედაც დასასრულებ-

ლან გმირები და სასაცილო ადამიანები, პოეტები და სარდლები, მძინეარე წინამძღოლები და მორჩილი მოხელენი, თავზეხელაღებული მოქვეყნენი და ინტელიგენტები, ბრძენკაცები და შლეგები. ამ ქვეშაირად პოეტობა დაწერილ წიგნში ასეთი სტრიქონებია: „ღაღა გუდიაშვილის იუბაზე გიორგი შავგულიძემ იცეკვა კინტორი, და ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს გამოფხიზლდნენ თეთრი დექნის წინ ლამენათევი და ნალენევი მოქვეყნენი და მათი შემოქმედნი — მხატვრის წინ ცეკვით ჩაიარეს“. ეს იყო გ. შავგულიძის ნიქის ერთი გამობრწყინება. ასეთები კი მრავალი იყო: სიქუა — ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, საიათნოვა — ლ. გოთუას „მეფეთ ერიკლეში“, თავად ლვარსაძის — ლ. არდაზანის „სოლომონსაჲს მფედანთაშვილში“? პონქმესტერია — გოგოლის „რევიზორში“, გიორგი ჭყონდიდელი — ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელში“, ხარიტონი — პ. კაკაბაძის „კოლმეტრნის ქორწინებაში“, ნიკოფორი უკლება — ი. მისაშვილის „მის ვარსკლავში“ და სხვ.

გ. შავგულიძის მიერ შესრულებული რომლების არა თუ გაანალიზება, მათი უბრალო ჩამოთვლა კი შორს წავსვლიანდა. ჩვენ ამ მხოლოდ-და მხოლოდ გაიხსენებთ რამდენიმეს და მათ შორის პირველ რიგში ხარიტონის როლს პ. კაკაბაძის „კოლმეტრნის ქორწინებაში“, რომელიც სარეცენიო წიგნში, შეიძლება ითქვას, გაანალიზებულია სტრიქონ-სტრიქონ, ყველა მიზანსცენის აღწერითა და ვათვალისწინებით, საერთო აღიარებითა და სარეცენიო წიგნის ავტორის მტკიცე რწმენით, ხარიტონის როლი „მისი (გ. შავგულიძის — ნ. მ.) აქტიორული მწვერვალია...“ ამ როლში გ. შავგულიძის ფანტაზიამ არ იცოდა რა იყო საზღვარი, როლი აღსაფხე იყო გონებაშამვილური დეტალების ზღაპრული სიმრავლით“ და აი, ამ „გონებაშამვილური დეტალების ზღაპრული სიმრავლით“ აღსაფხე როლს ისევ დეტალურად განიხილავს ავტორი, რომ ვისაც ერთხელ უნახავს გ. შავგულიძის ხარიტონი, ნათლად წარმოუდგება თვალწინ კოლმეტრნობის თავმჯდომარის პოსტზე შენატვებით მოხვედრილი ადამიანის „შტრიმა“ და ჩაბნობა, რომელიც სულ იმის ცდაში და ქაბირშია სხვას თვალში ნაცარი შეაყაროს. „მრავალჯერს რომ გენახათ გ. შავგულიძე ამ როლში, — შენწინავს ავტორი, — თქვენ მას აღიქვამდით როგორც პირველად ხილულს, დაიგნავდით სულ ახალ და ახალ დეტალებს და გაოცებული დარჩებოდით ტალანტის შეუნდობელი ძალით. ხმა, სხეული, კოსტუმი, სცენური გარემო — ყველაფერი დიდი ოსტატის აღლოთი იყო გამოყენებული და თვითველ მათგანს ელვასავით ანათებდა მოულოდნელი დე-

ტალი“. როგორც აღვნიშნეთ, ნ. გურაბანიძე ამოწმურავად ანალიზებს პ. კაკაბაძის მიქაშაში ხარიტონის როლის გ. შავგულიძის დეტალურ-პრეტაციას და ეს ადგილი ერთ-ერთი საუცუთესია წიგნში; განსაკუთრებით იქ, სადაც ავტორი ლაპარაკობს გროტესკზე საერთოდ, გროტესკის სტანისლავსკისეულ გაგებაზე თეატრში და შემდეგ, კონკრეტულ შემთხვევაში, როგორ მოიშველია გ. შავგულიძემ ხარიტონის ხასიათის გახსნიანათვის რეალისტური გროტესკის ხერხები, რათა უფრო თვალნათლად ეჩვენებია ხარიტონის შინაგანი — არაფრისმკოდნე ბუნება. (სხვათაშორის, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ნ. გურაბანიძის მონოგრაფიაში გ. შავგულიძის მიერ შექმნილი რომლების უმეტესობა ცოდნითა და დაკვირვებითაა გაანალიზებული, ხარიტონის როლის ასეთმა ვრცელმა ანალიზმა დაგვარწმუნა, შემდგომში სხვა როლებსაც უნდა მივხლოს თავისი წილი, რათა კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს გ. შავგულიძის აქტიორული პორტრეტი).

საკმაოდ ბევრი ფაქტიური მასალა წიგნში თავმოყრილი იმის დამამტკიცებლად, თუ რაოდენ მრავალმხრივი იყო გ. შავგულიძის საშემსრულებლო ხელოვნება. მსახიობის უტყუარ ნიჭზე მტკიცელებს უბრალოდ აღწერილი მიზანსცენები, და ვისაც უნახავს შავგულიძის კინოსარი ამ ქრონოლოგიული, შექმნილია არ დაეთამამშოს ავტორს, რომელიც ამ ორ ერთმანეთსაგან განსხვავებული ხასიათის შესახებ წერს: „...მის (გ. შავგულიძის — ნ. მ.) სხეულში სუფევდა ანტიკური ქანდაკების მშვენიერება და სიმშვიდე, წონასწორობა და ზომიერება;“ ან კიდევ ქრონოლოგიის შესახებ: „ქრონოლოგიის გამოვლენა ფრესკული სიკვდილით და დამვიწროვლებით დახატულ მოციქულებს, ავრთვე, ლ. გუდიაშვილის ადრინდელ ტილოებზე გამოხატულ პერსონაჟებს“. ასეთი თამაში შეფხავება, თითქოს, და გადაჭარბებულად მოეჩვენება მას, ვისაც სცენაზე არ უნახავს გ. შავგულიძე, მაგრამ ამ ნატამალიც არაა გადაჭარბებისა, რადგან ამ სიტყვებში გახსნილია ჩვენი დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობის ფსიქოლოგიური რთული ბუნება.

გ. შავგულიძის არც სიცოცხლეში დაცლებია სიყვარული-და აღტაცებული თაყვანისმცემლების ქება-დიდება, მაგრამ მისი ნიჭი თითქოს, კიდევ უფრო დიდ აღიარებას ელოდა. ამ აღიარების გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ნ. გურაბანიძის დიდი სითბოთი და სიყვარულით დაწერილი მონოგრაფია გ. შავგულიძეზე.

ახალი წიგნი საქართველოს ისტორიის წყაროებისათვის

სერგო მუსხიშვილი

„უცხოური წყაროების“ სერიის XII წიგნად გამოვიდა ზენი სახელმწიფოელი მეცნიერის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ მომზადებული „გეორგიის“ V ტომი. გამოქვეყნებულია ამ სერიის უკვე ოთხი ტომი (I ტომი — 1961 წ., II — 1964, III — 1966, IV ტომის პირველი ნაწილი 1940 წელს, ხოლო მეორე ნაწილი 1952 წ.), რომლებშიც მოთავსებული იყო ბიზანტიური მასალები IV-X საუკუნეებისა.

„გეორგიის“ V ტომში შეტანილია XI საუკუნის ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ეს მწერლები არიან: ლეონ გრამატიკოსი, გიორგი კვლარე, ნიკოფორე ვრიონოსი და კვაკემენოსი.

„გეორგიის“ მეხუთე ტომში მოთავსებული უძირავეს პეტრიწონის სავანის წესდებებს, შედგენილს 1084 წელს გრიგოლ ბაქურიანის მიერ. ეს წესდება ცნობილი იყო XVIII საუკუნის ბუკარესტელი ნუსხის მიხედვით (ფრანგი მეცნიერის ლეი პტის მიერ გამოცემული წიგნით). მაგრამ გასულ წელს საქართველოს სამეცნიერო აკადემიამ მიიღო ექსპლ. კოპისზე დაცული ერთი ხელნაწერის ფოტოკოპირები, რომლებშიც აღმოჩნდა XI-XII საუკუნეებში გადაწერილი პეტრიწონის წესდების როგორც ბერძნული, ისე ქართული ტექსტები. ამ პეტრიწონის წესდების ეს ბერძნული ტექსტია შეტანილი გეორგიის მეხუთე ტომში, მას თან ახლავს ქართული თარგმანი და სათანადო გამოკვლევა.

რით არის საუფრადღებო პეტრიწონის ეს წესდება? პირველ რიგში იმით, რომ თუ აქამდე ამ წესდებს ვიცნობდით XVIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, ახლა ჩვენ ხელთ არის ძველი საუკუნით უფრო ადრე გადაწერილი ტექსტი ამ წესდებისა. ამასთან XVIII საუკუნის ხელნაწერი არ იყო სრული, აქლდა მთელი რიგი სტრიქონები და გვერდები.

ახალი ნუსხაში, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს XII საუკუნისა, აღნიშნული ხარვეზები შეესებოდა და ბევრი დამახინჯებული ადგილიც შესწორებულია.

„პეტრიწონის წესდების ეს ტექსტი, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ჩვენს წინაშე აყენებს მრავალ საკითხს როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული ხასიათისა: წესდების ტექსტში უამრავი მასალა მოიპოვება სამონასტრო მიწათმფლობელობის ხასიათის, მამულების მოვლა-პატრონობისა და სათანადო თანამდებობის პირთა შესახებ, ვადასახადებისა და მათგან განთავისუფლებისა და შეფთვლობის შესახებ. ეს

და მრავალი ამგვარი საკითხზე მრავალწიფი წყაროებში გვხვდება“ (გვ. 257). ამის შემდეგ შეკვლეობი ეხება რამდენიმე ძირითად ფილოლოგიურ საკითხს და აღეობს შკითხველს, თუ რა შინაარსისაა ეს წესდება და რა ხასიათის შესწორებების შეტანა საჭირო ტექსტის გასამართლებად. შეკვლეობი გადმოგვიყვამ შემდეგ: წესდების პირველ თავებში გარკვეულია პეტრიწონის სავანის დაარსების მიზანი და ამოცანები; აღწერსტულია თუ რა მამულები, რა სოფლები და რა განიი ვაღევა ამ სავანეს შესაწირავის სახით მისი პირადი, გრიგოლ ბაქურიანის ძის ქონებიდან და მისი ძმის, აბაზის, მეშვეობრივად.

ერთ-ერთ თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ეს მამულები თავისუფალი ყოველგვარი ვადასახადისაგან. შემდეგ თავებში განსაზღვრულია სავანეში მასალები პირთა რიცხვი, დადგენილია სავანის თანამდებობის პირთა ფუნქციები.

წესდებაში ცალკე თავია მიძღენილი პეტრიწონის სავანეში არსებული სემინარიისადმი. აქ ლაპარაკია სემინარიის მოსწავლეებისა და მათთან შეკადნიეობის, მასწავლებლის გასამრჯელოსა და მოსწავლეთა კვების შესახებ. სე მ ი ნ ა რ ი ა შ ი , რ ა ს ა კ ვ ი რ ე ე ლ ი ა , მ ე ვ ა დ ე ნ ე თ ბ ა წ ა რ მ ო ე ბ დ ა ქ ა რ თ ე ლ ე ნ ა ხ ე .

31-ე თავში წარმოდგენილ მოსწავლეთა გასაწირთენულად და შესანახად დაწესებულ მუხლებში იგულისხმება პეტრიწონის ის სემინარია, რომელსაც დაარსებიადავე ხელმძღვანელობდა ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი.

28-ე თავში გრიგოლ ბაქურიანის ძე სავანეებო მზრუნველობას იჩენს მოხუცებსა და ავადმყოფებზე: „თუ ძმათაგან რომელიმე გაიკრევაში ჩავარდებიან და სიმწელეებში, ან სიბერით, ან ავადმყოფობით, ან სხვა რას სატკივარით დაუძღვრდებიან, საჭიროა მათზე ფიქრი და ზრუნვა და ნუგვინისცემია“.

29-ე თავი განკუთვნილია მზუარეთა და ღარიბთათვის აშენებული სასტუმროების მოვლის საკითხებისათვის.

წესდებაში უხვად არის გაბნეული ცნობები თეო გრიგოლ ბაქურიანის ძისა და მისი ნათესავების შესახებ. წესდების ბოლო მუხლებში ჩამოთვლილია ის სიველ-გუჯრები, რომლებიც იწახებოდა პეტრიწონის სავანეში. ამ სიველ-გუჯრებში მტკიუნდებოდა პეტრიწონელთა უფლებები ამ მამულებსა და განმზე, რომლებიც სავანის განკარგულებაში იყო. საერთოდ, პეტრიწონის სავანის წესდებაში ნათლად ჩანს თუ რა ვაცხოველებული მუშაობა წარმოებდა პეტრიწონის სავანეში, როგორც ეკონომიური დო-

გეორგიას, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი V, ტექსტები ქართული თარგმანიურთ გამოცემა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 1963.

ვლათის შესაქმნელად, იგი კვლავ უნდა დასაყრდენი იქნება.

ამ წესდების ბერძნული ტექსტის ახალი ვარიანტის გამოქვეყნებით და მისთვის ქართული თარგმანის დართვით ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე გაკეთდა. იგი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ეკლესიისა და ისტორიის მეკლესიურებს ბევრი ცალკეული საკითხის დამუშავებაში. საგულისხმოა ისიც, რომ წესდების ბერძნული ტექსტი საუკეთესო ნიმუშია საშუალო ბერძნულის ანუ ბიზანტიური ენისა.

დამოლოს გვინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ პეტრიწონის საენის დამაარსებლისა და მისი წესდების შემდგენის — გრიგოლ ბაქურიანის ძის უაღრესად კეთილშობილურ პიროვნებას. გრიგოლ ბაქურიანის სახით ჩვენს წინაშე დგას უაღრესად საინტერესო მოღვაწე. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია მისი პიროვნულად იდეები, მიზანბუნებელი ტიპიკონის ფორმულა: საენში მყოფ პირთ იგი მოუწოდებს წმინდა გონებით აღიქვანონ. ეს კი გრიგოლ ბაქურიანის ძის განმარტებებიდან იგვიყვია, რაც მისწრაფება უარესად კეთილშობილური თვისებებისა: სიმართლის ძიება, ზრუნვა აღაზიანებზე, მგზავრებზე, სტუმრებზე, (ამ სასტუმროების საკითხს საგანგებო ყურადღება მიუქცია ფრანგმა მეცნიერმა შ. დი ლმა ბიზანტიანთა შესამე კონგრესზე. 1929 წელს აპრილში წაითხულ მოხსენებაში. ის ამბობს, რომ იმ მგზავრთა რიცხვი, რომლებიც თავშესაფარს პოულობენ ამ დაწესებულებაში, 15-20.000 აღწევდა წლიურად). ავადმყოფებზე, მოხუცებულებსა თუ ღარიბებზე; შრომისადმი მისწრაფება და მისი უაღრესი სიყვარული. ტიპიკონის ავტორის აზრით, საენის წინამძღვარი უნდა იქნას არჩეული არა ნათესაობისა და მეგობრობის მიხედვით, არამედ ასარჩევი პიროვნების პირადი ღირსებების მიხედვით.

ერთგან მას მოჰყავს პაულე მოციქულის ნათქვამი: „ვიცე არ მუშაობს, ნერვა ჰუმან, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღვთის მსახურთ ეს შესანიშნავი იდეალი დაკარგეს ამ დროიდან, რაც რელიგია გამატონებელი კლასის საშინაურში ჩადგა და მისი იდეური დასაყრდენი გახდა. გრიგოლ ბაქურიანი ცდილობს ეს დებულება დაიკვას. დამოლოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ გრიგოლ ბაქურიანის ძის ზრუნვა და სიყვარული თავისი ქვეყნის ხალხსა და ეკლესიაზე. მის მიერ დაარსებული პეტრიწონის მონასტერი და სემინარია ხომ განკუთვნილი იყო ქართველებისთვის, რომელთაც წესდების თანხმად, უნდა ესწავლათ ქართული წერა-კითხვა და ქართულ ენაზევე სხვა საგნებიც.“

ვიცე წაითხავს პეტრიწონის ტიპიკონს, ამჟამად თვალში ეცემა, რომ გრიგოლ ბაქურიანმა ყოველგვარი ღირსება (ქონებრივი და ტიტულატორი) მიიღო თავისი დამაარსებელი, მაგ-

რამ მაინც ბიზანტიის სამეფო კარისაგან. მაგრამ მას მაინც არ ავიწყდება პეტრიწონის უბირობა, ანგარება, რის გამოც „თეონის ტრაქტატის XXIV თავში წერს: „მე ვერჩევ უვლას, ამ მონასტერში მყოფს, და უმტკიცესი დადგენილებით ვაწესებ, რომ არასოდეს ამ ჩემს მონასტერში ბერძენი ხტევს ამ მონაზონი არ იქნეს დაქვედრებული... ასეთ ბრძანებას მიტომ ვცემ ასე მტკიცედ, რომ ბერძენი მოძალადეები არიან, უპირობი და ანგარისი და მონასტერს რამე გაჭირვებას ან ვნებას შეამთხვევენ...“

„პეტრიწონის ტიპიკონის“ გარდა, ვეორგოც შეხუთე ტომში ყურადღებას იქცევს გიორგი კვდრენეს ქრონოგრაფიდან მოყვანილი ცნობები და ამ ცნობების გამო ს. ყუხნიშვილის მიერ დართული გამოკვლევები.

გიორგი კვდრენეს ცნობები ეხება როგორც მისდროინდელ, ვ. ი. XI საუკუნის, ისე წინა საუკუნის ამბებსაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კვდრენეს ორი ცნობა: პირველი ეხება VI საუკუნეში სპარსელების მიერ ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმების საკითხს. პროფ. ს. ყუხნიშვილი აქ დართულ გამოკვლევაში წარმოგიდგინებს თავის ახალ მოსაზრებებს ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ; მეორე — თორნიკე ერისთავის მონაწილეობას ბარდა სელიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. მეკლესიური ნათელმყოფს, რომ ვეროპელ ისტორიკოსმა ნაწერებში უგულებელყოფილია ის როლი, რომელიც ეყუთენის იბერიის მეფეს დავით კუროპალატს და მხედრობისათვის თორნიკე ერისთავს ბარდა სელიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. ს. ყუხნიშვილის მიერ მოტანილი დოკუმენტებით, რომლებიც ვერდნობა გიორგი კვდრენეს ცნობებს, ნათელიყოფილია, თუ რა დიდი დახმარება გაუწია იბერთა მეფემ ბიზანტიის მთავრობას.

გიორგი კვდრენე XI საუკუნის ისტორიკოსია და იგი გვაწვდის ცნობებს თავისი დროის შესახებაც. დაწერილებით გვიამბობს საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობაზე ამ დროს. მოგვიხსენებს იმ ავტუიოელი პოლიტიკის შესახებ, რომელსაც აწარმოებდა ბიზანტიის კისარი ბასილი მეორე ქართლის მეფის გიორგი პირველის წინააღმდეგ. ამ გართულებული ურთიერთობის დროს ეს ორივე სახელმწიფო ცდილობდა გამოეხატა ისეთი საშუალება, რომელიც აიღებდა მათ სისხლისღვრას. ამ მიზნით არის, რომ კვდრენეს ცნობით, საქართველოს დედოფალი მარამი, გიორგი პირველის ქვრივი, მოლაპარაკებას აწარმოებს ბიზანტიის კისართან სახელმწიფო საქმეებზე.

ჩვენს მკვლევარს მიერ გარკვეულია, რომ ბაგრატ მეოთხის მეფულე ელენე იყო კისარ-რომანოზ შესამის ძმის ბასილის ასული და არა კისარის ასული, როგორც წერია ჩვენს სახელმწიფოებში.

ფანის 80 ლაზ.

ИНДЕКС

76128



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“